

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვაჟა კიკნაძე

**ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა
XIX ს. ქართველი სასულიერო მოღვაწეების
შემოქმედაში**

(ეპისკოპოსები: გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი,
პეტრე კონჭოშვილი, ღვთისმეტყველების კანდიდატი
მიხეილ საბინინი)

Vazha Kiknadze

**The World and National Problems in the Writings
of the Georgian Clergy at the End of the 19th and
Beginning of the 20th Century**



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2009

UDC(უაკ)94(479.22)+271.22(479.22)+811.353.1'242+27-
1+172.15+172.16+27-726.1+396(479.22)
კ-499

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა კიკნაძის ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ის უმთავრესი საკაცობრიო და ეროვნული პრობლემები, რომლებიც XIX-XX სს. მიჯნის საქართველოს სამღვდლოების საუკეთესო წარმომადგენლებს აღელვებდათ. წიგნში განხილულია ეპისკოპოსების: გაბრიელ ქიქოძის, კირიონ საძაგლიშვილის, პეტრე კონჭოშვილის და ლეთისმეტყველების კანდიდატის მიხეილ (გობრონ) საბინინის შემოქმედება.

აღნიშნული საეკლესიო მოღვაწეების უმდიდრეს ნაბეჭდ და ხელნაწერ მემკვიდრეობაში წარმოდგენილი პრობლემები უაღრესად მრავალფეროვანი და აქტუალურია. მათ შორის: მშობლიური ენის მნიშვნელობა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, ფილოსოფიისა და ლეთისმეტყველების ურთიერთმიმართება, კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზმი, მოძღვარი და საზოგადოება, პოლიტიკური ბრძოლის თავისებურებანი საქართველოში, ქალთა მისია საზოგადოებაში, ავტოკეფალიის როლი ეკლესიის განვითარებასა და ისტორიაში და ა. შ.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე, ზემოდნახსენებ საეკლესიო მოღვაწეთა ბიოგრაფიები და დაზუსტებულია ჯერ კიდევ არსებული სადაო მომენტები.

რედაქტორი:

ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფ. **ნინო აბაკელია**

რცენზენტები:

ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **დოდო ჭუმბურიძე**

ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **გორჩა საითიძე**

© ვ. კიკნაძე, 2009

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიას ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@interne.ge

ISBN 978-9941-12-675-8

შესავალი

*„კაცად-კაცადსა თქუნსა
ფსალმუნი თუ აქუს, მოძღურებაჲ თუ
აქუს... მეცნიერებაჲ თუ აქუს -
ყოველივე ესე აღსაშენსებელად
იყავნ“!*

პავლე I, კორინთელთა მიმართ 14.26

XIX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ძვრების ეპოქაა. გადატრიალება მოხდა არა მხოლოდ ტექნიკურ საშუალებებში, არამედ აზროვნებაში, მეცნიერებაში. ევროპულმა ცივილიზაციამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. „მეცნიერებამ დაიკავა მისთვის კუთვნილი ადგილი სასწავლო საგანთა შორის და ის დამოუკიდებელი გახდა“¹.

სწორედ ამ ეპოქის დასაწყისში (1801 წ.), საქართველო მოექცა რუსული იმპერიის შემადგენლობაში, რამაც განსაზღვრა მისი განვითარების შემდგომი პერსპექტივები.

დღევანდელი ევროპული მეცნიერება მიიჩნევს, რომ პირობითად, მსოფლიოში სამი ტიპის ცივილიზაცია გამოიყოფა:

1. ხალხები განვითარების იდეის გარეშე. ისინი თითქოს ისტორიული დროის მიღმა არსებობენ. ამ ტიპისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ბუნებასთან ადაპტაცია.

2. აღმოსავლური ტიპი (განვითარების ციკლური ხასიათი). ამ ტიპის ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია ძველისა და ახლის გადაჯაჭვა, რელიგიური პრიორიტეტები. განვითარების ამ ტიპს ახასიათებს ის, რომ არ არის მკვეთრად გამოხატული კერძო საკუთრება. კასტური თემები კი, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არ არიან დაკავშირებულნი, ეყრდნობიან მხოლოდ მკაცრ ცენტრალურ ხელისუფლებას. ასეთი საზოგადოების განვითარება ხდება ციკლურად, შეფერხებებით.

3. განვითარების ევროპული (პროგრესული) ტიპი. მის საფუძველში დევს უწყვეტი განვითარების იდეა. ქრისტიანობის გავ-

¹ История XIX века, под редакцией Лависса и Рамбо, т. I, М., 1937, стр. 345.

რცელებასთან ერთად, ეს ტიპი მთელი ევროპისათვის საერთო ხდება. მისთვის დამახასიათებელია რაციონალიზმი, განვითარებული კერძო საკუთრება, საბაზრო ურთიერთობანი, სამოქალაქო საზოგადოება, შრომის რეზულტატების პრესტიჟულობა¹.

თავის მხრივ, ზოგადად ცივილიზაცია: „თავისი ბუნებით დინამიკური, მოძრავი კატეგორიაა. საზოგადოების ევოლუცია განპირობებულია ცივილიზაციაში ჩადებული მექანიზმით“². ანუ, გარკვეულ ეტაპზე, როდესაც საზოგადოება მომნიფდება, უნდა ამოქმედდეს „თვითგანახლების მექანიზმი“, რაც რუსეთის იმპერიაში ან ვერ ხორციელდებოდა, ან ხორციელდებოდა ისეთი კატასტროფული ფორმით, რომლის საზღვრები სცილდებოდა რუსეთის იმპერიას.

რუსეთის იმპერია თავისი განვითარების თავისებურებებით, აშკარად, ცივილიზაციათა მეორე, აღმოსავლურ ტიპს მიეკუთვნებოდა. ამიტომაც, საქართველო, რომლის ანექსიაც რუსეთმა 1801 წელს დაიწყო და ეტაპობრივად ახორციელებდა მთელი საუკუნის განმავლობაში, განვითარების ამ ტიპს მიეჯაჭვა. ამგვარად, საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთის იმპერიაში, მოხდა განვითარების შეფერხება, სტაგნაცია. ამ საერთო მოვლენას ემატებოდა დაუფარავი ეროვნული ჩაგვრაც. ამიტომაც, XIX საუკუნე ქართველი ხალხის ისტორიაში, თავისებური, ახალი სირთულეებით გამოირჩეოდა. მთავარი ის იყო, რომ მრავალ ბრძოლაგამოვლილ ქართველ ხალხს შეექმნა იმის ილუზია, რომ თითქოს, მართლმადიდებელი რუსული სახელმწიფო ყოველმხრივ დაიცავდა ქართველ ერს და საჭირო აღარ იყო თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე გამუდმებული ზრუნვა. ასეთმა დამოკიდებულებამ, ისტორიულად გამომუშავებული თავდაცვის მექანიზმები შეასუსტა. ძალიან მალე კი ცხადი გახდა, რომ რუსეთის იმპერიის მთავარი მიზანი საქართველოს მოსახლეობის სრული ასიმილაცია იყო. ამ მიზანს იმპერია ახორციელებდა ხან აშკარად და ხან ფარულად, ეტაპობრივად, სხვადასხვა საშუალებებით (სკოლა, ეკლესია, უმაღლესი განათლება, ბიუროკრატიული სამოქალაქო და სამხედრო სამსახურ-

¹ Всемирная история, Коллектив авторов (учебник), Москва, 1996, стр. 15-16.

² ე. ავალიანი, ტ. გვალია, კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა ინტერპრეტაციის საკითხისათვის. თსუ გამომცემლობა, თბ., 1996, გვ. 11.

რი, არაქართული მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლება საქართველოში და ა. შ.).

პროგრესული ქართველი ინტელიგენციის და პირველ რიგში სასულიერო ინტელიგენციის უპირველესი მიზანი იყო, ამოეცნო რუსული სახელმწიფოს ზრახვები და მაქსიმალურად დაეცვა საკუთარი ხალხი სრული ასიმილაციისაგან, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება მარტივი არ იყო. ქართველი სამღვდელოება (ისევე, როგორც სხვა ნოდებები), მძიმე ამოცანის წინაშე იდგა. ერთი მხრივ, იგი რუსული სახელმწიფოს ერთგული მსახური უნდა ყოფილიყო (პეტრე I-ის დროიდან რუსული ეკლესია სახელმწიფოს სრულ მორჩილებაში იმყოფებოდა), ამასთან, სამღვდელოება ვალდებულად თვლიდა თავს ხალხისათვის განემარტა რუსეთთან შეერთების ობიექტური, დადებითი მხარეები და მეორე მხრივ კი, ყველა საშუალებით დაეცვა ქართველი ხალხის თვითმყოფადობა რუსული საერო და სასულიერო ხელისუფლების მაქსიმალური ზეწოლის პირობებში. ის, რომ ეს ზეწოლა ძალზე საგრძნობი იყო, კარგად ჩანს თუნდაც ეპისკოპოს კირიონის მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი შრომები და საჯარო გამოსვლები XX ს. დასაწყისამდე, ოფიციალური მიერ დაშვებულ ზღვარს არასდროს გადასცდენია, მისი ენერჯია და შემართება ქართველი ერის უფლებების დაცვის საქმეში, რუსულ ოფიციალურს არ გამოჰარვია და 1902 წელს იგი საქართველოდან ასეული კილომეტრებით დაშორებულ რუსეთის გუბერნიაში უხმაუროდ „გადაიყვანეს“, ფაქტობრივად კი, გადაასახლეს. ეს გადასახლება თითქმის 17 წელი გაგრძელდა.

ეროვნული მეობის დაცვის საქმეში, ქართულ საზოგადოებას და უპირველესად მის სულიერ მოძღვრებს უნდა გაეთვალისწინებინათ აგრეთვე, მსოფლიო ცოდნა-გამოცდილება ამ საკითხთან მიმართებაში.

ცხადია, რომ გარდა უმნიშვნელოვანესი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემისა, საქართველოს სამღვდელოებას მრავალი სხვა სასულიერო და საერო პრობლემა აღელვებდა. მაგალითად, სამწყსოს სულიერების ამალღება, სამწყსოსა და მოძღვრის ურთიერთდამოკიდებულება, ზნეობრიობის დაქვეითება მსოფლიოს ნამყვან ქვეყნებში და ბრძოლა ამ მოვლენასთან, ნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი, ქალთა ემანსიპაციის პრობლემა-

ბი, სამწყსოს დამოკიდებულება სხვა კონფესიის მრევლთან, მშობ-
ლიური ენის როლი ეროვნულობის შენარჩუნებაში, განათლების
მიღების მნიშვნელობა მშობლიურ ენაზე, ქართული ეკლესიის ავ-
ტოკეფალიის აღდგენის საკითხი (ეს პრობლემა განსაკუთრებით
აქტუალური გახდა XX ს. დასაწყისიდან) და ა. შ.

ყველა ეს პრობლემა ასახულია მოწინავე ქართველი სასუ-
ლიერო წოდების ნააზრევში; მათი ანალიზი კი, წარმოდგენილია
ჩვენს ნაშრომში.

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ ეპისკოპოსების: გაბრიელის
(ქიქოძე), კირიონის (საძაგლიშვილი), პეტრეს (კონჭოშვილი) და
ლეთისმეტყველების კანდიდატის, საქართველოში დაბადებული და
აღზრდილი მიხეილ (გობრონ) საბინინის შემოქმედება და იდეები,
რომლებიც ეროვნულსა და მსოფლიო პრობლემატიკას შეეხება,
როგორც სასულიერო, ასევე საერო სფეროში.

ჩვენს გამოკვლევაში ვიხილავთ ხსენებულ საეკლესიო მოლ-
ვანეთა მთავარ, დამახასიათებელ ნაშრომებს, პირად წერილებს,
მოგონებებს, გამონათქვამებს და ა. შ. ამასთანავე, ვაზუსტებთ მა-
თი ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთ მნიშვნელოვან მო-
მენტსაც.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომში წამოჭრილი პრობლემები აქტუა-
ლურია დღევანდელი საქართველოს განვითარებისთვისაც, რადგა-
ნაც ბევრი გადაუჭრელი საკითხი, რომელიც XIX-XX საუკუნეების
საქართველოში არსებობდა, დღესაც მემკვიდრეობით გადმოგვეცა.

როდესაც გამოჩენილ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ნა-
აზრევს ვიხილავთ, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ გარდა სასულიე-
რო წოდებისადმი კუთვნილებისა, ისინი ქართული ინტელიგენციის
ნაწილსაც წარმოადგენდნენ; რადგან, სასულიეროსთან ერთად, სა-
უკეთესო საერო განათლებითაც გამოირჩეოდნენ. ეს სასულიერო
მოღვაწენი, ხშირად, მრავალი თეოლოგიური, ფილოლოგიური, ფი-
ლოსოფიური, ისტორიული თუ სხვა შრომათა ავტორებიც იყვნენ.
დიდი რუსი ისტორიკოსის ვასილი კლუჩევსკის სიტყვით: „ჩამორ-
ჩენილ ქვეყანათა და ხალხების ცხოვრების კანონი, განვითარებუ-
ლებთან შედარებით, ასეთია: რეფორმათა აუცილებლობა უფრო

ადრე იჩენს თავს, ვიდრე ხალხი მწიფდება რეფორმებისათვის"¹. იმისათვის, რომ ინტელიგენციამ ამ ამოცანას კარგად გაართვას თავი, მან სულ ცოტა ორი პირობა უნდა დააკმაყოფილოს: ა) ზუსტად იცოდეს თავისი ხალხის მდგომარეობა ყოველ მოცემულ მომენტში და ბ) იცოდეს მსოფლიო აზროვნების მეცნიერული მარაგი². ამ საკითხთან დაკავშირებით, იაკობ გოგებაშვილი 1880 წ. წერდა: „ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზას რაზმი მძლავრისა და მრავლის ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსო ბრძოლასა და დაკარგავს თავის ადგილს ერთა შორის“³.

¹ Ключевский В. О., Дневники и дневниковые записи; сочинения в девяти томах, т. IX, изд. «Мысль», Москва, 1990, стр. 347.

² Ключевский В. О., Афоризмы и мысли об истории, Сочин., т. IX, стр. 419-420.

³ ი. გოგებაშვილი, „მზად ვართ?“ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, ტფ., 1910, გვ. 19.

თავი I. გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრება და შემოქმედება

§1. გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების გზა

გაბრიელ (ერისკაცობაში გერასიმე) ქიქოძე დაიბადა ს. ბახეში 1825 წ. 15 ნოემბერს (ძვ. სტ.). მამამისი – მაქსიმე ქიქოძე, სამღვდლო წოდებას ეკუთვნოდა, დედა – მარიამ დგებუაძე კი, დიასახლისი იყო. გერასიმეს დედა მალე გარდაეცვალა და ობლებს მამა ზრდიდა.



მეუფე გაბრიელის მოგონებების თანახმად, მამამისი, გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის სულიერი მოძღვარი იყო და ხშირად იმყოფებოდა ოზურგეთში. მეუფე იგონებს, რომ პირველად, რუსული ენა მან ოზურგეთში, რუსი ჯარისკაცებისაგან გაიგო. იგი კარგად, დადებით კონტექსტში იგონებს რუს სამხედროებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მასზე ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა ჯარისკაცის დაუნდობელი განკეპვლის სცენამ, რომელსაც ის შემთხვევით შეესწ-

რო¹. 1837 წ. მაქსიმე ქიქოძემ თავისი შვილები: ივანე, გერასიმე და სვიმონი თბილისში წაიყვანა, ეგზარქოს ვეგენის მიჰგვარა და სთხოვა, ისინი თბილისის სასულიერო სასწავლებელში ჩაერიცხათ². მართლაც, სამივე მათგანმა სწავლა დაიწყო, მაგრამ უფროსი ძმა, ივანე მალე სოფელში დაბრუნდა, მეუღლესთან; მეორე ძმა, სვიმონი სწავლის დამთავრების შემდეგ, ბერად აღიკვეცა ბესარიონის სახელით და მთელი სიცოცხლე ათონის მთაზე მოღვაწეობდა.

გერასიმემ წარმატებით დაიწყო სწავლა. 1839 წ. იგი წარმატებითვე ასრულებს განათლების პირველ საფეხურს და სწავლას აგრძელებს სასულიერო სემინარიაში. გერასიმეს ყველა საგანში

¹ Г. Кикодзе, Из моих воспоминаний, "Пастырь", 1895, №23-24. с. 6-7.

² მ. კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთაისი, 1913 წ., გვ. 20-22.

უმალლესი შეფასება „ერთიანი“ (ანუ დღევანდელი „ფრიადი“) დაუმსახურებია. საგნებს შორის არ იყო მხოლოდ მშობლიური ენა, თუმცა ისწავლებოდა „თათრული“ და „ოსური“ ენები¹ (ეს ენები, როგორც ჩანს, ისწავლებოდა იმ მიზნით, რომ მომავალში, სემინარი-ადამთავრებულებს შესძლებოდათ სასულიერო მისია განეხორციელებინათ ოსებით დასახლებულ, ან თურქულენოვან რეგიონებში).

1841 წ. 22 ნოემბერს, გერასიმე სწავლას აგრძელებს ფსკოვის სემინარიაში, სადაც მისი მასწავლებელი – სიტყვიერების პროფესორი გ. კანეესკი გადავიდა².

1842-1843 წლებში იგი ფსკოვში სწავლობს, 1844 წ. კი კვლავ გადადის ახალ მასწავლებელში, ს/პეტერბურგის სემინარიაში, რომელიც 1845 წ. დაამთავრა. შემდეგ, მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1849 წ. წარმატებით დაამთავრა. საინტერესოა, რომ აკადემიაში, გარდა საღვთისმეტყველო საგნებისა, მას ასწავლიდნენ ფიზიკა-მათემატიკას და კლასიკურ და თანამედროვე ენებს. მათ შორის: ბერძნულს, ლათინურს, ფრანგულს, გერმანულს, ებრაულს³.

პეტერბურგში გერასიმე დაუახლოვდა ქართული სამეფო ოჯახის ჩამომავალს – მიხეილს. იგი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის ძე (რომელიც მას მეორე მეუღლისაგან – მარიამ ციციშვილისაგან შეეძინა). მიხეილის შესახებ, გაბრიელი შემდეგს იგონებდა: „ის იყო კაცი დიდად განვითარებული, გონიერი და განათლებული; ამასთანავე უბრალო, თავმდაბალი... ამ მეცნიერი ბატონიშვილის ნათელმა მსჯელობამ მეც უფრო ნათლად და გარკვევით შემაგნებინა ეს (ფილოსოფიის – ვ. კ.) საგანი“⁴.

1849 წ. გერასიმე ქიქოძემ დაამთავრა პეტერბურგის აკადემია და დაიცვა მაგისტრის ხარისხი. სამაგისტრო ხარისხისათვის მას ასეთი თემა შეურჩევია: „Рассуждение о том, что религиозное, нравственное и гражданское состояние народов, современные явления

¹ მ. კელენჯერიძე, დასახ. წიგნი, გვ. 24.

² მ. კელენჯერიძე, დასახ. წიგნი, გვ. 26.

³ Формулярный список епископов: Гавриила, Виссариона, Александра; საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი (შემდგომში სსცსა), ფ. №488, აღწ. 1, საქმე №24407, ფ. 1; აგრეთვე მ. კელენჯერიძე, დასახ. წიგნი, გვ. 39-40.

⁴ მ. კელენჯერიძე, დასახ. წიგნი, გვ. 32-33.

Мессин, доказывают необходимость его пришествия на землю¹.

გერასიმემ გადაწყვიტა სამუშაო სამშობლოში, საქართველოში ექებნა. მაგრამ მანამდე, ის დაქორწინდა პეტერბურგის მთავარი სამხედრო შტაბის მღვდლის ნიკ. ვლადიკინის ქალიშვილზე – მარიამზე (1842/4.XII).

თბილისში დაბრუნებული გერასიმე, სამსახურს იწყებს თბილისის სემინარიის ინსპექტორად და რექტორის მოადგილედ². ამავე დროს, იგი საჯაროდ ქადაგებს სიონის ტაძარში (1852-1853).

1851 წ. ბოლოს გერასიმე ქიქოძეს მათემატიკის და ფიზიკის პროფესორად ირჩევენ და ამ საგნების კითხვას ანდობენ თბილისის სემინარიაში.

1854 წ. 8 ნოემბერს გერასიმე ჯერ დიაკვნად, იმავე თვის 15-ში კი, მღვდლად ეკურთხა და ინსპექტორის თანამდებობას თავი დაანება. იმავე წელს დაიწყო მასწავლებლობა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში სჯულის მოძღვრად³.

1856 წელი ყველაზე მძიმე გამოდგა გერასიმე ქიქოძის ცხოვრებაში⁴. ამ წელს მას დაეღუპა შვილები და მეუღლეც, რომელიც მშობიარობას გადაყვა. ტრაგედია იმდენად დიდი იყო, რომ გერასიმეს მღვდლობისათვის თავის დანებება სდომებია, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა საქართველოს იმდროინდელმა ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი (1844-1858)). ეგზარქოსს ბრძნული სიტყვები უთქვამს: „შენი სამშობლო ქვეყანა – საქართველო დიდად მოკლებულია კარგ და შეგნებულ მღვდელმთავრებს“, მართალია, უფალმა „ცოლი მოგაშორა, შვილები მოგაშორა და შერაცხა ანგელოზებად, მათ ნაცვლად (უფალი – ვ. კ.) გაძლევს ქართველს

¹ იქვე, გვ. 34, შენიშვნა სქოლიოში.

² მ. კელენჯერიძე, დასახ. ნიგნი, გვ. 35.

³ მ. კელენჯერიძე, დასახ. ნიგნი, გვ. 42-43; აგრეთვე, სცსსა, ფ. 488, საქმე №2447.

⁴ სულ გერასიმე ქიქოძეს 5 შვილი ყოლია, რომელთაგან რამდენიმე დედის სიცოცხლეშივე, მცირეწლოვანნი აღსრულებულან. მეხუთე შვილის მშობიარობას კი, გერასიმეს მეუღლე გადაჰყვა. ოთხი შვილის სახელები ცნობილია: პეტრე, ნინო, ნიკოლოზი, ალექსანდრე. მათი საფლავები უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის, ვერის ეკლესიაში. იხ. ავ. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ქიქოძე (ცხოვრება და შემოქმედება); თბ., 1990, გვ. 15; აგრეთვე მ. კელენჯერიძე, დასახ. ნიგნი, გვ. 54-57.

ერს¹, რათა უწინამძღვრო მას, ასწავლო გზა ქეშმარიტებისა და მიუძღვნა უფალსა ერი იგი განათლებული და განწმენდილი ყოვლის ბოროტებისაგან².

ამის შემდეგ, 1856 წ. 29 სექტემბერს, გერასიმე ბერ-მონაზვნად ეკურთხა სიონში, გაბრიელის სახელით (ალკვეცა, საბუთებში დაფიქსირდა 6 ოქტომბერს)³.

1858 წ. 6 იანვარს, გაბრიელი დავით-გარეჯის ლავრის არქიმანდრიტი ხდება. ამავე დროს, იგი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის მოადგილეა.

1858 წ. 6 დეკემბერს გაბრიელი ხელდაასხეს გორის ეპისკოპოსად. ამ პოსტზე იგი ორიოდ წელი დარჩა. გორში მოღვაწეობის დროს, გაბრიელი ითვლებოდა აგრეთვე, შუამთის მონასტრის ილუმენად. ამავე პერიოდში იჩინა თავი გაბრიელის ორატორულმა ნიჭმა. იგი გასაგები ენით ესაუბრებოდა მრევლს ზნეობრივ, სარწმუნოებრივ და საჭირობო საკითხებზე; როგორც მ. კელენჯერიძე აღნიშნავს, ქადაგებანი წინასწარ უნდა ყოფილიყო შეთანხმებული სემინარიის რექტორთან (თუ ქადაგება იქ ეწყობოდა), ან ეგზარქოსთან. XX ს. დასაწყისში შემორჩენილი იყო სემინარიაში წარმოთქმული მისი რამდენიმე ქადაგება, რომლებსაც ცენზორის ასეთი რეზოლუცია ადევთ: „Слово сие согласное со словом Божиим, может быть произнесено во храме семинарской церкви“. ხელს აწერს სემინარიის რექტორი იზრაილი; 1857, 20 აპრილი⁴.

ამავე პერიოდში, არქიმანდრიტმა გაბრიელმა შექმნა ფსიქოლოგიის საინტერესო სახელმძღვანელო. მაგრამ მისი ბეჭდვა საკმაოდ გართულდა. გაბრიელის რუსი მეგობარი რუდაკოვი სწერდა მას, რომ ცენზურამ ძნელად მიიღო ეს ნიგნი, რომ იგი (რუდაკოვი) დაბეჭდვის უფლებისათვის „ძღვენს“ არ იმურებდა, მაგრამ ნაშრომი ერთი წელი მაინც არავინ წაიკითხა, შემდეგ კი, სასულიერო ცენზორმა კარპოვმა, იგი მავნედ და ერეტიკულად სცნო. ამის შემ-

¹ ტექსტი გაუმართავია, მ. კელენჯერძესთან ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „ქართველთა ერთა“, რაც ჩვენ გაუმართეთ.

² მ. კელენჯერიძე, დასახ. ნიგნი, გვ. 58.

³ იქვე, გვ. 59, სსცსა, ფ. 488, №24407, ფ. 2. აგრეთვე: Еп. Кирион, Краткий очерк грузинского экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 81.

⁴ მ. კელენჯერიძე, დასახ. ნიგნი, გვ. 89.

დგომ, ნიგნის ბექდვის ნებართვა, საერო უწყებამ გასცა¹. მეგობარი აფრთხილებდა გაბრიელს, რომ თუ სინოდი მას „ფილოსოფოსად“ მიიჩნევდა, ეს მისი კარიერისათვის არასასურველი იყო. ამიტომ ურჩევდა, იქნებ ნიგნს საერო სახელი „გერასიმე“ დაანეროო².

ნიგნი პეტერბურგში დაიბეჭდა 1858 წელს. იგი 335 გვერდისაგან და საილუსტრაციო მასალისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილს ეწოდება „О бытии, свойствах и действиях души человеческой“. ამ ნაწილის პირველ თავს კი „О чувствующем и двигающем начале в человеке“. აქ გარჩეულია ადამიანის ყოველგვარი შეგრძნება და განხილულია ყველა გრძნობის ორგანო. მეორე ნაწილის ბოლო თავი, სულის უკვდავების საკითხს ეძღვნება³. სადღეისოდ, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგია ძალზე შორს არის წასული და ნიგნის ბევრი დებულება მოძველებულია, მაგრამ თავის დროზე ეს იყო ახალი და მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო. მან რუსეთის იმპერიის შესაბამისი წრეების ყურადღებაც მიიქცია⁴.

1860 წლის 2 ივლისს მეუფე გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს და ამ მოვალეობას იგი სიკვდილამდე ასრულებდა.

ქუთაისში მოღვაწეობისას, მეუფემ განსაკუთრებით გაითქვა სახელი, როგორც შესანიშნავმა ორატორმა. ქუთაისის საყდრებში, იმერეთის სოფლებში, ეპარქიის ყველა სოფელსა და დაბაში ქადაგებდა იგი. მისი ქადაგებები შესანიშნავი მაგალითია საეკლესიო და საერო პრობლემატიკის შერწყმის, საკაცობრიო და ეროვნული საკითხების ჰომილეტიკის ენაზე გადმოცემისა. იმერეთში მოღვაწეობისას, მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, როგორც მკაცრმა და სამართლიანმა მოძღვარმა, ეკლესიათა მშენებელ-აღმდგენელმა. მხოლოდ რაჭის ერთი, სადმელის რაიონში მან 9 ეკლესია ააგო⁵.

¹ იქვე, გვ. 61-69.

² მ. კელენჯერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-69.

³ Архимандрит Гавриил, Основания опытной психологии, СПб., 1858 (тип. рафия Ан. якобсона).

⁴ მ. კელენჯერიძე, დასახ. შრ. გვ. 95-98; აგრეთვე ც. ედილაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი, თბ., 2001 (ლიტერატურა, იხ. იქვე, გვ. 24).

⁵ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი), მ. კელენჯერიძის ფონდი, საქმე №201, აღ. შარაბიძის წერილი ეპისკ. გაბრიელზე, ფ. 2; იგივე ფონდი, საქმე №204, მიხ. სხირტლაძის მოგონება, ფ. 1.

მთლიანად იმერეთში კი, დ. ლამბაშიძის სიტყვით, მან მრავალი ასე-
ული ქვისა და ხის შენობა ააშენა. დააარსა უამრავი სამრევლო-სა-
ეკლესიო სასწავლებელი¹. 1887 წელს, მეუფის ინიციატივით, შეიქ-
მნა ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი, რო-
მელსაც უნდა მოეძიებინა და დაეფიქსირებინა ძველი ქართული სა-
ეკლესიო საგალობლები². გაზეთი „კვალი“ იმასაც აღნიშნავდა, რომ
„იმერეთში არ დარჩენილა არც ერთი დავრდომილი, რომელსაც არ
განეცადოს მისი მოწყალება. არც ერთი კაცთმოყვარული (ანუ ჰუ-
მანიტარულ-ფილანტროპიული – ვ. კ.) საზოგადო დანებსებულება არ
დაარსებულა იმერეთში, რომ გაბრიელი არ შენეოდეს“³.

თვითმხილველთა მონათხრობის მიხედვით, ყოველ მესამე
წელს, იგი რევიზიას აწყობდა დაქვემდებარებულ ეპარქიებში. მისი
მოგზაურობა, სამწყსოსთვის ნამდვილი ზეიმი იყო. სამწყსო მაში-
ნაც კი არ ერიდებოდა თავშეყრას, როდესაც ეპიდემია (მაგალითად
ყვავილი) მძვინვარებდა⁴. მოგზაურობის დროს, მეუფე ძალიან უბ-
რალო პირობებით კმაყოფილდებოდა. ძირითადად, ცხენით მოგზა-
ურობდა. თვითმხილველი მიხ. სხირტლაძე იგონებს, რომ გაბრიე-
ლი მრევლთან ურთიერთობას მას ასე ასწავლიდა: „ეცადე, ცის-
კარსა და წირვას შუა, ლოცვები აუხსნა და წირვაზედ სახარება,
ბავშვებს ასწავლე და ისინი შემდგომ უფრო პატივისმცემელნი და
ხათრით იქმნებიან შენთან. უფროსებს, შეხვედრისას უნდა უთხრა
გამარჯობა და მოიკითხო ოჯახური მდგომარეობა. მით იგინი უფ-
რო დაგიახლოვდებიან და სიყვარულით მოგექცევიან. ტიპიკონი
და საღვთო წერილი კარგად უნდა შეისწავლო...“⁵ მეუფეს კარგი
იუმორის გრძნობა ჰქონია და ხშირად ხუმრობდა. როდესაც მას მი-
ხეილ სხირტლაძე რაჭაში, ნაქერალას მთაზე, ცხენით დახვდა, მეუ-
ფეს ხუმრობით უთქვამს, რომ რაჭველები მას ცხენით იმიტომ შეხ-
ვდნენ, რომ ძუნწები არიან და ფაეტონზე ფულს ვერ იმეტებენო⁶

¹ ჟ. „მწყემსი“, 1896, №2, გვ. 3-4.

² ნ. ნადარია, გაბრიელ ქიქოძის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღ-
ვაწეობა, თურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1984, №2, გვ. 49.

³ „კვალი“, 1893, №42, გვ. 2.

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. კელენჯერიძის ფონდი, ფ. 3.

⁵ მიხეილ სხირტლაძის წერილები გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ. ხელნა-
წერთა ეროვნული ცენტრი, მ. კელენჯერიძის ფონდი, საქმე №204, ფ. 1.

⁶ იქვე, ფ. 2.

(სინამდვილეში, მეუფე ისეთი გზებით მოიხილავდა თავის სამწყსოს, რომ იქ ცხენიც კი ძლივს იკვლევდა გზას).

ამავე დროს, მეუფე გაბრიელი უანგარო ქველმოქმედიც იყო. მ. კელენჯერიძის ფრაგმენტული ჩანაწერებიდან (1913 წ. დაბეჭდილი ნიგნის მასალა და გეგმა) ვიგებთ, რომ ქველმოქმედებაზე იგი ასეთი აზრის იყო: „მონყალება უანგარიშო, უსასყიდლო, წრფელი უნდა იყოს და არა პირმოთნეობითი, შესახედავად, განსაღიღებლად...“¹ მაგრამ მეუფე არა მარტო ადამიანებს მოუწოდებდა ყოფილიყვნენ ერთმანეთის მიმართ ღმობიერნი და გულმონყალენი. ცხოველების მიმართ დამოკიდებულების შესახებ იგი მრევლს ასე არიგებდა: „ღმერთი არს მამა საზოგადოდ ყოველთა მისთა ქმნილებათა. კაცი (ადამიანი - ვ. კ.) ღმერთს უყვარს უმეტესად ყოველთა... გარნა ღმერთს მაინც არ ეამება, რომ უფროსმან და უმჯობესმან მისმან ქმნილებამ, ე. ი. კაცმან, სტანჯოს და აწვალოს უმცროსნი მისნი ქმნილებანი - პირუტყვი“. მეუფე მრევლს ჩააგონებდა პირუტყვისადმი ღმობიერ დამოკიდებულებას და ასეთ არგუმენტსაც იშველიებდა: „შენმა საკუთარმა სარგებლობამ უნდა გასწავლოს მათი შებრალება“, რადგან რაც უფრო მოვლილია პირუტყვი, უფრო მეტი სარგებელი მოაქვს მას მფლობელისთვის. მეუფე ამასაც ეუბნებოდა მრევლს: „გაგვიგონია მოგზაურთა(გა)ნ, რომელთა უნახავთ განათლებული ევროპიის ქვეყნები, რომელ მუნ, მარტო შინაური პირუტყვის შეხედვა აჩვენებს კეთილ-ზნეობასა და განათლებასა ადგილის მცხოვრებთა“². ამასთან, მეუფე ამბობდა თურმე, რომ ისინი, ვინც დაუნდობლად ექცევიან ცხოველებს, შემდეგ ამასვე სჩადიან ადამიანთა მიმართაცო³.

1878 წლამდე, მეუფე ყოველ აღდგომასა და შობას დიდ სუფრას აწყობდა და ეკლესიის მთელ კრებულს იწვევდა: შემდეგ კი, ამ სუფრის ნაცვლად, წვეულებისათვის საჭირო თანხას, მეუფე გაბ-

¹ იქვე, კელენჯერიძის ფონდი №101 (ნაკლული, უთარილო), ფ. 21 (2) (პაგინაციის პირველი ციფრი მაჩვენებელია მ. კელენჯერიძის დანომერისა; მეორე ციფრი - ახალი პაგინაციისაა, ხელნაწერის, ხელნაწერთა ინსტიტუტში მოხვედრის შემდეგ).

² ეპისკოპოს გაბრიელის ქადაგებები, ტ. I, გვ. 29-30 (პირუტყვთა შებრალებისათვის თქმული სიტყვა სობოროში) იხ. აგრეთვე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. კელენჯერიძის ფონდი №161, ფ. 24(4).

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დასახ. ფონდი ფ. 25 (5).

რიელი ციხეებში უგზავნიდა პატიმრებს¹. მისი ფორმულარიდან ვიგებთ, რომ მეუფე, 1869 წლიდან დაინიშნა ქუთაისის, პატიმრების მატერიალური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესების კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად². მეუფე გაბრიელი გამუდმებით ზრუნავდა საპატიმროს ტუსალებზე. ასევე, ქვრივ-ობლებს და გაჭირვებულებს მუდმივად უგზავნიდა ფულს. ყოფილა შემთხვევა, რომ ქუთაისის გორაზე მცხოვრებ გაჭირვებულთათვის შეშა მიუტანია³. საკრებულო ტაძრის მრევლს ურიგებდა 15 მანეთს, მაგალობლებს 10-15 მანეთს; ასევე, ასაჩუქრებდა შეგირდებს, დეპეშების დამტარებლებს და ა. შ. მის დღიურებში აღნიშნული იყო, რამდენი თანხა გამოყო მან ობოლი და შეჭირვებული ადამიანებისათვის, უპატრონო მიცვალებულებისათვის, ლაზარეთში ავადმყოფებისათვის, სტუდენტებისათვის, მონათლული აფხაზებისათვის, ებრაელებისათვის, თათრებისათვის, თავის ნათესავეებისათვის და ა. შ.⁴ დღიურში, მეუფეს ისიც ჩაუნიშნავს, რომ გურული ნათესავეები ხშირად ზომამზე მეტად აწუხებდნენ ხოლმე. ერთ ჩანაწერში მას იუმორით აღუნიშნავს: „...На отправку гурииской орде“⁵.

1869 წლის 6 ივნისიდან, გაბრიელ ქიქოძეს იმერეთის ეპისკოპოსობასთან ერთად, შეუთავსეს აფხაზეთის ეპარქიის მართვა. მან კარგად გაართვა თავი ამ მოვალეობასაც. მელიტონ კელენჯერიძეს, მეუფე გაბრიელის შესახებ წიგნის ხელნაწერ გეგმაში, აღნიშნული აქვს ის უმთავრესი, რაც მეუფემ აფხაზეთში გააკეთა: 1) გამაჰმადიანებული აფხაზების მოქცევა, 2) ქართულ ტაძარ-მონასტრებზე ზრუნვა, 3) ხალხის ბარბაროსული ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლა, 4) შეუპოვრობა დასახული მიზნის მისაღწევად, თუნდაც სიკვდილის მუქარის ქვეშ, 5) ქადაგება ყველგან და ყველა პირობებში და სიტუაციაში, 6) ქადაგება არა მარტო ტაძარში, ეკლესიაში, სახლში, არამედ ბუნებაში, ხის ქვეშ და ა. შ. ... 11-12) მრევლისათვის თვალნათლივი განმარტება, რა არის ყურანი, რას ქადაგებდა ქრისტე და რას

¹ იქვე, ფ. 26(6).

² სსცსა, ფ. №488, საქმე №24407, ფ. 2.

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში ხ.ერ.ც.), მ. კელენჯერიძის ფონდი, საქმე №101, ფ. 30(10), 31(11).

⁴ იქვე, ფ. 27(7).

⁵ იქვე, ფ. 33(14).

მუჰამედი¹.

მეუფე მიიჩნევდა, რომ „ყოველი თანამდებობა – პირობის აღსრულებაა“. მათ შორის, ოჯახის წევრთა მიერ მოვალეობის აღსრულებაც, თანამდებობაა².

განათლებული და ქართველთა მიმართ კეთილად განწყობილი ეგზარქოსი ისიდორე, რუსეთში გადაიყვანეს. საქართველოში კი, ვესევი (ილინსკი) დანიშნეს (1858-1877). ვესევი, მეუფე გაბრიელთან ბოლომდე ცუდ ურთიერთობაში იყო და ყველა მის წამოწყებას (მათ შორის ქუთაისის სემინარიის დაარსებას) ხელს უშლიდა³. მიუხედავად ახალი ეგზარქოსის არაკეთილგანწყობისა, მეუფე ახერხებს რუსეთის სინოდის კეთილგანწყობაც დაიმსახუროს და ქართული საქმეც აკეთოს.

1865 წელს, 6-დან 31 ივლისამდე, მეუფემ ზემო სვანეთის სამწყსოს ძნელადმისავალი სოფლები მოინახულა⁴. ამ საინტერესო მოგზაურობის შესახებ, მან დანვრილებითი აღწერილობა დასტოვა, რომლის ანალიზსაც ქვემოთ წარმოვადგენთ. მეუფემ შემდეგი მარშრუტით იმოგზაურა: ჯვარი, სადმელი, ლეხურის ქედი, კალა, უშგული, ხალდე, ადიში, წვირმი, მუჟალი (მუჟალვი), ლანჩვალი, ლაგამი, ლეხტაგი, სეტი (დღეს ეს სოფლები მოქცეულია რაიონულ ცენტრ-მესტიის საზღვრებში), ლატალი, ბეჩო, ენერი, ფარი, თავრარი (თავრალი), ლახამულა, ცხომარეთი (ცხუმარი)⁵.

1875 წელს, მეუფე გაბრიელი, მისდაუნებლიეთ, უსიამოვნო საქმის მონაწილე გახდა. მისმა პირდაპირობამ და მიუკერძოებლობამ გააღიზიანა როგორც რუსული, ასევე ქართული ადგილობრივი სამღვდელოება. ამიტომ, ქუთაისში ჩასვლის დღიდან, სინოდში, მასზე დასმენის უამრავი წერილი მიდიოდა⁶. როგორც ჩანს, ამ კამპანიის ნაწილი იყო ე. წ. „გელათის საქმე“, რომელშიც მეუფეც აღ-

¹ ხ.ერ.ც., კელენჯერიძის ფონდი, ფ. 53(24); იხ. აგრეთვე ნმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოსცა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიაძე, თბ., 2007.

² იქვე, ფ. 61(29).

³ იქვე, ფ. 84-85 (35-36).

⁴ სცსსა, ფონდი 489, აღნ. 1, საქ. №23775.

⁵ იქვე, ფ. 1-24.

⁶ ხ.ერ.ც., კელენჯერიძის ფონდი №204, ფ. 61(29); ასევე მ. კელენჯერიძე, დასახ. ნიგნი, გვ. 93.

მოჩნდა გარეული. 1875 წ. გაზეთმა „გოლოსმა“ და შემდეგ ქართულმა გაზეთმა „დროება“ გამოაქვეყნეს სენსაციური წერილები იმის შესახებ, რომ მეუფე გაბრიელისადმი დაქვემდებარებული გელათის მონასტრიდან ძვირფასი საეკლესიო ნივთები დაიკარგა¹. ეგზარქოსი ევსევი, ზოგიერთ ქართველ მღვდელმთავართან ერთად (მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის ფსევდონიმი იყო „გ. სურანაძე“), ფასდაუდებელი ქართული სინმინდევების დაკარგვაში ბრალს პირადად მეუფე გაბრიელს სდებდა². მ. კელენჯერიძის შავ ჩანანერებში კი, ამ საქმესთან დაკავშირებით, გაუმართავ ფრაზას ვხვდებით: „გელათში დაკარგულ ნივთების საქმე პალადის დროს. ბობრინსკის და უვაროვას (იგულისხმება რუსი კოლექციონერი ბობრინსკი და მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე პრ. უვაროვა – ვ. კ.) ბუზი სპილოდ [ერყენებოდათ – ვ. კ.]“³. საქმე იმაში იყო, რომ მეუფე გაბრიელმა მიიღო ქუთაისის გუბერნატორ ლევაშოვის მეუღლის ლევაშოვას (ქალიშვილობაში პანინას) წინადადება, ძველი და ნაკლებღირებული საეკლესიო ნივთები გადაეცვალა ახალ, საეკლესიო ხმარებისათვის აუცილებელ ნივთებზე. აქ, სამწუხაროდ, გაუგებრობამ იჩინა თავი. ნაკლებღირებული საეკლესიო ნივთების გადარჩევა, მეუფემ გელათის მაშინდელ წინამძღოლს – ბესარიონს (დადიანს) მიანდო (შემდეგში სამეგრელოს ეპისკოპოსი). ბესარიონ დადიანმა კი, ლევაშოვას და მის ძმას პანინს გადასცა არა მოძველებული და უვარგისი, არამედ ბევრი ისეთი ნივთი, რომლებიც შეუფასებელი ღირებულების იყო. ამასთან, პანინს, ეს ნივთები, ბესარიონმა მეუფე გაბრიელთან შეთანხმების გარეშე მისცა. საბაბი ასეთი იყო: თითქოსდა ქველმოქმედი ლევაშოვა და მისი ძმა, ამ ნივთებს განაახლებდნენ და ისე დაუბრუნებდნენ გელათის მონასტერს. მკვლევარ ნანა ნადარაიას მიაჩნია, რომ ყოველივე ეს გაუგებრობის შედეგად მოხდა⁴. ჩვენი აზრით კი, წინამძღვარმა ბესარიონმა უძვირფასესი სახარება შეგნებულად, ანგარებით გადასცა პანინს. წინამძღვარმა ბესარიონმა, გაცვეთილ-

¹ ნ. ნადარაია, გელათის საქმე და გაბრიელ ეპისკოპოსი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, 29 ნოემბერი, გვ. 8-9.

² იქვე.

³ ხ.ერ.ც., კელენჯერიძის ფონდი №204, ფ. 92(39)

⁴ ნ. ნადარაია, დასახ. სტატიი.

დიანი, ყოველდღიურად სახმარი სახარების ნაცვლად, ლევაშოვას და პანინს გადასცა ძველი, მინანქრებით შემკული, უნიკალური სახარება. პანინმა, ეს სახარება ვერცხლის მასიურ ყდაში ჩასვა და ისე დააბრუნა, მაგრამ სახარებას აღარ ჰქონდა უნიკალური მინანქრის მედალიონები. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ბესარიონ დადიანმა, ეს ანგარებით და საკუთარი მოგების მიზნით გააკეთა და არა შეცდომის გამო. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ შეუძლებელია, ოდნავ განათლებულ ადამიანს მინანქრიანი სახარების ფასი არ სცოდნოდა და უბრალო სახარებაში არეოდა. ამასთან, ცენტრალურ საისტორიო არქივში მივაკვლიეთ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ სინოდის კანტორაში გაგზავნილ „მოხსენებით ბარათს“ („რაპორტს“), სადაც იგი წინამძღვარ ბესარიონს ძალზე ცუდად ახასიათებს. კერძოდ, ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „...Касательно поведения Гелатского архимандрита Виссариона, имею честь объявить, что он, имея огромное число родственников в Имеретии и особенно в Мингрелии, очень часто отлучается, то с дозволения моего, а иногда и без дозволения, и вообще, неохотно, недолго любил в нем (в монастыре – В. К.) оставаться. Кроме того, постоянно бывал должен многим лицам, которые часто беспокоили меня просьбами о взыскании с него долгов. Вообще, его поведение не вполне соответствовало его званию и сану“ (1870 წ. 6 ივლისი). დახასიათების დასკვნით ნაწილში, მეუფე გამოთქვამს იმედს, რომ შემდგომში, ბესარიონი გამოსწორდებოდა¹. ის, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის ნდობა არქიმანდრიტმა ბესარიონმა ბოროტად გამოიყენა და მეუფე ამ საქმეში სრულიად მართალი იყო, კარგად ჩანს მეუფე გაბრიელის შემდგომი ქმედებებიდან. როდესაც მეუფემ საქმის ვითარება გაიგო, იგი მთელი დარჩენილი ცხოვრება, დაბეჯითებით ითხოვდა რუსეთის საერო და საეკლესიო მოხელეებისაგან მინანქრიანი მედალიონების დაბრუნებას. მაგრამ ყველა მისი მუდარა, მუქარა თუ თხოვნა, უპასუხოდ დარჩა. მედალიონები სამუდამოდ დაიკარგა საქართველოსთვის².

¹ სსცსა, ფ. №489, საქმე 27911, ფ. 38 (Ралорт Имеретинского епископа Гавриила).

² ნ. ნადარაიას დასახ. შრომა, გვ. 9.

აღსანიშნავია, რომ მეუფე გაბრიელის არაკეთილმოსურნეებმა აკაკი წერეთელიც კი შეიყვანეს შეცდომაში. აკაკი იმდენად უარყოფითად განეწყო ადრე სათაყვანოდ მიჩნეული მეუფის მიმართ, რომ მასზე, თავისივე აღიარებით, კრიტიკული წერილის დაწერას აპირებდა. საბედნიეროდ, წერილის დაბეჭდვამდე აკაკი პირადად მეუფეს ესაუბრა და საქმის ნამდვილი ვითარება გაიგო. მეუფემ მგოსანი თავის სიმართლეში დაარწმუნა¹.

ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა კრიტიკოსმა მეუფის გარდაცვალების შემდეგაც წარმოაჩინა თავისი თავი. მაგალითად, მთლიანად დადებით ნეკროლოგში, პუბლიცისტმა ილია ხონელმა (ბახტაძე), გარდაცვლილ მეუფეს „დესპოტური ნატურა“, „მებრძოლი ბერი“ და „ყველასთან საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი“ უწოდა (პირველად დაიბეჭდა რუსულ გაზეთ „კავკაზ“-ში 1896 წელს)². ამ მკაცრ შეფასებას, მკვეთრი პასუხი მოჰყვა ილია ჭავჭავაძის მხრიდან. ილიამ კარგად იცოდა საქმის ვითარება და ისიც, თუ რამ გამოიწვია ხონელის კრიტიკა. საქმე იმაში იყო, რომ თავის დროზე, მეუფე გაბრიელს უთანხმოება ჰქონდა ილია ბახტაძის (ხონელის) მამასთან მღვდელ ლუკა ბახტაძესთან. იცოდა რა ეს, ილია ჭავჭავაძემ უმკაცრესი სიტყვებით მოიხსენია ილია ხონელი (თუმცა სტატია „ივერიაში“ ხელმოუწერელია, მაგრამ მკვლევართა აღიარებით, იგი ილიას ეკუთვნის)³. ილია წერდა: „როცა მისი (მეუფე გაბრიელის – ვ. კ.) წმინდა გვამი, თითქმის არც კი გაცივებულა, როცა მისი კუბო ჯერ კიდევ თვალწინ გვისვენია და ველით საუკუნოდ სახსენებელი ვუთხრათ, ცრემლთა გოდებითა – ჩვენი რუსული გაზეთი „კავკაზი“ გვიგინებს მიცვალებულსა, მთელი საქართველოს წმინდა ცრემლში ურევს უწმინდურ დორბლს ილია ხონელისას...“⁴

1869 წ. მეუფემ იმოგზაურა აფხაზეთსა, რაჭასა და შორაპან-

¹ ავ. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ქიქოძე (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1990, გვ. 22-23.

² ი. ხონელი, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (ნეკროლოგი); ქართული მწერლობა, ტ. 21, თბ., 1999, გვ. 284.

³ იხ. მაგალითად ს. სხირტლაძე, ი. ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და მისი გამომწვევი მიზეზის გამო, წიგნში: „გადარჩენილი საგანძურებიდან“, თბ., 1965, გვ. 223-240.

⁴ იქვე, გვ. 237.

ში. ის დანერვილებით მიმოიხილავდა სამწყსოს, ეკლესია-მონასტრებს, იწერდა ყველაფერს, რაც ანუხებდა მრევლს. მაგრამ ჯრუჭის მონასტერში, მეუფე ცუდად გახდა და ქუთაისში დაბრუნდა. მეუფე გაბრიელმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ ძველი და დანგრეულის ნაცვლად, ახალი ქვის ეკლესიები შენდებოდა დიხაშხოსა და მათხოჯში. მისი მოგზაურობის აღწერილობას ახლავს ცხრილი, თუ რამდენი სასწავლებელი იყო მიმოხილულ რეგიონებში და რამდენ მათგანს ჰქონდა შესაფერისი შენობა¹.

გვინდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო და უცნობი ეპიზოდი გაბრიელ ქიქოძის ცხოვრებიდან. ჩვენ მიერ მიკვლეული საარქივო მასალის მიხედვით, 1859 წელს გორის ეპისკოპოსად ყოფნის დროს, მეუფე გაბრიელს გზა დაულოცავს და გამოცდები მიუღია ვაჟა ფშაველას მამის – პავლე რაზიკაშვილისაგან. თვითნასწავლ პავლეს გამოცდები კარგად ჩაუბარებია. თვით მეუფე გაბრიელის ხელით ნაწერი გამოცდების შეფასებები, ასე გამოიყურება: „В чтении: хорошо; в пении: не совсем приятно; в уставе: хорошо; в священной истории и катехизисе: очень порядочно“. გამოცდების შედეგებს, ხელს მეუფე გაბრიელი ამგვარად აწერს: „Гавриил, епископ Горийский, викарий Грузинский“ (1859 წ. 19 მაისი)². როგორც ვხედავთ პავლე რაზიკაშვილს ყველა საგანი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაუბარებია, მხოლოდ სიმღერა სცოდნია ცუდად. ამას, სხვათაშორის, ვაჟაც ჩიოდა: მასწავლებლები სიმღერას მიწუნებდნენ და არ ვიჯერებდით³. ამგვარად, მეუფე გაბრიელის მოღვაწეობას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი შეემატა. მან პირველმა დაულოცა გზა სასულიერო ასპარეზზე დიდი ვაჟას მამას!

გაბრიელი, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ წევრიც იყო და ამ თვალსაზრისით, ბევრს აკეთებდა აფხაზეთში მუსულმანთა და წარმართთა მოსაქცევად. გამორჩეული მოღვაწეობისათვის, სასულიერო ხელმძღვანელობამ, ის რამ-

¹ სსცსა, ფ. №489, საქმე 27911, გვ. 1-36v.

² სსცსა, ფ. №488, აღწ. 1, საქ. №24968, ფ. 9; აგრეთვე: ვ. კიკნაძე, ახალი საარქივო მასალა ვაჟა-ფშაველას ოჯახური ბიოგრაფიისათვის (პალე რაზიკაშვილი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1, თბ., 2007, გვ. 7-19.

³ დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა – შემოქმედი და მოაზროვნე, თბ., 1961, გვ. 54.

დენიშე ორდენითაც დააჯილდოვა. მაგალითად: 1865 წლის 14 აპრილს, ვლადიმირის სახელობის მესამე ხარისხის ორდენით; 1867 წ. 14 მაისს, ანას სახელობის 1-ლი ხარისხის ორდენით; 1871 წლის 28 მარტს, ვლადიმირის სახელობის მე-2 ხარისხის ორდენით¹.

1873 წელს დაიბეჭდა რენეგატი ქართველის – გიორგი მუხრან-ბატონის ბროშურა: „О существе крупных национальных единиц“, რომელმაც აღაშფოთა მთელი ქართველი საზოგადოება. მუხრან-ბატონი ამტკიცებდა, რომ მცირე ერებს არავითარი გამოსავალი არა აქვთ, თუ დიდ ერებს არ შეერწყნენ და მათი ენა არ შეითვისესო. ამ წიგნაკს მეუფე გაბრიელიც აღუშფოთებია და მან მკაცრი პოლემიკური წერილი მისწერა ადრესატს² (ამ წერილის უფრო ვრცელ ანალიზს, ქვემოთ მოვიტანთ). საყურადღებოა აგრეთვე, გაბრიელ ეპისკოპოსის მყარი ეროვნული პოზიცია საქართველო-იმერეთის კანტორის მოხელეებთან პოლემიკაში. კერძოდ, ამ კანტორის წევრი ა. კერსკი ამტკიცებდა, რომ ქუთაისის და თბილისის გიმნაზიებში არ შეიძლება ზედამხედველებად (смотрители) ქართველები დაინიშნონ, რადგან ისინი არასანდონი არიანო. ასევე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (попечитель) კ. იანოვსკი ამტკიცებდა, რომ სწავლა სასულიერო სასწავლებლებში, ქართულ ენაზე საერთოდ არ უნდა წარმოებდესო. მისი აზრით, სწავლა რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო, მაგრამ აფხაზებისათვის, მეგრელებისათვის, სვანებისათვის და ოსებისათვის ბიბლია მათ ენაზე უნდა ეთარგმნათ და სწავლებაც ამ ენაზე უნდა ყოფილიყო. კ. იანოვსკის და სხვა შოვინისტთა მტკიცებით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ „ერებს“, ქართველებთან არაფერი ჰქონდათ საერთო. ამ თეორიებს, ეპისკოპოსი გაბრიელი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა³. მათი წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის იმპერიაში, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში განსაკუთრებით გამწვავდა ეროვნული ურთიერთობანი. ეს კი, რუსეთის ხელისუფლების დაუფარავმა რეაქციულმა საშინაო პოლიტიკამ

¹ სსცსა, ფ. 488, აღწ. 1, საქმე №24407, ფ. 2.

² გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი გ. მუხრან-ბატონის მიმართ, ყურნ. „მონამბე“, 1896, №3, გვ. 92-104; იგივე, ხ.ერ.ც., გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №49.

³ ხ.ერ.ც., კ. კეკელიძის ფონდი, საქმე №747 (Ответ епископа Имеретин Гавриила...).

გამოიწვია¹. სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) გრ. გიორგაძე მიიჩნევდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი ქართულ სკოლებში რუსული ენის დამკვიდრების დამცველი იყო². მაგრამ ეს დებულება სწორი არ არის. მართალია, ეპისკოპოსი გაბრიელი ოფიციალურ მიმონერაში იძულებულია აღიაროს რუსული ენის, როგორც სახელმწიფო ენის უფლებები, მაგრამ ამასთან ერთად, ის შედგრად იცავს ქართულ ენას. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. თუმცა იყვნენ ისეთი ქართული წარმოშობის მღვდელმთავრებიც, რომლებშიც მართლაც, მეუფე გაბრიელისაგან განსხვავებით, რუსეთის სინოდის პირდაპირი ანტიქართული ხაზის გამტარებლები და შეიძლება ითქვას, ქართველთა მოძულენიც იყვნენ. ასეთი იყო მაგალითად, ეპისკოპოსი დიმიტრი (დავით) აბაშიძე, რომელიც 1905 წლის რევოლუციის დროს, იმისათვის, რომ ქართული საზოგადოების რისხვა აეცილებინა, ჩოხაში გადაცმული გაიქცა რუსეთში³. ქართველ სოციალ-დემოკრატებს 1903 წ. 14 სექტემბერს ს. ალავერდში გაუვრცელებიათ პროკლამაცია, რომელშიც მრევლს მოუწოდებდნენ ობსტრუქცია მოეწყობათ „ჯაშუში და მახეზლარა“ დიმიტრი ეპისკოპოსისათვის: „ნუ შეხვალთ ეკლესიაში, ნუ მოისმენთ ლოცვას იმ პირისაგან, რომლითაც იგი ლანძღავს ჩვენს ქვეყანას“, ეწერა პროკლამაციაში⁴.

ეპისკოპოს გაბრიელის მიერ მშობლიური ენის განსაკუთრებულ სიყვარულს, თვითმხილველი ალ. შარაბიძის მოგონებაც მოწმობს. იგი წერდა: „გაბრიელს ძლიერ უყვარდა სამშობლო ენა. ის, ვითარცა მალისტრი, სხვადასხვა ენაზედ ლაპარაკობდა. მაგრამ თუ რუსთან ან სხვასთან არ ჰქონდა საუბარი, ყველასთან დედა-ენაზედ ლაპარაკობდა“⁵.

1890 წ. 21 ნოემბერს გაბრიელ ეპისკოპოსი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, თავის ნევერად აირჩია. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, ამ საზოგადოების სა-

¹ გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადაყარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864-1905); თბ., 1928, გვ. 242-255.

² იქვე.

³ ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921; თბ., 1997, გვ. 208.

⁴ გრ. გიორგაძე, დასახ. შრ. გვ. 250-251, იქვე, გვ. 252.

⁵ ხ.ერ.ც., კელენჯერიძის ფონდი, საქმე №2001, ფ. 6.

პატიო წევრად არჩევასთან დაკავშირებით. იგი წერდა: „...მე არ ვრაცხ ჩემს თავს ღირსად ამ საქმისა, რომელიც ამოვიკითხე თქვენს წერილში“. თუმცა მზადყოფნა გამოთქვა ჯეროვანი მონაწილეობა მიეღო ამ „საზოგადოების“ მუშაობაში¹.

1885 წელს გაურკვეველ ვითარებაში, გაბრიელის მდივანი, ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი) მოკლეს. ამ ტერორისტულ აქტს მოჰყვა ანონიმური მუქარის წერილები თვით მეუფის მიმართაც. საფრთხე იმდენად რეალური იყო, რომ მეუფე გაბრიელს გადაუწყვეტია საქართველო დაეტოვებინა. მაგრამ ქართული საზოგადოება საქმის ასეთმა ვითარებამ ძალზე აღაშფოთა. ამის გამო, მეუფემ გამგზავრება გადაიფიქრა².

მოსე ქიქოძე იგონებს, რომ XIX ს. 80-იან წლებში, ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარში, მეუფე იმ მებატონეთა მკაცრი კრიტიკით გამოვიდა, ვინც გლეხებს არ ინდობდა. ამ ქადაგებამ ზოგიერთი წარჩინებულის რისხვა გამოიწვია. აზნაური კ. კანდელაკი, მეუფეს მოკვლითაც კი დაემუქრა, მაგრამ გ. ქიქოძემ აუღელვებლად ჩაუარა გვერდით და კანდელაკმა ხმის გაცემაც ვერ გაბედა³.

1888 წლის შემოდგომაზე, საქართველოს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ეწვია, მან ქართლ-კახეთი მოიარა და ქუთაისშიც ჩავიდა. მისი მისვლის მომენტისათვის, ქუთაისის სობოროში მეუფე გაბრიელი წირავდა. იმპერატორი პირდაპირ მისკენ, ამბიონისკენ გაემართა. მეუფემ იგი საკმაოდ მკაცრად შეაჩერა, რამაც იმპერატორის უკმაყოფილება გამოიწვია⁴. ივანე ზურაბიშვილის (1872-1940) მიერ შემონახულმა ამ პატარა ამბავმა, ქართულ საზოგადოებაში დიდი გამოძახილი ჰპოვა. ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრამდეც კი მივიდა, თითქოს გაბრიელი ანტიმონარქისტი და რესპუბლიკელი ყოფილიყო: „მონარქია აღარ შეეფერება ისტორიის მსვლელობას, საოცარი სითამამით აცხადებდა ეპისკოპოსი და მოაზროვნე – გაბრიელ ქიქოძე“, წერს ზოგიერთი მათგანი⁵. რა თქმა უნდა, აქ (ისევე როგორც

¹ ავ. ნიკოლეიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 27 (გაბრიელ ეპისკოპოსის სამი წერილი ცენტრალურ საისტორიო არქივში 1956 წ. აღმოაჩინა ზაქარია კიკნაძემ).

² ავ. ნიკოლეიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 34.

³ კრებული „სულმნათ გაბრიელის საუნჯე“, ქუთაისი, 1897, გვ. 22-23.

⁴ ივ. ზურაბაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, წიგნში: კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962, გვ. 70.

⁵ დ. სუმბაძე, მიდმოგონება ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეზე... თბ., 2004, გვ. 9-11.

გ. მუხრან-ბატონთან ადრე დამონმებულ პოლემიკაში), არავითარ ანტიმონარქისტობაზე არ შეიძლება საუბარი. ეპისკოპოსი გაბრიელი იყო მონარქისტი და რუსეთის სახელმწიფოს ერთგული ქვეშევრდომი. ეს ჩანს მისი ყოველი სიტყვიდან, პოლემიკური წერილებიდან თუ სხვა ნაწარებიდან. სწორად აღნიშნავს ავ. ნიკოლეიშვილი: „იგი (გაბრიელი – ვ. კ.) დიდ მაღლიერებას იჩენს რუსეთისადმი და სხვებსაც იმას უქადაგებს ერთგულება და პატივისცემა არ დაიშურონ ხელმწიფისადმი, საქართველოს ხსენისათვის“¹. მაგრამ ყოველივე ზემოთნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ იგი ქართველთა თვითმყოფადობის წინააღმდეგაა. პირიქით, მას მიაჩნია, რომ სწორედ რუსეთის იმპერატორმა უნდა დაიცვას ქართველთა მეობა. ამიტომ შეჰკადრა მან საყვედური ალექსანდრე III-ს ზევით მოტანილი შემთხვევის დროს. ამასთანავე, გაბრიელ ეპისკოპოსმა იმპერატორს მიანიშნა, რომ ეკლესია და ამბიონი მისი საუფლოა და იქ, არავის, მათ შორის იმპერატორსაც კი, არ აქვს უფლება ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე იმოქმედოს. ასე უნდა გავიგოთ ხსენებული ეპიზოდი და არა იმ აზრით, თითქოს მეუფე გაბრიელის საქციელი, მისი „რესპუბლიკელობის“ გამოხატულება იყო. რაც შეეხება გ. მუხრან-ბატონთან პოლემიკას, გაბრიელი რესპუბლიკურ წყობას იშველიებს ენასთან მიმართებაში. მას მიაჩნია, რომ რესპუბლიკას ისეთივე არსებობის უფლება აქვს, როგორც მონარქიას და ამასთან, მას მაგალითად შვეიცარიის რესპუბლიკა მოაქვს, სადაც სამი ძირითადი ენაა, მაგრამ სახელმწიფო ერთია; გაბრიელის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია რესპუბლიკაა, ძლიერი და ერთიანია. სავსებით სწორია ავ. ნიკოლეიშვილი, როდესაც წერს: „გაბრიელი იყო არა რევოლუციონერი, არამედ ღვთისმოსავი, რომელსაც საზოგადოებრივი გაჯანსაღების უპირველეს საშუალებად ღმერთთან ზიარება და რწმენის განმტკიცება მიაჩნია“².

1895 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა თავი ცუდად იგრძნო. ეს წელი, მისი იმერეთში მოღვაწეობის 35-ე წელი იყო, მაგრამ იუბილე არ აღუნიშნავთ. ავადმყოფობის მიუხედავად, სიკვდილის წინა წელს, მეუფემ მოიარა ზვანჭკარა, წესი, საკაო, ძეგლვევი, ონი, ბობნევი, სორი, ამბროლაური, ხოტევი, ტყიბული, გელათი, ბორჯომი.

¹ ავ. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ქიქოძე (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1990, გვ. 100.

² ავ. ნიკოლეიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 61.

ბევრ სოფელში მან ეკლესია აკურთხა¹.

1895 წელს გაბრიელ ქიქოძეს ქუთაისში ეწვივნენ მარჯორი და ოლივერ უორდროპები. მარჯორი უორდროპი წერდა: „მნახველი გულდამშვიდებით ვერ შეხედავდა მისი მშვენიერი ცხოვრების დაისს“². ალბათ, ამის შემდგომ გამოუგზავნეს მეუფეს უორდროპებმა პატარა მისალოცი ბარათი ლონდონიდან. მეუფეს ინგლისურად ულოცავდნენ შობასა და ახალ წელს: „To wish you all happiness Mr. and Mrs. Wardrop send hearty Christmas greeting and all good wishes for the New Year“. Queen Anness Pansions, st. James park, London“. ღია ბარათზე ქართული წარწერაცაა. „მოგილოცავთ ახალ წელს ჩემი ძმაც და მე. თქვენი მოყვარული მარჯორი. მალე მოგწერო“. ამავე ბარათზე, ინგლისურად დაბეჭდილი იყო საგულისხმო სიტყვები: „დრონი იცვლებიან მრავალგვარად და ჩვენც დროთა კვალად. უცვლელია მხოლოდ მეგობრობა“³.

გაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1896 წ. 26 იანვარს, ქუთაისში. დასაფლავებულია გელათის მონასტერში. რუსი მკვლევარის, ქართველთა დიდი მეგობრის, ნიკოლოზ დურნოვოს სიტყვით: „იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავართა შორის, ერთ-ერთი უგანათლებულესი პიროვნება იყო, ხოლო თავისი მაღალი ქრისტიანული ცხოვრებით მღვდელმთავარი, რომელიც ღმერთმა გარდაცვალების შემდეგ, სრული უხრწნელობით განადიდა. იგი გარდაცვალებიდან 6 კვირის შემდეგ მიაბარეს მიწას“⁴. მართლაც, უჩვეულო დიდთოვლობის გამო, მეუფე, გარდაცვალებიდან დაახლოებით 46 დღის შემდეგ, 10 მარტს მიაბარეს გელათის წმინდა მიწას.

გაბრიელის საფლავთან, მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვებში და გამოქვეყნებულ ნეკროლოგებ-

¹ მ. კელენჯერიძე, უკანასკნელნი დღენი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა, ქუთაისი, 1909, გვ. 1-14.

² ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 44.

³ გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი №14451; აგრეთვე, ვ. კიკნაძე, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის ცხოვრება და მოღვაწეობა, გორის სახ. უნივერსიტეტის შრომების კრებული. ტ. III, გორი 2000, გვ. 219-223.

⁴ ნ. დურნოვო, საქართველოს ეკლესიის ბედი, ჟურნ. „განთიადი“, №10, ქუთაისი, 1990, გვ. 50; იგივე, ბათუმი, 1990, გვ. 27.

ში, მთავარი აზრი ის იყო, რომ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი იყო ბრწყინვალედ განათლებული პიროვნება და მღვდელმთავარი, ორატორი და რაც მთავარია, იგი თავის პიროვნებაში ჰარმონიულად აერთიანებდა მღვდელმთავარსა და მეცნიერს. ი. გოგებაშვილი, რომელიც ვერ დაესწრო გაბრიელ ქიქოძის დასაფლავებას, გაბრიელ ეპისკოპოსისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში წერდა: „ქიქოძე ერთსა და იმავე დროს შემკულია ღრმა სარწმუნოებით და საფუძვლიანი, მრავალმხრივი აზინდელი განათლებით... ესევე, მთავარი ღირსება თავისი სათაყვანებელი მთავარ-მწყემსისა, იმერმა ხალხმა მდაბიოდ (უბრალოდ – ვ. კ.) აღნიშნა ორი სიტყვით: „მეცნიერი არქიერიო“¹. ი. გოგებაშვილმა სხვა მოსაგონარიც უძღვნა მეუფეს, რომელიც „ამერელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა². ი. ჭავჭავაძემ დაკრძალვის დღეს, გელათში, მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც კვლავ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, როგორ ორგანულად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, გაბრიელის პიროვნებაში, სასულიერო და სამეცნიერო საწყისები³. ეს თემა იყო წამოწეული ნიკო ლომოურის სიტყვაშიც⁴ (სიტყვა საფლავთან არ წარმოთქმულა). გაბრიელ ეპისკოპოსის საფლავზე, სიტყვა წარმოთქვა ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი), თუმცა მათი ურთიერთობა სიცოცხლეში, არ იყო დადებითი. ასე მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილმა შემოინახა გაბრიელ ეპისკოპოსისა და გრიგოლ დადიანის მწვავე შეკამათების ერთი ეპიზოდი⁵. თავის სიტყვაში, გრიგოლ დადიანმა განსაკუთრებით გამოყო გაბრიელ ეპისკოპოსის დიდი წვლილი ქართული ენის დაცვაში, რომელსაც რუსიფიკატო-

¹ ი. გოგებაშვილი, მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები, ტ. I, თბ., 1910, გვ. 328, იხ. აგრ. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. III, თბ., 1954, გვ. 10-11 (შეორე გამოცემა).

² ავ. ნიკოლეიშვილი, დასახ. ნიგნი, გვ. 44.

³ ი. ჭავჭავაძე, სიტყვა თქმული გელათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს, იხ. ეპისკოპოსის „ქადაგებები“, ტ. II, თბ., 1989, გვ. XI-XVI.

⁴ ნ. ლომოური, სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო, ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, გაბრიელ ქიქოძის ფონდი, საქმე № 1978 (86).

⁵ ექვთ. თაყაიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბ., 1968, გვ. 256.

რი მოხელეები ამცირებდნენ და ავინროვებდნენ¹. შოვინისტი მოხელეები ეპისკოპოსი გაბრიელის გარდაცვალების შემდეგაც შეეცადნენ მისი და ქართველი ხალხის აბუჩად აგდებას. კერძოდ, ბათუმის რუსულენოვანი გაზეთის „Черноморский вестник“-ის რედაქტორმა ი. პალმიმ, ცინიკურად და უპატივცემლოდ მოიხსენია გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის ცერემონია. ამის გამო, პალმი, მწერალმა დავით კლდიაშვილმა, დუელში გამოიწვია. ამის შემდეგ, პალმიმ ბოდიში მოიხადა².

მეუფე გაბრიელის ანდერძმა, კიდეც ერთხელ დაანახვა ქართულ საზოგადოებას, მისი უანგარო ქველმოქმედება. მეუფემ თავის მშობლიურ ბახვის სკოლას, ანდერძის პირველი ვარიანტით (1891 წ.) უზარმაზარი თანხა – 12.200 მანეთი დაუტოვა, იმერეთის ქერივ-ობოლთა სამზრუნველოს 2000 მან., ქუთაისის ღარიბთა საქველმოქმედო საზოგადოებას – 1500 მანეთი; 3000 მანეთი მეუფემ თავდაპირველად თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეებს დაუტოვა, 1894 წლის შესწორებული ანდერძით კი, ეს თანხა, ქუთაისის სასულიერო სემინარიას უანდერძა. გაბრიელ ეპისკოპოსმა საკუთარი ნივთები და ხატებიც სათითაოდ დაანანილა. ანდერძში ისიც კი იყო გათვალისწინებული, ქუთაისის არქივლის გორაზე მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობას რა ნივთები და ტანსაცმელი უნდა დარიგებოდა³. 1894 წლის შესწორებულმა ანდერძმა, მართალია, ბახვის სკოლას თანხა დააკლო (12000-დან, 9 ათასი ქუთაისის საქალაქო სამმართველოს გადასცა და ბახვის სკოლას 3.400 მან. დარჩა), მაგრამ ახალი ანდერძის თანახმად, ბახვის შემნახველ სალაროს, 600 მან. გამოეყო სკოლის საჭიროებისათვის. შესწორებებში, სოფელ ბახვის შესახებ, საგულისხმო სიტყვები ეწერა. მეუფე ამბობდა: ყველა თანხას ვტოვებ იმისათვის, რათა „კარგი სკოლის მეშვეობით აღმოიფხვრას ამ სამწყსოს მცხოვრებთა უვიცობა, სილატაკე და მანკიერებანი“⁴.

¹ გრ. დადიანი, სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს, ჟ. „მოამბე“, 1896, №3, გვ. 107-111.

² ს. სხირტლაძე, ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და მისი გამომწვევი მიზეზის გამო..., ნიგნ. „გადარჩენილი საგანძურებიდან“, გვ. 239.

³ ხ.ერ.ც., ფონდი „სხვადასხვა“, საქმე №2, გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი. შტრ. ავ. ნიკოლეიშვილი, დასახ. ნიგნი, გვ. 41-42.

⁴ იქვე, გვ. 2.

გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, აკაკი წერეთელმა, რომელიც ავადმყოფობის გამო მისი დაკრძალვის ცერემონიალს ვერ დაესწრო, საგულისხმო სიტყვები წარმოსთქვა გელათში: „როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ სიმაღლეზეა, უფრო შორსაც აწვდის სხივებს, ისე ეს დაუვინყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამალღებული, ყველასთვის საერთოდ სათვალდათვალაო და ყოვლის მხრით თანასწორად ფენს სხივებს“¹.

1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილებით მეუფე გაბრიელ ქიქოძე წმინდანთა შორის შეირაცხა.

§2. ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა გაბრიელ ეპისკოპოსის შემოქმედებაში

მეუფე გაბრიელის შემოქმედების განხილვა გვინდა დავინყოთ მ. კელენჯერიძის სიტყვებით გ. ქიქოძის ეროვნული კონცეფციის შესახებ: „მისი (გაბრიელის – ვ. კ.) აზრით, ხალხი ისე ვერ იხიერებს და ვერ დააჩენს კვალს კაცობრიობის წარმატების ისტორიაში, თუმც (ე.ი. თუ – ვ. კ.) მას თავისი სახე – ფიზიონომია... მოძულებული, დავინყებული და დაკარგული აქვს“².

ეს იყო მეუფე გაბრიელის მთავარი აზრი და მთავარი მიზანი, სხვა საკითხია, როგორ, რა გზებით ფიქრობდა იგი ქართველი ხალხის „ეროვნული ფიზიონომიის“ შენარჩუნებას. როგორც ზემოთ აღნიშნული გვექონდა, მეუფეს მიაჩნდა, რომ ქართველი ხალხის თავისუფლების შენარჩუნება შესაძლებელი იყო რუსეთის მართლმადიდებლური სახელმწიფოს ფარგლებში და მეშვეობით. ქართველთა მთავარ დამცველად და მათი ეროვნულობის შენარჩუნების გარანტიად, მეუფეს, რუსეთის იმპერატორი მიაჩნდა (როგორც გამგრძელბეღი და მემკვიდრეობით მიმღებელი ქართული მონარქიის

¹ კრებული „სულმნათი გაბრიელის საუნჯე“, ქუთაისი, 1897, გვ. 73.

² მ. კელენჯერიძე, უკანასკნელნი დღენი გაბრიელ ეპისკოპოსისა... 1909, გვ. 32.

ტრადიციებისა). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეუფე გაბრიელი ცხოვრობდა იმ ეპოქასა და დროში, როდესაც რუსეთის იმპერიას ჯერ სერიოზული რყევა არ განეცადა (როგორც მაგალითად 1905 და 1917 წწ-ში).

გაბრიელ ქიქოძის შემოქმედებიდან, პირველ რიგში, განვიხილავთ და გავაანალიზებთ: მის შრომას ცდისეული ფსიქოლოგიის შესახებ, მის „ქადაგებებს“, კერძო პოლემიკურ წერილებს, ოფიციალურ მიმონერას, სამწყსოს (კერძოდ სვანეთის) მოსანახულებლად მეუფის ინსპექციური მიმოხილვის ხელნაწერ მასალებს და ა. შ.

ამ თავის პირველ პარაგრაფში, ჩვენ უკვე შევხებით გაბრიელ ეპისკოპოსის ფსიქოლოგიურ ნაშრომს. ამჟამად, კვლავ განვიხილავთ ამ დიდტანიანი ნაშრომის მთავარ დებულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნიგნის რეცენზენტებმა, ადრევე მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ნაშრომში ადამიანის შეგრძნებათა მიმართ, ორგვარი მიდგომაა დაფიქსირებული. ერთი მხრივ, გაბრიელი მატერიალისტურად ხსნის შეგრძნებათა საფუძველს. მეუფე აღიარებს, რომ შეგრძნებებს იწვევენ სამყაროში არსებული საგნები (რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობენ). ეს საგნები ადამიანთა გრძნობათა ორგანოებში იწვევენ გალიზიანებას და წარმოშობენ შთაბეჭდილებებს. გალიზიანებები ადამიანის ნერვებს მიაქვს ტვინამდე. იქ, გალიზიანებები გარდაიქმნება და ნერვების მეშვეობით კვლავ გრძნობათა ორგანოებს უბრუნდება. ე. ი. მეუფეს ეჭვი არ ეპარება გარე სამყაროს რეალობაში და იმაში, რომ ჩვენ შეგრძნებებს გარე სამყარო წარმოშობს. ამ საკითხს იგი მრავალი მაგალითის მოტანით ამაგრებს. ამ თვალსაზრისისათვის, იგი თავის დროზე დადებითად შეაფასა ნ. დობროლიუბოვმა¹. ამგვარად, გაბრიელ ქიქოძე: „არ უარყოფდა ობიექტური სამყაროს რეალობას, შეგრძნებები მიაჩნდა ჩვენი ცოდნის წყაროდ, მოითხოვდა ცოდნის დაყრდნობას ფაქტებზე, ადამიანის სულიერ ძალებს ერთმანეთთან აკავშირებდა, ადამიანის მოქმედებათა საფუძვლად, მოთხოვნილება მიაჩნდა“². ამასთან ერთად, იგი როგორც თეოლო-

¹ ა. ქუთელია, ნ. ა. დობროლიუბოვი გაბრიელ ეპისკოპოსის ნიგნის შესახებ, „მნათობი“, 1943, №7, გვ. 118.

² ა. ბოჭორიშვილი, გაბრიელ ქიქოძის ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, „ჭურნალი „ფსიქოლოგია“, ტ. VII, თბ., 1950, გვ. 67-81.

გი, მიიჩნევდა, რომ ტვინს, როგორც მატერიალურ ობიექტს (რომელიც შედგება ფოსფორის, ცილის და ქონისაგან, და რომელშიც ხდება ამ ნივთიერებათა შეერთება) არ ძალუძდა მიეღო „შეგრძნებებისა და ორგანოთა ამოძრავების უნარი“, ამიტომ, მისი აზრით, ტვინი არ შეიძლება იყოს შეგრძნებათა და აზროვნების წარმოშობის წყარო, იგი ასაბუთებდა იმას, რომ ადამიანის სხეულში არსებობს „უხილავი და არამატერიალური“¹. მისი აზრით, „შეგრძნება არ არის არც ფიზიკური, არც ფიზიოლოგიური მოვლენა“². ამიტომაც მეუფე მიიჩნევდა, რომ გარესამყაროს შემეცნება ადამიანის მიერ შეუძლებელია. „სხეულებრივი სუბსტრატის შესახებ ჩვენ ვიცით მხოლოდ გარეგანი, ზედაპირული... მაგრამ ამ ძალების და მათი შინაგანი არსებობის არსს ჩვენ ვერასდროს ვერ გამოვიცნობთ“³, – წერდა იგი.

გაბრიელ ქიქოძეს მიაჩნდა, რომ სული და სხეული მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და მყარად ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე. სული მარტივია და უკვდავი, სხეული – რთული და მოკვდავი. სულზე სამყარო გავლენას ვერ ახდენს, სხეულზე კი გამანადგურებლად მოქმედებს; სულს დაუსრულებელი სრულქმნის უნარი აქვს (ცოდნის მიღება, მორალური სრულქმნა). ადამიანის და ცხოველის ძირითად განსხვავებას იგი ხედავდა ადამიანის მიერ ღმერთის არსებობის რწმენაში⁴.

მეუფე გაბრიელი, ამ შრომაში ემანუელ კანტის ფილოსოფიურ თეორიას აკრიტიკებს. კერძოდ, გაბრიელს მიაჩნდა, რომ ცდის უარყოფა და იმის აღიარება, რომ ადამიანის ცოდნის მარაგი, ანუ მსჯელობა საგნებზე, რომლებიც შეიცავენ საყოველთაობას და აუცილებლობას, ადამიანს ე. წ. „აპრიორი“ (ანუ ცდის გარეშე) აქვს

¹ ეპისკოპოსი გაბრიელი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები (თარგმანი შეასრულეს: ო. ტაბიძემ, ვ. გოგობერიძვილმა და თ. ბუაჩიძემ), თბ., 1993, გვ. 9-10; შდრ. აგრეთვე: თ. მუმლაძე, გაბრიელ ქიქოძის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები, ნაწ. II, თსუ გამომცემლობა, თბ., 2005, გვ. 6-15; 32-35.

² იქვე, გვ. 17.

³ იქვე, გვ. 104.

⁴ თ. კუკავა, გერასიმე ქიქოძე. წიგნში: ნარკვევები XIX ს. I ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფსიქოლოგიური აზრის ისტორიიდან. მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1956, გვ. 101.

მღცემული, უაზრობაა¹. გაბრიელ ქიქოძე ამტკიცებს, რომ ადამიან-
მა უმარტივესი მსჯელობანიც კი, რომლებიც აუცილებელი და სა-
ყოველთაო არიან (მაგალითად: „ყინული ცივია“, „თოვლი თეთრია“)
მხოლოდ ცდის მეშვეობით მიიღო².

გაბრიელ ქიქოძე ნიგნის ცალკე ნაწილს უთმობს რელიგიური
გრძნობების ანალიზს. მან ჩამოაყალიბა და გააანალიზა ისეთი
გრძნობები, როგორებიცაა: რელიგიური სიხარული, მწუხარება, სიყ-
ვარული, სიძულვილი, ლოცვა და მისი დანიშნულება, გულმონყალე-
ბა, ქრისტიანული ეჭვიანობა, ფანატიზმი, ბინიერება, სათნოება და
ა. შ. მან იმდენად საფუძვლიანად განიხილა თვითოეული მათგანი,
რომ მკვლევართა აზრით, მეუფემ საფუძველი ჩაუყარა „ახალ რე-
ლიგიურ აზროვნებას...“³ გაბრიელ ქიქოძის აზრით, საჭიროა ადამი-
ანში რელიგიური გრძნობების დანერგვა და განვითარება⁴.

სამწესოზე ზემოქმედების და რელიგიური გრძნობების გაღ-
ვივების უპირველეს საშუალებად, ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს
ქადაგება ანუ ჰომილია მიაჩნდა.

მეუფე გაბრიელის „ქადაგებანი“ მოძღვარის და სამწესოს
ურთიერთობის უმრეტი წყაროა. „ქადაგებანი“ მეუფე გაბრიელს
1860 წლიდან წარმოუთქვამს. საინტერესოა, რომ ოცამდე ქადაგება
ინგლისურად თარგმნა საეკლესიო მკვლევარმა, მეცნიერმა და
მოძღვარმა სოლომონ (სიზარ) მალანიმ და 1868 წელს დაბეჭდა ინგ-
ლისში. არის ცნობები, რომ ქადაგებათა პირველი ნიმუშები მეუფე
გაბრიელს თბილისის ქალთა სასწავლებელში წარმოუთქვამს ჯერ
კიდევ 1856 წლის 23 აპრილს. ერთ-ერთ ასეთ ქადაგებაში მას მოს-
წავლე გოგონებისათვის უთქვამს, რომ ამ სასწავლებლის დამთავ-
რების შემდეგ, სწავლის ერთი, თეორიული მხარე დასრულდა და ახ-
ლა იწყებოდა ახალი, ცხოვრებისეული მხარე: „თქვენ წინ გელით
მთელი ცხოვრება, საიდანაც უნდა აიღოთ ახალი გაკვეთილები“⁵.

¹ გაბრიელ ქიქოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 104-108.

² იქვე, გვ. 106.

³ ც. ედილაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური და ფილოსოფიური
შეხედულებანი, თბ., 2001, გვ. 14.

⁴ იქვე, გვ. 14; იხ. აგრეთვე: თ. მუმლაძე, გაბრიელ ქიქოძის რელიგიურ-ფი-
ლოსოფიური შეხედულებები, ნაწ. III, თსუ გამომცემლობა, თბ., 2005,
გვ. 3-38.

⁵ მ. კელენჯერიძე, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ქუთაისი, 1913, გვ. 81-84.

როგორც ითქვა, გაბრიელ ქიქოძის „ქადაგებანი“ მრავალჯერ გამოიცა, მაგრამ ისინი დღემდე არ არის სათანადოდ გაანალიზებული და განხილული. „ქადაგებებს“ მხოლოდ რამდენიმე მკვლევარი თუ ეხება. მაგალითად, „ქართული მჭევრმეტყველების“ ავტორს ნ. კანდელაკს მოაქვს მეუფე გაბრიელის ქადაგების ზოგიერთი ნიმუში, მაგრამ ფაქტობრივად, ანალიზის გარეშე. საბჭოთა სინამდვილეში, ალბათ მათი ანალიზი შეუძლებელიც იყო. ნ. კანდელაკი ასეთ საოცარ რამესაც წერს ქიქოძის „ქადაგებების“ შესახებ, რომ თურმე, მეუფე გაბრიელის „ძირითად წყაროს წარმოადგენს ძველი და ახალი აღთქმა, ბიბლია და სახარება... აქ არის გაბრიელ ქიქოძის მქადაგებლობის სუსტი მხარე, ვინრო ადგილი“¹. ვფიქრობთ კომენტარი ზედმეტია... გაცილებით უფრო საინტერესოა და ღრმა ავ. ნიკოლეიშვილის და ც. ედილაშვილის ნაშრომები, სადაც მეუფე გაბრიელის ქადაგებების გარკვეული ნაწილის ანალიზია მოცემული².

მეუფე გაბრიელის „ქადაგებების“ ფესვები ძველ ქართულ ჰომილიებში უნდა ვეძებოთ; ერთ-ერთ უძველეს ჰომილიათა კრებულს წარმოადგენს „სინური მრავალთავი“ (864 წ.). XI საუკუნის დასაწყისის ჰომილიების ავტორია იოანე ბოლნელი. XI ს.-დან იწყება ე. წ. მეტაფრასული (გადაკეთებული, გადათარგმნილი) ჰომილიების ხანა, რომელთა განთქმული ავტორები არიან: დავით ტბელი, ექვთიმე და გიორგი ათონელები, ეფრემ მცირე და ა. შ. XVII-XVIII სს-ში ქადაგების ხელოვნების მეორედ აღორძინების ხანაა (ნიკოლოზ რუსთველი, სულხან-საბა ორბელიანი, გაიოზ რექტორი და სხვები). კ. კეკელიძე ქადაგებათა ოთხ სახეობას გამოყოფს: 1) ქადაგება დიდი რელიგიური დღესასწაულის დღეს, 2) მონამეთა და წმინდათა ხოტბა-შესხმანი, 3) ეპიტაფიები ან მიცვალებულებთან დაკავშირებული სიტყვები, 4) საკუთრივ ქადაგება (ჰომილია), საღვთო წერილის რომელიმე ადგილის განმარტება, რომელიც კვირაუქნებზე იკითხება. ეს არის ე. წ. ეგზეგეტიკური ჰომილია³. მეუფე გაბრიელთან ჰომილიის ოთხივე ამ სახეობას ვხვდებით, ავ. ნიკო-

¹ იკ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1968, გვ. 348.

² ავ. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1990, გვ. 47-123; ც. ედილაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი, თბ., 2001, გვ. 23-37.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 551-559.

ლეიშვილის აზრით, მომეტებულად, მეოთხე სახეობას¹. ახლა, უშუალოდ მეუფე გაბრიელის ამ სახის ქადაგებები განვიხილოთ. მათგან, უპირველესად, გამოვყოფდით ჰომილიებს, რომლებშიც მოძღვრის მისიაზეა საუბარი.

1860 წ. 8 სექტემბერს, გაბრიელ ქიქოძე გელათის მონასტერში წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც განმარტავს მოძღვრის, კერძოდ ეპისკოპოსის როლს, მისიას, მის მოვალეობას სამწყსოსა და ეკლესიის წინაშე. ამავე დროს, ეს ქადაგება განმარტავს იმ მომენტებსაც, თავის მხრივ, რა ევალება სამწყსოს მოძღვართან მიმართებაში; პირველყოვლისა, მეუფეს, პავლე მოციქულის სიტყვები მოაქვს მღვდელმთავრობის ტვირთის შესახებ. ასევე, იგი იმონებს პავლე მოციქულის ეპისტოლეს, სადაც ნათქვამია, რომ ყოველმა ადამიანმა მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ტვირთი უნდა ზიდოს „რამეთუ კაცად-კაცადსა თვისი ტკრთი უტკრთავს“ (პავლე, გალატელთა მიმართ, 6.5). ხოლო რა ტვირთია მღვდელმთავრობა, პავლე მოციქული ამის შესახებ ამბობს: „ჯერ არს ეპისკოპოსისა, რაჲთა უბრალო იყოს, [ერთის ცოლის ქმარ]“² ფრთხილ, წმინდა, შემკულ, სტუმართ-მოყუარე სწავლულ“ (ტიმოთეს მიმართ, 3; 9). პავლე მოციქულის მიერ ჩამოთვლილი თვისებებიდან, მეუფე გაბრიელი მხოლოდ სამს განმარტავს: უბრალოებას (სინმინდესთან ერთად), სიფრთხილეს და შემკულობას. მეუფე გაბრიელი ამბობს: „ჭეშმარიტად, ძმანო ქრისტიანენო, არა სუბუქ არს ტვირთი ღვდელ-მთავრობისა! არა მცირეთა სათნოებათა ითხოვს მისგან საღვთო წერილი“. მეუფე განაგრძობს, რომ პირველი, რასაც ითხოვს პავლე მოციქული, არის უბრალოება და უბინოება. იგი განმარტავს: „განა ადვილ არს აღსრულება ესე-ვითარისა მცნებისა! ვინ არს იგი, რომელიც სცხოვრობს სოფლად, კაცთა შორის და არა სცოდავს? ვინ იპოვება ქვეყანასა ზედა, რომელმან დაიცვა თავი თვისი უბინოდ, თუმცაღა ერთი მხოლოდ დღე იქცეოდა იგი კაცთა შორის? უმეტეს ამისა, ვითარ შესძლოს ეპისკოპოსმან დამარხვა უბინობისა, დამძიმებულმან მრავალთა საქმეთა და ზრუნვათა

¹ ავ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 43.

² კვადრატულ კავებში მოცემული ტექსტი, მეუფე გაბრიელთან გამოტოვებულია.

მიერ, გარემოცულმან მრავალთა პირთაგან, რომელნიცა ეძიებენ მხოლოდ თავისა თვისისა სარგებლობასა?" მეუფე გაბრიელი ასკვნის, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია დაიცვას მოძღვარი ამ სახის ამქვეყნიური ცდუნებისაგან. მეუფე აგრძელებს პავლე მოციქულის ეპისტოლეს ანალიზს და ამბობს, რომ შემდეგი მოთხოვნა, რომელსაც მოციქული მღვდელმთავარს (და საერთოდ მოძღვარს) უყენებს, არის ფრთხილობა: „ყოველი სხვა კაცი უფრთხილდება მხოლოდ ერთსა თავსა თვისსა, გარნა ეპისკოპოსი –ათასსა და ბევრეულსა... ღმერთი მოითხოვს მისგან: რათა ყოველსა წამსა ფრთხილ და მღვიძარე იყოს, რათა არცა ერთი ცხოვარი, მისდამი მინდობილი, არა წარწყმდეს მისითა ბრალითა... ვაი, იმ მღვდელმთავარსა და მღვდელსაცა, რომელმა დაუდევნელობითა თვისითა დაუკარგა ღმერთსა რაოდენიმე სული, გამოსყიდული სისხლითა უფლისათა!" მეუფე განმარტავს, რომ მხოლოდ მღვდელმთავარი ვერაფერს გახდება, თუ მას გვერდით არ ყავს ღირსეული შემწე და თანამზრახველი: „ნეტარ არს მღვდელმთავარი იგი, რომელსა ძალუძს ჰპოვოს რაოდენიმე ღირსნი თანა-მწირველნი და შემწენი, რომელნიცა მოინდომებენ გულს-მოდგინედ აღასრულონ ვალი თვისი და მით შეუმსუბუქონ მას უღელი! ადვილად აღასრულებს თვისსა მოვალეობასა ეპისკოპოსი, გარემოცული კეთილთა და ღირსთა სამღვდელთა მიერ, რომელნი ყოველთვის თანაზიარ ექმნებიან შრომათა, ჭირთა და განსაცდელთა მისთა". მეუფე უფალს შესთხოვს არ ჩააგდოს ისეთ განსაცდელში, როდესაც მისი გარემოცვა არ აღმოჩნდება მოძღვრის თანამზრახველი. ამასვე სთხოვს იგი თავის თანამწირველებს: „გთხოვ თქვენცა, საყვარელნო ძმანო, თანამწირველნო ჩემნო, არ დამიმძიმოთ, არამედ აღმიმსუბუქოთ მსახურება ჩემი. ფრთხილად იყოს თვითეული თქვენ შორის, სამწყსოსა ზედა თვისსა! რათა არცა ერთი ყვედრება გქონდესთ მორწმუნეთა შორის, არამედ იქმნებოდეთ მათთვის სახედ (მაგალითად – ვ. კ.) სიტყვითა და საქმითა¹. თავის სამწყსოს კი, იგი შემდეგს სთხოვს და შთააგონებს: „განზრახვა ჩემი, მას შინა მდგომარეობს, რათა აღვადგინო გულსა შინა თქვენსა მონანილეობა და თანამგრძნობელობა ჩემისა მსახურებისა, რათა იყოთ თქვენცა ყოველნი

¹ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებები, ტ. 1, თბ., 1989, გვ. 2-3.

მწედ და აღმასრულებელ ტვირთისა ჩემისა. საგანი, ანუ ჰაზრი მსახურებისა ჩემისა არს სულიერი წარმატება თქვენი”¹. სხვა ქადაგებებში, მეუფე კვლავ საკუთარ და სამწყსოს მოვალეობას უბრუნდება და ამბობს: „განგებამან ღვთისმან დამადგინა მე მწყემსმთავრად ძველისა ამის და ჩინებულისა სამწყსოისა. დიდ არს ტალანტი ესე! არა ვარ ღირსი ესოდენისა ნიჭისა! გარნა ძმანო ჩემო, ვინაითგან ღმერთმან ინება მოცემა ჩემთვის ტალანტისა ამის, მე უნდა ვასარგებლო იგი, განვამრავლო, მოვიგო სულიერნი ნაყოფნი, რათა წარუდგინო იგი უფალსა, დღესა განკითხვისასა”. იგი კვლავ ხაზს უსვამს მოძღვარის უპირველეს მოვალეობას სამწყსოს წინაშე: „მსახურება, ანუ საქმე ჩემი მას შინა მდგომარეობს, რათა გასწავლიდე თქვენ, განმკიცებდე და გამოვაჩინდე თქვენ შორის სულიერისა ნაყოფსა სათნოებისასა!” ამასთანავე იგი კვლავ მოუწოდებს სამწყსოს: „ხოლო, ძმანო ჩემო, თქვენ უნდა შემეწიოთ ამ საქმეში, თქვენ უნდა მიიღებდეთ ჩემგნით სწავლასა და დარიგებასა გულმოდგინებით და აღასრულებდეთ მათ”².

კვლავ პავლე მოციქულის ეპისტოლეს ქიქოძისეულ განმარტებას დაეუბრუნდეთ. მეუფე გაბრიელი, ეპისკოპოსთა მიმართ წაყენებულ, პავლე მოციქულის კიდევ ერთ მოთხოვნას აანალიზებს: „მესამედ, წმიდა მოციქული პავლე მოითხოვს მღვდელმთავრისაგან, რათა იყოს არათუ უბრალო, არამედ შემკული, ე. ი. მქონებელი ყოველთა სათნოებათა. სათნოება ეპისკოპოსისა მით უფრო ძნელ არს, რომელ ყოველნი მორწმუნენი მარადის მას უმზერენ, მისგან ელიან მოძღვრებასა და სულიერსა სწავლასა. არა ძალ-უძს მას დაჰფაროს რომელიმე თვისი თვისება, ანუ მოქმედება. ვითარცა სანთელი აღნთებული და დადგმული მაღალსა ადგილსა ზედა, ჰნათობს გარემოს თვისსა და სჩანს შორითგანვე – არს ცხოვრება კეთილისა ეპისკოპოსისა; ხოლო ცხოვრება და ყოფაქცევა უღირსისა მღვდელ-მთავრისა ემსგავსება საკვამლესა... რომლითგან გამომავალი კვამლი აბნელებს ჰაერსა და სჩანს შორითგანვე... კეთილი ეპისკოპოსი აცხოვნებს მრავალთა, ხოლო უღირსი წარსწყმედს უმრავლესთა”³.

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 6-7.

³ ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებანი, ტ. I, გვ. 4 (ტიქსტში დაბეჭდილია „აცხოვრებს“, რაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს).

მეუფე ასკვნის, რომ მთავარი, მოძღვრისა და სამწყსოს ურთიერთობაში არის ქრისტიანული სიყვარული: „სადაც არა სუფევს სიყვარული, მუნ არცა ერთი სულიერი ნაყოფი გამოჩნდება. ამისათვის, ძმანო ჩემო, ყოვლად საყვარელნო, შევიძინოთ სიყვარული ურთიერთობრივი...“¹

მეუფე გაბრიელი განმარტავს, რომ ქრისტიანული სიყვარული ის უძლიერესი იარაღია, რომლითაც სამწყსო მოძღვარს აღამაღლებს, და მოძღვარი სამწყსოს: „ნაკლულევანებათა ჩემთა აღაცხებდეს სიყვარული თქვენი, ვინაითგან კაცი ვარ და ყოველი კაცობრივი არა შორს არს ჩემგან!“ მეორე მხრივ კი: „მხილებანი ჩემნი, უკეთუ ჭეშმარიტი იქმნებიან, თუმცალა ფიცხელ იქმნენ, ნუ გულისწყრომასა აღადგინებენ თქვენ შორის, არამედ სინანულსა და აღსარებასა“².

გაბრიელ ქიქოძე თავის „ქადაგებებში“ ცალკე გამოყოფს ქალთა პრობლემას.

კერძოდ, მისი ერთ-ერთი „ქადაგების“ (წარმოთქმულია 1864 წლის ხარება დღეს) დედააზრი არის იმის განმარტება, თუ როგორი უნდა იყოს, რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს ქრისტიანი ქალი. მეუფე თავიდანვე ხაზს უსვამს იმას, რომ საზოგადოდ, ქალებს დიდი მიდრეკილება აქვთ გარეგნული სილამაზისა და შემკულობისაკენ: „თუმცა ყოველს ადამიანს დიდად მოსწონს გარეგანი მშვენიერება და სამკაული, გარნა უმეტესად ქალთა. ესენი არიან ერთობ მსურველნი და მეძიებელნი გარეგანისა მშვენიერებისა და სამკაულისა, უნდა ახსოვდეთ მარადის, რომელ მშვენიერება და სამკაული ქრისტიანისა არის შინაგანი ღირსება და სათნოება“³. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარეგანი სილამაზისადმი ზედმეტი მიდრეკილება, საზიანოა ყველასათვის. რომ ქრისტიანისათვის არ არის მიზანშეწონილი და მისაბაძი უძვირფასესი სამკაულის ტარება და სხვა ფუფუნების ნივთების ქონა. იგი პავლე მოციქულის სიტყვებს იშველიებს და ამბობს: „ქალთა ასწავლე, რათა არა ეძებდნენ ნამეტარსა შემკობასა თავისა მათისა ოქროითა, ანუ მარგალიტითა, ანუ სამოსელითა დიდფასიანითა, არამედ მორცხვად შეიმკობდნენ

¹ იქვე, გვ. 5.

² იქვე.

³ ეპისკოპოს გაბრიელის ქადაგებანი, ტ. I, გვ. 116.

თავსა თვისთა”¹. მეუფე გაბრიელი იმდენად მკაცრი შეხედულები-
საა ამ საკითხზე, რომ ქართველ ქალებს ურჩევს: საკუთარი,
ბუნებრივი სილამაზე იკმარონ და არ მიმართონ „ფერ-უმარილს”
(ე. ი. კოსმეტიკას). მისი სიტყვით, ეს ჩვეულება ძალზე გარცელებ-
ული იყო იმერეთში, სულ უღარიბესი გლეხიდან – უდიდესი თავა-
დის ოჯახის ჩათვლით². გაბრიელი შემდეგ განმარტავს, რომ ერთი
შეხედვით, საჭიროც არ არის ამ საკითხზე ეკლესიის კათედრიდან
საუბარი, მაგრამ მისი ღრმა რწმენით: „გამოცდილ არს და ვიცით
ყოველთა, თუ რა დიდი მიდრეკილება აქვს ქალსა სამკაულისადმი,
იმ ზომად, რომელ გარეგანსა სამკაულსა უმეტესად პატივს-სცემს
იგი და ეძებს, ვიდრე შინაგანსა ღირსებასა; მაშასადამე, არა მცი-
რედი ცოდვა არის, ოდეს ქრისტიანი ქალი წაიცხებს პირსა ზედა
ფერს და უმარილსა მეტადრე ოდეს... მივიგონებთ, რომელ ყოველ-
თა ჩვეულებათა და ნაკლულევანებათა ჩვენთა აქვსთ ურთიერთ
შორის კავშირი: ერთი ნაკლულევანება მიიზიდავს მეორესა, ერთი
ცოდვა მოიყვანს მეორესა”³. მეუფე გაბრიელი ამას წერს იმისათ-
ვის, რომ უფრო კონტრასტულად დაუპირისპიროს ერთმანეთს ში-
ნაგანი და გარეგანი ღირებულებანი. მისი სიტყვით, უმთავრესი
საზრუნავი ქრისტიანი ქალისა უნდა იყოს არა მარტო საკუთარი,
არამედ ოჯახის, შემდეგ მთელი საზოგადოების ზნეობაზე ზრუნვა:
„მრავალგზის მითქვამს მე რა დიდი სიკეთე არის საზოგადოები-
სათვის, როდესაც მას შინა არიან ქალნი კეთილნი, ალესებულნი
მადლითა ქრისტიანობრივითა. განათლება და კეთილი ზნეობა სა-
ზოგადოებისა არა წარემართების, უკეთუ ქალნი არ არიან განათ-
ლებულნი და წინამძღოლნი ყოვლისა კეთილისა შინა, ზნეობითსა;
ყოველი კეთილ-გონიერი და ღვთისმოყვარე ქალი განანათლებს და
მოაქცევს ყოველთა გარემოს მისსა, იგი მოაქცევს და განამტკი-
ცებს სათნოებასა შინა ყოველთა მისთა მახლობელთა”⁴. ამ საფუძ-
ვლიანი დებულების დასამტკიცებლად, გაბრიელი მოიხმობს ერთ
საინტერესო შედარებას; კერძოდ, მეუფე იმონებებს დიდი ქრისტიან-

¹ იქვე, გვ. 116.

² იქვე, გვ. 117.

³ ეპისკოპოს გაბრიელის „ქადაგებები”, ტ. I, გვ. 117.

⁴ იქვე, გვ. 117-118.

ნი მამის გრიგოლ ნაზიანზელის მაგალითს. გრიგოლის მამა მტკიცე წარმართი იყო, დედა კი, კეთილმორწმუნე ქრისტიანი. ამ ორი შეურიგებელი რწმენის ჭიდილში, დედამ გაიმარჯვა, გრიგოლი უდიდეს ქრისტიან მოძღვრად აქცია. ასეთი ქცევისაკენ მოუწოდებს ეპისკოპოსი გაბრიელი სხვა ქალებსაც. მეუფე მათ მოძღვრავს, რომ დედები უნდა იყვნენ არა მარტო საკუთარი თავის გადამრჩენი და ქრისტეს რჯულში განმტკიცებულნი, არამედ უნდა იზრუნონ იმისათვის, რათა ასევე სწორ, ღვთიურ გზაზე დააყენონ ყველა მამაკაცი, ვინც კი მათ გარშემოა: „მრავალთა განათლებულთა და კეთილგონიერთა დედათა მოაქციეს და აცხოვნეს მეუღლენი მათნი, ძმანი, ძენი, ნათესავნი, პატიოსანთა მათითა ხასიათითა და ყოფაქცევითა. შენც ესრეთ უნდა მოიქცე ქრისტიანო ქალო!“¹. ასკენის გაბრიელი. სხვა ქადაგებების დროს, მეუფე კვლავ უბრუნდება ქალთა საკითხს. მეუფე გაბრიელი აანალიზებს ქალის მდგომარეობასა და როლს საზოგადოებაში (თუმცა ამ საკითხზე ნაწილობრივ ზევით ნახსენებ ქადაგებებშიც არის საუბარი). ამ ქადაგებაში მეუფე აღარებს ძველი ქართველი ქალის ზნეობა-ღირსებას, მისი დროის (ე. ი. XIX ს. 60-70 წწ.) ქალის ქცევასა და ზნეობას: „მკითხავს ვინმე, რომელნი არიან ეს თვისებანი და ღირსებანი ძველებურთა ქალთანი? ქალის ბუნება, ძმანო ჩემო, მით განსხვავდება მამაკაცის ბუნებისაგან, რომელ ქალი ცხოვრობს უმეტესად გულითა და გრძნობითა, ხოლო მამაკაცი გონებითა; ქალი ვგონებ, მაშინ არის თვითონაც კმაყოფილი და ბედნიერი, როდესაც შეუძლია მიზღვევა და მინიჭება უხვისა გულითადისა სიყვარულისა მისთა მახლობელთა, ქმარსა, ძმასა და სხვათა მახლობელთა პირთა... უკეთუ განვიხილავთ ბუნებასა ქალისასა, ვნახავთ, რომ ღმერთმან განგებ მისცა მას განსხვავებულნი თვისებანი, ვინაითგან მდგომარეობაც მათი და მნიშვნელობა არის სხვა, ვიდრე მნიშვნელობა და საქმე მამა-კაცთა. ეს მნიშვნელობა ქალისა, რომელიც მისცა ქალთა თვით ღმერთმან, კეთილად სრულდებოდა ძველებურად მცხოვრებთა ოჯახთა შინა. პირველად ის უნდა ვსთქვათ, რომელ საკვირველი სიყვარული და ერთგულება ცოლისა ქმრისადმი იყო ძველებურად მცხოვრებთა ოჯახთა შინა. მერმე, ის უმეტესად არის საქები და განსაკვირვებელი,

¹ „ქადაგებები“, ტ. I, გვ. 118.

რომელ, როგორც უნდა ყოფილიყო ქმარი, ღირსი ანუ უღირსი, კარგი ანუ ცუდი, მაინც უყვარდა იგი ცოლს"¹. ქალთა ამ დამოკიდებულებას მეუღლისადმი, მეუფე გაბრიელი თავის დროის ვითარებას ადარებს და ასკენის, რომ ახალი დროის განვითარებული და განათლებული ქალი, ხშირად აღარ არის ქმრის ძველებურად ერთგული. იგი განაგრძობს: „მეორედ, ძველებურ წესზედ გაზრდილთა ქალთა, საკვირველი იყო და გამოუთქმელი სიყვარული შვილთა მათდამი. ეს სიყვარული ესოდენ დიდი იქმნებოდა, რომ თითქმის მრთელსა მისსა ცხოვრებასა და სულსა, დედა შთასდებდა, გულსა შინა შვილისა მისისა“². ე. ი. მეუფე მოძღვრავს თავის სამწყსოს, რომ ძველი დროის ქალთა მისაბაძ მაგალითად მას მიაჩნდა: ჯერ ერთი, მეუღლის უსაზღვრო ერთგულება და მორჩილება, მეორეც, შვილებისადმი თავდადება, მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ ორ თვისებას, მეუფე მესამეს ამატებს: „მესამე თვისება და ღირსება უწინდელთა გაზრდილთა ქალთა – არცა ნაკლები იყო სიმდაბლე და სიმშვიდე მათი... ამას უნდა დავუმატოთ მათი დაუცხრომელი შრომა, დაუძინებელი ზრუნვა და გულმტკიცენეულობა ოჯახისათვის: ვითარცა დაულალავი ფუტკარი თითო წვეთს თაფლისა ყვავილებისაგან შეაგროვებს, აგრეთვე იგინი, ოჯახისათვის პოულობდნენ და ინახავდნენ საცხოვრებელსა“³. ე. ი. ძველად ქართველ ქალთა მესამე დადებით თვისებად, მეუფე გაბრიელი მიიჩნევს ქალის სიმშვიდეს, მორჩილებას („სიმდაბლეს“) და დაულალავ შრომას ოჯახის სასიკეთოდ.

მეუფე დასძენს, რომ ძველი ქართველი ქალის ამ თვისებებს იმიტომ კი არ უსვამს ხაზს, რომ არ მოსწონს ახალი დროის განათლებული ქალი. მეუფე განმარტავს, რომ ზემოთ ნათქვამი, საჭიროა იმისათვის, რომ განათლებასთან ერთად, ქალმა არ დაკარგოს ძველი, მისაბაძი თვისებებიც. „წარმოიდგენთ, რა დაუფასებელი საუნჯე იქმნებოდა საზოგადოებისათვის ის ქალი, რომელსა შინა შეერთდნენ ეს საყვარელნი თვისებანი ძველებურად აღზრდილთა ქალთა, სწავლისა და განათლებისა თანა“⁴.

¹ „ქადაგებები“, ტ. I, გვ. 120-121.

² იქვე, გვ. 121.

³ „ქადაგებები“, ტ. I, გვ. 121.

⁴ იქვე, გვ. 121.

ქალისადმი ქრისტიანული დამოკიდებულების საკითხს, მეუფე გაბრიელი კვლავ უბრუნდება რამდენიმე ქადაგებაშიც. ხარების დღესასწაულთან დაკავშირებულ სიტყვაში იგი ასე სვამს საკითხს: „ნუ-თუ სარწმუნოება, სათნოება და სიყვარული და ყოველივე ჩვენი სჯულის სწავლა ერთი და იგივე არ არის ორთავე სქესისათვის? მას მე ვუპასუხებ: სჯული ერთი გვაქვს ორივე სქესთა, გარნა ზნეობითი სწავლა და დარიგება განსხვავებული უნდა იქნეს ქალებისათვის, ვინაიდან ღმერთმან ამათ სხვა მნიშვნელობა მისცა და საკუთარი საქმე დაუნიშნა“¹. ე. ი. გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვით, მიუხედავად ქრისტეს მოძღვრების უნივერსალურობისა, ბიბლია, გარკვეულ ზნეობრივ საკითხებში, ქალებისათვის ცალკე მიდგომას არ გამოირიცხავს. პირიქით, მეუფე გაბრიელი აღნიშნავს, რომ სოლომონ ბრძენი ქალებს: „მისცემს მრავალთა საუკუნეთა დარიგებათა და უკანასკნელსა „ლ“ (31 - ვ. კ.) თავსა წიგნსა თვისასა, საკუთრად უძღვნის ქალებთა დასარიგებლად“². მეუფე განმარტავს, რომ სოლომონ ბრძენი ქალისაგან უპირველესად მოითხოვს მხნეობას. მხნეობა კი არის დაუღალავი შრომა, შრომა ოჯახისათვის, ღმერთისათვის, გლახაკთათვის და ა. შ.³

გაბრიელ ქიქოძე ამ საკითხის განხილვას ამონურულად არ თვლის და შემდეგშიც უბრუნდება მას. გარდა მხნეობისა, ქალისათვის იგი აუცილებლად მიიჩნევს გონიერებასაც. ამ აზრს, იგი ღვთისმშობელი მარიამის მაგალითით ამყარებს. მეუფის სიტყვით, როდესაც წმ. მარიამს ანგელოზი გამოეცხადა, მაშინ გამოჩნდა ღვთისმშობლის ეს თვისებები: „ესრეთთა უჩვეულოთ შემთხვევათა შინა, გამოჩნდება ადამიანის გონება და ხასიათი. ყოვლად წმინდამან ღვთისმშობელმან ცხადად აღმოაჩინა ამ შემთხვევაში, რომ უმთავრესნი თვისებანი მისისა ბუნებისა იყვნენ მაღალი გონიერება და შეურყენელი მხნეობა“⁴.

თავისი ქადაგების ბოლოს, იგი ამბობს, რომ მართალია, ქალი ფიზიკურად მამაკაცზე სუსტია, მაგრამ გონებით და მხნეობით მას არაფრით ჩამოუვარდება. ამასთან, იგი კატეგორიულად აცხა-

¹ იქვე, გვ. 123.

² გ. ქიქოძე, დასახ. წიგნი, გვ. 123.

³ იქვე, გვ. 124-127.

⁴ იქვე, გვ. 128.

დებს, რომ ქალი არ უნდა იყოს მამაკაცის მონა: „გაუნათლებელ და უსჯულოთა ქვეყანათა შინა, ქალი არის მონა, სათამაშო მამაკაცისა... არა ესრეთ არის განათლებულთა ქრისტიანულთა საზოგადოებათა შინა. აქ ქალს აქვს დიდი პატივი და მნიშვნელობა“¹.

მეუფე კიდევ და კიდევ აღრმავებს ამ საკითხს. გაბრიელს მიაჩნია, რომ ქალი უნდა იყოს წმ. მარიამს მიმსგავსებული, მისი მაგალითით სულჩადგმული. ქალს შეუძლია საზოგადოებაში უდიდესი როლი ითამაშოს, თუ ის სწორად შეარჩევს რა არის მისაღები ახალი დროის წეს-ჩვეულებათაგან და რა არაა. ქალმა – დედამ უნდა განსაზღვროს, საზოგადოებამ რა შეიინახოს თავისი ძველი ადათ-წესებიდან და რა უნდა უკუაგდოს, როგორც დრომოჭმული. ამ საჭირობოროტო საკითხს, მეუფე ძალზე საინტერესოდ განიხილავს: „ვიციტ ჩვენ, რომელ, ყოველსა ხალხსა და ქვეყანასა ჰქონან თვისნი ჩვეულებანი და თავისი სახე ყოფაქცევისა. ესეცა ვიციტ, რომელ, ჩვეულებათა, უმეტესად ძველთა, ჰქონან თავისი მნიშვნელობა და ძალი; ჩვენცა ძველთა მცხოვრებთა ამ ქვეყნისათა, გვექონდა და გვექონან რომელნიმე განმასხვავებელნი ჩვეულებანი, გარნა ან შემოდინ რამდენიმე ახალი ჩვეულებანი და განსხსავებული სახე ცხოვრებისა. არ უნდა ვიფიქროთ? რომელნი ახალნი ჩვეულებანი მივიღოთ და რომელნი ძველნი ჩვეულებათაგანიცა მტკიცედ დავმარხოთ? ნუთუ ძველი ჩვეულებანი ისრე ადვილად არიან გამოსაცვლელნი, როგორც ძველი ტანსაცმელი! არ ვიცი, ფიქრობთა თქვენ ამაზე: გარნა, უკეთუ გსურთ ჩემი შეიტყოთ ამ საგანზე ჰაზრი, მე ვგონებ, რომელ არიან რომელნიმე ჩვეულებანი, თუმცა ძველნი, გარნა ადვილად დასავინყებელნი და არიან სხვანი ჩვეულებანი ძველნი, რომელნი არ უნდა დავივიწყოთ არასოდეს... გარნა არიან ზოგნი ჩვეულებანი ახლად შემოსულნი, რომელთა უკეთუ მივიღებთ, მოგვეცემა დიდი სარგებლობა, და არიანც სხვანი ჩვეულებანი ახალნი, რომელნი განაშოროს ჩვენგან ღმერთმან!“². ე. ი. როგორც ვხედავთ, საზოგადოების განვითარებისა და პროგრესის ამ ურთულესი საკითხების, ფილოსოფიურად თუ ვიჭყვით, მოხსნა-შენახვის პრობლემების გადაჭრაში, მეუფე გაბ-

¹ გ. ქიქოძე, დასახ. ნიგნი, გვ. 130.

² იქვე, გვ. 133-134.

რიელი ქალებს ანიჭებს უდიდეს როლს.

ქალთა საკითხის განხილვას მეუფე გაბრიელი ასეთი მოწოდებით ასრულებს: „ქრისტიანო ქალო! ღმერთმა მოგცა შენ დიდი და პატიოსანი მნიშვნელობა, რათა იყო შენ სამკაული საზოგადოებისა, არა თუ მხოლოდ მშვენიერებითა პირისა და შესამოსელისა შენისათა, არამედ სულითა და ზნეობისა შენისათა, რათა შენცა, შენითა კეთილითა ზნეობითა გონიერითა და კეთილითა ქცევითა, სინმინდითა და სიმშვიდითა, ეხმარებოდე განვითარებასა სასუფეველისა ღვთისასა ქვეყანასა ზედა... შენ უნდა პოულობდე ბედნიერებასა შენსა, აღსრულებასა შინა დიდისა და პატიოსანისა მოვალეობისა შენისასა, ვითარცა დედისა, ვითარცა მეუღლისა, ვითარცა შვილთა აღმზრდელისა, ოჯახის მმართველისა, საზოგადოების შინა კეთილ-ზნეობის განმავრცელებლისა“...¹.

გარდა ქალთა პრობლემისა, მეუფე გაბრიელი თავის „ქადაგებებში“ უამრავ სხვა, საზოგადოებისათვის აქტუალურ ეროვნულ, თუ საკაცობრიო პრობლემას იხილავს, რომელთაგან ზოგიერთს ჩვენც შევხებით.

XIX ს. 80-იანი წლების ქადაგებებში, გაბრიელ ქიქოძემ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, ახლად გაჩენილი სოციალისტური და ანარქისტული მიმართულების მოძღვრების ანალიზი დაისახა მიზნად. 1881 წ. 1 მარტს ალექსანდრე II-ის მკვლელობასთან დაკავშირებით, მან უმკაცრესად დაახასიათა სოციალისტური და ანარქისტული მიმდინარეობანი. ეპისკოპოსი გაბრიელი ამ მიმართულებების მომხრეებს ბრალს სდებდა უაზრო ტერორში, ადამიანური თანაცხოვრების პრინციპების თავდაყირა დაყენებაში, სისასტიკეში, ძალადობრივი და არაბუნებრივი თანასწორობის დამყარების ცდაში და ა. შ. მეუფე გაბრიელის სიტყვით: „დიდი ხანია გაჩნდა ევროპაში ერთი ახირებული, ანუ უმჯობეს არს თქმად, გარდარეული პარტია, ამ პარტიამ მცირე რამ საქმე არ მოინდომა. მან მოინდომა მთელი ქვეყნის მონყობილობის, ჩვეულების, სჯულის, ყოფა-ქცევის გამოცვლა, გადაბრუნება. თავდაპირველად, მან დაიწყო სწავლა და შეგონება ყოველთა, რომ ქვეყანა ცუდად არის დაწყობილი: ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბიო, ზოგს ბევრი ქონება აქვს,

¹ გ. ქიქოძე, დასახელებული წიგნი, გვ. 137, 138.

ფული, მიწა-წყალი, ზოგს არაფერიო. ასე არ ვარგაო, თავის საკუთრება არავის არაფერი უნდა ჰქონდესო, ყოველიფერი საზოგადო უნდა იყოსო... არც ეკლესიები უნდა იყოს ქვეყანაზე და არც ლოცვაო, არც მთავრობაო... ბოლოს მათ სთქვეს, მარტო ლაპარაკით და ქადაგებით არაფერი გაგვივაო. ძალა ვინმაროთ, ვინც ჩვენ საქმეს დაგვიშლის, დავხოცოთო". შემდეგ, მეუფე გაბრიელი წერს, რომ სხვა ქვეყნებში ამ დამანგრეველმა მოძღვრებამ ისე ვერ მოიკიდა ფეხი, როგორც რუსეთში. „ერთი სიტყვით, განაგრძობს იგი, – ამ უკანასკნელ წლებში მიიღო ამ პარტიამ ავაზაკური მიმართულება, გარდაიქცა კაცის მკვლელად, ავაზაკად და ისეთ ავაზაკად, რომელთა მსგავსი არ ყოფილა ჯერედ ქვეყანაზედ!"¹ ჭეშმარიტად, ნინასწარმეტყველური სიტყვებია. გაბრიელ ქიქოძემ ისე ზუსტად, არსში წედომით განჭვრიტა მომავალი ბოლშევიკური ტერორი და ძალადობა, თითქოს XX საუკუნის მთელ რევოლუციურ ექსპერიმენტს მოსწრებოდეს. სამწუხაროდ, ბოლშევიზმის სინდრომი დღესაც, მეუფის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმიდან, ასზე მეტი წლის შემდეგ - ბოლომდე ვერ დასძლია ქართულმა საზოგადოებამ. კარგად დაუუკვირდეთ გაბრიელ ქიქოძის მსჯელობას: „კიდევ რომ მათი აზრი და მიზანი ქვეყნის „გაბედნიერება“ იყოს, ნუთუ შეიძლება სიკვდილით, მონამვლით, ავაზაკობით, გაბედნიერება ქვეყნისა? ხსენებული პარტია, ვინც მათ სიტყვას და სწავლას არ დაიჯერებს, მოჰკლავენ, მოსწამლავენ, დასწავენ და ამბობენ – ქვეყანა უნდა გავაბედნიეროთო!"². ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია იაკობ გოგებაშვილის მცირე შენიშვნა, რომელიც მან 1907 წ. გამოთქვა: „...ვერ თანავუგრძნობთ იმ მომავალს მოვლენასაც, რომელსაც ეძახიან პროლეტარიატის დიქტატურას. ყოველგვარი თვითმპყრობელობა და დიქტატურა ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია დიდ სიბოროტედ და დიდ უბედურებად, ვის ხელშიც უნდა იყოს იგი"³. ბუნებრივია, ასეთი აზრის იყო ქართველი სამღვდელოების უდიდესი ნაწილი. ასე იკვეთებოდა საკაცობრიო და ეროვნული პრობლემები.

¹ გაბრიელის „ქადაგებები“, ტ. II, გვ. 315-319.

² ქადაგებები, ტ. II, გვ. 319.

³ ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწარები, ტ. I, თბ., 1910, გვ. 498 (გადმობეჭდილია 1907 წ. გაზეთ „ჩვენი გზიდან“).

გარდა ამ ახალი პარტიის განქიქებისა, ბუნებრივია, მეუფე გაბრიელი თავის მჭევრმეტყველურ ქადაგებებში, არაერთ საკაცობრიო და ეროვნულ პრობლემას განიხილავს. მათ შორის: პატივმოყვარეობას და ამპარტავნებას, წინდაუხედაობას, მაბეზლარობას, ასევე პატრიოტიზმს, ჭეშმარიტ რწმენას, ერის და ენის პრობლემებს და ა. შ. ხშირად, ქადაგებების თემატიკა ბიბლიის ათ მცნებასთანაა კავშირში, თუმცა გაბრიელ ქიქოძის მჭევრმეტყველება, მათ საერო, ცხოვრებისეულ ელფერს აძლევს. მეუფე ცდილობს მისი მსჯელობა ურთულეს საკითხზეც კი, მარტივი, გასაგები იყოს მრევლის ყველა ფენისთვის. მეუფე გაბრიელი ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ ადამანთა საზოგადოება მუდამ უნდა ვითარდებოდეს, წინ მიდიოდეს, პროგრესს განიცდიდეს: „კაცი სულ სხვანაირად შექმნა ღმერთმა, კაცი მარადის წინ მიდის, ჭკუით, გონებით, ზნეობით, ყოფაქცევით. ერთი სიტყვით, კაცს აქვს დაუსრულებელი მისწრაფება უმჯობესისადმი“¹. ესეც საკაცობრიო პრობლემაა! მეუფე გაბრიელი ერთ-ერთ თავის ქადაგებაში, რუსეთის იმპერიაში განხორციელებულ სასამართლო რეფორმას, კერძოდ, ახლად დაარსებულ ადვოკატის ინსტიტუტსაც ეხება. იგი ამბობს, რომ რა თქმა უნდა: „პატიოსანი ადვოკატი უნდა შეენეოდეს სიმართლის აღსრულებას. ესენი კი, რომლებზეც ჩვენ ვამბობთ (ე. ი. ადვოკატთა მანკიერი ნაწილი - ვ. კ.) სრულიად უშლიან და აფუჭებენ მართალ მსახურების საქმეს“. აქედან გამომდინარე, მეუფე ასკენის, რომ საუკეთესო წამონყებამაც კი, შეიძლება სრულიად სანინააღმდეგო შედეგი მოგვიტანოს, თუ საზოგადოება მისთვის მზად არ არის. კვლავ ადვოკატურასთან მიმართებაში, იგი ამბობს: „ახლანდელი ცრუ ადვოკატები, მარტო იმას ეძიებენ, რომ განამრავლონ ერთი მეორის მომჩივანნი, თვითონ შეაგონებენ და აღძრავენ საქმის დაწყებას... ნახდა ქვეყანა, განმრავლდა ცრუ მოწმობა, ფიცის გატეხა! გათამამდნენ ქურდნი და ავაზაკნი! რაოდენი კაცის მკვლელი დადის ახლა თამამად და შეუპოვრად, ეძებს დროს კიდევ იტაცოს და მოჰკლას!“². ყოველივე ამის მიზეზად, გ. ქიქოძეს, თვით საზოგადოების მოუმზადებლობა, მისი განუვითარებლობა, სისუს-

¹ გ. ქიქოძე, „ქადაგებები“, ტ. II, გვ. 245-246.

² იქვე, გვ. 246.

ტე მიაჩნია. „ჩვენ, საზოგადოება უფრო ვართ დამნაშავე, ჩვენის ცუდის ხასიათით“¹, ამბობდა იგი. ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ კერძო შემთხვევას არ ეხება და უფრო ფართო განზოგადებას ექვემდებარება. „ცუდ ხასიათში“ მეუფე გულისხმობს საზოგადოების ჩამორჩენილობას, მოუმზადებლობას. ამგვარად, ადვოკატურასთან კავშირში ეპისკოპოსი გაბრიელი მნიშვნელოვან საკითხს აყენებს. პროგრესული, და ცივილური კაცობრიობის გამოცდილება, ცალკეულმა საზოგადოებამ, დიდი სიფრთხილით, მხოლოდ სათანადო მომზადების შემდეგ უნდა გადანერგოს თავისთან. ამის შესახებ, თავის დროზე, განსაკუთრებულად ამახვილებდა ყურადღებას, ქართველი მოაზროვნე ალექსანდრე ამილახვარი. თავის პოლიტიკურ ტრაქტატში „ბრძენი აღმოსავლეთისა“, იგი შარლ მონტესკიეს შრომის აშკარა გავლენით ნერდა: „როგორც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ჰავაა, ასევე ამ ქვეყანაში მცხოვრებნი, სხვადასხვა ჩვეულებისანი არიან და არ შეიძლება ერთი ქვეყნის კანონი, მეორე ქვეყანას გაუჩინოთ (არამედ კანონი უნდა შევიმუშაოთ) მათი ადათ-წესებისა და მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით“². ეპისკოპოს გაბრიელის „ქადაგებებში“, ამგვარი მომენტები მრავლად არის წარმოდგენილი³.

გაბრიელ ქიქოძე თავის ქადაგებებში და სხვა ნაწერებში, გამოყოფს ქრისტიანობის გამორჩეულ როლს ქართველი ხალხის გადარჩენის საქმეში. ამ თეზისის დასასაბუთებლად, იგი ისტორიულ მაგალითებსაც იშველიებს. მეუფე ადარებს ისლამს და ქრისტიანულ მოძღვრებას და მიაჩნია, რომ მუსლიმანობა „აფუჭებს ზნეობას“. გარდა ისლამის მიმართ ქრისტიანი მოძღვრის და ქართველი ადამიანის ტრადიციული ნეგატიური დამოკიდებულებისა, მეუფე ამ შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ მაჰმადიანური სარწმუნო-

¹ გ. ქიქოძე, „ქადაგებები“, ტ. II, გვ. 246.

² ალ. ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა (ტექსტი ახალ ქართულად თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ვ. კიკნაძემ); „რჩეულთა ბიბლიოთეკა“, № 26, თბ., 1997, გვ. 21-22. აგრ., V. Kiknadze, Alexsander Amilakvari's treatise "Wise man of the East", ისტ. ურნ. „საქართველო“, თბილისი 1998, №3 და №4, გვ. 59-65 და გვ. 44-49.

³ ვ. კიკნაძე, საკაცობრიო და ეროვნული პრობლემატიკა XIX ს. ქართველ სამღვდლოების ნააზრევში. ვ. გაბაშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნიი კონფერენციის მასალები, თბ., 2003, გვ. 336-341.

ება ვერ აძლევს მოსახლეობას განვითარებისა და ზნეობრიობის იმ ტენდენციას და თავისუფლების ხარისხს, რასაც ქრისტიანული მოძღვრება. მეუფე ამბობს: „ნუ ჰგონებ, რომ თვით ოსმალები უნიჭო ხალხი იყოს ან მოშიშარნი ან ბუნებისაგან დასჯილნი; არა! ვინც იცნობს მათ, პირდაპირ იტყვის, რომ ისინი ბუნებისაგან ნიჭით, სიმამაცით გამორჩეულნი არიან... სჯული მათი აბნელებს მათ ჭკუას, რყვნის ზნეობას, უფუჭებს ხასიათს, მაშინ როდესაც ჩვენი სჯული, ქრისტეს სარწმუნოება, აკეთებს (სრულყოფს - ვ. კ.) კაცს, აუმჯობესებს, წარმატებაში შეიყვანს“¹.

ავ. ნიკოლეიშვილის სამართლიანი დასკვნით: „ორატორი, როგორც ვხედავთ, ერთი რომელიმე ჟანრის ჩარჩოებში არაა ჩაკეტილი და იგი ყველა ლიტერატურულ საშუალებას ხმარობს მიზნის მისაღწევად. მიზანი კი უაღრესად კეთილშობილი იყო - ადამიანის სულში ღვთისმოსაობის რწმენის გაღვივება“². რაც შეეხება მეუფის ქადაგებათა სტილს, იგი მკვლევართა აზრით, ზომიერად შეიცავს არქაიზმებსა და ასეთსავე სინტაქსურ კონსტრუქციებს³. საერთოდ კი, გაბრიელის ქადაგებათა ენობრივი მხარე, გამოირჩევა სიმარტივით, დახვეწილობით, ლექსიკური სიმდიდრით⁴.

ეპისკოპოსის ქადაგებათა დიდი ნაწილი განმაქიქებელი ხასიათისაა, ის გამოარჩევს ქართველების ხასიათის უარყოფით მახასიათებლებს და მრევლს კატეგორიულად ჩააგონებს მათთან შინაგან ბრძოლას (ეს ქადაგება მან წარმოსთქვა ყველიერის კვირას, როდესაც მორწმუნენი შეუნდობდნენ ერთმანეთს ცოდვებს). ქართველთა ერთ-ერთ უარყოფით თვისებად, მეუფეს ფარისევლობა მიაჩნია. იგი მიიჩნევს, რომ ეს დიდი ცოდვაა, რადგან ადამიანებს ჭეშმარიტების გზა ეხშობათ⁵. ქართველების ერთ-ერთ დიდ ნაკლად და ერის განვითარებაში ხელისშემშლელად, გაბრიელს გულფიცხოვა და ურთიერთმტრობა მიაჩნია⁶. მეუფე ამბობს: „ყოვლისა კაცისათვის და ყოვლისა საზოგადოებისათვის მშვიდობა, ერთობა

¹ გაბრიელ ქიქოძე, ქადაგებები, ტ. II, გვ. 72-73.

² ავ. ნიკოლეიშვილი, დასახ. ნიგნი, გვ. 54.

³ იქვე.

⁴ ავ. ნიკოლეიშვილი, დასახ. ნიგნი, გვ. 66.

⁵ გაბრიელ ქიქოძე, ქადაგებები, ტ. I, გვ. 29.

⁶ იქვე, ტ. I, გვ. 61.

და სიყვარული არის ესოდენ ძვირფასი საუნჯე, რომელ, ადამიანმა ყოვლითა ღონისძიებითა უნდა დაიფაროს და შეინახოს იგი. მაგრამ ჩვენ (ქართველები - ვ. კ.) საუბედუროდ, ერთისა მცირის მიზეზისათვის მზად ვართ მოვახდინოთ დიდი შფოთი და დავვიწყოთ სიყვარული". შემდეგ, ქართულ სინამდვილეს, მეუფე მსოფლიოს ვითარებას ადარებს და კითხვას სვამს: „ვინ იტყვის, რომ სხვაგან არსად არ იყოს ცილობა და უკმაყოფილება კაცთა შორის?“ და ამ კითხვას შესანიშნავ პასუხს აძლევს: „გარნა სხვათა ქვეყანათა შინა, ცილობა და განხეთქილება დამოკიდებულ არს ფრიად მძიმეთა (სერიოზულ - ვ. კ.) მიზეზთა ზედა. ამასთანავე, ცილობა და განხეთქილება განათლებულსა საზოგადოებასა შინა, არაოდეს გათავდების სიძულვილითა და შურისძიებითა". ამას მოსდევს ღრმა, არსობრივი დასკვნა: „სხვათა ქვეყანათა შინა, მხოლოდ მას ცდილობენ, რომ სამართალმა უსამართლობას აჯობოს, ხოლო აქ (საქართველოში - ვ. კ.) ცდილობენ, რომ კაცმა-კაცს აჯობოს. იქ ჰაზრი - ჰაზრთან იბრძვის და საქმე-საქმესთან, აქ კაცი-კაცთან, გვარი-გვართან; იქ ცილობა მოხდება ჭეშმარიტისა და უმჯობესის ნების ძიებისაგან, აქ თავხედობისაგან და თავის მოყვარეობისაგან"¹ (ხაზი ჩვენია, ვ. კ.).

მეუფის ამ სიტყვებთან დაკავშირებით, უთუოდ გაგვახსენდება ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შემჩნეული და განზოგადებული ქართველთა ეს თვისება: „[ქართველები არიან] სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვსთა სახელისათვს არა რიდებენ ქუეყანასა და მეფეთა თვსთა". და შემდეგ: „თავხედნი, დიდების მოყუარულნი"².

მეუფე გაბრიელი ქრისტეს სახელით მოუწოდებს სამწყსოს, დაძლიოს ეს მანკიერება. იგი შემფოთებულია ქართველი ერის სხვა მანკიერი თვისებების გამოც, რომლებიც, მის განვითარებას სერიოზულად აფერხებენ. ქართველების უარყოფით თვისებებს შორის, იგი ასახელებს: ფარისევლობას („ფარისევლობა არის ერთი უსაშინელესი და უმძიმესი ცოდვათაგანი", ტ. 1, გვ. 29), პატივმოყვარეო-

¹ ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებანი, ტ. 1, გვ. 63.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხ. ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., 1973, გვ. 44-45.

ბას და ვერცხლისმოყვარეობას („გული არ დაუთმონ ვერცხლსა, ანუ პატივსა“, ტ. 1, გვ. 66), უსაქმობას („ქვეყანაზედ არ არის ისეთი მუშაობა, რომელი კაცს არ აძლევდეს სარგებლობას, გარნა შემაგინებელი კი იყოს მისის ღირსებისა“, ტ. 1, გვ. 181), ან კიდევ: „ახლა ძმანო, ისრეთი დროება და ჟამი მოინია, ყოველი კეთილშობილი კაცი უნდა დაადგეს რომელსამე საქმეს და იყოს შრომაში და გამოზარდოს თავი თავისი შრომითა“ (ტ. 1, გვ. 468) და კიდევ: „ბედნიერი არის ქვეყანა, რომელსა შინა ყოველნი მცხოვრებნი: დიდნი და მცირენი არიან შრომის მოყვარულნი“ (ტ. 1, გვ. 186). ამ აზრის განსამტკიცებლად, გაბრიელს მაგალითები მოაქვს „სალმრთო ისტორიიდან“, იგი მრევლს ჩააგონებს, რომ თვით მაცხოვარი იესო ქრისტე იოსებს ეხმარებოდა ხურობაში, პავლე მოციქული ბამბის კარვებს კერავდა, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი კი, თავისუფალ დროს მინას ამუშავებდნენ (ტ. 1, გვ. 186-187). განსაკუთრებით მაენედ მიაჩნდა მეუფეს საზოგადოების გახლეჩა, ურთიერთმტრობა და შუღლი „საზოგადო განხეთქილება, მტერობა, შური, შურის-ძიება და სიძულვილი... ძმა ძმას ემტერება, მამა და შვილნი ველარ სდგებიან ერთად... ამოდენა ჩივილი და მტერობა, რაც ამ პატარა ქვეყანაში არის, არსად არ გაგონილა ქვეყანაზედ“ (ტ. 1, გვ. 467). იგი ამასთანავე, ქართულ საზოგადოებას ამუნათებს იმის გამო, რომ მას არ უყვარს სიმართლე, არც ლაპარაკში და არც ყოფა-ქცევაში“ და იქვე დასძენს: „ისრე უნდა უყვარდეს კაცსა სიმართლე, როგორც მშიერს კაცს სურს და უყვარს პური“ (ტ. 1, გვ. 468). დიდ ცოდვად მიიჩნევს მეუფე ბეზლობასაც. გ. ქიქოძე მრევლს ასწავლიდა, რომ ბეზლობა და დასმენა, მით უფრო, როდესაც ისინი ყალბია, ძალიან მძიმე ზნეობრივ გარემოს ქმნის და ერის გადაგვარებას ხელს უწყობს. მეუფეს მაგალითად, საკუთარი მოღვაწეობა მოყავს. იგი გულისტკივილით აუწყებს მრევლს, რომ თვითონ მასზე, უამრავი ცრუ დასმენა დაუნერიათ: „ოცდასამი წელიწადი ვარ მე ამ სამწყსოში, ამბობდა იგი, და ვგონებ, ნამეტანი არ იქნება, რომ ვთქვა, ორასი მაინც თუ არა, მეტი დაბეზლება და შესმენა მიუვიდა ჩემზე უმაღლეს მთავრობას“ (ტ. 2, გვ. 417).

ქართული საზოგადოების ერთ-ერთ ნაკლად მეუფეს გაუნათლებლობა მიაჩნია. იმერეთის მაგალითზე, იგი ასეთ განზოგადებულ დასკვნას გვთავაზობს: „ეს ჩვენი მხარე, იმერეთი, ილუპება

უმეცრებითა და უსწავლელობითა” (ტ. 1, გვ. 40). მეუფეს მიაჩნია, რომ ადამიანმა თვითონ, თავისი შრომით და საქმით უნდა შექმნას თავისი ცხოვრება და არ უნდა შესჩერებოდეს მხოლოდ ხელისუფლებას: „საწყალი და საბრალოა ის ქვეყანა, სადაც უმრავლესნი პირნი შესჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდევით ჩინებზე” (ტ. 1, გვ. 186).

ყველა ზემოთ ნახსენები მანკიერი მხარის და ცოდვის აღმოფხვრის საშუალებად გ. ქიქოძეს მიაჩნია ქრისტიანულ მცნებათა დაცვა, ლოცვა, მონანიება. გაბრიელის აზრით, ქრისტიანობამ მოიყვანა აქამდე ეს მცირე ერი და ახლაც ეს მოძღვრება იქნება მისი მხსნელი.

მკვლევარ ც. ედილაშვილს მიაჩნია, რომ მეუფე გაბრიელმა, ასეთი პირდაპირი და პირუთენელი ქადაგებებით „ეკლესიას დაუკარგა რალაც იზოლირებულისა და განცალკევების ფორმა”¹. და „რომ მან ადამიანებში ქრისტიანული სარწმუნოება აქცია შინაგან მოვლენად”². და კიდევ: რომ ეს იყო ბრძოლა „ადამიანთა შინაგანი ქრისტიანობისათვის”³. ვფიქრობთ, ეს გამოთქმები დასახვეწია. გასაგებია, რასაც ავტორი გულისხმობს, მაგრამ ეკლესია, ჩვეულებრივ, ნორმალურ ვითარებაში არანაირად არ უნდა იყოს „იზოლირებული და განცალკევებული” საზოგადოებისაგან. XIX ს. საქართველოს უარყოფითი მაგალითი იმას მონშობს, რომ რუსულმა მართლმადიდებლობამ საქართველოში ვერ შეცვალა ქართული, ტრადიციული რწმენა. პირიქით, მან ეკლესია და საზოგადოება დააშორა ერთმანეთს და ხელი შეუწყო ფორმალობის და სიყალბის დამკვიდრებას მრევლსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაში. რაც შეეხება გამოთქმას: „შინაგანი ქრისტიანიზაცია”, არც ეს მიგვაჩნია სწორად. თუ საქმე გვაქვს ნამდვილ, ჭეშმარიტ მოძღვრებასთან, ის სწორედ შინაგანი, ორგანული უნდა იყოს და არა ფარისევლურ-გარეგნული. ამ შემთხვევაშიც, თვალნათლივ იკვეთება XIX ს. საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური რეალობის არსი. იმ დროის საქართველოს სასულიერო მზრუნველი ორგანო – ეგზარქატი, თავისთვის არსებობდა და ქართველი ხალხი, მრევლი კი თავისთვის.

¹ ც. ედილაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი, თბ., 2001, გვ. 19.

² იქვე, გვ. 37.

³ იქვე, გვ. 20.

ამგვარად, ნათელია, რომ მაშინდელ საქართველოში აუცილებლად საჭირო იყო ისეთი წრფელი, განათლებული და ავტორიტეტით მოსილი პიროვნებები, როგორც მეუფე გაბრიელი იყო, რომ მრევლსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ორგანული და ჭეშმარიტად ქრისტიანული გამხდარიყო. ასევე გაუმართავად მიგვაჩნია გამოთქმები: „მას (ე. ი. მეუფე გაბრიელს – ვ. კ.) ეკლესიისა და მრევლის გარეგნული ეფექტი არაფრად მიაჩნდა“¹. ან კიდევ: „იგი, ფაქტობრივად, ერთ-ერთი პირველი საეკლესიო მოაზროვნე იყო საქართველოში, ვინც ქრისტიანობა პრაქტიკული, ცხოვრებისეული პოზიციიდან გაიაზრა“².

მეუფე გაბრიელი თვით გვიხასიათებს ქადაგებათა ორ ძირითად სახეს. იგი ამბობს, რომ პირველი სახის ქადაგებები არის ისეთები, რომლებიც „არავის პირდაპირ არ შეეხებიან, არავის არ მისცემენ განსაკუთრებითა სწავლასა და დარიგებასა“. ასეთი ქადაგება მას ნაკლებ სასარგებლოდ მიაჩნია. შეიძლება ასეთი ქადაგება ძალზე მჭევრმეტყველური და გარეგნულად ლამაზი იყოს, მაგრამ მას არავითარი ზემოქმედება მრევლზე არ აქვს, რადგან იგი არის „უქმი და განყენებული, მავალი ღრუბელთა ზედა“³. თვითონ იგი, მეორე სახის ქადაგების მიმდევარია, რომელიც: „დაახლოვებულია მსმენელთა მის თანა“. ასეთი მქადაგებელი ცდილობს: „რათა სიტყვა მისი იყოს არა უქმი და განყენებული... არამედ მახლობელ კაცთა, ცხოველი და გამოყვანილი თვით კაცის ცხოვრებისაგან; ... რათა ყოველმან კაცმან დაინახოს სიტყვათა შინა მისთა, ვითარცა სარკესა, მისი სულიერი მდგომარეობა“. ამგვარი მქადაგებელი იმდენად მჭევრმეტყველებას კი არ აქცევს ყურადღებას, რამდენადაც ცდილობს „რომ მარტივი სიტყვა მისი შევიდეს გულსა შინა მსმენელსა და დასტოვოს მუნ რომელიმე (რამენაირი – ვ. კ.) კვალი“⁴. ამ ციტატაში, მეუფემ ზუსტად განსაზღვრა თავისი აზრი ქადაგებაზე და ის, თუ რას ემსახურებოდა მისი ჰომილიები.

მეუფის ქადაგებებიდან, კვლავ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას გამოვყოფთ.

¹ ც. ედილაშვილი, დასახ. ნიგნი, გვ. 29.

² იქვე, გვ. 35.

³ გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებები, ტ. I, გვ. 202.

⁴ იქვე, ტ. I, გვ. 203.

მეუფე, თავის აზრს უზიარებს მრევლს ბატონყმობის საკითხებზე. მას მიაჩნია, რომ ბატონისა და ყმის ურთიერთობა უნდა იყოს ჰარმონიული და ნებაყოფლობით მორჩილებაზე დამყარებული. იგი ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგია, როგორც ზედა ფენის, ისე დაბალი ფენის მხრივ. ეს კარგად ჩანს მისი ქადაგებებიდან. ერთ ქადაგებაში, მეუფე ამტკიცებს, რომ მსახურის მხრიდან ქრისტიანული ქცევა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბატონს უთქმელად, მოთმინებით ემსახურება¹. მაგრამ მეუფე იქვე განმარტავს, რომ ეს არ ნიშნავს ბატონის თავნებობას და ყმის ღირსების შელახვას. ამ საკისზე იგი ასეთ აზრს გამოსთქვამს: „ხშირად, ძონძით მოსილს, მშიერს, გასვრილს და ყოველთავე სახითა მოკლებულ კაცსა, უმეტესი შინაგანი ღირსება და სათნოება აქვს ღვთის წინაშე, ვიდრე იმ კაცს, რომელიც არის მოსილი ოქრომკედით, შემკული თვალმარგალიტითა“².

მეუფის აზრით, საქართველოში „ყმები და ბატონები არადროს იყვნენ დაშორებული ურთიერთს, არამედ იყვნენ დაახლოებული, მეზობლურად განწყობილნი, ჭირში და ლხინში, მათ მარადის ქონდათ ერთმანეთის მონაწილეობა...“³. მეუფეს მიაჩნია, რომ ეს ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს და პირიქით, უფრო უნდა განმტკიცდეს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოახლოებული იყო ბატონყმობის გაუქმება, მეუფე ამტკიცებდა, რომ ძველი ტრადიცია ძალაში უნდა დარჩენილიყო ახალ სოციალურ პირობებშიც. ამგვარად, მეუფე გაბრიელი, ყოველგვარი ძალადობის, ექსტრემიზმის წინააღმდეგია. იგი, შეიძლება ითქვას, იზიარებს ილიას მიერ ხატოვნად გამოთქმულ ფორმულას: „და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი“⁴. მეორე მხრივ ი. გოგებაშვილი მიიჩნევდა, რომ საქართველოში თავად-აზნაურობა გალატაკებული, დაბეჩავებული იყო და მის წინააღმდეგ არავითარი რევოლუციური ბრძოლა არ იყო საჭირო: ის თავისთავად გაქრებოდა ევოლუციის შედეგად⁵. ივ. ჯავახიშვილი თავის მხრივ, აღნიშნავდა, რომ საქართველოში, ტრადი-

¹ იქვე, ტ. I, გვ. 307.

² გ. ქიქოძე, ქადაგებანი, ტ. I, გვ. 307.

³ იქვე, გვ. 507.

⁴ ი. ჭავჭავაძე, აზრდელი, თ. XIII, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1987, გვ. 189.

⁵ ი. გოგებაშვილი, მცირე განმარტება; რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, გვ. 498.

ციულად, ბატონსა და ყმას შორის სულ სხვა ურთიერთობები იყო დამყარებული, ვიდრე მაგალითად რუსეთში. ვახტანგ VI-ის კანონები არ უკრძალავდა გლეხს ტყითა და შეშით სარგებლობას. რუსულმა კანონებმა კი, პირიქით, გამოიწვიეს ბატონყმური ურთიერთობების გამწვანება და გაუარესება¹. თავის მხრივ, არჩილ ჯორჯაძე, თუმცა კი მთლიანად არ იზიარებს ილიას აზრს ამ საკითხზე, მაინც მიაჩნია, რომ „ახალი თაობა არ უნდა უარ-ჰყოფდეს საერთო (ე. ი. ნოდებათა შორის – ვ. კ.) შეთანხმებულ მოქმედებას იქ, საცა კი შესაძლებელია ამგვარი, სხვა და სხვა ნოდებათა შორის შეთანხმებული მოქმედება. ამ შემთხვევაში, ილია ჭავჭავაძის ნაწერები დიდ დახმარებას აღმოუჩენდნენ ყველა იმას, ვინც კი მოისურვებს, თანახმად საქართველოს პოლიტიკური პირობებისა, ქართველ ხალხს რაიმე სარგებლობა მოუტანოს“².

კვლავ გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებას დაეუბრუნდეთ ამ საკითხზე. მებატონსაც და ყმასაც, მეუფე გაბრიელი შემწყნარებლობისაკენ მოუწოდებს. ამ აზრს, დოკუმენტურად ადასტურებს მისი ერთი პირადი, გამოუქვეყნებელი წერილი, რომელიც ლიტერატურულ მუზეუმში ინახება. იგი დათარიღებულია 1860 წ. 17 თებერვლით. ამ წერილში, რომელიც ბატონყმობის გაუქმებამდეა დაწერილი, მეუფე სთხოვს გაქცეული ყმის პატრონს, მირიან ჭყონიას, მაქსიმალურად ლმობიერად მოექცეს გაქცეულ გლეხ როყვას. გაბრიელი ჭყონიას სწერდა: „თქვენს საკუთვენელს ყმას – მაქსიმე როყუას, ვინაითგან შეეტყო ჩემი თქვენთან კეთილგანწყობილებაი, ამისათვის მოიქცა ჩემთან თხოვნითა, რომელზედაცა მთხოვს შუამდგომლობას თქვენს წინაშე; ყმა როყუა, ვითარ აღიარა ჩემთან, წასულა წინეთ ამისა, თვნიერ ცნობისა თქუენისა თბილისსა შინა“. და ბოლოს: „ამჟამად, გთხოვთ თქვენ კეთილშობილებას, უკეთუმცა დიდ დაბრკოლებას არ შეხედვიდეთ, ყმას მას, მისცეთ ნება ქალაქს წასვლისა; წინააღმდეგ გარემოების შემთხვევისა, არა მიაყენოთ როყუას სასჯელი თვითნებითის წინეთ ამისა განლტოლ-

¹ Ив. Джавахишвили, Политическое и социальное движение в Грузии XIX в., თხზულებანი, ტ. XII, თბ., 1998, გვ. 453.

² არჩილ ჯორჯაძე, პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, წერილები, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1999, გვ. 102.

ვისათვის თავის ადგილისაგან”¹.

მეუფე გაბრიელი, საქართველოს ისტორიულ კუთხეებში: აფხაზეთსა და შიდა ქართლშიც (კუდაროს ხეობა) ეწეოდა სასულიერო მოღვაწეობას. იმერეთის ეპისკოპოსად ყოფნის დროს, მეუფეს, აფხაზეთის ეპარქიაც ექვემდებარებოდა (1869-1885 წწ-ში)². ამავე დროს, ის იყო კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი კომიტეტის წევრი. ეპისკოპოსი კირიონი წერდა: „Обитатели этих местностей (იგულისხმება აფხაზეთი – ვ. კ.), как известно, и теперь поражающие спутанностью своих религиозных верований и возрений, обилием разностороннего характера суеверий, грубостью, а подчас дикостью нравов и обычаев, в то время, состояли еще на более низшей ступени развития... Вот при подобных, довольно неблагоприятных условиях и выступил на поприще миссионерское, проесвещеный Гавриил. Зная хорошо местные обычаи, нравы и характер народа, обладая замечательном [умением] принаравливаться к душевному складу каждого своего собеседника... он осторожно, но в то же время твердо, решительно и бесповоротно, шел к цели – к религиозному просвещению абхазцев”³.

მკვლევართა სამართლიანი აღიარებით: „ისტორიიდან მოშველიებული მაგალითებითა და ფაქტებით, გაბრიელი განუმარტავდა ოსებსა და აფხაზებს, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ”, მაგრამ შემდეგ, „ცუდმა დროებამ” მტერთა თარეშმა დააკარგვინა მათ თავისი ძველი რწმენა”⁴. იმისათვის, რომ ქრისტიანობის მიღება წახალისებინა, მეუფე მზად იყო დაეშვა წირვალოცვა ოსურ ენაზე⁵. თუმცა ამ ენას, მისივე სიტყვით, ასეთი ტრადიცია არ გააჩნდა. თვით მის ქადაგებასაც, მრევლს ოსურად უთარგმნიდნენ⁶.

¹ გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი მირიან ჭყონიას, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №10214, ფ. 1-2.

² Епископ Кирион, Краткий очерк истории грузинского Экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, стр. 125.

³ კირიონის დასახ. შრომა, გვ. 125-126.

⁴ ა. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, გვ. 95.

⁵ ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებანი, ტ. I, გვ. 490.

⁶ იქვე, ტ. I, გვ. 490 (შენიშვნა სქოლიოში).

ადარებს რა ქართველი ერის განვითარების დონეს, კავკასიის სხვა, ძირითადად კი, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ცივილურ მდგომარეობას, მეუფე ასკენის, რომ იქ მცხოვრები ხალხები, ზოგადი განვითარებით, ბევრად უფრო დაბალ დონეზე იმყოფებოდნენ, ვიდრე ქართველები. ამის მთავარ მიზეზად მეუფეს ის გარემოება მიაჩნია, რომ ამ ხალხებმა და ერებმა არ მიიღეს (ან ვერ შეინარჩუნეს) ქრისტიანობა. „რა მოუვიდა, რა დაემართა სხვა მრავალთა კავკასიის ერთა და ტომთა: ლეკთა, ჩერქეზთა, აფხაზთა და სხვას? იგინი ყოველნი, რადგანაც არ შეინყნარეს ქრისტიანობა, დარჩნენ ველურს, დაცემულს მდგომარეობაში“¹.

მეუფე გაბრიელი პრაქტიკული მაგალითებით არწმუნებს მრევლს ხალხის განვითარების საქმეში, ქრისტიანული სარწმუნოების პრიორიტეტულ როლში: „ამას აგიხსნი მე, თქვენ, ესაუბრებოდა მეუფე სამწყსოს, არა ღრმა ფილოსოფიური აზრებითა, რომელთა უმეტესი თქვენგანი ვერც კი გაიგებს, არამედ უბრალო ისტორიული მაგალითების მოყვანითა“².

თუ შევაჯამებთ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ქადაგებების დროს წამოჭრილ მთავარ პრობლემებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეუფე თითქმის ყველა ცხოვრებისეულ და სულიერ საკითხს განიხილავს. მისივე ხატოვანი სიტყვის შესაბამისად, დედამიწაზე სულიერი და ხორციელი, ამა სოფლის და ზენასოფლის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, მტკიცე ურთიერთკავშირშია: „ცხოვრება ადამიანისა ბრუნავს ვითარცა ურმის თვალი და ამასთანავე ბრუნავენ და იძვრიან ქვეყანაზედ ცოდვა და მადლი“³. მისი სიტყვით, ცოდვა (ხორციელი საწყისი), მაშინ მძლავრობს მადლზე (სულიერზე), როდესაც ადამიანის ზნეობა ეცემა და მას „გული უგრძობდება ღვთის-მსახურებაზედ“⁴. მეუფეს მიაჩნია, რომ ერის ზნეობრივი სრულქმნა, ამგვარად, მისი განვითარების და კეთილდღეობის უმთავრესი პირობა, ქრისტეს რჯულის გულწრფელი, შეგნებული აღიარებაა: „ყოველი მსხვერპლი, შესანიშნავი ჩვენი, ყოველი

¹ ეპისკოპოსი გაბრიელის „ქადაგებანი“, ტ. II, გვ. 356-357 (სიტყვა თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში 1876 წელს).

² იქვე, გვ. 354.

³ იქვე, ტ. I, გვ. 226.

⁴ იქვე, ტ. I, გვ. 260 (სიტყვა თქმული 1861 წ., 8 სექტემბერს).

სამკაული კაცთა და სიმდიდრე ტაძრისა, მხოლოდ მაშინ არის სათ-
ნო და საყვარელი ღვთისათვის, ოდესცა გული ჩვენი მოქცეულ არს
მისდამი” – ჩააგონებდა იგი სამწყსოს¹.

ზნეობრივი სრულყოფის მისაღწევად, მეუფე გაბრიელი, სამ
ძირითად პირობას ანუ სარკეს ასახელებს: პირველი სარკე, მისი
სიტყვით, არის ბიბლია (საღვთო წერილი) და წმინდა მამათა ლოც-
ვები, რომლებიც ეკლესიაში იკითხება, მეორე სარკედ იგი მიიჩნევს
თითოეული ადამიანის გონებას და სინდისს. მესამე სარკედ კი, აღ-
სარებას². გ. ქიქოძე მოძღვრავს თავის სამწყსოს (თუმცა ეს მისი
ქადაგებანი უთუოდ უნივერსალური ხასიათისაა და მსოფლიოს ნე-
ბისმიერ ხალხს შეიძლება მიესადაგოს): „ხშირად შევხედოთ სამთა
ამათ სულიერთა სარკეთა... დავიბანოთ სულიერი პირი ცრემლი-
თა, გავწმინდოთ სულიერი სახე ჩვენი, კეთილთა საქმეთა მიერ“³.

ამით დავასრულებთ მეუფე გაბრიელის „ქადაგებათა“ ძირი-
თადი პრობლემების ანალიზს, თუმცა მათი სრული განხილვა, რა-
ღა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამასთან, სავსებით ვიზიარებთ ავ.
ნიკოლეიშვილის დებულებას: „გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში
დასმული ბევრი პრობლემა ისევე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა
და აქტუალური დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისათვის, რო-
გორც იმ პერიოდისათვის, როცა ისინი იქადაგა ორატორმა“⁴.

ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა წარმოდგენილია
გაბრიელ ეპისკოპოსის სხვა სახის შემოქმედებაშიც. კერძოდ, გ. ქი-
ქოძის განთქმულ პოლემიკურ წერილში გიორგი მუხრან-ბატონის
მიმართ (გიორგი მუხრან-ბატონი (1825(?)-1877); სენატორი, მე-
ფისნაცვლის საბჭოს წევრი, საიდუმლო მრჩეველი). მისმა რუსო-
ფილურმა წიგნაკმა აღაშფოთა მთელი ქართველი საზოგადოება.
დავით ერისთავმა, მაგალითად, მის წიგნაკს ასეთი წარწერა გაუკე-
თა და ისე დაუბრუნა ავტორს: „...Ты совсем не существо, а нуль меж
крупных единиц“⁵.

¹ ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებები, ტ. I, გვ. 261.

² იქვე, ტ. II, გვ. 61 (მოკლე მოძღვრება მაზიარებელთადმი).

³ იქვე.

⁴ ავ. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ქიქოძე, გვ. 124.

⁵ იხ. მაგ. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, დ. ასათიანის წინასიტყვაობით
და შენიშვნებით, თბ., 1985, გვ. 159, 176 (შენ. 61).

პოლემიკური წერილის დასაწყისშივე, მეუფე, გიორგი მუხრან-ბატონს ეუბნება: „პასუხის წერას შევუდექი არა უსარგებლო ცილობის და ამოა პატივმოყვარეობის გამო, არამედ იმ განზრახვით, რომ იქნება ამ ჩვენი ურთიერთშორის ბაასით, ჭეშმარიტება აიხსნას უმჯობესად“¹. მეუფე დანვრილებით აანალიზებს გიორგი მუხრან-ბატონის პირველ თეზისს იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი („Одно органическое целое“)². ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა ჰქონდეს, ენა სულია ორგანიზმისა, მაშასადამე, ერთი ენა უნდა იყოს სახელმწიფოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო არ იქნება მაგარი³ და მკვიდრი“⁴.

მეუფე გაბრიელი რენეგატ მუხრან-ბატონს მიუთითებს, რომ მისი მჭევრმეტყველება არის მხოლოდ თეორია. სინამდვილეში კი, არ არსებობს ისეთი დიდი სახელმწიფო, სადაც მხოლოდ ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ და სხვა ყველა ენა კი, მოსპობილია. შემდეგ, მეუფე იხილავს მუხრან ბატონის მოხმობილ კონკრეტულ მაგალითს, რომელიც შვეიცარიას შეეხება და საფუძვლიანად აბათილებს მას. კერძოდ იმ აზრს, რომ თითქოს შვეიცარია, რომელშიც ოფიციალურად სამი მთავარი ენაა აღიარებული, მკვიდრი სახელმწიფო არ არის. მონარქიის მტკიცე დამცველი მეუფე, ამ არგუმენტს ასე პასუხობს: „შვეიცარია მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის. ანუ ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არა თვლი? ნუთუ მარტო მონარხია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა?“ აქ ჩანს სწორედ მეუფე გაბრიელის ღრმა პატრიოტიზმი და თავისი ენის, ხალხის სიყვარული. მაგრამ მეუფის ეს სიტყვები, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი საერთოდ მონარქიის წინააღმდეგია: „იგი (გაბრიელ ქიქოძე – ვ. კ.) დაპი-

¹ გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრან ბატონის მიმართ, უ. „მოამბე“, 1896, №3, გვ. 92; აგრეთვე: ხ.ერ.ც., გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, საქმე 49, ფ. 1.

² ეს სიტყვა ნაბუჭდ ტექსტში წარმოდგენილია როგორც „тепи“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერში კი, როგორც „аеиое“ ჩვენ ეს უკანასკნელი ვამჯობინეთ (ასეთი რიგის სხვა განსხვავებებსაც მივუთითებთ სათანადო ადგილას)

³ ნაბუჭდ ტექსტში „მაღალი“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდში დაცული ხელნაწერის მიხედვით კი, „მაგარი“.

⁴ გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი, დასახ. გამოცემა, გვ. 9, აგრეთვე: ხ.ერ.ც., გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, ფ. 1-1.

რისპირებია საერო პირს... და როგორც ხალხის და ქვეყნის ქომავს, უარ-უყვია მონარქიაცა და თავადაზნაურული ლტოლვაც ხალხზე უპირატესობისა¹ – წერს ზოგიერთი ავტორი. როგორც ზევით ვაჩვენეთ, ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა გაუგებრობაა. მეუფე სიცოცხლის ბოლომდე მონარქიის და რუსეთის იმპერიის ერთგული დარჩა, თუმცა ეს არ უშლიდა ხელს ყოფილიყო საქართველოსა და ქართული ენის მოყვარე და ქომავი. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ასეთი რწმენის მიუხედავად, იგი სავსებით დასაშვებად მიიჩნევდა მონარქიის გარდა, სახელმწიფო მონყობის რესპუბლიკური ფორმის არსებობასაც.

იმის არგუმენტად, რომ ერთ, ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოში სხვა ენების არსებობაც დასაშვებია და მიღებულიცაა, მეუფეს მოაქვს საფრანგეთის მაგალითი და ამბობს: „ფრანციასთან ერთ-გვაროვანი და ენოვანი² სახელმწიფო არ არისო ევროპაში, მაგრამ აქაც, სამხრეთის კერძო³, ისპანიის საზღვრებთან, ახლაც ცხოვრობს ერთი ძველი იბერიის⁴ დანარჩენი ხალხი, სახელად ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველ ენას ხმარობს“⁵. ამის გარდა, მეუფე შეახსენებს ოპონენტს, რომ საფრანგეთში, ნორმანდიის პროვინციაში, კელტების ტომის შთამომავლები ცხოვრობდნენ, რომელთაც, „თავისი ენა შენარჩუნებული აქვთ“⁶.

შემდეგ, გაბრიელ ქიქოძე ამბობს, რომ მცირე ხალხის შეერთება დიდ ხალხთან, სხვა არის და შთანთქმა, კიდევ სხვა. იგი მომხრეა რუსეთთან საქართველოს შეერთებისა, მაგრამ არა შთანთქმისა! „ყოველიფერით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან: სულით, გულით, აზრით, ინტერესებით, მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება!“⁷. შემდეგ იგი იმონმებს ჯ. ს. მილის თხზულებას თა-

¹ დ. სუმბაძე, მიდმოგონება ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეზე..., თბ., 2004 წ., გვ. 9.

² ასეა ხ.ერ.ც. მითითებულ ხელნაწერში; ნაბეჭდ ტექსტში – „ერთეროვანი“.

³ ხელნაწერში, შეცდომით წერია „ჩრდილოს კერძო“, ამიტომ, ამ შემთხვევაში, ნაბეჭდ ტექსტს ვტოვებთ უცვლელად.

⁴ ნაბეჭდ ტექსტშია „იბერეთის“, რაც გავასწორეთ ხელნაწერის მიხედვით.

⁵ გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი, დასახ. გამოცემა, გვ. 95; ხ.ერ.ც., მითითებული ფონდი, ფ. 2v.

⁶ იქვე,

⁷ იქვე, გვ. 96. ხ.ერ.ც., დასახელებული ფონდი, ფ. 3v.

ვისუფლებაზე და ამბობს: „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა. მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს არ არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისთვის, რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს, არის სასურველი... მცირე ხალხი, მოკლებული თავის ენასა, იქნება მოკლებული ყოველ ინდივიდუალურ ხასიათითა და თვისებითა და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაცა“¹.

საინტერესოა, რომ გიორგი მუხრან-ბატონმა გაბრიელის ამ ლოგიკურ, დასაბუთებულ წერილს, კიდევ ერთი წერილით უპასუხა. ამ საპასუხო წერილის დედააზრი, კვლავ თავისი ანტიქართული პოზიციის დაცვა იყო. ამასთან, იგი რუსული შოვინიზმის საყვარელ თეზისს იშველიებდა: რა პასუხი უნდა გაეცათ საქართველოში მცხოვრები უფრო მცირე ხალხებისათვის (რომელთა შორის იგი მეგრელებსაც მოიხსენიებდა!): „როდესაც ესენიც უეჭველად მოინდომებენ (ან უფრო სწორი იქნება ვსთქვათ – მოანდომებენ მათნი წინამორბედნი (ე. ი. მონინავე – ვ. კ.) პატრიოტნი) გაცალკეევებას თავიანთ საზოგადოებისას, რადგანაც აქვსთ მათ თავიანთი განსაკუთრებითი ენა“². აქ, ჯერ კიდევ 1872 წელს, ცხადად არის წარმოჩენილი რუსული შოვინიზმის „საყვარელი“ იარაღი საქართველოს წინააღმდეგ: „მცირე ერების და მათი ენის დაცვა ქართველებისგან“. თუმცა ამ შემთხვევაში, თვით რენეგატი გ. მუხრან-ბატონი პასუხობს თავისივე კითხვას. იგი წერს, რომ მეუფე გაბრიელი, როგორც სასულიერო პირი, ალბათ მზად არის ამ ხალხებს ისევე შეუნარჩუნოს ინდივიდუალობა, როგორც ქართველებს.

მეუფე გაბრიელი თავის ალლოთი გაცილებით მეტს ჭვრეტს და შეიცნობს, ვიდრე პოლიტიკანი მეცნიერები. ისეთი, როგორიც გ. მუხრან-ბატონი იყო. ამას მოწმობს მეუფის სვანეთში მოგზაურობის ძალზე საინტერესო ანგარიშიც³. მას ეპისკოპოსი კირიონი

¹ იქვე, გვ. 99, ხ.ერ.ც., დასახელებული ფონდი, ფ. 4. იხ. აგრეთვე ვ. კიკნაძე, ეროვნული მეობა-იდენტობის პრობლემატიკა XIX ს. ქართველი სამღვდელოების შემოქმედებაში; დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენციის „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“, თეზისები, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2004, გვ. 31.

² გ. მუხრან-ბატონის წერილი გაბრიელ ეპისკოპოსისადმი. „მოამბე“, 1896 წ. №3, გვ. 102.

³ სსცსა, ფონდი №489, აღწ. 1, საქმე №23775, ფ. 1-24.

ეხება თავის ნაშრომში. იგი წერდა: „Сванетия, давно не слышавшая архипастырского слова, услышала его из уст преосвященного Гавриила, своего просветителя”¹.

გარდა საერთო, სასულიერო საკითხებისა, მეუფე გაბრიელი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს სვანურ ენაზე, მის წარმოშობა და ჩამომავლობა-ნათესაობაზე. აი, რას წერდა იგი ოფიციალურ ანგარიშში (რომელიც სრულებით არ მოითხოვდა ასეთ საკითხებზე მსჯელობას): „Хотя язык, на котором они (сваны – В. К.) говорят, теперь совершенно непонятен грузинам... но нет сомнения, что сваны одного с ними племени. Доказательством этому следует множество грузинских слов, которые у них употребляют без всяких изменений или в неискаженном виде; общий с имеретинами тип лица, сходство в костюмах и во многих обычаях, как погребальных, так и прочих”². შემდეგ მეუფე აღწერს სვანეთის ეკლესიებს, მათ შიდა და გარე აღნაგობას და მიიჩნევს, რომ ესეც, სვანების, როგორც ქართველი ერის შემადგენელი ნაწილის მაჩვენებელია. მიმოიხილავს რა სვანურ ეკლესიებში დაცულ უამრავ ბრწყინვალე და უძვირფასეს ხატებს, აგრეთვე საეკლესიო აღჭურვილობას, გაბრიელი მართებულად ასკვნის, რომ თავის დროზე, სვანეთი, მთელი საქართველოს განძსაცავს და სამალავს წარმოადგენდა³.

მნიშვნელოვანია მეუფე გაბრიელის ის ოფიციალური მიმონერა გავაანალიზოთ, რომელიც მას ეგზარქოს ვესევისთან, სასულიერო უწყების მოხელე კერსკისთან, მზრუნველ კ. იანოვსკისთან და სხვებთან ჰქონდა. ამ მიმონერას გაკერით ახსენებენ: მ. კელენჯერიძე⁴, ნ. ნადარაია⁵, ავ. ნიკოლეიშვილი⁶; რაც შეეხება ნიკ. დურნოვოს, იგი ამ საკითხზე შემდეგს აღნიშნავდა: „იმერეთის ცნობილი ეპისკოპოსი გაბრიელი... სამართლიანად ამტყუნებდა კავკასიის მხრის მზრუნველს იანოვსკის, რომელმაც მარცხი განიცადა ბე-

¹ Епископ Кирион, Краткий очерк грузинской церкви..., с. 128.

² სცსსა, ფონდი 489, აღნ. 1, საქმე 23775, ფ. 22.

³ იქვე, ფ. 22.

⁴ ხ.ერ.ც., მ. კელენჯერიძის ფონდი, საქმე №101, ფ. 96(4).

⁵ ნ. ნადარაია, გაბრიელ ეპისკოპოსი და გელათის საქმე, გაზეთი „სახალხო განათლება“, 1990, 29 ნოემბერი, გვ. 3-4.

⁶ ავ. ნიკოლეიშვილი; გაბრიელ ეპისკოპოსი..., გვ. 28, 32.

სარაბიელი მოლდაველების ძალდატანებითი რუსიფიკაციის საქმეში და დააპირა მეტად გაიძვერული, მაგრამ ფარული ხერხებით, საქართველოში სამღვდლოებისთვის წაერთმია ხალხის მართლმადიდებლური რწმენის აღზრდის წმინდა უფლება და საეკლესიო-სამრევლო სკოლების მთავარ მიზნად ექცია რუსული ენის შესწავლა და არა სარწმუნოება¹. თვით მიმოწერის ტექსტი, არცერთ ავტორთან არ არის მოტანილი. ხელნაერთა ეროვნული ცენტრის კ. კეკელიძის პირად ფონდში ჩვენ მივაკვლიეთ ამ მიმოწერის სრულ ტექსტს (ჩანს, თვით გაბრიელ ქიქოძის ხელნაერ შავ პირს)², რომლის ანალიზს ქვემოთ წარმოვადგენთ. გაბრიელ ქიქოძის ამ ოფიციალურ მიმოწერას აწერია: „Ответ епископа Имеретии Гавриила (Кикодзе) экзарху Грузии от 25 Апреля 1874 г. на секретное его отношение о выборе смотрителями Тифлисского и Кутаисского духовных училищ лиц, только русского происхождения“.

უკვე სათაურში გამოსჭვივის ის დისკრიმინაციული განწყობა, რასაც საქართველოს მიმართ იჩენდნენ რუსული საეკლესიო და საერო ოფიციალების წარმომადგენლები.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მეუფე გაბრიელი, დასაბუთებულ, მტკიცე არგუმენტებს იშველიებს და სინოდის მესვეურებს კატეგორიულ უარს ეუბნება ისეთი პროექტის განხორციელებაში, რომლის მიხედვით სასულიერო სასწავლებლების მეთვალყურეებად შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ რუსი ეროვნების პირები დანიშნულიყვნენ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მეუფე გაბრიელი რუსეთის სახელმწიფოსთან საქართველოს შეერთებას პროგრესულ მოვლენად თვლიდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს არ უნდა ნიშნავდეს ქართველი ერის გაქრობას, ან მის მიმართ ძალდატანებითი ზომების განხორციელებას. იგი წერდა: „Когда дело идет о замещении служебных мест и должностей в Закавказском) крае, справедливость

¹ ნიკ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი. „განთიადი“, 1990, №10, გვ. 49, იგივე, ბათუმის გამოცემა, გვ. 27.

² ბ.ერ.ც., კეკელიძის საარქივო ფონდი, საქმე №747.

³ ხელნაერთში, რომელიც ოფიციალური წერილის შავი პირია, ბევრი სიტყვა შემოკლებითაა დაწერილი. ასეთი შემოკლებები ჩვენ ყველგან აღვადგინეთ ფრჩხილებში.

ი სმეუ დუმატ, ზრელა პოლიტიკა, ტრებუეტ ნე დელატ ნიკაკოგო ინოგო¹ რაზლიჩია მეჟდუ სოისკატელაიმა, კრომე ბლაგონამერენნოსტი, ჩესტნოსტი ი სპოსობნოსტეი იხ ი ვ ოსობენნოსტი, ნე დელატ რაზლიჩია მეჟდუ ლიცაიმა რუსსკოგო ი ნე რუსსკოგო პროისხოჟენია". მას მიაჩნდა, რომ ასეთი დადგენილება, მხოლოდ რუსეთის და ქართველი ხალხის მონინავე, განათლებული ნაწილის დაპირისპირებას გამოიწვევდა. შემდეგ, იგი უფრო მკვეთრ არგუმენტაციას იშველიებს და წერს: „Если бы природа так распорядилась, чтобы каждый русский выходил и честен и умен и благонадежен, а из грузин никто такими качествами не был бы наделен, тогда, не входя ни в какие рассуждения, все служебные места следовало бы представить первым”². როგორც ვხედავთ, გარდა საკითხის პირდაპირი და არაორაზროვნად დაყენებისა, მეუფის არგუმენტებში გარკვეული ცინიზმიც გამოსჭვივის იმათ მიმართ, ვინც ეს პროექტი შეიმუშავა. მეუფე თავის არგუმენტებს ექვს ნაწილად ყოფს და ამომწურავად, მკაცრი ლოგიკით ასაბუთებს წარმოდგენილი ღონისძიების ცხოვრებაში გატარების დაუშვებლობას; მეხუთე არგუმენტი, მაგალითად ასეთია: „если туземцы (ე. ი. ადგილობრივი მცხოვრებნი – ვ. კ.) будут устраняться, даже от таких второстепенных, исправительно-маловажных мест, какого смотрительское, то вслед за тем, придется прибегнуть к другой мере – закрыть для них двери всех высших учебных заведений Империи, а потом как необходимое последствие последней, закрыть и все средние учебные заведения за Кавказом, ибо чего в них обучаться туземцам, если они не будут допускаемы на службу?” მეუფე კიდევ სხვა არგუმენტებითაც ამაგრებს თავის მოსაზრებას და წერს, რომ ასეთი დადგენილება ეწინააღმდეგება ყველა იურიდიულ ნორმას, რაც კი იმპერიის ფარგლებში იმ დროს მოქმედებდა. ამასთანავე, ის მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ: „...достоинны ли будут такие меры великой христианской Православной Империи?”³.

აქვეა მეუფის მეორე ოფიციალური წერილი, რომელიც ახლა უკვე კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკის რა-

¹ ეს წინადადება სიტყვიდან: „смею думать” ჩანერილია სტრიქონს ზემოთ.

² ხ.ერ.ც., კ. კეკელიძის ფონდი, საქმე №747, ფ. 1-1_ა.

³ ხ.ერ.ც., კ. კეკელიძის ფონდი, საქმე №747, ფ. 2.

პორტს შეეხება. ეს უკანასკნელი, სინოდს ატყობინებდა, რომ დაუშვებელი იყო ადგილობრივი სამრევლო და საკვირაო სკოლები ქართული სამღვდელთა ხელში ყოფილიყო, რადგან: "Оно может послужить во вред стремлению правительства к возможно прочному слиянию окраины с Империей"¹. იანოვსკი წერდა, რომ ქართველებისათვის ისიც ბევრია, რომ ოთხი ეპისკოპოსი ყავთ (ორი ეპარქიალური და ორივე ვიკარული), კეთილმოწესენიც, უმრავლესობა ქართველები არიან, სოფლად სამღვდელთა ქართველები არიან და ა. შ. იგი ამტკიცებდა, რომ ქართული სამღვდელთა ბოროტად იყენებდა თავის მდგომარეობას და ცდილობდა სვანებისა და მეგრელების „გაქართველებას“, მათთვის ბიბლიის ქართულად სწავლების საშუალებით. რუსი შოვინისტი იანოვსკი წერდა, რომ მეგრული და სვანური უფრო შორს იდგა ქართულისაგან, ვიდრე პოლონური და ჩეხური ენები რუსულისაგან². თუმცა, იმავე წერილში, თავისდაუნებურად, კ. იანოვსკის წამოსცდა: „На том основании, что церковные книги у картвельских народов (ხაზი ჩვენია – ვ. კ.) на грузинском языке, детей мингрельцев и сванов прежде всего, обучают грузинскому языку и за тем уже русскому“³.

ამ ციტატაში, როგორც ვხედავთ, ბატონ იანოვსკის წამოსცდა ის ჭეშმარიტება, რომ მეგრელები და სვანები „ქართველურ ჯგუფს“ ეკუთვნიან! თუ ასეა, მაშინ გაგუგებარია, რატომ არ უნდა ესწავლათ მათ ბიბლია ქართულ ენაზე და შემდეგ შეესწავლათ რუსული ენა? იანოვსკი აღშფოთებულია, რომ ღვთისმსახურება ქართულად მიმდინარეობდა არა მარტო მეგრელებთან და სვანებთან, არამედ აფხაზებისთვისაც კი, რომელთაც, მისი სიტყვით, ქართველებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ამიტომ, იმისათვის, რომ აღეკვეცათ „უსამართლობა“, ბატონი მზრუნველი სინოდს სთავაზობდა არ დაეშვათ ქართველი სამღვდელთა მოღვაწეობა დაწყებითი განათლების სფეროში, რადგან ის (სამღვდელთა) ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას და ბავშვებს ქართულს ასწავლიდა⁴.

მეუფე გაბრიელი, ამ შოვინისტ მოხელესაც ძალზე საფუძვ-

¹ იქვე. ფ. 1.

² ხ.ერ.ც., კ. კეკელიძის ფონდი, საქმე №747, ფ. 1.

³ იქვე.

⁴ იქვე, ნაწილი II, ფ. 2.

ლიანად პასუხობს. თავის ოფიციალურ წერილს იგი ასე იწყებს: „Не могу скрыть скорби, которую я испытал по прочтении упомянутого отзыва г(осподина) попечителя. Отзыв этот до крайней степени оскорбителен для всего духовенства груз(инского) экзархата, и даже для всего грузинского народа... Вообще, отзыв г. попечителя производит впечатление допроса, между тем, тяжкие и крайне оскорбительные обвинения не доказываются никакими фактами“.¹ მეუფე საფუძვლიანად განმარტავს იმას, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ უთუოდ თავის მშობლიურ ენაზე უნდა მოისმინოს წმ. წერილი და მათი სულიერი მამებიც ამავე ხალხის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ეს აუცილებელია, რადგან მოძღვარმა თავის ენაზე უნდა გააგებინოს მრევლს წირვაც და ლოცვაც (გამონაკლისი, მისი სიტყვით, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვას, თუ ამა თუ იმ ისტორიულ მომენტში არ არსებობენ მოცემული ხალხის ეროვნების მღვდელმსახურნი, როგორც მაგალითად, ეს იყო მაშინდელ აფხაზეთში). მეუფე აანალიზებს რა ენის საკითხებს, ანზოგადებს მათ და წერს: „Дух Святой для того и сошел на апостолов и научил их разным языкам чтобы все народы и племена услышали благовесть Христова на своем языке“ (ხაზი ავტორისაა) „Какой же это был бы пастырь народа, который бы не знал языка, нравов и обычаев своей паствы?“² შემდეგ, გაბრიელ ქიქოძე ვრცლად მსჯელობს იმის შესახებ, რომ ქართველების ფართო ფენებმა რუსული ენა საკმაოდ კარგად იციან, ზედა ფენებმა კი ქართულზე უკეთესადაც კი; ამიტომ, მისი მტკიცებით, მცდარია ბ-ნ იანოვსკის აზრი იმის შესახებ, თითქოს ქართველ მღვდელთა უმეტესობამ ცუდად, ან საერთოდ არ იცის რუსული ენა. ამავე დროს, მეუფე უარყოფს ქართველთა სეპარატისტულ განწყობილებასაც.³

საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ უკანასკნელი აზრი, გაბრიელ ქიქოძისათვის ჭეშმარიტი იყო, რადგან მისი მოღვაწეობის წლებში, რუსეთის სახელმწიფო ისეთ რყევას არ განიცდიდა, როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისში. მეორე მხრივ, ოფიცია-

¹ იქვე, ნან. 3, ფ. 4.

² იქვე, ნან. 3, ფ. 5.

³ იქვე, ფ. 7.

ლურ, სინოდში გასაგზავნ ნერილში, ასეთი მტკიცება აუცილებელი იყო ქართველთა დისკრიმინაციის კიდევ უფრო გაძლიერების თავიდან ასაცილებლად.

განსაკუთრებით საყურადღებოა გაბრიელ ქიქოძის მსჯელობა სვანებისა და მეგრელების ენის, ნათესაობის და წარმოშობის შესახებ. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მეუფე ამ საკითხში საკუთარ აზლს, ცოდნას და გამოცდილებას ემყარება. იგი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მზრუნველი იანოვსკი ასე ხელალებით მსჯელობს იმ საკითხებზე, რომელთა კომპეტენციაც მას არ გააჩნია. იგი წერს: „Сванеты, особенно же мингрельцы, не такие дикари, которые не могли сами, по преданию предков, определить, какому они принадлежат племени; на этот вопрос они всегда и всякому ответят, что считают себя грузинским племенем”. შემდგომ მეუფეს თავისი არგუმენტები მოყავს, რატომ მიაჩნია სვანები და მეგრელები ქართველური მოდგმისად: „Писменный язык у них был и есть теперь грузинский. Этим языком, они дорожат по настоящее время, считая оный, своим родным языком. Со времени распространения христианства в Грузии вообще и в частности, в Мингрелии и в Сванетии языком богослужебным был и остаётся язык грузинский. Все древнейшие надписи на стенах древних монастырей, церквей и памятников, гуджары, рукописы на пергаментях, дарственные грамоты и прочее, мы видим на грузинском языке”¹.

როგორც ვხედავთ, გაბრიელ ქიქოძე ზუსტად განსაზღვრავს მეგრელთა და სვანთა ქართველი ერის ნაწილად მიჩნევის ძირითად საფუძვლებს. რაც შეეხება ბიბლიის თარგმნას სვანურად და მეგრულად, იგი ამის წინააღმდეგია. გ. ქიქოძე ამტკიცებს, რომ ბიბლიის თარგმანის წინააღმდეგია არა რაიმე პოლიტიკური მოტივით, არამედ იმიტომ, რომ მეგრულსა და სვანურს არ გააჩნიათ სათანადო ლექსიკური მარაგი სასულიერო სფეროში და პრაქტიკული გამოცდილება ამავე სფეროში. ბიბლიის და წმინდა წიგნების ძალდატანებით თარგმნას კი – წერს მეუფე, სავალალო შედეგებამდე და მწვალებლურ ტექსტებამდე მივყავართ². თავისი სიტყვების დასადასტუ-

¹ იქვე, ფ. 7.

² იქვე, ფ. 7.

რებლად მეუფე გაბრიელს მოჰყავს, სინოდის ბრძანების შესაბამისად, სახარების ოსურად თარგმნის სავალალო მაგალითი. იგი წერს, რომ ქრისტიანობის უმთავრესი დოგმატი და წმინდა პოსტულატი – „განკაცება“, ოსურად ითარგმნა როგორც „ხორციანი ნამცხვარი“. ამის შემდეგ, მეუფეს სიტყვით, საჭირო გახდა ასე მკრეხელურად დაბეჭდილი ყველა წიგნის ეკლესიებიდან გამოთხოვა და განადგურება¹. სხვათაშორის, ამ მთარგმნელობით კაზუსს ხაზგასმით აღნიშნავს ნიკოლოზ დურნოვოც. იგი წერს: „ქართველების მეზობლად, გორის მაზრაში მცხოვრები ოსები, ოდითგანვე იყვნენ შეჩვეულნი ქართულ ღვთისმსახურებას და უმრავლესობა თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად. ქართველებისაგან რომ განეცალკევებინათ ისინი, ეგზარქოსებმა ოსურ ეკლესიებში (რომლებიც 50-60-მდეა), ოსურ ენაზე დაიწყეს ღვთისმსახურება და იგი იმდენად დაამახინჯეს, რომ ოსები აღშფოთდნენ და ეკლესიაში სიარული შეწყვიტეს. მაგალითად, სახარების სიტყვა „განკაცება“, ოსურად მკრეხელურად ასე იქნა თარგმნილი „ხორციანი ნამცხვარი“².

მეუფე გაბრიელი ამ მაგალითიდან გამომდინარე ასკვნის, რომ წმინდა წიგნების თარგმნას სხვადასხვა ენაზე და დიალექტებზე, მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ამასთან ერთად, იგი აღნიშნავს: „Если для мингрельцев, сванетов, противу их воли, создать особую письменность и на их наречия перевести богослуженные книги, то ведь тогда пришлось бы это же самое сделать для пшавов, хевсур, тушин...?“³

შემდეგ, გაბრიელ ქიქოძე ვრცლად მსჯელობს ქართველთა ნებაყოფლობით არჩევანზე რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების სასარგებლოდ და შეახსენებს საეკლესიო და საერო მოხელეებს არ დაუშვან სამრევლო-საეკლესიო სკოლებში, რაიმე დისკრიმინაცია, ეროვნული ნიშნის მიხედვით. ასეთი ქმედება, მისი აზრით, გამოიწვევდა: 1) ადგილობრივ მოსახლეობაში დაუმსახურებელი წყენის და დამცირების გრძნობას. მოსახლეობისათვის ნათე-

¹ იქვე.

² ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, „განთიადი“, ქუთაისი, 1990, №10, გვ. 43, იგივე, ბათუმის გამოცემა, გვ. 15.

³ ხ.ერ.ც., კ. კეკელიძის საარქივო ფონდი, საქმე №747, ფ. 8.

ლი გახდებოდა, რომ ხელისუფლება მათ არაფერში არ ენდობოდა.

2) მეუფის სიტყვით, ამ უსამართლო ღონისძიების ცხოვრებაში გატარება, ფაქტიურად, იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას დახშობოდა ყველა სასწავლებლის კარი. ასეთი დასკვნა, მეუფის სიტყვით, ლოგიკურად გამომდინარეობდა, რადგან მოსახლეობისათვის ნათელი იქნებოდა, რომ თუ მას არავითარ, უმცირეს ადმინისტრაციულ თანამდებობასაც კი არ ანდობდნენ, არავითარი აზრი არ ექნებოდა განათლების მიღებასაც.

უნდა დავასკვნათ, რომ გაბრიელ ქიქოძე ცდილობდა ღრმა, ლოგიკური არგუმენტებით და რუსეთის სახელმწიფოს მიმართ ქართველთა კეთილგანწყობის ხაზგასმით, დაეცვა საქართველოს მოსახლეობა რუსული ოფიციალის მორიგი ზენოლისა და შვეინროვებისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ მისმა ავტორიტეტმა, შემართებამ და ლოგიკამ, გარკვეულწილად, მართლაც, ხელი შეუშალა რუსეთის მმართველი წრეების მიერ დისკრიმინაციული ზომების სრული სახით გატარებას.

ძირითადი დასკვნები:

გაბრიელ ქიქოძე შემეცნების პრობლემას დუალისტურად განიხილავს. იდეალისტებისაგან განსხვავებით, მას მიაჩნია, რომ შეგრძნების ობიექტი, რეალურად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს. ამასთანავე, შემეცნების პროცესი, მისი მტკიცებით, სუბიექტური და ზემატერიალურია.

შემეცნება ხორციელდება მხოლოდ ცდის შედეგად (aposteriori) და არ არსებობს არავითარი ცდის გარეშე ცნება.

ეპისკოპოსი გაბრიელი ამკვიდრებს ახალ ფსიქო-რელიგიურ ტერმინოლოგიას: „რელიგიური სიხარული“, „რელიგიური მწუხარება“, „რელიგიული ეჭვიანობა“ და ა. შ.

მეუფეს მიაჩნია, რომ მოძღვრისა და სამწყსოს ურთიერთობის ქვაკუთხედი ქრისტიანული სიყვარული, ურთიერთობა, ურთიერთპატივისცემა.

სამწყსოზე მოძღვრის ზემოქმედების საუკეთესო საშუალება მეუფე გაბრიელს ქადაგება მიაჩნია.

მეუფე თვლის, რომ ქართველი ხალხის მეობის შენარჩუნების მთავარი ფაქტორი ქრისტიანული მოძღვრებაა. ქრისტიანობაა აგრეთვე, ერის ზნეობრივი სრულქმნის უმთავრესი წყარო.

გაბრიელ ქიქოძის აზრით, ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების ძირითადი ფაქტორი, ქრისტიანობასთან ერთად, მშობლიური ენაა.

მშობლიური ენა, სასულიერო და საერო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში უნდა იყოს დაცული, რადგან ეს პრინციპი ბიბლიიდან მომდინარეობს.

მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის და ქადაგების მოსმენის უფლება ყველა ერისათვის სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა იყოს გარანტირებული. გამონაკლისი, შეიძლება დაშვებული იქნას მხოლოდ ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით. კერძოდ, თუ ამა თუ იმ ხალხის ენას (ან დიალექტს) არ გააჩნია: დამწერლობა, საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია და საღვთიმეტყველო ტრადიცია.

გაბრიელ ქიქოძე ყოველგვარი ფანატიზმისა და ექსტრემიზმის სასტიკი წინააღმდეგია, როგორც სასულიერო, ისე საერო სფეროში.

ეპისკოპოს გაბრიელს მიაჩნდა, რომ ჩრდილო კავკასიის და საქართველოს სხვა მეზობელი ხალხების განვითარების შეფერხება გამოიწვია ამ ხალხების მიერ ქრისტიანული რელიგიის (ძალით ან ნებით) უარყოფამ.

გაბრიელ ეპისკოპოსს დაუშვებლად მიაჩნია რომელიმე თანამდებობის აღსრულების დროს, დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნის მიხედვით.

გაბრიელ ქიქოძე მომხრეა საზოგადოების თვითოეული წევრის ზნეობრივი სრულქმნის და თვითწარმავების. საზოგადოების პროგრესი, მას ამ გზით წარმოუდგენია და არა რადიკალური ცვლილებების გზით.

სახელმწიფო მოწყობის საუკეთესო ფორმად, ეპისკოპოსს, მონარქია მიაჩნია, თუმცა თვლის, რომ რესპუბლიკური წყობილება ცხვენებით მისაღებია.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების პირობად, მეუფე

მუდმივ წინსვლას, ცვლილებას მიიჩნევს. ამასთან ერთად, მიაჩნია, რომ ერმა თვითონ უნდა განსაზღვროს, მისი ტრადიციებიდან, რომელია პროგრესისათვის ხელისშემშლელი და ამგვარად უარსაყოფი და რომელია აუცილებლად შესანარჩუნებელი.

ეპისკოპოსი ამტკიცებს, რომ ქართულ ოჯახში ქრისტიანული ზნეობის უპირველესი დამცველი და ტრადიციების შემნახავი უნდა იყოს ქალი, დედა.

მას მიაჩნია, რომ მონინავე (ევროპული) ქვეყნების გამოცდილების გაზიარება უთუოდ მიზანშეწონილია. არ შეიძლება მხოლოდ ყველაფრის ზუსტი მიბადვა და კოპირება. ყოველი რეფორმის გატარების დროს, უნდა გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი თავისებურებანი.

მონინავე ქვეყნების მთავარ მიღწევად, გაბრიელ ქიქოძე მიიჩნევს იმას, რომ ცივილურ ქვეყნებში იდეებისა და მოსაზრებების ჭიდილი და ბრძოლაა და არა პიროვნებების. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება საზოგადოების და სახელმწიფოს შემდგომი წინსვლა-განვითარება.

თავი II. კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ცხოვრება და შემოქმედება

§1. კირიონის ცხოვრების გზა



უაღრესად ტრაგიკული გამოდგა საქართველოს აღდგენილი ავტოკეფალური ეკლესიის პირველი მწყემსმთავრის ბედი. ცხოვრების დიდი ნაწილი კირიონ საძაგლიშვილმა უცხო მხარეში, გადასახლებაში გაატარა, მაგრამ ყველგან, მას მხოლოდ ერთი აზრი ამოძრავებდა: საქართველოსა და მისი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა; დაბოლოს, როდესაც მიზანი მიღწეული იქნა, დიდმა მოღვაწემ და მრავალტანჯულმა მღვდელმთავარმა ერთი წელიც

ვერ შეძლო დამტკბარიყო ამ ძნელი გამარჯვებით – მას მუხანათურად მოუხსნარაფეს სიცოცხლე.

კირიონ II-ის ბიოგრაფია თითქოს ნაცნობიცაა, და ამავე დროს ამოუწურავიც; მხოლოდ მისი გამოქვეყნებული ნაწერები ათეულობითაა, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი კი, კიდევ უფრო მეტი.

გიორგი (მომავალში კირიონ) საძაგლიშვილი დაიბადა მღვდელ იერონიმე საძაგლიშვილის ოჯახში. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე უცილობლად დადგენილი არ არის კირიონ საძაგლიშვილის დაბადების ადგილი, წელი და თვე.

ტრადიციულად, მიღებული იყო, რომ კირიონი დაიბადა საძაგლიშვილთა მშობლიურ სოფელ ქვემო ნიქოზში¹. ამას, თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს, ვინც კი კირიონის ბიოგრაფიას შეხებია².

¹ მ. ჯანაშვილი, უწმინდესი კირიონი, ტფ., 1917, გვ. 4.

² იხ. მაგალითად ს. ვარდოსანიძე, კირიონ II – სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1917-1918), ოზურგეთი 1994, გვ. 5, აგრ. „კირიონ III“, წიგნში: საქართველოს კათალიკოს პატრიარქები, რ. მეტრეველის რედაქტორობით, თბ., 2001, გვ. 175.

1995 წ. ბ. ქოქრაშვილმა გამოაქვეყნა საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, კირიონის ფონდში დაცული ამონაწერის ფრაგმენტი, რომლის მიხედვით, კირიონის დაბადების ადგილად მითითებულია ქვემო მლეთა¹. თითქოს, ამის შემდეგ, ყველაფერი გაირკვა, რადგან კირიონის მამა, მღვდელი იერონიმე საძაგლიშვილი, XIX ს. 50-იანი წლების მეორე ნახევარში, მართლაც, ქვემო მლეთის ეკლესიაში მსახურობდა², მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკითხი ამით არ ამოწურულა. უკანასკნელ ხანს ბ. ქოქრაშვილმა გადასინჯა თავისი ადრინდელი მოსაზრება კირიონის დაბადების ადგილის შესახებ. ამჯერად, კირიონის დაბადების ადგილად, მან მიიჩნია ქ. თბილისი და კონკრეტულად, კირიონის პაპის (დედის მხრივ) სვიმონ გორგასანიძის ოჯახი. ამის საფუძველი მას მისცა თვით კირიონის ავტობიოგრაფიულმა ჩანაწერებმა³. ამგვარად, საკითხი კიდევ უფრო გართულდა. ჩვენი მხრივ, აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ავტობიოგრაფიული ჩანაწერი, ყოველთვის მყარ საფუძველს არ იძლევა საბოლოო დასკვნის გამოსატანად. ამ ტიპის მემუარებში ხშირია უზუსტობა და გაზვიადება. ეს მით უფრო საფიქრებელია, რადგანაც ოფიციალურ მეტრიკულ ჩანაწერში დაბადების ადგილად ქვემო მლეთაა მითითებული. მიუხედავად ამისა, მიგვაჩინია, რომ ზოგიერთი გარემოების გათვალისწინებით, კირიონის თბილისში დაბადების ვერსია, სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. ცენტრალურ საისტორიო არქივში, ჩვენს მიერ მოკვლეული იერონიმე საძაგლიშვილის პირად, ოფიციალურ საბუთებში ვკითხულობთ: „Иероним Садзагелов повенчан... в Тифлисской Иерусалимской Крестовоздвиженской церкви, 11 сего Генваря, (1853 г. – В. К.), с дочерью крестьянина Симона Горгасанидзева, Дариею, девицею... имеющей от роду 15 лет. Протоиерей Чрелаев“ (დასმულია ეკ-

¹ ბ. ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, კირიონ საძაგლიშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურნ. „რელიგია“, №1-2-3, თბ., 1995, გვ. 56-60.

² იხ. მაგალითად, ვ. კიკნაძე, კირიონ II ბიოგრაფიის დაზუსტებისათვის, კრებ. ფილოსოფია, კულტურა, ისტორია, თბ., 2000, გვ. 122-123.

³ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II ეროვნულ-საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი, ავტორეფერატი, თბ., 2001, გვ. 8.

ლესიის ბეჭედი)¹.

შეიძლება დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ რადგანაც იერონიმე საძაგლიშვილმა დარია (დარეჯან) გორგასანიძე თბილისში ოფიციალურად დანიშნა, ჯვარიც იქვე დაინერა. როგორც ჩანს, მეუღლე მან თბილისში, მისი მამის სახლში დატოვა, თვითონ კი 1854 წ. 24 იანვარს გაემგზავრა ქვემო მლეთაში, სადაც მსახურობდა ე. წ. მთის („горский“) მაზრის კეთილმონესედ („ბლალორჩინად“) (1856 წ. იგი ორი წლით ქაისხევის ეკლესიაში გადაიყვანეს, 1859 წ. 10 ნოემბერს კი ანანურის ეკლესიაში გაამწესეს)².

ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვემო მლეთა, დაბადების მონუმობაში იმიტომ გაჩნდა, რომ შვილის (გიორგის) დაბადების მონუმობა იერონიმემ თავის სამსახურის ადგილას, მლეთაში აიღო.

რაც შეეხება ქვ. ნიქოზს, ეს არის, როგორც აღვნიშნეთ, საძაგლიშვილთა საგვარეულო სოფელი, სადაც კირიონის მამა – იერონიმე საძაგლიშვილი დაიბადა მოსე საძაგლიშვილის ოჯახში (იერონიმეს მამა – მოსეც და პაპა – გაბრიელიც სამღვდლო წოდებას ეკუთვნოდნენ)³.

იმას რომ გიორგი (კირიონი) თბილისში უნდა იყოს დაბადებული, მონუმობს კირიონის კიდევ ერთი ბიოგრაფიაც, რომელიც მისი კათალიკოსად არჩევნების წინა ხანებშია შედგენილი; აქაც, მისი დაბადების ადგილად მითითებულია ქ. თბილისი⁴.

თუ ამ საკითხს გადაჭრილად მივიჩნევთ, რამდენიმე მომენტი გიორგი საძაგლიშვილის ბიოგრაფიიდან, მაინც გაურკვეველი რჩება. მაგალითად, იერონიმე საძაგლიშვილის მეუღლის ვინაობის შესახებ, საკმაოდ განსხვავებული მონუმობები არსებობს. კირიონის ნათესავი (ბიძაშვილის შვილი) ვახტანგ საძაგლიშვილი, თავის მოგონებებში დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ კირიონის დედა, „სალომე თუთბერიძის ქალი, იმ დროისათვის კარგად განათლებული

¹ სსცსა, ფონდი №488, აღწ. 1, საქმე №24953, ფ. 5.

² სსცსა, ფონდი №489, აღწ. 1, საქმე №25595, ფ. 95.

³ სსცსა, ფონდი №488, აღწ. 1, საქმე №24953, ფ. 6.

⁴ ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსი კირიონი (ცხოვრება და მოქალაქეობა), ნიგნში სრ. საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II, ქრისტიანული, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის, გამოსცეს ილ. აბულაძემ და ლ. ხუნდაძემ, თბ., 2005, გვ. 2.

იყო¹. მიუხედავად იმისა, რომ, მისი მტკიცებით ეს ინფორმაცია, პირადად კირიონისგან აქვს მოსმენილი 1917 წელს, აშკარაა, რომ აქ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ოფიციალურ დოკუმენტებში (გიორგი საძაგლიშვილის მეტრიკული ამონაწერი, იერონიმე საძაგლიშვილის პირადი საქმე და ა. შ.) კირიონის დედა მოხსენიებულია როგორც „დარია“ (ალბათ „დარეჯან“) გოგრასანიძე. ამას ადასტურებს თვით კირიონიც თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში². ამას გარდა, ანანურის ეკლესიის ეზოში, ჩვენ მივაკვლიეთ კირიონის დედის საფლავს (მის არსებობაზე მიგვითითა ხსენებული ვახტანგ საძაგლიშვილის ქალიშვილმა ქ-ნმა ეკატერინე საძაგლიშვილმა). საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერაა ამოკვეთილი: „Под сим камнем покоится Дария, супруга благочинного священника Садзагелова, скончавшаяся в 1863 г. 23...“ (არ განირჩევა). მართალია, საფლავის ქვაზე კირიონის დედის გვარი მითითებული არ არის, მაგრამ ცხადია, რომ მისი სახელი, „დარია“, ყოფილა და არა სალომე. ამგვარად, საიდან გაჩნდა ეს სახელი და გვარი ვახტანგ საძაგლიშვილის მოგონებებში, გაუგებარია³.

გაურკვეველობაა კირიონის დაბადების წელთან, თვესთან და რიცხვთან დაკავშირებითაც. სხვადასხვა დოკუმენტებში, მისი დაბადების წლად გვხვდება: 1854, 1855, 1856; თვე და რიცხვი მერყეობს 1 იანვრიდან 10 ნოემბრამდე⁴. უპირატესობა აქაც, თვით კირიონის ჩანაწერებს უნდა მივანიჭოთ. მისი ჩანაწერების მიხედვით, იგი და-

¹ ვახტანგ საძაგლიშვილი, გიორგი იერონიმის ძე საძაგლიშვილის ბიოგრაფიისათვის (პუბლიკაცია მოამზადა ეკატერინე (დოდო) საძაგლიშვილმა) გაზ. „ფერისცვალება“ (ბორჯომი), 1996 წ. №4 (ივნისი) გვ. 2-3; აგრეთვე, ვ. კიკნაძე, კირიონ II ბიოგრაფიის დაზუსტებისათვის..., გვ. 123.

² იხ. ხ. ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საისტორიო შეხედულებანი, დისერტაცია ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (ავტორეფერატი), თბ., 2001, გვ. 5.

³ თავის დროზე, ლიახვის ხეობის სიძველეთა მკვლევარმა ი. მეგრელიძემ, სოფ. დისევში დააფიქსირა კიდევ ერთი ვერსია კირიონის დედის გვარის შესახებ. 80 წლის მღვდელმა ალაქსანდრე ოქროპირიძემ მას მიაწოდა ცნობა, რომ კირიონის დედა გვარად ოქროპირიძე იყო. ეს ცნობა, ჩვენი აზრით, მხოლოდ გაუგებრობის ნაყოფია. იხ. ი. მეგრელიძე, სიძველენი ლიახვის ხეობაში, ნაწ. 2, თბ., 1997, გვ. 65.

⁴ ხ. ქოქრაშვილი, დისერტაციის ავტორეფერატი, გვ. 8.

ბადებულია 1855 წ. 10 ნოემბერს¹. არაზუსტია მხოლოდ ის ცნობა, თითქოს გიორგი (კირონი) 4 წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვა-
ლა². ასეთ შემთხვევაში, გამოდის, რომ დარია 1859 წ. გარდაიცვალა.
ამ თარიღს ჯერ ერთი, არ ეთანხმება მისი საფლავის ქვის წარწერა
(როგორც ვაჩვენეთ, საფლავზე დარიას გარდაცვალების წლად 1863
წელია მითითებული); მეორეც, 1867 წელს შედგენილი ერთი ოფიცი-
ალური საბუთი; ამ საბუთში ნაჩვენებია, რომ დაქვრივებულ იერო-
ნიმეს ჰყავდა 12 წლის ვაჟი გიორგი და 6 წლის ნიკოლოზი³ (ე. ი.
1867-6=1861 წ.; ამგვარად, 1861 წელს მაინც, დარია ცოცხალი უნ-
და ყოფილიყო, რომ ნიკოლოზი მოეყვინა ქვეყნად).

კირონის პაპას, მოსე საძაგლიშვილს, ხუთი შვილი ჰყოლია.
ორი ვაჟი: იერონიმე და გიორგი და სამი ქალიშვილი. ამათგან,
იერონიმე ყველაზე უიღბლო გამოდგა, რადგან მის ორივე ვაჟს, გი-
ორგის (კირონს) და ნიკოლოზს მემკვიდრეები ადრე დაეღუპნენ,
და პირდაპირი ჩამომავლები არ დარჩენიათ. მოსეს მეორე ვაჟის, გი-
ორგის შთამომავალი იყო ზაქარია საძაგლიშვილი, რომელიც ასევე
სასულიერო ასპარეზს გაჰყვა. ზაქარია ბოლშევიკებმა დახვრიტეს
რუსში, 1924 წელს. ამის შემდეგ, რევოლუციონერებმა აიკლეს სო-
ფელ ქვემო ნიქოზში მდებარე საძაგლიშვილების საგვარეულო სახ-
ლი, რომელშიც კირონის უამრავი მემორალური ნივთი ინახებოდა⁴.

დანყებიითი განათლება გიორგი საძაგლიშვილმა ანანურის
სამრევლო სკოლაში მიიღო. ანანურის სამრევლო სასწავლებელში
სწავლის დროს, გიორგი საძაგლიშვილს უცდია რელიგიურ თემებ-
ზე ლექსების წერა. ცენტრალურ საისტორიო არქივში შემონახუ-
ლია მისი ამ ხასიათის რამდენიმე ლექსი; ერთ-ერთი მათგანი ასე
იწყება: „თაბორს ოდეს სიტყვა ღვთისა, უცხო ფერად გამობრწყინ-
და“ (1859 წ. 4 იანვარი)⁵.

1862 წელს ანანურის სასწავლებლიდან იგი გორის სასულიე-
რო სასწავლებელში გადადის. აქ გამოჩნდა გიორგი საძაგლიშვი-

¹ იქვე.

² იქვე.

³ სცსსა, ფონდი №489, აღწ. 1, საქმე №25596, ფ. 95.

⁴ ეკატერინე (დოდო) საძაგლიშვილი, მღვდელ ზაქარია საძაგლიშვილის ოჯ-
ახი, წარმომავლობა და ვინაობა, გაზ. „ფერისცვალება“, 1996 წ. №4, გვ. 2.

⁵ სცსსა, ფონდი 1458, საქმე №85, ფ. 1-2.

ლის ღრმა ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი. მწერალი ს. მგალობლიშვილი იგონებს, რომ მან და გიორგიმ შიდა ქართლი ფეხით გაიარეს და თითქმის ყველა ისტორიულად საინტერესო ძეგლი დაათვალიერეს¹.

1869 წლიდან გიორგი სწავლას განაგრძობს თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1876 წ. წარჩინებით დაამთავრა. ამავ ეწეოს, მამამ მას შესთავაზა ღვდლად კურთხეულიყო და მისი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ კირიონმა სწავლის გაგრძელება არჩია კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1880 წელს დაამთავრა. კიევში სწავლისას იგი უკვე გამოირჩეოდა მტკიცე ეროვნული პოზიციით და შემტევი ხასიათით. კიევის აკადემიის დამთავრების შემდეგ, იგი მცირე ხნით ოდესაში მოღვაწეობს, სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ (1880-1883), შემდეგ საქართველოში ბრუნდება და მუშაობს პედაგოგად გორში, ქუთაისში, თელავში, თბილისში (1883-1895 წწ.) გორში მუშაობის დროს, გიორგი საძაგლიშვილი დაქორწინდა გორელი ხელოსნის ქალიშვილზე ანეტა თაბუნიშვილზე, რომელთანაც ვაჟი იორამი შეეძინა².

აღსანიშნავია, რომ 1889 წელს, როდესაც გიორგი საძაგლიშვილი გორის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორად მუშაობდა, მან ამხილა უფროსი მოსამზადებელი კლასის მასწავლებლის ზაქარია დავიდოვის „განსაკუთრებით უზნეო საქციელი“ და მასზე „მოხსენებითი ბარათი“ წარადგინა³. როგორც ჩანს, ამის შემდეგ ჩაისახა მტრობა დავიდოვ-დავითაშვილებსა და კირიონ შორის (მოგვიანებით, დავით დავიდოვი, ზაქარიას ნათესავი, კირიონის დაუძინებელი მტერი გახდა).

გიორგი ინიციატორი იყო ათეულობით სამრევლო საეკლესიო (დანყებითი) სკოლის დაარსებისა და ერთი ასეთი სკოლა დააარსა მშობლიურ სოფელ ნიქოზშიც. ამასთანავე, ნიქოზის სოფლის სკოლას ასობით ძვირფასი წიგნი და ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი შესწირა⁴. 1896 წელს გიორგი საძაგლიშვილს გაბრიელ

¹ ს. მგალობლიშვილი, ჩემი მოგონებები, თბ., 1955, გვ. 19.

² ვ. საძაგლიშვილი, დასახ. სტატია, გაზეთი „ფერიცვალება“, 1996, №4, გვ. 3.

³ იხ. ვ. კიკნაძე, კირიონ II-ის ბიოგრაფიის დაზუსტებისათვის, კრებ. ფილოსოფია, კულტურა, ისტორია, თბ., 2000, გვ. 123.

⁴ ზაქარია საძაგლიშვილი, დიდი მამულიშვილი (კირიონ II), გაზ. „გამარჯვება“ (გორი), 1989, №180, გვ. 2.

ეპისკოპოსის მსგავსი მიმდინამე ხვედრი ხვდა წილად. მას ოჯახის წევრები (მეუღლე და მცირეწლოვანი ვაჟი) დაელუპა. ამის შემდეგ, გიორგი ბერად აღიკვეცა (1896 წ. 2 ნომბერი), სახელი შეიცვალა და ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი გახდა (1898 წ. 10 მაისიდან არქიმანდრიტია). მიუხედავად განცდილი დიდი მწუხარებისა, იგი აქტიურად ებმება საეკლესიო ცხოვრებაში; რას აღარ დასდო მან თავისი ღვაწლი: ხელნაწერთა შესწავლასა და გადარჩენას, ეკლესია-მონასტრების აღდგენას, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, საეკლესიო თუ საერო ისტორიის კვლევას, იყო განთქმული ქველმოქმედი და ა. შ.

გაზეთი „ივერია“ 1898 წ. იუნჯებოდა, რომ კირიონმა ქვათახევიდან ჩამოიტანა და საეკლესიო მუზეუმს ჩააბარა 96 ცალი ხელნაწერი, მათ შორის: XI ს. სახარება, 1494 წ. დაწერილი „დავითნი“ და სხვა მრავალი უნიკალური ძეგლი¹. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მან შესწირა „სიბრძნე სიცრუისა“-ს ხელნაწერი, მოსკოვში, 1825 წ. დაბეჭდილი ქართული ანბანი, სოლომონ II-ის მეფობის დროს დაბეჭდილი „ღვთისმშობლის მინიატურული დაუჯდომელი“². და ა. შ. ამის გარდა, საეკლესიო მუზეუმს მან შესწირა ასობით ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი (მათ შორის ე. წ. „კორიდეთის ოთხთავი“), 1912 წელს კი, მან საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას გადასცა 129 ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი: „ქართულსა, რუსულსა, ინგლისურსა, აფხაზურსა, სვანურსა და ოსურს ენაზე, 206 ტომად“³. წინა წელს, მან ამავე საზოგადოებას 76 ნაბეჭდი წიგნი უძვნა 89 ტომად და ასევე ხელნაწერები, უამრავი ძველი მონეტა (2700), ალბომები და არქეოლოგიური ნივთები⁴. 1909 წელს, ამ უმდიდრესი კოლექციის გადაცემას, იგი საქართველოს საეკლესიო მუზეუმისთვის აპირებდა, მაგრამ ე. თაყაიშვილმა და ეპისკოპოსმა დავით კაჭახიძემ გადააფიქრებინეს და ყველაფერი საისტორიო და საეთნოგრაფო საზო-

¹ გაზ. „ივერია“, 1898, №179, გვ. 274-275.

² ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1958, გვ. 28-29.

³ რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოება, თბ., 1981, გვ. 310; კორიდეთის ოთხთავის შესახებ იხ. კორიდეთის საბუთები, გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1989, გვ. 8-11.

⁴ იქვე, შენ. 1; აგრ. გვ. 21, 80, 94.

გადოებას უანდერძა¹. კირიონის ხარჯზე ასეულობით სტუდენტი სწავლობდა. იგი აფინანსებდა ყველა ქართულ საქმეს² (მაგ. ქართული ლექსიკონის გამოცემას მან 100 მან. შესწირა და ა. შ.).

1898 წ. აგვისტოში კირიონი ალავერდის ეპისკოპოსად აკურთხეს. ალავერდელობა კი ეგზარქოსის ქორეპისკოპოსობასაც (ვიკარობას) ნიშნავდა. ეგზარქოსს ორი ქორეპისკოპოსი ჰყავდა საქართველოში. გორის და ალავერდის. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი რიტმით მიმდინარეობდა. 1900 წელს კირიონი წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. იგი არჩეული იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად (1897) და რუსეთში გამომავალი „საღვთისმეტყველო ენციკლოპედიის“ რედაქციის წევრად. 1901 წელს კირიონი გორის ეპისკოპოსად გადაიყვანეს; 1902 წელს კი, სრულიად მოულოდნელად, იგი საქართველოს მონაწილეს და შორეულ უკრაინაში, კამენეც-პოდოლსკში გაამწესეს³. ეს თითქოს უხმაურო გადაყვანა, სინამდვილეში გადასახლებას ნიშნავდა. კირიონის დევნაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს საეგზარქოსოს მმართველს და საეპარქიო სასწავლო ოლქის მზრუნველს, საღვთო სჯულის მასწავლებელს, შავრაზმელს, დეკანოზ იოანე ვოსტორგოვს (1867-1918). გადასახლების კონკრეტული მიზეზი არსად არ არის დასახელებული, მას მხოლოდ ქართული ეკლესიის ცნობილი ქომაგი ნიკოლოზ დურნოვო აღნიშნავს. მისი სიტყვით, საკმარისი იყო კირიონის მიერ სვეტიცხოველში, საბერძნეთის დედოფლის მიმართ მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმა და ალეგორიულად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს აღმავლობისა და ქართული ეკლესიის გაძლიერების წინასწარმეტყველება, რომ ი. ვოსტორგოვს მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებინა⁴. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მიზეზი უფრო სერიოზული იყო. კირიონისა და ქართველების მდევნელ ი. ვოსტორგოვზე უფ-

¹ ელ. აბრამიშვილი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი (მიმოხილვა) კრებ. „მრავალთავი“, I, 1971, გვ. 364.

² მაგ. ვ. კიკნაძე, ამბროსი ხელაიას უცნობი წერილი კირიონ საძაგლიშვილისადმი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ისტორიის სერია, №1, გორი, 2001, გვ. 25-30.

³ ე. აბრამიშვილი, დასახ. სტატია, გვ. 359.

⁴ ნიკ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, ჟურნ. „განთიადი“, 1990, №10, გვ. 90.

რო დანვრილებით უნდა შევჩერდეთ. ი. ვოსტორგოვი იყო უაღრესად გაქნილი, მაგრამ ჭკვიანი მტერი. 1900 წ. „ივერია“ იტყობინებოდა, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველი ნ. ტატიშვილი შორს, სარატოვის სემინარიაში გადაიყვანეს, მის ადგილზე კი დანიშნეს თბილისის ქალთა I გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებელი ი. ვოსტორგოვი¹. აქედან დაიწყო მისი კარიერა და ქართველების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა. 1901 წ. 9 ივლისს ვოსტორგოვი აირჩიეს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წევრად². 1902 წელს კი თბილისის სათათბიროს ხმოსნად, 4 წლის ვადით, 1906 წლამდე³. იგი (ვოსტორგოვი) იყო აგრეთვე, სინოდალური კანტორის წევრი, ჟურნალ „საქართველოს ეგზარქატის სასულიერო უწყებათა“ რედაქტორი და ა. შ. ვოსტორგოვი ავანტიურისტული ბუნების ადამიანი იყო. მას ბრალად ედებოდა უზნეო ქმედებები თბილისის ქალთა სასწავლებელში, რედაქციის ფულის გაფლანგვა და ა. შ.⁴; თუმცა, ცხადია, ყველა ამ ბრალდებას იგი კატეგორიულად უარყოფდა⁵.

ვოსტორგოვი სიამაყით აცხადებდა, რომ ის იყო კავკასიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების პირველი რუსი ეროვნების მზრუნველი. ვოსტორგოვი ამტკიცებდა, რომ ზემდგომმა ორგანოებმა იგი გამოარჩიეს, როგორც „რუსი პატრიოტი“, რათა მას ებრძოლა: „პოლიტიკან ქართველ მღვდელმთავრებთან, ვინც ეგზარქოს ნიკონის მაგალითზე აჩვენეს, თუ რა შეუძლიათ“⁶. ერთ წერილში, ი. ვოსტორგოვს დაუფარავად მოყავს ის ამოცანები, რაც მას უნდა შეესრულებინა ამ თანამდებობაზე. მისი სიტყვით, სამრევლო საეკლესიო სკოლები საქართველოში გადაქცეული იყო: „В учреждениях религиозно-национальные, развивающие и воспитывающие в населении дух племенной обособленности, служащие убежищем про-

¹ „ივერია“, 1900, №270 (13 დეკემბერი), გვ. 2 (ნ. დურნოვო აღნიშნავდა, რომ არც ტატიშვილი გამოირჩეოდა ქართველთა სიყვარულით).

² სსცსა, ფონდი №493, აღწ. 1, საქმე №983/1068, ფ. 1-2.

³ სსცსა, ფონდი №488, აღწ. 26120/834, ფ. 1-2.

⁴ იხ. Дурново Н. Н., Протоиерей Восторгов и его политическая деятельность, М., 1908, стр. 15-16.

⁵ Восторгов И. И., Клевста Н. Дурново, ответ прот. И. Восторгова, М., 1909, с. 1-55.

⁶ იქვე, გვ. 26 (ნიკონი მოკლეს თბილისში, 1908 წ.).

ტივოდებისა და სხვა სახის დევნების გამო, რომლებიც ხდებოდა ქართველთა მიმართ, ამიტომაც იყო, რომ ი. ვოსტორგოვი სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველად დანიშნისთანავე, სასწრაფოდ მიიღო ზომები, ამ სახის სასწავლებლიდან (სხვა სასწავლებლებიდან, ქართული ენა უკვე განდევნილი იყო) ყოველივე ქართულის ამოსაძირკვად. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ი. ვოსტორგოვის წერილიდან, რომელსაც იგი ეგზარქოსს უგზავნის და რომელშიც გენ. ივ. ამილახვარის ბრალდებებს პასუხობს, ცხადი ხდება მთელი მისი „დამსახუხება“ იმპერიის წინაშე და მისი ქმედებები ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ი. ვოსტორგოვი წერს, რომ მის თანამდებობაზე დანიშნამდე: „В грузинских школах давали 12 уроков по грузинскому языку и 6 по русскому, ... по грузинский обучали насильно осетин и абхазцев, и сванов и кистин и мингрельцев“, ეს „საშინელი დანაშაული“ რომ აღმოეფხვრა, ანუ ქართული ენა რომ საერთოდ განედევნა პირველდანიწყებითი სკოლებიდან, მეგრელების, სვანების, ოსების და აფხაზებისათვის კი ქართული წირვა-ლოცვა შეეცვალა რუსულით: „Пришлось много поработать над устранением этих недостатков и придется и еще много, много потрудиться“¹. ვოსტორგოვი ამბობს, რომ მან გახსნა დანიშნებითი სკოლები ქრისტიანი სირიელებისათვის, ოსებისათვის, 36 ახალი სკოლა რუსებისათვის (სიღნაღში, ლაგოდეხში, მეფის წყაროში (ახლანდელ დედოფლისწყაროში), თბილისის უბან საბურთალოში და ა. შ.), 60 სკოლა ბერძნებისათვის². ე. ი. ყველასათვის, ქართველების გარდა. ყველაფერთან ერთად, ის კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ: „В самое последнее время, в 150 школах Мингрелии и Сванетии (ე. ი. ფაქტობრივად აბსოლუტურად ყველა სკოლაში! – ვ. კ.) совершенно прекращено преподавание грузинского языка, который для менгрельцев и сванов является непонятным“³ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

¹ იქვე, გვ. 27 (ი. ვოსტორგოვის ციტატა, მოხმობილია სამრევლო სკოლების შესახებ წარდგენილი მისი ოფიციალური ანგარიშიდან).

² სცსსა, ფონდი №488, აღნ. 1, საქმე №27107, ფ. 1v (წერილი უთარილოა, მაგრამ რადგან მასში კირიონი უკვე ბალტის ეპისკოპოსად იხსენიება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის დანიშნულია 1903 წელს).

³ იქვე, ფ. 2v.

⁴ იქვე, ფ. 9.

წერილის ბოლოს ვოსტორგოვი ცინიკურად მოიხსენიებს უდიდესი ავტორიტეტის მქონე გმირ გენერალ ივ. ამილახვარს, რომელსაც თურმე არ ჰქონდა: „უფლება ელაპარაკა მთელი ქართველი ხალხის სახელით“. ამასთან, ვოსტორგოვი ჩივის, რომ ნაციონალისტ ქართველებს არ ესმით მისი დიდი წვლილი საქართველოს წინაშე¹.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ვოსტორგოვი იყო საქართველოში რუსული შევრაზმული ორგანიზაციის „ნესრიგის მომხრეთა პარტიის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი². განთქმულია მისი სიტყვები, რომლებიც, მოგვიანებით, მან კირიონის მისამართით წარმოთქვა: „მას დავახრჩობ, მთელ საქართველოს კი სისხლით მოვრწყავო“³. საბედნიეროდ, ქართველთა ამ დაუძინებელ მტერს, თვით რუსი ხალხის წიაღშიც გამოუჩნდნენ მამხილებლები. პირველი მათგანი იყო ნიკოლოზ დურნოვო (1870-1937), რომელმაც არაერთი სტატია და საგაზეთო წერილი მიუძღვნა ვოსტორგოვის მხილებას. ამავე დროს, დურნოვო მტკიცედ იცავდა ქართველი ხალხის უფლებებს⁴. ვოსტორგოვს და მის შევრაზმულ პარტიას, ძალზე უარყოფითად მოიხსენიებდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი დონის სახელმწიფო მოღვაწე, ერთ დროს ფინანსთა მინისტრი, შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი სერგეი ვიტე (1849-1915). იგი წერდა: „Большинство из правых, ...как например: Дубровин, Коновницын, ВОСТОРГОВ и сотни подобных лиц, все это такие негодяй, которые под видом защиты консервативных принципов, под видом защиты сомодержавия, государя и русских начал, исключительно преследуют свои личные выгоды и в своих действиях не стесняются ничем, идут даже на убийства и на всякие подлости“⁵ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

ასეთი იყო ვოსტორგოვი. იგი შესანიშნავად მიხვდა ვინ იყო ქართველი ხალხის ინტერესთა უპირველესი და უკომპრომისო

¹ იქვე, ფ. 6-8.

² ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921 წწ., თბ., 1997, გვ. 208-209.

³ გაზ. „მოამბე“, 1909, №33, გვ. 2. აგრ. ს. ხუციშვილი, „აქსიოს“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №23, გვ. 1.

⁴ იხ. მაგალითად, Дурново Н. Н., Протоирей И. Восторгов и его политическая деятельность, М., 1908, с. 45.

⁵ Витте С. Ю., Избранные воспоминания, Москва, 1991, с. 184.

დამცველი სამღვდელო წოდებაში. სწორედ ამიტომ ამოიღო ვოსტორგოვმა კირიონი მიზანში და მეთოდურად, ვერაგულად დაუნყო მას შევინროვება და დევნა. ისე ჩანდა, რომ მის პარპაშს საქართველოში ბოლო არ უჩანდა, მაგრამ 1905 წლის რევოლუციის მოახლოებამ ვოსტორგოვის და მისი დასის გეგმებს ხელი შეუშალა. იგი სასწრაფოდ გაემგზავრა რუსეთში და უკან აღარ დაბრუნებულა. მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი, ერთ გამოუქვეყნებელ მოგონებაში წერს, რომ ქართველი საზოგადოება ისე იყო აღშფოთებული ვოსტორგოვის ძირგამომთხრელი საქმიანობით, რომ ტერორისტები მზად იყვნენ მოეკლათ იგი, მაგრამ 1904 წ. მაისში, ვოსტორგოვმა საშიშროება იგრძნო და რენეგატ ეპისკოპოს ე. ელიამ-ვილთან ერთად, სასწრაფოდ დატოვა საქართველო¹. ი. ვოსტორგოვი რუსეთში კი გაიქცა, მაგრამ ქართველების და კირიონის დევნა იქიდან განაგრძო. 1904 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგის სასწავლო მუზეუმში მან მოხსენება წაიკითხა ქართველების შესახებ; ამ ცინიკურ მოხსენებაში, ქართველთა მოთხრა-დაგების გარდა, მამა ვოსტორგოვმა მანამდე „საყვარელი“ ოსებიც აუგად მოიხსენია (უნოდა მათ „ფრიად დაცემული ზნეობის ხალხი“). ქართველებზე კი მას ასეთი რამეც უთქვამს: „ჩინარის ჩრდილქვეშ მძინარე ქართველი, თავის ჭრელ შარვალს ღვინის ფერად ასველებს. ქართველებმა არ იციან ლოცვა, არ ატარებენ ჯვარს“². მისი ამ განთქმული მოხსენების შესახებ, ნ. დურნოვო აღშფოთებული აღნიშნავდა, რომ ი. ვოსტორგოვი ქართველებს ასე იხსენიებდა: „სიცრუეზე, გამცემლობაზე და სისხლზე გაზრდილი ბარბაროსები, უმადურნი, მუხანათნი, უსირცხვილონი და ბრძოლის საშუალებებში გაუგებარნი“³. აი, ასეთი „ზედამხედველი“ და „მზრუნველი“ ჰყავდა ქართულ სამრევლო საეკლესიო სკოლებს და მთლიანად საქართველოს!

ამგვარად, 1902 წელს, ვოსტორგოვის აშკარა მითითებით, კი-

¹ ს. მგალობლიშვილი, ჩემი ავტობიოგრაფია (ხელანწერი), გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ს. მგალობლიშვილის საარქივო ფონდი, საქმე №15676, ფ. 69; თვით ვოსტორგოვის მოწმობით, იგი რუსეთში, „საქმეზე“ გაემგზავრა 1905 წ. მარტში. იხ. მისი Клевета И. Дурново... с. 47.

² დეკანოზ ი. ვოსტორგოვის მოხსენება, ურნ. „მწყემსი“, 1905, №8, გვ. 5-6.

³ ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი „განთიადი“, გვ. 77; იგივე, ბათუმში, 1990, გვ. 80.

რიონი საქართველოს მოამორეს და შორეულ კამენეც-პოდოლსკში გადაისროლეს. ი. ვოსტორგოვი კი უსინდისოდ ცრუობდა, რადგანაც წერდა: „Кирион, сам, по собственному прошению, уехал с Кавказа (ხაზი ავტორისაა – ვ. კ.) и ушел вследствие того, что сделал заведомо и нагло ложный донос на русского протоиерея о. Юницкаго (в г. Баку), ложь еп. Кириона была обнаружена. Некрасивый замысел его, вытеснить русского и поставить на место его, в русский приход, своего грузина, открылся; предстояло Синодальной конторе судить епископа Кириона (она имеет на то права) – и Кирион счел нужным убраться с Кавказа”¹.

ეს ამონაწერი, თვალნათლივ აჩვენებს, როგორი მეთოდებით ებრძოდა კირიონს ი. ვოსტორგოვი. საქართველოდან წასვლა, კირიონს, არა თუ ნებით, არაფრით და არანაირად არ სურდა! ამაზე მეტყველებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მისი მოხსენებითი ბარათი („რაპორტი“) საეკლესიო ხელისუფლების სახელზე, სადაც იგი ირწმუნებოდა, რომ ავადმყოფობის გამო, არ შეეძლო ჩრდილოეთში სამსახური და ამ თხოვნას სათანადო სამედიცინო ცნობითაც ამაგრებდა². იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ ვოსტორგოვის ორპირობაში და სიყალბეში, მთლიანად წარმოვადგენთ მის ბარათს კირიონისადმი, რომელიც დაწერილია უშუალოდ კირიონის რუსეთში გადასახლების დროს (1902 წ. 28 მარტი):

„Ваше Преосвященство, достопочтенный Владыко Милостивый Архипастырь!

Слово Ваше о г-дине Кончели будет исполнено мною при первой возможности, с любовным Вам послушанием. Пользуюсь случаем, чтобы из'яснить Вам мою тугу сердечную. Как знать, как знать, что как раз в то время, когда я готовился под Вашим водительством служить религиозным интересам священной Иверии (?! – В. К.) и в Вас готовился найти опору противу козней и перетолкования моих действия, как раз в это время, Вы нас оставляете (?! – В. К.) Будущее страшит меня... Благодарю Вас, добрый Владыко, за добрые слова, которое Вы сказали обо мне Высокопреосвященному. Дай Господь, что в России (по) возможной мере оценили достоинства Ваши – изумитель-

¹ Прот. И. Восторгов, Клевета Н. Дурново..., с. 51.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი № 10 (1902 წ. 8 მაისი).

ნოე ტრუდოღბიე, პრედანნიი პოსტ-ცერკოვნუი, პროსტოტუ, შედროსტუ ი ნესტუჟატელნოსტუ, ოტზუივჩივოსტუ ნა დელა ბლაღიე. ეი, ეი, პიშუ ვამ სიე ოტ დუში ი დეი ბოგ, სკორო ოსლუშატუ ცუ ვუ ვოსელი ნა პრესტოლ ეპარხიალნიი, არხიერეა. პროსტიე ი ბლავოსლოვიე! პროსტიე ჯა ვსე პროსლოე, ვ ცემ ი. ვოლნო ი ნევილნო გრესენ პრედ ვამი, პროსტიე ი ჯა ეტო დერზოსტნოე-პიშუო. ბლავოსლოვიე მენი, ოტ იმენი გოსპოდნი!"

ვამ ლობოვოუ პოკორნიი პოსლუშნიკ, გრესნიი პროტოიერეი – იოანნი ვოსტორგოვ, 27 მარტა 1902 გ. ტიფლისი¹. ნერილს თან ახლავს კირიონის მოკლე, საგულისხმო მინაწერი: „ვიცი, ძალღის თავე სადაც მარხია! ე. კ.“

თითქოსდა კეთილი მიზნებით შედგენილი ეს წერილი, ალბათ; ყველაზე უკეთ ახასიათებს ვოსტორგოვის ორპირობასა და უაღრეს ფარისევლობას. წარმოდგენილი წერილის კეთილგანწყობილი გარეგნული ფორმის მიღმა; ცინიზმი და ვერაგობა გამოსჭვივის. თუმცა კირიონმა, როგორც ვაჩვენეთ, ერთ ფრაზაში, ლაკონურად გამოხატა თავისი აზრი ვოსტორგოვის დათაფლული ენით დაწერილ ამ ეპისტოლეზე.

ი. ვოსტორგოვის განსაკუთრებულ გააფთრებას ის იწვევდა, რომ ცნობილი მეცნიერი, ამასთან, მონარქისტი ნიკოლოზ დურნოვო, კირიონს „ქრისტესდარ“, „მოციქულებრივ მოძღვარს“ უწოდებდა და მის დასაცავად რუსეთში დიდი კამპანიაც გააჩაღა. 1909 წელს, როდესაც კირიონს კიდევ უფრო მძიმე გადასახლება მიუსაჯეს, დურნოვო სინოდს აფრთხილებდა; რომ. თუ კირიონის უდანაშაულობას არ სცნობდნენ, იგი 200.000 საპროტესტო წერილს დაწერდა და მთელ რუსეთში გაავრცელებდა². თავის მხრივ, კირიონი ნ. დურნოვოს შესახებ წერდა: „გამოგვიჩნდა რუსეთში ღვთისწიერი და პატიოსანი ადამიანი ნ. ნ. დურნოვო, რომელიც უშიშრად ქადაგებდა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაზედ. ჩვენც ამოვუდექით მას გვერდში და შეუდექით საქმეს. არავის არ ეგონა, რომ დურნოვო რუსი იყო. ფიქრობდნენ, რომ მე, ჩემი გვარი (საძაგლიშვილი) რუსულად გადავსთარგმნე და მე

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №720, ფ. 1-2. როგორც ჩანს, წერილში იგულისხმება პოეტი სანდრო ყანჩელი („Кончели“), რომელმაც კირიონს წიგნის მალაზიის გახსნაში ხელშეწყობა სთხოვა; ხ. ი. კირიონის ფონდი, საბუთი №292 (1907 წ. 17 ივნისი).

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საქმე №295.

მანერამდნენ ამის ცხელ-ცხელ სტატიებს”¹.

საინტერესოა, სავარაუდოდ, ისიც დავადგინოთ, რატომ შეირჩა კირიონის ვითომდა „ნებაყოფლობითი გამგზავრების“ საწყის პუნქტად სწორედ კამენეც-პოდოლსკი. ეს პატარა ქალაქი 40.000 მცხოვრებით, მდ. დნესტრის შუა წელზე მდებარეობს; კირიონის გადასახლების დროს, იგი მოსახლეობის სიჭრელით გამოირჩეოდა, რადგან რუსეთის შემადგენლობაში, კამენეც-პოდოლსკი მხოლოდ 1795 წლიდან მოექცა. ქალაქის მართლმადიდებელი სამწყსო, მთელი მოსახლეობის უმცირეს ნაწილს შეადგენდა, რადგან მოსახლეობის 51% ებრაელები, 32% მალოროსები და 16%-ს პოლონელები შეადგენდნენ². ამგვარად, კირიონის ამ ქალაქში გადაყვანით, კიდევ ერთხელ დაამცირეს მისი თავმოყვარეობა, როგორც მღვდელმთავრისა, მაგრამ კირიონი ჩასვლისთანავე ჩაება თავდადებულ საეკლესიო საქმიანობაში. პირველ რიგში, მან მთავარ ტაძართან, ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო მუზეუმი დააარსა, რომ მისი არსებობის აღნიშვნა, ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაშიც კი საჭიროდ მიიჩნიეს³. ნიკ. დურნოვო კირიონის გადასახლების ამ პერიოდის შესახებ წერდა: „კამენეც-პოდოლსკში, ხერსონში, მეუფემ (ე. ი. კირიონმა – ვ. კ.) დააარსა საეკლესიო სიძველეთა მუზეუმი. რუსულ მრევლს იგი უყვარდა. ორიოლის სამწყსომ, მისი სახელი დაარქვა მამაკაცთა თავშესაფარს, რომელზედაც ეპარქია მზრუნველობდა. და ეს ყველაფერი სამნახევარი წლის განმავლობაში“⁴. ორიოლის ხსენებული თავშესაფრისათვის კირიონს 10.700 მან შეუწირავს; იაპონიასთან ომის მონაწილეთათვის და დაჭრილებისათვის კი ეპარქიაში შეგროვილი 67.000 მენეთის ღირებულების ტანსაცმელი და სხვა დახმარება გაუგზავნია, რისთვისაც დედო-

¹ გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის კირიონის არქივი, საქმე №11245 9სიტყვა წარმოთქმული თ. ჟორდანიათა საფლავზე 1917 წ., ფ. 2. ნ. დურნოვოს შესახებ იხ. ჩვენი შრომა, „სამარადისო მარავანდედი“, კათალიკოს პატრიარქ კირიონ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა, კრებ. ქრისტიანობა საქართველოში, თბ., 2000, გვ. 72, შენ. 11.

² Статья «Каменец-Подольск», Малый энциклоп. словарь Брокгауза и Ефрона, т. I, ч. 2, СПб., 1907,

³ იქვე.

⁴ ნიკ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი (ბათუმი), 1990, გვ. 99 (ყურნალ „განცვიადის“ პუბლიკაციაში, ეს აბზაცი, საერთოდ გამოტოვებულია, იხ. გვ. 87).

ფალ მარიამ თევდორეს ასულის (ნიკოლოზ II-ის დედის) პირადი მადლობის დეპეშა მიუღია¹.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, არ შეიძლება კვლავაც არ გავიხსენოთ ი. ვოსტორგოვის მორიგი ცილისწამება გადასახლებულ კირიონზე, რომელსაც, სულ ცოტა ხნის წინ, ერთგულებას ეფიცებოდა: „Неизвестно еще куда Кирион дел до 60000 р. собранных им в г. Орле на русских войнов и раненных, во время последней войны“² (იგულისხმება რუსეთ-იაპონიის ომი – ვ. კ.).

ი. ვოსტორგოვის იმ მორიგ ბოროტ დაბეზლებაში ყურადღებას ის იქცევს, რომ: უცნაურია, საიდან იცოდა ვოსტორგოვმა კირიონის მიერ შეგროვილი თანხის შესახებ, ხოლო თუ სპეციალურად დაინტერესდა ამ საკითხით, მაშინ ისიც უთუოდ ეცოდინებოდა, სად წავიდა ეს უზარმაზარი შემონირულობა (გავიხსენოთ, რომ დედოფალ მარიამ თევდორეს ასულის მადლობის დეპეშა 1904 წლით თარიღდება, ვოსტორგოვის წიგნაკი კი, 1909 წელს დაიბეჭდა!) ერთადერთი დასკვნა, ის არის, რომ მან ძალიან კარგად იცის საქმის რეალური ვითარება, მაგრამ შეგნებულად შეცდომაში შეჰყავს რუსეთის საზოგადოება! ი. ვოსტორგოვის ხსენებულ ბროშურაში კიდევ ის არის საინტერესო, რომ კირიონის და სხვა ქართველების ძაგებასთან ერთად (ის ყველას, ვინც კირიონს ექომაგება, ადანაშაულებს სიცრუეში, შეზღუდულობაში, ბრძოლის მეთოდების განურჩევლობაში, ტერორში და ა. შ.), ვოსტორგოვი, ყოველგვარი მორიდების გარეშე, უსაზღვროდ აქებს საკუთარ თავს. ყველაზე ორიგინალური მაინც ის არის, რომ ყოველ ასეთ საქებარ სიტყვას ის ადასტურებს მორიგი რუსი (ან რენეგატი უცხოტომელის) „ცნობებით“. ანუ, თვითეულ მის დითირამბს მიცემული აქვს ოფიციალური საბუთის, „ცნობის“ ან „მონმობის“ („удостоверение“) ფორმა. სამაგალითოა ქ. მაიკოპის მცხოვრების, ვინმე ვ. ჰოფმანის (რომელსაც ცოლის მკვლელობა ედებოდა ბრალად) ასეთი „მონმობა“: ვ. ჰოფმანი, სხვა ეპითეტებთან ერთად, ვოსტორგოვს უწოდებს: „ნათელ პიროვნებას“ („Светлая личность“), „რომლის შესახებ საუ-

¹ ხ.ერ.ც. კირიონის ფონდი, საქმე №825 (1904 წ., 14 დეკემბერი).

² И. Восторгов, Клевета Н. Дурново, ответ протоиерея И. Восторгова, М., 1909, с. 51.

კეთესო მოგონებები სამუდამოდ გრჩება”, რომ ვოსტორგოვი არის: „უმალესი ზნეობის (высоко нравственный), სხვისი ჭირის მიმართ გულისხმიერი“¹.

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ ერთ-ერთ ასეთ „ცნობას“ (1908 წ. 15 ივნისი, №20512) ხელს აწერს საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის მდივანი, კირიონის ბიოგრაფიაში ავბედიტი როლის შემსრულებელი პიროვნება – დავით დავიდოვი².

ვოსტორგოვის პიროვნებაზე საგანგებოდ იმიტომ შევჩერდით, რომ ნათელი გახდეს, ვინ იყო კირიონის მდევნელი და უპირველესი მტერი. ამიტომაც, რომ კირიონის პირად ფონდში უამრავ ნერილს ვხვდებით, სადაც ის კიდევ და კიდევ უბრუნდება ვოსტორგოვის ხრიკებს³. ვოსტორგოვის პიროვნება, რომ დღევანდელი რუსი შოვინისტებისათვისაც მისაღები მაგალითია, იქიდან ჩანს, რომ ქართველებისთვის ვერაგულად წართმეული ახალი ათონის მონასტრის თანამედროვე რუსმა ბერებმა, 1996 წ. ხელმეორედ, სალონიკში დაბეჭდეს ი. ვოსტორგოვის უაღრესად ტენდენციური ბროშურა ამ მონასტრის ისტორიის შესახებ⁴.

ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ახალი ათონის მონასტრის ისტორია და ვაჩვენეთ, რომ ვოსტორგოვისა და სხვა რუსი შოვინისტების მიერ, ეს მონასტერი ჩაფიქრებული იყო ანტიქართული (შეიძლება ითქვას, საერთოდ ანტიკავკასიური) პოლიტიკის ცენტრად ამიერკავკასიაში⁵.

გადასახლებული მეუფე არ კარგავს სულის სიმტკიცეს. იგი წერდა: „კაცის სიცოცხლეში სამი შესანიშნავი ხანაა: დაბადება, სიცოცხლე, სიკვდილი. პირველს, უნებლიედ ორივე მოსდევს; ვერა ხორციელი კაცი ამ კანონს ვერ ასცდება. როგორც კაცს ნება არა აქვს დაჰმოს თავისი დაბადების დღე, აგრეთვე არ უნდა დაემდუ-

¹ იქვე, გვ. 17.

² И. восторгов, Клевета. Н. Дурново... с. 49.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთები: №281, 304, 312, 350, 382, 384, 504, 510, 511, 516, 517 და ა.შ.

⁴ Протоиерей Иоан Восторгов, Очерк Ново-Афонского Симоно-Кананитского монастыря, Изданис Ново Афонского Симоно-Кананитского монастыря, Салоники, 1996.

⁵ ვ. კიკნაძე, ახალი ათონი – რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის დასაყრდენი ამიერკავკასიაში, ჟურნ. „ლოგოსი“, 2003, №1, გვ. 72-78.

როს ცხოვრების ჩარხისაგან მისთვის მინიჭებულ ბედს"¹. კირიონმა წესად შემოიღო, რაც უფრო მძიმე იყო გადასახლება, მით უფრო მეტს მუშაობდა. ამასთან, მისი თვალსაწიერი ძალზე ფართო იყო და არ იფარგლებოდა მხოლოდ ქართული სინამდვილით. იგი იკვლევდა იმ სინამდვილებსა და ღირსშესანიშნაობებსაც, რომლებიც მისი გადასახლების ადგილებთან იყო დაკავშირებული. კამენეც-პოდოლსკში მან დაწერა არა ერთი გამოკვლევა, როგორც საეკლესიო, ისე საერო საკითხზეც. ერთ-ერთი იქ გამოცემული შრომაა: «Колонизация армян в Юго-Западной России» (1903), ამ წიგნის თაობაზე იგი იოსებ ჩიჯავაძეს სწერდა: «რომ წაიკითხამ, ცერცვსავით ხტუნაობას დაიწყებ»². იმ ხანებში მან აღმოაჩინა ა. გრიბოედოვის განთქმული ქმნილების «ვაი ჭკუისაგან» ახალი ვარიანტი. კირიონმა ამ ხელნაწერის შესახებ დაწერა გამოკვლევა და 1903 წ. გამოაქვეყნა დიდტანიან კრებულში «Весь Кавказ» (რედაქტორი ბ. ესაძე) ამას გარდა, ამავე კრებულში მან ხუთი სხვა, ფართო თემატიკის ნარკვევი მოათავსა. მხოლოდ მათი ჩამოთვლაც კი აჩვენებს რა დი-აპაზონის მკვლევარი იყო კირიონი: «ქრისტიანობის მდგომარეობა აფხაზეთში XIX ს. I მეოთხედში...», «მცხეთის ტაძარი და მისი რესტავრაცია», «ანანურის ათეშგა», «ხალხური ჩვეულებანი და მათი მნიშვნელობა», «ქარისტიკარული სისტემა და მისი გავლენა საეკლესიო ურთიერთობებზე ძველ საქართველოში»³.

კირიონი, კამენეც-პოდოლსკშიც არ გააჩერეს დიდხანს და 1903 მაისში, ხერსონში გადაიყვანეს. 1903 წ. 16 მაისს კირიონი ი. ჩიჯავაძეს სწერდა: «გავიგე, რომ გადაყვანილი ვარ ხერსონის მეორე ვიკარნად. მე მგონი ვიცხოვრებ ხერსონში. იქ გაცილებით სჯობიან»⁴. რუსეთის სინოდი თითქოს შიშობდა, რომ რომელიმე ეპარქიაში დიდხანს გაჩერებით, კირიონის დიდი ავტორიტეტი არ მოეხვეჭა და მას ჩქარ-ჩქარა უცვლიდნენ კათედრებს. მრევლის სიმპათიას მის მიმართ, კირიონიც აღნიშნავდა: «მეტის-მეტი გაზვიადე-

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №199 (1902 წ. 30 ნოემბერი).

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №200 ფ. 1.

³ ეპისკოპოსი კირიონი, ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი, რუსულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო დეკანოზმა მ. ჭაბაშვილმა, თბ., 1998, გვ. 9.

⁴ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №406, ფ. 16.

ბული აზრი გაერცელდა რუსეთში ჩემზედ, როგორც ისტორიკოს-ზედ და არხეოლოგზედ. განა მარტო სასულიერო ნოდება, ყველა, ვინც კი ბეჭდურ ნაწარმოებს კითხულობს, დიდის მოწინებით მექცევა¹. ხერსონში კირიონმა დანერა გამოკვლევა იქაური საქორეპისკოპოსოს ისტორიის შესახებ. მონოგრაფია 12 თავის და ორი დამატებისგან შედგება². ხერსონის „ეპარქიალურ უწყებებში“ მან კიდევ რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა: „კარლოვიცის შესანიშნავი სუდარა 1756 წლისა“ (1904 №10), „საეკლესიო სწავლათა კრებული მალოროსიულ ენაზე, 1688 წლისა“ (1905, №4); გამოგზავნა სტატიები საქართველოშიც: „ქართულ ენაში უცხო სიტყვათა ხმარების შესახებ“ („ივერია“ 1904 №35), „სახელგანთქმული მომღერალი – მეთარე ასლან ხურდაყულიშვილი“ („ივერია“ 1904 №124) და სხვა.

1904 წ. ორიოლში კირიონს საკუთარ წიგნებს უგზავნის და მათზე აზრის გამოთქმას სთხოვს ცნობილი ფილოსოფოსი, მწერალი და თეოლოგი ვასილ როზანოვი. აქვე, ისიც აღსანიშნავია, რომ ვ. როზანოვი, კირიონთან ერთად, უდიდეს პატივისცემას გამოხატავდა მისი დაუძინებელი მტრის ი. ვოსტორგოვის მიმართაც³.

1906 წელს, მოულოდნელად, კირიონს ნება დართეს სოხუმში ჩამოსულიყო და იქაური ეპარქიისადმი ეხელმძღვანელა. ეს გადაწყვეტილება აიხსნება ქვეყანაში შექმნილი რევოლუციური სიტუაციით. ამასთანავე, პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის კირიონისადმი კეთილგანწყობით⁴. კირიონმა საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო ზრუნვა სოხუმში და საერთოდ აფხაზეთში, წირვა-ლოცვის ტრადიციულ საეკლესიო, ე.ი. ქართულ ენაზე წარმართვისათვის. ეს მას დიდ დანაშაულად ჩაუთვალეს. კირიონის

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №406, ფ. 4.

² Епископ Кирион, Церковно-исторический очерк основания в Херсоне Викариата и его жизнедеятельность (1853-1903), Одесса, 1905 (183 стр.).

³ Письмо В. Розанова И. Восторгову ЦГАЛИ (Центр Гос. Арзив Литер. и Искусства), фойд №1797, оп. 1, Ед. хр. 20; იხ. ვ. კიენაძე, კირიონ II-სა და ვასილი როზანოვის ურთიერთობის ისტორიიდან, კრებ. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, (თსუ გამოცემა), ტ. XXI, თბ., 2005, გვ. 13-20.

⁴ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №263 (1906 წ. 27 თებერვალი); შდრ. [Э. Бубулашвили], Общая характеристика св. священномученика Кириона II (Садзаглишвили), в книге: Культурная роль Иверии истории Руси, ротопринтное издание, Тбилиси, 2005, с. 9.

სოხუმის კათედრაზე დანიშვნას და იქ შექმნილ მდგომარეობას შესანიშნავი სტატია უძღვნა არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ. იგი წერდა, რომ 1906 წ. გაზეთ „კოლოკოლის“ №55-ში ანტიქართული იდეებით შეპყრობილმა ანონიმმა (ფსევდონიმით „რუსი“) კირიონის სოხუმში დანიშვნა რუსული საქმისათვის დამლუპველად მიიჩნია: «В этой статье, автор, укрывшийся под псевдонимом «Русский», набрасывает тень на деятельность преосвященного Кириона, назначенного на Сухумскую кафедру; выставляет его человеком узко-националистического направления и назначение его на означенную кафедру, считает пагубным для русского дела в Сухумской епархии»¹. ამბროსი ხელაია მიუთითებდა, რომ იმპერიისთვის დამლუპველი იყო არა კირიონის იქ დანიშვნა, არამედ ვოსტორგოვისა და სოხუმის ეპისკოპოსის არსენის და მსგავსი პირების ანტიქართული და ანტიჰუმანური ქმედებები. იგი წერდა, რომ სააღდგომოდ, სოხუმის ეპარქიაში, ქართულის გარდა, ყველა ენაზე (მათ შორის მკედარ ლათინურზე) დაშვებული იყო სახარების კითხვა. ამ დროს კი, ეპარქიის სამწყსოს $\frac{2}{3}$ -ს ქართველები შეადგენდნენ².

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების სირთულეთა შესახებ, ი. ვოსტორგოვი მეტად „ორიგინალურ“ აზრს ავითარებდა: «Полагаю, более от того христианство к ним (к абхазцам, В. К.) не прививается, что у них священники преимущественно грузины и имеретины (? В. К.), не знающие ни слова по абхазски»³. იგი ამას ისე რიხიანად წერდა, თითქოს რუსმა, როგორც ნ. დურნოვო შენიშნავდა, „სოფლის გაუნათლებელმა ხუცესებმა“, ბრწყინვალედ იცოდნენ აფხაზური ენა, საერთოდაც, თუ ქართულად არ შეიძლებოდა ნირვა-ლოცვის წარმართვა, აფხაზურად ეს რატომ იყო მიზანშეწონილი, ან პრაქტიკულად, როგორ იყო განსახორციელებელი, როდესაც აფხაზურ ენაზე საეკლესიო წიგნები არ არსებობდა? მაგრამ ვოსტორგოვი, ამ საკითხს ასეთ გამოსავალს უძებნიდა: „Возможно печатать брошюрки и на абхазском языке и время от времени совершать для природных абхазцев и богослужение на их языке, по крайней

¹ Архим. Амвросий; По поводу статьи «Голос из Сухума» – Духовный вестник грузинского экзархата, Тифлис 1906, №9-10, с. 20.

² იქვე, გვ. 20, 24.

³ И. Восторгов, Очерк истории Ново-Афонского Симоно-Канаанитского монастыря, Салоники, 1996, с. 25.

მედე დო თეხ პორ, პოკა ონი ნე უსვოთ სებე ხორუო ჯოკო სო ჯოკო რუსოკოგო”¹. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, კირიონის მოღვაწეობა სოხუმში სრულიად მიუღებელი იყო რუსული ადმინისტრაციისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ი. ვოსტორგოვი, რევოლუციურ სიტუაციასთან დაკავშირებით, სასწრაფოდ გაიპარა საქართველოდან, მაგრამ კირიონის დევნა მოსკოვიდან გააგრძელა. ამის გამო იყო, რომ 1907 წელს, კირიონი სოხუმიდან გაასახლეს კოვნოში (კაუნასი). ეს თებერვალში მოხდა². თავის მხრივ, ნ. დურნოვო გულისტკივილით წერდა: „Преос. Кирион, один из наиболее просвещенных иерархов православной Церкви, стоящий по своим ученым трудам, плодотворной и неусыпной деятельности, выше экзарха Никона (из сельских священников), был, по необосновательным доносам о. Восторгова низложен 25 января 1907 г. с Сухумской кафедры и назначен викарем в Ковно, отличающимся нездоровым климатом”³. მართლაც, კოვნოდან გამოგზავნილ ერთ წერილში კირიონი ჩივის: „აქაურმა დამპალმა ჰავამ ლამის ბოლო მომიღოს. მეტად დამასუსტა. ათასი სენი გამიჩნდა: ბრონქიტი, თავის ტკივილი, უძილობა, ქარები, ძარღვების მოშლა; ამას დაუმატე წინათ შეძენილიც”. ჯანმრთელობაზე ჩივილთან ერთად, იმავე წერილს, კირიონი ასეთი, მეტად მნიშვნელოვანი ფრაზით ამთავრებს: „მწერალი ასკინკილაზედ კი არ უნდა დადიოდეს, ამირანსავით მიჯაჭვული უნდა იყოს იგი წიგნებზედ”⁴.

ი. ვოსტორგოვი კმაყოფილებას ვერ მალავდა: „О «невинности» и «правоте» Кириона перед духовным ведомством, о чем сообщает Дурново, теперь можно говорить разве только в насмешку. «Правота» его вовсе не обнаружилась; напротив, по требованию заместника, Кирион был выселен с Кавказа «за революционную деятельность», причем, все его сообщники по Сухуми, теперь уже арестованы”. და რაც

¹ იქვე, გვ. 42; ვ. კიკნაძე, ახალი ათონის მონატრერი-რუსეთის პოლიტიკის დასაყრდენი..., გვ. 75.

² მიუხედავად იმისა, რომ კირიონის სოხუმში დარჩენას, იქაური სამწყსო დაბეჯითებით ითხოვდა. იხ. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005, გვ. 1007-1017 (დოკუმენტები).

³ Optodox (И. Дурново), Нескольо слов Восторговцам по поводу брошюры «Протоиерей И. Восторгов и его политическая деятельность», М., 1909, с. 5.

⁴ ს.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი № 306 (1907 წ. 31 ივლისი, კოვნო).

მთავარია, ძალზე მნიშვნელოვნად იმუქრებოდა: „... скоро об'явится и еще многое, может быть весьма страшное...“ თითქმის გაცხადებულია ის, რასაც კირიონს უპირებდნენ. მოგვიანებით, მას ბრალი დასდეს მონაწილეობაში, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში. ამ საკითხზე, ვოსტორგოვი გახსნილად წერდა: „Поживем увидим. А пока, на примере убийства архиепископа Никона и бесновании автокефальных, мы уже видели "выдумывались" ли сепаратистские стремления у грузин"¹. მიუხედავად ყველაფრისა, კირიონი კოვნოშიც განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას. სხვათაშორის, მან იქ დაწერა ადგილობრივ მონასტერთან დაკავშირებული საინტერესო გამოკვლევა: „Свенский колокол в плену у Камальдулов“². ეს შრომა ეძღვნება ლიტვაში დაფუძნებული კამალდულთა ორდენის მონასტრის აღწერილობას და იმ საინტერესო ზარის ისტორიას, რომელიც იქ თავის დროზე ჩამოიტანეს სვენი (ბრიანსკის) მონასტრიდან. ეს პატარა გამოკვლევა, ასე იწყება: „თითქმის ლიტვის ცენტრში, კოვნოდან 10 ვერსზე, მშვენიერი მდინარე ნემანის მალაღ, მთაგორიან მარჯვენა ნაპირზე, თავს იწონებს დიდებული პოუაის, მიძინების, პირველხარისხოვანი მონასტერი, რომელიც 1832 წლამდე, კამალდულთა წმ. რომუალდის მეუღაბნოვეთა ორდენს ეკუთვნოდა. მხატვრის ყალამი გინდა, რომ ლიტვის მიწის ეს ციური სილამაზე აღწერო“³. ქ. კოვნოდან თავისი სტიპენდიანტის ს. ცომაიასადმი მიწერილ წერილში, მეუფე იტყოფინებოდა, რომ სიცივის და მკაცრი ჰავის (30 გრადუსიანი ყინვა) მიუხედავად, იგი განაგრძობდა ადგილობრივი სიძველეების შესწავლას. ზემოხსენებული წიგნის შესახებ, კირიონი წერდა: „მთხოვეს კოვნოს გუბერნიის „Памятная книжка“-სთვის რამ დაეწერო; დაეპირდი და ამ ორ, სამ დღეში დავამზადებ პატარა სტატიას“⁴. ამავე წერილში, იგი აშკარად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას სოციალ-დემოკრატიულ მიმართ, როდესაც წერს: „ს(ოციალ) დ(ემოკრატი)ათვის)... არც სამშობლო ნიადაგია და არც დედაენა. მიკვირს, რომ ს(ოციალ)

¹ И. Восторгов, Клевета Н. Дурново..., с. 47.

² Епископ Кирион, Свенский колокол в плену у Камальдулов, Ковно, 1907.

³ Епископ Кирион, Свенский колокол..., с. 1.

⁴ კირიონის წერილი ს. ცომაიას (10. XII. 1907), გაზ. „კალმასობა“, 1999, №1, გვ. 3.

დ(ემოკრატიები) კადრულობენ ქართული ხელნაწერების გადანერას; მაგრამ ალბათ, ეს ს(ოციალ) დ(ემოკრატი) კუჭის კითხვაა და არა საღვთო მოვალეობა ყოველი პატიოსანი ქართველისა¹. კოვნოში ყოფნისას, ისევე როგორც სხვაგან, კირიონს მოსახლეობის დიდი პატივისცემა დაუმსახურებია.

სანამ კოვნოში გადასახლებდნენ, 1906 წ., კირიონმა რამდენიმე მოხსენება წაიკითხა სინოდში გამართულ კრებებზე და ე. წ. წინასაყრილობო სხდომებზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ. პეტერბურგში, იგი ოთხი სერიოზული მოხსენებით წარსდგა: 1) ქართული საეკლესიო საკითხი; 2) რა აიძულებს ქართველებს იბრძოლონ ავტოკეფალიის აღდგენისათვის; 3) რომელმა „საქართველომ“ მიიღო ავტოკეფალია XI საუკუნეში? 4) ეროვნული საკითხი ეკლესიაში; ეს მოხსენებები, უამრავი წყაროსა და ლიტერატურის კვლევის შედეგი იყო. ამასთან, მეუფეს ყველა არგუმენტი მშვენივრად წარუდგენია სინოდისათვის². მოხსენებათა გარდა, იგი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთის გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეებთან და არწმუნებდა მათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობაში. ასე გაანეიტრალა მან სინოდის მერყევი ობერ-პროკურორი ა. ობოლენსკი, თავის მხარეზე გადაიყვანა პროფ. ნ. გლუბოკოვსკი, ნ. პალმოვი და სხვები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას თანაუგრძნობდა ს. პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი. პიროვნებათა შეფასებებში ძალზე მკაცრი კირიონი, იმ დროის თითქმის ყველა წერილში, ხაზს უსვამს მიტროპოლიტ ანტონის დადებით როლს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საქმეში. ერთ-ერთ წერილში ი. ჩიჯავაძისადმი, კირიონი პირდაპირ წერდა: „ანტონ მიტროპოლიტს ჩვენი მომხრეობა უკისრია; ის რომ არ გამოგვჩენოდა, ძალიან დაგვჩაგრავდნენ“³. კირიონმა პუნქტობრივად დაასაბუთა ავტოკეფალიის

¹ იქვე (ფრჩხილების გახსნა ჩვენია – ვ. კ.).

² იხ. გაზეთი „Отголоски“, 1906, №2, გვ. 2-4; აგრეთვე ს. ვარდოსანიძე, კირიონ II..., გვ. 13.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №263, ფ. 1. იხ. აგრეთვე: ნმ. ლვდელ-მონაშე კირიონ II, საქართვე. სამოც. ეკლესიის ავტოკეფალიისთვის (საარქივო მასალები), გამოსცა ლ. ხუნდაძემ, თბ., 2005, გვ. 57.

მნიშვნელობა და აუცილებლობა საქართველოს ეკლესიისთვის, მაგრამ არაფერმა გაჭრა. სინოდის სხდომებზე და წინასაყრილობო სათათბირო შეკრებებზე, სინოდის რეაქციულმა ფრთამ ის დათმობებიც კი უარყო, რომლებიც ქართველებს გარანტირებული ეგონათ (ქართველი ეროვნების ეგზარქოსის დანიშვნა, ეპისკოპოსთა უფლებების გაზრდა, სინოდალური კანტორის გაუქმება და საქართველოს ეკლესიის შედარებითი ავტონომია, სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის ხვედრითი წილის გაზრდა და ა. შ.)

მაგრამ თავისთავად, საჯარო პაექრობაზე ქართული ეკლესიის საჭირობო საკითხების გატანამ, კიდევ ერთხელ დაანახვა რუსეთის სასულიერო და საერო ხელისუფლებას საქართველოს ეკლესიის პრობლემათა სიმწვავე და ის, რომ ქართველი ხალხი ასე ადვილად არ შეეგუებოდა მისი ეკლესიის მოსპობა-განადგურებას.

ამგვარად, იმ ეტაპზე, ავტოკეფალიის აღდგენის ყოველგვარმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. განსაკუთრებით ვოსტოგოვის „დასი“ აქტიურობდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, კირიონის წერილები სულ უფრო შემტევი ხასიათის ხდება.

ერთ-ერთ წერილში, კირიონი ი. ჩიჯავაძეს სწერდა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ჰგავდა ქედანისა და ოფოფის იგავს: „რუსეთს ჩავაბარეთ ჩვენი სვე-ბედი და აღარაფერს გვიბრუნებენ, ჩვენც ქედანისავით, გაუტანლობაზედ მწუხარებით ვლულუნებთ და ვლულუნებთ“, შემდეგ იგი ჩიჯავაძეს უყვება ქედანის ამბავს, რომელმაც თავისი ჯილა დროებით ოფოფს გადასცა და უკან ველარაფერი მიიღო¹.

სამწუხაროა, რომ ამ პერიოდში, თავი იჩინა წინააღმდეგობამ თვით ქართული სამღვდლოების წიაღში. მეუფესთან დაპირისპირება უკვე იკვეთება ისეთი მოღანეების მხრიდანაც კი, როგორებიც იყვნენ იმხანად დეკანოზი კორნელი კეკელიძე და მღვდელი კალისტრატე ცინცაძე. ამ დაპირისპირებამ, შემდეგში, ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანა. ეგზარქოსები და სინოდი მოხერხებულად იყენებდნენ ქართული ხასიათის უარყოფით მხარეებს, პირველობისათვის თავდაუზოგავ ბრძოლას და საშინელ ხლართებში

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №306 (1907 26 აპრილი), ფ. 1-2.

ხვევდნენ ყოველ ნამდვილ პატრიოტს და თავდადებულ საერო თუ სასულიერო მოღვაწეს.

ამასობაში კი, ვოსტორგოვმა და მისმა დასმა მუქარა შეასრულა და კირიონს დაპირებული ბრალდება წაუყენა: ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში თანამონაწილეობა (ეგზარქოსი მოკლეს თბილისში, 1908 წლის მაისში). ამოდ ცდილობდა ქართული საზოგადოება, ნ. დურნოვო, სხვა რუსი მოღვაწეები და უცხოეთში ადამიანთა უფლებათა დაცვის ლიგა, კირიონის ხვედრი შეემსუბუქებინათ¹.

იმ პერიოდში, სადაც კი ქართული საზოგადოება თავს მოიყრიდა, საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძო სახლში, თუ ქუჩაში, ყველგან კირიონზე ლაპარაკობდნენ. მისი გამართლების თხოვნით, მიმართეს მეფის ნაცვალს ილ. ვორონცოვ-დაშკოვსაც². კირიონის განთავისუფლებას საჯაროდ მოითხოვდნენ: კიკია აბაშიძე, ლ. მიქელაძე, ნ. თავდგირიძე, მაგრამ უშედეგოდ. ისინი, მცირე ხნით, დააპატიმრეს კიდეც³. შეკითხვა გაუგზავნეს „დუმის“ დეპუტატ ევგ. გეგეჭკორსაც, რამდენად ეთანხმებოდა იგი ნიკონის მკვლელობაში კირიონის მონაწილეობის ვერსიას. ამ კითხვაზე, ევგ. გეგეჭკორმა ასეთი შინაარსის დეპეშა გამოგზავნა: „ეს (ე. ი. კირიონის გადასახლება სანაქსარში, – ვ. კ.) სასტიკი და უმართებულო ბრძანებაა. კირიონის სპეტაკი და უმნიკველო პიროვნება სრულიად წარმოუდგენელია რაიმე შეთქმულებასთან“⁴. მაშინ გავრცელდა ისეთი აზრიც, რომ დააპატიმრებდნენ, ან გადასახლებდნენ ეპისკოპოს ლეონიდესაც⁵, მაგრამ მას ამკარა რეპრესიები არ შეხებია. თუმცა ეს აზრი იმდენად გავრცელდა ქართულ საზოგადოებაში, რომ ზოგიერთი მკვლევარი დარწმუნებულია, რომ: „იგი (ეპისკოპოსი ლეონიდე – ვ. კ.) განდევნეს სამშობლოდან და წლების მანძილზე ჩამოართვეს ღვთისმსახურების უფლება“⁶.

¹ გ. საითიძე, ცხოვრება მონაწილთა., გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, 30 აგვისტო, გვ. 10-11.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №21 (1909 წ. 21 აგვისტო).

³ ელ. აბრამიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 372.

⁴ გაზ. „დროება“, 1909, №31 (11 თებერვალი), გვ. 3.

⁵ გაზ. „დროება“, 1909, №30 (10 თებერვალი), გვ. 3.

⁶ ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1918 წლებში, თბ., 1995, გვ. 201.

მაგრამ რეპრესიები მიზანმიმართული იყო სწორედ კირიონის და მისი მომხრეების და მხარდამჭერების მიმართ. კირიონის უახლოესი თანამებრძოლი იოსებ ჩიჯავაძე, 1908 წლის 22 ოქტომბერს კირიონს აღშფოთებული სწერდა: „ვილაც მამაძალმა მოკლა ნიკონი და სულ ჭირ-ვარამს მე და შენ გვახვევენ: „კირიონმა მაკვლევინა, რომ იმის ალაგი მიეღო(ო)“, ამათ ისე ჰგონიათ, რომ შენი, ან ჩემი ნებაა ეგ ზარქოსობის მიღება. დღესაც თავი და ბოლო ვერ გამიგია ამ საზიზლარი მკვლევლობისა“¹.

კირიონის მიმართ ახალი რეპრესიების დაწყების ამბავმა უცხოეთშიც გააღწია. 1909 წელს კირიონის უმძიმესი გადასახლების შესახებ ევროპის მონინავე საზოგადოებამ გაიგო. კირიონის ხვედრის ამბავი უცხოეთში გაიტანა ალ. ცაგარელმა² (თავის მხრივ, მან აცნობა მარჯორი უორდროპს) და ემიგრანტმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა.

კირიონს ჩამოართვეს ღვთისმსახურების უფლება და 1908 წლის მარტში, კურიაჟის (ხარკოვის მახლობლად) მონასტერში გაამწყვდეს³, მაგრამ ათი თვის შემდეგ, იქიდან გადაიყვანეს განსაკუთრებით მძიმე რეჟიმის მონასტერში – სანაქსარის უდაბნოში (ტამბოვის გუბერნია)⁴.

ცოტა ხნით ადრე, კირიონმა პირადად ნიკოლოზ II-ს მიმართა მოხსენებითი ბარათით და სთხოვა, გაერკვია, რაში მდგომარეობდა მისი დანაშაული. იგი ასევე ითხოვდა, თუ სამშობლოში არა, ათონის წმინდა მთაზე გაგზავნის ნება მაინც დაერთოთ⁵. სანაქსარის მონასტერი ჰავითა და მდებარეობით (ტამბოვის გუბერნია) განსაკუთრებულად მკაცრი პირობებით გამოირჩეოდა. ღამით, იქ სიცივე, მინუს 30 გრადუსს აღწევდა. მეუფე მაინც არ გატყდა. იგი იქიდანაც იბრძვის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისთვის და აგრძელებს ქართულ სიძველეთა შესწავლასა და პუბლიკაციას. ჯერ კიდევ 1906 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესა-

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №1233, ფ. 1 (აღდგენა ფრჩხილებში და ბრჭყალები ტექსტში ჩვენია – ვ. კ.).

² მ. ჯანაშვილი, უწმინდესი კირიონი, თბ., 1917, გვ. 3-8.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №16 (1908 წ. 22 მარტი).

⁴ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №18 (ბრძანება №1699, 1908, 22 დეკემბერი).

⁵ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №19, ფ. 1-2.

ხებ, კირიონი წერდა: „ეს კითხვა, მოდის მოტანილი კი არ არის ჩვენთვის, ეს ჩვენი წმინდათა-წმინდაა, ანი და ჰოე!“¹ კირიონი იმედს გამოთქვამდა, რომ „მარად მამაცობით ცნობილი ქართველნი აქაც თავს გაიტანენ, მოაგონებენ კაცობრიობას თავის დიდ ღვანლს წარსულში და მიიღებენ კუთვნილ ადგილს მსოფლიო ისტორიაში“². გადასახლებაში, გაჭირვებაში მყოფი კირიონი საქართველოში დარჩენილებს მკაცრი შეძახილებით აფხიზლებდა. 1907 წ. იგი ი. ჩიჯავაძეს სწერდა: „ჩვენში, თითო კაცი თუ რამეს გააკეთებს, თორემ ჯგუფი უფრო ვერაფერს, საზოგადო საქმეში, პირად ინტერესებს ვერა სთმობთ ხოლმე!“³ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

ერთ-ერთ წერილში, კირიონი გარკვეულ უკმაყოფილებას, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ნ. დურნოვოს პროექტის მიმართაც გამოთქვამს, რადგან მისი პროექტის ერთი ვარიანტი, არ ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის სრულ დამოუკიდებლობას⁴. ზოგიერთ მკვლევარს, კირიონის პირად წერილში მოტანილმა კრიტიკამ საფუძველი მისცა უმართებულოდ დაედანაშაულებინა ნ. დურნოვო „თვალთმაქცობაში“ და „ორპირობაში“⁵. მიგვაჩნია, რომ ასეთი შეფასება მიუღებელია. ეროვნებით რუსს და მონარქისტ ნ. დურნოვოს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, შესაძლოა, მართლაც შემცდარი წარმოდგენები ჰქონოდა. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან უფრო დიდი შეცდომები, თვით ქართული საზოგადოების (მათ შორის საეკლესიო წრეების) ნაწილს ჰქონდა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს ნ. დურნოვოს ორპირობას და თვალთმაქცობას. ეს რომ ასე ყოფილიყო, ნ. დურნოვო არ იქნებოდა ერთ-ერთი პირველი, ვინც 1917 წ. 8 სექტემბერს, რუსეთიდან ქართველებს ავტოკეფალიის აღდგენა მიულოცა. აი, რა საგულისხმო და გულწრფელი სიტყვებით მიმართა მან ქართველ ხალხს: „არც ერთ ხალხს, რაც გინდა დიდი იყოს იგი, არა აქვს უფ-

¹ გაზ. „დროება“, 1909, №33 (13 თებერვალი) გვ. 2; აგრ. ს. ხუციშვილი, „აქსიოს“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №57 (23 მარტი), გვ. 1.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №291, ფ. 3-4.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №304, ფ. 4.

⁴ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №303, ფ. 3.

⁵ შ. ჯაფარიძე, კირიონ II და რუსი საერო და სასულიერო მოღვაწეები, კრებ.: კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, №XXI, თბ., 2005, გვ. 29.

ლება, შეახოს ხელი საქართველოს ისტორიულ მინა-წყალს, როგორც არც ერთს ეკლესიას უფლება არა აქვს თავისი საკურთხეველი ააგოს საქართველოს ეკლესიის ფარგლებში" და კიდევ: „ეს დღე, ერთი უბედნიერესი დღეთაგანია ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც აგერ 40 წელია მოველოდი. ვულოცავ განთავისუფლებას ეკლესიის მსახურთა და ერს! დაე, უწყოდენ, რომ ქრისტეს ჯვარს მონობისაკენ კი არ მიჰყავს, არამედ თავისუფლებისკენ!"¹. ამ სიტყვების მთქმელი, ორპირი კი არა, ძალიან გულწრფელი ადამიანია; თუ იმასაც გავიხსენებთ, როგორ იბრძოდა ნ. დურნოვო მთელი სიცოცხლე ქართული ეკლესიის (და კირიონის) დასაცავად, ალბათ მეტი სიფრთხილე გვმართებს მისი განქიქების დროს.

კვლავ კირიონს დაეუბრუნდეთ. იგი კურიაჟშიც და სანაქსარშიც დღედაღამ მუშაობს და ლიტერატურასა და დოკუმენტებს ეცნობა. თუ პეტერბურგში ჩასვლის ნებას დართავდნენ, კვლავ ბიბლიოთეკას მიაშურებდა. ამასთანავე, ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ბაგრატიონთა შთამომავლებისა და ნათესავების საფლავები მიუნახულებია და დაწვრილებით აღუწერია ისინი. ი. ჩიჯავაძეს იგი სწერდა: „ბევრჯერ ვიყავ პეტერბურგში, გამოვიკითხე ქართველ მეფეთა გვარეულობის სასაფლაო"².

ერთ წერილში, რომელიც 1912 წელს უნდა იყოს დაწერილი (რადგან იქ ნ. მარის აკადემიკოსად არჩევაზეა საუბარი), კირიონი სამუელ ცომაიას სწერდა: „პირადი ინტერესები დიდი ხანია უარყავ. ბედნიერი მაშინ ვიქნები, როდესაც ჩვენი ავტოკეფალიის საქმე სასურველად დაგვირგვინდება". ამავე წერილში, იგი ცომაიას სთხოვდა შეეძინა მისთვის ა. შახმატოვის და ვლ. იკონნიკოვის ახალი წიგნები და მოეძებნა ნ. მარის ერთი სტატია³.

რუსეთში ყოფნისას, კირიონი არ წყვეტდა სამეცნიერო და კულტურულ ურთიერთობებს არა მარტო რუსეთის საზოგადოების მონინავე ნაწილთან, არამედ უცხოელ სასულიერო და საერო პირებთანაც. მის სახელს კარგად იცნობდნენ ევროპაში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მან ეს ურთიერთობები განაახ-

¹ ნ. დურნოვოს მისალოცი წერილი მიტროპოლიტ ლეონიდეს სახელზე, ჟურნ. „სვეტიცხოველი", 1917, №3, გვ. 5.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №309, ფ. 1-4.

³ წერილი ს. ცომაიას, გაზ. „კალმასობა", 1999, №2 (20), გვ. 4.

ლა¹ (მაგ. აურელიო პალმიერისთან, გ. ბერმანთან, ბარონ დე ბაისთან, კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, რომის პაპთან და ა. შ.).

1912 წელს, კირიონს ბრალდებები ნაწილობრივ მოუხსნეს და ნება დართეს ხერსონში დაბრუნებულიყო. თუმცა მასზე კვლავ პოლიციის ზედამხედველობა იყო დანესებული. 1914 წლის 23 მაისს მან კვლავ მიმართა იმპერატორს თხოვნით, გაენთავისუფლებინათ იგი პოლიციის ზედამხედველობისაგან და აღედგინათ ღვთისმსახურების უფლება. მართლაც, იმჟამად მას პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს. იმპერატორის ბრძანებით, იგი ანას I ხარისხის ორდენითაც დაჯილდოვდა². მიუხედავად იმისა, რომ ეს, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან, უკანდახევას და კირიონის სრულ რეაბილიტაციას ნიშნავდა, კირიონს სამშობლოში დაბრუნების უფლება მაინც არ მისცეს.

მხოლოდ 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა მეუფეს საშუალება დაბრუნებულიყო საქართველოში. მანამდე კი, ისარგებლა რა შექმნილი სიტუაციით, ქართულმა სამღვდელოებამ 1917 წ. 12 მარტს (ძვ. სტილით) მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ქართული ეკლესიის ნანატრი ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა. კათალიკოსის არჩევნებამდე, ეკლესიის მართვა დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს ეპისკოპოს ლეონიდეს მეთაურობით³. კომიტეტში შედიოდნენ კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე ციციქიშვილი, ტ. ბაკურაძე და სხვები.

გადასახლებული კირიონი ერთგვარად „ჩრდილში მოექცა“. ჩანს, ქართული საზოგადოებისათვის კირიონის ღვანლის შესახსენებლად, მ. ჯანაშვილმა 1917 წ. 22 მარტს გაზეთ „საქართველოში“ სტატია დაბეჭდა სათაურით: „ორი კირიონი“, სადაც კირიონ I-თან ერთად, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კირიონ საძაგლიშვი-

¹ იხ. ვ. კიკნაძე, კათალიკოს პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეებთან, საისტორიო შტუდიები, III (ილ. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის შრომათა კრებული), თბ., 2002, გვ. 126-139.

² სცსსა, კირიონის ფონდი, №1458, საქმე №155/10 და №156/10.

³ ე. ბუბულაშვილი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, კრებ. „ქრისტიანობა საქართველოში“, თბ., 2000, გვ. 58.

ლის პიროვნებას¹.

კირიონი ავტოკეფალიის აღდგენას ვიტებსკიდან მიესალმა. 28 მარტს, მან ასეთი შინაარსის დეპეშა გამოგზავნა ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე) სახელზე: „გილოცავთ ავტოკეფალიას; ხუნდები აეხსნა ჩვენს სრულიად ივერიის ეკლესიას. რადგანაც დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სინწინდე, მდაბიო ერად იქცა ქართველი ხალხი... გაუმარჯოს თავისუფალ ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას; საჭიროა მცხეთაში მირიონი მოიხარშოს“².

კირიონს რუსეთში ეწვია ქრ. კაპანაძე და სთხოვა მონაწილეობა მიეღო 1917 წ. 8 სექტემბრისათვის დანიშნულ კათალიკოსის არჩევნებში. კირიონს ყურადღებისთვის მადლობა გადაუხდია, მაგრამ „მან მტკიცე უარი შემოთვალა კათალიკოს-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობაზე. ლეონიდი და მისი მომხრეები მოსვენებას არ მომცემენ“³. საბოლოოდ, დელეგაციის დაჟინებული თხოვნით, ის მაინც დათანხმდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. 1917 წ. 23 აგვისტოს კირიონი უკვე პირველი საეკლესიო კრების მოსამზადებელ სხდომას თავმჯდომარეობს („სვეტიცხოველი“, 1917, №3). 1918 წ. 8 სექტემბერს, სიონის ტაძარში, საზეიმოდ გაიხსნა ავტოკეფალია აღდგენილი ქართული ეკლესიის პირველი საეკლესიო კრება. კრებას ი. გრიშაშვილმა ბრწყინვალე ლექსი უძღვნა⁴. საეკლესიო კრებამ ბევრ საჭირობოროტო საკითხზე იმსჯელა და 17 სექტემბერს კათალიკოსის არჩევნები დანიშნა. კანდიდატები ორნი იყვნენ: ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფს, ლეონიდესთვის უთხოვნია მოეხსნა თავისი კანდიდატურა კირიონის სასარგებლოდ. მაგრამ მას უარი განუცხადებია და გამარჯვების მტკიცე იმედი გამოუთქვამს⁵. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით, კრების მოსამზადებელ პერიოდში, არასწორად იქნა შემუშავებული არჩევნებში მონაწილეობის წესი. არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ

¹ მ. ჯანაშვილი, ორი კირიონი, ყურნ. „საქართველო“, 1917, 22 მარტი (№65, გვ. 1).

² ყურნ. „საქართველო“, 1917 წ., №69 (28 მარტი), გვ. 20

³ ს. ვარდოსანიძე, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, ყურნ. „საქართველოს საპატრიარქო“, 1999, №1, გვ. 49.

⁴ ვ. კიკნაძე, სამარადისო შარავანდედი..., გვ. 69.

⁵ ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი..., გვ. 11.

როგორც „ამომრჩევლები“, ასევე „არაამომრჩევლები“ (როგორც ჩანს, დეპუტატები ხმის უფლების გარეშე). კენჭისყრის შეჯამების შემდეგ (ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ნიკიტა თალაკვაძე იყო), აღმოჩნდა, რომ კირიონმა მიიღო 242 ამომრჩევლის და 206 ე. წ. „არაამომრჩევლის“ ხმა. ლეონიდემ კი 230 ამომრჩევლის და 218 „არაამომრჩევლის“ ხმა. ამგვარად, კირიონმა გაიმარჯვა 12 ხმის უპირატესობით¹. ვფიქრობთ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ე. წ. „არაამომრჩევლებს“ საერთოდ არ უნდა მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. მართლაც, დაძაბულობამ გამარჯვებულ და დამარცხებულ კანდიდატებს შორის მაშინვე იჩინა თავი. კირიონ საძაგლიშვილი კირიონ II-ის სახელით, საზეიმოდ აღსაყდრეს სვეტიცხოვლის ტაძარში. ამიერიდან, საქართველოს, 100 წლის წყვეტილობის შემდეგ, პირველი კათოლიკოს-პატრიარქი ჰყავდა. თითქოს ქართველ ხალხს ზეიმის მეტი არაფერი დარჩენოდა, მაგრამ... ჯერ აღსაყდრების ცერემონია არ დამთავრებულიყო, რომ კირიონ II-მ მუქარის ანონიმური წერილი მიიღო, რომელშიც მოკვლით ემუქრებოდნენ². ასეთი წერილები, მას ადრეც ჰქონდა მიღებული. ერთი მოკლე, რუსულ ენაზე შედგენილი ასეთი წერილი მან 1906 წ. მიიღო. მეორე, ქართულად დანერილი, მაგრამ საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსის, იმავე პერიოდში უნდა მიეღო. ამ წერილში, სხვათაშორის, ნათქვამი იყო: „ჩრდილოეთის ოთახები საშიშია, რადგან სამშობლოს მოყვარულნი სწორედ მაგ ადგილებში აპირებდნენ აურზაურს (ტექსტში: „აურზაურს“). და რომ აპირებენ, ეს ნამდვილი წყაროებიდან ვიცი. აქაურმა ბიძა-ძმისწულმა მთხოვეს შეგატყობინოთ, რომ ოცდახუთისთვის კრება, საშიში არისო“³. როგორც ჩანს, „ბიძა-ძმისწულში“ იგულისხმება ალექსანდრე ოქროპირიძე და მისი ძმისშვილი ლეონიდე. ამგვარად, წერილი 1906-1907 წწ. უნდა იყოს დანერილი, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც კირიონი რუსეთიდან დაბრუნებულია და ალექსანდრე ეპისკოპოსიც ცოცხალია (გარდაიცვალა 1907 წ. 9.IX).

1917 წლის სექტემბერში, ყველაფერი მოგვარდა. ახლადაღსაყდრებული კირიონი, შეიარაღებულ პირებს ყარამან კიკნაველი-

¹ უურნ. „სვეტიცხოველი“, 1917, №3, გვ. 1.

² ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი..., გვ. 13.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №1350, ფ. 1.

ძის მეთაურობით გაუყვანიათ სამშვიდობოს. მაგრამ შემდგომი მოვლენები ტრაგიკულად წარიმართა. შეცდომა იქნა დაშვებული, როდესაც კათალიკოს-პატრიარქის არჩევნების შემდეგ, არ გაუქმდა ცოტა ხნის წინ აღდგენილი თბილელი მიტროპოლიტის კათედრა. ამის გამო, ყოველგვარი საეკლესიო კანონიკური სამართლის ნორმების დარღვევით, ერთ ქალაქში ორი ეპისკოპოსი აღმოჩნდა. ახლად აღსაყდრებული კირიონი ანჩისხატის ტაძარში წირავდა, თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე კი – სიონის საკათედრო ტაძარში. საგარეო რთულ ვითარებას (ოსმალეთის აგრესია, მოსალოდნელი საფრთხე წითელი რუსეთისგან) ემატებოდა შიდა დაპირისპირება ქართულ ეკლესიაში. კირიონ II-ს მკვეთრად დაუპირისპირდა ოპოზიციური საეკლესიო ორგანო „ახალი სიტყვა“¹. მართალია, სტატიები იქ ფსევდონიმებით იყო ხელმოწერილი, მაგრამ დღესდღეობით, ყველა მათგანი გაშიფრულია (ჟურნალის რედაქტორი იყო ქრ. ციციქიშვილი, ფაქტობრივად კი მის საქმიანობას ლეონიდე ოქროპირიძე წარმართავდა)². ს. ვარდოსანიძე წერს: „ჟურნალმა დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, რათა საეკლესიო კრების მოუწვეველად, კათალიკოზის ტახტზე აეყვანათ ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე“³. და კიდევ: „შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ჟურნალის მიზანმიმართულმა, ცილისმწამებლურმა, შეურაცხმყოფელმა სტატიებმა გარკვეულწილად, იდეურად შეამზადა ნიადაგი, რათა საქართველოს ეკლესიის მტრებს 1918 წ. 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში ვერაგულად მოეკლათ კათალიკოს პატრიარქი კირიონ II“⁴.

ამგვარად, კათალიკოსად აღსაყდრების შემდეგ, კირიონ II-ს არ მიეცა საშუალება, შვებით ამოესუნთქა და დამტკბარიყო იმ უდიდესი პატივისცემით, რაც მას არგუნა ქართულმა ეკლესიამ და ხალხმა.

მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, კირიონი განაგრძობდა ქართული ეკლესიისა და ხალხის სამსახურს. აღსაყდრებიდან ძალიან მალე, მან ეპისტოლეები გაუგზავნა კონსტანტინეპოლის

¹ ს. ვარდოსანიძე, კირიონ II სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, ოზურგეთი, 1994, გვ. 22.

² ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი..., გვ. 87.

³ იქვე, გვ. 85.

⁴ იქვე, გვ. 83.

პატრიარქს, რომის პაპს, სომხეთის პატრიარქს¹. იგი ცდილობდა „დე ფაქტო“ გამოცხადებული ქართული ეკლესიის ავტოკეფალია „დე იურე“ დაეკანონებინა. მან ბრწყინვალე სიტყვით მიმართა ქართველ ხალხს, საქართველოს ეროვნულ ყრილობას². ამ სიტყვაში, სხვათაშორის, ნათქვამი იყო: „ღელავს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოისა, სანაპიროთა თვისთაგან გარდმოხეთქილი და წარღვნას უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა, თქვენ, რჩეულნო ივერიისანო, უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან“³. კირიონ II-მ მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიაში (1918 წ. 26 იანვარს), დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზეც წარმოთქვა სიტყვა და ა. შ. სამწუხაროდ, ინტრიგები მის გარშემო არ შეწყვეტილა. საკათალიკოსო საბჭოს მდივნად, კირიონს, ეგზარქოსების განწოთნილი დავით დავიდოვი შესთავაზეს, რაც აშკარა პროვოკაცია იყო. ამ თანამდებობაზე დავიდოვის დანიშვნაზე უარის გამო, დავიდოვი ძალიან განანწყენდა და რამდენჯერმე შევარდა კათალიკოსის რეზიდენციაში კათალიკოს-პატრიარქთან პირადი ანგარიშსწორების მიზნით. ი. იმედაშვილის მოწმობით: „1918 წ. გაზაფხულს, დავით დავიდოვი კირიონს რევოლუციური მოსაკლავად შეუვარდა. მორჩილმა, ღონით ძლიერმა გერმოგენმა, ხელი სტაცა დავიდოვს და კირიონი სიკვდილს გადაარჩინა“⁴. ამ მოწმობის გარდა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში ინახება ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც დავიდოვის ასეთივე სხვა მცდელობასაც ადასტურებს. დოკუმენტს ეწოდება „საეკლესიო კრების საყურადღებოდ“. იგი ძალიან მკვეთრად ახასიათებს იმ გარემოს, რაც კირიონის გარშემო შეიქმნა. საბუთი, კირიონის წრეგადასულ

¹ ურნ. „სვეტიცხოველი“, 1917, №4, გვ. 2-5. დედნები ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში; კირიონის საარქივო ფონდი, საბუთი №276630₃(27830₃), 27830₃.

² გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის კირიონის ფონდი, საქმე №27830₃. აგრეთვე: ნმ. მღვდელმონაწმე კირიონ II საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის, გამოსაცემად მოამზადა ლ. ხუნდაძემ, თბ., 2005, გვ. 61-62.

³ იქვე.

⁴ ი. იმედაშვილი, კირიონის გაპატრიარქება და მკვლელობა, გაზ. „კომუნისტი“, 1990, 2 სექტემბერი, გვ. 4.

დეენას ბრალად სდებს: ეპისკოპოს ლეონიდეს, ქრ. ციციქიშვილს, მღვდლებს: თოთიბაძეს, ტყემალაძეს, შუბლაძეს, ცინცაძეს, კ. კეკელიძეს და დავიდოს. ამ უკანასკნელზე, საბუთში ვკითხულობთ: „კირიონის კათალიკოსად არჩევის შემდეგ, ლეონიდმა და დავიდომ მოაწყეს პარტია ზემოხსენებულ პირთაგან და საცოდავს, ისედაც ტანჯულ კირიონს არ აძლევდნენ მოსვენებას, მათი თავხედობა-თავგასულობა იქამდის მივიდა, რომ ოქტომბრის 24 დღეს 1917 წ. დ. დავიდოვი შეუვარდა კირიონს სანოლს ოთახში საცემლად, მაგრამ რადგანაც იქ კირიონს მხლებლები ჰყვანდნენ, იგი ვერ მოახერხა“¹. დოკუმენტი სხვა საყურადღებო მომენტებსაც შეიცავს, მაგრამ მასზე მეტს აღარ შევჩერდებით. კირიონის გაკათალიკოსების შემდეგ შექმნილ უმწვავეს სიტუაციას მკაცრად ახასიათებს პოლიევეტოს კარბელაშვილი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მის საარქივო ფონდში დაცულ საბუთში, რომელსაც ეწოდება „ჩვენი ავტოკეფალია და ორი წელიწადი“, ვკითხულობთ: „საკათალიკოსო საბჭოს მომეტებულ წევრთა მიმართულება, რომელიც კრიჭაში ჩაუდგა კათალიკოს კირიონს, აგრეთვე მიტროპოლიტ ლეონიდეს, ცინცაძეს, კეკელიძეს და სხვანი მრავალნი და მოუსპეს ყოველგვარი ღონისძიება, რისამე გაკეთებისა... და იქამდინაც კი მიიყვანეს განსვენებული, რომ ერთ-ერთ საბჭოს კრებაზედ წარმოათქმევინეს თუ დ. დავიდოს აქ შემოიყვანთ მდივნად და წევრად საბჭოში, მაშინ მე თავს ვანებებ აქ სამსახურს“-ო². ამ მოწმობებთან ერთად, არსებობს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მოგონებანი, სადაც ის კირიონის ტრაგიკულ აღსასრულში, პირდაპირ დასახელებულ პირებს სდებს ბრალს³.

ნ. თალაკვაძისავე მოწმობით, ახლად აღსაყდრებულ კირიონთან იმერეთიდან მოსალოცად ჩამოსული დელეგაცია დ. დავიდოვმა მასთან არ შეუშვა და მისი წევრები ისე „დაამუშავა“, რომ დელე-

¹ ხ.ერ.ც., ფონდი „სხვადასხვა“, საბუთი №324 (ნაბეჭდია დავთრის ზოლიან ფურცლებზე, ბევრი კორექტურული შეცდომებით). მისი თითქმის მთელი ტექსტი, მცირე კუპიურებით გამოაქვეყნა ს. ვარდოსანიძემ. იხ. გაზ. „წიგნის სამყარო“, 2002, №5 (16), გვ. 6-7.

² ხ.ერ.ც., პ. კარბელაშვილის ფონდი, საქმე №167 (უთარილო), ფ. 2 (სტილი დაცულია - ვ. კ.).

³ გ. ლეონიდის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ნ. თალაკვაძის ფონდი, რეეული 1, ფ. 1-130.

გაცია უკან გაბრუნდა¹.

რაც შეეხება პოლიევექტოს კარბელაშვილის ძმას, ვასილს, იგი „საქართველოს“ რედაქციისადმი წერილის გაგზავნას აპირებდა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ კირიონისა და ლეონიდეს ურთიერთობა არ იყო უარყოფითი და რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მოგონილი იყო² (წერილი დაუმთავრებელია და ჩანს, რედაქციას აღარ გაეგზავნა). იმავე ფონდში, ამ საკითხთან დაკავშირებით, დაცულია იოსებ ჩიჯავაძის მკაცრი წერილი ვასილ კარბელაშვილისადმი. იგი ადრესატს სწერდა: „ვასო!... მაკვირვებ შენ და შენი საქციელი; როგორ მიეცი ხმა ლეონიდეს, კაცის მკვლელს, შენი მოქალაქეობა და ერთგულება კირიონისა და სიმართლის სიყვარული, მაგაში გამოიხატა! მე მივეცი ღია წერილი, „სახალხოში“ დაიბეჭდება პარასკევს; კირიონის სიკვდილს ვერ შევარჩენ ვერავის“³.

აი, ასეთ ვითარებაში მივიდა საქართველო იმ საშინელ ტრაგედიაში, რომელიც 1918 წლის 26 ივნისს ღამით, მარტყოფის მამათა მონასტერში დატრიალდა. მონასტერში გამგზავრებული კათალიკოს-პატრიარქი, ცოცხალი აღარავის უნახავს. 27 ივნისს, დილით 6 საათზე იგი მოკლული ნახეს. იქვე იდო დაკეტილი რევოლვერი⁴. ბუნებრივია, ამ ამბავმა ქართულ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ოპოზიციური გაზეთი „ახალი სიტყვა“ მხოლოდ გაკვრით და დაგვიანებით შეეხო კათალიკოსის სიკვდილს. მცირე ზომის სამგლოვიარო განცხადება ჟურნალში გამოქვეყნდა მხოლოდ 1918 წლის 15 ივლისს. იგი იტყობინებოდა: „27 თიბათვეს (ივნისს – ვ. კ.), ნაშუალამევს, მარტყოფის მონასტერში მიიცივალა სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსი კირიონ II. 29 თიბათვეს ნეშტი კათალიკოსისა ჩამოსვენებულ იქნა ტფილისში და 7 ივლისს დაიკრძალა სიონის ტაძარში“⁵. ერის უდიდესი ტრაგედია „ახალმა სიტყვამ“ მხოლოდ ამ ორიოდ სიტყვით გამოხატა. სამაგიეროდ, ჟურნალის თანამშრომელი „ჯაჭვადე“ აღშფო-

¹ გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ნ. თალაკვაძის ფონდი, საბუთი №15898.

² ხ.ერ.ც., კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №695 (30) (უთარილო).

³ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №601 (271) (1919 წ. 19 თებერვალი).

⁴ ი. იმედაშვილი, დასახელებული სტატია, გაზ. „კომუნისტი“, 1990, 2 სექტემბერი, გვ. 4.

⁵ „ახალი სიტყვა“, 1918 წ. №9 (15 ივლისი), გვ. 1.

თებული იყო, რომ ნიკიტა თალაკვაძემ კირიონის სიკვდილი ილიას სიკვდილს შეადარა. სტატიას ეწოდება: „უგუნურება და სულმდაბლობა“(!). მასში ვკითხულობთ: „მ(ამა) თალაკვაძემ, თავის გზადაბნეულ სიტყვაში გაათარა პარალელი ილია ჭავჭავაძესა და კირიონის აღსრულებაში. აქ უნდა განვმარტოთ, რომ ეს შედარება ვერ არის მოხერხებული. ილიას თავი არ მოუკლავს... სამარცხვინოა, რომ იგივე პირნი, როცა დასჭირდებათ, აჯერებენ ხალხს, რომ კათალიკოსი მოჰკლესო“¹. ჟურნალის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ თავი მოიკლა! ზოგიერთი მათგანი, ამასთანავე, წინადადებას იძლეოდა იქვე, მარტყოფში დაეკრძალათ კათალიკოსი². მოულოდნელად, პოლემიკა ამ საკითხზე, 2002 წელს განახლდა, როდესაც „ქართული წიგნის“ რედაქციამ გამოაქვეყნა ისტორიკოს მ. ჯანაშვილის არქივში დაცული ერთი წერილი. მ. ჯანაშვილი ამ ხელნაწერში უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ „კირიონს ბრაუნინგისათვის კი არ უნდა მიემართა, არამედ ქართველი ერისათვის“ (1918 წ. სექტემბერი)³. გამოდის, რომ ისიც იმ ვერსიას ემხრობოდა, რომ კათალიკოს-პატრიარქმა, უდიდესი ცოდვა ჩაიდინა და თავი მოიკლა! ამ ბრალდებას ამომწურავად უპასუხა მკვლევარმა ს. ვარდოსანიძემ: თავისი აგრუმენტები მან იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში დაბეჭდა⁴. პ. კარბელაშვილი წერდა: „ის კაცი, მეცნიერი (ე. ი. კირიონ II – ვ. კ.) მოვკალით უღვთოდ, ჩვენის დაუდევნელობით და მორწმუნეთა უყურადღებობით. ამისთანა კაცი, ქველმოქმედი, გამკითხავი, მთელი საქართველოს სამღვდელთა და ერისგან არჩეული, მინასთან გაასწორეს თბილისის მიტროპოლიტის მღვდელ-დეკანოზებმა და მიტროპოლიტი ლეონიდე კი სდუმდა. საბჭოთა კვერი დაუკრა სიჩუმე-დუმით; თანაც მოვახვიეთ მას ბრალი, რომ თავი მოიკლაო. ის სხვისი ხელით არის მოკლული. შეიძლებოდა მისი აღმოჩენა, თუ რომ ჯეროვანი მკაცრი ზომები მიეღოთ ვისდამი ჯეროვან იყო“⁵.

კირიონის მკვლელობაზე თავისი აზრი ჰქონდა ისტორიკოს

¹ „ახალი სიტყვა“, 1918 წ. №11, გვ. 5.

² ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., გვ. 112.

³ გაზეთი „ქართული წიგნი“, 2002, №4 (16).

⁴ გაზეთი „ქართული წიგნი“, 2002, №3 (17), გვ. 6-9.

⁵ ხ.ერ.ც., პ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №167, ფ. 2-3.

ს. კაკაბაძეს. იგი წერდა: „მიტროპოლიტ ლეონიდის მომხრემ 1918 წ. 27 ივნისს მოკლა კათალიკოზი კირიონი. ამის შემდეგ მოკლეს კიდევ ორი მღვდელი. ამგვარად, ეკლესიის საკითხში ფეხი მოიკიდა ტერორმა. ასეთ პირობებში, კათალიკოსად, ახალი არჩევნების დაუნიშნავად, გახდა ლეონიდე“¹.

ულვთოდ მოკლული კათალიკოს-პატრიარქი, ერთი კვირის თავზე, საზეიმოდ დაკრძალეს სიონის საკათედრო ტაძარში. უკანასკნელ გზაზე, კათალიკოსს ოთხი გუნდი (სამხედრო, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის, საკათალიკოსო და უკრაინის სათვისტომოსი) მიაცილებდა. ნიკო სულხანიშვილმა კი, სპეციალურად ამ დღისთვის შექმნა საგალობელი „სულთათანა“². მას გულში ჩამწვდომი სიტყვებით გამოეთხოვა ერთგული თანამებრძოლი ნ. თალაკვაძე. მან სხვათაშორის, თქვა: „არ ვიცი, შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუგებრობის თუ უმადურობის ნაყოფია. ზოგჯერ მტერი ვერ უზამს ადამიანს იმას, რასაც ადამიანი თავის თავსაო, სწორედ ჩვენზეა ეს ნათქვამი. გარეშეებმა, ჩვენმა მტრებმა და ორგულებმა შეიგნეს შენი დიდი პიროვნების ღირსება, ჩვენ კი ვერა!... ჩვენ მხოლოდ უუფლებო კათალიკოს პატრიარქად აგირჩიეთ“³.

სხვაც მრავალი გულწრფელი გამოსათხოვარი სიტყვა იქთვა, მაგრამ არა იმ წრის წარმომადგენლებისაგან, ვისზედაც მთელი საქართველო ლაპარაკობდა. უცხოელთაგან, შთამბეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა პოლონელთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა ვოლკომირსკიმ: „ქართველო ხალხო! სრული ნახევარი წელიწადია, რაც ასი წლის ობლობის შემდეგ, დიდი ზეიმით დააგვირგვინე შენი სულიერი მამა და ეხლა, ასე მოულოდნელად, უკვე მინას აბარებ მის ნეშტს! სხვა რომელ ხალხს შეუძლია იგრძნოს დანაკლისი, ვიდრე იმას, რომლის ისტორია ასე ჰგავს შენსას, ვისი პოლიტიკური და სულიერი მოღვაწენი განიცდიან იმასვე, რასაც შენი წინამძღოლები...“⁴.

ამგვარად, კირიონის მკვლელობის შესახებ სხვადასხვა ვერ-

¹ ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, თბ., 1997, გვ. 248.

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, №275 (7 ივლისი), გვ. 1.

³ დეკ. ნ. თალაკვაძის სიტყვა კირიონ II-ს დაკრძალვაზე, იხ. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1927-1952 წ., თბილისი 2001, გვ. 455.

⁴ სცსსა, ფონდი №1458, საქმე №159, ფ. 1.

სია იმთავითვე გაჩნდა, თუმცა სოც. დემოკრატიულმა მთავრობამ და მისგან დანიშნულმა გამომძიებამ ვერაფერი დაადგინა. ეს საქმე ბუნდოვანებითაა მოცული დღესაც¹. ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს: 2002 წ. 17 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის დადგენილებით, უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II წმინდანთა შორის შეირაცხა. ამგვარად, ყოველგვარი ვერსიები მისი თვითმკვლელობის შესახებ, სამუდამოდ გამოირიცხა.

§2. საკაცობრიო და ეროვნული პრობლემატიკა კირიონ II-ის შემოქმედებაში

ქართველი სასულიერო პირების XIX-XX სს. დასაწყისის შრომები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იმ კონკრეტული ვითარების გამო, რაც იმ პერიოდის საქართველოში იყო შექმნილი. ინგლისელი ისტორიკოსის ედ. კარის სამართლიანი სიტყვით: „აღამიანები, რომელთა საქმიანობასაც იკვლევს ისტორიკოსი, არ იყვნენ იზოლირებული პიროვნებანი, რომლებიც ვაკუუმში შრომობდნენ. ისინი მოქმედებდნენ თავისი დროის საზოგადოებრივი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად“².

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა კირიონის შემოქმედება, რომელიც თითქმის ყველა იმ პრობლემას მოიცავს, რაც ანუხებდა XIX-XX ს. დასაწყისში ქართულ და მსოფლიო საზოგადოებას. მისი შრომები, ნერილები, საჯარო გამოსვლები, მრავალი ათეულობითაა (როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი). ამიტომ, ჩვენ მისი ნაშრომებიდან და ეპისტოლარული მასალიდან განვიხილავთ ყველაზე არსებითს, დამახასიათებელს და

¹ იხ. ს. ვარდოსანიძე, ვერსიები კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მკვლელობის შესახებ, წიგნში: საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1927 წწ., თბ., 2000, გვ. 111-116.

² ედუარდ კარი, რა არის ისტორია? თბ., 2001, გვ. 32.

მნიშვნელოვანს.

ერთ-ერთი შრომა, რომელმაც თავის დროზე დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელ რუსეთის იმპერიაში, არის კირიონის განთქმული წიგნი: „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ (რუსულ ენაზე, თბილისი, 1910 წელი). ამ დიდტანიან შრომაში (იგი 499 გვერდს მოიცავს), უამრავი პრობლემაა წარმოჭრილი. ამ წიგნში განხილულ ერთ-ერთ საკითხზე, კირიონი, ჯერ კიდევ 1908 წ. 13 თებერვალს, რუსული მატყიანეების ბრწყინვალე სპეციალიტს აკადემიკოს ალ. შახმატოვს სწერდა: „Подготовляю статью (მაშინ ჯერ წიგნად არ ჰქონდა განზრახული – ვ. კ.) под следующим заглавием: «Культурная роль Иверии в истории России». Неоднократные поиски русских ученых указать на первоначальный источник летописного сказания о крещении Владимира, оказались неудачными, так как, искали его там, где его никогда не было (у греков, болгар)... Грузинские источники до сего времени, никем еще не были опрошены...”¹.

ამ თვალსაზრისით, მან განიხილა კიევის რუსეთის და ქართლის ქრისტიანობაზე მომქცევი დიდი მთავარი ვლადიმირის და მეფე მირიანის შესახებ თქმულებათა მსგავსება. კერძოდ, მირიანის და ვლადიმირის დროებითი დაბრმავება ქრისტიანობის მიღების წინ. რუსული მატყიანეების მკვლევართა აზრით, არ არის გამართლებული „გარდასულ წელთა მოთხრობის“ უშუალოდ „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობის მტკიცება, თუმცა ზემოთ აღნიშნული, მსგავსი ეპიზოდების კვლევა, საინტერესოდ და საჭიროდ არის მიჩნეული².

ამ შრომაში, როგორც აღვნიშნეთ, უამრავი პრობლემაა წარმოჭრილი. შრომის დიდი მოცულობის და ძირითად დებულებათა საკამათო ხასიათის გამო, ეს წიგნი დღემდე არ არის სათანადოდ გაანალიზებული. მართალია, ძველ რომაელთა ბრძნული ანდაზის მიხედვით: „*Ei incumbit probatio, qui dicit, non qui negat*”, ანუ მტკიცების მთელი სიმძიმე მას აწვება, ვინც საკითხს წამოჭრის და არა მას, ვინც უარყოფს, მაგრამ ამ შრომის ძირითად დებულებათა

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №197, ფ. 1-2.

² თ. ბუაჩიძე, ძველი რუსული მწერლობა, ტ. I, მატყიანეები, თბ., 1973, გვ. 64.

უარყოფა (ან დამტკიცება) დღემდე არ მომხდარა.

კირიონს მიაჩნია, რომ XV ს-დან, რუსეთის სახელმწიფოს მსოფლიო ბატონობის მადა გაეხსნა და ამისთვის, უპირველესად, თეორიული ნიადაგის მზადება დაიწყო. XV ს-მდე სრულიად უმნიშვნელო, პატარა სოფელი, ახლა კი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მთავარი ქალაქი – მოსკოვი, გამოცხადდა „მესამე რომად“, ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობის ბურჯად, ერეტიკოსთა შემმუსვრელად, ქრისტიანული ქვეყნების ეტალონად და ა. შ. აი, რას წერს ამის შესახებ კირიონი: „დაახლოებით XV ს. ბოლოს, უსაქმო კალმოსანთა („нопомосчан“) მიერ, შეითხზა ცნობილი მოთხრობა ნოვგოროდის თეთრი ბარტყულას შესახებ. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ დაემტკიცებინათ: „მადლი, დიდება და პატივი, რომს ჩამოერთვა. ასევე, სამეუფო ქალაქს (კონსტანტინეპოლს – ვ. კ.) აგარიანთა მიერ მისი დაპყრობის გამო, სული წმინდის მადლი განეშორა. ღვთის მიერ, ყოველი წმინდა გარდაეცა დიდებულ რუსულ მინას“. ამ დროს რუსეთში, ყოველი მეტ-ნაკლებად წერა-კითხვის მცოდნე გამოცოცხლდა. ყველგან გაისმა კალმის წრიპინი. ყველა, ციებ-ცხელებიანივით ეძებდა საფუძველს, რათა გაემართლებინა ის დიდი როლი, რაც რუსეთს მიაწერეს. ბერ-მონაზონთა ვინრო სენაკებში იქმნებოდა დიადი გეგმები”¹.

აი, ამ განწყობის საპირისპიროდ, კირიონი თავის წიგნში შეეცადა ეჩვენებინა, რომ ქრისტიანული (მართლმადიდებლური) კულტურის გავრცელება-განვითარების საქმეში, პატარა საქართველოს არანაკლები როლი ენიჭებოდა, ვიდრე რუსეთს. მისი აზრით, ქართულმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა რუსულ მატიანეებზე, ანბანზე, ლიტერატურაზე, საეკლესიო ორნამენტებზე, ხატწერაზე, გალობაზე, ფოლკლორზე, კანონთა კრებულებზე, ლექსიკურ მასალაზე და ა. შ. მას მიაჩნდა, რომ ეს გავლენა ქრისტიანობამდელ, წარმართულ ღვთაებებზეც აისახა².

კირიონის აზრით, ქართული გავლენა XI-XII სს. რუსულ სამყაროზე ვრცელდებოდა ყირიმიდან (ტმუტარაკანის სამთავროდან), ათონისა და პეტრიწონის (ბაჩკოვოს) ქართული მონასტრები-

¹ Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910, с. 66.

² იქვე, გვ. 95-114.

დან¹. იმის მტკიცების უფლება, რომ ქართველების გავლენა ყირიმში, თავრიდის ნახევარკუნძულზე ადრიდანვე შეიმჩნეოდა, კირიონის მისცა XIX ს. მინურულს (1897 წ.) ხერსონში აღმოჩენილი XI ს-ის მონასტრის ნანგრევმა. მაშინდელი არქეოლოგების დასკვნით, იგი ქართული უნდა ყოფილიყო. კირიონმა ამ საკითხს ცალკე შრომაში მიუძღვნა: „XI ს. ქართული საკათედრო მონასტერი თავრიდის ხერსონში“ (რუს. ენაზე)². კირიონი ცალკე ადგილს უთმობს ბიბლიის სხვადასხვა ნაწილების და მათი კომენტარების ქართულ თარგმანთა წარმომავლობას. იგი კატეგორიულად უარყოფს ნ. მარის დასკვნას იმის შესახებ, რომ იპოლიტე რომაელის „ქებათა-ქების“ კომენტარების ქართული ვერსია, სომხურიდან არის თარგმნილი³. საკითხი, რა თქმა უნდა, დღევანდელი ტექსტოლოგიის თვალთახედვით უნდა შეფასდეს. მაგრამ საინტერესოა, რომ შატბერდის კრებულში დაცულ იპოლიტე რომაელის სხვა ნაწარმოების – „ქრონიკის“ შესახებ, იუსტინე აბულაძე მართლაც, ამგვარი აზრისაა. მისი დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ „ქრონიკის“ ქართულზე ვრცელი, სომხური ვერსია (რასაც ვერ ვიტყვით იპოლიტე რომაელის „ქებათა-ქების“ კომენტარებზე), ეს ძეგლი: „უფრო თარგმნილი ჩანს (ბერძნულიდან), ვიდრე ქართველი ავტორის მიერ გადმოქართულებული (იმავე ბერძნულიდან)“⁴.

ამ პასაჟში, კირიონი დაუნდობლად აკრიტიკებს ნ. მარს და სომხურ ისტორიოგრაფიას. ამიტომ იყო, რომ მისი წიგნის ბეჭდვის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ალ. ყიფშიძე, კირიონს, წიგნის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, სწერდა: „მარის წინააღმდეგ და სომხების შესახებ, სასტიკი ადგილებია. მშვენიერ სამეცნიერო წიგნს ეს ადგილები ლაზათს უკარგავენ. მეც და გიორგი ლასხიშვი-

¹ იქვე, გვ. 8-9.

² სცსსა, კირიონის ფონდი, №1458, საქმე №5 (83) (1911 წ.), ფ. 1-17. ეს შრომა ქართულად თარგმნა ნ. ნათაძემ და გამოაქვეყნა „საღვთისმეტყველო კრებულში“, 1981 წ., №12, გვ. 185-204; იხ. აგრ. ზ. სხირტლაძე, ედ. ჭელიძე, ეპიზოდი საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, ყურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1992, №3-4, გვ. 222-244.

³ ეპ. კირიონი, ივერიის კულტურული როლი..., გვ. 370-385.

⁴ ი. აბულაძე, იპოლიტე რომაელის ქრონიკის ძველი ქართული ვერსია, შრომები, ტ. III, თბ., 1982, გვ. 116.

ლიც¹ იმ აზრისანი ვართ, რომ ეს ადგილები უხერხულია. მეოცე საუკუნეში და ჩვენს მდგომარეობაში, შეუფერებელია. არც თქვენს ნოდებას და სახელს შეეფერება. ორიენი გთხოვთ ან სრულიად ამოშალოთ ეს ადგილები, ან ძრიელ შეასუსტოთ”². როგორც ჩანს, კირიონმა ალ. ყიფშიძის შენიშვნა არ გაითვალისწინა. წიგნის ამავე მონაკვეთში კირიონი მიუღებლად მიიჩნევს ქართული ანბანის წარმოშობის ე. წ. სომხურ თეორიას, ანუ იმას, რომ ქართული ანბანი სომეხმა ბერმა მესროპ მაშტოცმა შექმნა. კირიონი ამტკიცებს, რომ ანბანი ქართველი ხალხის ორიგინალური ქმნილებაა და იგი ეფუძნება არამეული ანბანის და არა ბერძნული ანბანის გამოცდილებას³. მართალია, კირიონის არგუმენტები ამ საკითხში საკმაოდ სუსტია, მაგრამ დღევანდელი ქართველი მეცნიერები იზიარებენ კირიონის აზრს იმ მიმართებაში, რომ ქართული ანბანი არ არის ერთი პირის, მით უფრო არაქართველის ქმნილება. განსხვავება იმაშია, რომ თანამედროვე ქართველ მეცნიერთა ერთ ნაწილს ქართული ანბანი ქრისტიანული ეპოქის ქმნილებად მიაჩნია. მცირე ნაწილი კი, მას კირიონის მსგავსად, ქრისტიანობის წინარე ეპოქას აკუთვნებს.

საყურადღებოდ მიგვაჩნია კირიონის დასკვნა იმის შესახებ, რომ ამბავი ივანე სუსანიანის გმირობის შესახებ, რუსეთში, ქართული ანალოგიური ამბის შესაბამისად შეთხზეს⁴. მართალია, მას არასწორად მიაჩნია, რომ რუსებმა ეს ამბავი პირდაპირ „ქართლის ცხოვრებიდან“ ისესხეს (იგულისხმება „ახალი ქართლის ცხოვრება“, ბერი ეგნატაშვილის რედაქტორობით), მაგრამ თვით საკითხის დასმა, უეჭველად კირიონის დამსახურებაა. რაც შეეხება გზებს, როგორ უნდა მოხვედრილიყო თევდორე ღვდლის გმირობის ამბავი რუსეთში, და არის თუ არა კირიონის ეს ვერსია საფუძვლიანი, ამ საკითხს ჩვენ სპეციალური შრომა მივუძღვენით. ჩვენი კვლევის თანახმად, მითი სუსანიანის შესახებ, ნამდვილად, ქართლში მომხ-

¹ გიორგი ლასხიშვილი (1866-1931) ჟურნალისტი. წერდა „ლალის“ ფსევდონიმით.

² ალ. ყიფშიძის წერილები კირიონს, „მრავალთავი“, III, თბ., 1973, გვ. 181 (წერილი №IV).

³ ეპისკოპოსი კირიონი, კრიტიკული შენიშვნები მ., თამარაშვილის წიგნზე „ისტორია კათალიკოსებისა ქართველთა შორის“, სცსსა, კირიონის ფონდი, №1458, საქმე №29, ფ. 2; აგრეთვე *Культурная роль...*, გვ. 312-315.

⁴ Епископ Кирион, *Культурная роль...*, с. 114-115.

დარი ანალოგიური შემთხვევიდან უნდა მომდინარეობდეს; ის ზეპირად (ან მოკლე ჩანაწერის სახით) ერთ-ერთ რუსულ ელჩობას უნდა წაელო ქართლიდან. ასეთი ელჩობები კი ამ დროს მრავლად ჩამოდიოდნენ საქართველოში და არა მარტო ქართლში.

ამიტომაც, მეფე თევდორე მიხეილის ძე, 1619 წ. ერთადერთ სიგელში, წინა წლების ამბების გადმოცემისას, ძალზე ზოგადად ახსენებს სუსანიის გმირობას, ყოველგვარი დეტალების გარეშე. ქარგა კი ზუსტად ისეთივეა, როგორც თევდორე მღვდლის შემთხვევაში¹.

ჩვენი აზრით, საინტერესოა აგრეთვე, ქართული საეკლესიო გალობის შესაძლო გავლენის კვლევა რუსულ გალობაზე², რადგან საერთო ბიზანტიური ფესვების გარდა, ქართული მრავალხმიანი საერო და საეკლესიო გალობა, მართლაც, უნიკალური ფენომენია, რომელსაც თავისი გავლენის სფეროებიც უეჭველად ექნებოდა.

რაც შეეხება კირიონის მიერ მტკიცედ აღიარებულ თეორიას ქალდეველთა და ქართველთა ნათესაობის – ურთიერთნარმოშობობის შესახებ³, ეს ჰიპოთეზა დღევანდელმა მეცნიერებამ არ დაადასტურა. ასევე, მიუღებელია იმ უამრავი ლექსიკური მასალის (მათ შორის ტოპონიმიკის) ქართულიდან რუსულში მოხვედრის კირიონის ვერსია, რაც მის ნაშრომშია წარმოდგენილი⁴. თითქმის ყველა მოხმობილი ლექსიკური მაგალითი, ან ბერძნულ-ლათინურია ან აღმოსავლური წარმომავლობისაა.

ამის შესახებ, კირიონს, ჯერ კიდევ ალ. ყიფშიძე მიუთითებდა. ზევით მოხსენიებულ წერილში, იგი წერდა: „ლექსიკონის შესახებ, გიგზავნი პატარა ნიმუშს. ეს სიტყვები – ფრანგულ-ბერძნულ-ლათინურ-გერმანული, ცხადია, შემოსულია რუსულში, არა via georgiana, არამედ დასავლეთიდან... ვაი, თუ ჯერეთ ამ სადავო სიტყვებმა აყალმაყალი გამოიწვიოს და შეასუსტოს ის კარგი შთაბეჭ-

¹ ვ. კიკნაძე, თევდორე მღვდელი და ივანე სუსანიის, მითი და რეალობა, თბ., 2005, გვ. 14-15 (ხელნაწერი). იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2008.

² Епископ Кирион, Культурная роль..., с. 98-103.

³ Епископ Кирион, Культурная роль..., с. 48-51, ასევე იხ. მისი სპეციალური შრომა ამ საკითხზე, სცსსა, კირიონის ფონდი, №1458, საქმე №10 (31), ფ. 1-10 (რუსულ ენაზე).

⁴ Епископ Кирион, Культурная роль..., с. 125-129 და 388-399.

დილება, რაიც, ჩემის ფიქრით, ნიგნმა უნდა მოახდინოს"¹.

ამგვარად, კირიონის აღნიშნული ნიგნი, უპირველესად იმით იმსახურებს ყურადღებას, რომ ეს იყო ქართულ-რუსულ ურთიერთობებში უპრეცედენტო შემთხვევა. კირიონმა შეძლო უამრავი ლიტერატურისა და წყაროების მოშველიებით, ურთიერთგაველენის საკითხი ახლებურად დაეყენებინა და რუსული ისტორიოგრაფიის სერიოზული ყურადღება მიექცია². სხვათაშორის, კირიონი ამ ნიგნის მეორე, გადამუშავებულ ვარიანტსაც ამზადებდა გამოსაცემად (ფიქრობდა დაენერა მისი მეორე ტომიც), რაც ველარ განახორციელა³.

საინტერესოდ მიგვაჩნია განვიხილოთ კირიონის ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ნაშრომებიც. თვითეული მათგანი იმის ნიმუშია, რა ფართო თვალსაწიერის იყო მეუფე და მთელი მსოფლიოსათვის აქტუალურ რა პრობლემას არ შეჭიდებია იგი. ერთ-ერთ ამ სახის ნაშრომს წარმოადგენს კირიონის მიერ ხერსონში შექმნილი პატარა ტრაქტატი, რომელსაც ეწოდება „ადამიანის სიტყვის ფსიქიური წარმოშობის შესახებ“ («О психическом происхождении человеческого слова»)⁴.

ადამიანის სიტყვის ბუნებისა და წარმოშობის შესახებ, კირიონი ასეთ დასკვნას გვათავაზობს: „აზრისა და დანაწევრებულ ბგერათა, როგორც ორი ძირითადი სტიქიის ჰარმონიული შერწყმით, ყალიბდება სრული, დამოუკიდებელი ადამიანური მეტყველების ორგანიზმი, რომელიც აღნიშნულის გამო, ერთ და იმავე დროს, ორლებნიანი მცენარის მსგავსად ვითარდება: გონებისა და გრძობების ორ სამყაროში, ორი სხვადასხვა მანათობელის გავლენით. დანაწევრებულ ბგერებს, ანუ სიტყვებს, აზრებთან ისეთივე მიმართება აქვთ, როგორც სახეს (слова) – პირველ სახესთან, შემასმე-

¹ ალ. ყიფშიძის წერილი კირიონს..., „მრავალთავი“, III, გვ. 181.

² იხ. მაგ. გამოხმაურებები ამ ნიგნზე; ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №388, 453, 495, 496, 515, 519, 713, 878, 833, 1258.

³ ხ.ერ.ც., კირიონის საარქივო ფონდი, საბუთი №131 (82) (1912 18 იანვარი); ასევე: №391 (1911 წ. ივნისის 15); 2005 წელს განხორციელდა ამ ნიგნის მეორე, როტოპრინტული გამოცემა (შესავალი დაურთო ე. ბუბულაშვილმა).

⁴ სსცსა, კირიონის ფონდი, №1458, საქმე №1458, საქმე №4, საარქივო აღწერილობაში ეს შრომა შეცდომით დასათაურებულია როგორც „ადამიანის ფსიქიური წარმოშობა“.

ნელს – ქვემდებარესთან, მოვლენას – სუბსტანციასთან, ნიშანს – ალსანიშნავთან. აზრი სიტყვასთან შეკავშირებულია განუყოფელი, ფარული ძაფებით. რამეთუ აზრი, სხვა არაფერია, თუ არა სულის უშიგანესი სიტყვა, რომელიც ისახება მის დაფარულ სიღრმეებში; ხოლო სიტყვა – ეს არის მხოლოდ „მუდმივი აზრისთვის“ – გრძნობადობისა და დროებითობის მინიჭება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის იგივე აზრი, მხოლოდ განსხვავებული განცალკევებულ ბგერებში; იგი გონებრივი სამყაროდან საგნობრივ სამყაროში გადმოსულია განუყოფელი ფორმით. ამგვარად, ადამიანი თავისი სულის ტაძარში (храмина) წარმოშობს რა აზრს და გააჟღერებს რა მას, თითქოს ქმნის (созидает) მას სიტყვებში. იმავდროულად, ხდება სასრული ყოფიერების (бытие конечное) ორი განსხვავებული ბუნების სტიქიის რყევა: სულიერის – აზროვნების სახით და საგნობრივის – ჰაერის სახით“. და შემდეგ: „სიტყვა გარეგნულად (საგნობრივი მნიშვნელობით), შექმნილი დანაწევრებული ბგერებისაგან, არის იდეათა უხილავი სამყაროს გაცხადება, არის პრიზმა, რომელშიც ცალ-ცალკე შეგვიძლია ვიხილოთ უკიდევანო აზრობრივი სინათლის თვითეული არეკლილი სხივი და დავაფიქსიროთ ის“¹.

კირიონი, ამ პატარა გამოკვლევაში, მიიჩნევდა, რომ ადამიანის „სიტყვა ყველაფერთან ერთად, არეგულირებს და ზღუდავს სურვილთა ძალას, რადგანაც არა ყოველი აზრი, არსებული ადამიანის გონებაში, განსხვავდება დროსა და სივრცეში, სიტყვის საშუალებით“².

ამ გამოკვლევას კირიონი ასე ამთავრებს: „ამგვარად, ადამიანის სიტყვა, თავის ფსიქიკურ წარმომავლობაში, ორ დაპირისპირებულ, ძირითად ძალას ურთიერთზღუდავს (ეს ძალებია): ადამიანის სულის და შეცნობის ძალა და სურვილის ძალა (ამავე დროს იგი არის) ორი განსხვავებული სამყაროს: უსასრულოსა და სასრულის ჰარმონიული შერწყმა“³ (უსასრულოში კირიონი სულიერ სამყაროს გულისხმობს, სასრულში კი ადამიანის რეალურ არსებობას, მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით, მეტყველებით, აზროვნებით და ა. შ.).

¹ სცსსა, ფონდი № 1458, საქმე № 4, ფ. 1v-2.

² იქვე, ფ. 2-3.

³ იქვე, ფ. 4 v.

ამ ფსიქოლოგიური ნაშრომს გარდა, კირიონის არქივში შემორჩენილია კიდევ რამდენიმე ფსიქოლოგიურ-იდეოლოგიური ტრაქტატი. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს შრომები წარმოადგენენ ქრისტიანული რელიგიისა და მეცნიერების შეერთების მაგალითს. განთქმული ფოლოსოფოსი პიერ ტეიარ დე შარდენი ამ საკითხზე წერდა: „რელიგია და მეცნიერება ორი, მაგრამ განუყოფლად დაკავშირებული, სრული შემეცნების ორი მხარე, ან ფაზაა“¹.

რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობის საკითხებით კირიონი საკმაოდ ადრეულ ასაკშივე დაინტერესდა. მის არქივში შემონახულია შრომა, რომელიც ზუსტად ამ საკითხს შეეხება და დაწერილია მაშინ, როდესაც გიორგი საძაგლიშვილი სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტი იყო².

წინარმოები ასე იწყება: „არც ერთი მეცნიერება თავის ბუნებრივი განვითარების პირობებში, ისე არ უახლოვდება ღვთისმეტყველების საგანს, როგორც ფილოსოფია. ფილოსოფიური კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირეული საკითხები ღვთისმეტყველური სწავლების პირდაპირ საგნებს წარმოადგენენ. ასე მაგალითად: ღმერთი, სამყარო და ადამიანი, როგორც ფილოსოფიის, ისე ღვთისმეტყველების შემეცნების საგნებია“³.

შემდეგ, გიორგი საძაგლიშვილი წერს, რომ საგანთა ასეთმა მსგავსებამ, თავის დროზე, ის გამოიწვია, რომ ზოგიერთმა ღვთისმეტყველმა საერთოდ უარყო ფილოსოფია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. კირიონი ასკვნის, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა გაუმართლებელია. იგი სვამს კითხვას: „რა დააშავა ფილოსოფიამ, თუ მას ბოროტად იყენებენ?“ შემდეგ კირიონი მეორე უკიდურეს აზრსაც განიხილავს, რომლის მიხედვით, ღვთისმეტყ-

¹ Пьер Тейяр де Шарден, Философия человека (Преджизнь, жизнь, мысль, сверхжизнь), М., 1987, с. 223.

² Георгий Садзаглишвили, Не исключается ли богословским учением о Боге, мире и человеке, необходимость философского исследования этих предметов? სცსსა, კირიონის ფონდი, №1458, საქმე №43 (ეს ნაშრომი აღწერილობაში მითითებული არ არის, რადგან ებმის კირიონის სხვა შრომას და პაგინაციაც წინა შრომის გაგრძელებაა).

³ იქვე, ფ. 24-24v (როგორც აღვნიშნეთ, საარქივო პაგინაცია არასწორია, რადგან კირიონის ეს შრომა, მექანიკურადაა გაერთიანებული მის წინა ხელნაწერ ნაშრომთან).

ველება არ სჭირდება ადამიანს, რადგან ის იმდენად ძლიერია, რომ თვითონ გაარკვევს ყოველივეს, მისი არსების გარეთ, ზეძალების ძიების გარეშე. აკადემიის სტუდენტი გიორგი საძაგლიშვილი მიიჩნევს, რომ არც ერთი ეს აზრი სწორი არ არის. მაგრამ იმისათვის, რომ თვალნათლივ აჩვენოს ორივე საგნის საჭიროება, კირიონი მოკლე ისტორიულ ექსკურსს წარმოადგენს. იგი ამბობს, რომ ფილოსოფია, რელიგიისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ძველი საბერძნეთის რეალობაში არსებობდა (თალესიდან ნეოპლატონიკოსებამდე). ამიტომაც, ფილოსოფიის ისტორიის მიმოხილვას იგი ამ ეპოქიდან იწყებს¹. მისი სიტყვით, ბერძენი ფილოსოფოსები ძალიან დიდი ხნის მანძილზე, მხოლოდ ბუნების და გარე სამყაროს შესწავლით იყვნენ დაკავებულნი. ამასთან, ზოგიერთი მათგანი მეტ ყურადღებას უთმობდა იმ მატერიას (საგანს), რისგანაც შედგებოდა მთელი სამყარო (იონიელები), სხვები – ფორმას, რომლის შიგნით მოიაზრებოდა გარკვეული მატერია (საგანი) (პითაგორელები), მესამენი კი ფორმისა და მატერიის ურთიერთკავშირს. საბოლოოდ, არისტოტელემ დაწვრილებით და ყოველმხრივ გააანალიზა გარე სამყარო. რაც შეეხება სამყაროს შიდა მხარეს, ანუ იდეებს, ეს საკითხი ყველაზე უკეთ, კირიონის აზრით, შეისწავლა პლატონმა. პლატონის მიხედვით, «სამყარო არის ღვთაებრივი იდეების განსხეულება»².

თანდათანობით, ადამიანმა გარკვეული შეხედულებები ჩამოაყალიბა ღმერთსა და სამყაროზე, ამის შემდეგ კი, ადამიანის გონება თავის თავს მიუბრუნდა. განსაკუთრებით ეს ითქმის სოკრატეზე და მის შემდგომი პერიოდის ფილოსოფოსებზე, როდესაც ადამიანის ბუნების ყველა თავისებურება იქნა განხილული და შესწავლილი. შეისწავლეს როგორც ადამიანის სხეული, ასევე ადამიანის სული. კირიონის თქმით, მათ სულის იმ თვისებათა დეფინიცია მოახდინეს, რაც დღესაცაა მიღებული (მაგ. უბრალოება, სულიერება, თავისუფლება, უკვდავება, გრძნობელობა, განსჯადობა, გონიერება და ნებისყოფა). ამასთანავე, ბევრმა ფილოსოფოსმა, კირიონის სიტყვით, მიზნად დაისახა ხალხის ზნეობრივი მდგომარეობა აემაღლებინა. ბერძნებიდან, ამ საკითხს განსაკუთრებული ყუ-

¹ იქვე, ფ. 24.

² იქვე, ფ. 27.

რადლებით ეკიდებოდნენ პითაგორა, სოკრატე, ზენონი, რომაელთაგან კი: „კატონები, სენეკები, ანტონინები¹, ეპიქტეტები და სხვები“². ყველაფრის საფუძველი, მისი თქმით, მაინც გონებაა: „გონებას მივყავართ ჭეშმარიტებასთან, ჭეშმარიტებას კი – ღმერთთან“³. კირიონი აღნიშნავს, რომ ადამიანის გონება, ეს არის მხოლოდ ღვთაებრივი გონის ანარეკლი. ხოლო ადამიანის შემეცნება, სხვა არაფერია, თუ არა ღვთაებრივი ჭეშმარიტების თავისუფალი განჭვრეტა და მისი დაუფლება. „ხოლო იგი (ღვთაებრივი ჭეშმარიტება) მოცემულია გამოცხადებაში“⁴. ამგვარად, განაგრძობს კირიონი, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების მთავარი საკითხები ერთმანეთს თანხვდებიან. მართლაც, ზემოთ ნახსენები პიერ ტიარ დე შარდენი წერს: „Когда мы рассматриваем как в развивающемся универсуме... временные и пространственные ряды расходятся и развертываются вокруг и позади нас, подобно поверхности конуса, то может быть, это чистая наука. Но когда мы поворачиваемся к вершине, к целостности и будущности, то это уже поневоле религия“⁵ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

შემდეგ კირიონი იმას აანალიზებს, თუ რა განსხვავებაა ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას შორის. იგი ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ფილოსოფია იკვლევს, ღვთისმეტყველება – გვასწავლის. აი, მთავარი განსხვავება მათ შორის“. კირიონი განმარტავს, რომ ფილოსოფია და ღვთისმეტყველება სხვადასხვა ფორმით აღიქვამენ ერთი და იგივე ჭეშმარიტებას. ღვთისმეტყველება მისი სიტყვით, ეფუძნება „ღვთაებრივ გამოცხადებას“ (და „ღვთაებრივ ავტორიტეტს“) ამიტომ, ღვთისმეტყველებითი სწავლა ემყარება დოგმატს, რომელიც მხოლოდ რწმენის საფუძველზე, უაყოყმანოდ უნდა იქნას მიღებული. ხოლო ფილოსოფია, როგორც დამოუკიდებლად განვითარებადი მეცნიერება, თავის გარეთ არ ეძებს

¹ „ანტონინებში“ იგულისხმება რომის იმპერატორი და ფილოსოფოსი, სტოიკოსი – მარკუს ავრელიუს ანტონინე (121-180); მას სახელი გაუთქვა ფილოსოფიურმა წიგნმა „ფიქრები საკუთარ თავთან“ („Ad se Ipsum“).

² იქვე, ფ. 27.

³ იქვე, ფ. 28.

⁴ იქვე, 28v; „გამოცხადებასთან“, ფანქრით, რუსულად მიწერილია: „რომელ გამოცხადებას გულისხმობს აქ ავტორი?“, როგორც ჩანს, ეს კირიონის მასწავლებლის შენიშვნაა.

⁵ Пьер Тейяр де Шарден, Феномен человека ..., с. 223.

ავტორიტეტს. მისი ერთადერთი ავტორიტეტი ეს არის აზროვნება, თავისი კანონებით. ფილოსოფიისთვის არ არსებობს მზა დასკვნები, შეხედულებანი; ყოველი დასკვნა მიიღება საფუძვლიანი კრიტიკის შედეგად. კირიონი წერს: „მართალია, ღვთაებრივი გამოცხადება უდავოდ არის შემეცნების ყველაზე სანდო წყარო, მართალია, იგი გვთავაზობს ღმერთზე, სამყაროსა და ადამიანზე ყველაზე წმინდა, ამალღებულ სწავლებას, მაგრამ ფილოსოფიას არ შეუძლია ისესხოს ღვთაებრივი გამოცხადების ეს ჭეშმარიტებანი. ის არის წმინდა აზროვნების მეცნიერება, რომელსაც საქმე არა აქვს იმ იდეებთან, რაც დამახასიათებელია ადამიანის სულისათვის... ფილოსოფოსებს ეს იდეები დაჰყავთ განსჯის სფერომდე, აქცევენ მათ აზროვნების კანონებში, აძლევენ მათ ცნებების, მსჯელობებისა და დასკვნების ფორმებს, აანალიზებენ მათ, იმისათვის, რათა (საბოლოოდ) სპეკულატური აზროვნების ფორმით წარმოადგინონ“¹.

ამგვარად, სასულიერო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი გიორგი საძაგლიშვილი რელიგიისა (ღვთისმეტყველების) და მეცნიერების (ფილოსოფიის), ურთიერთობის, სხვაობა-მსგავსების ურთულეს საკითხებს საინტერესოდ იხილავს.

იგი სწორად წარმოადგენს ამ პრობლემას. თანამედროვე ფილოსოფოსთა განმარტებით: „მეცნიერება არის ცოდნის სისტემა, რელიგია კი არის ზებუნებრივი (ღვთიური) ძალის არსებობის რწმენა“². მეცნიერული პროცესი, რელიგიური რწმენისაგან განსხვავებით, არის 1) დაკვირვებადი, 2) ფსევდობსოლუტური (იგი აბსოლუტურია მხოლოდ მოცემული მომენტისათვის, საერთოდ კი, უსასრულო განვითარების პროცესშია), 3) ექვემდებარება ლოგიკურ დასაბუთებას³. ისევე, როგორც კირიონს, თანამედროვე მეცნიერებასაც მიაჩნია, რომ მეცნიერებასა და რელიგიას შორის განსხვავებასთან ერთად, მსგავსებაცაა: „მათი საბოლოო მიზანი ერთია: „უზენაესი არსის, სუბსტანციური არსების, ანუ ღმერთის ნვდომა“⁴. რაც შეეხება მეცნიერებას, ის თავის მხრივ, სხვადასხვა

¹ კირიონის დასახ. შრომა (ხელნაწერი), ფ. 30.

² ს. ავალიანი, მეცნიერება და რელიგია, ჟურნ. „რელიგია“, 1995, № 1-2-3, გვ. 32.

³ იქვე, გვ. 35-36.

⁴ იქვე, გვ. 44.

საფეხურებს მოიცავს და მისი უმაღლესი საფეხურია ფილოსოფია, ანუ „პირველი ფილოსოფია“ (ონტოლოგია), ე. ი. ფილოსოფია არის მეცნიერება, აბსოლუტურის შესახებ. ამასვე ეძიებს რელიგიაც. თავდაპირველად, ამ ძიებებში რელიგია და მეცნიერება ცალ-ცალკე ვიდოდნენ და მტრულად იყვნენ განწყობილნი ერთმანეთის მიმართ. მაგრამ შუა საუკუნეების უდიდესმა მოაზროვნემ თომა აქვინელმა (1222-1276) შეძლო, ასე ვთქვათ, მათი დროებითი მორიგება. ფუნდამენტურ ნაშრომში, რომელსაც „თეოლოგიის ჯამი“ („Summa Theologiae“) ეწოდება, თომა აქვინელმა მეცნიერებასა და რელიგიას თითქოს თავისი ადგილი მიუჩინა. მან შემეცნება ორ ნაწილად დაყო და შეიმუშავა ცნებები: „ბუნებითი“ (არარეალური) შემეცნების და „რელიგიური შემეცნების“ ანუ შემეცნების „ზედა სართული“¹. შემდგომში, ეს „ზედა სართული“ მთლიანად ცალკე გამოეყო შემეცნებას და ღვთისმეტყველებას დასცილდა, რამაც ახალი პრობლემა წარმოშვა².

კვლავ კირიონის ადრეულ ფილოსოფიურ ნაშრომს დავუბრუნდეთ. კირიონი ადარებს რა ფილოსოფიას და ღვთისმეტყველებას, კვლავ ხაზს უსვამს იმას, რომ „ღვთისმეტყველება მთელი თავისი არსით არის დადებითად დოგმატური, ამიტომაც ღვთისმეტყველებითი სწავლება გადმოიცემა კატეგორიული მსჯელობის სახით, ფილოსოფიას კი კრიტიკული ხასიათი აქვს. ამიტომ ფილოსოფიური გამოკვლევები გადმოიცემა ჰიპოტეტური მსჯელობის სახით“. ანუ ფილოსოფია და ღვთისმეტყველება სხვადასხვა გზით მიდიან, მათი საბოლოო მიზანი კი ერთია (უზენაესის შეცნობა). ფილოსოფია და ღვთისმეტყველება არც გადაფარავენ, არც ხელს უშლიან ერთმანეთს. ამ აზრის დასადასტურებლად, კირიონს მოჰყავს ფილოსოფიის და სხვა მეცნიერული დისციპლინების ურთიერთმიმართების მაგალითები. იგი განმარტავს, რომ ადამიანის ფენომენს სწავლობს ღვთისმეტყველებაც, ისტორიაც, მედიცინაც, მაგრამ განზოგადებულად, მთლიანად, ადამიანის არსს, არსებობის მიზანს, შემეცნებას, აზროვნებას, მის კანონებს და გენეზისს მხო-

¹ დეკანოზი ვასილ ზენკოვსკი, ქრისტიანული ფილოსოფიის იდეა, ჟურნ. „რწმენა და ცოდნა“, თბ., 2000-2001, №4 (დეკემბერი-თებერვალი), გვ. 30.

² იქვე, გვ. 30-31.

ლოდ ფილოსოფია შეისწავლის¹. სქოლიოში კირიონს მოჰყავს კანტის მაგალითი. ის წერს: „კანტს სურდა შეეთანხმებინა სწავლება გამოცხადების შესახებ, თავის ფილოსოფიურ სწავლებასთან, ანუ გაემაგრებინა ერთი მეორეთი. ამით კი იგი ფიქრობდა სამსახური გაენია როგორც ქრისტეს რელიგიისათვის, ასევე თავისი ფილოსოფიისათვის. მას მიაჩნდა, რომ ფილოსოფიას თავისი გზით უნდა ევლო, მხოლოდ ხელი არ შეეშალა ბიბლიური ღვთისმეტყველების მსვლელობისათვის; და რომ მხოლოდ გონების ჩარჩოებში დარჩენილ პირველს (ე. ი. ფილოსოფიას) ჰქონდა უფლება თავისი დებულებების დასამტკიცებლად და განსამარტავად, თავის შეხედულებისამებრ, გამოეყენებინა თვით ბიბლია“².

ამის შემდეგ, კირიონი სვამს კითხვას, საერთოდ, საჭიროა კი, ფილოსოფია ადამიანისთვის? ამ კითხვაზე კირიონი ასეთ პასუხს იძლევა: ფილოსოფოსობის მოთხოვნილება, ადამიანის თვით ბუნებაშია მოცემული, რადგან დამოუკიდებელი შეხედულება საგნებზე, ადამიანის გონების თვისებაა: „ადამიანს, როგორც თავისუფალ – მოაზროვნე არსებას, რომელიც აზრითა და გონებითაა დაჯილდოვებული, არ შეუძლია პასიური როლის თამაში, როგორც საკუთარი თავის, ისე ყოველივე იმის მიმართ, რაც მის გარშემო“³. ფილოსოფიას, მისი სიტყვით, თეორიული და პრაქტიკული სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის. პრაქტიკული თვალსაზრისით, ფილოსოფია ეხმარება ადამიანს დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილება და ინტერესი სისტემური ცოდნის მიმართ, მეორე მხრივ კი, ფილოსოფია ადამიანს უწესებს იმ ზნეობრივ ნორმებს და პრინციპებს (აქ კირიონი გულისხმობს ეთიკას), რომელთა გარეშეც, არც ერთ ადამიანს არ შეუძლია არსებობა.

ამ საკითხის განხილვის შემდეგ, კირიონს მოჰყავს ის შეხედულებანი და აზრები, რომლებიც ადრეული პერიოდის ქრისტიან მამებს ანტიკური (წარმართული) ფილოსოფიის მიმართ ჰქონდათ. მისი სიტყვით, ლაქტანციუსი (გარდ. 330 წ. განთქმული ქრისტიანი მამა, უწოდებდნენ ქრისტიან ციცირონს; მისი მთავარი ნაწარმოებია „ღვთაებრივი სწავლების შესავალი“), თავდაპირველად უაღრესად

¹ კირიონის დასახ. შრომა (ხელნაწერი), ფ. 31v-32.

² კირიონის დასახ. შრომა, ფ. 31v (შენიშვნა სქოლიოში, ნაწერია ძალიან წვრილად).

³ კირიონის დასახ. შრომა, ფ. 34.

მტრულად იყო განწყობილი წარმართული ფილოსოფიის მიმართ, მაგრამ როდესაც კარგად და ღრმად შეისწავლა ანტიკური დროის ფილოსოფოსთა ნააზრევი, თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ შეცვალა. ლაქტანციუსის სიტყვით, თუ გავაერთიანებთ ძველი ფილოსოფოსების ცალკეულ დებულებებს, აღმოვაჩინებთ, რომ „ისინი ძალიან ახლოს მისულან ღმერთის ქრისტიანულ გაგებასთან“¹.

ქრისტიანი მამები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ფილოსოფია სასარგებლოა თავისთავად და ქრისტიანული მრწამსისათვისაც. თავისთავად აღებული ფილოსოფია სასარგებლოა, რადგან ისეთ ჭეშმარიტებებს ადგენს, რომელთა ცოდნა ადამიანისათვის აუცილებელია, და მეორეც, იგი სასარგებლოა, რადგან უზენაესის შეცნობაში გვეხმარება. ამასთან, იგი (ფილოსოფია) გვეხმარება თეორიულად დავიცვათ ჩვენი (ე. ი. ქრისტიანული) მოძღვრება. კირიონი ამბობს, რომ ნეტარი ავგუსტინეს (V ს.) სიტყვით, „შეუძლებელია ღმერთს ეჯავრებოდეს ჩვენში ის, რითაც, მისივე გადანყვებით, ჩვენ ცხოველებს აღვემატებით“ (ე. ი. გონებით და კრიტიკული აზროვნებით). რაც შეეხება რწმენის მეცნიერებას – ღვთისმეტყველებას, ის გონებისათვის დაფარულ მხარეებს განმარტავს. ღვთისმეტყველება ადამიანებს ღვთაებრივი გამოცხადების გზით ჭეშმარიტებას გადასცემს, მაგრამ არ ართმევს მათ უფლებას, ეძიონ ეს ჭეშმარიტება დამოუკიდებლად. ღმერთი არ ენინააღმდეგება გონების დასკვნებს, რადგან ჭეშმარიტება არ შეიძლება წინ აღუდგეს საკუთარ თავს. ამ პატარა, საინტერესო გამოკვლევას გიორგი საძაგლიშვილი ასეთი სიტყვებით ამთავრებს: „მაშ ასე, მიუხედავად ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების საგანთა მსგავსებისა, ფილოსოფია ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას და მისი დასკვნები არ გამოირიცხება საღვთისმეტყველო სწავლებით“².

ამ პატარა ტრაქტატის გარდა, რომლის ანალიზი პირველად წარმოვაჩინეთ, კირიონის ფონდში დაცულია კიდევ ერთი ფილო-

¹ იქვე, ფ. 35.

² გიორგი საძაგლიშვილი, „გამორიცხავს თუ არა საღვთისმეტყველო სწავლება ღმერთზე, სამყაროზე და ადამიანზე, მათ ფილოსოფიურ კვლევას?“ (რუსულ ენაზე), სცსსა, ფონდი №1458, საქმე №43, ფ. 37, შრომას ბოლოში, ფანქრით, მინერილი აქვს: „თხზულება, შეიცავს საქმიან აზრებს“ (რუსულ ენაზე), ჩანს, ეს კირიონის მასწავლებლის შენიშვნაა.

სოფიური შრომა; მას მოკლედ შეეხო ხ. ქოქრაშვილი. ეს არის კირონის თხზულება: „შეხედულება შემეცნებაზე, ერთი მხრივ ბეკონის და მეორე მხრივ, ძველი ფილოსოფოსების: სოკრატესა და პლატონის მხრიდან“. ამ ფილოსოფიური თხზულების შესავალში, კირონი წერს: „ძველი ფილოსოფოსები განსაკუთრებულ ყურადღებას ობიექტურ სამყაროს აქცევდნენ და ყოფიერების სხვა საკითხებით იყვნენ დაკავებულნი: კერძოდ, იმით, რომ როგორმე გადაეჭრათ ყოფიერების არსის საკითხი მის თავდაპირველ საფუძველში და ა. შ. ბუნებრივია, რომ შემეცნების გარეგნული ფორმებისადმი ასეთი ყურადღების პირობებში, მათ მიაჩნდათ, რომ თვით შემეცნებაც გარედან მომდინარეობს, მაგრამ თანდათან, ადამიანის სული, ობიექტური სამყაროდან ნელ-ნელა დაუბრუნდა თავის „მე“-ს; ამასთანავე, წარმოიშვა შემეცნების პრობლემის სისტემური გადანყვეტის აუცილებლობა და მართლაც, ფილოსოფიის ისტორიიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ფილოსოფოსები ძალიან მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ ყველა ფილოსოფიური საკითხი, რომლის გადანყვეტაზეც ისინი ამდენს ფიქრობდნენ, ძალიან მჭიდრო კავშირში იყო შემეცნების პრობლემასთან და რომ შემეცნების რაობის დადგენის გარეშე, ყველა სხვა ფილოსოფიური პრობლემის გადაჭრაც შეუძლებელი იყო. ამ საკითხის გადანყვეტის პირველი წარმატებული ცდა სოკრატეს სახელს უკავშირდება.

... სოკრატემდელი ფილოსოფოსები აქსიომად თვლიდნენ იმ დებულებას, რომ ადამიანი შეიცნობს საგნის არსს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგნები ჩვენს წინაშე წარმოჩნდებიან ისეთებად, როგორიც ისინი სინამდვილეში არსებობენ. ე. ი. როგორც ისინი აღიქმებიან ჩვენი გრძნობების მიერ. მაგრამ სოკრატე არ იზიარებს ამ აზრს. სოკრატეს მიხედვით, შემეცნება გარედან არ ხორციელდება, არ არის ისეთი რამ, რასაც ჩვენ გარედან აღვიქვამთ, პირიქით, შემეცნება ჩვენ შიგნით ხორციელდება, ჩვენი აზროვნებითი თვითმოქმედების საფუძველზე. სოკრატეს მიხედვით, ადამიანთა უმრავლესობისათვის შეუძლებელია ჭეშმარიტი შემეცნების მიღწევა იმიტომ, რომ ისინი პირველ შთაბეჭდილებებზე ჩერდებიან. მათი (ამ შთაბეჭდილებათა – ვ. კ.) ჭეშმარიტება კი, კარგად არ

აქვთ შესწავლილი”¹.

ამ სტატიაში, კირიონი გულისხმობს სოკრატეს მიერ აქცენტირებულ დებულებას იმის შესახებ, რომ შემეცნება საკუთარი თავის გაცნობიერებიდან იწყება. „შეიცან თავი შენი” – აი, სოკრატეს მოკლე და ტევადი პოსტულატი ამ საკითხთან დაკავშირებით. სოკრატეს მიხედვით, შემეცნების მიზანი (ცნება), ყველა ადამიანს თავის გონებაში აქვს მოცემული, მაგრამ ბუნდოვნად, გაუცნობიერებლად. ცნების ჩამოყალიბება და გაგება კი ინდუქციურმა (განმაზოგადებელმა) მეთოდმა უნდა მიახდინოს. გიორგი საძაგლიშვილი ანტიკური დროის შემეცნების პროცესის ანალიზს ადარებს უდიდესი ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის (1561-1626) მეთოდს². ფ. ბეკონი ახალი დროის მატერიალისტური ფილოსოფიური სკოლის უდიდესი წარმომადგენელი იყო. ფრენსის ბეკონს მიაჩნდა, რომ მეცნიერება იმისათვის არის მონოდებული, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის მაქსიმალურ გაბატონებას ბუნებაზე. ის გამოყოფდა მეცნიერული ცდის ორ სახეს: 1) „ნაყოფის მომცველს”, რომელიც მონოდებულია ახლავე, დაუყოვნებლივ მოუტანოს სარგებელი ადამიანს და 2) „სინათლის მომცველს” ე. ი. ისეთ ცდას, რომელიც ადამიანს დაუყოვნებლივ სარგებელს კი არ ითვალისწინებს, არამედ მოვლენების, კანონების და საგანთა არსის შემეცნებას უწყობს ხელს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კირიონს მიაჩნდა, რომ მეცნიერებისათვის გადამეტებულად პრაქტიკული მნიშვნელობის მინიჭებით, მისი ზნეობრივი მხარის მიჩქმალვა ხდება, რაც საბოლოო ჯამში, კაცობრიობას ზიანს მოუტანს³. მართლაც, დღევანდელ მსოფლიოში, ამკარად იგრძნობა ადამიანთა მოღვაწეობის ტექნოკრატიული მხარის უპირატესი განვითარება, რაც ზნეობრიობის დაკნინებას და საზოგადოების განვითარების დისბალანსს იწვევს. ფრენსის ბეკონმა ფილოსოფიაში ახალი ცნება შემოიტანა: „ნეგატიური ინს-

¹ Георгий Садзагелов, Взгляд на познание с одной стороны Бескона, а с другой, у древних философов Сократа и Платона (сравнительная оценка), სცსსა, ფონდი № 1458, საქმე № 43, ფ. 1-2.

² ვ. კიკნაძე, საკაცობრიო და ფილოსოფიური პრობლემათიკა კირიონ II-ის შემოქმედებაში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, № 2, გორი 2002, გვ. 44-46.

³ სცსსა, ფონდი № 1458, საქმე № 43, ფ. 18.

ტანცია". ბეკონი ასე მსჯელობს: ყოველი ცოდნის საფუძველში, სილოგიზმი დევს. სილოგიზმი შედგება მსჯელობებისგან, მსჯელობა – ცნებისაგან, მაგრამ ცნებებს ადამიანი ჩვეულებრივ, ძალზე სწრაფად შეიმუშავებს, ამიტომ ისინი არასანდოა. ცნებების შემუშავება ხდება ინდუქციური მეთოდით (ანუ განზოგადებით), განზოგადება კი ხშირად მხოლოდ იმ ფაქტებისა და შემთხვევების გათვალისწინებით ხორციელდება, რომლებიც მოცემულ განზოგადებას ან დასკვნას მხარს უჭერს. ბეკონი განმარტავს, რომ თუ ჩვენ ცნების შემუშავებისას არ შემოვიტანთ „ნეგატიურ ინსტანციას“, ანუ არ გავითვალისწინებთ ჩვენთვის სასურველი განზოგადების საწინააღმდეგო ერთ შემთხვევას მაინც, ეს განზოგადება ან მთლიანად შემცდარი, ან ნაწილობრივ გადასასინჯი იქნება. ბეკონმავე შემოიღო ოთხი სახის მცდარობის თეორია. მისი სიტყვით, არსებობს ოთხი სახის „შემცდარობა“, რომლებიც შემეცნების პროცესს ხელს უშლიან. ამ „შემცდარობებს“ ბეკონმა „კერპები“ უწოდა და ასე დააჯგუფა: 1) „გვარის კერპები“ – („*Idola tribus*“), ყველა ადამიანს მისი ბუნებიდან გამომდინარე, ახასიათებს შემცდარობის სინდრომი, ანუ ადამიანს თავისი ნაკლოვანებები, შეცდომები, უზუსტობები მექანიკურად გადააქვს ბუნებაზე, ე. ი. ადამიანი ბუნებაზე ტელეოლოგიური (ე. ი. რომ სამყაროში წინასწარაა დანესებული-დადგენილი მიზანი და მიზანშეწონილობა) შეხედულებისაა, 2) „გამოქვაბულის კერპები“ – („*Idola specus*“) ეს ისეთი შეცდომებია, რომლებიც ადამიანთა მთელ მოდგმას კი არ ახასიათებს, არამედ მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, ჯგუფს. ამგვარი შეცდომა ჩნდება ამასთანავე, ამა თუ იმ საკითხისადმი ადამიანის სუბიექტური მიდგომის გამო (მაგალითად, ზოგს ყველაფერი მხოლოდ ძველი მოსწონს, ზოგს ახალი და ა. შ. ეს კი განსაზღვრავს მათ სუბიექტურ მიდგომას მოცემული საკითხისადმი, 3) „ქუჩის კერპები“ – („*Idola fori*“) ეს ისეთი შემცდარობაა, როდესაც ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებიან (აზრს უზიარებენ) მხოლოდ ზეპირად. ასეთი შემთხვევაში, სიტყვათა მნიშვნელობა (მცნება) ყალიდება არა მოვლენის, ან საგნის არსის წვდომის საშუალებით, არამედ მხოლოდ ამ საგნის, ან მოვლენის შემთხვევითი, გარეგნული შთაბეჭდილებების საფუძველზე, 4) „თეატრის კერპები“ – („*Idola theatri*“), ისეთი სახის შემცდარობებია, რომლებიც ჩვენს გონებას თანდაყოლილი კი არ

აქვს, არამედ შემდგომში, არასწორი მსოფლგაგების, ან ავტორიტეტთა გავლენით შეიძინება. ასეთი შემცდარობები ხელოვნური წარმოშობისაა და თავისი აგებულებით გვაგონებენ თეატრალურ წარმოდგენებს, რომელსაც სინამდვილესთან შორეული კავშირი აქვს. ფ. ბეკონის მიხედვით, თუ ეს „კერპები“ არ დავძლიეთ, მაშინ ჩვენი შემეცნება სწორ გზას ვერაფრით დაადგება. მიუხედავად მატერიალისტური პოზიციისა, ფ. ბეკონი ღმერთის არსებობას არ უარყოფს, მაგრამ მეცნიერებისაგან მის სრულ გამიჯვნას მოითხოვს¹. კიევის სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი გიორგი საძაგლიშვილი მეტ-ნაკლები სისრულით გადმოსცემს ბეკონის მოტანილ თვალსაზრისს შემეცნებაზე. ბეკონისაგან განსხვავებით, მას მიაჩნია, რომ შემეცნების საკითხში თეოლოგია და ფილოსოფია არ უნდა გავაცალკევოთ და გავმიჯნოთ ერთმანეთისგან. როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილი მისი შრომის განხილვისას ვაჩვენეთ, კირიონს მიაჩნია, რომ ღვთისმეტყველება (თეოლოგია) და ფილოსოფია ერთმანეთს ხელს სრულიადაც არ უშლიან და მათი მთავარი საკვლევი საგანიც ერთია – „მსოფლიონება“, ანუ ღმერთი². კირიონი, ბეკონის მსგავსად, მიიჩნევს, რომ შემეცნების პროცესი, ყოველგვარი იდეოლოგიისა და ავტორიტეტებისაგან უნდა განთავისუფლდეს³. კირიონი ასევე თვლის, რომ თუ სამყარო მთლიანობაში, უსასრულობაში, ჰარმონიულობაში არ განვიხილეთ და გავიაზრეთ, ჩვენი ცოდნა იქნება მხოლოდ მოვლენებისა და ფაქტების ერთი მცირე, მოუნესრიგებელი გროვა. ამ მსჯელობასთან დაკავშირებით, უთუოდ გავგახსენდება პიერ ტეიარ დე შარდენის ზევით ციტირებული დასკვნა: მეცნიერება იკვლევს, ასე ვთქვათ, კონუსის ძირს. იმ შრეებს, რომლებიც დროსა და სივრცეში განიფინებიან, მაგრამ როგორც კი მეცნიერება კონუსის წვერისკენ მიდის (ე. ი. მთელი სამყაროს უზოგადეს კანონებს გაიაზრებს), იგი რელიგიად იქცევა.

მეცნიერულ ცოდნასთან დაკავშირებით, კირიონი, ფ. ბეკონ-

¹ კ. ბაქრაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969, გვ. 77-81, 91; ასევე Краткий очерк истории философии, под ред. М. Иовчука, Т. Озсрмана и др., М., 1969, с. 154-157.

² სსცსა, ფონდი №1458, საქმე №43, ფ. 9.

³ იქვე, ფ. 8.

ნისგან განსხვავებით, ასეთი აზრისაა: შემეცნება შეიცავს ორ მხარეს: ცდისეულ („a posteriori“) და ცდისგარეშე („a priori“). მათი რაციონალური შეერთებით შემეცნების პროცესი ხორციელდება¹. კირიონის ეს აზრები ე. კანტის შესაბამის დასკვნებს უახლოვდება. ე. კანტი თავის განთქმულ შრომაში „წმინდა გონების კრიტიკა“ წერდა: „... a priori ცოდნას ვუწოდებთ... ისეთ ცოდნას, ყოველგვარი გამოცდილებისაგან რომ უთუოდ დამოუკიდებელია. მას უპირისპირდება ემპირული, ანუ ისეთი ცოდნა, რომელიც მხოლოდ a posteriori ე. ი. გამოცდილებით არის შესაძლებელი... აპრიორულ ცოდნათაგან ისეთს ეწოდება წმინდა, რომელსაც ემპირული არაფერი ურევიან“² (ხაზი ე. კანტისაა). შემეცნების მეთოდებში, კირიონი მოიაზრებს როგორც ინდუქციურ (განმაზოგადებელ, კერძოდან-ზოგადისაკენ), ისე დედუქციურ (ზოგადიდან-კერძოსაკენ) მეთოდს³.

ზევით განხილული პრობლემები აქტუალური იყო მთელი მსოფლიოს მოწინავე ნაწილისათვის კირიონის დროსაც და ასეთებად დარჩებიან ისინი მანამდე, ვიდრე იარსებებს შემეცნება და მეცნიერება, ანუ ვიდრე იარსებებს ადამიანი.

გარდა ფილოსოფიური სიკითხებისა, კირიონის შემოქმედებაში სხვა მრავალ საკაცობრიო და ეროვნულ პრობლემას ეხვდებით.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეროვნულ-ისტორიული პრობლემათიკა, რომელიც კირიონის შრომებშია წარმოდგენილი, შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ: 1) XIX ს. 80-იანი წლებიდან 1905 წლამდე და 2) 1905-1918 წწ.; პირველ პერიოდში, კირიონის შრომებში, წერილებსა და საჯარო გამოსვლებში, ყველაზე მწვავე ეროვნული პრობლემები (მათ შორის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები) შეზღუდულად, მხოლოდ ფარულადაა მოცემული. ამ პერიოდის მის ბეჭდურ შრომებში ხაზი ესმება რუსეთის მართმადიდებლურ სახელმწიფოსთან საქართველოს შეერთების მნიშვნელობას, მუსლიმანური ფაქტორის უარყოფით როლს საქართველოს ისტორიაში, საქართველოს ეკლესიის გადამწყვეტ მნიშვნელობას ქართველი ხალხის გადარჩენა-განვითარებაში; იგი

¹ იქვე, ფ. 15.

² ე. კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, გერმანულიდან თარგმნა შ. პაპუაშვილმა, თბ., 1979, გვ. 38.

³ სცსსა, ფონდი № 1458, საქმე 649, ფ. 17.

დანერილებით იხილავს აგრეთვე, ქართულ უმდიდრეს კულტურულ საგანძურს (ხელნაწერებს, ტაძრებს, მუსიკას, წეს-ჩვეულებებს და ა. შ.) ე. ი. კირიონი ეროვნულ პრობლემებს იხილავს იმ ასპექტებიდან, რომელთა წარმოჩენაც შესაძლებელი იყო რუსეთის იმპერიის იმდროინდელი ცერზურული პირობების გათვალისწინებით. ცენზურა კი, რუსეთში, განსაკუთრებით გამკაცრდა XIX ს. 70-იან წლების ბოლოდან. ივ. ჯავახიშვილი, ამ საკითხზე, რუსული პროგრესული ენციკლოპედიისათვის დაწერილ სტატიაში, წერდა: „Тяжелый политический режим воцарившийся со второй половины 70-х годов (XIX века – В. К.) в государстве, создал еще более мрачную и безнадежную атмосферу в Грузии. К политическому гнету присоединилось национальное гонение, всякая самодеятельность была подавлена, во всяком [начинании] старались усмотреть признаки сепаратизма, а глава учебного округа (იგულისხმება ი. ვოსტორგოვი – ვ. კ.), в официальном отчете, поставил себе в исключительную заслугу, что ему удалось изгнать из народных школ родной язык населения”¹. ამ მძიმე სურათს კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენს ივ. ჯავახიშვილის მეორე გამოკვლევა: „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX ს. საქართველოში”; იგი, ამავე პერიოდის შესახებ დამატებით განმარტავდა: „Несчастье заключалось в том, что систематическое игнорирование грузинского элемента в служебной иерархии и искусственная задержка всякой самодеятельности и свободной мысли в грузинском обществе, привели к тому, что к этому времени, в Грузии, у правительства не было необходимого кадра интеллигентных служащих и идей, работников, которым было бы по плечу осуществление великой реформы”² (ი. ჯავახიშვილი გულისხმობს XIX ს. 60-იანი წლების და უპირველესად, გლეხთა განთავისუფლების რეფორმას). ასეთ მძიმე პირობებში, ბუნებრივია, კირიონსაც და ქართული საზოგადოების სხვა პატრიოტულად განწყობილ პირებსაც, უხდებოდათ არსებულ ვითარებასთან შეგუება. საცენზურო პირობები შე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, სტატია „საქართველო“ (გრანატის ენციკლოპედია), თბილუბანი, ტ. 12, თბ., 1998, გვ. 364.

² ივ. ჯავახიშვილი, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., თბილუბანი, ტ. 12, თბ., 1998, გვ. 453.

სუსტდა (ან საერთოდ გაუქმდა) მხოლოდ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. მართალია, 1905 წლამდეც, კირიონი ცდილობდა ფარულად გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საჭირობო-ტო საკითხისადმი, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი იყო. მის განთქმულ შრომაში „საქართველოს 12 საუკუნოვანი რელიგიური ბრძოლა ისლამთან“, ჩვენი აზრით, რუსეთთან მიმართებაში, ორიოდ ფარული აზრია გატარებული. მაგალითად, როდესაც კირიონი მსჯელობს იმაზე, რომ ერთმორწმუნე ბიზანტიას VII ს-ში, საქართველო უნდა დაეცვა და გაედლიერებინა და არა ორ ნაწილად გაეყო (გაენაწილებინა სპარსეთთან ერთად), თავისდაუნებურად, ეს პასაჟი, ბიზანტიაზე მეტად, რუსეთის სახელმწიფოსთან ასოციაციას იწვევს. კირიონი წერდა: „Отстоять в данном случае, целость грузинского царства, всецело зависело от Византии, но по своей коварной политике она допустила такое безчеловечное отношение к единственной православной державе в Азии – Грузии“. არ გვგონია, კირიონი იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ სჯეროდა, თითქოს საქართველოს მუდმივი მეტოქე – ბიზანტია, „სჯულის ერთიანობის“ გამო, გააძლიერებდა საქართველოს! სხვა ადგილას, თვით ბიზანტიის სახელმწიფო წყობას და ზნე-ჩვეულებებს კირიონი ასე ახასიათებდა: „Это было какое то странное время для византийской империи, когда не стало более доверия ни правительства к народу, ни народа к правительству, ни войска к полководцу“¹.

ეს დახასიათებაც ზუსტად XIX ს. მიწურულის რუსეთის იმპერიას შეესაბამება. და კიდევ ბიზანტიაზე: „Пустой формализм и нетерпимость в религии, в связи с деспотизмом, задушили всякие высшие стремления в нраве народном“². ესეც თითქოს ზუსტად რუსეთის იმპერიის და მის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოზეა ნათქვამი! მაგრამ ამაზე შორს, კირიონი ველარ წავიდოდა. იგი, როგორც რუსული ეკლესიის ეპისკოპოსი, პირველ რიგში, სახელმწიფო მოხელე იყო. ერთადერთი, რასაც ცარიზმი იმ პერიოდის საქართველოში უშვებდა, ეს ანტისომხური, და შესაბამისად სომხეთ-

¹ Епископ Кирион, Двенадцативековая религиозная борьба Грузии с исламом, Тифлис, 1899, с. 13, 16.

² კირიონის დასახ. შრომა, გვ. 17.

ში და სომხურ წრეებში, ანტიქართული განწყობილების გამოვლენა იყო. საქართველოს ქალაქებში და პირველ რიგში თბილისში, სომხური ბურჟუაზია ამ დროს ძალიან მომძლავრდა. მისმა ცალკეულმა წარმომადგენლებმა „მსოფლიო მასშტაბით“ დაიწყეს აზროვნება და ქართული ტერიტორიის, ტაძრების, მწერლობის ნიმუშების მითვისება. მათი ასეთი მოქმედება, ისედაც დაბეჩავებულ ქართულ საზოგადოებას საკმაოდ აღიზიანებდა. რუსეთის მესვეურები კი, ჯერ წააქეზებდნენ სომხურ პრეტენზიებს, შემდეგ ქართველებს „პასუხის გაცემის“ უფლებას „დიდსულოვნად“ რთავდნენ.

ამ საკითხის გაშუქება იმიტომ გვიწევს, რომ კირიონის და ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა ნაწერებში, ბევრია მსჯელობა ამ საჭირობოროტო საკითხზე (გავიხსენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის „ქვათა ლაღადი“). ნიკ. დურნოვო, ჩვეული პირდაპირობით, წერდა: „სომხების მფარველობითა და მხარდაჭერით, რუსული ადმინისტრაცია კავკასიაში, რუსების წინააღმდეგ ამხედრებს ქართველებს“. მისივე სიტყვით: „შორს არაა ის დროც, როცა ყველა მიწა სომხების ხელში გადავა (უკვე მოასწრეს გაკოტრებული ქართველი მემამულეებისგან ასეული ათასი დესეტინის შესყიდვა), ნაფიც მსაჯულთა და ერობის სასამართლო სომხური გახდება და წარმოიქმნება არა რუსული და არა ქართული მეფობა ამიერკავკასიაში, არამედ სომხური“¹.

კირიონის ადრეულ, ისევე, როგორც 1905 წლის შემდგომ შრომებში, მკვეთრად იგრძნობა „სომხური საკითხი“-სადმი მისი მკაცრი დამოკიდებულება. მისი ამ პოზიციის შესახებ, ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი, როდესაც კირიონის შრომას: „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ ვიხილავდით; კირიონის ნაშრომში „ისლამთან საქართველოს 12 საუკუნოვანი ბრძოლა“, იგი ასევე დაუნდობლად ამათრახებს ერეკლე II-ის მოლალატე ყარაბაღელ მელიქებს („მეჯღუმსა და აგოს“), რომლებმაც ალა მაჰმად ხანს შეუწყვეს ხელი აეოხრებინა და მიწასთან გაესწორებინა მათი ცოტახნისწინანდელი მფარველი მეფის (ერეკლეს) დედაქალაქი თბილისი². ასევე, მწარედ მოიხსენიებს კირიონი ვინმე არარა-

¹ ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, „განთიადი“, №10, 1990, გვ. 75.

² კირიონის დასახ. შრომა, გვ. 86.

ტიანცს, რომელმაც მტრის ჯართან ერთად, ერეკლეს ძალებს ზურგიდან, სოლოლაკის მხრიდან მოუარა და ქართველთა ჯარს ზურგში ლახვარი ჩასცა¹.

კირიონი მკაცრად აკრიტიკებს მისი დროის თბილისის საქალაქო მმართველობის სომხურ ზედაფენასაც, რომელმაც, საჭიროდ არ მიიჩნია, სხვებთან ერთად, საზეიმოდ აღენიშნა ერეკლეს გარდაცვალების 100 წლისთავი². სამხრეთ დასავლეთ რუსეთში სომხურ კოლონიზაციას კი, მან ცალკე წიგნიც მიუძღვნა³.

განსაკუთრებით გამწვავდა „სომხური საკითხი“ 1913-1914 წწ-ში. 1913 წელს, საქართველოში მცხოვრები სომხური მოსახლეობის ზედა ფენებმა ისარგებლეს მეფისნაცვლის ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის აშკარად გამოხატული სომხოფილობით და წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიიდან გამოყოფის და ალექსანდროპოლის (გუმბრი) მაზრასთან მათი შეერთების შესახებ; ამის შედეგად, მიიღებდნენ ახალ „ალექსანდროპოლის გუბერნიას“. ეს მცდარი იდეა, თვით ამ მაზრის მცხოვრებთაგან შექმნილმა კომისიამ უარყო⁴. ქართველთა მიმართ ასეთმა უსამართლობამ კირიონი აღაშფოთა. მან „კორნელიუსის“ (Корнелий) ფსევდონიმით „პეტროგრადის უწყებებში“ მოათავსა სტატია, სადაც წერდა, რომ ასეთი უსამართლო პროექტი რუსეთის ისტორიას არ ახსოვდა⁵. ისტორიული მიწების გადანაწილების საკითხი, კვლავ წამოიჭრა პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას. სომხურმა ბურჟუაზიამ, რომელსაც მთელ მსოფლიოში და მათ შორის რუსეთში ძლიერი მომხრეები ჰყავდა, გადანყვიტა, თურქეთის მოსალოდნელი ტერიტორიების გადანაწილების შემდეგ, საკუთარი ტერიტორია გაეზარდა და სომხეთი ე. წ. ისტორიულ საზღვრებში აღედგინა. ამავე დროს, რუსეთის მთავრობა, თურქეთის სომხების ნაქეზებით, თავის სპეკულატიურ მიზნებს

¹ იქვე, გვ. 90.

² იქვე, გვ. 98-99, შენ. 157.

³ Колонизация армян юго-Западной России, Каменец-Подольск, 1903.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულ და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, წიგნში: ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989, გვ. 42-50.

⁵ Корнелий, Армянский вопрос, газ. «Петроградские ведомости», 1915, №26 (Февраль), с. 3.

ახორციელებდა. საბოლოოდ, ამ პოლიტიკამ ოსმალეთში სომხური მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გამოიწვია 1915 წელს. 1914-1915 წწ. საომარი კამპანიების დროს, ომი აღმოსავლეთის ფრონტზე, რუსეთისათვის წარმატებით მიმდინარეობდა და ოსმალეთს სრული კატასტროფით ემუქრებოდა. პროსომხურმა ძალებმა რუსეთში, სასწრაფოდ შეადგინეს გეგმა, რომელშიც ნაჩვენებია იყო კაპიტულირებული თურქეთის ტერიტორიის რა ნაწილი უნდა შეერთებოდა სომხეთს. ამ ტერიტორიებში, ისტორიულ სომხურ ტერიტორიასთან ერთად, მათ ჩართეს შავიზღვისპირეთის ზოლი სინოპისა და ტრაპიზონის ჩათვლით. საკითხის ასეთ დასმას, კირონის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. იგი წერდა, რომ ტრაპიზონი („ტრაპეზუნდი“) ისტორიულად, ყოველთვის, ქართველთა მონათესავე ლაზებით იყო დასახლებული, ამიტომ, მისი აზრით, თუ ვინმეს შეიძლება ჰქონოდა პრეტენზია ამ რეგიონზე, ეს ქართველები უნდა ყოფილიყვნენ და არა სომხები. მას მიაჩნდა, რომ სომხებს ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ ისტორიული სომხეთის ტერიტორიები, მაგრამ არა ქართველების ხარჯზე¹. გარდა ამ საგაზეთო სტატიისა, ცენტრალურ საისტორიო არქივში, კირონის ფონდში, დაცულია მცირე ზომის შრომა „ივერია და ბიზანტია“, რომელიც გარკვეულად, ამავე საკითხს უკავშირდება. ეს სტატიაც იმავე ფსევდონიმითაა ხელმოწერილი („კორნელიუსი“)².

ჩანს, კირონს, ისიც გაზეთში გამოსაქვეყნებლად მოუმზადებია, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა და ეს სტატია კირონის არქივში დარჩა.

კირონი იხილავს ბიზანტიის აღმავლობისა და დაცემის მიზეზებს, ააშკარავებს ბიზანტიის მმართველი წრეების და მთლიანად იმპერიის მორალურ გადაგეარებას. იგი წერდა: „Преобладающий колорит тогдашнего византийского общества: лживость, вероломство, клятвопреступничество, продажность, распутство, жестокосер-

¹ იქვე, შდრ. ხ. ქოქრაშვილი, კირონი II-ს ისტორიული და საზოგადოებრივი შეხედულებები, დისერტაცია ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2001 (ხელნაწერის უფლებით), გვ. 54.

² Корнелий, Иверия и Византия, სცსსა, ფონდი №1458, საქმე №88 (მანქანაზე ნაბეჭდი ორი ვარიანტი).

დის, суеверие и предрасудки”¹. კირიონის სიტყვით, ამიტომაც შეწყვიტა ბიზანტიამ 1453 წელს არსებობა. ბიზანტიის იმპერიას თურქები დაეუფლნენ, რაც თავის მხრივ, მისი აზრით, დიდი უსამართლობა იყო. კირიონი იმედოვნებდა, რომ ქრისტიანული რუსეთი დაიბრუნებდა კონსტანტინეპოლს და შემდეგ ვითარება ამ რეგიონში მკვეთრად შეიცვლებოდა. იგი წერდა: „Близится час, когда должен наконец, разрушится многовековой Восточный вопрос и решится неразрывно связанная с ним судьба Царьграда. С каждым днем, судный день Турции становится ближе. Наступит исторический день и с политической сцены, теперешние обладатели Константинополя, принуждены будут удалиться”² (ხაზი ავტორისაა – ვ. კ.). მთავარ სათქმელს კირიონი სტატიის ბოლოს ამბობს. წყაროების მოშველიებით, იგი წარმოადგენს ქართველთა განუზომელ წვლილს წმინდა მიწების და იქ არსებული ტაძარ-მონასტრების მიმართ. კირიონს მიაჩნია, რომ: „Из наследия предков грузин, должны быть возвращены грузинской нации, по крайней мере, главные их святыни: Голгофа и монастыри Иерусалимский Крестный и Иверский на Афоне, в которых почивают мощи грузинских святых и их реликвии. Этими обителями владеют греки, по захватному праву, противоречащему христианскому братству и миролюбию”³ (1915 წ. 1 მაისი) (წმინდა მიწის და ათონის ქართული მონასტრების საქართველოსთვის დაბრუნების იდეა კირიონს სხვაგანაც აქვს გამოთქმული)⁴.

კირიონი დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს ფრონტზე მიმდინარე მოვლენებს. როდესაც საქართველოს ისტორიული პროვინციების შემოერთებას მოითხოვდა, მან უთუოდ იცოდა ის, რომ 1915 წ. აპრილში, ანტანტის ბლოკის წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალით, გამარჯვების შემთხვევაში (თურუსეთი არ გავიდოდა ამ ბლოკიდან), კონსტანტინოპოლი (სტამბუ-

¹ Корнелий. Иверия и Византия, სცსსა, ფონდი №1458, საქმე №88, ფ. 4.

² მითითებული შრომა, ფ. 5 (მინაწერი ფანქრით).

³ კირიონის მითითებული ხელნაწერი, ფ. 5-6.

⁴ იხ. Епископ Кирион, Заслуги грузинского монашества и монастырей для отечественной церкви и общества, Тифлис, 1899, с. 49-52; აგრ. სცსსა, კირიონის ფონდი, №1458, საქმე №56 („ნარკვევი ქართული ეკლესიის ისტორიიდან“ (რუსულ ენაზე), ფ. 411.

ლი) თავისი სრუტეებით, რუსეთს გადაეცემოდა¹.

ფრონტზე თუ სამშობლოში მომხდარი არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური მოვლენა არ რჩება კირიონის ყურადღების მიღმა. გარდა უშუალოდ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი თურქეთის ფრონტისა, მისი პირადი წერილებიდან ისიც ნათელი ხდება, რომ კირიონი ყურადღებით ადევნებდა თვალს საომარ მოქმედებებს სხვა ფრონტებზეც. ის გამუდმებით ფიქრობდა იმაზე, რით შეიძლებოდა ესარგებლა საქართველოს მსოფლიოს ახალი გადანაწილების შემთხვევაში. ამას მონიშნავს მისი ამ დროის წერილი ტარასი კანდელაკთან. ამ წერილში, კირიონი ადრესატს ამცნობს, რომ ესაუბრა ინგლისიდან ახლად დაბრუნებულ ალ. ცაგარელს. მას კი, თავის მხრივ, ოლივერ უორდროპთან ჰქონდა მსჯელობა საქართველოს შესაძლო დამოუკიდებლობის შესახებ. კირიონი თავის ძველ თანამებრძოლს ტ. კანდელაკს სწერს, რომ ო. უორდროპს თავი შეუკავებია ამ საკითხზე პირდაპირი პასუხის გაცემისაგან. კირიონი დასძენს: „ნამდვილად კი, ეხლაც საქართველოს თანაუგრძნობს ვარდროპი, მაგრამ როგორც მოკავშირენი რუსეთისა (საუბარია I მსოფლიო ომში, ინგლისის რუსეთთან მოკავშირეობაზე – ვ. კ.), ფრთხილად ექცევიან ამგვარ საკითხებს“². იმავე წერილის „P.S.“-ში, ის ჩრდილოეთის ფრონტის მდგომარეობასაც ეხება: „ფინლანდიის ეშინიანთ, ამბობენ, რომ ომში არ ჩაერიოს. არა მგონია, ფრთხილმა ფინებმა გადასდგან ამგვარი სახიფათო ნაბიჯი. უფრო კარგი შემთხვევა ჰქონდა ფინლანდიას რუსეთის რევოლუციის დროს (იგულისხმება 1905-1907 წწ. – ვ. კ.), მაგრამ გონივრულ მოსაზრებას მათთვის არ უღალატია გაჭირვების დროს და მშვიდობით გადაურჩენია თავისი სახელმწიფოს გემი“³ (1914 წ. 22.X.).

კირიონის (ისევე, როგორც სხვა ქართველი მღვდელმთავრების) შემოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება ასეთი კითხვა

¹ История первой мировой войны, в двух томах, под редакцией И. Ростунова, т. 2, М., 1975, с. 106.

² ბ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №167, ფ. 2, აგრ. ვ. კიკნაძე, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დას. ევროპის საერო და საეკლესიო წრეებთან, საისტორიო შტუდიები, III, თბ., 2002, გვ. 132.

³ იქვე.

გაჩნდეს: მათი ეროვნულ-სარწმუნოებრივი პატრიოტიზმი ხომ არ გადადის ფილეთიზმში (ეკლესიურ ნაციონალიზმში), ან აგრესიულ ნაციონალიზმში? ამ საკითხზე, კატეგორიული უარყოფითი პასუხის გაცემა შეგვიძლია. კირიონის ეკლესიური პატრიოტიზმი არ არის ფილეთიზმი; მისთვის მსოფლიო ეკლესია, უდავოდ ერთიანი და განუყოფელია. საქმე ის არის მხოლოდ, რომ მას არ სურს (და ეს ობიექტურადაც არ იქნებოდა გამართლებული) დაიჩაგროს ამ ერთიანი („კათოლიკე“) ეკლესიის შემადგენელი მცირე, მაგრამ თვითმყოფადი ნაწილი – საქართველოს ეკლესიის სახით. მკვლევართა სამართლიანი აღიარებით: „ეროვნულ კუთვნილებას და თვითცნობიერებას ქრისტიანი ინარჩუნებდა მონასტრებშიც კი, რაც თითქოს ნაკლებად იყო მოსალოდნელი... ერთმანეთის გვერდით მოღვაწე არაბი, სირიელი, სომეხი, ქართველი ბერები ერთსა და იმავე დროს ემსახურებოდნენ თავ-თავის ქვეყნებს, თავ-თავის ეროვნულ ეკლესიებს... და უნივერსალურ ქრისტიანულს“¹.

რაც შეეხება ნაციონალიზმს, ჯერ კიდევ XIX ს. 90-იან წლებში, რუსეთის უმაღლესი მმართველი წრეების წარმომადგენელმა ს. ვიტემ, ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებო შრომა შექმნა. შრომის 1912 წლის მეორე გამოცემას ეწოდებოდა: „ნაციონალიზმის შესახებ“. ს. ვიტემ ლოგიკურად დაასაბუთა ორგვარი ნაციონალიზმის არსებობა. მის პირველ სახესხვაობას, ს. ვიტემ „ჯანმრთელი ნაციონალიზმი“ უწოდა, მეორეს კი „ავადმყოფური“. პირველი სახის ნაციონალიზმს იგი უპირისპირებდა კოსმოპოლიტიზმსა და კოსმოპოლიტურ აბერაციას (გაუგებრობას); ასეთ (პირველი სახის) ნაციონალიზმს იგი მიიჩნევდა დამარწმუნებლად, ძლიერად; ასეთი ნაციონალიზმი, მისი სიტყვით, გამოიხატება სამშობლოსადმი თავდადებული, მაღალი სიყვარულით, მეორე სახის ნაციონალიზმს კი ს. ვიტემ მიიჩნევს ეგოისტურად, ვნებებითა და შურისძიების სურვილით აღსავსედ. ს. ვიტემ ასაბუთებდა, რომ სახელმწიფომ სწორედ პირველი სახის ნაციონალიზმს უნდა მისდოს და არა მეორეს². დღევანდელი ტერმინოლოგიით, ამგვარ, ე. ი. ჯანმრთელ ნაციონა-

¹ ზ. კიკნაძე, ეროვნული პრობლემა მართლმადიდებლურ ტრადიციაში, წიგნში: ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ, თბ., 2002, გვ. 12.

² იხ. А. Ф. Кони, Сергей Юльевич Витте (Отрывочные воспоминания), сборник сочинении в восьми томах, т. 5, М., 1968, с. 271.

ლიზმს „ნაციონალური იდენტობის“ პრობლემა ესადაგება¹.

კირიონის და სხვა ქართველ მღვდელმთავართა შრომები და ნა-
აზრევი მოწმობს, რომ მათი ნაციონალიზმი, თუ შეიძლება ასე ითქვას,
მთლიანად პირველი სახისაა, ანუ გამორიცხავს სხვა ერების მიმართ
შურისძიების, ბოღმის, დამცირების გრძნობებს. ეს უკანასკნელი გა-
მოვლინებები კი, დამახასიათებელია ე. წ. „ავადმყოფური ნაციონა-
ლიზმისათვის“. კირიონის მიერ წინ წამოწეული თუნდაც ე. წ. „სომხური
საკითხი“ სრულიად არ გულისხმობს ამ ერის წინააღმდეგ შურისძიე-
ბას, სიძულვილს, ან დამცირებას. კირიონი მხოლოდ იმას ცდილობს,
რომ დაიცვას ქართველი ხალხის შელახული ინტერესები; მხოლოდ ამ
მიზანს ემსახურებოდა მისი მწვავე მოპაექრე ტონი და შემართება. ასე-
თი შემართებით გამოირჩევა მისი ბრძოლა ქართული ტაძარ-მონასტ-
რების სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ექსპანსიისაგან დასაცავად.
ამ საკითხზე, კირიონმა მოხსენებითი ბარათი დაწერა ეგზარქოსის სა-
ხელზე და კატეგორიულად მოითხოვა ქართველებისაგან მიტაცებული
ეკლესიების უკან დაბრუნება (1898)². ცალკე მოხსენებითი ბარათი და-
წერა მან ღუშეთის რაიონის სოფ. ბოდავის ეკლესიის გრიგორიანთა მი-
ერ მიტაცებასთან დაკავშირებით³. რაც შეეხება პოლემიკას სომხურ
გაზეთ „ნორ-დარის“ პრიმიტიულ, ანტიქართულ სტატიასთან დაკავში-
რებით (სტატია გადმობეჭდა „ივერიამ“ 1903 წ. №33-ში), რომელშიც
თითქოს კირიონიც ჩაერთო⁴, ვფიქრობთ, ეს საკითხი დაზუსტებას მო-
ითხოვს. „ნორ-დარის“ ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) საპასუხო სტა-
ტია, „ივერიამი“ დაიბეჭდა „ბერის“ ფსევდონიმით (№38), მაგრამ ეს
ფსევდონიმი საეჭვოა, რომ კირიონს ეკუთვნოდეს. „ბერის“ ფსევდონი-
მი კირიონისად არ მიაჩნია ხ. ქოქრაშვილსაც⁵. 1900 წ-მდე ამ ფსევდო-

¹ ენტ. სმითი, ნაციონალიზმი (თეორია, იდეოლოგია, ისტორია), თბ., 2004, გვ. 41-45.

² ეპისკოპოსი კირიონი, ნარკვევი საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან (რუსულ ენაზე), სცსსა, ფონდი №1458, საქმე №56 (64), ფ. 76.

³ სცსსა, ფ. №1458, საქმე №165 (61), ფ. 1-9.

⁴ უკანასკნელ ხანს, ამ სტატიას საგაზეთო ინტერვიუში შეეხო დ. იანოვსკი (იანქოშვილი) და სტატია უყოყმანოდ კირიონისად მიიჩნია. იხ. „საქარ-
თველოს რესპუბლიკა“, 2005 წ. 2 აგვისტო (№182), გვ. 6.

⁵ ხ. ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის
კირიონ II ეროვნულ-საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი,
ავტორიფერატი ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.,
2001, გვ. 9-10.

ნომით დაბეჭდილ სტატიებს, აშკარად სხვა სტილი და ენობრივი ქარგა ემჩნევათ, ვიდრე შემდგომ პერიოდში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ 1900 წ-მდე, ამ ფსევდონიმით მ. საბინინი ბეჭდავდა სტატიებს, შემდგომ კი იგი სხვა პიროვნებამ გამოიყენა, რომლის ვინაობა ჯერ კიდევ დასადგენია (შესაძლოა, იგი მოსე ჯანაშვილი იყო).

იმას, რომ კირიონი მხოლოდ ქართული ეკლესიის და ერის უფლებებს იცავდა და სრულიად არ ცდილობდა მტრული ურთიერთობა დაენერგა მეზობელ სომეხ ხალხთან, კარგად მოწმობს მისი ეპისტოლე სომხეთის კათალიკოსის მიმართ. ამ ეპისტოლეში, კირიონი ყოველთა სომეხთა კათალიკოსს გულმხურვალედ სწერდა: „მიმოვიხილავ გარემოებს ჩემსა და თუალთა¹ გონებისა ჩემისასა შევაცენებ ერსა ზედა ჰაიკანისასა. ძმური ნათესაობა ქართლოსიან-ჰაოსიანთაჲ, მსვლელობას საუკუნეთას განმტკიცებელი, გაბრწყინვებულ იქმნა ემბაზსა შინა იერუსალჴმის ქრისტიანობისას(ა) და ძმანი ესე ახოვანნი, უხვად ჰფენდეს კედართა აღმოსავლეთისათა შარავანდედთა ღმრთივმეცნიერებისა და კეთილმსახურებისათა. გარნა მანქანებითა კაცთ მოძულისა ეშმაკისაჲთა დაითესა ჩუენს შორის ღვარძლი სარწმუნოებითი ლალვისაჲ (შულღისა - ვ. კ.) და დასაწყისსა მეშკდისა საუკუნისა, იქმნა განწუალებაჲ ერთმორწმუნეთა ძმათაჲ. განწუალებამან ჩუენმან, წარმოშვა დაკნინებაჲ ჩუენი, ხოლო დაკნინებითა ამითა, მტერმან სასტიკმან განამტკიცა ქედსა ზედა ჩუენსა საყდარი ბატონყმობისა თვისიანაჲ. როგორც ვხედავთ, კირიონ II-ს მიმართვა ნამოადგენს გულწრფელ, სამშვიდობოდ განვდილ ხელს; ამასთან, ეპისტოლე ულამაზეს, ძველქართულ ქარგაზეა გამოჭრილი.

კირიონი წუხს, რომ გაუგებარი მტრობა და შუღლი ჩამონვა ორ ძველ და ქრისტიანობით გაბრწყინებულ მოძმე ერს შორის. ის სამართლიანად მიუთითებს, რომ განხეთქილება მათ შორის VII ს. დასაწყისში (608 წ.) მოხდა. ქართულ-სომხური დაპირისპირებით კი, საერთო მტრებმა კარგად ისარგებლეს და ორივე ერს ბატონყმობის უღელი დაადგეს. ეპისტოლეს ბოლოს, კირიონი კიდევ ერთხელ გამოთქვამს სურვილს, რომ ორმა მეზობელმა ერმა კვლავ ითანამშრომლოს და ერთობლივად გაუმკლავდეს ცხოვრების სირ-

¹ დედანში - „თუალნი“.

თულებს: „ვლოცავ უფალსა, რათა სწრაფად და ლუანლითა ჩუენითა აღდგენილ იქმნეს ერთობა ჩუენდამი რწმუნებულთა ერთად. ერთობასა ვიტყვ არა სარწმუნოებრივ-დოღმატურსა, არამედ მოქალაქეობრივ-განმანათლებლობითსა (ე. ი. საერო და კულტურულ საკითხებში, – ვ. კ.), რათა დაემყაროს ჩუენს შორის ძმობა და ურთიერთას გულისხმაყოფა და რაითა სამშობლოსა შინა ჩუენსა, განსახიერდეს სასუფეველი ღმრთისაჲ“¹. თითქოს, სომეხთა მხრიდანაც გულწრფელი მილოცვა მიიღო კირიონმა. ყოველთა სომეხთა კათალიკოსი გეგორქ V, აღსაყდრების დღეს, კირიონს ასე ულოცავდა: „В день помазания Вашего в Католикосы грузинской церкви, приношу как глава армянской апостольской автокефальной древнейшей церкви от всей души поздравления в лице Вашем, церкви грузинской, да внемлет Господь Бог молитвам из уст моих даровать церкви грузинской новую светлую жизнь на служении своих дорогих (უნდა იყოს «своим дорогим» – ვ. კ.),“² веками жившими с народом моим, в братской любви“³.

1917 წელს კავკასიის ხალხების ურთიერთნდობის და საქართველოს მეზობლებთან კეთილი ურთიერთობის საკითხს, კირიონი განახლებული ეკლესიის უპირველეს ამოცანად მოიიჩნევდა. იგი ერსა და ბერს ამ სიტყვებით მიმართავდა: „ერთა შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცება ახლა უნდა მორიგ საკითხად ჩაითვალოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ ძმურ განყობილებას ხელოვნურად არღვევდნენ“. მას მოყავს ქართული ეკლესიის და ერის ტოლერანტობის მეტაფორული მაგალითი და ამბობს: „ქართული საბარება, ისრაელების თორა და მაჰმადიანთა ყურანი მშვიდობიანად თავსდებოდნენ საქართველოში. ეკლესია იყო თავი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი ჩვენში ჰპოვებდა მეორე სამშობლოს“³.

ამ სიტყვებიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ საქართველოს სახელმწიფომ და ეკლესიამ უნდა იზრუნოს კავკასიის ხალ-

¹ კირიონ II-ის ეპისტოლე სომეხთა კათალიკოსის მიმართ, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, კირიონის საარქივო ფონდი, საქმე №27830ვ (ძვ. №026908).

² გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის კირიონის საარქივო ფონდი, საქმე №276630ვ (დეპეშა).

³ ურნალი „სვეტიცხოველი“, 1917, №4, გვ. 3.

ხებთან კეთილმეზობლობაზე, რათა წინ აღუდგნენ მათ, ვინც ამ ურთიერთობებს არღვევს (იგულისხმება საქართველოს როგორც ჩრდილო ისე სამხრეთი მეზობლები).

სამწუხაროდ, მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, რომ „ლალვა“ და „ეშმაკის მანქანები“ კვლავ გაერია კავკასიის ორი ძველი მეზობლის ურთიერთობაში. ეს კი, 1918 წელს ქართულ სახელმწიფოზე სომხური ჯარის თავდასხმით დამთავრდა. იმ ეტაპზე, არც კავკასიის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობა მოხერხდა.

კირიონის შემოქმედება და პირადი საარქივო ფონდი იმდენად მდიდარია, რომ შეუძლებელია ამოვნუროთ ის ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა, რომლებითაც კირიონი იყო დაინტერესებული. ამიტომ, განვიხილავთ ძირითად, თვალსაჩინო, მნიშვნელოვან საკითხებს.

ქართველი ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში კირიონი განსაკუთრებულ როლს ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) სარწმუნოებას ანიჭებდა. მისი სიტყვით, ამ რწმენამ შეუნარჩუნა ქართველ ერს ენა, თვითმყოფადი კულტურა, ზნეობა, წესჩვეულებანი. „ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველი ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობის ის იყო დროშა“¹. კირიონი ამტკიცებდა, რომ ქართული ეკლესიის დამსახურება, ჯერ ქართველი ხალხის წინაშეა დიდი და შემდეგ, უფრო ფართო აზრით, იგი მსოფლიო ეკლესიისთვისაც განუზომელია². თვით ქართველი ხალხი, წერდა ის, „ძალიან ბევრითაა დავალებული თავისი მართლმადიდებლური ეკლესიისაგან“, მან ასწავლა ხალხს ჭეშმარიტი რწმენის ფასი, ქრისტიანული მცნებანი, სიკეთე, თავდადება, გულკეთილობა, არამომხვეჭელობა, საყოველთაო ძმობა და ა. შ. კირიონი ჩამოთვლის ათეულობით იმ გამორჩენილ საეკლესიო მოღვაწეებსაც, ვინც იღვწოდა ქართველთა გასანათლებლად და ეროვნული აღორძინებისათვის. იგი ასკვნის, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მისგან ბევრად მოშორებითაც (ათონზე, პალენტინაში, სინაზე) თავდადებით იღვწოდნენ ქართველი სასულიერო მისიონე-

¹ კირიონ II-ის გუჯარი სამწყსოს მიმართ, ჟურნ. „სევეტიცხოველი“, 1917, №4, გვ. 3.

² Епископ Кирион, Назревший вопрос (ко дню столетия присоединения Грузии к России), Тифлис, 1901, с. 1.

რები, რომელთა მოღვაწეობის მნიშვნელობა სცილდება მხოლოდ ქართველთა განმანათლებლობის საზღვრებს¹. ამასთან, კირიონი ასაბუთებს, რომ საქართველოს ეკლესია არასდროს ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. იგი მხოლოდ ზნეობრივი მაგალითით უძლვდა წინ ერს. კირიონმა საგანგებო ნაშრომი უძღვნა საქართველოს ბერებისა და მონასტრების დამსახურებას ქვეყნის წინაშე. ამ ნაშრომში, მისი მთავარი მიზანი ზნეობრივი სანყისის წინ წამოწევაა. მას მიაჩნდა, რომ ამის გარეშე, საზოგადოების ნორმალური განვითარება შეუძლებელია. ზნეობის საუკეთესო ნავსაყუდელად კი, მას მონასტერი და სამონასტრო ცხოვრება მიაჩნდა. კირიონი წერდა: „სამხედრო ძალის გარდა, სახელმწიფოში არსებობს სხვა, უფრო ძლიერი ძალა, ძალა ზნეობისა, და სამყაროში, მნიშვნელობის მხრივ, ვერაფერი შეედრება მას; სინყნარესა და სიმშვიდეში, მოკრძალებულად და მშვიდობიანად, ძლიერად და დაბეჯითებით მუშაობს ეს დიდი გარდამქმნელი ძალა როგორადაც დულაბი კრავს და აერთებს ქვეებს, ასევე იგი (ზნეობის ძალა – ვ. კ.) აერთებს სახელმწიფოს დანაწევრებულ ნაწილებს ერთ, განუყოფელ მთლიანობად“².

კირიონი წერს, რომ ბერობა ზეციური ცხოვრების მიმსგავსება და სანყისია, ამგვარად, მისაბაძი ყოველი სულიერისათვის; მისი აზრით, ეს საკითხი, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვისაა აქტუალური, როგორც საქართველოა: „არ არსებობს ქრისტიანული ქვეყანა, სადაც სამონასტრო ცხოვრება ისე ყოფილიყოს განვითარებული, და ისეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონოდა, როგორც ტანჯულ საქართველოსათვის ჰქონდა“ – წერდა ის.

კირიონი განიხილავს ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორიულ ეტაპებს და აღნიშნავს, რომ მონაზვნობის დიადი მისია სამღვდელთა გარდა, საქართველოში ერთნაირად იტვირთეს უპოვართა და მდიდართა, გლეხებმა და აზნაურებმა, თავადებმა და მეფეებმა; რადგან სწორედ ბერ-მონაზვნური გამძლეობა იყო საჭირო იმ დაუსრულებელი განსაცდელის გასაძლეობად, რა მდგომარეობაშიც საქართველო პერმანენტულად იმყოფებოდა... კირიონ-

¹ იქვე, გვ. 2-3.

² Епископ Кирион, Заслуги грузинского монашества и монастырей для отечественной церкви и общества, Тифлис, 1899, с. 1; იხ. აგრეთვე: Назревший вопрос, Тифлис, 1901, с. 4.

ნი აღნიშნავდა, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში, საეკლესიო ფუნები და მით უფრო ბერობა, არ ერეოდა სახელმწიფო საქმეში, არ ჰქონდა სახელისუფლებო პრეტენზიები და მონასტერი მხოლოდ ზნეობრიობის საზომს, ზნეობის ცენზორს წარმოადგენდა. მონასტერს ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ეტანებოდა და კირიონის მიხედვით, მათ შორის იყო: „უძლიერესი მფლობელი მინიერი სიტყვისა“ თვით შოთა რუსთაველი, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, თავისი ცხოვრების მინურული იერუსალიმის ქართულ მონასტერში გაატარა¹.

მართლაც, ძალზე საინტერესო და აქტუალურ საკითხებს აანალიზებს კირიონი ამ შრომაში. ეს წიგნი რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველია, სადაც სამონასტრო ცხოვრება ეროვნული კუთხითაა განხილული. ავტორი აჩვენებს, რომ საერთო ქრისტიანული ფასეულობანი, განივთებული სწორად აგებულ სამონასტრო ცხოვრებაში, ის უმთავრესი ღირებულებანია, რომლებიც მუდმივი ფიზიკური და სულიერი ზენოლის ქვეშ მყოფ ერს, უპირატესად ესაჭიროება, რომ არ გადაგვარდეს, არ წაიშალოს. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კირიონის ეს შრომა თავისუფალია ფანატიზმის ყოველგვარი გამოვლინებებისაგან.

ავტორი ფურცელ-ფურცელ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ლოგიკური და ფაქტობრივი მასალის მოშველიებით, დამაჯერებლად აჩვენებს, რომ მონასტერი (როგორც კოლექტიური მოძღვარი და მისაბადი მაგალითი), ის კამერტონი იყო, რომელიც ერს იცავდა ყალბი ნოტის აჟღერების შემთხვევაში და მას ზნეობის ჩარჩოებში აბრუნებდა. რატომ ანიჭებდა მონასტერს ასეთ დიდ მინიშვნელობას კირიონი, ძნელი ასახსნელი არ არის. სწორედ მონასტრის კარიბჭესთან ტოვებდა ადამიანი ყოველივე მინიერს, ათასგვარ ცდუნებას, სიმდიდრეს, ხელისუფლებისაკენ ლტოლვას და ა. შ. კირიონის მოსწრებული სიტყვით: „მონასტრული ერთობის თვითეული წევრი, მსგავსია სუფთა და წმინდა ჭურჭლისა (сосуд), რომელმაც თავის თავში შემოინახა რწმენის მაცხოვრებელი ჭეშმარიტებანი და ქრისტიანული კეთილქმედებანი, რომლებიც შემდგომ, კვლავ სამწყსოს

¹ იქვე, გვ. 15.

უბრუნდება"¹.

როდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უნდა აღინიშნოს, რომ მონასტრის ამგვარი მაღალი მისიის მოშლა საქართველოში, სწორედ რუსულმა კოლონიურმა საეკლესიო პოლიტიკამ განაპირობა. ლ. მირიანაშვილის სიტყვით: „რუსეთის იმპერიის მსახურმა ეგზარქატმა, მონასტრები ფაქტობრივად, სატუსალოებად და გამოსასწორებელ დაწესებულებებად გადააქცია“².

კირიონის მრავალრიცხოვან ნაწერებში შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოს როლი ერის ისტორიაში და ასევე დიდ პიროვნებათა (ამ შემთხვევაში საერო პირთა) მნიშვნელობა ერის განვითარებისათვის. ძლიერ, ერთიან სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია დაიცვას ერი საგარეო აგრესიისაგან, მონაწილეობს შიდა პრობლემები და ეკონომიკა, კირიონი დიდ როლს ანიჭებდა. იგი წერდა: „Сто двадцать лет от воцарения Давида III (1089-1125) Агмашенебели (Строитель) – до смерти царицы Тамары включает в себе большую часть того, что только помнит Грузия самого отрадного и самого блестящего в своем историческом прошлом. Чувство религиозного и национального единства... в виду общей опасности от окружающих врагов, внушило грузинам мысль о союзе и единомышленной защите общей родины и церкви“³. იგი ხაზს უსვამდა პიროვნებათა განსაკუთრებულ როლს საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის და ძლიერების საქმეში. განსაკუთრებით გამოყოფდა იგი დავით აღმაშენებლის (1089-1125), თამარის (1178-1212), გიორგი ბრწყინვალის (1318-1346), ალექსანდრე I (დიდის) (1412-1442) და ერეკლე II-ის (1762-1798) მეფობას⁴. კირიონი ხაზს უსვამდა სახელმწიფო მშენებლობაში მონასტრებისა და ეკლესიების როლს. ასე მაგალითად, დავით აღმაშენებლის შესახებ იგი წერდა: „დავითმა კარგად იცო-

¹ ეპისკოპოსი კირიონი, დასახ. შრომა, გვ. 15; აგრ. Назревший вопрос, Тифлис, 1901. с. 10-11.

² ლ. მირიანაშვილი, მონასტერი იმპერიული სახელმწიფოს რეალობაში, კრებ. „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“ (საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა შინაარსები), თბ., 2002, გვ. 58.

³ Епископ Кирион, Двенадцативековая религиозная борьба..., с. 20.

⁴ იქვე, გვ. 22, 24, 29; ასევე: ეპისკოპოსი კირიონი: წმინდა დავით III აღმაშენებელი, მეფე ქართველთა (1089-1125), ტფ., 1899 (მეორედ, როტოპრინტული ნუსხით გამოიცა 1988 წ.).

და, რა დიდი განმანათლებელი მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელს მონასტრებს სამეფოსა და ეკლესიისათვის, ამიტომაც განაახლა დანგრეული მონასტერნი – ეს განათლების ბუდენი, ალაშენა ბევრი ახალი მონასტერი”¹.

კირიონი ფეოდალური ანარქიიდან გამოსვლას და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას, ქვეყნის მომავლისათვის დიდ როლს ანიჭებდა. ალექსანდრე I-ზე (1412-1442) იგი წერდა, რომ სიცოცხლის ბოლოს, მეფემ შეცდომა დაუშვა, როდესაც სამეფო შვილებს შორის დაანანილა. რომ არა ეს დანანეერება-დაქუცმაცება (საგარეო ფაქტორის უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით), კირიონის სიტყვით, საქართველოც ეზიარებოდა სახელმწიფოს ძლიერების და ერის განვითარების ძირითად პრინციპებს:

„Совершилась бы и в Грузии та централизация и то объединение, без которых, наши не возможен выход из анархического, феодального быта”². იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მეზობელ სახელმწიფოთა პილიტიკას, სამწუხაროდ, განსაზღვრავს არა კეთილი ურთიერთობა (იმ ქვეყნებისაც კი, რომელთა დინასტიები დანათესავებულები არიან), არამედ ქვეყნის სიძლიერე. ჩვეულებრივ, უძლიერესი (ამ შემთხვევაში იგი გულისხმობდა შაჰ აბას I-ის (1588-1629) დროინდელ ირანს), ცდილობს დაიმონოს მისი სუსტი მეზობელი³. კირიონი აღნიშნავს, რომ ქართული სახელმწიფოს სისუსტემ (გარდა რამოდენიმე საუკუნისა), ხელი შეუწყო იმას, რომ მან (სახელმწიფომ) ვერ დაიცვა ქართველთა ცხოვრების ნორმალური პირობები: „Жизнь и имущество никогда не пользовались (в Грузии – В. К.) полной безопасностью и ограждением, возможным в обществах живущих жизнью цивилизованною”⁴ (ხაზგასმა ჩვენია – ვ. კ.).

ამგვარად, სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობად კირიონს მიაჩნია ადამიანის სიცოცხლის („жизнь”) და საკუთრების („имущество”) დაცვა. კირიონს საზოგადოების (ამგვარად, საზოგადოების ორგანიზაციული ფორმის – სახელმწიფოს) უპირველეს მოვალეო-

¹ ეპისკოპოსი კირიონი, წმ. დავით III აღმაშენებელი..., მითითებული გამოცემა, გვ. 10.

² Епископ Кирион, Двенадцативская религиозная борьба..., с. 34.

³ იქვე, გვ. 36.

⁴ იქვე, გვ. 44.

ბად მიაჩნდა ადამიანის დაცვა. თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში, იგი ფილოსოფიურად იხილავს ამ საკითხს. კირიონი წერდა, რომ ერთი ადამიანის დაცვა, ეს არის საკაცობრიო საკითხი, რადგან კაცობრიობა სწორედ ინდივიდებისაგან შედგება¹. მისი აზრით, საზოგადოება ამ ფუნქციას ყველაზე კარგად მაშინ განახორციელებს, თუ მასში გაბატონებული იქნება „ყოვლის მიმტევებელი მარადიული სიყვარული“. ცხადია, ამ სიყვარულში, იგი ქრისტიანულ, ამალღებულ, ზნეობრივ სიყვარულს გულისხმობს. მეუფეს მიაჩნდა, რომ საზოგადოების თვითოეული წევრი საერთო საქმისათვის უნდა ზრუნავდეს, რაც კაცობრიობის განვითარებასა და სრულყოფაში გამოიხატება. ამასთან ერთად, მისი სიტყვით არ უნდა დაირღვეს სახელმწიფოს მოწყობის პრინციპები და მიზნები².

კირიონის აზრით, ზოგჯერ სახელმწიფოს გამორჩეულ მეთაურებსაც სჭირდებათ სწორი გზის მითითება, როცა ისინი ჭეშმარიტების გზას გადაუხვევენ. ცხადია, ყველა ვერ იტვირთავს ისეთ რთულ მისიას, როგორიც მეფეთა კრიტიკაა. ეს მხოლოდ უაღრესად ავტორიტეტულ ქრისტიან მამებს თუ ხელენიფებათ. კირიონი ამ კრიტიკის კონკრეტულ მაგალითებსაც ასახელებს. იგი ასახელებს იმ ქრისტიან მამებს, რომლებიც იმდენად ამალღებული ზნეობრივი ავტორიტეტის მატარებელნი იყვნენ, რომ მეფეთა მიმართაც ძალუძდათ მამხილებელი სიტყვის თქმა. ასეთები, მისი სიტყვით, იყვნენ: გიორგი მთაწმინდელი, ნიკოლოზ კათალიკოსი, ბასილი განდგილი, პიმენ სალოსი, გარეჯელი ბერი იოანე სააკაძე (მაჰმადიანი იესეს მამხილებელი), სვიმონ ტფილელი (იმერეთის მეფე ალექსანდრეს მამხილებელი), დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები: ნიკოლოზი, ევდემონი, ქრისტეფორე და სხვები³.

კირიონის კონცეფციის თანახმად, მხოლოდ თავისუფალ სახელმწიფოს (ქვეყანას) ძალუძს შეასრულოს ის უდიდესი მისია, რაც მას ხალხის წინაშე აკისრია. მონობაში მყოფი ქვეყანა ვერ შეასრულებს ხალხის დაცვის და განვითარების აუცილებელ პირობას. 1918 წ. 26 მაისის ზეიმთან დაკავშირებით, ის აღნიშნავდა: „დი-

¹ ეპისკოპოსი კირიონი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, სცსსა, ფ. 1458, საქმე, №33, ფ. 32.

² Епископ Кирион, Заслуга грузинского монашества..., с. 2.

³ იქვე, გვ. 18.

დის წვალეების შემდეგ იშვა ჩვენი თავისუფლება. ასი წლის მონობის ბორკილები აეხსნა მრავალტანჯულ ქართველ ხალხს... მონობისთანა მწარე ხვედრი დედამინამ არ იცის, თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალ კაცის გულში, იგი დამაგვირგვინებელია ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება ღეთიური ნიჭია!"¹.

კირიონს მიაჩნდა, რომ ერის და ეკლესიისათვის საჭირო ცვლილებები საზოგადოების წევრებმა თვითონ, თავისი აქტივობით უნდა განახორციელონ. ერთ პირად წერილში იგი წერდა: „ჩვენი ხანა შესანიშნავი მომენტიია ჩვენს ცხოვრებაში. ეხლა ჩვენ ამის ანონ-დანონა არ შეგვიძლია... ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, ხოლო ნამოქმედარის აღწერა მემატინის საქმეა“².

კირიონი ასევე აუცილებლად მიიჩნევდა ეროვნულ სახელმწიფოში დაცული ყოფილიყო მოსახლეობის დედა ენა; განათლება მოსახლეობას აუცილებლად თავის დედა ენაზე უნდა მიეღო. სწორედ ამიტომ, კათალიკოს-პატრიარქის 1917 წ. 10 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად, თბილისის სასულიერო სემინარია სწავლა-განათლებას მთლიანად ქართულ ენაზე წარმართავდა. „ამიერითგან სწავლა-განათლება ინარმოებს განსაკუთრებით ქართულს ენაზედ. სწავლა იქნება ნაციონალურ ნიადაგზე, როგორც ამას თხოულობს თანამედროვე პედაგოგიური კანონი“. ეს გზა, ასკენიდა ის, „შექმნის მომავალში, სხვა სასწავლებელთა ნაციონალურ დაწესებულებებთან ერთად, დაუძლეველ, თავისუფალ ქართველებს. ამ სასიქადულო საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის სამღვდელეობას“³. და კიდევ: „სწავლა რომ უნდა სწარმოებდეს დედა ენაზედ, ეს პედაგოგიური კანონია, ყველასგან მიღებული ჭეშმარიტებაა“. კირიონ II სემინარიაში სწავლის დაწყების გამო წარმოთქმულ სიტყვაში ამასაც ხაზს უსვამდა: „სწორედ ამ ასი წლის წინათ გაიხსნა თბილისის რუსული სემინარია, რომელშიც ქართულ ენას არა ჰქონდა დათმობილი კათედრა. ეს იყო დიდი უსამართლობა, მაგ-

¹ სიტყვა თქმული კირიონ II-ის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, 1918 წ. 2 ივნისს თავისუფლების მოედანზე, სცსსა, ფ. №1459, აღწ. 1, საქმე №40, ფ. 2; აგრეთვე „სახალხო გაზეთი“, 1998 წ. 25 მაისი (№122), გვ. 9.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №263, ფ. 2.

³ ურნ. „სვეტიცხოველი“, 1918 წ. №5 (12 მარტი), გვ. 3.

რამ ძლიერის ხელში, უსამართლობაც სამართლიანად ითვლება¹.

უფრო ადრეულ ნაწერებშიც კირიონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ენა, ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების მთავარი ფაქტორია. მისივე მტკიცებით, ეს პრინციპი ქრისტიანული მოძღვრებიდან იღებს სათავეს: „Язык, как главный фактор и хранитель национальных особенностей, был освящен церковью Христовой“². საოცრად ლამაზად გამოთქვამს კირიონი თავის მოსაზრებას ენის მნიშვნელობის შესახებ გამოუქვეყნებელ ჩანაწერებში: „დედა ენა არის უფლის კურთხევით, ჩვენ წინაპართაგან აგებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი... მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზე ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას“³. კირიონი მიიჩნევდა, რომ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება ურთულესი საქმეა და ამ მხრივ საზოგადოების ყველა ფენა, კლასი და პარტია ერთნაირი შემართებით უნდა მოქმედებდეს⁴. თუმცა, რა თქმა უნდა, ის არ გამორიცხავდა ქართველი ხალხის სხვადასხვა ფენის სხვადასხვა დამსახურებას სამშობლოს წინაშე. 1917 წ. 5 ღვინობისთვის (თვით ტექსტის მონაცემების მიხედვით, უნდა იყოს „5 გიორგობისთვის“) თავადაზნაურთა დეკლარაციის გამოცხადებასთან დაკავშირებით, მან მეტად საგულისხმო სიტყვები წარმოთქვა. კერძოდ, კათალიკოს-პატრიარქმა ხაზი გაუსვა თავად-აზნაურობის უპირველეს როლს ქვეყნის გადარჩენის საქმეში. „თავად-აზნაურობა დიდი მოვლენაა ჩვენს საქართველოს მატინანეში; იგი მუდამ მონინავე და წარჩინებული წოდება იყო და მზრუნველი სამშობლოს კეთილდღეობაზედ. ჩვენი თავად-აზნაურობა უძველესი ინსტიტუტია დედამინის ზურგზედ... ამ მონინავე წოდების წყალობით, რომელიც ძალა და ბურჯი იყო სამშობლოსი, შეიქმნა ჩვენი უძველესი კულტურა, რომელმაც დაიფარა

¹ უფრ. „სვეტიცხოველი“, 1918 წ. №5, გვ. 10.

² Епископ Кирион, Национальный принцип в церкви, газ. «Отголоски», 1906, №16 (1 августа), с. 2.

³ სცსსა, ფონდი 1458, აღწ. 1, საქმე №77, ფ. 4.

⁴ ეპისკოპოს კირიონის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, სცსსა, ფ. 1458, საქმე №33, გვ. 83; შდრ. ხ. ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კირიონ II ეროვნულ-საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2001, გვ. 47-48.

ქართველი ერი განადგურებისაგან და შეარჩინა მას თავისი ნაციონალური სახე... ქართველმა თავად-აზნაურობამ მისცა სამშობლოს როგორც გენიოსი სარდლები, [ისე] დიდი მოღვაწენი და მნივნობარნი ეკლესიისანი: კათალიკოზნი, მღვდელ-მთავარნი და მონასტრებში მოღვაწე მნივნობარნი¹ (ხაზი და აღდგენა ფრჩხილებში ჩვენია - ვ. კ.).

ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში, ეროვნული ისტორიის შესწავლის და მშობლიური ენის გარდა, კირიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ სიმღერას, ფოლკლორს, არქიტექტურას.

ქართულ სიმღერაზე კირიონი ამბობდა, რომ ის არის ხალხის „ცოცხალი მატთანე“, მასში, როგორც სარკეში, აისახა ერის ავი და კარგი, წარსულის დიდება და ტრაგედია, თავდადება, სურვილები, ტრადიციები: „Воплощая в себе радость и горе, надежды и мечты, стремления, цели, убеждения и чаяния народа, песня служит выражением существенных элементов внутренней жизни человека“ და კიდევ: „Под внешней оболочкой грузинской песни, находятся целые хроники; в каждом тоне и полутоне ее, содержатся поучения“. კირიონის სიტყვით, ის რაც მატთანემ ვერ შემოინახა, შეითვისა და შემოინახა ქართულმა სიმღერამ. ამიტომ, მისი სიტყვით, ქართული სიმღერა უფრო მინორული ტონალობისაა, რადგან ძირითადად, ასეთი იყო „მწუხარე საქართველოს“ ისტორია. კირიონი ხაზს უსვამს, რომ სიმღერა, წინაპრებთან ცოცხალ კავშირს უნარჩუნებს ერს და კრავს მის ცალკეულ ნაწილებს ერთიან, საერთო ოჯახად².

რაც შეეხება ფოლკლორული მასალების შეკრებას და ხალხური სიბრძნის პუბლიკაციას, ამ საქმისათვის კირიონის დავალებით, სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა. ამ კომისიაში, რომელსაც მთელ საქართველოში უნდა მოეძია მასალები, შევიდნენ: გრ. დიასამიძე, გრ. ყიფშიძე და დავით კარიჭაშვილი. თვითონ კირიონმა გრ. ყიფშიძესთან ერთად, გამოსცა „სიტყვიერების თეორია და ქრეს-

¹ კირიონ II-ის სიტყვა თქმული სიონის ტაძარში, პარაკლისზე, 1917 წ. 5 დეკემბრისთვის (უნდა იყოს 5 გიორგობისთვის), ყურნ. „სვეტიცხოველი“, 1918 წ. №5, გვ. 9.

² Г. Садагелов-Иверисли, О грузинском пении, «Новое Обозрение», 1894, №360 (21 июня), с. 1-3.

ტომათია" (პირველი გამოცემა 1898 წ., მეორე – 1908 წ. და მესამე – 1920 წ.), ამ წიგნს ნიშნულად ერთვის ხალხური თქმულებები და ლექსები (1898 წ. გამოცემა, გვ. 372-480). კირიონი ქართული ენის ლექსიკურ მასალებსაც აგროვებდა. მისი ძირითადი ნაწილი მან გამოსცა, ექ. თაყაიშვილის „ძველი საქართველოს“ მე-2 ტომში. როგორც ზევით იყო აღნიშნული, კირიონმა, ქართულ-რუსული თანხვედრი ლექსიკური მასალა, დაბეჭდა თავის „ივერიის კულტურულ როლშიც“ (გვ. 388-399), მაგრამ ეს მასალა, საფუძვლიან გადასინჯვას და დახვეწას მოითხოვს.

საეკლესიო არქიტექტურაზეც, კირიონს თავისი ორიგინალური აზრი აქვს. იგი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ასე ვთქვათ, უნივერსალური ქრისტიანობისაგან ყველა ხალხმა ის აიღო, რაც მის განვითარებას შეესაბამებოდა (მაგალითად, რუსებმა – დისციპლინა და ეკლესიური განაწესი, ბერძნებმა – დოგმატიკა და ა. შ.), „Грузины же, წერდა ის, охристианизовав свой вековые национальные верования и проникшись вполне духом христианства, придали ему симпатичные черты своего характера“¹. ამიტომაც იყო, წერს კირიონი, რომ საეკლესიო არქიტექტურამ საქართველოში, ეროვნული ნიშნები შეიძინა. კერძო წერილში ი. ჩიჯავაძისადმი, კირიონი აღნიშნავდა, რომ ზეცისკენ ლტოლვა და მისწრაფება, ქართული არქიტექტურის ეროვნული გეგმის ძირითად თვისებაა: „დაილოცოს ჩვენი ეკლესიები! მაღალ და კოხტა გუმბათის წყალობით, სინათლით სამსეა, ბნელ კუთხეს მათში ვერ იპოვნის კაცი. რეზონანსიც ჩვენი ეკლესიებისა სჯობია. თვით ჩვენი ეკლესიური გეგმა ღვთიურია. იგი აღაფრთოვანებს მლოცველს და მიაქროლებს მას ზეცაში. გეგმა ქართული ტაძრისა, მოგონილი კი არ არის, არამედ შექმნილია წმინდა გულით და რწფელი სულით. ჩვენი წინაპარნი ტაძრებს ჰქმნიდნენ ღოცვითა და მარხვითა, ამიტომ მხოლოდ თვალს კი არ ჰხიბლავენ იგინი, არამედ აღიტაცებენ გულსაც“².

ამასთანავე, კირიონი მიიჩნევდა, რომ მის დროში, ძველი ქართული ტაძარ-მონასტრები არა მარტო სახელმწიფოსგან არ იყო სათანადოდ დაცული, არამედ, სამწუხაროდ, თვითონ მოსახ-

¹ გ. საძაგელოვ-ივერიელი, დასახ. სტატია, გვ. 3.

² ხ.ერ.ც., კირიონ საძაგელიშვილის ფონდი, საბუთი №259, ფ. 4.

ლეობაც არ უფრთხილდებოდა წინაპართა მიერ სათუთად მოვლილ წმინდა ტაძარ-მონასტრებს. 1891 წ. ის გულისტკივილით წერდა, რომ ქართველები, ახალ ტაძრებსაც ვერ ქმნიდნენ და ძველსაც ვერ უფრთხილდებოდნენ. თვითოეული ტაძარი კი, მისი რწმენით, ისტორიული ეპოქის სარკეს წარმოადგენდა¹.

კირიონი იყო პირველი, ვინც მეცნიერ-მკვლევარის ალლოთი განიხილა საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების დრო და ვითარება. ამ მხრივ, ძალზე საყურადღებოდ მიგვაჩნია კირიონის სტატია „ჰურიანი ძველ იბერიაში, საყოველთაო მოლოდინი მესიისა...“ (პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მწყემსის“ რუსულ ვარიანტში, 1888 წელს). ამ არცთუ დიდი მოცულობის სტატიაში, კირიონი მნიშვნელოვან საკითხებს იხილავს. იგი ნამდვილი მკვლევრის კრიტიკული ალლოთი აანალიზებს ანტიკურ იბერიაში ებრაელთა დამკვიდრების ვერსიებს. იხილავს ებრაელთა რელიგიის გავლენას მაშინდელი ქართლის წარმართულ პანთეონზე, აშკარას ხდის ქართლისა და პალესტინის მჭიდრო კავშირს. კირიონი წერდა: „ისტორიული კავშირი ერებს შორის, ერთი ხალხის გავლენა მეორეზე, ხალხის რელიგიურ და ზოგად ინტელექტუალურ განვითარებაზე, საკმაოდ ბუნდოვანი საკითხია და ჯერ კიდევ არასაკმარისად ახსნილი ფილოსოფიის ისტორიის მიერ“². კირიონის, როგორც მკვლევრის წარმოსაჩენად, საკმარისია ითქვას, რომ ტრადიციულ ცნობებს ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების შესახებ, იგი ამაგრებს XIX ს. ცნობილ მეცნიერთა შრომებზე დაყრდნობით. მაგალითად, კირიონი იმონებს ქრისტიან ლასენს (1800-1876), რომელიც ცნობილი გერმანელი ორიენტალისტი იყო; ასევე, ფრანგ გეოგრაფს ვიეინ დე სენ მარტენს (1802-1897), გერმანელ არქეოლოგ ფ. ბაიერნს, რომელიც მცხეთაშიც აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს და ა.შ. კირიონის სიტყვით, ისტორიული ბედუკულმართობის გამო, ებრაელი ერის წარმომადგენელი სადაც არ უნდა მოხვედრი-

¹ ჟურნ. „მწყემსი“, 1891, №19, გვ. 11-12.

² ჰურიანი ძველ იბერიაში, საყოველთაო მოლოდინი მესიისა, განთესვილ ებრაელთა გავლენა ჩვენს წარმართ წინაპართა სარწმუნოებაზე და მათ მიერ უფლის კვართის ჩამოტანა მცხეთაში, აღმანახი: „ძველი სახლი“, თბ., 1994, №1, გვ. 42-54, იგივე, გაზ. „კალმასობა“, 1999, №8 და 2000, №1 (რუსულიდან თარგმნა ქ. ჯერვალიძემ).

ლიყო, იგი არასდროს წყვეტდა კავშირს იერუსალიმთან. მეუფე იმონებებს იოსებ ფლავიუსს და ასკენის, რომ ებრაელებში, იაჰვეს ტაძარი, მსოფლიოს ოთხივე კუთხით, დიდი პატივით სარგებლობდა. აქედან გამომდინარე, იგი აჩვენებს იმასაც, რომ „ყოველი მაჯისცემა იერუსალიმისა მცხეთას გადმოეცემოდა“¹. მისი სიტყვით, ყოველივე ამის ფონზე, უფრო დამაჯერებელი ხდება ქართული მატრიანის ცნობები ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსნელის იერუსალიმში ყოფნის შესახებ იმ დროს, როდესაც ერთი მხრივ, ებრაული პასექი აღინიშნებოდა და მეორე მხრივ, ქრისტეს ჯვარს აცვავენენ.

ის, რომ იმ დროს, მესიის მოლოდინი საყოველთაო მოვლენა იყო, ესეც დოკუმენტურადაა დადასტურებული ავტორის მიერ. კირიონი ასკენის: „არა გვაქვს საფუძველი უარვყოთ ქართული ეკლესიის გადმოცემა, რომ ქართველი ებრაელები ძალიან ხშირად ჩადიოდნენ პალესტინაში და ამიტომ, მართლაც შეიძლება დასწრებოდნენ პასექს იერუსალიმში სწორედ იმ დროს, ებრაელებმა ჯვარზე სიკვდილი რომ გაუჩინეს თავის ღვთაებრივ მოძღვარს და მხსნელს. ქართველ ჰურიათა ჩასვლა არა მარტო დასაშვებია, არამედ სრულიად შესაძლებელიც“². როგორც ვხედავთ, ავტორის მსჯელობა სავსებით ლოგიკური და დამაჯერებელია. მართალია, სტატიაში ვერ ვხვდებით ქართული, შესაბამისი წყაროების კრიტიკულ ანალიზს (მაგ. ნმინდა ნინოს ცხოვრების ხელნაწერი ვერსიები, ლეონტი მროველის მიერ გადამუშავებული და „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ვერსია და ა.შ.)³, მაგრამ ეს არც წარმოადგენდა ავტორის მიზანს, ეს უკვე შემდგომი ეტაპის კვლევის მიზანი იყო. რ. ბარამიძის სიტყვით, კირიონის აღნიშნულ შრომას, გარდა მეცნიერული ძიებისა, კიდევ სხვა ასპექტებიც გამოარჩევს: „ჩვენი პატრიარქი, გამოკვეთს რა ებრაელთა ისტორიული უბედურებით გამოწვეულ სირთულეებს, ამავე დროს, აყალიბებს და ამახვილებს

¹ იქვე, გვ. 51.

² იქვე, გვ. 52.

³ ამ საკითხზე იხ. ზ. ალექსიძე, ქართველ ებრაელთა საღმრთო მისია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვალთახედვით, ჟურნ. „ივერია“, თბილისი, პარიზი 1992, გვ. 44-56. აგრ. ე. მამისთვალისშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 136-175.

ყურადღებას მათ ეროვნულ ხასიათსა და რწმენის სიძლიერეზე. პატრიარქი თითქოს ხაზგასმით გვეუბნება რომ, თუ ერს გააჩნია შინაგანი ძალა, ნებისყოფა, შინაგანი ერთიანობის გაცნობიერება, მაშინ იგი ჯოჯოხეთური უბედურების შემთხვევაშიც ინარჩუნებს თავის ეროვნულ სახეს და რწმენის ძალას¹.

კირიონ II შესანიშნავად იცნობდა და აანალიზებდა ქართულ აგიოგრაფიულ (ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, აბო თბილელი და ა.შ.)² და ჰიმნოგრაფიულ (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“)³ ლიტერატურას. თითოეულ მათგანს მან სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი უძღვნა. განსაკუთრებით კარგად ჩანს კირიონის დაინტერესება ძველი ქართული სასულიერო ლიტერატურით შრომაში, რომელსაც მან „მომნიფებული საკითხი“ უწოდა; საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავი, კირიონმა მხოლოდ საბაბად გამოიყენა იმისთვის, რათა რუსეთის სამეცნიერო და სასულიერო წრეებისთვის შეეხსენებინა რა განძის მფლობელი იყო პატარა საქართველო და როგორი გაფრთხილება სჭირდებოდა მას. კირიონი დანვრილებით აანალიზებს მოღწეულ სასულიერო და საერო ლიტერატურას და ასე აყალიბებს მის მნიშვნელობას:

1) ქართული სასულიერო ლიტერატურა სათავეს იღებს IV ს-დან. (სამნუხაროდ, კირიონი არ უთითებს, რომელი ძველი მიაჩნია მას IV საუკუნეში შექმნილად). მისი მნიშვნელობა სულ უფრო იზრდებოდა საუკუნეთა მანძილზე. განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი ითავისებდა და აირეკლავდა ყველა მეზობელი ხალხის კულტურას და ისტორიას. ამიტომ, კირიონის სიტყვით, ქართული სასულიერო ლიტერატურის გაცნობა, საინტერესო და აუცილებელია არა მარტო ქართველებისთვის, არამედ ყველა იმ ხალხისთვისაც,

¹ რ. ბარამიძე, კირიონ II და ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება, აღმანახი „რანი ვართ ქართველნი?“ (ეროვნული ცნობიერების უურნალი), თბ., 1998, №7-8, გვ. 13.

² ეპისკოპოსი კირიონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, ტფილისი 1899; მისივე, ამბავი დავით გარეჯის უდაბნოს საკვირველმოქმედის მადლის ქვისა. ტფ., 1899; მისივე, წმინდა მონამე აბო ტფილელი, თბ., 1899.

³ ეპისკოპოსი კირიონი, წმიდა დავით III აღმაშენებელი – მეფე ქართველთა, ტფ. 1899.

ვისაც კი საუკუნეების მანძილზე ქართველებთან შეხება ჰქონიათ. მაგალითად: ბერძნებს, ებრაელებს, სირიელებს, სპარსელებს, არაბებს, თურქებს, სომხებს, ევროპელებს, რუსებს (განსაკუთრებით XVII-XVIII ს-ში).

2) დიდ ინტერესს იმსახურებს ქართულად ნათარგმნი სასულიერო ლიტერატურა. კირიონის სიტყვით, იმიტომ, რომ: ა) III-X სს-ში, განსაკუთრებით კი VII-IX სს-ში იცვლებოდა საეკლესიო ლიტურგია, გალობა. შეიქმნა ახალი ტიპიკონები, ღვთისმსახურებამ უფრო საზეიმო ხასიათი შეიძინა, გაჩნდა მგალობელთა გუნდები. გიორგი მთანმინდელის მოწმობით, წმ. სოფიას და სტუდიის მონასტრებში ღვთისმსახურება განსაკუთრებულად მდიდრული იყო და ყველა საგალობლის და ლოცვის მთლიანად შესრულებით აღინიშნებოდა. სრულდებოდა რვა ხმაზე გალობის ("ოქტოიხის") სრული ციკლი. ეს რთული ღვთისმსახურების წიგნები გადმოთარგმნა გიორგი მთანმინდელმა. ამიტომაც, კირიონის დასკვნით, ამ თარგმანების შედარებით სხვა ენებზე დაცულ შესაბამის ლიტერატურასთან, მსოფლიო ეკლესიის ისტორიისთვის ბევრი საყურადღებო დეტალი შეიძლება დავადგინოთ. ბ) ქართულად ნათარგმნი სასულიერო ლიტერატურა უაღრესად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ თარგმანი სრულდებოდა არა რომელიმე ერთ ადგილას, არამედ მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს სულ სხვადასხვა კუთხეში: იერუსალიმში, სინაზე, ანტიოქიაში, ეგვიპტეში; კონსტანტინოპოლის, ათონის, ოლიმპიის, სირიის და სხვა მონასტრებში, საბა განწმენდილის მონასტერში. ასევე, გვხვდება ერთიდაიგივე ლიტერატურა, ერთდროულად თარგმნილი რამდენიმე ადგილას. მაგალითად, ანტიოქიაში, პალესტინაში და ათონზე. ამგვარად, მათ დაუცავთ სხვადასხვა დედნის სხვადასხვა ვარიანტები (ბერძნული, სირიული, ქალდეური, ებრაული და ა.შ.). ამასთან, ქართულ ხელნაწერებს შემოუნახავთ სხვადასხვა ღვთისმსახურების წესები, სხვადასხვა ტიპიკონის (მაგალითად, იერუსალიმური, ანტიოქიური, კონსტანტინოპოლური, საბა განწმენდილის ლავრისეული). კირიონი სამართლიანად ასკვნია: „А посему, в сих памятниках наука имеет драгоценный материал для исследования разных сторон Христи-

ანსკოი ჯიჟნი ვ რაზნოე ვრემია, ვ რაზნოი ცენტრაჲ ხრისტიანსკოი მირა”¹.

განსაკუთრებით, კირიონი იმ საგალობლებს გამოყოფდა, რომელთაც ხაზს ზემოთ და ქვემოთ მინერილი ჰქონდათ ძველი სანოტო ნიშნები (ე.წ. „ნევმები“) მათ კირიონი სამართლიანად ათარილებდა IX-X სს.². თანამედროვე მკვლევართა ავტორიტეტული დასკვნით: „ქართულ, საზღვარგარეთულ (საბანმინდის და სინის) და ადგილობრივი (ტაო-კლარჯეთის) სამნიგნობრო კერებში შექმნილი ეს (ე.ი. ნევმირებული – ვ.კ.) „ძლისპირნი და ლეთისმშობლისანი“ კრებულები, X ს-ში უკვე სამი რედაქციის სახით წარმოგვიდგება. ისინი გადანერილია რიტმული პუნქტუაციის დაცვით და ნევმებით“, და კიდევ: „X ს. OdO ტიპის („Odes Order“, „კანონის არ მიმდევარი“ – ვ.კ.) ქართული კრებულები, რომლებიც შეიცავენ ბერძნულიდან თარგმნილ „ძლისპირებს“, ერთგვარად ავსებენ ხარვეზს ბერძნული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში, რადგან ბერძნულად OdO ტიპის ირმოლოგიონი („ძლისპირთა“ კრებულები – ვ.კ.) მხოლოდ გვიანდელი სახით არის შემორჩენილი“³; ამგვარად, კირიონი ერთ-ერთი პირველი ქართველი მკვლევარია, ვინც ამ სახის კრებულებზე საერთაშორისო მასშტაბით გაამახვილა ყურადღება. იგი აღნიშნავდა აგრეთვე, X საუკუნის ქართულ ხელნაწერ სვინაქსართა, ირმოლოგიურ კრებულთა, ლოცვების შემცველი კრებულების, ლიტურგიული ძეგლების (მათ შორის მოციქულ იაკობის ლიტურგიის), გულანთა და სხვა ხელნაწერთა უდიდეს მნიშვნელობას საერთო ქრისტიანული თვალსაზრისით. ამასთან ერთად, კირიონი აღნიშნავდა, რომ ყოფილი ქართული მონასტრები ბერძენთა ხელში არმოჩნდა, რამაც ქართულ უნიკალურ ხელნაწერებს უდიდესი საფრთხე შეუქმნა⁴. გ) კირიონი გამოყოფდა წმინდა ნერილის ანუ ბიბლიის უძველესი ქართული ხელნაწერების მნიშვნელობას. მართალია, ამ ხელნაწერების დათარილება მეუფეს არაზუსტად აქვს წარმოდგენილი (იგი მათ V-VII სს-ით ათარილებდა), სინამდვილეში კი ცნობილია, რომ ამ საუკუნეებით მხოლოდ ქართული თარგმანების ფრაგმენტული

¹ Епископ Кирион, Назревший вопрос, с.19.

² იქვე, გვ. 19.

³ ნევმირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A-603), გამოსცა, საძიებლები და გამოკვლევა დაურთო გულნაზ კიკნაძემ, თბ., 1982, გვ. 9.

⁴ ეპისკოპოსი კირიონი, დასახელებული ნიგნი, გვ. 20.

პალიმფსესტური ხელნაწერები თარიღდება¹, მაგრამ ამ მტკიცების თვით არსი, უთუოდ ჭეშმარიტი და დღესაც აქტუალურია.

3) სასულიერო ლიტერატურის მესამე, ძირითად მნიშვნელობად კირიონი მიიჩნევს იმას, რომ მათი გამოწვლილვითი და მეცნიერული შესწავლის შედეგად, უთუოდ გამოვლინდება ისეთი ხელნაწერები, რომლებიც მსოფლიო აგიოგრაფიულ, პატროლოგიურ და სასულიერო-ისტორიულ ლიტერატურას დიდი ხნის დაკარგულად მიაჩნდა. იგი წერს, რომ მართალია, ამ საქმის სპეციალისტად არ მიაჩნია თავი, მაგრამ მაინც საჭიროდ მიაჩნია ჩამოთვალოს ასეთი სახის, სავარაუდო, რამდენიმე ათეული ნიმუში (მათ შორის, აპოკრიფული ნაწარმოებებიც)². აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კირიონის ეს წინასწარმეტყველება მრავალჯერ დადასტურდა. აღმოჩნდა მრავალი უნიკალური აგიოგრაფიული, პატროლოგიური თუ საეკლესიო-საისტორიო თხზულება. უკანასკნელი ხანის ასეთ აღმოჩენად უნდა დავასახელოთ სინას მთის ქართულ ხელნაწერებში დაცული კავკასიის ალბანელების დამწერლობის ნიმუში (ალბანურ-ქართული პალიმფსესტი, ალბანური ლექციონარის ტექსტით)³.

4) ქართული ლიტერატურის მეოთხე მნიშვნელობად მას მიაჩნია საკუთრივ ქართული ორიგინალური, აგიოგრაფიული და პატრისტკული ნაწარმოებების სიუხვე, საეკლესიო-ისტორიული ტრაქტატები (ადგილობრივი და თარგმნილი), საქართველოს საეკლესიო კრებათა ძეგლისწერები, კათოლიკოსთა ეპისტოლეები და კანონები; ცალკე გამოყოფს ავტორი ქართული საეკლესიო მატრიანების იმ ცნობებს, რომელთაც არ იცნობს რუსული და ევროპული სამეცნიერო ისტორიოგრაფია.

5) ქართული ლიტერატურის მეხუთე მნიშვნელობად კი, კირიონი მიიჩნევს ქართულად ნათარგმნი აღმოსავლური (არაბული,

¹ კირიონი პალიმფსესტებს VIII-ით თარიღებდა. იხ. მისი დასახ. წიგნი, გვ. 21; იხ. აგრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თხზ. 12 ტომად, ტ. 9, თბ., 1996, გვ. 280-284. ასევე, ხანმეტი ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ, თბ., 1984, გვ. 1-7.

² კირიონი, დასახ. წიგნი, გვ. 21-26.

³ ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბ., 2003

ინდური, სპარსული) და ბერძნული, ფილოსოფიური, ასევე მხატვრული და პოეტური ნაწარმოებების სიუხვეს. მაგალითად ის ასახელებს ნეოპლატონურ ბერძნულ ფილოსოფიურ ნაწარმოებს პროკლე დიადოხოსის – „კავშირნი“-ს.

6) ქართული საეკლესიო ლიტერატურის ნაწილად კირიონი მიიჩნევს აგრეთვე, შემორჩენილ საეკლესიო საბუთებს (აქტებს), სიგელ-გუჯრებს, ნაჩუქრობის მონუმენტებს, ნასყიდობის ხელშეკრულებებს, წერილებს და ა.შ. (მათი რიცხვი, კირიონის გამოთვლით, 14.000-მდეა). მისი სიტყვით, ამ წყაროების გამოვლენა, ანალიზი და შესწავლა ახალ შუქს მოჰფენს არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების ისტორიასაც. ამ „აქტებს“ შორის, კირიონი სამართლიანად მიუთითებს საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცულ სიგელ-გუჯრებს სპარსულ და სხვა აღმოსავლურ ენებზეც.

7) კირიონი აღნიშნავს, რომ ქართულ ენაზე მთლიანი, ან ფრაგმენტული სახით, მოიპოვება საქართველოს მეზობელი ხალხების ლექსიკონები, ყურანის თარგმანები და პირიქით: ქრისტიანული ლიტერატურის თარგმანები აღმოსავლურ ენებზე; ასტროლოგიის და გეოგრაფიის წიგნები, რომლებიც ძირითადად სპარსულიდან ქართულად არის ნათარგმნი და ა.შ.

8) ქართულადვე მოიპოვება სამედიცინო თხზულებათა თარგმანები, რომლებიც აღმოსავლური ენებიდანაა შესრულებული.

ბოლოს, ქართული ხელნაწერების (და ლიტერატურის) ერთ-ერთ მნიშვნელობად კირიონი თვლის იმას, რომ მათ დაუცავთ საინტერესო ცნობები, რომლებიც XVII-XVIII სს. რუსეთის ისტორიას შეეხება.

ეს მნიშვნელოვანი კლასიფიკაცია კირიონმა შეიმუშავა პირველ რიგში იმისთვის, რომ დაესაბუთებინა რა განძის მფლობელია პატარა საქართველო.

ამ უმდიდრესი მემკვიდრეობის შესასწავლად (რომელსაც, როგორც მან აჩვენა, არ ჰქონდა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა), კირიონი მოითხოვდა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსებულიყო ქართული საეკლესიო ისტორიისა და ენის

შემსწავლელი კათედრა¹. ამავე საკითხს უბრუნდებოდა იგი „ივერიის კულტურული როლის“ შესავალშიც. ამ ნიგნის პირველ სტრიქონებშივე იგი წერდა: „Как ни странно, но русские, в настоящее время, больше ознакомлены с почти полудикими лопарями и вогулами, чем с единственными единоверными грузинами и их историей“².

კირიონის მსოფლმხედველობის გასაცნობად საყურადღებოა მისი და მალაქია ბოლქვაძის მიმოწერა. 1910 წ. 15 აპრილის წერილში, მალაქია ბოლქვაძე კირიონის თხოვნით, უზიარებდა მას თავის შეხედულებებს ეროვნულსა და კოსმოპოლიტურ პრობლემებზე. კერძოდ, იგი იმონებდა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის (1901-1909) სიტყვებს, რომელიც მას პარიზში სტუმრობისას წარმოუთქვამს. რუზველტს სორბონაში უთქვამს (ტიქსტი მოგვყავს მ. ბოლქვაძის წერილის მიხედვით): „Гражданин республики не может не быть патриотом. Да будет позволено мне сказать, что я отнюдь не являюсь адвокатом безумного космополитизма. Я думаю, что каждый хороший патриот, тем самым, является хорошим гражданином мира... Человек который любит свою семью, всегда будет лучшим соседом, чем человек, у которого в семье всегда раздоры; и нация, исполненная сильного, действительного патриотизма является самым лучшим членом международного общения“. შემდეგ მალაქია ბოლქვაძე კირიონს სწერს: „განა მართალს არ ამბობს რუზველტი?.. ამას ამბობს რესპუბლიკის შვილი, ჩვენში კი, კოსმოპოლიტები ნაციას, თავის ქვეყანას ივინყებენ და შემდეგ რესპუბლიკას ეძებენ“³.

კირიონის წერილში, რომელიც 1909 წ. 5 ივლისითაა დათარიღებული, იგი გადასახლებიდან (ტამბოვის გუბერნია), მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს სწერდა: „თერთმეტ მოსაზღვრე გუბერნიაში: ნიჟნი ნოვგოროდის, პენზის, ტამბოვის, სიმბირსკის, ყაზანის, ორენბურგის, უფის, სარატოვის, რიაზანის და კალუგის მეხუთედი მცხოვრებლები მორღვა არის, ფინის ტომისა და ვარაუდით, მათი

¹ ეპისკოპოსი კირიონი, მომწიფებული საკითხი, გვ. 28.

² Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910, с. 1. ლოპარები – სკანდინავიის ჩრდილო ნაწილის, ლაპლანდიის მცხოვრებნი იყვნენ. ვოგულები კი, პერმისა და ტობოლსკის გუბერნიის მომთაბარე, ფინური წარმოშობის ტომები.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №509, ფ. 1-2.

რაოდენობა სამ-ოთხ მილიონზედ ნაკლები არ იქნება. თუმცა ოფიციალური ცნობებით, ერთი მილიონია ნაჩვენები. ზოგ მართლმადიდებელ მორდვას გარუსებულადა სთვლიან, თუმცა კი უსაფუძვლოთ... მორდვები თუმცა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას აღვიარებენ და ეკლესიაში სანირავეებიც უხვად მიაქვთ, მაგრამ წირვა-ლოცვის ენა მათ არ ესმით და თავიანთ ძველებურ ჩვეულებაზედ მტკიცედ დგანან... მღვდლებმა არ იციან მორდოული ენა, რადგანაც ამ ენას არც ერთ ზემოხსენებულ გუბერნიების სემინარიებში არ ასწავლიან. არც სასოფლო სკოლებში უთმობენ ამათ ენას ადგილს. რუსი მღვდლები, რომლებიც ემსახურებიან მორდვის სამრევლოებში, რამდენიმე წლის შემდეგ ძლივს სწავლობენ ორიოდე წინადადებას მორდოულ ენაზედ. მორდველი ღვდლები კი იშვიათია... საზოგადოდ, სოფლის მოხელეებიც რუსები არიან. მორდვებს რუსები დასცინიან და ათვალისწინებული ჰყავთ. მორდვები ერიდებიან სკოლას, რომ შვილები არ გაურუსდეთ. ისინი არც თვითონ ირთამენ რუსების ქალებს და არც თავისიანებს აძლევენ რუსებს. ზნეობით იგინი, როგორც თვით რუსებმა მიაძბეს, გაცილებით თურმე მალლა სდგანან რუსებზედ. ქურდობა და გარყვნილობა იმათში არ ყოფილა და ამიტომ სახლის კარებს ისინი თავის დღეში არა ჰკეტამენ. როდესაც რუსები მოვლენ ხოლმე იმათ სოფლებში საქურდლად, მორდვები იმათ მოფარებული ადგილებიდან თვალ-ყურს ადევნებენ. დააცლიან ნაპარავის დალაგებას „პოვოსკებზედ“ ან მარხილებზედ და მერმე გადაუდგებიან თურმე გზაზედ, გახდიან ტანისამოსს, დაინოდებენ ორ ხეს, ფეხებს მოუბამენ ტოტებზედ და გაუშვებენ ხეებს, შუა გაჩეხილი ქურდები ტოტებზედ ჩამოკიდებული რჩებიან... ამ სამართალს ხალხი ეძახის „Мордовский суд“. ამ სასტიკი ზომით, დაშინებული ჰყავთ ქურდები. მორდვებს თავიანთი ნაციონალური, ტკბილი კილოიანი სიმღერები აქვთ. მათი სიმღერები თავისი ჰარმონიით, რუსულ ხალხურ სიმღერებზე გაცილებით მალლა სდგას. მორდვები ძველ ოჯახურ წესზე ცხოვრობენ. ისინი იშვიათად იყრებიან და ამიტომ ზოგიერთ ოჯახში 30-40 სული ერთადა სცხოვრობს... მორდველთა ტიპი უფრო შნოიანია და კავკასიურ ტიპს უახლოვდება”¹.

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №357, ფ. 1-2.

საინტერესოა კირიონის დაკვირვება ლიტველ ხალხზე. 1907 წ. იგი ვილნოში (პოჟაის მონასტერში) იყო გადასახლებული და 1907 წ. 12 მაისს იწერებოდა: „ლიტველებმა გამოიღვიძეს და ლამის ჩვენ გაგვისწრონ, თუმცა ჯერ არც ლიტერატურა აქვთ და არც საკმარისი ნასწავლი ხალხი ჰყავთ. პოლონელები ცდილობენ ლიტვინები მიიმხრონ, რომ მთავრობას (რუსეთის მთავრობას - ვ. კ.) არ შეეძლოს მასზედ დამყარება და მომავალში შუღლის ჩამოგდება პოლონელ-ლიტვინებთა შორის. აქაურ ადგილობრივ ინტელიგენციას, 80 კაცს, რომელთა შორის მომეტებული ნაწილი ლიტვინები ყოფილან, სააღდგომო კრება ჰქონიათ ვილნოში, თავიანთ წინანდელ სატახტო ქალაქში და დაუდგენიათ: შეიმუშავონ ვრცელი ავტონომია ლიტვისთვის და სათათბიროში გაგზავნონ მთავრობისათვის წარსადგენად”¹.

როდესაც კირიონი ლიტვის, პოლონეთის თუ მორდველთა პრობლემებზე მსჯელობს, სრულიად ამკარაა მისი რეალური გულისთქმა. იგი უპირველესად საქართველოს ბედზე ნუხს. ბუნებრივია, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, იგი ყოველთვის პირდაპირ და გახსნილად ვერ განიხილავდა (მათ შორის პირად წერილებშიც). როგორც ადრე აღვნიშნეთ, მის კაპიტალურ ნაშრომში, რომელიც XIX ს-ში ქართული ეგზარქატის ისტორიას შეეხება და რომელიც სავსეა ფაქტობრივი მასალით, კირიონი საერთოდ არ ეხება ასეთ საჭირობო საკითხებს. ვფიქრობთ, ეს სავსებით გასაგებია. მისი იმჟამინდელი მიზანი იყო, არსებულ საცენზურო პირობებში გადმოეცა XIX ს-ის საქართველოს ეკლესიის ისტორიის ამსახველი ფაქტობრივი მასალა, შეფასებები კი, ის დარწმუნებული იყო, მომავალში გაკეთდებოდა. მართლაც, ეს ასეც მოხდა. ამიტომ, ყოვლად გაუმართლებელ და მიუღებელ საქციელად მიგვაჩინია, ოპოზიციური ჟურნალის „ახალი სიტყვის“ ცინიკური და ნიშნისმოგებითი მითითება კირიონის აღნიშნულ ნიგნზე.

ფსევდონიმებს ამოფარებული ავტორები წერდნენ: „მან საკმარისად შეგვარცხვინა ჩვენ მთელს ქვეყანაზე თავის ცრუ მეცნიერულის გამოკვლევით: „Краткий очерк истории грузинской церкви за

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №305, ფ. 2-3.

XIX столетие, Тифлис 1901". „ჯაჭვადის“ ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი (მღვდელი ი. შუბლაძე) სამწყსოსა და სამღვდლოებას მოუწოდებდა გადაეყენებინათ კათალიკოს პატრიარქი კირიონ II¹. ეს რომ უსინდისო ცილისწამება იყო, იქიდანაც ჩანს, რომ კირიონის არც ერთ კრიტიკოსს, არც ფარულად და არც პირდაპირ, არ გაუკეთებია საქართველოსა და ქართული ეკლესიისათვის იმის მებასედიც კი, რაც კირიონმა გააკეთა (რევოლუციამდეც და მის შემდგომაც).

1905 წლიდან კირიონი აღარ მალავს თავის სანუკვარ ოცნებას: თავისუფალი იხილოს თავისი სამშობლო და ეკლესია. ემიგრაციაში მყოფ შიო იოსავას იგი გახსნილად სწერდა: „თავისუფლების დაკარგვა ამ ასი წლის წინათ, უცნაურად მოხდა. ჩალის ფასად გაპყიდეს იგი, ორდენებზედ დაახურდავეს და ახლა კი, მის მოსაპოვებლად, ათასობით მსხვერპლი იწირება სამშობლოს ტრაპეზზედ... ასი წელი ხალხი გმინავდა საზარელ მუხრუჭში მომწყვდეული. სჯობს თავისუფლების მოხვეჭა, ყოვლისა მოსახვეჭელისა“².

წარმოდგენილი პრობლემატიკაც იმ დროის მსოფლიო და რუსეთის მაჯისცემას ასახავდა. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ყველაზე უმთავრეს მომენტებზე, რომელთა სათანადო ანალიზიც, დღემდე არ მომხდარა. კირიონის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ყოველი საჭირბოროტო, საკაცობრიო თუ ეროვნული პრობლემების ანალიზისას, ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, ცდილობდა გამოეფხიზლებინა ერი, დაენახვებინა მისთვის ის რეალური მიზნები, ამოცანები და საშიშროება რაც მოცემულ მომენტში ერის წინაშე იდგა. ის, რომ მთლიანად ერი, ხალხი ვერ ჩანვდება მის წინაშე მდგარ ამოცანებს, ეს კირიონსაც კარგად ესმოდა. 1906 წ. იგი წერდა, რომ ავტოკეფალიისათვის თუ სხვა საკითხებისათვის ბრძოლა: „ეს მეთაურების (ე. ი. ელიტის – ვ. კ.) საქმეა. რაც შეეხება ხალხს, ხალხის სახელს, ხშირად უსაფუძვლოდ ხმარობენ. ის მუდამ თავდადებულ მამულიშვილებს შესცქერის და მისდევს“³. ზუსტად ამ პრობლემას ეხება ივ. ჯავახიშვილის ერთი ნაკლებადცნობილი სტატიის დადაზრცი: „ხალხს ხომ თავისთავად გზის გაგ-

¹ „ჯაჭვადე“, კირიონ კათალიკოსის წირვა და სიონის წაბილწვა, სასულიერო ჟურნალი „ახალი სიტყვა“, 1918 წ. №7, ფ. 7.

² ჟურნ. „სვეტიცხოველი“, 1917, №4, ფ. 4.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №291 (1906. 26.XII).

ნება არ შეუძლიან. იგი გრძნობს, მხოლოდ რომ წინანდელი ახლა გამოუსადეგარია, მაგრამ რა ცვლილება უნდა მოხდეს და როგორი, ამის გამორკვევის ძალღონე მას არა აქვს”¹.

უნდა დავასკვნათ, რომ კირიონის მიერ განხილულ და გაანალიზებულ პრობლემათა უმეტესობა დღესაც აქტუალურია.

ძირითადი დასკვნები:

ნაშრომის ამ თავში გამტკიცებულია ადრე გამოთქმული მოსაზრება კირიონ საძაგლიშვილის დაბადების ადგილის და თარიღის შესახებ (ქ. თბილისი; 1855 წლის 10 ნოემბერი).

საბოლოოდ გარკვეულია კირიონის დედის ვინაობა (დარია გორგასანიძე).

დაზუსტებულია კირიონის რუსეთში გადასახლების დეტალები და გამოკვეთილია იოანე ვოსტორგოვის ანტიქართული ქმედებების მთელი დიაპაზონი.

დადგენილია კირიონის ურთიერთობა რუსეთის ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთან (მაგალითად, ვ. როზანოვთან).

კრიტიკულადაა განხილული კირიონის ცნობილი შრომის „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ ძირითადი დებულებები.

საარქივო და გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე, განხილულია კირიონის ბრძოლა ქართული ტაძარ-მონასტრების დაცვისათვის (სომხურ-გრიგორიანული და სხვა კონფესიების ექსპანსიისაგან).

განხილულია კირიონის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ნა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში, „ივერია“, 1906, №10; იხ. აგრეთვე, გ. ყორანაშვილი, ელიტა და ხალხის მასა ივ. ჯავახიშვილის ნააზრევში, აღ. ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი I რესპუბლიკური კონფერენცია, თბ., 1997, ფ. 128-129.

ნარმოებები. მათგან რამდენიმეს ანალიზი, პირველად ხდება; მაგალითად: „სიტყვის ფსიქიკური ნარმოშობის შესახებ“ (რუს. ენაზე), „ხომ არ გამოირიცხება საღვთისმეტყველო სწავლების მიერ ღმერთის, სამყაროს და ადამიანის ფილოსოფიური კვლევა?“. ასევე, საფუძვლიანად გვაქვს გაანალიზებული კირიონის შრომა, რომელიც შემეცნების პრობლემას შეეხება ფრენსის ბეკონისა და ანტიკური ფილოსოფოსების ნააზრევში. ნაჩვენები გვაქვს, რომ ადამიანის მეტყველება, კირიონს ორი საწყისის: სულიერის და მატერიალურის შეერთებად ესახება.

კირიონი მიიჩნევს, რომ ღვთისმეტყველება და ფილოსოფია ერთმანეთს ხელს არ უშლის. ისინი სხვადასხვა გზით ცდილობენ დაადგინონ სამყაროს რაობა და მისი რაციონალური ქმედების მიზეზი.

კირიონის დასკვნით, ფილოსოფია სამყაროს იკვლევს კრიტიკული მეთოდით, ღვთისმეტყველება კი ღვთაებრივი გამოცხადებით; ნორმალურ ვითარებაში, ისინი ავსებენ ერთმანეთს (მოყვანილია ე. კანტის მაგალითი).

კირიონს დადგენილი და შედარებული აქვს სოკრატეს, პლატონის და ფრ. ბეკონის შეხედულებები შემეცნებაზე. მისი აზრით, რაციონალური მარცვალი არის ამ დიამეტრალურად განსხვავებული ფილოსოფოსების ნააზრევში (სოკრატეს აზრით, შემეცნება მხოლოდ სუბიექტური პროცესია, და საკუთარი თავის შეცნობიდან იწყება. ფრ. ბეკონი კი, შემეცნების პროცესში უმთავრეს როლს ცდას ანიჭებდა).

კირიონი თვლიდა, რომ შემეცნება მოიცავს როგორც ცდისეულ („a posteriori“), ასევე, ცდის გარეშე („a priori“) მხარეებს. შემეცნებისთვის აუცილებელ მეთოდებს შორის, ის მოიაზრებს „ინდუქციურ“ და „დედუქციურ“ მეთოდს. მიგვაჩნია, რომ ამ საკითხში კირიონის დასკვნები, ე. კანტის ნააზრევს უახლოვდება.

ვადგენთ, რომ კირიონის შემოქმედებაში შეიძლება გამოვყოთ ორი ეტაპი: 1880-იანი წწ.-დან – 1905 წწ.-მდე და 1905-1918 წწ. პირველი ეტაპისათვის, კირიონის ნააზრევში, შეზღუდულადაა ნარმოდგენილი მწვავე ეროვნული პრობლემები. ამ პერიოდში, აქცენტი გადატანილია ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე და მართლმადიდებლობის როლის კვლევაზე ქართველი ხალხის ისტორიაში; ცალკეული ტაძარ-მონასტრების, თუ ხელნაწერების ისტორიაზე,

1905 წლიდან კი, კირიონი აქტიურად განიხილავს ქართველი ხალხის და ეკლესიის დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) უმწვავეს საკითხებს. იგი უკვე პირდაპირ აყენებს ქართული სახელმწიფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის პრობლემას, ხაზს უსვამს ენის როლს ეროვნების შენარჩუნების საქმეში და ა. შ. მიგვაჩნია, რომ კირიონის შემოქმედების ე. წ. პირველი პერიოდი გამონვეული იყო მეფის რუსეთში გამეფებული უაღრესად რეაქციული საცენზურო პირობებით. ამასთან ერთად, კირიონი და სხვა ქართველი სასულიერო მოღვაწეები, მართლმადიდებლობის და რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების დადებითი როლის წინ წამოწევი, ცდილობდნენ წარმოეჩინათ აღმოსავლური ფანატიზმის რეალური საფრთხე ქარველი ხალხის ისტორიაში.

კირიონი ცდილობდა დაეცვა ქართული ინტერესები როგორც ოსმალთა იმპერიაში მოქცეულ ქართულ მიწებთან მიმართებაში, ასევე, თბილისის გუბერნიის სამხრეთ რეგიონში (იხ. „Петроградские ведомости“ (1915) და საარქივო შრომა: „ბიზანტია და საქართველო“ (რუსულ ენაზე, 1915 წ.).

საარქივო და გამოქვეყნებულ შრომებზე დაყრდნობით, ვასკვნით, რომ კირიონის პატრიოტიზმი არ არის არც აგრესიული ხასიათის და არც ფილეთიზმის ნიშნების შემცველი.

კირიონის შემოქმედებაში წარმოდგენილ საკაცობრიო და ეროვნულ პრობლემატიკიდან გამოვყოფთ:

მონასტრებისა და ბერ-მონაზონთა წვლილის აქცენტირებას ეროვნული სახელმწიფოს ფორმირება-განვითარებაში,

სახელმწიფოს როლის ხაზგასმას ერის და ცალკეული პიროვნებების დაცვის საქმეში. კირიონის დასკვნით, სახელმწიფო ვალდებულია უპირატესად დაიცვას პიროვნების სიცოცხლე და საკუთრება. სახელმწიფოს სიძლიერე, გარდა საგარეო ფაქტორებისა, კირიონის აზრით, დამოკიდებულია დიდ პიროვნებათა მოღვაწეობაზეც. ამ მხრივ, იგი განსაკუთრებით გამოყოფდა: დავით აღმაშენებელს (1089-1125), თამარ მეფეს (1184-1212), გიორგი ბრწყინვალეს (1318-1346), ალექსანდრე I დიდს (1412-1442) და ერეკლე II-ს (1762-1798) მოღვაწეობას.

კირიონის აზრით, ქართული სახელმწიფოს სისუსტემ (საგარეო და საშინაო ფაქტორების გათვალისწინებით), განაპირობა

ქართული საზოგადოების ჩამორჩენა მოწინავე ცივილიზებულ ქვეყნებთან შედარებით.

კირიონი ასკვნის აგრეთვე, რომ პიროვნების და საზოგადოების სრულფასოვანი დაცვა შეუძლია მხოლოდ თავისუფალ სახელმწიფოს.

სახელმწიფოში სწავლა-განათლება უნდა მიმდინარეობდეს ეროვნულ ენაზე.

კირიონის აზრით, ეროვნული სახელმწიფოს აშენებაში ერთნაირად უნდა მონაწილეობდეს საზოგადოების ყველა ფენა, პარტია თუ ჯგუფი. ამასთან, იგი განსაკუთრებით გამოყოფდა ქართული თავადაზნაურობის როლს, როგორც კულტურის, ასევე სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში (სიტყვა თქმული თავადაზნაურობის დეკლარაციის გამოცხადებასთან დაკავშირებით, 1917 წელს).

კირიონის აზრით, ქართველმა ერმა შექმნა, ქრისტიანობაზე დამყარებული, მაგრამ თვითმყოფადი არქიტექტურა, სიმღერა-გალობა, ლიტერატურა.

კირიონმა პირველმა მოახდინა ქართული სასულიერო, საერო და ნათარგმნი ლიტერატურის კლასიფიკაცია და განიხილა ის მსოფლიო მნიშვნელობის თვალსაზრისით („მომწიფებული საკითხი“, 1901 წ. რუსულ ენაზე).

კირიონი და მისი თანამებრძოლები (მ. ბოლქვაძე) სავსებით სწორად აფასებდნენ ეროვნულისა და კოსმოპოლიტურის თანაფარდობას და მნიშვნელობას.

კირიონი იყო პირველი ქართველი მკვლევარი, ვინც განიხილა მორდველთა, პოლონელთა, ლიტველთა თვითმყოფადობა-დამოუკიდებლობის საკითხები (1905-1907 წწ. პირადი წერილები).

კირიონის ნაწერებში წარმოჩენილია აგრეთვე, ერისა და ელიტის („მეთაურების“) და მასის („ხალხის“) ურთიერთობის საკითხები (1906 წ. 26.XII წერილი ი. ჩიჯავაძეს).

ვასკენით, რომ კირიონის მიერ განხილული საკაცობრიო და ეროვნული პრობლემების უმეტესობა აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვისაც.

თავი III. ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის ცხოვრება და შემოქმედება

§1. პეტრე კონჭოშვილის მოღვაწეობა



პეტრე კონჭოშვილი დაიბადა დღევანდელი ყვარლის რაიონის (მაშინდელი თბილისის გუბერნიის თელავის მაზრა), სოფელ საბუეში, 1836 წელს¹. საბუე მდებარეობს მდინარე ინწობის მარცხენა ნაპირზე.

მეუფე პეტრე კონჭოშვილი დაიბადა ტრადიციულ მრავალშვილიან ქართულ ოჯახში. ერთი საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მამამისი დავითი, ასევე სამღვდლო წოდებისა, გარდაიცვალა 1846 წელს ე. ი. იმ დროს, როდესაც პეტრე მხოლოდ 10 წლის იყო. დედა მარიამი

კი, გარდაიცვალა 1859 წელს. პეტრე კონჭოშვილის დედის გვარი უცნობია, მაგრამ ერთ პირად წერილში, მამა პეტრე ალექსანდრე ეპისკოპოსს სწერდა, რომ მისი ნათესავი დედის მხრივ იყო ივ. გოგიტიშვილი. ასე რომ შესაძლოა, მარიამის გვარი გოგიტიშვილი იყო².

დოკუმენტის შედგენისას, 1860 წელს, ოჯახის წევრები იყვნენ: პეტრეს უფროსი ძმის (სოფ. საბუის ეკლესიის მედავითნის) მათეს (გარდაიცვალა 1859 წ.) მცირეწლოვანი შვილები: დავითი (4 წლის) და თებრონე (6 თვის); ასევე, მათეს ქვრივი – ელისაბედი (27

¹ ეს თარიღი ამოკვეთილია მის საფლავის ქვაზე ალავერდში. მეორე მხრივ, ან. ნატროევი (ნატროშვილი) 1905 წ. წერდა რომ მეუფე პეტრე 66 წლის იყო. ამრიგად, მის მიხედვით მეუფე 1839 წ. დაბადებული გამოდის. ვფიქრობთ უპირატესობა პირველ თარიღს უნდა მიენიჭოს.

² ხელნაწერთა ეროვნური ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი №841 (შემდეგში: ხ. ერ. ც.).

ნლის), თვით პეტრე, რომელიც თელავის სასულიერო სასწავლებლის დაბალი კლასების მასწავლებელი იყო; მომდევნო ძმა – სოლომონი, რომელიც უკვე იმ დროს, საქართველოს სამხედრო ხაზის ბატალიონში მსახურობდა, და მელანია, რომელიც 21 წლის იყო¹. 1860 წელს, წინაპრებისაგან დარჩენილი ოჯახის საკუთრება საბუეში, შედგებოდა ერთი ძველი ქვის სახლისაგან (რომელშიც მხოლოდ ერთი ოთახი ყოფილა); ვენახისაგან, (რომლიდანაც საშუალოდ 3 საპალნე ღვინოს აყენებდნენ) და ორი „დესეტინა“ სახნავი მიწისაგან². მამისა და უფროსი ძმის გარეშე დარჩენილ ოჯახზე ზრუნვა, პეტრეს უკისრია. ეს მონაცემები მოყვანილია „რაპორტიდან“, რომელსაც მივაკვლიეთ საქართველოს ეგზარქოსების კანცელარიის ფონდებში (ინახება სახელმწიფო საისტორიო არქივში). ახალგაზრდა პეტრე კონჭოშვილს იგი იმ მიზნით შეუდგენია, რომ პატრიარქალური ოჯახის საკუთრება გაეყო, თავისი კუთვნილი წილი გაეყიდა და იმ თანხით მთელი სახლიც შეეკეთებინა და მელანიაც გაეთხოვებინა (მზითვეში გაეტანებინა თანხა). მაგრამ გაყოფა ადვილი საქმე არ გამოდგა. ამას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მათეს ქვრივი – ელისაბედი (მალე, იგი მეორედ გათხოვდა კიდევ)³. ოჯახური უთანხმოების გარდა, ახალგაზრდა პეტრე ალბათ აქ პირველად შეხვდა რუსული ბიუროკრატიული აპარატის მოუქნელ მუშაობას. ამ საკითხზე მიწერ-მოწერამ 17 ფურცელი შეადგინა, 3 წელი გასტანა და შედეგი კი მაინც ვერ გამოიღო. 1861 წ. 6 თებერვალს, პეტრე კვლავ დაბეჯითებით ითხოვს განიხილონ მისი მოხსენებითი ბარათი: „...Последнее мое состояние приходит в совершенное уничтожение, почему имею честь вторично, покорнейше уведомить меня о сделанных распоряжениях“, – წერდა იგი. საქმე კი წინ ვერაფრით მიდიოდა. ამ მხარის კეთილმონესე დიმიტრი აღნიაშვილი („აგნიევი“) მიმართავს ეგზარქოს ევსევის (1858-1877), ეგზარქოსი – საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას. შემდეგ, ეს უწყება – თელავის მაზრის მეთაურს, შემდეგ ყვარლის „უჩასტკის“ უფროსს („участковый заседатель“) ამ უკანასკნელს კი, მიწერ-

¹ სცსსა, ფონდი 489, აღწერა 1, საქმე №20259, ფ. 1-3.

² იქვე, ფ. 3.

³ იქვე, ფ. 5.

მონერაში გვარი „კონჩუევი“, „უთუროვში“ ერევა. ამის შემდეგ გვარების გარკვევას კიდევ ერთი წელი დასჭირდა. საბოლოოდ, საქმე 1863 წლის 28 თებერვალს ისე შეწყდა, რომ არავითარი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული¹.

წერა-კითხვა პეტრემ ოჯახში ისწავლა (მამა მღვდელი იყო, უფროსი ძმა – მედავითნე). მაგრამ რაც მთავარია, მას პატრიოტ და პატიოსან ადამიანად ზრდიდნენ. ნამდვილი პატრიოტობა კი, არც საერო და არც სასულიერო სფეროში, მარტივი საქმე არ იყო.

ოჯახური ტრადიცია (ღვთის სამსახური), ადრეული ყრმობიდანვე შეუთვისებია პატარა პეტრეს. იმ დროიდანვე მას მიზნად დაუსახავს პალესტინის წმინდა ადგილების მონახულება. როგორც თვითონ წერს: „სიყრმიდან ჩემი დგან, რაც კი თავის ცნობაში მოვსულვარ, რაც კი ჩემ საყვარელ მშობელთაგან შემისწავლია პირჯვარის გამოსახვა და შევიძელ ხსენება და გამოთქმა სახელისა ყოვლად ტკბილისა უფლისა იესო ქრისტესი... იმ დროიდან, მარად – ჟამს ჩემთვის სანატრელი შეიქმნა მიმოხილვა და მოლოცვა იმ წმინდა ადგილთა, სადაც ყოვლად მონყალე უფალმა იესო ქრისტემ ძემან ღმრთისამან, სათნო-იჩინა ხორციელად შობა“².

ოჯახში მიღებული განათლება, პეტრე კონჭოშვილს ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში (დაარსდა 1817 წ.) გაულრმავებია, შემდეგ კი – თბილისის სემინარიაში. XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისში იგი დაოჯახებულა. მისი მეუღლე გახლდათ მართა დიმიტრის ასული მახვილაძე³. ამავე დროს, პ. კონჭოშვილი მღვდლად ეკურთხა და საინგილოში გაიგზავნა სამისიონერო მოღვაწეობისათვის. იქ მისი მოღვაწეობის შესახებ ცოტა რამ ვიცით, მაგრამ გარკვეული ცნობები დაგვიტოვა მისმა ერთმა პირველმა მონაფემ, შემდგომში ცნობილმა ისტორიკოსმა – მოსე ჯანაშვილმა (1855-1934). 1896 წლის 13 იანვარს, მართა კონჭოშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, იგი „ივერიაში“ წერდა: „ეს ახალი საფ-

¹ იქვე, ფ. 17.

² პ. კონჭოშვილი, „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმს და წმ. ათონის მთაზე“, ტფ. 1901, გვ. III (შემდგომში: „მოგზაურობა“).

³ მის შესახებ იხ. ვ. კიკნაძე, ალავერდისა და გორის ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი და მისი ოჯახური წრე, კრებ. ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები, №1, თბ., 2006-2007, გვ. 85-98.

ლავი მაგონებს იმ დროს, როდესაც ჯერ ისევ ლეკთა ჩაჩქან-ხირიმის გრიალი ისმოდა საინგილოში. როდესაც ახლად მოქცეულ ინგილოებს წინამძღვრობდნენ საყვარელი პეტრე და მისი მეუღლე მართა. პეტრემ და მართამ დიდი სიკეთე და სათნოება დასთესეს საინგილოში და მათ ღვანლს უეჭველია ოდესმე ჯეროვნად დააფასებს ადგილობრივი ისტორიოგრაფია. ხოლო დღეს, ჯერ ისევ გაუცხივებელი საფლავის წინაშე, არ შეგვიძლია ორიოდ სიტყვით არ გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ინგილოს ბავშვები დავდიოდით კაკის „საყდარში“ და ჩვენი „დედა“ მართა „გვალოცებდა“. სახელმძღვანელოდ მაშინ, გვქონდა დ. ფურცელაძის¹ მიერ შედგენილი ქრესტომატია. ყოველდღე დილაადრიან, ბავშვები შევიკრიბებოდით ხოლმე საყდრის ეზოში, ანდა თუ წვიმა-სიცივე იყო, თვით ჩვენის მასწავლებლის ქოხში (მაშინ, კაკის ბლალოჩინის სადგური წარმოადგენდა ჩალა გადახურულ ორ ვინრო და ბნელ ოთახიან ქოხს). „დედა“ მართა და ან მამა პეტრე (და თუ ამათ არა სცალოდათ, მათი დიაკვანი მიხეილი) დაუზარებლად და უსასყიდლოდ გვასწავლიდნენ. სწავლა კი ფრიად საჭირო იყო, რადგან მაშინ (1860-1879) საინგილოში ქართული წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი იმდენი იყო, რამდენიც თითია ხელზე (და ამ ხუთთაგანაც ერთი იყო დიმი. ჯანაშვილი², რომელსაც სკოლა ჰქონდა თავის მრევლში, სოფელ ყორალანს). მართა გვასწავლიდა ლოცვებს, წერა-კითხვას, ანგარიშს, სუფთა წერას (ფურცელაძის დედაენით) და სხვა, თუმცა გეოგრაფიის სწავლება შემოღებული არ იყო კაკის სკოლაში, მაგრამ ჩვენი მასწავლე-

¹ დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძე (1825-1891), პედაგოგი, ისტორიკოსი, სახელმწიფო მოხელე. 1849 წ. დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. შემდეგ მასწავლებლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში და სემინარიაში. 1854 წლიდან სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურშია. თარგმნილი და გამოცემული აქვს რუსულ ენაზე ქართული ისტორიული საბუთები. იგი ავტორია გამოკვლევებისა კახეთზე, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერზე, ვახტანგ VI-ის სამართალზე (რუს. ენაზე) და ა. შ. მასვე ეკუთვნოდა ქართული ლიტერატურის ქრესტომატია.

² დიმიტრი ჯანაშვილი (1840-1905) პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, (ფსევდონიმი „ინგილო ჯანაშვილი“) დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და მოსკოვის აკადემია. მასწავლებლობდა თბილისში, ქუთაისში, საინგილოში. თავის მშობლიურ კუთხეში დააარსა რამდენიმე დანყებითი სკოლა. აქვეყნებდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს, რეცენზიებს.

ბელნი ხანდახან გეოგრაფიულ ცნობებსაც გაგვიზიარებდნენ ხოლმე. კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც დედა მართამ შეგვკრიბა ყველა მონაფენი და ჩამოგვიგდო ბაასი შესახებ საქართველოს ქალაქებისა, მდინარეებისა, თემებისა, დიდ ეკლესიებისა, ისტორიისა და სხვა. მართასგან პირველად გავიგეთ ინგილოებმა, რომ მსოფლიო შესდგება დიდ-დიდი ხმელეთებისაგან, დიდ-დიდი ოკეანეებისაგან და ზღვებისაგან და სხვ. და სხვ.

მართას ქცევამ და მოქმედებამ ისეთი ზეგავლენა იქონია ინგილოებზე, რომ დღესაც მის ცხოვრებას მტრედის უმანკობას ადარებენ ინგილონი. ტფილისში გადმოსვლის შემდეგაც მართამ ბევრი სიკეთე დათესა. მის სახლში გამოიზარდა არა ერთი ობოლი და უქონელი. წიგნის გარდა, ხელსაქმარსაც ასწავლიდა ყველას. სულკურთხეული მართა ერთი იმ დედათაგანი იყო, რომელთაც კარგად იცინან, რომ „იგი ძე, რომელსაც მამამან მისმან არა ასწავლა არცა ერთი ხელობა, არცა მოვალეა არჩინოს მშობელი თვისი“¹.

ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს რა უმძიმეს პირობებში და რა უდიდეს საქმეს აკეთებდნენ მამა პეტრე და მისი მეუღლე. მოსე ჯანაშვილს იმედი ჰქონდა, რომ მათ ამ ღვანლს ისტორიოგრაფია დააფასებდა, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა. იქნებ ახლა მაინც გამოსწორდეს მდგომარეობა...

საინგილოს საკეთილმონესო (საბლალოჩინო) მაშინ შვიდი სამრევლოსაგან შესდგებოდა. კაკის (ან კახის) 400 კომლიან მოსახლეობას ორი მღვდელი ემსახურებოდა. ამას გარდა იყო: ალიბეგლოს, ყორალანის, ქოთოქლოს, თასმალოსა და ბელაქნის სამრევლოები, რომლებიც 600 კომლს მოითვლიდნენ², მაგრამ მღვდლები თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მამა პეტრეს თავდადებული საგანმანათლებლო და პატრიოტული მოღვაწეობა საინგილოში, შემდეგ განაგრძო მისმა ძმისშვილმა სოფიო სოლომონის ასულმა კონჭოშვილმა-ყულოშვილისამ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

¹ მ. ჯანაშვილი, მართა კონჭოშვილი (ნეკროლოგი), გაზ. „ივერია“ 1896, №28 (7 თებერვალი), გვ. 3. მართა კონჭოშვილი დაკრძალეს ვერის იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში. (ამჟამად საფლავი არ იძებნება).

² ირ. ოქროპირიძე, ქრისტიანობა საინგილოში და ინგილოთა ყოფა მე-19 ს. და მე-20-ე საუკ. დასაწყისში, „მნათობი“ 1989 №12, გვ. 107.

დაახლოებით 1865 წლიდან¹, მამა პეტრე შიდა ქართლის მთიან რეგიონში, სოფელ ჯავაში გადადის და ასრულებს კეთილმონესის თანამდებობას. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ პერიოდზე კიდევ უფრო ნაკლები რამ ვიცით. გაზეთ „დროების“ მოკლე ნეკროლოგში მისი მოღვაწეობის ამ პერიოდის შესახებ, ვკითხულობთ: „პეტრე, გვარად კონჭოშვილი... ხელ-დასმულ იქნა მღვდლად საინგილოს ერთ-ერთ სოფელში. იქ ჰავა დამცდელი იყო და ახალგაზრდა მღვდელმა თავისი სამღვდლო და სამისიონერო მოქმედება ოსეთში გადაიტანა. გადაყვანილ იქნა ჯავაში, ლიახვის ხეობაზედ, სადაც 7-8 წელიწადს დარჩა და თან კეთილმონესის (ბლალორჩინის) თანამდებობასაც ასრულებდა“². რას წარმოადგენდა სოფელი ჯავა XIX საუკუნის 60-იან წლებში? ჯავა მდებარეობს ზღვის დონიდან 1125 მეტრზე, მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე, შესანიშნავ ბუნებრივ გარემოში. საკუთრივ ჯავის გარდა, საბლალორჩინოში შედიოდა ახლო მდებარე სოფლები: მსხლები, კოშკა და სხვ. მოსახლეობა ძირითადად ოსური ყოფილა. თუმცა საინტერესო ცნობას წარმოადგენს 1858 წლის „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილი ჯავიდან, რომელშიც აქაური მკვიდრი ი. ბერიძე, ჟურნალს სთხოვდა ეცნობებინა „იტალიური ტრუპის“ გასტროლების შესახებ თბილისის ოპერის თეატრში. იგი წერდა: „რა-ტომ არ მოგვითხრა (ჟურნალის მიმომხილველმა – ვ. კ.) მაზრების მკითხველთ, ნამეტნათ, მყოფთ შუაგულს კავკასიის მთებთა, ანბავი თეატრის წარმოდგინებათა?“³. აქედან ჩანს, რომ ჯავაში ამ პერიოდში უცხოვრიათ უცხოვრიათ ქართველებს და კულტურული ცხოვრებითაც ყოფილან დაინტერესებულნი. ჯავაში ფუნქციონირებდა ძველი ეკლესია, რომელიც წმ. გიორგის შობის სახელობაზე იყო ნაკურთხი. 1858 წლიდან ეკლესიასთან სკოლაც არსებობდა.

¹ ან. ნატროშვილი ხსენებულ შენიშვნაში წერს, რომ, პირიქით, 1865 წლიდან – 1868 წლამდე მამა პეტრე საინგილოში მოღვაწეობს, მანამდე კი ჯავაში ანუ სამხრეთ ოსეთში. იხ. Преосвященный Пётр, епископ Алавердский. Духовный вестник Грузинского Экзархата, №21-22, Тифлис, 1905 (15 Ноября), с. 7. დამატებითი მასალის მოპოვებამდე ძალაში ვტოვებთ გაზ. „დროების“ ცნობას.

² გაზ. „დროება“ 1909 №29 (8 თებერვალი), გვ. 3.

³ ჟურნ. „ცისკარი“ 1858 №10, გვ. 59.

რაც შეეხება რელიგიურ მდგომარეობას, ჯავაში და საერთოდ მთიან შიდა ქართლში, იგი ძალზე რთული იყო. ქრისტიანობასთან ერთად, რომლის აღორძინებასაც ხელს უწყობდა „კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოება“ (დაარსდა 1859წ.), ჯავის რაიონში ცხოვრობდნენ მაჰმადიანები და წარმართობის მიმდევარნი. მაჰმადიანობა ძირითადად ჩრდილო ოსეთიდან ვრცელდებოდა, წარმართობა კი, მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერაც ვერ დაეძლია. თვითმხილველთა მონმობით, ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილი, თაყვანს სცემდა ე. წ. „ძუარებს“, რომელთაც ქართული სიტყვა „ჯვრიდან“ მომდინარეობის გარდა, ქრისტიანული არაფერი შერჩენოდათ, ეს იყო წარმართული სალოცავები, რომლებიც წარმოადგენდნენ ქვების გროვას, ხეს, თუ ბუნების სხვა ობიექტს. თაყვანისცემა გამოიხატებოდა ფულის ჩუქებითა და მსხვერპლშენივით. „ძუართა“ შორის ყოფილა წმ. გიორგის განარმართებული სალოცავებიც („უასტირჯი“), რომელსაც მოსახლეობა თაყვანს სცემდა როგორც „ქურდების მფარველ ღვთაებას“¹. ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე იყო იქ გამწესებული კეთილმოწესისა და საერთოდ, ქრისტიანი მოძღვრის სამისიონერო ასპარეზი. მით უფრო, რომ „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ ქრისტიანობის აღდგენასთან ერთად, ფაქტობრივად, ოსური სეპარატიზმის ჩამოყალიბებასაც ემსახურებოდა (რად ღირს თუნდაც შიდა ქართლის ამ ძირძველი მიწის მიმართ რუსული ოფიციალობის საყოველთაოდ დამკვიდრებული ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“, ან უბრალოდ „ოსეთი“, რასაც უკრიტიკოდ იმეორებდნენ ქართველი მოღვაწეებიც კი).

მამა პეტრეს ჯავაში და საინგილოში მოღვაწეობამ 1868 წლამდე გასტანა. მიუხედავად მძიმე პირობებისა, ჩანს, რომ მან კარგად გაართვა თავი შიდა ქართლის ამ რეგიონში მოღვაწეობას. ამას მონმობს ის დეპეშა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ამ რეგიონიდან მოვიდა. ჯავის კეთილმოწესე ბეგიზოვი წერდა: „სამხრეთ-ოსეთის სამღვდელთა და სამწყსო, იგონებს რა განსვენებული ეპისკოპოსის პეტრეს შვიდი წლის სამისიონერო მოღვაწეობას ჯავის ხეობაში, სწუხს განსვენებულის დაკარგვისა გამო“².

¹ П. Санакоев, Южная Осетия и нужды осетинских приходов, «Кавказский Благовестник» Тифлис, 1913, №6, с. 8-10; №7, с. 7-10.

² „დროება“, 1909 №31 (11 თებერვალი), გვ. 3.

70-იანი წლების დასაწყისიდან პეტრე კონჭოშვილი გადმოდის თბილისში და მოღვაწეობას იწყებს ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის სჯულის მოძღვრად¹.

ამ დროიდან მამა პეტრე აქტიურად ებმება საქართველოს საეკლესიო, თუ საერო ცხოვრებაში. დედაქალაქში იგი მამადავითის მოედანზე №29, ქიქოძის კუთვნილი სახლის პირველ სართულზე მკვიდრდება (ეს ძველი სახლი მდებარეობს სულხან-საბას ძეგლისგან მარჯვნივ; დედათა ინსტიტუტი კი, არც თუ ისე შორს, ერმოლოვის ქუჩაზე მდებარეობდა). ეს არის დღ. საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ამ ინსტიტუტის სჯულის მოძღვრად, მამა პეტრემ ძალიან დიდხანს, თითქმის სიკვდილამდე იმუშავა. გაზეთი „დროება“ ნეკროლოგში აღნიშნავდა: „... შემდეგ (ე. ი. ჯავის შემდეგ – ვ. კ.) ქალაქში იქნა გადმოყვანილი (მეუფე პეტრე – ვ. კ.) და გამწესებული საქალებო ინსტიტუტში, საღვთო სჯულის მასწავლებლად. აქ დარჩა დიდხანს, თითქმის 30 წელიწადს (სინამდვილეში 35 წელიწადს – ვ. კ.). ინსტიტუტის მონაფეებს დიდად უყვარდათ და დიდ პატივს სცემდნენ განსვენებულს“². აშკარა იყო, რომ მეუფე პეტრე აქაც, და სასულიერო სემინარიაშიც, მხოლოდ საღვთო სჯულს კი არ ასწავლიდა მოსწავლეებს, არამედ საქართველოს სიყვარულსაც. ამას მოწმობს იმავე გაზეთში დაბეჭდილი შემდეგი საყურადღებო სიტყვები: „პეტრე დიდხანს იყო სასულიერო სემინარიის საბჭოს წევრად, საცა იმთავითვე გამეფებული იყო უსასტიკესი გარუსების პოლიტიკა და აი, აქ იყო თავგამოდებული პეტრე, რომელიც... მტკიცედ იცავდა სემინარიის მონაფეებს პოლიტიკან ბერების „მზრუნველობისაგან“. მაშინ უკვე დიდი ხნის დეკანოზი იყო და გულისტკივილით იგონებდა ხოლმე,

¹ მ. ჯანაშვილის მოგონებაში, კარგად არ ჩანს რა დრო დაყვეს საინგილოში მამა პეტრემ და მისმა მეუღლე მართამ. იქ მითითებული 1860-1879 წწ. ძალზე ზოგადია. ამავე დროს, „მოამბის“ ნეკროლოგშიც (1909, №29), ჯავაში მოღვაწეობის წლებად, მითითებული 7-8 წ. არაზუსტი ჩანს. თვითონ პ. კონჭოშვილი, 1903 წ. 14 ივნისის წერილში, კირონის აცნობებდა, რომ მისი დედათა ინსტიტუტში მოღვაწეობის, ზუსტად 35 წელი შესრულდა (ბ.ერ.ც., №943). ამგვარად, მამა პეტრეს, დედაქალაქში მოღვაწეობა 1868 წლიდან დაუწყია.

² „დროება“ 1909 №29 (8 თებერვალი) გვ. 3.

რომ სემინარიაში, ზოგიერთი ქართველი გაბედულად ვერ მიჭერდა მხარს და ამიტომ ჩემი გამოსარჩლება, უქმად რჩებოდაო"¹ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

დეკანოზის წოდება მას 80-იანი წლებიდან უნდა ჰქონდეს მიღებული (1876 წელს იგი ჯერ კიდევ მღვდელია; თუმცა საეკლესიო ჯილდო მიუღია)². 1885 წელს, როდესაც პეტრე კონჭოშვილი კიევის ლავრას ეწვია, უკვე დაჯილდოვებული იყო ოქროს ჯვრითა და საეკლესიო ორდენებით³. ამავე პერიოდში, იგი თანამშრომლობას იწყებს ქართულ პრესაში. სტატიებს აქვეყნებს „მოამბეში“, „კვალში“, „ივერიაში“, „შრომაში“, თუმცა პრესაში უფრო აქტიური თანამშრომლობა XX საუკუნიდან იწყება.

უკვე XIX ს-ის 80-იანი წლებიდან იწყება დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის უანგარო ქველმოქმედება, ახლობელი თუ შორეული მოყვასის მიმართ. ეს ქველმოქმედება და მოყვასზე ზრუნვა მის სიკვდილამდე არ შეწყვეტილა. XX ს. 70-იანი წლების მიწურულს, საბუის 85 წლის მსცოვან მაცხოვრებლებს კიდევ ახსოვდათ, რომ მძიმე გაჭირვების წლებში მეუფეს სოფლისათვის და ნათესავის – იორდანე კონჭოშვილისათვის ოქროს ფული შეუწირავს⁴. საბუე და მშობლიური კუთხე მას რომ ყოველთვის ახსოვდა, ჩანს მეუფის მიერ სოფ. საბუის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისათვის შეწირული ნივთებიდან. კერძოდ, 1898 წელს მას შეუწირავს: „Серебропозолоченные священные сосуды с полным прибором, как то: чаши с дикос(ом), звездница, лжица, две тарелочки, ковшики, два стальных копия, одна серебропозлащенною рукояткою, а другая (рукоятка) белая, костяная и пару воздухов“⁵, ანუ: „ოქროცურვილი ვერცხლის სამღვდელმსახურო ჭურჭელი, სრული აღჭურვილობით, კერძოდ: ბარძი-

¹ იქვე.

² ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი №839 (1876 13 მაისი), ფ. 1.

³ „მოგზაურობა“, გვ. 138; 1905 წლისათვის ოქროს ჯვრის გარდა იგი დაჯილდოვებული იყო წმ. ვლადიმერის მე-3 და 4 ხარისხის, წმ. ანას მე-2 და 3 ხარისხის ორდენებით, იისფერი კამილაკით (კუნკულით), საგვერდულით, კვერთხით, წმ. ნინოს ვერცხლის მედლით და ა. შ. იხ. ან. ნატროშვილი, დასახ. შენიშვნა, გვ. 8.

⁴ გ. ჯავახიშვილი, „ინობელი“, გაზ. „ყვარელი“ 1979 №135 (15 ნოემბერი) და №136 (17 ნოემბ.).

⁵ სცსსა, ფონდი 488, აღნ. 1, საქმე №21890, ფ. 3.

მი, თავისი ფეშხუმით, ვარსკვლავი, კოვზი, ორი ლანგარი, პატარა ციცხვები, ორი ლითონის ლახვარი, ერთი მოოქროვილ-მოვერცხლილი ტარით, მეორე კი თეთრი ძვლის ტარით და წყვილი დაფარნა". სულ ყველაფერი 350 მანეთის ღირებულების იყო.

მოხსენებით ბარათს ამ შენირულობათა შესახებ, ადევს ეგზარქოს ფლაბიანეს რეზოლუცია, რომ შენირული ნივთები უკვე გადაეგზავნა ანყურის კეთილმონესე ხელაევს (ხელაშვილს) და საბუის კეთილმონესე ნიკ. ხუციევს (ხუციშვილს). იქვე აღნიშნულია, რომ ამ შენირულობების გამო, დეკანოზი კონჭოშვილი წარდგენილია სინოდის ლოცვა-კურთხევაზე¹. ასევე, სოფ. საბუეში ეკლესიის ასაგებად მან ანდერძით 6000 მანეთი დატოვა. მეუფე პეტრეს ანდერძი მის ქველმოქმედებას საუკეთესოდ ადასტურებს. სულ, მრავალწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მან 13000 მანეთი დატოვა. ეს თანხა ასე განაწილდა: 400 მანეთი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, 2000 მანეთი ქალთა საშუალო სასწავლებელს, მისი სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად; 150 მანეთი წინამძღვრიანთკარის სკოლას, 200 მანეთი, სასულიერო პირთა სამზრუნველოს, ქვრივ-ობლებისათვის, 100 მან. მცხეთის დედათა სკოლას, 200 მანეთი – საეკლესიო მუზეუმს, დანარჩენი – ნათესავებს². მისი უანგარო და უსაზღვრო ქველმოქმედების თვალსაზრსით, საინტერესო ფაქტს წარმოადგენს, რომ მეუფემ 50 მანეთი დატოვა, სპეციალურად მათხოვრებისათვის დასარიგებლად³. საინტერესოა ისიც, რომ მისი გარდაცვალების ფაქტს და ანდერძს გვერდი ვერ აუარა ისეთმა გაზეთმაც, როგორც იყო „ჩვენი საქმე“, რომელიც სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმართულების იყო და არ სწყალობდა სამღვდელოებას. ამ გაზეთში ცნობა მეუფის გარდაცვალების შესახებ ასე მთავრდებოდა: „... ის ცნობილი იყო როგორც ქველმოქმედი ადამიანი“⁴.

1897 წელს „ივერია“ იუწყებოდა: „პატარა სოფელია ანყური, მაგრამ კობტაა; შემკობილი მშვენიერის ჰავითა და ცივის წყაროებით. მშვენიერის ჯიშის „მწვანე“ ვაზით გავსილი ვენახები, კახეთ-

¹ იქვე.

² „დროება“, 1909, №29 გვ. 3.

³ გაზეთი „ჩვენი საქმე“, 1909, №4 (8 თებერვალი), გვ. 3.

⁴ „ჩვენი საქმე“, 1909, №2 (6 თებერვალი), გვ. 2.

შიც კი განთქმულ თეთრ ღვინოს იძლევა... ეს ხუთი წელია, ველირ-სენით მთავრობის ხარჯით, ორ-კლასიან სამრევლო სასწავლებლის დაარსებას... წინათ აქ წიგნის მკითხველს ვერ იპოვიდით, და დღეს კი, ლამის ყველა გახდეს ამისი (წერა-კითხვის – ვ. კ.) მცოდნე. ჩვენი კობცა ეკლესია ხშირად ივსება მოსწავლეებითა და ხალხით და გაისმის მწყობრი გალობა... ეკლესიის გალავანში მოთავსებულია წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით სავსე სახლი. სასწავლებლის აქ დაარსებისა და თვით ეკლესიის აშენების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ტფილისის დედათა ინსტიტუტის დეკანოზ მ(ამა) კონჭოშვილს¹. ამ მცირე ხანშიაც კი, ამ პატივცემულმა დეკანოზმა, გამოუგზავნა ჩვენს ეკლესიას მშენიერი ბარძიმ-ფეშხუმი, თავისის მონყობილობით, ცამეტ თუმნად ღირებული². ამ მოკლე შენიშვნის ავტორი აღნიშნავდა, რომ პ. კონჭოშვილისათვის სხვებსაც მიუბაძავთ და შეუწირავთ თანხა ეკლესიისა და წიგნსაცავისათვის (დასახელებულია მოძღვარი მ. გულისაშვილი; მასწავლებელი ქალები: თ. სვიმონიშვილი და ანასტ. გამყრელიძე, აგრეთვე სხვებიც).

პეტრე კონჭოშვილის ქრისტიანული კაცთმოყვარეობა სხვა უამრავი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. ის მართლაც რომ იდეალური მოძღვრის განსახიერება იყო. მეუფის სიცოცხლეშივე, ან. ნატროშვილი მასზე ასე წერდა: „О(тец) Петр, напоминает тех древних иерархов, которые служили украшением древней церкви, и стали, к сожалению, редкими явлениями в жизни пастырей нашего времени“³. ამავე დროს, იგი აღნიშნავდა, რომ მამა პეტრე უაღრესად მოკრძალებულად ცხოვრობდა და დაზოგილ ფულს კი, ღარიბთა და უპოვართა აღზრდასა და განათლებას ახმარდა³. სულიერი მოძღვრის მოვალეობას, თვით პეტრე კონჭოშვილი ასე ახასიათებდა: „თვითეულს სულიერს მწყემსს, უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ჩვენ მოგველის პასუხისგება სიკვდილის შემდეგ, როდესაც წარვსდგებით წინაშე ქრისტე მეუფისა და მოვახსენებთ“: აჰა უფალო, მე და

¹ სტატიიში გვარი ოდნავ დამახინჯებულია. აქ და ქვემოთ, ყველგან აღვადგინეთ სწორი ფორმა.

² ივ. ხ-ლი, „ივერია“, 1897, №230 (6 ნოემბერი), გვ. 3.

³ А. Натрошвили, Преосвященный Петр, епископ Алавердский, Духовный вестник Гр. экзархата, №21-22. 1905, გვ. 8.

ცხოვარნი ჩემნი...¹. სწორედ სულიერების ამ მაღალი იდეალებიდან გამომდინარე, მამა პეტრემ მიუღებლად მიიჩნია ის სიტუაცია, რაც შეიქმნა ერთ უშუალო თუშ ახალგაზრდასთან დაკავშირებით სტამბოლში. გაძარცვული და უნუგეშო თუში ახალგაზრდა, რომელიც ათონზე მიემართებოდა ბერად აღსაკვეცად, სტამბოლში, რუსული ეკლესიის სადგომში (მეტოქიაში) ერთი ღამის გასათევად არ მიიღეს; იმ დროს, როდესაც რუსეთიდან ათონისაკენ მიმავალ დიდგვაროვან მგზავრებს უფასოდ ემსახურებოდნენ. აღწერს რა ამ სიტუაციას, პეტრე კონჭოშვილი მწარედ დასძენს: „ამგვარნი უმრწემესნი ძმანი უნდა შევიწყნაროთ ქრისტეს სახელით, თორემ ჯვრებითა და ორდენებით შემკობილთა, ყოველგან ჯეროვან პატივსა სცემენ!“² თვითონ პეტრე კონჭოშვილის მთელი ცხოვრება, ჭეშმარიტად რომ ამგვარი „უმრწემესი ძმების“ მიმართ ზრუნვით იყო გამსჭვალული. სანიმუშოა მისი წერილი ობლად დარჩენილი ახალგაზრდა ნათესავის მიხეილ (გიორგი) საყვარელიძის მიმართ (მიხეილი, პეტრეს ძმისშვილის, თებრონე მათეს ასულის ვაჟი იყო)³. წერილი, პეტრე კონჭოშვილის სიკვდილამდე ზუსტად ერთი წლით ადრეა დაწერილი. იმ დროს მეუფე უკვე ძალზე შეუძლოდ გრძნობდა თავს. მაგრამ წერილში, ეს სრულებით არ იგრძნობა. ეპისტოლე გაგზავნილია პოლონეთში, ქ. ნოვო-ალექსანდრიაში (დღ. ლუბლინის რ-ნი, ქ. პულავი), სადაც ადრესატი იმ დროს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში სწავლობდა. იგი რუსულ ენაზეა დაწერილი. წარმოვადგენთ წერილის ჩვენ მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს: „ღვთის მიერ საყვარელო, სულიერო შვილო მიხეილ! მშვიდობა და ღვთის კურთხევა შენდა მომართ! ვცოცხლობთ თუ ვკვდებით, ღვთისა ვართ მაინც. განაჩენი ჩვენი შემოქმედისა, რომელიც მან წარმოსთქვა სასუფეველში ჩვენს წინაპარ ადამის მიმართ, სიტყვებით: „მინა ხარ და მინადვე მიიქცევი“, აღესრულა შენს ძვირფას მშობელ ზედაც, რომელიც გარდაიც-

¹ „მოგზაურობა“, გვ. 201.

² იქვე, გვ. 135-136. იხ. აგრეთვე: ვ. კიკნაძე, ჯვარცმული ღირსება, ჯვარცმული ერი; აღმანახი ეროვნული ღირსებისათვის, №2, თბ., 2001, გვ. 100-101.

³ ამგვარად, მიხეილ (გიორგი) საყვარელიძე (1882-1952) მეუფე პეტრეს უფროსი ძმის მათეს შვილიშვილია. იგი ამჟვე დროს ამ წიგნის ავტორის პაპაა, დედის, ი. საყვარელიძის ხაზით.

ვალა 12 თებერვალს, ფილტვების ანთებით.

შენ კი, როგორც განვითარებული და კეთილგონიერი ჭაბუკი, არ მიეცე ზომავადასულ მწუხარებას და სამგზის დაიოკე ნალველი შენი.

ღვთისაგან წინასწარ განწესებულია თვითულისათვის სიკვდილის უამი და ვითარება.

არ მოსწყდე სწავლას, არამედ გააღრმავე ბეჯითობა მეცნიერებებში, დედისა და სხვა მოყვასთა შენთა სანუგეშოდ.

როდესაც რამე გიჭირდეს, მომწერე ყოველთვის გაბედულად, მე გამოგიგზავნი (ყველაფერს) შენი ძირითადი მოთხოვნილებისათვის.

ილოცე და ნუ მიეცემი სასონარკვეთილებას.

უუხმობ ღვთიურ კურთხევას, შენსა და შენს სამეცნიერო შრომათა ზედა!

შენი მამობრივად მოსიყვარულე – პეტრე, გორის ეპისკოპოსი.

13 თებერვალი, 1908 წ. ტფილისი¹.

ვფიქრობთ, წერილი განმარტებას არ საჭიროებს... ძნელია ამაზე თბილად და სათნოდ ანუგეშო მოყვასი, თანაც მატერიალურადაც გვერდში ამოუდგე!...

მამა პეტრეს არც თავისი ყოფილი სამწყსო, საქართველოს მონყვეტილი კუთხე, ისტორიული ჰერეთი ანუ გვიანი დროის საინგილო დავინყებია. სოფელ კახში, ქალთა სასწავლებელში მოღვაწეობდა, საინგილოში განთქმული პედაგოგი სოფიო სოლომონის ასული კონჭოშვილი-ყულოშვილისა. იგი მამა პეტრეს ძმისწული გახლდათ. სოფიო, ადგილობრივ ინგილო მღვდელს ნიკოლოზ ყულოშვილს გაჰყვა ცოლად და მცირე ხანს ისინი ერთად ეწეოდნენ პედაგოგიურ და სასულიერო საქმიანობას, ძირითადად, სოფ. კახში და სოფ. ყორაღანში. 1895 წლის 22 ნოემბერს ნიკოლოზ ყულოშვილი გარდაიცვალა ციებ-ცხელებით და სოფიომ მარტომ განაგრძო

¹ წერილის დედანი რომელიც ჩვენთან ინახებოდა, მეუფე ტეპრესთან დაკავშირებულ სხვა ნივთებთან ერთად, გადავეცით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, მისი სახელობის ფონდის შესაქმნელად. წერილის ქართული თარგმანი გამოქვეყნებულია ჟურნალ „ივერიაში“, თბილისი-პარიზი, 1992, №1, გვ. 48 და ჟურნალ „ზეკარში“, თბ., 1991, გვ. 146. რუსულ ენაზე კი წიგნში: ვ. კიკნაძე, ცხოვრება და ღვანლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, თბ., 2003, დამატ. I, გვ. 189-190.

პედაგოგიური საქმიანობა¹. სოფიო ყულოშვილი რომ ამ სკოლის სულისჩამდგმელი იყო და სწავლა-აღზრდას ბრწყინვალედ უძღვებოდა, ჩანს ერთი საინტერესო საარქივო დოკუმენტიდან. სიღნაღის სამაზრო სასწავლებლების მეთვალყურე დავით იავეი (იაშვილი?) კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების გამგეობას წერდა: «Учительница С. Кулошвили настоящая мать школы, не щадящая сил и энергии для преуспевания вверенных ей чад-питомниц; Помимо того что весьма хорошо поставлены преподаваемые ею предметы, неутомимыми стараниями ее, доведено до процветания рукоделие в школе... всему этому, учительница С. Кулошвили обучает не только что даром, но часто из своих скудных средств покупает им некоторые рукодельные приспособления. Влияние Кахской школы обнаруживается и во внешнем, ибо ученицы все одеты в чистых платьях»².

1900 წ. 17 დეკემბრის „ივერიაში“ სოფიო ყულოშვილი წერდა: „გულითად მადლობას ვუცხადებ ჩემის და ჩემდამი რწმუნებული კახის დედათა სკოლის მოსწავლე პატარა ინგილო ქალების მხრივ, ჩვენს პატივცემულს მოძღვარს დეკანოზ პეტრე კონჭოშვილსა და ზაქათაღის ჯვარის პორუჩიკს კონსტანტინე ტარტარაშვილს, რომელთა მამობრივი დახმარება აღმოუჩინეს და შემოსწირეს: პირველმა, კახის სკოლის მოსწავლეთა დასარიგებლად წარსულს 1899 წელს, ათი ცალი „საღვთო სჯულისა და მცნებათათვის“ და წრეულს ათი ცალი „სიბრძნე ბალავარისა“, 40 ცალი „ცხოვრება ქალწულ მონამეთა და დედისა მათისა სოფიოსი...“. შემდეგ, პედაგოგი ქალი აღნიშნავდა, რომ სასწავლებელს 10 წელი შეუსრულდა, ქართულ საზოგადოებას კი მეტი ყურადღება მართებდა მის მიმართ...³ ერთ-ერთი დასახელებ-

¹ სცსსა, ფონდი №493, აღწ. 1, საქმე 1761, ფ. 1-2.

² სცსსა, ფონდი №493, აღწ. 1, საქმე 1677, ფ. 1-3. იხ. აგრეთვე, ვ. კიკნაძე, ალავერდისა და გორის ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი და მისი ოჯახური წრე, დასახ. გამოცემა, გვ. 85-89.

³ გაზ. „ივერია“, 1900, №274, გვ. 3. აგრეთ. მ. გიულმამედოვი, ქართველ ქალთა ღვანღი საინგილოში, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, 15 სექტემბერი, გვ. 3. საინტერესოა, რომ 1902 წ. „ივერიის“ ცნობით, სოფიო ყულოშვილს, „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმისათვის შეუწირავს, საინგილოდან ჩამოტანილი, მისი თეფლის მიერ შექმნილი, მინაში ნაპოვნი მაჭრის სასმელი ძველებული თიხის ჭურჭელი – არანი („ივერია“, №191, გვ. 2.) (ჩანს საქმე ეხება, ალაზან-იალოლილეთეფეს კულტურის სანურიან სამაჭრე ხელადას).

ბული წიგნი, რომელიც მონამე ქალებს და მათ დედა სოფიოს შეეხებოდა, ალბათ შეგნებულად უძღვნა მამა პეტრემ თავისი ძმისშვილის აღსაზრდელებს. იგი ქვეტექსტით გულისხმობდა მონამე ქალებთან, დედა-საქართველოსგან მოწყვეტილ და არაქრისტიანულ გარემოში მოხვედრილ ინგილო ქალთა ყოფის მსგავსებას.

მეუფე პეტრე ზრუნავდა განურჩევლად ყველაზე, ვინც კი მის თვალსაწიერში მოხვდებოდა და ვინც შევლას ითხოვდა. ეს ეხებოდა როგორც საკუთარ და მეუღლის ნათესაეებს, ასევე სრულიად უცნობ ადამიანებს.

პ. კონჭოშვილის მეუღლეს – მართა მახვილაძეს ჰყავდა ორი გათხოვილი და: ემელია გოგიაშვილი და მარიამ ნებიერიძე, აგრეთვე ძმა – ივანე. როდესაც მახვილაძეთა ოჯახის უფროსი, დიმიტრი გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ მას პეტრე კონჭოშვილის (უშუალოდ კი მისი მეუღლის) დიდი ვალი (800 მან.) დარჩენოდა. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ დიმიტრის მემკვიდრე ვანო მახვილაძე ითხოვს, რომ გადასინჯონ ეს ვალი, რომელიც მას განუწესა კეთილმონესე ეგნატე მრევლიშვილმა და შეამცირონ იგი¹. საინტერესოა, რომ როგორც პეტრე კონჭოშვილის პირადი წერილებიდან ჩანს, მან არათუ არ გამოართვა ვალი მეუღლის ობლად დარჩენილ ძმას, არმედ მთელი სიცოცხლე ზრუნავდა მასზე და მის ოჯახზე. 1902 წ. 27 დეკემბრის წერილში იგი გადასახლებაში მყოფ კირიონს წერდა: „ჩემს სიცოცხლეში ობლების მზრუნველობას ვერ მოვრჩი... 22-ს ქრისტესშობის თვეს გარდაიცვალა ნავთლუხის ქსენონში, ვანო მახვილაძე, შემდეგ ერთი წლის მძიმე სნეულებისა; დაუტევა უნუგემოდ ცოლი, ოთხი პატარა შვილით. ახლა ამაზედ ვზრუნავ, რომ სადმე სასწავლებელში სახაზინო ხარჯით აღიზარდნენ. გთხოვ მოიხსენიებდეთ მას (ვანო მახვილაძეს, ვ. კ.) თქვენს წმ. ლოცვაში“². ერთ წერილში კი ჩანს უკვე ვანო მახვილაძის შთამომავალზე ზრუნვის მაგალითი: 1905 (?) წლის 16 აგვისტოს, მეუფე პეტრე კირიონს აუწყებდა: „ხვალ ნავალ კავკავს (ვლადიკავკაზში – ვ. კ.), ობოლი მახვილაძე ნარვადგინო კადეტის კორპუსში“³. ხოლო იმავე წლის 26 აგვისტოს წერილში, იგივე ადრე-

¹ სცსსა, ფონდი 489, აღწ. 1, საქმე №27987 (1870 წ. 28 მარტი), ფ. 1-2.

² ხ. ერ. ც., კირიონის ფონდი, №942, ფ. 1.

³ იქვე, №967, გვ. 4.

სატს ატყობინებდა: „18, 19 და 20 აგვისტოს კადეტის კორპუსში დავდიოდი, სადაც წარვადგინე ეგზამენზედ მახვილადის ობოლი. მადლობა ღმერთსა, ეგზამენი კმაყოფილად მისცა და მიღებულ იქნა“¹. მართა მახვილადის დის შვილიშვილი – ემილია გოგიაშვილი (უმცროსი, გარდაიცვალა 1993 წ. ქ. თელავში) ხშირად იგონებდა იმ უდიდეს მზრუნველობას, რაც პეტრე კონჭოშვილს მისი მამის – ვლადიმერ (ლაზარე) გოგიაშვილის მიმართ გაუწევია. ვლადიმერ გოგიაშვილი XX ს. დასაწყისის ქ. თელავის გამორჩეულ ინტელიგენტთა წრეს ეკუთვნოდა. 1905 წელს იგი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის წევრი ხდება და აქედან დაიწყო „გზანი ნამებისანი“ (ჯერ მეფის, უფრო მეტად კი, საბჭოთა პერიოდში). ვლ. გოგიაშვილის აქტიური პარტიული საქმიანობის გამო, მეფის სასამართლომ მას ციმბირში გადასახლება; მიუსაჯა მაგრამ მეუფე პეტრე ამ საქმეშიც ჩაერია და თავისი დიდი ავტორიტეტის შემწეობით, ვლ. გოგიაშვილს უცილობელი გაციმბირება, ყარსისა და არდაგანის გადასახლებით შეუცვალა.

მეუფის ზრუნვის სფერო, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ნათესავეებით არ იფარგლებოდა. აგერ, ერთ წერილში პ. კონჭოშვილი ეპისკოპოს კირიონს სთხოვს დაეხმაროს ნიჭიერ და პატიოსან ახალგაზრდას, გვარად გომელაურს: „ჩვენის სინოდალურის კანტორის მოხელემ გომელაურმა, ვედრებით მთხოვა თქვენს წინაშე შუამდგომლობა, რათამცა კეთილ ინებოთ და თქვენს ეპარქიის კანცელარიაში ანუ მომავალს კონსისტორიაში სამსახურის ადგილი უწყალობოთ“². სხვა წერილში, იგი მღვდელ ვასილ კარბელაშვილს, შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „კაცთმოყვარეობა, ერთის ობოლის ღვდლის შვილისა ვასილ ხარიტონოვის მიმართ, მაიძულებს მოგმართოთ შემდეგი ძმობრივის თხოვნით: ეს ზემოხსენებული ობოლი, ეგზამენს მისცემს ფელდშერის სკოლაში მისაღებად, გთხოვთ ყოველი ღონისძიება მოიხმაროთ და აღმოუჩინოთ მას შემწეობა ეგზამენში...“³. როგორც ვხედავთ, მამა პეტრეს ქველმოქმედება და „უმრწემეს ძმათა“ დახმარება, ძალზე ფართო წრეს მოიცავდა. აი, კიდევ ერთი თხოვნა: მამა პეტრე ახლა უკვე

¹ იქვე, №955, გვ. 1.

² იქვე, № 962, ფ. 3-4.

³ ხ.ერ.ც., კარბელაშვილის ფონდი, №761 (1896 წ. 4 დეკემბერი), ფ. 1.

ალექსანდრე ეპისკოპოსს (ოქროპირიძეს) მიმართავს: „შვილობრივის კადნიერებით გავბედავ და მოგახსენებ, ჩვეულებრივ კეთილად განაგოთ მეფსალმუნე ელისე კობიევის საქმე, რომელიც უცვლის სამსახურის ადგილს დიაკონს იასე ხოსიტოვს ბოდბისხევის სამრევლოში... კეთილმორჩილებით გთხოვთ მეუფეო, მომიტევეთ კადნიერება, ვითარცა სახარების ქვრივსა, რომელიც ანუხებდა მსაჯულსა, ვიდრემდის მიიღო მისგან შემწეობა და მფარველობა“¹.

პ. კონჭოშვილს საკუთარი შვილი არ ჰყავდა, მაგრამ მან მთელი თავისი სიტბო ნათესაეებზე გადაიტანა. ძალზე უყვარდა მეუფეს უმცროსი ძმისშვილი – არჩილ სოლომონის ძე კონჭოშვილიც, რომელიც, 1904 წ. მარტში რუსეთ-იაპონიის ომში ნებაყოფლობით გაემგზავრა. ეპისკოპოს კირიონს მამა პეტრე სწერდა: „ჩემი ძმისწული, სრულიად ჭაბუკი აფიცერი, თავის სურვილისამებრ გაემგზავრა ბრძოლის ასპარეზზედ მანჯურიაში. გამოვითხოვ თქვენს ლოცვა-კურთხევას, მისი უვნებლად დაცვისათვის“². შემორჩენილია ფოტოსურათიც, სადაც პეტრე კონჭოშვილი მის ნათესაეებთან არის წარმოდგენილი. მის მარჯვნივ, ახალგაზრდა ფორმიან ოფიცერსაც ვხედავთ. ჩანს, ფოტო სწორედ ფრონტზე წასვლის წინ გადაიღეს. სამწუხაროდ, ეს ფოტოსურათი ჭაბუკი ოფიცერის ბოლო სურათი გამოდგა. მრავალ ქართველთა მსგავსად, არჩილ კონჭოშვილიც უაზროდ, სულ რამდენიმე თვეში დაიღუპა იაპონელებთან ომში 1904 წლის სექტემბერში. 10 ნოემბერს კი, მეუფე უდიდესი ტკივილით აუწყებდა კირიონს: „გაზეთებიდან სცნობდით, რომ დიდი განსაცდელი მომეცლინა: 28 სექტემბერს, მოკლულ იქნა ბრძოლის ველზედ, ჩემი საყვარელი ძმისწული არჩილ, რომელიც შვილსავით გავზარდე. მკვდარიც ველარ გამონახეს ბრძოლის ველზედ...“³. გაზეთმა „ივერიამ“, ამასთან დაკავშირებით პატარა ნეკროლოგიც დაბეჭდა: „სარწმუნო წყაროდგან შევიტყვეთ, რომ მახლობლებს მოსვლიათ მუკდენიდან დეპეშა პოლკის ადიუტანტი არჩილ კონჭოშვილი მოკლულ იქნა ერთ-ერთ ბრძოლაში ლაოიანის ახლოვო. განსვენებული არჩილი, სულ ახალგაზრდა იყო, 23 წლისა; ამას წინად გაათავა ტფილისში კადეტთა კორპუსი და წავიდა სამ-

¹ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, №840 (1893 9. XII), ფ. 2.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №947 (1904. 7 მარტი), ფ. 1.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №949 (1904. 10 ნოემბ.), ფ. 1.

ხედრო სასწავლებელში. იქ კურსის გათავების შემდეგ, პორუჩიკის ჩინით ჩარიცხული იქნა მანჯურიის ლაშქარში. არჩილი იყო ძმისწული, ჩვენის ცნობილის მსცოვანის დეკანოზისა და სჯულის მოძღვრისა ტფილისის დედათა ინსტიტუტში მ(ამა) პეტრე კონჭოშვილისა¹.

ახლობელზე ყოველივე ის ზრუნვა და ნუხილი, რის შესახებაც ზევით ვისაუბრეთ, მხოლოდ ზღვაში წვეთია, იმ უსაზღვრო და დაუღალავი კაცთმოყვარეობისა, რითაც მეუფე გამოირჩეოდა.

1886 წლიდან პეტრე კონჭოშვილი, მისივე სიტყვით, „სალვითო წერილის სიყვარულით“, ძველი აღთქმის ქართულ ვარიანტებს ადარებდა ერთმანეთს. მაგრამ ეს საქმე მას ოფიციალურად, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მხოლოდ 1894 წ. მაისში დაავალა. ბიბლიის სწორება ურთულეს სიძნელებთან იყო დაკავშირებული. იმ დროს, ჯერ არ არსებობდა, ასე ვთქვათ, ქართული ბიბლიოლოგია, არ არსებობდა აგრეთვე, კრიტიკრიუმები, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ტექსტის გამართვა. ამიტომ, კონჭოშვილს მხოლოდ საკუთარი ალლოთი და ინტუიციით უნდა ეხელმძღვანელა. მან მრავალი წელი მოანდომა ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი ბიბლიების შედარებასა და სწორებას. 1896 წელს, უფრნალ „მოამბეში“, ამ მუშაობის ანგარიში გამოქვეყნდა. იგი წერდა: „გარნა კანტორამ მიბრძანა გასწორება მოსეს ხუთის წიგნის ცდომილებათა და ის კი აღარ მაუწყა, რაგვარი შემცდარი ადგილები უნდა გამესწორებინა, რით უნდა მეხელმძღვანელა შეცდომათა გასწორების დროს და ან რომლის (ბიბლიის - ვ. კ.) ტექსტზედ უნდა შემემონმებინა ქართულის დაბადების ტექსტი, დაბეჭდილი 1884 წელს; ეს იყო მიზეზი, რომ ამ ფრიად ძნელ საქმეში მე ჩემს საკუთარ გონებას დავემყარე და ნავიმძღვარე წინ მაგალითი ყოვლად განათლებულთა კაცთა, რომელთაც გადათარგმნეს ახალი აღთქმა სლავიანურიდან - რუსულად. ამ განათლებულმა კაცებმა მიჰმართეს სხვა-და-სხვა და სხვა-და-სხვათაგან დაბეჭდილს ბერძნულს სახარებას, უფრო კი ქრისტიან ფრიდ(რიხ) მატტიისა და მარ. შულცის მიერ დაბეჭდილს ბერძნულს სახარებას, რომელსაც დართული აქვს სხოლიოში მრავალგვარი ვარიანტი და შენიშვნები

¹ გაზ. „ივერია“, 1904, №231 (9 ოქტომბერი), ფ. 1-2.

იმისი, თუ რაოდენ მრავალგვარად შეიძლება იქნას ნაკითხული, ესა თუ ის ადგილი ახალის აღთქმისა. მეც ამ მაგალითს მივბაძე და დაეუნყე სწორება ხუთს წიგნს ქართულის დაბადებისას. ტექსტს ვამონმებდი და ვადარებდი: ა) მოსკოვში დაბეჭდილს ქართულს დაბადებას 1743 წელს, ბ) მცხეთის ხელნაწერს დაბადებას, ხუცურად დაწერილს მე-16, მე-17 საუკუნეებში, გ) ქართულს ხელნაწერს დაბადებას, რომელიც ეკუთვნის ტფილისის სიონის საკათედრო ტაძარს და გადმოწერილია ტფილისში 1850-1851 წწ. ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერიდან, დ) სლავიანურს დაბადებას და ე) რუსულად ნათარგმნს დაბადებას, რომელიც უწმინდესმა სინოდმა დაჰბეჭდა. ხოლო ზოგიერთი ადგილი მოსეს ხუთის წიგნისა, შევადარე ბერძნულსა, ლათინურს, ფრანგულსა და გერმანულს დაბადებასაცა¹. შემდეგ, კონჭოშვილი აღნიშნავს, რომ ქართულ ვარიანტებს შორის უპირატესობას უძველესს ათონის დაბადებას ანიჭებდა: „... ჯერ ერთი იმიტომ, რომ (ეს ხელნაწერი – ვ. კ.) ძველისძველია, მეორე იმიტომ, რომ ავტორიტეტით არის მოსილი და კიდევ იმიტომ, რომ მისი ენა მარტივია და მდაბიო (ე. ი. უბრალო – ვ. კ.) ბევრად გასაგები ქართველი ერისათვის, ვიდრე ენა მოსკოვში დაბეჭდილის დაბადებისა“². 1901 წ. გამოცემულ „მოგზაურობის“ წიგნში, პეტრე კონჭოშვილი იმასაც განმარტავს, რომ ათონზე ორი ქართული დაბადება ინახებოდა. ერთი, 978 წლით დათარიღებული და იოანე მთანმინდელის შექმნილი და მეორე, ექვთიმე ათონელის ნასწორები ცალი. მეუფე ასკენის, რომ პლ. იოსელიანის მიერ თბილისში ჩამოტანილი და გადაწერილი ბიბლია, ექვთიმესი არ იქნებოდა, რადგან ამ უკანასკნელს ბერძენი ბერები არავის უჩვენებდნენ და მით უფრო, არსად არავის ატანდნენ. ამ ხელნაწერს ბოლოში დართული ჰქონია წყევა იმათ მიმართ, ვინც როდესმე მონასტრიდან გასცემდა ბიბლიას. ხოლო პლ. იოსელიანის მიერ ათონიდან ჩამოტანილ დაბადებას, ასეთი მინაწერი არ ჰქონდა³. „დაბადების“ სწორების თავის ანგარიშში, მეუფე განმარტავს, რომ მოსკოვში დაბეჭდილი 1843 წლის დაბადება, სავსეა შეცდომებითა და უზუს-

¹ პ. კონჭოშვილი, ქართული „დაბადება“, ჟურნ. „მოამბე“, 1896, №2, თ. VI, გვ. 1-2.

² იქვე.

³ პ. კონჭოშვილი, „მოგზაურობა“, გვ. 180-181.

ტობებით. ამ ბიბლიის „შეცდომებს“ იგი სამ ნაწილად აჯგუფებს: „ა) განმეორდა შეცდომანი სლავიანურის დაბადებისა, ბ) აღმოჩნდა სხვა, ფრიად შეუწყნარებელი შეცდომანიცა; ამ შეუწყნარებელ შეცდომათა მიზეზი ის იყო, რომ დაბადების დამბეჭდავმა ქართველებმა, სუსტად იცოდნენ სლავიანური ენა. მაგალითად: „УБЕТ ПОЛЪНОИ“, „ПОЛЪНОИ“, ყვავილი მინდვრისა, ველისა, იმათა სთარგმნეს – „ყვავილი სრული“, ვითომ „ПОЛЪНОИ“-ო (ქებათა-ქება, 2. 1) და გ) რაც რამ თარგმნილია სლავიანურიდან, სიტყვა-სიტყვით არის თარგმნილი და ამის გამო, ქართული ენის სული და ბუნება შერყენილია, დამახინჯებული“¹ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.). ამ ამონაწერების გაცნობის შემდეგ, ცხადი ხდება, რა ფაქიზად, ალლოთი და სიყვარულით მოეკიდა პეტრე კონჭოშვილი დაკისრებულ საქმეს. მან საჭიროდ მიიჩნია ეხელმძღვანელა რუსეთისა და ევროპის მონიწვე მეცნიერ-ტექსტოლოგთა მუშაობის მაგალითით და მრავალი ვარიანტის შეჯერებით, ძირითადი ტექსტისათვის შეერჩია ყველაზე ოპტიმალური. პ. კონჭოშვილის მიერ ნახსენები ქრისტიან ფრიდრიხ მატიე (1744-1811) კლასიკური ენების ცნობილი სპეციალისტი იყო. 1772-1784 წწ. იგი მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული გიმნაზიის რექტორი იყო და მრავალი შრომა ეკუთვნოდა ბერძნულ-ლათინურ ფილოლოგიაში². როგორც მოტანილი ციტატებიდან ჩანს, კონჭოშვილი ნამდვილი მკვლევრის თვისებებით იყო დაჯილდოვებული. მისი ტექსტოლოგიური ძიებების მაღალ დონეს მოწმობს კვლევის უცილობელი სიფრთხილაც. პეტრე კონჭოშვილი წერს: „როცა ვამონმებდი ახლად დაბეჭდილ დაბადებას და ვადარებდი სხვა ვარიანტებს, დიდათა ვფრთხილობდი და კრძალვით ვეკიდებოდი თვითეულს სიტყვას; ერთს ასოსაც კი არა ვცვლიდი, თუკი ის ასო ისევე იყო მცხეთისა და სიონის (ე. ი. ათონის – ვ. კ.) დაბადებაში“³.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონჭოშვილი ტექსტის არა მარტო აზრობრივ-ლოგიკურ სიზუსტეს, არამედ ქართული ენის ნორმებისა და ტრადიცი-

¹ ჟურნ. „მოამბე“, 1896, №2, გვ. 2.

² ვ. კიკნაძე, უპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი, „ივერია“... გვ. 50.

³ „მოამბე“, 1896, №2, გვ. 4.

ების მიხედვით მისი გადმოცემის აუცილებლობას. ზევით მოყვანილ ციტატაში იგი ხომ საგანგებოდ აღნიშნავს, სიტყვასიტყვითი თარგმანის დროს: „...ქართული ენის სული და ბუნება“ ილახება და მახინჯდებაო.

მეუფე პეტრეს ტექსტოლოგიურმა მუშაობამ გამოხმაურება ჰპოვა XIX ს. ქართულ საზოგადოებაში და პრესაში. როგორც პ. კონჭოშვილი თვითონვე აღნიშნავს, ბიბლიის ტექსტზე მისი მუშაობა არ გამოპარვიათ ინგლისელ ქართველოლოგებს მარჯორი და ოლივერ უორდროპებსაც¹. მისი შრომა დაფასდა გაზეთ „ივერიის“ მიერაც. ანონიმი რეცენზენტი წერდა: „როგორც უკვე მოგეხსენებათ, წარსულს წელში, ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოებამ, რომელსაც დანიშნულება აქვს დაბადების გავრცელება ყველა ენაზე მთელის დედამიწის ზურგზედ² ადგილობრივს სასულიერო მთავრობას სთხოვა ნება მიეცათ დაბეჭდათ ქართულად ძველი და ახალი აღთქმა და იაფ ფასად გაეყიდნათ ხალხში. სასულიერო მთავრობამ ძველი აღთქმის გასწორება მიანდო მ(ამა) დეკანოზს კონჩუევს, ქალების ინსტიტუტის საღრმთო სჯულის მასწავლებელს და ახალი აღთქმისა – მამა არქიმანდრიტ ლეონიდესა. უკანასკნელი, სულ სკოლების რევიზიაზედ და სამისიონერო საქმეებზედ დაიარება; ძალიან იშვიათად არის თავისუფალი და ამიტომ ჯერ არ წარუდგენია შესწორებული ახალი აღთქმა მთავრობისათვის. დეკ. კონჭუაშვილს კი, ხუთი წიგნი მოსესი უკვე გაუსწორებია, რაც რამ შეცდომა და გარყვნილება შეპარულა, ყველა აღუნიშნავს და წარუდგენია მთავრობისათვის. შესწორების დროს შეუდარებია ერთმანეთთან ყველა ქართული დაბადებანი, დაბეჭდილნი და ნაწერნი, აგრეთვე, უსარგებლია უკანასკნელის გამოცემით რუსულის „დაბადებისა“, მამა კონჩუევი შემკულია სამაგალითო შრომის მოყვარეობით, ღრმა სარწმუნოებით, კეთილ-სვინდისიერებით და საღვთო-წერილი და ღვთისმეტყველება მშვენივრად აქვს შესწავლილი 30 წლის

¹ „მოგზაურობა“, გვ. 198.

² ბრიტანეთის ბიბლიური საზოგ. წარმომადგენლების მიმართვენი დაცულია ცენტრალურ საისტორიო არქივში. ერთ-ერთი ასეთი თხოვნა მე-19 ს. 70-იანი წლ. ბოლოს ეკუთვნის ჯონ მელვილს. იგი ითხოვდა ბიბლიის ბეჭდვისა და გავრცელების უფლებას ქართულ და სხვა კავკასიურ ენებზე, თუმცა ამაზე უარი მიიღო. იხ. სცსსა, ფონდი 493, აღწ. 1, საქმე №217.

მოღვაწეობის დროს, სამღრთო სჯულის მასწავლებლის ასპარეზზე და ამიტომ, მისი შესწორებანი უნდა იყვნენ სრულიად სანდონი და შესაწყნარებლნი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში არ აღმოჩნდებიან ეგრეთ წოდებულნი „ასოთა თაყვანისმცემლნი“ (წყობედჲ), რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ და უწევენ ყოველგვარს კანონიერს და სამართლიანს ცვლილებას საღმრთო წერილშია. ჩვენი შესწორება კი არ არის საშიში, საშიშია და დიდათაც საშიში, იმ გარყვნილების დატოვება ქართულს დაბადებაში, რომელიც გულს უმღვრევს ყოველ ქრისტიანსა და რომელიც არის შედეგი საარაკო დაუდევრობისა ბოლოს ხანებში...¹.

პ. კონჭოშვილის ღვანლს ბიბლიის სწორების საქმეში, ცალკე პარაგრაფი დაუთმო ეპისკოპოსმა კირიონმა თავის ცნობილ წიგნში: „ქართული ეკლესიისა და ეგზარქატის მოკლე ისტორია XIX საუკუნეში“ (რუსულ ენაზე). კირიონმა, თავისი პატივისცემის გამოსახატავად, წიგნში, დეკანოზ კონჭოშვილის ფოტოც მოათავსა, ასეთი წარწერით: „ქართული ბიბლიის გამსწორებელი მოღვაწე“ (გვ. 177).

ამ საკითხისადმი მიძღვნილ პარაგრაფში, კირიონმა დაწვრილებით მიმოიხილა ქართული ბიბლიის სწორებისა და გამოცემის ისტორია XVIII-XIX სს-ში. მან, ამგვარი სახის სამუშაო, ოთხ ეტაპად დაყო: პირველ ეტაპად, კირიონი, არჩილის, ვახტანგ VI-ის და ბაქარის მოღვაწეობას მიიჩნევს (XVII საუკუნის მინურული XVIII საუკუნის დასაწყისი).

შემდეგ ეტაპად, იგი გამოყოფს ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკი, 1844-1856 წწ.) მიერ შექმნილი ბიბლიის შემსწავლელი კომიტეტის საქმიანობას. ამ კომიტეტის ფაქტიური ხელმძღვანელი პლატონ იოსელიანი იყო. სწორედ მას დაავალა ეგზარქოსმა ისიდორემ ქართული ბიბლიის ათონის უძველესი ნუსხის ჩამოტანა და გადმოწერა სამ ცალად².

ბიბლიის ტექსტოლოგიური კვლევის და გამოცემის შემდეგი ხანა დაკავშირებულია ეგზარქოს ევსევის სახელთან (1858-1877). ამ საქმისათვის ახლად შექმნილ კომიტეტს, სათავეში ჩაუყენეს

¹ გაზეთი „ივერია“, 1895, №66, გვ. 3.

² Е(пущон) К(ирион), Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, с. 239

გორის ეპისკოპოსი გერონტი (პაპიტაშვილი). ამ კომიტეტს ბაქარის გამოცემული ბიბლიის გასწორება ევალებოდა. ამ თვალსაზრისით, ძირითადი ღვაწლი ქვათახევის არქიმანდრიტმა ტარასიმ გასწია. მაგრამ კირიონი აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, კომიტეტის მიერ 1884 წელს 2400 ცალად გამოცემული ბიბლია, დაემყარა არა ათონის უძველეს ხელნაწერს, არამედ ბაქარის გამოცემას. ამიტომ, ამ ბიბლიაში ძველ შეცდომებს ახალიც დაემატა. ყოველივე ამის გამო, საჭირო გახდა ბიბლიის შესწორების მესამე კომიტეტის შექმნა, რომლის თავმჯდომარედ, მოგვიანებით დაინიშნა არქიმანდრიტი (1898 წლიდან – ეპისკოპოსი) ლეონიდე ოქროპირიძე. კირიონი აღნიშნავს, რომ ქართულად გამოცემული ბიბლიის შეცდომებზე, ეგზარქოს ევსევის, თავის დროზე მიუთითა ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ. დეკანოზმა კონჭოშვილმა კი, ეგზარქოსს წერილობით წარუდგინა 26 ფურცელი (ე. ი. 52 გვერდი), სადაც დანვრილებით იყო განხილული 1884 წელს გამოცემული ბიბლიის ყველა შეცდომა თუ უზუსტობა¹.

როგორც ვხედავთ, პეტრე კონჭოშვილი ერთ-ერთი პირველი იყო XVIII-XIX სს-ის განმავლობაში, ვინც ბიბლიის ტექსტოლოგიური სწორების წერილობითი შედეგები წარმოადგინა. ამ საქმეში დიდი წვლილისათვის, ეგზარქოსმა, პ. კონჭოშვილს და კომიტეტის სხვა წევრებს, ოფიციალურად გამოუცხადა მადლობა². მაგრამ მეუფე პეტრეს ამ სფეროში მოღვაწეობაზე, ნეგატიური გამოხმაურებაც დაიბეჭდა. ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორ-გამომცემელმა დ. ლამბაშიძემ, მთლიანად გადმობეჭდა „ივერიის“ უალრესად კეთილგანწყობილი რეცენზია, მაგრამ ბოლოს დაურთო საკუთარი ცინიკური შენიშვნა. „მწყემსის“ რედაქტორმა არავითარი კონკრეტული მაგალითი არ მოიტანა იმისა, თუ რა არ მოენონა გასწორებულ ტექსტში. მას არც რაიმე სურვილი გამოუთქვამს შესწორებული ტექსტის მიმართ. დ. ლამბაშიძემ მხოლოდ თვით გამსწორებელი პ. კონჭოშვილი მოიხსენია დაუმსახურებლად უდიერი ფორმით. მისი შენიშვნის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოძღვარი პეტრე, საკუთარ გვარს ხან „კონჭოშვილის“ სახით აწერდა, ხან კი „კონწუევის“ ფორმით და

¹ იქვე, გვ. 234.

² გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, №63, გვ. 1.

ამის გამო, მას ეჭვი ეპარებოდა, რა წვლილი უნდა შეეტანა მოხუც მოძღვარს ბიბლიის სწორების რთულ საქმეში¹. ეს შენიშვნა არასაგნობრივი და ცინიკური რომ იყო, სავსებით ცხადია. იმ დროს, გვარის რუსული ფორმით ხმარება, სამწუხაროდ, დამკვიდრებული და საყოველთაოდ გავრცელებული იყო. თავის გვარს „ჯავახოვის“ ფორმით აწერდა ივ. ჯავახიშვილიც კი, ხოლო ზოგიერთი ქართველი მოღვაწის გვარი, დღემდე რუსული ფორმითაა დამკვიდრებული (მაგ., ვასილ ბარნოვის). სხვა საკითხია, რომ გვარი „კონჭოშვილის“ საკმაოდ იშვიათი გავრცელების და რუსული ორთოგრაფიის გავლენის გამო (საქართველოში დღეს ამ გვარის სულ 161 ოჯახი ცხოვრობს, ძირითადად ყვარლის რაიონში), ჟურნალ-გაზეთებში, ხშირად, ძალზე ამახინჯებდნენ მას, მაგრამ ამაში მოძღვარს ვერ დავდებთ ბრალს. მით უფრო, რომ ბიბლიის სწორებასთან ამ საკითხს, არავითარი კავშირი არ ჰქონდა. უსაფუძვლო და დაუმსახურებელ კრიტიკას, პეტრე კონჭოშვილი ძალზე თავშეკავებით შეხვდა. მან, თავის კრიტიკოსს არავითარი პასუხი არ გასცა. მხოლოდ 1896 წელს, ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა მისი მუშაობის ძირითადი პრინციპები და შედეგები; თუმცა „მწყემსი“ და მისი რედაქტორი, იქაც საერთოდ არ უხსენებია. ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორის ეს გამობტომა რომ სრულიად დაუმსახურებელი იყო, ჩანს არქიმანდრიტ ლეონიდეს (ოქროპირიძის) ერთი პირადი წერილიდან, რომლითაც ის, ამ საკითხზე, თავის აზრს უზიარებს ბიძას – ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს. ლეონიდე წერდა: „წაკითხული გექნებათ „მწყემსში“ რანაირად ლანძღავს და ამცირებს ღამბაშიძე, დეკანოზ პეტრე კონჩუევის: თუ არ წაგიკითხავთ, მაქსიმეს (ბერი, რომელიც ალექსანდრეს ემსახურებოდა – ვ. კ.) მოაძებნინეთ, მეშვიდე ნომერი, აპრილის თხუთმეტს გამოცემული და იქ შეხვდებით. ძალიან მეწყინა კონჩუევის ამგვარად უსამართლოდ დამცირება და თავის მოჭრა. ვინც რა წუნიც უნდა დასდოს კონჩუევის, მაინც ახლანდელ სამღვდელოებაში, პატივსაცემი ადამიანია. არც თავის თავისთვის და არც კონჩუევისთვის არ უნდა ეკადრებინა ღამბაშიძეს ეს მოთხრა-ძაგება. ჯერჯერობით კონჩუევის საქ-

¹ „მწყემსი“, 1895, №7, გვ. 4-5.

მეს უყურებ რითი გათავდება და მეც მერე ისე დავიჭერ საქმეს¹.

ბიბლიის სწორებასთან ერთად, პეტრე კონჭოშვილს XIX ს. მიწურულს რუსულიდან უთარგმნია ე. წ. კატეხიზმოც (კითხვა-პასუხი მართლმადიდებლობის ძირითად საკითხებზე). კატეხიზმოს ავტორი იყო პეტრე სმირნოვი და ეწოდებოდა „სალმრთო სჯულისა და მცნებისათვის, მართლმადიდებელ კატეხიზმოს სახელმძღვანელოსამებრ“ (1898). ამ თარგმანსაც მოჰყვა ცნობილი პუბლიცისტის და პედაგოგის ილია ფერაძის (1861-1928) დადებითი რეცენზია. ი. ფერაძე „ფარის“ ფსევდონიმით წერდა: „დღეს ზოგიერთთაგან უსაფუძვლოდ უარყოფილია ჭეშმარიტება, რომ უმთავრესი მიზეზი ხალხის კეთილ-დღეობისა, აყვავებისა და კეთილ-წარმატებისა, არა მარტო ეკონომი(კ)ური კეთილდღეობაა, არამედ ამასთან ერთად – ზნეობა...“ მისი სიტყვით, ასე ფიქრობდნენ ძველი ქართველი მეფე-მთავრები, სამღვდელოება. ეპისკოპოსი გაბრიელი კი, ხაზს უსვამდა სარწმუნოების როლს ჩვენი ერის გადარჩენის საქმეში. ახლა კი, მშვიდობიანობის დროს, რეცენზენტის სიტყვით, ქართველი ხალხი სარწმუნოების მიმართ გულგრილი გახდა. ფერაძის სიტყვით, ხალხის დასაბრუნებლად რწმენაში საჭირო იყო „სარწმუნოებრივი წიგნების გავრცელება ხალხში მშობლიურს ენაზედ“. შემდეგ რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ სწორედ ამიტომ, მისასალმებელი იყო აღნიშნული სახელმძღვანელოს თარგმნა: „ეს წიგნი შედგენილია ერთის ყოვლად ნიჭიერის და მრავალნაყოფიერის რუსეთის ეკლესიის სასიქადულო მწყემსის, დეკანოზის მამა პეტრე სმირნოვის მიერ (თავმჯდომარე უნმ. სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტისა)... დეკ(ანოზ) მამა პეტრე კონჭოშვილს, ეს ფრიად სასარგებლო წიგნი ქართულ ენაზედ გადმოუთარგმნია და დაუსტამბავს. ჩვენ შევადარეთ დედანი თარგმანს და უნდა ვთქვათ, რომ სინამდვილით და სისწორით გადმოცემულია დედანის შინაარსი ქართულ ენაზედ. ესეთის სინამდვილით და სისწორით გადაცემა დედანის შინაარსისა რომელსამე სხვა ენაზედ, შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც ეს შინაარსი შეგნებით და ღრმად აქვს შეთვისებული, ვინც იცის ზედმინევნით ის ენა, რომელზედაც დედანია დაწერილი და

¹ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, №1243 (1895 10 მაისი), ფ. 3.

აგრეთვე ის ენაც, რომელზედაც უნდა გადათარგმნილ იქნას რომელიმე ნაწარმოები. ეტყობა მ(ამა) კონჭოშვილს, ამ პატივცემულ მოძღვარს... დიახ, ღრმად მოყვარულს ეკლესიისას და სარწმუნოებისას, შეგნებით შეუთვისნია შინაარსი ზემო – ხსენებულის წიგნისა და როგორც ქართული ენის ღრმად მცოდნეს, გადმოუცია ეს შინაარსი ადვილად გასაგების, წმინდა ქართულის ენით. ...ამიტომაც თარგმანი საადვილო საკითხი და გასაგებია, ის ისეთი მძიმე და ძნელი გასაგები არაა, როგორც არის ფილარეტის¹ კატეხიზმოს ქართული თარგმანი". თავის ვრცელ რეცენზიას ი. ფერაძე ასე ამთავრებს: „იმედი გვაქვს, რომ დეკ. მამა პ. კონჭოშვილი, სხვა წიგნსაც შესძღვნის სასულიერო შინაარსისას, ღარიბს ქართულ საეკლესიო მწერლობას“².

მართლაც, 1899 წელს პეტრე კონჭოშვილს გამოუცია ბროშურა: „კითხვანი აღსარებასა ზედა“³. მაგრამ იგი ძალზე მცირე ტირაჟით იქნა დასტამბული და დღეს, აღნიშნულ კატეხიზმოსათან ერთად, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

მეუფე პეტრეს იერუსალიმში ყოფნის დროს, ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში, სლაგურდიდან პირდაპირ ქართულად უთარგმნია იოსებ მშვენიერისადმი მიძღვნილი საგალობელი, რადგან იგი ქართულად არ მოიპოვებოდა. მოგეყავს ეს ტექსტი:

„მოვედით, ვნატრიდეთ იოსებს, მარადის მოსახსენებელს, რომელი ღამით მოვიდა პილატესა და გამოსთხოვა ცხოვრება იგი ყოველთა; მომეც მე უცხო იგი, რომელიც ბოროტმან მოწაფემან გასცა სასიკვდილოდ; მომეც მე უცხო იგი, რომელსა დედა, ხედვიდა რა ჯვარსა ზედა დამოკიდებულსა, მგოდებელი ხმობდა და დედობრივ ღალადებდა: ვაი მე შვილო ჩემო, ვაი მე, ნათელო ჩემო და

¹ ფილარეტის საერო სახელი იყო ვასილი დროზდოვი (1782-1867). 1826 წ. იგი მოსკოვის მიტროპოლიტი გახდა. რევოლუციამდელ სკოლაში ისწავლებოდა მისი „ვრცელი კატეხიზმო“.

² გაზ. „ივერია“, 1898, №20, გვ. 3-4.

³ კითხვანი აღსარებასა ზედა, სახელმძღვანელოსამებრ... შედგენილი მოსკოვის ტრიფონის ეკლესიის მღვდლის ღვთისმეტყველების მაგისტრის გრ. დიანჩენკოს მიერ. თარგმანი დეკანოზის პეტრე კონჭოშვილისა, ტფილისი, 1899 (წიგნი ეძღვნება მამა პეტრეს მეუღლეს – მართა დიმიტრის ასულ კონჭოშვილისას, ხოლო შემოსავლის ნახევარი განკუთვნილი იყო სვეტიცხოვლის აღდგენის ფონდისათვის).

საშოო ჩემო საყვარელო! რამეთუ სვიმონის მიერ წინასწართქმული ეკლესიას შინა დღეს აღსრულდა: გულსა შენსა მახვილი განვიდეს. თაყვანისცემთ ვნებათა შენთა ქრისტე (მეორდება სამჯერ - ვ. კ.) და წმინდასა აღდგომასა შენსა"¹.

ამ პერიოდის პრესაში, გამოქვეყნდა აგრეთვე, პეტრე კონჭოშვილის სტატია, რომელიც ლიტურგიის პრაქტიკულ საკითხებს შეეხებოდა. კერძოდ „კვალში“ გამოქვეყნებულ შენიშვნაში „საყურადღებოდ მედავითნეთა და მეფსალმუნეთა“ იგი კონკრეტულ რჩევებსა და მითითებებს აძლევდა მეფსალმუნეებს. კონჭოშვილი წერდა: „ხშირად შემინიშნავს, რომ წირვაზე მეფსალმუნენი ანუ მედავითნენი.. ქერობინთა საგალობელს იწყებენ შემდეგი სიტყვებით: „რომელნი ქერობინთა“, ხოლო კანონიერი ლოგიკური აზრი საგალობლისა მოითხოვს, რომ მრავლობით რიცხვზე უნდა წარმოითქვას: „რომელნი ქერობინთა, საიდუმლოდ ვემსგავსენით“. მოცემულია სხვა რჩევებიც და ნათქვამია, რომ არა მარტო ზეპირად წარმოთქმისას ვხვდებით უზუსტობას, არამედ ნაბეჭდ კონდაკშიც. ავტორი აღნიშნავს, რომ შეცდომას წარმოადგენს სამოციქულოს შესაბამისი ტექსტების ამგვარი ნაკითხვა: „ტიმოთელთა მიმართ“, „ტიტელთა მიმართ“, სინამდვილეში კი უნდა წარმოითქვას „ტიმოთეს მიმართ“, „ტიტეს მიმართ“, რამეთუ ეს სახელები პირთა საკუთარი სახელებია და არა ტომთა. ამ სტატიას პ. კონჭოშვილი ამთავრებს სიტყვებით: „ამ მოკლე შენიშვნიდანაც სცნობენ ყოველნი ქართველნი, რომელნიც მონატრე არიან ქართველთა ერის სულიერი განათლებისა, რამდენად მოუცილებლად საჭიროა გახსნა სადიაკვნო სასწავლებლისა, ვითარცა რუსეთის რამდენსამე ეპარქიაში გაიხსნა, რათამცა ამ სასწავლებელში, ღირსეულად მოემზადებოდნენ წმიდა ეკლესიის მსახურებისათვის...“².

გვინდა რამდენიმე სიტყვით, მეუფე პეტრეს ფსევდონიმებსაც შევეხოთ. პ. კონჭოშვილის ერთ-ერთ ფსევდონიმად ითვლება „ინწობელი“, რომელიც მისი მშობლიური მხარის მდინარის სახელისგან არის ნაწარმოები³. მართლაც, თავისი „მოგზაურობის“

¹ „მოგზაურობა“, გვ. 33.

² გაზ. „კვალი“, 1895, №32 (7 ივლისი), გვ. 22.

³ ს. ხუციშვილი, ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961, გვ. 146.

შთაბეჭდილებები მეუფემ „ივერიაში“ ასეთი ხელმოწერით გამოაქვეყნა. „პ. დ. კონჭოშვილი – ილნობელი“ (სტატიები ქვეყნდებოდა „ივერიაში“ 1899 წლის 5 ნოემბრიდან – 3 დეკემბრამდე). საკითხის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ასეთი ფსევდონიმით ხელმოწერილი ყველა სტატია პ. კონჭოშვილს არ ეკუთვნის. მაგალითად, XIX ს. 80-იან წლებში გაზეთ „დროებაში“ ქიზიყის მხარის პრობლემებზე სტატია დაიბეჭდა ასევე „ინნობელის“ ფსევდონიმით¹; მაგრამ ამ ფსევდონიმის უკან, ნამდვილად ვერ ვიგულისხმებთ პეტრე კონჭოშვილს. სტატიის ენა და თემატიკა (ყოფითი პრობლემები) გამორიცხავს მის მიკუთვნებას მეუფე პეტრესათვის. სამაგიეროდ, ეპისკოპოს კირიონისადმი მიმართული წერილებიდან აშკარა ხდება, რომ ზოგჯერ, პეტრე კონჭოშვილი წერილებს ხელს აწერდა ასე: „პეტრე იერუსალიმელი“ (იერუსალიმში მისი მოგზაურობის აღსანიშნავად). 1905 წელს ეპისკოპოსად ხელდასმის შემდეგ კი – „იერუსალიმელ-ალავერდელი“.

კირიონისადმი მიმართულმა პ. კონჭოშვილის წერილებმა, საშუალება მოგვცა მიგვეგნო კიდევ ერთი მისი ფსევდონიმისათვის. თუ სხვა ფსევდონიმები, ფაქტობრივად, დიდ გახსნა-გაშიფრვას არ საჭიროებენ, ამ შემთხვევაში, თუ არა მისი საკუთარი მინიშნება, ის სამუდამოდ ამოუხსნელი დარჩებოდა. კერძოდ, 1902 წლის 27 დეკემბრის წერილში კირიონისადმი, მეუფე იუწყება, რომ „ივერიის“ №234 ნომერში გამოაქვეყნა გამომხაურება ალ. ხახანაშვილის სტატიაზე ათონის „ივირონის“ მონასტრის შესახებ. გაზეთის აღნიშნულ ნომერში, მართლაც, აღმოჩნდა ასეთი შენიშვნა, რომელიც დაბეჭდილია სათაურით: „ივერიის (ქართველთა) მონასტერი ათონს“². სტატია ხელმოწერილია ფსევდონიმით: „მხცოვანი“. ამგვარად, დადგინდა მისი კიდევ ერთი ფსევდონიმი და კიდევ ერთი საინტერესო სტატია.

რაც უფრო მატულობდა წლები და მოცდილება, მით უფრო აქტიურად ებმებოდა იმდროინდელ საეკლესიო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პეტრე კონჭოშვილი. მაგრამ იგი ყველაფერს უხმანუროდ, დინჯად აკეთებდა და თუ არა XX საუკუნის დამდეგის

¹ „დროება“, 1880, №83 (16 აპრილი), გვ. 4.

² „ივერია“, 1902, №234 (31 ოქტომბერი), გვ. 3.

პრესის გამოხმაურება, ბევრი რამ მისი მოღვაწეობიდან, ჩვენთვის სამუდამოდ უცნობი დარჩებოდა (მით უფრო, რომ საერთოდ დაიკარგა მისი უმდიდრესი პირადი არქივი).

უკვე მსცოვანი მოძღვარი, კარგა ხანია იმსახურებს ეპისკოპოსად ხელდასხმას, მაგრამ იგი თითქოს ყველას დაავინყდა. მასზე ბევრად ახალგაზრდა ქართველი თანამოღვაწენი, უკვე ეპისკოპოსები არიან, პეტრე კონჭოშვილისთვის კი, ცხოვრების მთავარი მიზანი სასულიერო მოღვაწეობის პირუთენელი აღსრულება და ქართული ენისა და საქმისათვის ბრძოლაა. იგი მტკიცედ ასაბუთებს საქართველოში ქართული ენის პრიორიტეტს: ბიბლიის სწორების მისეულ ანგარიშშიც, „მოგზაურობის“ ნიგნშიც (ცალკე თავიც კი დაუთმო ამ საკითხს) და ოფიციალურ განცხადებაშიც რომელიც 1901 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა¹.

ამგვარი რეალური ნაბიჯები ქართული ენისათვის ბრძოლაში, კონჭოშვილმა შემდეგშიც, უკვე ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგაც გადადგა. მეუფის ცხოვრების კრედოს, მართლაც რომ მისივე სიტყვები წარმოადგენდნენ: „მშობლიურ ენაზედ უტკბესი, ხომ არა რომელიმე სხვა იქნების“-ო. და ისიც თავდაუზოგავად იბრძოდა ამ ენის უფლებების აღსადგენად და დასაცავად. შეიძლება გვეფიქრა, რომ ქართული ენისათვის ზრუნვა ბუნებრივი და საერთო მოვლენა იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით. იმ დროშიც ბევრი აღმოჩნდა კარიერისტი და ქართული ინტერესების მოღალატე. რად ღირს თუნდაც ეპისკოპოს დიმიტრი (დავით) აბაშიძის მაგალითი, რომელიც განთქმული იყო ანტიქართული გამოსვლებით და რომელიც ფარულად სწერდა სინოდს იმის შესახებ, რომ საერთოდ უნდა აკრძალულიყო ქართული ნიგნების ბეჭდვა და წირვალოცვა, რადგან ქართულ ნაწერებში ბევრია ღვთისმგმობელი და სეპარატისტული აზრებით². რუსეთში გადახვეწის შემდეგ (იგი საქართველოდან, ჩოხაში გადაცმული გაიქცა 1905 წ. რევოლუციის დაწყებისთანავე), მას ასეთი საოცარი რამეც აქვს ნათქვამი: „სოხუმი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი. ხალხიც იქ უმეტესად აფხაზობა და რუსებია... სასაცილო იქმნებოდა, რუსებს აფხა-

¹ „ივერია“, 1901 წ., №259 (29 ნოემბ.), გვ. 1.

² ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921), თბ., 1997, გვ. 209.

ზეთის გაქართველება რომ მოესურვათ...¹. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი დღეს ცდილობს ამ პიროვნების რეანიმაციას და „დიდებულ ქართველ მოღვაწეს“ უწოდებს მას². კერძო წერილში, კირიონი დიმიტრი აბაშიძეს ასე ახასიათებდა: „რძენაწყენი რენეგატი დიმიტრი აბაშ-ოლი...“³. სამაგალითოდ უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე, თბილისის საპატიმროს მღვდელი გურგენიძე, რომლის შესახებ გაზეთი „შრომა“ წერდა, რომ მან რუსული სამღვდელოების კრებაზე სასტიკად დაგმო ქართველთა ქომაგი მღვდელი ი. ბრიხნიჩევი, რომელიც ქართველებს მტკიცედ გამოექომაგა და გააკრიტიკა რუსი შავრაზმელი დეკანოზი ს. გოროდცევი (განთქმული რეაქციონერის – ი. ვოსტორგოვის თანამებრძოლი). იონა ბრიხნიჩევმა, შესანიშნავი სტატია და ლექსი უძღვნა ტრალიკულად დაღუპულ ილიასაც. იონამ მას, არა მარტო ქართველების, რუსების მასწავლებელიც უწოდა (ლექსის ბოლო სტრიქონი ასე უღერდა: „...Пусть арфа сломана, аккорд еще звучит...“)⁴.

ეს ყველაფერი, რუსულმა ოფიციალმა ბრიხნიჩევს ვერ აპატია. იგი ჯერ მღვდლობიდან განკვეთეს, შემდეგ კი თბილისის გუბერნიიდან გაასახლეს⁵.

გაზეთი „შრომა“ გურგენიძის მისამართით, სატირულად დასძენდა: „როგორც ეტყობა, გურგენიძეც, გოროდცოვისავით „პატრიოტი“ ყოფილა...“⁶.

კვლავ პ. კონჭოშვილის მოღვაწეობას დაუბრუნდეთ. 1901 წელს, იგი კირიონს სწერდა: „ამოვიარე ძველს, დიდებულის ქართ-

¹ უურ. „მწყემსი“, 1905, №8, გვ. 7.

² „საისტორიო მაცნე“, ბათუმი, 1995, №4, გვ. 24-26.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №167 (წერილი ტ. კანდელაკს). იხ. აგრ. ვ. კიკნაძე, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეებთან, საისტორიო შტუდიები III, თბ., 2002, გვ. 133.

⁴ „Завказье“, 1907, №184 (9 септября), გვ. 1-2.

⁵ „ისარი“, 1907, №208 (23 სექტემბერი), გვ. 3.

⁶ „შრომა“, 1906, №5 (9 აპრილი). „შრომის“ პუბლიკაციაში, მღვდელ გურგენიძის ინიციალები მოტანილი არ არის, მაგრამ იგულისხმება დეკანოზი იროდიონ გურგენიძე (1853-1944). მისი ძმა, დავით გურგენიძე, ცნობილი იყო ასირიელთა შორის აქტიური მისიონერული საქმიანობით და 1905 წელს უკვე გარდაცვლილი იყო.

ველთა ტაძრებისაკენ: სვეტი-ცხოვლისა, სამთავროსი და ანანუ-
რის ამაღლებისა, რომელთაც, შორით თაყვანი ვეც, ვითარცა და-
ნიელმა ბაბილონიდამ – იერუსალიმსა. ამათის ხილვითა ბევრი
მწარე ფიქრები წარმომიდგა”¹ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.). ყურადღება
უნდა მიექცეს იმას, რომ ამ თითქოს სასხვათაშორისოდ ნათქვამ
ფრაზაში „შორით თაყვანი ვეც ვითარცა დანიელმა ბაბილონიდამ
– იერუსალიმსა”, საკმაოდ ტევადი, ფარული აზრია ჩადებული.
პეტრე კონჭოშვილი არაორაზროვნად მიანიშნებს ადრესატს და-
ნიელ წინასწარმეტყველის ხვედრზე, რომელიც ბაბილონში საპა-
ტიო, მაგრამ მაინც ტყვეობაში იმყოფებოდა. ტყვეობაში დაწინა-
ურებულ დანიელ წინასწარმეტყველს, უპირველესად სწორედ სა-
კუთარი ღმერთებისა და წმინდანების თაყვანისცემა ეკრძალებო-
და. ძველი აღთქმის დანიელის წიგნში ნათქვამია: დარიოს მეფის
კარისკაცებმა, დანიელის და მის ხვედრში მყოფთა გამოსაცდე-
ლად, მეფეს მკაცრი კანონი გამოაცემინეს: ვინც თავის წინაპრებს
არ დაივინებდა და გაბედავდა დარიოსის გარდა, სხვა რომელიმე
ღმერთისათვის ელოცა, იგი ლომებით სავსე ხაროში დაამთავ-
რებდა სიცოცხლეს. იუდეიდან, ნაბუქოდონოსორის დროს გატა-
ცებული ჭაბუკი დანიელი, ამ ბრძანების გამოცემის დროს, მეტად
დაწინაურებული იყო. იგი იმ სამი სატრაპიდან ერთერთს წარმო-
ადგენდა, რომლებიც მთელი ქვეყნის 120 სატრაპს სათავეში ედ-
გა. ამგვარად, დანიელი ტყვეობაში მმართველ ელიტაში აღმოჩნ-
და. მაგრამ დანიელმა არ უღალატა თავის წინაპრების ღმერთსა
და რწმენას. ბაბილონში, მისი სახლის ფანჯრები იერუსალიმის-
კენ იყო მიქცეული და სამჯერ ღლეში თაყვანს სცემდა თავის
ღმერთს. როცა ეს მკაცრი კანონი გამოიცა, მან კვლავ თავისი გა-
აგრძელა: „დანიელმან ვითარცა ცნა, ვითარმედ დაინერა რწმენაჲ
(კანონი – ვ. კ.), შევიდა სახ(ლ)იდ თვსსა და სარკმელნი განღებულ
მის და ქორედთა შორის მისთა დამართით იერუსალიმისა და ჟამ-
თა დღისათა სამთა იყო მოდრეკილ მუჴლთა ზედა მისთა და
მლოცველ და აღმსაარებელ წინაშე ღმრთისა მისისა...” (დანიელი
– 6.10). აი, რას გულისხმობდა ამ თითქოსდა სასხვათაშორისო
ფრაზაში მეუფე პეტრე! კირიონს იგი ქვეტექსტით ესაუბრებოდა:

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №939 (1901, 9 ივლისი), ფ. 1-2.

ჩვენ მართალია, საპატიო, მაგრამ მაინც ტყვეობაში ვიმყოფებით და მიუხედავად ყველა საშიშროებისა (დანიელი მართლაც აღმოჩნდა ლომებით სავსე ხაროში; თუმცა ღმერთმა დაიცვა ის), უნდა თაყვანი ვცეთ არა იმპერატორს და მის ღმერთს (აქ არ იგულისხმება მართლმადიდებლობა, არამედ რუსული იმპერიის თვითმპყრობელური კანონები), არამედ საკუთარ, ჩვენ წინაპართა დანატოვარ სალოცავებს (სვეტიცხოველი, სამთავრო, ანანური...) ანუ ქართული მეობა და კულტურა უნდა დაეიცვათო. მეუფე პეტრეს წერილის ამ ფარულ ტექსტს მხოლოდ ის მიხვდებოდა, ვინც ზედმინევნით იცოდა ბიბლია და ძველი აღთქმა (როგორც ამ შემთხვევაში, კირიონმა), ფოსტის ცენზორები კი, ამ ფრაზას ნამდვილად ვერ გაშიფრავდნენ...

ამ აზრს, პ. კონჭოშვილი პირდაპირაც გადმოგვცემს ალ. ხახანაშვილის სტატიაზე დანერილ თავის რეცენზიაში: „კეთილმონივნებით მოპყრობა და დაცვა მამა-პაპათა სალოცავთა და სინმინდეთა, არის ბუნებითი, საღმრთო მოთხოვნილება და მოვალეობა ყოველთა ერისათვის, ვითარცა მორწმუნეთა, ეგრეთვე ურწმუნოთათვის“¹.

გვინდა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ კონჭოშვილი ამ ქვეტექსტური ფრაზით, საკმაოდ რთულ და მტკივნეულ პრობლემას შეეხო. ეს გახლავთ ქართველი ხალხის და სამღვდელოების მიერ საკუთარი კულტურული მეობის (ან სულიერი კულტურის) უწყვეტობის შენარჩუნება, დოგმატურად იგივეობრივი, მაგრამ აგრესიულად მომქმედი რუსული ეკლესიის ბატონობის პირობებში.

სწორედ ამ მტკივნეულ საკითხს საგანგებოდ იკვლევს კრიტიკულ წერილებში როსტომ ჩხეიძე. კერძოდ, მან ამ კუთხით გაანალიზა XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ნაწარმოები. მხატვრული ნაწარმოებების მაგალითზე, მან აჩვენა, როგორ იქცეოდა ახალ, უჩვეულო პირობებში აღმოჩენილი ქართველი სამღვდელოება. მართალია, ანალიზი მხატვრულ ნაწარმოებებს ეხება, მაგრამ იქ უთუოდ ობიექტური რეალობაა

¹ „ივერია“, 1902, №234 (31 ოქტომბერი), გვ. 3 (სტატია დაბეჭდილია „მხცოვანის“ ფსევდონიმით).

მხატვრულად წარმოჩენილი. რ. ჩხეიძე წერს: „ქრისტიანულ მსოფ-
ლგანცდას ოდნავ შეერევა ის ტკივილი, რომ ამ მოძღვრების სა-
ბურველში გაეხვა ის უმთავრესი მოტივი, რამაც რუსეთის მფარვე-
ლობის მოტივით ალაგსო მეფე ერეკლე და ურთიერთობის ძაფები
კი, მალე გადაგვექცა ხუნდებად“¹.

პეტრე კონჭოშვილის ზევითდასახელებული წერილიდან
(1901 წ. 9 ივლისი) ისიც ირკვევა, რომ პეტრეს და კირიონს (სავარა-
უდოა, სხვა ქართველ სამღვდელო პირებსაც), საქართველოს რუ-
სეთთან შეერთების ასი წლისთავის საზეიმო ღონისძიებებთან და-
კავშირებით, საეკლესიო ხელისუფლებისათვის რამდენიმე მუხლი-
ანი სათხოვარი პუნქტები მიურომევიათ. რა ეწერა იმ პუნქტებში,
წერილიდან არ ჩანს, მაგრამ ცხადია, ისინი ქართული ეკლესიის და
ქართული სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეხე-
ბოდა. აი, კონკრეტულად რას წერდა კონჭოშვილი ამ საკითხზე:
„ერთი ქუთათური შემხვდა, რომელმანც მითხრა, რომ მას დაუნე-
რია ქუთაისის მარშლისათვის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს თა-
ვადაზნაურთა წინამძღოლისათვის – ვ. კ.) თხოვა, რომელშიაც
თითქმის იგივე მუხლებია გამოთქმული, რომელნიც ჩვენ დავასა-
ხელეთ. ზოგად ჭირში, ზოგადი სურვილი ღებნისა, ისევ გამოითქ-
მება, ცხადია“². 1904 წ. 10 ნოემბრის წერილში მეუფე დამატებით
დეტალებს გვამცნობს ამ მოთხოვნათა შესახებ. იგი კირიონს სწერ-
და: „თქვენ კარგად გეხსომებათ, რომ ასის წლის იუბილეს წინად,
გარდავეცით მას (აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა
მარშალს – ვ. კ.) 15 მუხლი მოთხოვნილებანი, საჭირონი საქართვე-
ლოს ეკლესიისა და სამღვდელოებისათვის და არც ერთი მათგანი
არ შეასრულა, დაპირებისამებრ“³.

¹ რ. ჩხეიძე, ხანი უნდობარი, გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2003 №28 (18-24 ივ-
ლისი), გვ. 1.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №939 (1901, 9 ივლისი), ფ. 2.

³ იქვე, №949 (1904, 10 ნოემბერი), ფ. 1.



ასე გადიოდა წლები... ისევ ერთი ფიქრი, ერთი სურვილი – ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის თვითმყოფობა. უკვე ასაკში შესული მოძღვარი არ ესწრაფვის პირად კარიერას. ბევრი, მასზე ბევრად ნაკლებად განსწავლული, ნაკლებ პატიოსანი და ბევრად ახალგაზრდა მღვდელი ლებულობდა ეპისკოპოსობის ხარისხს, მამა პეტრე კი, კვლავ დეკანოზია. ერთ-ერთ წერილში კირიონისადმი იგი გვამცნობს როგორ მოხდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა. პირველად ეს საკითხი 1904 წ. აპრილში ამიერკავკასიის ქალთა სასულიერო სასწავლებელში წამოუჭრია ეგზარქოსს, რომელიც გამოცდებს ესწრებოდა. მას კონჭოშვილისთვის უკითხავს, რამდენი ხანი მსახურობდა იგი ამ სასწავლებელში. პ. კონჭოშვილი წერს: „განცვიფრდა და საჯაროდ წარმოსთქვა: „*Попа Вам бытъ архiereем*”. მე მოვახსენე: უკეთესნი წელნი ჩემი სიცოცხლისა ამ სასწავლებლისთვის შემინირავს და ახლა ძნელი იქნება ჩე-

მი დაშორება. ვინც უნდოდათ, აღამალლეს კიდეც...¹. მის ეპისკოპოსად კურთხევას, ამის შემდეგ, კიდეც წელიწადნახევარი დასჭირდა. 1904 წ. 4 აგვისტოს პ. კონჭოშვილი აზუსტებს, რომ მას ალავერდელად უპირებენ კურთხევას, გიორგი არქიმანდრიტს (ალადაშვილს) კი, სამეგრელოს კათედრაზე ხელდასხმას. 1905 წ. 7 აგვისტოს, კისლოვოდსკში, იგი შეხვდა პეტერბურგის მიტროპოლიტს ანტონს, რომელსაც თვითონ წამოუწყია საუბარი პეტრე კონჭოშვილის ეპისკოპოსად კურთხევის შესახებ. პეტერბურგის მიტროპოლიტს უთქვამს, რომ ამ საკითხზე ეგზარქოსის წარდგინებამ დაიგვიანა, ამასთან, ელოდნენ ალავერდის და გურია-სამეგრელოს კათედრების განთავისუფლებას². 1905 წლის 26 აგვისტოსა და 14 სექტემბრის წერილებში, მეუფე მისი ხელდასხმის ვითარების შესახებ უნიკალურ ინფორმაციას გვანდის. მას, როგორც ჩანს, არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური მდგომარეობის გამო (სხვა წერილებშიც ჩივის იგი ამის შესახებ), უთხოვია, გამონაკლისის სახით, ბერად აღუკვეცელად ხელდაესხათ ეპისკოპოსად. იგი წერდა: „...მომთხოვა (ეგზარქოსმა – ვ. კ.) წერილით მოხსენება (официальное письмо), რომელშიც გამოვაცხადე სურვილი აღუკვეცელად ეპისკოპოსის ხარისხზე აღყვანისა, რომლის მაგალითად ვუჩვენე ეპისკოპ(ოზი) მარკელ პოპელი, და აღუთქვი წერილობით, რომ თანახმა ვარ ეპისკოპოსობაში შევიმოსო მანტია, ბარტყულა და კრიალოსანი“³. როგორც ვხედავთ, პეტრე კონჭოშვილმა, როგორც უაღრესად ზნეობრივმა პიროვნებამ, არ ისურვა მოეტყუებინა ეკლესია და ღმერთიც და არ მიიღო ბერობა მაშინ, როდესაც მისი აღსრულების ფიზიკური ძალა აღარ შესწევდა. ამიტომ, იგი ითხოვდა გამონაკლისის სახით, ისტორიული მაგალითის მოშველიებით, აყვანათ ეპისკოპოსის ხარისხში, ბერობის მიღების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მზად იყო დარჩენილიყო დეკანოზად. ამ მხრივ, პეტრე კონჭოშვილი მნიშვნელოვან პიროვნებად წარმოგვიდგება, რომლის სიტყვა და საქმე არ სცილდებოდა ერთმანეთს.

პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (რომელიც პროგ-

¹ იქვე, №956 (1905, 14 სექტემბერი), ფ. 1.

² იქვე, №953 (1905, 7 აგვისტო), ფ. 1.

³ ხ.ერ.ც., კირონის ფონდი, №956 (1905, 14 სექტ.), ფ. 1.

რესული პიროვნება და მღვდელმთავარი იყო), გაითვალისწინა რა პეტრე კონჭოშვილის ათეული წლების უანგარო სამსახური დედა ეკლესიის წინაშე, უშუამდგომლა მას აღუკვეცელად ხელდაესხათ ეპისკოპოსად. ეს აზრი გაიზიარა სინოდმაც და საქართველოს ეგზარქოსმაც. მიტროპოლიტ ანტონს პეტრე კონჭოშვილი პირადად ესაუბრა კისლოვოდსკში მკურნალობის დროს, სადაც ზაფხულობით, მთელი უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება იყრიდა თავს. როგორც ჩანს, ამან დიდი მნიშვნელობა იქონია მისი თხოვნის აღსრულების საქმეში. მიტროპოლიტი ანტონი (ვადკოვსკი 1898-1912) რომ პროგრესული პიროვნება იყო, ამას ადასტურებს მისი დამოკიდებულება შავრაზმელებთან. უფრო სწორედ კი, ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება მის მიმართ. მეფის მთავრობის ფინანსთა მინისტრი და შემდეგ პრემიერი, გამჭრიახი და პრაგმატული სერგეი ვიტე ასე ახასიათებდა მიტროპოლიტ ანტონისა და შავრაზმელთა ურთიერთობებს: „რუსული გაზეთებიდან ყველაზე საზიზლარი გაზეთები, ანუ შავრაზმული გაზეთები, რომლებიც სხვათა შორის, ყოველმხრივ ზევიდან არიან ზურგგამაგრებულნი, გაზეთები, რომლებიც სავსეა ყველაზე გაუგონარი ჭორებითა და სიცრუით, სისტემატიურად დევნიან მიტროპოლიტ ანტონს, იმედოვნებენ რა, რომ აიძულდნენ მას გადადგეს“¹.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ეკლესიას, პეტრე პირველის მიერ დადგენილი საერთო თანამდებობის პირი, სინოდის ობერ-პროკურორი მართავდა, პეტერბურგის მიტროპოლიტი, მაინც რუსული ეკლესიის უპირველესი ავტორიტეტი იყო და მის სიტყვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სხვათაშორის, პ. კონჭოშვილის წერილებიდან ჩანს, რომ ანტონ მიტროპოლიტი საქართველოს ავტოკეფალიასაც თანაუგრძნობდა. 1905 წ. 13 თებერვალს პეტრე კირიონს სწერდა იმ პეტიციის შესახებ, რომელსაც ოთხმა

¹ С. Ю. Витте, Избранные воспоминания, М. 1991, с. 431. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ს. ვიტეს ბიძა (დედის ძმა), სამხედრო მწერალი როსტ. ფადეევი, მხარს უჭერდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის იდეას. იგი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ქართველ და რუს ხალხს შორის არაერთი საერთო არ არის, სარწმუნოების გარდა. ხოლო თუ ქართველებს სარწმუნოების თავისუფლებასაც ნავართმევთ, მაშინ საერთოდ აღარაფერი დაგვრჩებაო, წერდა ის. იხ. А. А. Цагарели, Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, С/Пг, 1912, с. XXII.

მღვდელმთავარმა მოაწერა ხელი და რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას შეეხებოდა. პ. კონჭოშვილი წერდა: „ჩვენი თხოვნის მიღება, მით გავუადვილე (ეგზარქოსს – ვ. კ.), როდესაც მოვახსენე, რომ ეს ჩვენი მისწრაფება მიტროპოლიტმა ანტონმაც უწყის და იგი თანაგვიგრძნობს, და გარდაეცეცი ჩვენი საუბარი მასთან ივლისში, კისლოვოდსკში და მაშინ უფრო დამშვიდდა“¹ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

ამგვარად, პეტრე კონჭოშვილი ეპისკოპოსად, ორიგინალურად, გამონაკლისის წესით ხელდაასხეს. 1905 წ. 16 ნოემბერს პეტრე კონჭოშვილი კირიონს აუწყებდა: „წყალობითა ლუთისათა, 13 ნოემბერს, მე უღირსი, ხელდასხმულ ვიქმენ ეპისკოპოსად ოდესმე დიდებულის ალავერდის მიტროპოლიისა, ან დამცირებულისა. მადლობა ღმერთსა, კეთილმყოფელსა ჩვენსა! დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც გაიხარებთ სულითა, რადგან თქვენი ძმობრივი დიდი ხნის რჩევა და წადილი შესრულდა შეწვევითა ღვთისათა!“². ერთ სხვა წერილში, მეუფე პეტრემ, მისი ეპისკოპოსად კურთხევის განსაკუთრებული წესის შესახებ, ოფიციალური თხოვნის ამონაწერი მოიტანა: „пострижения в монахи я не принимал и обетов иноческих не давал. Св. Синод разрешил, как исключительный пример в истории Русской Церкви, возведения меня в сан епископа без пострига“³.

ოფიციალურ საეკლესიო უწყებებში, ამის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: იმპერატორმა, სინოდის მიერ წარდგენილი მამა პეტრეს ეპისკოპოსად კურთხევა 1905 წ. 6 ოქტომბერს დაამტკიცა. ამასთან, იქ აღნიშნულია, რომ ეს მოხდა: „без пострижения в монашество“⁴.

კიდევ ერთხელ უნდა გაეცვას ხაზი შემდეგ გარემოებას: ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის პიროვნების და მისი მიზანდასახულობის თვალსაზრისით, ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ხელდასხმიდან სულ სამი დღის შემდეგ, მან ხელი მოაწერა ქართუ-

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №958 (1905, 16 ნოემბ.), ფ. 3.

² იქვე, №958, ფ. 1.

³ იქვე, №963 (1907, 7 იანვ.), ფ. 4.

⁴ Духовный вестник Грузинского Экзархата, 1905, №21-22, გვ. 1 (Высочайшие повеления).

ლი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას; მისი ამ ნაბიჯის მორალური ძალა კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, როგორ ვითარებაში მოხდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა. რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ მას თითქოს მიანიშნა, რომ რადგან პერსონალურად მისთვის დაუშვა ასეთი დიდი გამოწვევის (ბერობის მიუღებლად აღიყვანა ეპისკოპოსის ხარისხში), ისიც, თავის მხრივ, ვალდებული იყო მორჩილად აესრულებინა სინოდის მოთხოვნილებანი. ხოლო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა რომ რუსეთის სინოდისა და სახელმწიფოს გეგმებში არასოდეს შედიოდა, ეს სავსებით ცხადი იყო. თვითონ პ. კონჭოშვილი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: «დღეს, 16 ნოემბერს, ოთხმა ქართველმა მღვდელმთავარმა მივართვით ეგზარქოსს თხოვნა აღდგენისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. ეს თხოვნა პირდაპირ უნდა გაუგზავნოს სინოდის ობერპროკურორს, მოსახსენებლად ხელმწიფე იმპერატორისა. შემდეგ ხანგრძლივი საუბრისა ამ საგანზედ, გვითხრა: მოულოდინეთ რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავართა კრებასაო და ამ წინადადებაზედ თანხმობა არ გამოვაცხადეთ. მიიღო ეს ჩვენი თხოვნა დარბაისლურად, უკმაყოფილება არცა სიტყვით და არცა სახით არ გამოუცხადებია. ჩვენი თხოვნის მიღება მით გავუადვილე, როდესაც მოვახსენე, რომ ეს ჩვენი მისწრაფება მიტროპოლიტმა ანტონმაც უწყის და იგი თანავიგრძნობს, და გარდავეცი ჩვენი საუბარი მასთან, ივლისში, კისლოვოდსკში და მაშინ უფრო დამშვიდდა»¹. წერილში ნახსენებ ეგზარქოსში იგულისხმება ნიკოლოზი (ნალიმოვი), რომელიც იმხანად სულ ახალი დანიშნული იყო ამ თანამდებობაზე (დანიშნა 1905 წ. 23 ივნისს, საქართველოში ჩამოვიდა იმავე წლის 2 აგვისტოს). რაც შეეხება ავტოკეფალიის მოთხოვნის პეტიციის ტექსტს, იგი ზუსტად ცნობილი არ არის, მაგრამ 1905 წ. 17 ნოემბერს «ივერიაში» ამ საკითხზე დაიბეჭდა შემდეგი სახის განცხადება: «გუშინ, 16 ნოემბერს, იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ოქროპირიძე - ვ. კ.), გურია-სამეგრელოსამ - გიორგიმ (ალადაშვილი - ვ. კ.), გორისამ - ექვთიმემ (ელიაშვილი - ვ. კ.) და ალავერდისამ - პეტრემ (კონჭოშვილი - ვ. კ.) საქართველოს ეგზარქოსს თავიანთ მიერ

¹ ხ.ერ.ც., კირონის ფონდი, №958, ფ. 2.

ხელმოწერილი განცხადება წარუდგინეს და აუწყებდნენ, რომ უკეთეს უნდინდესი სინოდი დროზე არ გასცემს პასუხს საქართველოს სამღვდლოების სამართლიანს მოთხოვნილებას ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, სამღვდლოება შეიკრიბება და მთავრობის დაუკითხავად, კათალიკოსს ამოირჩევსო¹ (ხაზი რედაქციისაა - ვ. კ.). იგივე ტექსტი გადაბეჭდა დ. ლამბაშიძის „მწყემსმაც“. მაგრამ „მწყემსში“ რატომღაც, 17 ნოემბრის „ივერიის“ აღნიშნული ცნობა, 15 ნოემბრით დათარიღებულ ჟურნალში აღმოჩნდა დაბეჭდილი². ამ პეტიციას ახსენებს თავის მოგონებებში კალისტრატე ცინცაძეც. იგი წერს: „1905 წ. 16 ნოემბერს, ეპისკოპოსებმა კირიონმა, ლეონიდემ, პეტრემ, გიორგიმ და ექვთიმემ, ეგზარქოს ნიკოლოზის მეშვეობით დანიშნულებისამებრ გაგზავნეს პეტიცია ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. პეტიცია მიართვეს ხელმწიფეს, რომელმაც სასურველად მიიჩნია, იგი რუსეთის ეკლესიის მომავალი კრებისათვის გადაეცა განსახილველად“³. აქ ყველაფერი სწორია გარდა ხელმოწერთა შორის კირიონის დასახელებისა. კირიონი მართალია, მთლიანად მხარს უჭერდა პეტიციას, მაგრამ ამ დროს, რუსეთში, გადასახლებაში იმყოფებოდა.

19 ნოემბრის ნომერში „ივერია“ ამავე საკითხზე იუწყებოდა: „ამ დღეებში, ქართველმა ეპისკოპოსებმა საქართველოს ეგზარქოსს პეტიცია მიართვეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საჭიროების შესახებ. გუშინწინ, 17 ნომებერს, საქართველოს ეგზარქოსი ამ საგანზე მოსალაპარაკებლად კავკასიის ნამესტნიკთან იყო. საქართველოს ეგზარქოსმა ეპისკოპოსების პეტიციასთან ერთად, ნამესტნიკს თავისი მოსაზრებებიც წარუდგინა“⁴.

როგორც ვხედავთ, ეპისკოპოსად ახლად აღსაყდრებულმა მეუფემ, მაშინვე აქტიურად გააგრძელა თავისი მოღვაწეობა ქართული ეკლესიის უფლებათა დასაცავად და აღსადგენად. ეს ღირსშესანიშნავი ამბავი ყველაზე ადრე მისთვის უპირველეს მეგობარს, კირიონს მიულოცავს: „თქვენმა ტელეგრამამ დაასწრო სუყველას. ეგზარქმა რომ მომილოცა, შემდეგ საეკლესიო უწყების წაკითხვი-

¹ „ივერია“, №208 (1905, 17 ნომბ.), გვ. 3.

² „მწყემსი“, №21 (1905, 15 ნომბ.), გვ. 21.

³ კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001, გვ. 119.

⁴ „ივერია“, №910 (1905, 19 ნომბ.), გვ. 4.

სა, მე მოვახსენე: სამი დღის უწინარეს, ეპ(ისკოპოზმა) კირიონმა მომილოცა და ნივთებიც სამღვდელმთავრო იმან მიყიდა; ჯვარი და პანაგია, იმასაც მოენონა"¹, წერდა პეტრე კონჭოშვილი. ამ სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, მათი ურთიერთობის სიახლოვე და ურთიერთპატივისცემა; სამწუხაროა, რომ არ შემოინახა კირიონის საპასუხო წერილები მეუფე პეტრესადმი; ისინი ალბათ, თავის მხრივ, ბევრ საინტერესო საკითხს გააშუქებდნენ.

აღ. ბენდიანიშვილი პეტერბურგის ცენტრალური საისტორიო არქივის ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ: „ქართულ ავტოკეფალისტთა მოძრაობაში, ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ეპისკოპოსები: ლეონიდი, კირიონი, პეტრე და დავითი (კაჭახიძე – ვ. კ.). ჯერ კიდევ 1905 წლის ოქტომბერში მათ ჩამოაყალიბეს „ავტოკეფალისტთა საზოგადოება“, რომლის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე, მღვდლები და არქიმანდრიტები – იოსებ ჩიჯავაძე, ამბროსი ხელაია, ამბროსი ფხაკაძე, კალისტრატე ცინცაძე, პოლიევქტ კარბელაშვილი და სხვ. ავტოკეფალისტთა მოძრაობას მთელი საქართველოს მასშტაბით, თბილისის ცენტრი მეთაურობდა“².

ავტოკეფალიის ზემოაღნიშნულ ულტიმატურ მოთხოვნას, გაგრძელებაც ჰქონდა. იმ პერიოდისათვის (1905-1907 წწ.) ბევრი იყო კრებები, სხდომები, მიმართვები (სხვათაშორის, 1905 წლის 9 თებერვლის წერილში კირიონისადმი, პეტრე კონჭოშვილი მოიხსენიებს 15 პუნქტიან მოთხოვნას, რომელიც კირიონისათვის გასაგზავნად პოლიევქტოს კარბელაშვილს გადაუწერია)³. მაგრამ აღნიშნული პეტიცია, იმდენად კატეგორიული და პირდაპირი იყო, თანაც მას თითქმის ყველა ქართველი, მომქმედი, საქართველოში მყოფი ეპისკოპოსი აწერდა ხელს, რომ რუსულ პრესაში ინსინუაციებიც კი გაჩენილა მასთან დაკავშირებით. 1906 წ. გაზუთ „კოლოკოლს“ (№39) თავის მონინავე სტატიაში დაუბეჭდავს შენიშვნა იმის შესახებ, რომ ხუთი ქართველი ეპისკოპოსიდან (აქ იგულისხმება კირიონი, ლეონიდე, პეტრე, გიორგი და ექვთიმე), ორნი, ცნობილი იყვნენ, რო-

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №958, ფ. 2.

² აღ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001, გვ. 51 (ს/პეტერბ. სახ. ცენტრ. არქივი, ფ. 1579, საქმე 151, ფ. 5).

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №950 (1905, 9 თებერვ.), ფ. 2.

გორც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აშკარა მონინაალმდეგენი. გაზეთი კითხვას სვამდა: როგორ მოხვდა მათი სახელები ავტოკეფალიის მომხრეთა შორის? თავის მხრივ, „ცნობის ფურცელმა“ (№3018) გამოაქვეყნა შენიშვნა „ვალსამონის“ ფსევდონიმით; ავტორი პირდაპირ მოუწოდებდა ხელმომწერებს კიდევ ერთხელ გამოეხატათ თავისი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში. მართლაც, კაცმა არ იცის, საითკენ გადაიხრებოდნენ ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი) და ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), რომლებსაც შემდეგ, ნამდვილად შეეცყოთ რყევა (და პირდაპირი ლალატიც), ამ საკითხთან მიმართებაში; იმჟამად, ყველას პეტრე კონჭოშვილმა დაასწრო. 1906 წლის 25 მარტს „ცნობის ფურცელში“ (№3036) მან შემდეგი სახის განცხადება გამოაქვეყნა: „ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ამ ქვემო აღნიშნულ წერილს.

ერთი თვის წინათ, გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ბ-ნი ვალსამონი სწერდა, რომ პეტერბურღის სასულიერო და საერო პრესაში გაუვრცელებიათ ხმა, ვითომ მხოლოდ ორი ქართველი მღვდელმთავარი, სახელდობრ კირიონ სოხუმის ეპისკოპოსი და ლეონიდ იმერეთის ეპისკოპოსი აცხადებდნენ სურვილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, ხოლო სხვა ორი მღვდელმთავარი, ქართველივე, ვითომ არ თანაუგრძნობს ზემოხსენებულთა ეპისკოპოსთა თავგანწირულს მისწრაფებას და წინააღმდეგი არიან მშობლიურის ეკლესიის დამოუკიდებლობის საქმისა. ასაშორებლად ამ გვარის ნაცილისა (ცილის წამებისა – ვ. კ.) ჩემის თავიდან, საღმრთო ვალად ვრაც გამოვაცხადო საჯაროდ, წინაშე ქართველი ერისა, რომ მე გულითადი, მხურვალე მომხრე ვარ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისა, სახარებისა სიტყვებისაებრ: „მურმან სახლისა შენისამან (უფლისა) შემჭამა მე“ (იოან. 2. 17). ამგვარი ჩემი მიმართულება ამ საქმეზე არ არის დაფარული. წარსულს ზაფხულს, ივლისის და აგვისტოს თვეებში, ამავე საგანზედ, რაოდენმე გზით მქონდა საუბარი ერთი მაღალ ხარისხის სასულიერო წოდების პირთანაც, ერთის ქართველი ეპისკოპოსის თანდასწრებითა და მონანილეობითა; წარსულის წლის 16 ნოემბრის თვეში მიცემულს პეტიციაზეც, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, ოთხს ქართველ მღვდელმთავართა შორის, რომელნიც იმ

დროს ტფილისში იმყოფებოდნენ, მეც მომიწერია ხელი.

პეტრე, ეპისკოპოსი ალავერდელი, დროებით
მმართველი იმერეთის ეპარქიისა"¹
(ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

პეტრე კონჭოშვილის ამ განცხადებას, ეპისკოპოსი გიორგი გამოეხმაურა, რომელმაც გაზეთ „შრომაში“ 1906 წ. 11 აპრილს (№6), კვლავ მხარი დაუჭირა ავტოკეფალიას. ამის შემდეგ, ხელმომწერთაგან მხოლოდ ეპისკოპოსი ექვთიმე რჩებოდა, ბოლოს, 1906 წ. 15 აპრილს „შრომაში“ (№10) მანაც გამოხატა თავისი პოზიცია.

მიუხედავად ეპისკოპოს ექვთიმეს სტატიის პათოსისა, ორივე მღვდელმთავარი – გიორგი და ექვთიმე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მალე გამოეთიშა ავტოკეფალიისთვის ბრძოლას. საინტერესოა ერთი დეტალიც. ეპისკოპოს ექვთიმეს გაზეთ „შრომაში“ დაბეჭდილი ზემოაღნიშნული წერილის შავი პირი, ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კირიონის ფონდში (№1529). ხომ არ ნიშნავს ეს ფაქტი იმას, რომ მასზე გარკვეული ზეგავლენა ჰქონდათ კირიონს და მასთან დაახლოებულ სამღვდელო პირებს?!

ამგვარად, პეტრე კონჭოშვილის ეპისკოპოსად ხელდასხმა ავტოკეფალიისათვის ბრძოლას გადაეჯაჭვა. უნდა გავშიფროთ, რომ ეპისკოპოს პეტრეს წერილში „ცნობის ფურცელის“ რედაქციის მიმართ“, აღნიშნული ერთი „მაღალი ხარისხის სასულიერო პირი“, რომელსაც მეუფე 1905 წ. ზაფხულში ესაუბრა, ადრე ნახსენები პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონია. რაც შეეხება ამ საუბრების მონაწილე „ერთ ქართველ ეპისკოპოსს“, იგი ეპისკოპოსი კირიონია. მთელი რიგი მომენტები, ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, კერძოდ, მეუფე პეტრე, ადრე ციტირებულ წერილში, კირიონს სწერდა: „...ჩვენი მისწრაფება მიტროპოლიტმა ანტონმაც უწყის და იგი თანაგვიგონობს და გარდავეცი (ეგ ზარქოს ნიკოლოზს – ვ. კ.) ჩვენი საუბარი მასთან (ანტონ მიტროპოლიტთან – ვ. კ.) ივლისში, კისლოვოდსკში“² (ხაზი ჩვენია – ვ. კ.). აქ გამოყენებული ნაცვალსახელი გვაძლევს საშუალებას ვივარაუ-

¹ „ცნობის ფურცელი“, №3036 (1905, 25 მარტი), გვ. 4. მისი მოკლე რუსული ვარიანტი დაბეჭდილია: «Духовный вестник грузинского экзархата», 1906, №9-10, с. 50.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №958, ფ. 2.

დოთ, რომ 1905 წ. ივლისში კირიონიც ჩასულა კისლოვოდსკში მიტროპოლიტ ანტონთან შესახვედრად. ასე რომ „ჩვენში“, იგულისხმება წერილის ავტორი პეტრე კონჭოშვილი და წერილის ადრესატი – კირიონი. ის, რომ კირიონი 1905 წ. ზაფხულში ჩრდილო კავკასიაში მართლაც იმყოფებოდა, დასტურდება მეუფე პეტრეს კიდევ ერთი წერილიდან. ამ წერილში პეტრე აღნიშნავს, რომ იგი დაბინავდა კავკავის (ვლადიკავკაზის) სწორედ იმ სასტუმრო „გრანდ ოტელში“, სადაც ივნისში კირიონი იყო გაჩერებული¹. კიდევ მეტიც. 1905 წლის 31 ივლისის წერილში მეუფე პეტრე კირიონს სწერდა: „თქვენი გამგზავრების შემდეგ, დავრჩი მე მარტოდ, დაღონებულ-მონყენილი ვითარცა ფრთებშეკვეცილი ტარბი, მებრძოლი მკალისა“² (ხაზი ჩვენია – ვ. კ.). თუ ზევით ნახსენებ მთელ რიგ ფაქტებს არ გავითვალისწინებთ, შეიძლება გვეფიქრა, რომ საუბარია კირიონის 1902 წლის გადასახლებაზე. მაგრამ თუ ყველაფერს ერთად გავანალიზებთ, ეს აზრი უნდა გამოირიცხოს. 1905 წლის ზაფხულში, კირიონის 1902 წლის გადასახლების გახსენება, ცოტა დაგვიანებული იქნებოდა. ასე რომ, 1905 წლის ივლისში, კირიონი ორიოლიდან კისლოვოდსკში ჩასულა და პეტრე კონჭოშვილთან ერთად, მიტროპოლიტ ანტონთან უსაუბრია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის პერსპექტივებზე. სხვათაშორის, პეტრე კონჭოშვილის ამავე წერილიდან ისიც ჩანს, რომ მიტროპოლიტი ანტონი, კირიონს დაპირებია საქართველოში მის სწრაფად დაბრუნებას. კონჭოშვილი გაკვირვებული წერს კირიონს, რომ როგორც ჩანს, სამშობლოში მისი დაბრუნების წინააღმდეგი საქართველოს ეგზარქოსი აღმოჩნდა³. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1906 წლის კირიონის დაბრუნება სოხუმის ეპისკოპოსად, ანტონ მიტროპოლიტთან შეთანხმების შედეგიც იყო. სხვაგვარად, გაკვირვებას იწვევს, როგორ მოხდა (რევოლუციური სიტუაციის მიუხედავად), კირიონის საქართველოში, და თანაც სოხუმში, დაბრუნება. რაც შეეხება კონჭოშვილის წერილებს, კირიონის კისლოვოდსკში ვიზიტს და მიტროპოლიტ ანტონთან საუბარს, ხაზი არც იქ ესმება და არც საგაზეთო პუბლიკაციებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეუფე პეტრე

¹ იქვე, №955 (1905, 26 აგვისტო), ფ. 1.

² იქვე, №951 (1905, 31 ივლისი), ფ. 1.

³ იქვე, №952 (1905, 4 აგვისტო), ფ. 1 და №953 (1905, 7 აგვისტო), ფ. 1.

ფრთხილობს და არ უნდა დროზე ადრე, საჯაროდ (ან თუნდაც პირად წერილებში) გაამჟღავნოს ამ შეხვედრის დეტალები; გარდა იმისა, რომ ის გადასახლებული კირიონის ზედმეტ აფიშირებას ერიდება, ალბათ არასაჭიროდ მიიჩნევს ანტონ მიტროპოლიტის საქვეყნოდ ხსენებასაც. როგორც ადრე მოხსენიებული ს. ვიტეს ჩანაწერებიდან ჩანს, ანტონს ისედაც ბევრი მტერი ყავდა შავრაზმული წრეების მხრიდან (ანტონის მიმართ საკმაოდ ცივ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, ქართული ეკლესიის ქომაგი ნიკოლოზ დურნოვოც კი. შესაძლოა, მან არ იცოდა საქმის რეალური ვითარება და ანტონის კეთილგანწყობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ. ანდა, შესაძლებელია, თავს იჩენს მისი ზედმინევენითი მონარქისტობა. არადა, სწორედ მიტროპოლიტ ანტონის ნებართვის საფუძველზე გაიხსნა პეტერბურგში, ჯერ კიდევ 1903 წელს, აღმოსავლურ ეკლესიათა ისტორიის კათედრა, სადაც კირიონის ინიციატივით, ქართული ეკლესიის ისტორიაც უნდა წაკითხულიყო).

1905 წლიდან პეტრე კონჭოშვილი საქართველოში ძალზე დიდ ავტორიტეტს იხვეჭს. ყველა საკითხში აშკარად გამოხატული ეროვნული სულისკვეთების მიუხედავად, მას ოფიციალურად კი ანგარიშს უწევს, თუმცა რა თქმა უნდა, გარკვეულ ზღვრამდე. მოეუხმინოთ ნიკოლოზ დურნოვოს. იგი მოწმობს რომ 1905 წლიდან საოლქო სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე იყო: „ალავერდის მწყემსმთავარი პეტრე, კეთილმსახური, განათლებული უსამღვდელოესობა, რომელიც 35 წლის განმავლობაში საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო იმპერატორ ნიკოლოზ I, თბილისის ქალთა ინსტიტუტში“. შემდეგ დურნოვო წერს, რომ ეგზარქოსმა ნიკონმა (1906-1908) ერთპიროვნულად გააუქმა უზენაესი ბრძანებულება და მეუფე პეტრე გადააყენა საბჭოს თავმჯდომარეობიდან. მის ადგილას კი ახალგაზრდა რუსი არქიმანდრიტი გრიგოლი დაინიშნა, რომელიც ქართველების მიმართ არაკეთილგანწყობილი იყო. ნიკოლოზ დურნოვო განაგრძობს: „უსამღვდელოესობა პეტრემ, რომელიც საეგზარქოსოს სასწავლო საბჭოში თავმჯდომარეობდა, სინოდში წარადგინა, ივნისში (1906 წ. – ვ. კ.) შემდგარი საქართველოს სამღვდელოების საეპარქიო ყრილობის ოქმები, რომლებშიც ნათქვამია: „ქართული ეკლესიის მდგომარეობისათვის გამოუსადეგარი და საზიანოა ის, რომ საოლქო და საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს

თავმჯდომარედ და წევრებად არიან პირები, რომლებმაც ქართული ენა არ იციან" და ოქმში გამოთქმულია სურვილი, რომ ამ თანამდებობაზე დანიშნული იყვნენ ქართველები, ანდა ქართული ენის მცოდნე სხვა ერის წარმომადგენლები... 1907 წ. მარტში, ეპისკოპოს პეტრეს წარედგინა სინოდის ბრძანებულება, რომლითაც მას, მთელი საქართველოსათვის პატივცემულ ეპისკოპოსს, შენიშნავდნენ, რომ მან ასეთი (სახის ოქმები - ვ. კ.) სინოდში ეგზარქოსის (რომელიც სექტემბრამდე არ ყოფილა) ან სინოდთან არსებული სასწავლებელთა საბჭოს მეშვეობით უნდა წარადგინოს" (ხაზი ჩვენია - ვ. კ.)¹.

ნიკოლოზ დურნოვოს სტატიიდან კარგად ჩანს, რა ავტორიტეტით სარგებლობდა მეუფე პეტრე იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. ცხადი ხდება ისიც, რომ მეუფე, როგორც ეგზარქოსის ჯერ მეორე (ალავერდელი) და შემდეგ პირველი (გორელი) ვიკარი (ქორეპისკოპოსი) ცდილობდა, ეგზარქოსის საქართველოში არყოფნის დროს, ქართული საქმე ეკეთებინა. ამიტომ გაგზავნა მან სასწრაფოდ, 1906 წლის 6 ივნისს შემდგარი სამღვდელთა საეპარქიო ყრილობის ოქმები სინოდში (ეს ყრილობა ეგზარქოს ნიკოლოზის ნებართვით გაიმართა, მაგრამ თვითონ ეგზარქოსი ყრილობას არ ესწრებოდა, რადგან სამუდამოდ გაემგზავრა რუსეთში).

ამ თემასთან დაკავშირებით, საინტერესოა გავეცნოთ 1907 წ. 4 მარტის, გაზეთ „ისარში“ დაბეჭდილ მოკლე ინფორმაციას, სათურით: „შენიშვნა ეპისკოპოსს“. ამ მოკლე ცნობიდან მკითხველი იგებს, რომ 1906 წელს, ქართველმა სამღვდელთა დაადგინა სინოდისთვის პროტესტი (ტექსტში შეცდომით დაბეჭდილია - „პროექტი“) გამოცხადებინა, იმასთან დაკავშირებით, რომ სინოდს სურდა საეპარქიო თავმჯდომარედ და საეპარქიო ზედამხედველად გოროდცევი და ოდოევი დაენიშნა (ცნობილი რეაქციონერები და ქართულის არმცოდნენი). ქართულ სამღვდელთა კი, ამ თანამდებობაზე სხვა, ქართულის მცოდნე პირების დანიშვნა სურდა. პროტესტს შედეგად ის მოყვა, რომ სამღვდელთა აზრი სინოდ-

¹ ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, „განთიადი“, ქუთაისი, 1990, №10, გვ. 86; იგივე (ბათუმი), 1990, გვ. 98. ამასთან, პირველ გამოცემაში („განთიადი“), პ. კონჭოშვილის მოლევანეობის წლებად „25“-ია მითითებული, მეორეში კი, სწორი ციფრი - „35“.

მა უარყო, ხოლო იმ ეპისკოპოსს კი, ვინც ეს დადგენილება სინოდში გაგზავნა, 1907 წლის მარტში, შენიშვნა მისცა¹. სამწუხაროდ, რედაქციის უყურადღებობის გამო, ამ ცნობაში გამორჩენილია ეპისკოპოსის სახელი. თუ კარგად ჩავუკვირდებით გაზეთის ამ ინფორმაციას, ცხადი ხდება, რომ საუბარია პეტრე ეპისკოპოსზე და ნ. დურნოვოს ზევით მოტანილ ცნობაზე. მართლაც, როგორც ვაჩვენეთ, ნ. დურნოვო წერდა, რომ 1906 წ. იენისში გამართულ ეპარქიალურ ყრილობაზე ქართველმა სამღვდელოებამ დაადგინა, რომ საოლქო და საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარეებად და წევრებად ქართულის არმცოდნე პირები არ უნდა დანიშნულიყვნენ (სწორედ ასეთები იყვნენ გოროდცევი და ოდოევი). ამავე დროს, დურნოვოს განმარტებული აქვს, რომ დადგენილების სინოდში ერთპიროვნულად გაგზავნის გამო, პეტრე ალავერდელს შენიშვნა სწორედ 1907 წ. მარტში მისცეს.

აშკარაა, რომ საუბარია ერთიდაიგივე ფაქტზე, იმ განსხვავებით, რომ დურნოვოს ცნობაში არ არის დასახელებული რუსი მოხელეების გვარები, „ისარი“ პუბლიკაციაში კი, პეტრე ეპისკოპოსის სახელი.

ამ კონკრეტული ფაქტიდან, ისიც კარგად ჩანს, რომ მეუფე პეტრე, წყნარად, უჩუმრად აკეთებდა ქართულ საქმეს და არა ზოგიერთივით, „საკუთარ სახელს“... თუ არა დურნოვოს მონშობა, ალბათ, საერთოდ არ გვეცოდინებოდა მისი ბიოგრაფიის ეს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი.

კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის „მოგონებებიდან“, კიდევ ერთხელ ხდება ნათელი, რომ 1905-1909 წწ. მეუფე პეტრე ქართული ეკლესიის უპირველესი ავტორიტეტი იყო. მოგონებათა ერთ-ერთ ეპიზოდში, კ. ცინცაძე მოგვითხრობს, რომ ახლადდანიშნულ ეგზარქოს ნიკონს, ქართულმა სამღვდელოებამ ობსტრუქცია მოუწყო. ამ დროს კი, უნდა განხილულიყო ქართული სამღვდელოების ტაქტიკის საკითხი მომავალ წინასაეკლესიო სათათბიროს მორიგ სხდომაზე, რომელზედაც იმპერატორის ბრძანებით, ქართული ეკლესიის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო; ობსტრუქცია, თავის მხრივ, თანდათან აზრს კარგავდა, მისი „გაუქმება“

¹ „ისარი“, 1907, №48 (4 მარტი), გვ. 3.

კი, ვერავის გადაეწყვიტა. კალისტრატე ცინცაძე იგონებს, რომ ყველა ამ საკითხების მოსაგვარებლად, მან, ყოვლადსამღვდელო პეტრეს მიმართა. მართლაც, მეუფე პეტრემ დაადგინა, რომ 12 ოქტომბერს (1906 წ.) მოეწვიათ ეპისკოპოსები და ქართული სამღვდელოების დელეგატები¹.

ძალზე საინტერესოა კ. ცინცაძის მეორე მოგონება, რომელიც გენერალ-ადიუტანტ ივანე გიორგის-ძე ამილახვრის, ქაშვეთის ეკლესიაში გამართულ პანაშვიდს შეეხება. მთლიანად მოვიტანთ მოგონების ამ საინტერესო ადგილს: „1905 წ. 27 აგვისტოს, ქ. გორში გარდაიცვალა ი. გ. ამილახვარი. მისი ნეშტი თბილისში გადმოასვენეს და დაკრძალეს ქვაშვეთის ქვედა ეკლესიაში (ქვედა სართულში), რომლის (ქვედა ეკლესიის) კედლებზე ის-ის იყო დაენწყოთ ზედა ეკლესიის (ზედა სართულის) იატაკისათვის საჭირო რკინის კოჭები. განსვენებულის საფლავზე, ერთი წლის შემდეგ, პანაშვიდი გაიმართა. პანაშვიდს მარტო მე (კ. ცინცაძე - ვ. კ.) და დიაკონი აღვასრულებდით. „ეკლესიაში“ იყვნენ მეფისნაცვალი, მისი მეუღლე, გენერალიტეტი და ჩინოვან-დიდგვაროვანი არისტოკრატიის წარმომადგენელი. წარჩინებულ სასულიერო პირთაგან, პანაშვიდს ესწრებოდა მხოლოდ ეპისკოპოსი პეტრე ალავერდელი. ეპისკოპოსი სამხრეთ პილონთან იდგა, ვორონცოვ-დაშკოვი (მეფისნაცვალი - ვ. კ.) მეუღლითურთ კი, ეკლესიის შუაში, პილონებს შორის. მე ჯერ ხატებს ვუკმევე საკმეველი, დადგენილი წესის მიხედვით, შემდეგ ყოვლადსამღვდელო პეტრეს და შემდეგ მლოცველთ, განსაკუთრებით კი ვორონცოვს“² (ხაზი ჩვენია - ვ. კ.). ეს მომენტი კალისტრატე ცინცაძეს იმიტომ მოყავს, რომ შემდეგ, მას გაგრძელებაც ჰქონდა. მეფისნაცვლის მეუღლეს, ელისაბედს, სასტიკი პროტესტი გამოუთქვამს იმის თაობაზე, რომ ჯერ მეუფე პეტრეს უკმევე საკმეველი და მხოლოდ შემდეგ მეფისნაცვლის ოჯახს...

მეუფე პეტრეს წერილები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ პირადული საკითხები, ყველაზე მტკივნეულიც კი, უკანა პლანზეა გადატანილი. ყველა მათგანში კვლავ და კვლავ ერთი ნუხილია:

¹ კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან... გვ. 125, 128.

² კ. ცინცაძე, დასახ. წიგნი, გვ. 137.

„დროა გამოვიღვიძოთ და განვიფრთხოთ ღრმა ძილი“ – თვით ეს სიტყვები, სახარების პერიფრაზირებაა. მოციქული პავლე, რომელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში ამბობს: „არს უამი განღვიძებად ჩუენდა, ძილისაგან“ (რომ. მიმართ, 13.11).

17 აგვისტოს ერთ უთარილო (უნდა ვივარაუდოთ 1905 წელს, კისლოვოდსკში დანერილ) წერილში, პ. კონჭოპილი კირონს ასეთ, მეტად საყურადღებო საკითხზეც უზიარებდა თავის წუხილს: „კავკავიდან მოვიდნენ ორი მღვდელი ოსთაგანნი და პეტიცია მისცეს მიტროპოლიტსა (ანტონს – ვ. კ.), შემდეგი შინაარსისა: სამხრეთის ოსეთიც შემოუერთეთ ჩრდილოეთისას და საკუთარი ეპისკოპოსი ოსთაგანი დაგვინიშნეთ ჩვენის ეპარქიისთვისო. მღვდელს დაენიშნოს ჯამაგირი თითოეულს წელში 1200 მანეთი და დიაკონს 400 მანეთი; არდონის სემინარია გადაკეთდეს გიმნაზიად, გადმოიტანოს კავკავში, რომელშიაც მასწავლებელნი ოსთაგანნიც იქნებიანო.

ეს ვაჩილებიც თავისას ცდილობენ, ხოლო ძველ ივერიელთა – სძინავთ!¹

ეს წერილი კარგი დადასტურებაა იმისა, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“ ჩრდილოეთთან გაერთიანების გეგმები ჯერ კიდევ შორეულ 1905 წელს გააჩნდა! (ჯერ ეკლესიურად). საინტერესოა ისიც, რომ თვით პეტიცია, ალბათ, ღრმად კონფიდენციალურ ვითარებაში მიართვეს ანტონ მიტროპოლიტს და მისი შინაარსი, პეტრე კონჭოპილს, მხოლოდ პირადად მიტროპოლიტისაგან შეეძლო გაეგო. რაც შეეხება წერილში ნახსენებ „ვაჩილა“-ს, იგი წარმართული ღვთაება იყო, უკავშირდება ვაცს, რომლის ელია წინსწარმეტყველთან შერწყმული კულტი, ოსებში XX ს-შიც პოპულარული იყო.

1906 წ. იანვრის დასაწყისში მეუფე პეტრე მოულოდნელად ქუთაისში გადაყავთ, იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველად. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ თვითონ მეუფე პეტრე: „6 იანვარს, მივიღე ტელეგრამა ანტონი მიტროპოლიტისაგან, რომლითაც დამევალა დროებითი გამგებლობა იმერეთის ეპარქიისა. 26 იანვარს მოვედი ქუთაისს, საშინელი არეულობის დროს; ღამე ვაგზალზე გავათენე, ვაგონში, რადგან ქალაქში შემოსელა არ შეიძლე-

¹ ხ.ერ.ც., კირონის ფონდი, №956 (17 აგვისტო, 1905?), ფ. 1.

ბოდა, შემდეგ ექვსის საათისა. ეხლა დამშვიდდა აქაურობა და შეწყდა სახლების გადანვა მეორე დღიდან ჩემის მოსვლისა, რადგან გენერალ-გუბერნატორს ვსთხოვე”¹. მართლაც, 1905 წ. დეკემბრის მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების ექომ საქართველოსაც უნია. აჯანყებულები, განსაკუთრებით გურიაში აქტიურობდნენ. ქუთაისის გუბერნიაში გაიგზავნა დამსჯელი რაზმი ალიხანოვ-ავარიელის მეთაურობით. ამ ჯარმა, გურიის გარდა, გადანვა ხარაგაული, ზესტაფონის ნაწილი და ქუთაისშიც ზოგიერთი სახლი². როგორც ჩანს, მეუფე პეტრე გულისხმობს ქუთაისის გუბერნატორთან შეხვედრას და თხოვნას, ალიხანოვს შეენწყვიტა ქუთაისის ანიოკება. იმდროინდელ არეულ სიტუაციას (მათ შორის საეკლესიო სფეროშიც), მეუფე ძუნწად აუწერს კირიონს: „რომელნიმე პირნი აქაურის სამღვდელოებისა, ახალგაზრდანი, გატაცებულნი იყვნენ სოციალური მიმართულებით. სამმა ხუცესმა ამ ეპარქიაში, მიანებეს სამრევლოს თავი და ჩოხებით დასეირნობენ, რადგანაც ეშინიანთ შეპყრობა საერო მთავრობისაგან. კეთილმონესეთა, ოფიციალურად ვერ გაუბედნიათ მოხსენიება, რადგანაც ეშინიანთ ტერორისტებისაგან მაგიერის გარდახდისა. ერთს არქიმანდრიტსაც აბრალებენ, ვითომც იგი თანაუგრძნობდეს ამ სოციალურს მიმართულებას. ჯანდარმებმაც ჰკითხეს ამას და ჯერ საქმე მიჩუმათებულთა და მონასტრის კრებულიც სჩივის ამაზედ”³. სულ ეს არის იმერეთის ეპარქიაში შექმნილი მდგომარეობის დახასიათება. მაგრამ თავშეკავებული ტონის მიუხედავად, ყველა კარგად მიხვდება, რა ვითარება იყო იქ შექმნილი, თუ ხუცესები ჩოხებით დასეირნობდნენ და არქიმანდრიტები „სოციალურს” (ანუ სოციალისტურ) მიმართულებას თანაუგრძნობდნენ...

მეუფე პეტრე იმერეთის ეპარქიაში იმიტომ განანესეს, რომ იმერეთის ეპარქიის მმართველი ლეონიდე, პეტერბურგში გაემგზავრა ავტოკეფალიის საკითხებზე მსჯელობისათვის. საინტერესოა, რომ ამ გადანყვეტილებას, სულ ორიოდ დღეში (8 იანვარს) გამოეხმაურა გადასახლებული კირიონი. იოსებ ჩიჯავაძეს იგი წერდა: „პეტრეს იმერეთში გაგზავნით, ხომ არ უნდათ თბილისი უეპისკოპო-

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №959 (1906, 1 მარტი), ფ. 1.

² ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 წწ., თბ., 1997, გვ. 230.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №959, ფ. 1-2.

სოდ დასტოვონ და ამით თქვენ გადაწყვეტილებას (ავტოკეფალიასთან დაკავშირებით – ვ. კ.) უკანონო ხასიათი მისცენ?¹. სხვათაშორის, მეუფე პეტრე წერს, რომ ჯერ კიდევ 1905 წ. დეკემბერში, მაღალმა სახელმწიფო მოხელემ მეფისნაცვლის საბჭოს წევრმა სულთან კრიმ-გირეიმ, შესთავაზა მას სინოდში გამგზავრება და კირიონთან ერთად (ან დამოუკიდებლად), საკუთარი აზრის გამოთქმა ქართული ეკლესიის ბედის შესახებ². მაგრამ, როგორც ჩანს, მოხუცებულობისა და თავისი საკმაოდ შერყეული ჯანმრთელობის გამო, მას არც უფიქრია პეტერბურგში გამგზავრება. მეუფე წუხს იმაზე, რომ იმერეთში ძალზე სწრაფად და მოულოდნელად გადაიყვანეს: „იმდენი არ დამაცადეს, რომ მომელოცნა სამშობლოს სინმინდენი და მეკურთხებინა, ვითარცა მღვდელმთავარსა, მშობელთა საფლავნი“³.

იმერეთის ეპარქიას, როგორც ჩანს, პ. კონჭოშვილი წყვეტილად მართავდა 1906 წ. იანვრიდან-მაისამდე (ყოველ შემთხვევაში 25 მაისს დაწერილი წერილის კონტექსტიდან ჩანს, რომ ის თბილისშია შედგენილი), და შემდეგ, იმავე წლის 10 ნოემბრიდან – 17 დეკემბრამდე.

ქუთაისში, გარდა სამწყსოზე ეკლესიური ზრუნვისა, მეუფე ქართულ საქმესაც არ ივიწყებდა. მიუხედავად ცნობათა სიმწირისა, ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა მელიტონ კელენჯერიძის (1864-1942), უაღრესად შემტევი, პოლემიკური ხასიათის წიგნის გამოცემის ნებართვის გაცემა. წიგნი, რომლის სათაურია „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“ (რუსულ ენაზე), გამოქვეყნდა ავტორის დაუსახელებლად, ფსევდონიმით – „Toncmelis“. ეს არ იყო ასე ვთქვათ, გახსნილი ფსევდონიმი. მისი ავტორის ვინაობა ბევრისთვის საიდუმლოდ რჩებოდა. კალისტრატე ცინცაძის მოგონების თანახმად, ეგზარქოსი ნიკონი, საქართველოში ჩამოსვლისთანავე ცდილობდა როგორმე მისგან გაეგო ვინ იმალებოდა ამ ფსევდონიმის უკან (ფსევდონიმი ასე იშიფრება: „meli-ton-c“).

კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე წერს, რომ ნიკონის კითხვაზე „ვინ არის ტონკმელისი-ო, მას უპასუხია: „ფსევდონიმე-

¹ იქვე, კირიონის ფონდი, №253, ფ. 1

² იქვე, №958 (1905, 16 ნომბ.), ფ. 4.

³ იქვე, №959, ფ. 4.

ბის გამჟღავნება მიღებული არ გახლავთ, მაგრამ იგრძნობა, რომ ავტორი კარგად იცნობს თქვენი წინამორბედების მოღვაწეობას, მაშასადამე, სამღვდულოებასთან დაახლოებული კაცია, შეიძლება მღვდელიც”¹.

წიგნის თავფურცელზე აღნიშნულია – „ქუთაისი 1905 წ.“ ე. ი. ნაშრომი მზად იყო გამოსაცემად 1905 წელსვე, მაგრამ რევოლუციური სიტუაციის მიუხედავად, არავინ აიღო თავზე გაეცა მისი ბეჭდვის ნებართვა. მხოლოდ მეუფე პეტრემ იკისრა ეს მისია. წიგნის შპუცტიტულის შიდა მხარეს დაბეჭდილია: „Печатано с разрешения и благословления Преосвященного Петра, Епископа Алавердского, управляющего Имеретинской епархией. 17 марта 1906 г.“

აღნიშნულ წიგნში, მეცნიერულად, ნყაროებზე დაყრდნობით, გადმოცემულია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლის მთელი ისტორია. ამჟამად იგრძნობა, რომ ქართული ეკლესიის თვითმყოფადობის მთელი წინა ისტორია გადმოცემულია იმისათვის, რომ ყველასათვის ამჟამად გამხდარიყო, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების არაკანონიკურობა და დანაშაულებრივი ხასიათიც კი. ყველაზე მწვავედ, ავტორი სწორედ რუსეთის იმპერატორისა და სინოდის მიერ, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების უკანონობას ამხელს. იმისათვის, რომ გასაგები იყოს წიგნის მთელი პათოსი, მოვიტანთ მის ერთ დამახასიათებელ პასაჟს: „სპარსელებმა, თურქებმა, მონღოლებმა და არაბებმა დაიმორჩილეს სხეული (плоть) და კლავდნენ მას, ახალმა გავლენამ კი (ე. ი. რუსულმა სახელმწიფომ – ვ. კ.) დაიმონა სული, ხელუხლებლად დატოვა რა სხეული. მაშინ იყო სულის ზეიმი, ახლა სული ზვარაკადაა შენირული საგარეო უსაფრთხოებისათვის; ამით სული ტყვედქმნილია და მხოლოდ სხეულს რა შეუძლია? ქართული ეკლესია მოჩვენებას დაემსგავსა, ხოლო საღვთისმეტყველო მეცნიერება, პირდაპირი მნიშვნელობით გაიღია ისე, რომ მისი კვალიც აღარ დარჩა... ასეთია ქართული ეკლესიისა და ხალხის წინაშე, რუსული სკოლისა და რუსული გავლენის დამსახურება... რალა უნდა ითქვას ამის შემდეგ, იმ საცოდავ კაცუნებზე, რომლებიც უსინდისოდ და სიამაყით

¹ კ. ცინცაძე, დასახ. წიგნი, გვ. 131.

უცხადებენ ქართველებს, რუსი ხალხის რალაც დიდ დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე¹.

როგორც ვხედავთ, ასეთი წიგნის ბეჭდვის ნებართვის გაცემა (მით უფრო, რომ წიგნი რუსულ ენაზე იყო დანერილი!) საკმაოდ სარისკო იყო. ამიტომაც ვერ დაიბეჭდა კელენჯერიძის წიგნი 1906 წლამდე, ე. ი. მეუფე პეტრეს ქუთაისში ჩასვლამდე.

როგორც აღვნიშნეთ, 1906 წლის მეორე ნახევარში, მეუფე კვლავ ქუთაისშია. იგი კირონს აცნობებდა: „სამი დღის წინათ (საქმე ეხება 9 ნოემბერს – ვ. კ.) მითხრა ეგზარქოსმა ლეონიდეს განვევა პეტრეს ქალაქს და ამავე დროს, შეეკითხა მიტროპოლიტ ანტონს, ტელეგრამით, თუ ვის ჩაბარდეს დროებით მართვა იმერეთის ეპარქიისათ; ამაზედ უპასუხა, რომ პეტრე ეპ(ისკოპოზ)ს ჩაბარდესო. ვემორჩილები უნებურად, ამ ბრძანებას და ათს ამ თვისას, ნავალ ქუთაისს, ღვთის შეწევნითა. ეგზარქმა გამოთქვა, რომ შეიძლება ეპ(ისკოპოზ)ი ლეონიდე დარჩეს პეტრეს ქალაქში 15 დეკემბრამდის... და ამ მცირე დროისათვის კი, მე ამშალეს ჩემის ბინიდამ, რაჲცა, მხცოვანისთვის, სამძიმოა².

სწორედ ქუთაისში მისი მეორედ გამგზავრების პერიოდში, მეუფე პეტრეს წერილი მიუწერია სინოდალური კანტორის იმდროინდელი მდივნის მწერალ სოფრომ მგალობლიშვილისთვის. წერილი ს. მგალობლიშვილის ფონდშია დაცული, რომელიც ლიტერატურულ მუზეუმში ინახება: „... მივიღე თქვენი სიყვარულით აღსავსე წერილი. გამდლობ კეთილის ხსოვნისათვის, რომ შორსაც არ მივიწყებთ.

ახალს ამბავთა გაუზიარებთ ერთმანეთს, როდესაც პირადად გნახავთ; თუ მოასწრებ, გთხოვ წამომიღო ერთი ვედრა ანუ მეტი, თეთრი კახური ძველი ღვინო და 2 თართის დოშიც. ჩემი ჯამაგირიდან გამოართვით, რამდენიც დაგჭირდებათ ამ საყიდლებისათვის.

თქვენი მამობრივ მოყვარე და მლოცველი, პეტრე, ეპ(ისკოპოზი) ალავერდელი. 29 ნოემბერს. ქ. ქუთაისი³.

¹ Толстелис, Правда об автокефалии грузинской церкви (ответ В. Самоилову..), Кутаис, 1905(?), с. 125-216.

² ბ.ერ.ც., კირონის ფონდი, №962 (1906, 9 ნოემბ.), ფ. 1.

³ გ. ლეონიძის სახელ. ლიტერატურის მუზეუმის ს. მგალობლიშვილის ფონდი, №15908, გვ. 1; აგრეთვე, ვ. კიკნაძე, XIX ს. ქართული სამღვდლოება (ხუთი პორტრეტი ეპოქის ფონზე), ჟურნ. „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1998/1999, გვ. 138-147.

საინტერესოა, რომ ამ წერილში, მეუფე პეტრე სოფრომ მგალობლიშვილს სთხოვს ქუთაისში ჩაუტანოს (სადაც, როგორც ჩანს, მგალობრიშვილი გამგზავრებას აპირებდა) კახური ღვინო; აქ ალბათ, თავს იჩენს პ. კონჭოშვილის კახური წარმომავლობა. ცხადია, მოხუცი და ავადმყოფი მეუფე, კახურ ღვინოს მხოლოდ იმ დოზით მიიღებდა, რაც სამღვდელო პირის ხარისხს შეესაბამებოდა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო იყო. მით უფრო, რომ სახარებაში, პავლე მოციქული ამბობს: „ნუ ხოლო წყალსა ჰსუამ, არამედ ღვინოცა მცირედ იმსახურე სტომაქისათვის და ზედააზედა უძღურებასა შენისათჳს“ (ტიმოთეს მიმართ, I, 5.23).

ქუთაისში მეორედ გამგზავრებამდე, მეუფე პეტრე აქტიურად მონაწილეობდა 1906 წ. ოქტომბერში დანიშნულ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების ეპარქიალური შეკრების მომზადებაში. ამ კრების შესახებ იგი კირიონს აცნობებდა სოხუმში. პ. კონჭოშვილი წერდა, რომ მართალია, დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებამ ერთგვარი დამოუკიდებლობა მოიპოვა, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია კვლავ მძიმე მდგომარეობაში რჩებოდა, ამასთან, იგი იშველიებდა პარალელებს ბიბლიიდან: „როდესაც ისრაელის ერის სამმა ტომმა: რუბენ, სვიმონისა და მანასესმან, დაიპყრნეს სამკვიდრებელი აღმოსავლეთ იორდანესა, მაინც მოუცილებელ ვალად აღმოუჩნდათ მიეცათ შემწეობა ცხრა ტომისათჳს, დამკვიდრებისათჳს დასავლეთით იორდანესა“¹... ამისათვის, ამა სამღვდელოების (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს - ვ. კ.) დავედრებით, ძმობრივ გთხოვ, უზომო შრომა მიიღოთ და ჩამობრძანდეთ დედაქ(ალაქ) ტფილისს, თქვენი ეპარქიის სამი წარმომადგენელი მღვდლებითურთ, ორი კვირის განმავლობაში. კეთილშესაწყნარებელ მიზეზად გექნებათ აქ ჩამოსვლისათვის დარბაზობა დიდი ბატონისა (მეფისნაცვლის, ვორონცოვ-დაშკოვის - ვ. კ.) და ამავე დროს ჩვენ შორის გვექნება ძმობრივი მოლაპარაკება მასზედ, თუ რომელნი ღონისძიებანი ანუ საშუალებანი უნდა ვიხმაროთ დედა ეკლესიის - კეთილწარმართებისათვის. ამავე საგანზედ, ამავე

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №961 (1906, 15 სექტ.), ფ. 1; უფრო მართებულ იყო „სვიმონის“ ტომის ნაცვლად, აღნიშნულიყო „გადის“ ტომი. იხ. ისუ ნავეს ნიგნი, 21. 9, 12 და ა. შ.

დროს, ვწერავ ჭყონდიდელს და ქუთათელსაც¹.

კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე იგონებს, რომ მან თვითონ სთხოვა მეუფე პეტრეს ამ შეკრების ორგანიზება. 12 ოქტომბერს კრება მართლაც გაიმართა: „კრებაზე ყველა ეპისკოპოსი გამოცხადდა, დელეგატები კი ზოგიერთი ეპარქიიდან მოვიდნენ. მაგალითად, იმერეთის ეპარქიიდან, არ მოსულან“. ამ კრებაზე განუხილავთ კალისტრატე ცინცაძის მიერ შემუშავებული ქართული ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული ტაქტიკური უკანდახევის საკითხი (ე. წ. „მღვდელთა ჯგუფის აზრი“). კერძოდ, კალისტრატე ცინცაძე ქართულ სამღვდელოებას სთავაზობდა, დროებით ხელი აეღო ავტოკეფალიის მოთხოვნის ულტიმატურ ფორმაზე და ყველა საშუალებით ეცადა საკითხი არ განეხილა სრულიად რუსეთის ე. წ. წინასაეკლესიო სხდომას, სადაც საკითხის დადებითი გადაწყვეტის შანსი მინიმალური იყო.

კირიონს, კ. ცინცაძის აღიარებით, „მღვდელთა ჯგუფის აზრის“ მიმართ, მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაუკავებია; ლეონიდეს კი, საერთოდ თავი შეუკავებია აზრის გამოთქმისაგან².

ცხადი ხდება, რომ მეუფე პეტრეს თხოვნა, დასწრებოდა კრებას, კირიონს შეუსრულებია. სავარაუდოა, რომ თბილისში მის ჩამოსვლას, რუსული საეკლესიო და საერო ხელისუფლება არ მიესალმებოდა (აკი, სულ მალე, იგი გააძევეს საქართველოდან). ამიტომ, საჭირო იყო თბილისში ჩამოსვლისთვის საბაბის მოძებნა (მაგალითად, მეფისნაცვლის ბანკეტი). კირიონი რომ თბილისს იმ პერიოდში, მცირე ხნით, მართლაც ეწვია, ჩანს კირიონისადმი მეუფე პეტრეს 1906 წ. 9 ნოემბრის წერილიდანაც, რომელსაც იგი ასეთი სიტყვებით იწყებს: „თქვენი წასვლის შემდეგ, ტფილისიდან...“³.

1907 წლის აპრილის შუა რიცხვებში, მეუფე პეტრე გორის ეპისკოპოსად გადაიყვანეს⁴. ფორმალურად, ეს დანიშნულება იყო, რადგან გორის ეპისკოპოსი, ეგზარქოსის პირველ ვიკარად ითვლებოდა. მაგრამ რეალურად, ეს ასე არ იყო, როგორც ეს გამოჩნდა

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №961, ფ. 3-4.

² კ. ცინცაძე, დასახ. წიგნი, გვ. 128.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №962 (1906, 9 ნოემბ.), გვ. 1.

⁴ „ისარი“ 1907, №89 (26 აპრილი), გვ. 2; ალავერდელად კი, 1907 წ. სექტემბრის დასაწყისში, აკურთხეს დავით კაჭახიძე.

შემდეგი დროის დრამატული მოვლენებისას. მეუფე პეტრეს ამ გადაყვანასთან დაკავშირებით, გაზეთი „ისარი“ იტყობინებოდა: „...არქიმანდრიტი გრიგოლი (ვახნინი, სასულიერო სემინარიის რექტორი - ვ. კ.) პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც მას ეპისკოპოსად აკურთხებენ. გრიგოლი, ქართლ-კახეთის ეპარქიის მესამე ეპისკოპოსად იქნება, ბაქოს ეპისკოპოსის სახელწოდებით. ამავე დროს ეპ(ისკოპოსმა) პეტრემ, მიიღო გორის ეპისკოპოსის წოდება, ანუ პირველი ქორეპისკოპოსობა. დაბრუნდება თუ არა პეტერბურგიდან ეპ(ისკოპოსი) გრიგოლი, ექსარხოსი ნიკონი პეტერბურგს გაემგზავრება. როგორც ხმა დადის, ექსარხოსი, ეპარქიის გამგეობას ეპისკოპოსს პეტრეს კი არ მიანდობს, როგორც ეს კანონით უნდა იყოს, არამედ ეპისკოპოსს გრიგოლს“¹. ეს წინასწარმეტყველება ნაწილობრივ გამართლდა. 1907 წ. 3 ივნისს იგივე გაზეთი იტყობინებოდა, რომ 1 ივნისს პეტერბურგს გაემგზავრებულმა ეგზარქოსმა, თავის მოადგილედ ორივე: პეტრეც და გრიგოლიც დატოვა².

მეუფე პეტრეს გორის ეპისკოპოსად გადაყვანასთან დაკავშირებით კი, ვინმე ზაქარია „მთისპირელი“³ წერდა, რომ უწინდელი გორის ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი) საბოლოოდ გადაბარგდა რუსეთში. ამასთანავე, „მთისპირელი“ უკმაყოფილებას გამოხატავამდა იმის გამო, რომ სამი ეპისკოპოსის რეზიდენციად (ალავერდის, გორის და ბაქოსი), ოფიციალურად თბილისი რჩებოდა⁴.

ამასთან, პ. კონჭოშვილის ფორმალური დანიშნულება, ნაკლებად ხსნიდა იმ ფაქტს, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ, ეგზარქოსმა ნება არ მისცა ქალთა სასწავლებლის ხელმძღვანელობას, პ. კონჭოშვილი წარედგინათ ანას პირველი ხარისხის ორდენით დასაჯილდოვებლად. ეგზარქოსს უთქვამს, რომ სურვილის შემთხვევაში, მეუფე პეტრესათვის, მისი მრავალი წლის პედაგოგიური მოღვაწეობის აღსანიშნავად, შეეძლოთ მხოლოდ ღვთისმშობლის პანაგია⁵ მიერთმიათ.

¹ იქვე („ისარი“, №89).

² „ისარი“, 1907, №19 (3 ივნისი) გვ. 2.

³ შესაძლოა ეს ფსევდონიმი მ. ჯანაშვილს უკუთვნის.

⁴ „Захаркадзе“ 1908, №56 (8 марта), с. 2-3.

⁵ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №957 (1905, 18 ოქტომბერი), ფ. 1 (პანაგია - ოვალური, გულზე სატარებელი ხატი).

გორში მეუფე პეტრეს მოღვაწეობის შესახებ, თითქმის არაფერია ცნობილი. ერთი რამ კი, დანამდვილებით უნდა ვივარაუდოთ. 1908 წელს, გორში, მტკვარზე აიგო ახალი ქვის ხიდი. იგი გამოირჩეოდა სიმტკიცით და შესანიშნავი არქიტექტურული გაფორმებით; ხიდმა საბოლოოდ დააკავშირა ქალაქის ძირითადი ნაწილი რკინიგზის ვაგზალთან (არქიტექტორი – როტინოვი). ხიდის გახსნას დაესწრო მთელი იმდროინდელი ელიტა, მეფისნაცვლის მეთაურობით. სავარაუდოა, რომ მეუფე პეტრეც ესწრებოდა და ხელმძღვანელობდა ხიდის კურთხევის ცერემონიალს.

მეუფე პეტრეს გარდაცვალებისას, მისი გორში მოღვაწეობის აღსანიშნავად, ერთი დეპეშა გორის სამღვდელოებამაც გამოგზავნა. სამძიმრის დეპეშას ხელს აწერდა დეკანოზი კაპანაძე¹.

ამასობაში კი, თბილისში დრამატული ამბები დატრიალდა. 1908 წ. 28 მაისს, დილით, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კიბეებზე მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი. ეგზარქოსის მკვლელობის გამო, სამი დღით, თბილისში გლოვა გამოცხადდა. აიკრძალა ყველა გასართობი ღონისძიება: ორკესტრების მიერ ბალებში და ქუჩებში მუსიკის შესრულება, სპექტაკლები თეატრებში და ა. შ... საინტერესოა, რომ გლოვის გამო, გაუქმებულა გრიგოლ რობაქიძის დაგეგმილი ლექცია თემაზე: „მარქსიზმი და პიროვნება“². ცნობილი არ არის, შემდგომში თუ გაიმართა ეს ლექცია. არადა, ფრიად საინტერესო იქნებოდა დიდი მწერლის აზრი ამ საკითხზე.

ეგზარქოსის მკვლელობამ, რუსული შავრაზმული ორგანიზაციები ძლიერ ააღელვა (მათ ი. ვოსტორგოვი მოსკოვიდან ხელმძღვანელობდა). შავრაზმელებმა ქართული სამღვდელოების დაუფარავი დევნა-შევიწროება დაიწყეს. კ. ცინცაძის მონაწილობით: „პატრიოტულ“ (ე. ი. შავრაზმულ – ვ. კ.) განწყობილებას, დიდად უწყობდა ხელს სინოდის განკარგულება, რომლითაც, საეგზარქოსოს მმართველად, პირველი ქორეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი) კი არა, მეორე, გრიგოლი (ვახნიანი) დანიშნეს. მაშასადამე, სინოდმაც იცის, რომ ეგზარქოსი ქართველებმა მოკლესო, დაასკვნეს „პატრიოტებმა“³.

¹ კ. ცინცაძე, დასახ. წიგნი, გვ. 134.

² „Заквказье“ 1908, №121 (31 мая), с. 2.

³ კ. ცინცაძის დასახ. წიგნი, გვ. 134.

კ. ცინცაძე იგონებს, რომ ევრონცოვ-დაშკოვმა, იმ მიძივე ვითარებაში, მას თავისი ქართველი წარმომადგენლები, ახალგაზრდა ადიუტანტები: ჭავჭავაძე და ამილახვარი მიუგზავნა. მათ კ. ცინცაძეს გადასცეს მეფისნაცვლის თხოვნა, რათა ქართული სამღვდელეობა, ნიკონის დაღუპვის გამო, ოფიციალური სამგლოვიარო ვიზიტით სწვეოდა მას. კალისტრატე ცინცაძეს შუამავლებისათვის უთქვამს: „მოგეხსენებათ, მე ერთი უმცროსი მღვდელი ვარ, ამიტომ გამიჭირდება მღვდლების მოწვევა ვითაო, მაგრამ რაც მითხარით, ყოველივეს ყოვლადსამღვდელო პეტრეს მოვახსენებ და ალბათ, შესაბამის განკარგულებას გასცემს მეთქი“. კ. ცინცაძეს ისიც უთქვამს, რომ უხერხულად მიაჩნდა საქართველოს ეკლესიის ოფიციალური საჭეთმპყრობლის დაღუპვის გამო, სამძიმარს უცხადებდნენ მეორე, რუს ქორეპისკოპოსს და არა პირველს – ქართველ ვიკარს (ე. ი. პეტრე კონჭოშვილს)¹. კვლავ კალისტრატე ცინცაძეს მოუხსმინოთ: „ზემოთქმული, ყოვლადსამღვდელო პეტრეს მოვახსენე. მან მიბრძანა ორი მიმართვა მომემზადებინა: ერთი საეგზარქოსოს მმართველისათვის, ყოვლადსამღვდელო გრიგოლის სახელზე, რათა სამღვდელეობას მასზე ხელი მოეწერა, მეორე – მეფისნაცვლის სახელზე, რომ ქართველ ეპისკოპოსებს მისთვის მიერთმიათ. ბრძანება იმავე დღეს შესრულდა. მეფისნაცვალთან მისულ დელეგაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პეტრე, ლეონიდი და დავითი (კაჭახიძე – ვ. კ.), მეც ვიყავი“². ამ მოგონებებიდან ჩანს, რომ იმ პერიოდში, მეუფე პეტრე შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა. თუმცა, რუსულმა მმართველობამ ის არ სცნო იმ პირად, ვინც საეგზარქოსოს სათავეში ჩაუდგებოდა, იმ დრამატული მოვლენების დროს. ამით, რუსულმა ხელისუფლებამ, თავისდაუნებურად, ხაზი გაუსვა იმას, რომ მოკლეს არა საქართველოს უპირველესი სულიერი მოძღვარი, არამედ რუსეთის მოხელე. რაც შეეხება ეგზარქოსის მკვლელობის გამო ოფიციალური ხელისუფლებისადმი მისამძიმრებას ქართული ეკლესიის მხრიდან, ბუნებრივია, ეს აუცილებელი იყო. გარდა ასეთ დროს მიღებული ფორმალობისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ი. ვოსტორგოვის სიტყვები გამართლ-

¹ იქვე, გვ. 139-140 (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

² იქვე, გვ. 141.

დებოდა, რომ სწორედ ქართველმა სამღვდელოებამ მოუსწრაფა სიცოცხლე საქართველოს უმაღლეს საეკლესიო იერარქს. გაზეთ „ზაკავკაზიეს“ ცნობით (გამომცემელი პარმენ გოთუა), ქართველმა ეპისკოპოსებმა: ლეონიდემ, პეტრემ და დავითმა მხოლოდ ერთხელ წირეს საეგზარქოსის „ჯვრის ეკლესიაში“ (ალბათ, ე. წ. „ჯვარის მამის“ ეკლესია), შემდეგ კი, სულ რუსული სამღვდელოება წირავდა სიონში, ვაგზალზე და ა. შ. ვაგზლიდან, ეგზარქოსი, მის მშობლიურ ვლადიმირში გაასვენეს: „გასვენება მოხდა ხუთი პირველი კლასის ვაგონით, რომლებიც, ეკლესიის მსგავსად იყო მონობილი“¹. სხვათაშორის, გაზეთის მონობით, „ჯვარის მამის“ ეკლესიაში არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაიას) „გრძნობიერი სიტყვა“ უთქვამს განსვენებულზე². არქიმანდრიტი ამბროსი, თითქოს გრძნობდა იმ მოახლოებულ სასჯელს, რასაც მას უმზადებდნენ, როგორც ვითომდა ეგზარქოსის მკვლელობის ერთ-ერთ ორგანიზატორს (რადგან თავის დროზე, იგი ნიკონის ბოიკოტირების აქტიური მომხრე იყო და ნიკონიც „წითელ არქიმანდრიტს“ უწოდებდა). მართლაც, მკვლელობიდან ერთი წლის თავზე, 1909 წ. 1 იანვარს არქიმანდრიტი ამბროსი რუსეთში, რიაზანის სამეზბის მონასტერში გადაასახლეს³. ი. ჩიჯავაძის ერთი წერილიდან კირიონისადმი ვიგებთ, რომ არქიმანდრიტის ამ გადასახლებას, მეუფე პეტრეზე ზარდამცემი გავლენა მოუხდენია და ფაქტობრივად, ამის შემდეგ, ის აღარც გამოკეთებულა⁴.

მეუფე პეტრე მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ქართულ სამღვდელოებაში, 1905-1906 წლისათვის გაჩნდა „ორი დასი“. როგორც ჩანს, იგი გულისხმობდა მათ, ვინც ავტოკეფალიის საკითხში არავითარ უკან დახევას არ აპირებდნენ (კირიონის მეთაურობით) და კალისტრატე ცინცაძის ე. წ. „მღვდელთა ჯგუფს“, რომელთა ვინაობა თავდაპირველად დაფარული იყო. თვით კ. ცინცაძე, ბრძოლის იმ ეტაპზე, გარკვეული უკანდახევის მომხრე იყო. კერძოდ, იგი წერდა: „დაე, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიები, ამ კრებაზე

¹ „Закавказье“ 1908, № 123 (1 июня), с. 1.

² იქვე.

³ კათალიკოსი ამბროსი (ხელაია), თბ., 1994, გვ. 30; აგრ. კ. ცინცაძე ჩემი მოგონებებიდან... გვ. 135.

⁴ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, № 1236 (1909 12 თებერვალი), ფ. 1.

(სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე – ვ. კ.) გაემიჯნონ სახელმწიფოს, შემდეგ კი, ერთმანეთს. დაე, საქართველოს საეგზარქოსო ამ კრებაზე გამოიყოს (თუნდაც მიტროპოლიტ ვლადიმერის პროექტით) ცალკე სამიტროპოლიტოდ, თვითონ სამწყსომ შეარჩიოს ღირსეული მღვდელმთავარი, რომელსაც ეცოდინება ქართული და თუნდაც არ იყოს ქართველი – იყოს რუსი, ბერძენი თუ ოსი¹. არ შეიძლება განცვიფრება არ გამოინვიოს „ავტოკეფალიისათვის ტაქტიკური ბრძოლის“ ასეთმა პროექტმა. სხვას რომ თავი დავანებოთ, განა ქართული ენის ცოდნა (ისიც საკითხავია – რა დონით?), საკმარისი იყო იმისათვის, რომ საუკუნის მანძილზე საქართველოს ნანატრ მწყემსმთავრად, რუსი, ოსი, ბერძენი და სხვა ეროვნების პირი აერჩიათ? ასეთ პროექტს სინოდი, ალბათ დიდი სიამოვნებით მიიღებდა. ბუნებრივია, რომ იგი, რბილად რომ ვთქვათ, არ მოეწონათ კირიონს და ავტოკეფალიისათვის მებრძოლ მეცნიერებს: ა. ხახანაშვილს, ა. ცაგარელს და ა. შ. რასაც თვით კ. ცინცაძე აღიარებს.

მეორე მხრივ, თუ კ. ცინცაძე მიიჩნევდა, რომ ავტოკეფალიისთვის ბრძოლის იმ ეტაპზე, ასეთი დიდი დათმობების დაშვება შესაძლებელი იყო, გაუგებარია, რატომღა გმობს იგი ასე სასტიკად, ნიკოლოზ დურნოვოს პროექტებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ? კალისტრატე ცინცაძე დურნოვოს მოსაზრებებს, არც მეტი, არც ნაკლები: „გაბავშვებული, ჭეშმარიტი რუსი ბერიკაცის ბოდეას“² უწოდებს. ნ. დურნოვოს პროექტის მიმართ, სერიოზული შენიშვნები ჰქონდა კირიონსაც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ის იყო ეროვნებით რუსი და თანაც ცნობილი მონარქისტი. ამავე დროს, დაუშვებელია წყალში გადაყაროთ დურნოვოს უდიდესი შემართება ქართული ეკლესიისა და კირიონის დასაცავად. ნ. დურნოვო მზად იყო 200.000 წერილი დაეგზავნა მთელ რუსეთში, კირიონის უსამართლო გადასახლებიდან დასაბრუნებლად³. მან ასევე, არნახული პირდაპირობით ამხილა რუსი ეგზარქოსების ანტიქართული პოლიტიკა (იხ. მისი „ქართული ეკლესიის ბედი“), რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ნ. დურნოვომ დაასამარა ქართველთმოძულე დეკანოზი ი. ვოსტორგოვი. თვით ვოსტორგოვის აღი-

¹ კ. ცინცაძე, დასახ. წიგნი, გვ. 125.

² იქვე, გვ. 214.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №295, ფ. 1-2

არებით, დურნოვოს მიერ მის წინააღმდეგ დაწერილი ბროშურა, ციმბირის შიდა გუბერნიებშიც კი არ აძლევდა მოსვენებას, რადგან ყოველ სადგურზე ამ „პასკვილით“ ხვდებოდნენ¹.

კვლავ ქართული სამღვდელოების 7 დეკემბრის კრებას დაუბრუნდეთ. კ. ცინცაძის პროექტის ირგვლივ, როგორც ითქვა, მწვავე კამათი გამართულა. ეპისკოპოსმა ლეონიდემ, როგორც აღვნიშნეთ, თავი შეიკავა ამ საკითხზე თავისი აზრის გამოთქმისაგან. შესაძლოა, ესეც გახდა მიზეზი მისი დაპირისპირებისა საკუთარ სამწყსოსთან. მეუფე პეტრე ამის შესახებ კირიონს შემდეგს სწერდა: „იმერთა დელეგატები (იგულისხმება 1905 წ. 7 დეკემბერს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების კრების დელეგატები - ვ. კ.) თხოულობდნენ ეხლავე კავშირის განწყვეტას რუსეთის ეკლესიასთან და კათალიკოზის ამორჩევას, რომელმანც მათი ამორჩევითა, გელათში უნდა იცხოვროს და არა სვეტი-ცხოველთან. ლეონიდ ეპ(ისკოპოზს) დიდი განხეთქილება აქვს თავის ეპარქიის სამღვდელოებასთან. თვითონ ლეონიდე ჩამოვიდა აქ (თბილისში - ვ. კ.) 6 დეკემბერს. მე გულით მოვინადინე მისი შერიგება სამღვდელოებასთან; კრებაზე მამობრივ ვთხოვე მათ დელეგატებს თავი მოედრიკათ და შენდობა მოეთხოვათ იმიერ მწყემსმთავრისაგან, მაგრამ არა ინებეს“².

მეუფე პეტრე უპირველესად იმიტომ სთხოვდა იმერთა დელეგატებს თავიანთ მწყემსმთავართან შერიგებას, რომ ავტოკეფალიის საერთო საქმე არ დაზარალებულიყო. ამიტომ სცნო მან საჭიროდ, ამ საკითხის შესახებ მიენერა კირიონისათვისაც, თუმცა კარგად უწყოდა, რომ ამ ორი თვალსაჩინო მწყემსმთავრის (კირიონისა და ლეონიდეს) პირადი ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო. ყველა მისი წერილიდან ჩანს, რომ მეუფე პეტრე ცდილობს კი არ გააღრმავოს დაპირისპირება მათ შორის (რამაც, სამწუხაროდ, 1918 წელს, საშინელ შედეგამდე მიგვიყვანა), არამედ შეარიგოს მღვდელმთავრები. 1906 წლის 1 მარტის წერილში, იგი კირიონს ასე სწერდა: „ეპ(ისკოპოზ) ლეონიდეს ძმურს მოკითხვას ვუძღვნი, მოუთმენლად ველოდები მის მობრუნებას თავის ეპარქიაში, რათა

¹ И. Восторгов, Клевста Н. Дурново, М., 1909, с. 3.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №958 (1905, 21 დეკემბერი), ფ. 1-2.

მეც ჩქარა მელირსოს ტფილისს დაბრუნება¹. ტაქტიკით, სხვისი ავტორიტეტის მოშველიებით, ცდილობს პ. კონჭოშვილი კირიონისა და ლეონიდეს მორიგებას. 1905 წ. 16 აგვისტოს წერილში, იგი ასე მიმართავს კირიონს: „დ. ცაგარეიშვილი, 15-ს წავიდა აქედამ. ბოლოს წარმოსთქვა, რომ ეს კარგი არ არის, რომ არ რიგდებიან ეპ(ისკოპოზები) ლეონიდე და კირიონი. რა აქვთ გასაყოფი? მე ვუპასუხე: ავტოკეფალია თუ დაარსდება, ერი ამოარჩევს კათალიკოსს. იმან სთქვა: ეპ(ისკოპოზ) კირიონს ეგ ზარხად დანიშნავენ, ეგ უფრო შესაძლებელიაო².“

მეუფე პეტრე ღრმად განიცდის საქართველოს ყოველ კუთხეში მიმდინარე არასასურველ მოვლენებს. იგი კისლოვოდსკიდან კირიონს აღშფოთებული სწერდა იმის შესახებ, რომ მეფისნაცვალს (ვრონცოვ-დაშკოვს): „ნება დაურთავს... აღშენდეს მეჩეთები ოჩამჩირეში და გუდაუთაში, სადაც თავისდღეს არ ყოფილა ეს ისლამის სალოცავნი. ესლა აკლდა ქრისტიანობის დაღუპვას!“³. სამაგიეროდ, პეტრე კონჭოშვილი აღფრთოვანებულია ჩრდილოკავკასიელ ქართველთა ერთობით და ქართული საქმის კეთების მზადყოფნით. იგი წერდა: „21 აგვისტოს გამართეს დიდი წვეულება იოსებ შულღიევმა და გრიგოლ ბურდულმა; მოიწვიეს ადგილობრივი ინტელიგენცია და ბურჯუაზია, ქართველი საზოგადოებისა. გულით გავიხარე, რომ ვიხილე ამათი ერთობა. ფსალმუნისაებრ: „აჰა, ესერა რაიმე კითილ, ანუ რაიმე მშვენიერ, არამედ ძმათა დამკვიდრება ერთად...“ აქ აღიძრა საუბარი იმის შესახებ, რომ ქართველს საზოგადოებას, რომელიც სცხოვრობ[ს] ალაგირის მახლობლად, დაენიშნოს საკუთარი მღვდელი და დაასახელეს ამისათვის გიორგი კალანდარიშვილი. მეც კვერი დავკარ ამ არჩევანზედ... ამ სადილზევე იყვნენ გუბერნატორის მოხელენი: მაყაშვილი პოლკოვნიკი და მიხეილ კონსტანტინეს-ძე მამაცოვი. ამათაც აღუთქვეს შემწეობა ამ საქმეში გუბერნატორის წინაშე. მაშასადამე, უქმად არ გვიჭამია პური ამ დღეს“⁴.

გიორგი კალანდარიშვილი პ. კონჭოშვილს ადრევე სცნობე-

¹ იქვე, №958 (1906, 6 მარტი), ფ. 3.

² იქვე, №967 (1906? 16 აგვისტო), ფ. 4.

³ იქვე, №951 (1905, 31 ივლისი), ფ. 1.

⁴ იქვე, №955 (1905 26 აგვისტო), ფ. 3-4.

ბია. ამას გვაფიქრებინებს კირიონის ფონდში დაცული პეტრე კონჭოშვილის ერთი ფოტოსურათი (ამოღებულია კირიონის წიგნიდან „საქართველოს ეგზარქატის მოკლე ისტორია“). ფოტოსურათს ახლავს სამახსოვრო წარწერა: „სულიერს შვილს მთავარდიაკონს გიორგი ქაიხოსროს-ძე კალანდარიშვილს, ლოცვაში მოსახსენებლად. დეკან. პეტრე კონჭოშვილი; 19 მაისს, 1903 წელსა“¹. რაც შეეხება მეუფე პეტრეს მიერ ამავე წერილში ნახსენებ პოლკოვნიკ მაყაშვილს, ჩანს, რომ იგი ამ მხარის მმართველ წრეებთან დაახლოებული პირია. მაყაშვილთა გვარი, საერთოდ გამორჩეული იყო მეომრობითა და მნიგნობრობით, მაგრამ ამ პირის ინიციალების გარეშე მოხსენიება, აძნელებს მის ზუსტ იდენტიფიცირებას. სამაგიეროდ, აშკარაა, რომ წერილში დასახელებული მიხეილ კონსტანტინეს-ძე მამაცოვი (მამაცაშვილი), რუსეთის არმიის განთქმული გენერალ-ლეიტენანტის, საზოგადო მოღვაწისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობრის – კონსტანტინე მამაცაშვილის (1818-1900) ვაჟია. მიხეილ მამაცაშვილი იმ დროს, ჩრდილო კავკასიის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელის თანამდებობას ასრულებდა. საუბედუროდ, მეუფე პეტრეს მიერ აღწერილი მოვლენებიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1907 წ. 2 მაისს, მიხეილ მამაცაშვილი ტერორისტმა ვერაგულად გამოასალმა სიცოცხლეს².

მეუფე პეტრეს ბოლო წერილი კირიონისადმი, დათარიღებულია 1907 წლის იანვრით. სამწუხაროდ, ამ თარიღის შემდეგდროინდელი მისი მოღვაწეობის შესახებ, მხოლოდ ფრაგმენტული მონაცემები გვაქვს.

1907 წ. 15 თებერვალს თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებს გადაუწყვეტიათ გაფიცვით აღენიშნათ თავიანთი ორი წლის წინანდელი გამოსვლა (მართლაც, 1905 წ. თებერვლის ერთ-ერთ წერილში, პეტრე კონჭოშვილი აცნობებდა კირიონს, რომ თბილისის პირველ გიმნაზიაში, ეპარქიალურ სასწავლებელში და სხვაგან, მოსწავლეთა გამოსვლებს ჰქონდა ადგილი). გაფიცვის ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ეგზარქოს ნიკონს. ეგზარქოსს, ამ შემთხვე-

¹ იქვე, №1609 (პ. კონჭოშვილის ფოტო).

² სამგლოვიარო განცხადება, „ისარი“, 1907, №97 (6 მაისი) და „ისარი“, №98 (8 მაისი).

ვაში, გაახსენდა, რომ არსებობს ეპისკოპოსი პეტრე, რომელიც მიავლინა სემინარიაში წესრიგის დასამყარებლად; როგორც მოკლე საგაზეთო შენიშვნიდან ჩანს, მეუფეს სემინარიელების გამოსვლის მიზეზი უკითხავს და როდესაც მათ უთქვამთ, რომ არავითარი მოთხოვნები არ ჰქონდათ (მხოლოდ გამოსვლის „იუბილეს“ აღნიშნავდნენ), საქმეც მშვიდობიანად მოუგვარებია. გაზეთი „ისარი“ შემდეგ ნომერში იტყობინებოდა, რომ სასულიერო სემინარიის საბჭომ (რომლის შემადგენლობის უმრავლესობა არაკეთილგანწყობილი იყო ქართველებისადმი) ბევრი მსჯელობის შემდეგ, დაადგინა, რომ არავინ არ გაერიცხა; სემინარიელებს მხოლოდ გაფრთხილებები მისცეს და ნიშნები დაუკლეს ყოფაქცევაში¹.

1907 წლის სექტემბერში, მეუფე პეტრე აირჩიეს იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დაევალა გასწორებული ბიბლიის ქართულ ენაზე გამოცემის საქმე. გაზეთი „ისარი“ იუწყებოდა: „სინოდის სამეურნეო განყოფილებამ განიხილა საქართველოს ეგზარქოსის მოხსენება დაბადების (ბიბლიის) ადგილობრივ ენებზე გადართარგმნის შესახებ და ნება დაერთო ექსარქოსს, გორის ეპისკოპოს პეტრეს თავმჯდომარეობით, დააარსოს კომისია სასინოდო კანტორასთან, დაბადების და საღვთის-მსახურო წიგნების შესასწორებლად. წიგნები უნდა დაბეჭდონ მოსკოვში, სასინოდო სტამბაში. გამოცემის გეგმის შესამუშავებლად ტფილისში გამოჰგზავნიან მოსკოვიდან სტამბის გამგეს სოლოვიოვს“². როგორც ადრე, იმჟამადაც ეს საქმე რატომღაც ვერ განხორციელდა. შესაძლოა, ქართული ბიბლიის ბეჭდვას ხელი შეუშალა ჯერ ეგზარქოსის მკვლელობამ (1908 წ.) და შემდეგ, მეუფე პეტრეს (1909 წ.) გარდაცვალებამ.

1907 წ. 8 ნოემბერს მეუფე პეტრე აირჩიეს ახლად დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად³. იგი ამ საზოგადოების წევრად რჩებოდა გარდაცვალებამდე. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ გორის ეპისკოპოსი პეტრე მოხსენიებულია „საზოგადოების“ 1909 წ. 1 იანვრის სიებშიც⁴

¹ „ისარი“, 1907, №36, გვ. 2; „ისარი“, №39 (2 თებერვ.), გვ. 2.

² „ისარი“, 1907, №204 (19 სექტემბერი), გვ. 3.

³ რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ. 18.

⁴ იქვე, გვ. 284.

(ე. ი. პეტრე კონჭოშვილის გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე).

მოღვაწეობის ბოლო წლებში მეუფე პეტრე აურჩევიათ საქართველოს საეპარქიო-საეკლესიო მუზეუმის და სვეტიცხოვლის რესტავრაციის კომიტეტის თავმჯდომარედ¹.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მეუფე პეტრეს უპირველესი მეგობარი, ეპისკოპოსი კირიონი იყო. საოცრად თბილი წერილებით მიმართავს პეტრე კონჭოშვილი კირიონს. პ. კონჭოშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საქმის უბადლო მეთაური და გზამკვლევი, სწორედ მისი მეგობარი კირიონი იყო.

1902 წელს საქართველოდან კირიონის მოულოდნელი გასახლება (ი. ვოსტორგოვის მითითებით), პეტრე კონჭოშვილისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა: „თქვენს შემდეგ, დავშთი ობლად, არავინ მყავს, ვისაც შეიძლებოდა გაეუზიარო ჩემი სულის მწუხარება. დავშთით ვითარცა ცხოვარნი უმწყემსოდ; უწინამძღვროდ ვერა რომელსამე საქმეს ვახერხებთ, სასარგებლოდ სამშობლო ეკლესიისა“². იგივე აზრია გატარებული სხვა წერილშიც: „არავინ, ჩვენი თანამგრძნობი მამულიშვილი არ მოიპოვება აქ, რომ გაეუზიარო გულის ზოგადი ვარამი და დარდი. თქვენის გადაყვანის შემდეგ, მესრულიად ობლად ვგრძნობ თავს“³.

კირიონს, მეუფე პეტრე უწოდებს ქართული ეკლესიის ელისეს, ეზრას, ნეემიას, სვიმონს⁴. ყველა ეს წინასწარმეტყველი, თუ ებრაელი ერის დიდი მოღვაწე, შემთხვევით არ დაუსახელებია მეუფეს. ელისე, ის წინასწარმეტყველია, ვისაც, როგორც თვითონ აღნიშნავს, წინასწარმეტყველი ილიას „მრჩობლი“ (ორმაგი) ძალა გადაეცა ილიას ზეცად ამალლების შემდეგ. აქ მინიშნება იმაზეა, რომ ელისე, სიცოცხლეშიც იღწვოდა თავისი ხალხის აყვავებისათვის და სიკვდილის შემდეგაც. ასე მაგალითად, ის ვინც მის საფლავს შეეხებოდა, გარდაცვლილიც კი კვლავ აღსდგებოდა (4 მეფეთა წიგნი, 2. 10; 13-21); ეზრამ, ანტიარქსერქსე სპარსელის მონობისაგან

¹ სცსსა, ფონდი №489, აღწ. 1, საქმე №22738, ფ. 4-6 (კ. ცინცაძის და ა. ნატროშვილის „მოხსენებები“).

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №940 (1902 10 ოქტ.), ფ. 1.

³ იქვე, №943 (1903, 14 ივნ.), ფ. 1.

⁴ იქვე, №949, გვ. 4 და №950, ფ. 4.

დაიხსნა თავისი ხალხი და სამშობლოში დააბრუნა ის (I. ეზრა; 7; 1-10); ნეემიამ კი იზრუნა ამ დაბრუნებული თანამემამულეების სულიერი აღორძინებისათვის (ნეემია, 2. 17-18). თავის მხრივ, მხცოვანი სვიმეონ მართალი (ანასთან ერთად), მოესწრო მესიის მოვლინებას და ერს ამცნო ეს სასიხარულო ამბავი (ლუკა; 2; 22-39). აი, ამ დიდ პიროვნებებს ადარებდა მეუფე პეტრე თავის მეგობარ კირონს. ჩვეულებრივ, იგი კირონს ასე ხატოვნად მიმართავდა: „ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, ღრმადპატივცემულო მწყემსმთავარო და უძვირფასესო თანამემამულეო!“¹ ან: „მაღალპატივცემულო მაგალითო, მშრომელო სამშობლოს სასიქადულოდ!“² ანდა: „ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, საქართველოს შარავანდედო!“³ ანდა კიდევ: „საქართველოს ეკლესიის სვეტო და ანგელოზო!“⁴ და ა.შ. მეუფე პეტრე, პირველად სწორედ კირონს ამცნობდა ხოლმე იმ სასულიერო, თუ საერო პრობლემებს, რომლებიც საქართველოს წინაშე იდგა. ხშირად, მეუფე პეტრე კირონს ამხნევებდა და მისგანაც რჩევას და თანადგომას იღებდა. კირონს უზიარებდა იგი თავისი კვლევის შედეგებს და სთხოვდა აზრის გამოთქმას. მეუფე პეტრე ძალზე წუხს, რომ საქართველოს მოაშორეს ასეთი დიდი ავტორიტეტი, მწყემსმთავარი, მკვლევარი და სამშობლოსათვის თავდადებული პიროვნება. პ. კონჭოშვილი ხშირად ღმერთს შესთხოვს კირონის უვნებლად დაბრუნებას სამშობლოში, თვით მას კი ევედრება თავს გაუფრთხილდეს: „ღმერთმან გვალისოსო თქვენი მშვიდობით და კეთილწარმატებით მობრუნება სამშობლოს! გაუფრთხილდით თქვენს თავს, მანდაურ ბაიყუშს (ე.ი. უბედურ - ვ.კ.) ჰაერში“⁵ ერთ-ერთ წერილში, პ. კონჭოშვილი, რუსეთში გადასახლებულ კირონს იმით ანუგეშებდა, რომ მას უდიდეს ქრისტიან მამას - გრიგოლ ღვთისმეტყველს ადარებდა და გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. „იმანაც მოითმინა ამგვარი დაბალი კათედრის ეპისკოპოსად წოდება (იგულისხმება კირონის გადაყვანა ბალტის კათედრაზე, ვ.კ.) და ბოლოს განგებამ, ლუთისა-

¹ იქვე, №940, ფ. 1.

² იქვე, №954, ფ. 1.

³ იქვე, №954, ფ. 1.

⁴ იქვე, №961, ფ. 1.

⁵ იქვე, №940, ფ. 4.

გან არგუნა მას უპირველესი ადგილი ტახტის ქალაქში... თუმცა წმ. გრიგორი მცირე ხანს მამამთავრობდა კონსტანტინეპოლში, გარნა უკანასკნელნი წელნი თავის ცხოვრებისა, მაინც მოსვენებით გაატარა სამშობლო არიანზსა და ნაზიანზში¹. ეს სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა; თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ სანახევროდ! საქართველოში დიდებით დაბრუნებული კირიონი, 1917 წელს პირველ-კათალიკოს პატრიარქად აღასაყრდეს სვეტიცხოველში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საუკუნოვანი წყვეტის შემდეგ, მაგრამ ვაი, რომ სამშობლოში მოსვენებით ცხოვრება მას არ აცალეს. ძალიან მალე, მსცოვანი პატრიარქი სიცოცხლეს გამოასალმეს! ...

ზოგიერთ წერილში, პეტრე კონჭოშვილი კირიონს გადაკვრით იმასაც აცნობებს, რომ მისი ყოფილი სამწყსოს ეკლესია-მონასტრები უანდარმებს გაუჩხრეკიათ: „წარსულს ენკენისთვეში, „ლურჯმა მტრედებმა“ (უანდარმებმა, ვ. კ.) მიმოიხილეს შუამთა, ალავერდი, წყაროსთავი. ვითარცა, ვითომც საეჭვო ადგილნი; მაგრამ საკენკი ვერა ნახეს რა“². ის ფაქტი, რომ ორივე მოღვაწე უახლოესი მეგობრები იყვნენ და ნახევარი სიტყვიდან ესმოდათ, როგორც ქვეყნის საერთო ჭირი და ვარამი, ასევე ერთმანეთის პრობლემები, პეტრეს ამ სიტყვებიდანაც კარგად ჩანს: „გულს გული თანაუგრძნობსო, ამაზე იტყვიან. რკინა-რკინას ლესავს, ხოლო მეგობრის შეხედვა გაამხნევებს კაცსაო, იტყვის ბრძენი სოლომონი... ღმერთმან შემადლებინოს, თქვენის წმიდის ლოცვის შეწევნითა და ზნეობრივის დახმარებითა, ღირსეულად ვემსახურო საყვარელს სამშობლოსა და ეკლესიასა, ძალისაებრ ჩემისა“³.

პეტრე და კირიონი იმდენად ახლო მეგობრები იყვნენ, რომ როგორც აღვნიშნეთ, კირიონმა არა მხოლოდ პირველმა მიულოცა პ. კონჭოშვილს ეპისკოპოსობა, არამედ ხელდასხმის ცერემონილისათვის საჭირო ნივთებიც თვითონ შეუძინა და გამოუგზავნა (მიტრა, პანაგია, ჯვრები და ა. შ.).

როგორ შეძრწუნდა პეტრე კონჭოშვილი, როდესაც კირიონის

¹ იქვე, №941, ფ. 2.

² იქვე, №941, ფ. 4.

³ იქვე, №942, ფ. 1.

ნებართვით, მის სახელზე მოსული ანონიმური წერილი გახსნა: ანონიმური წერილები მოწმობენ, რომ უკვე მაშინ, 1905 წელს, კირონს მეთოდური დევნა დაუწყეს (როგორც ჩანს, ქართული სამღვდულოების ზოგიერთმა წარმომადგენლებმა). პეტრე წერდა: „ტფილისიდან მოვიდა ეს წერილი (ალბათ კისლოვოდსკში, სადაც 1905 წ. აგვისტოში, პეტრეც და კირიონიც იმყოფებოდნენ – ვ. კ.). თქვენის ნებართვით გავხსენი, წავიკითხე და ამის შინაარსით, სულით შევეძრწუნდი. ეს რა ღვთის რისხვაა?“¹. უნდა ვიფიქროთ, საუბარია იმ ანონიმურ, რუსულად, ოთხკუთხა ასოებით დანერილ წერილზე, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კირიონის ფონდში დღესაც ინახება. ამას გვაფიქრებინებს მეუფე პეტრეს მომდევნო წერილში დაფიქსირებული ასეთი დეტალი: „ვისი მზაკვრობა უნდა იყოს მუქარის წერილის მოწერა? ჩვენისა ანუ უცხო ტომთაგანისა?“². ამ ფრაზით დასტურდება ის, რომ წერილი რუსულად იყო დანერილი, იმ მიზნით, რომ უცხო ტომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო ეჭვის მიტანა. აქვე წარმოვადგენთ აღნიშნული მუქარის სავარაუდო წერილს: „Ваше преосвященство! Покупленные (უნდა იყოს: Подкупленные, – ვ. კ.) неблагородными людьми, на днях, убьют Вас. Немедленно выезжаете в свою епархию!“³. როგორც უნდა ვივარაუდოთ, კირიონის კისლოვოდსკში ჩასვლა (საქართველოსთან მოახლოება და მიტროპოლიტ ანტონთან საუბარი), მის პირად მოქიშპეებს არ მოეწონათ და ამ გზით სცადეს მისი შეშინება და უკან, რუსეთში, თავის ეპარქიაში მიბრუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კირიონს, თავის გადასახლების ადგილებში, ისევ რუსეთში დაბრუნებას, არ მოსთხოვდნენ. ანდა იქ, რუსეთში მისწერდნენ მუქარის წერილებს. კირიონს, თავის მხრივ, წერილი სერიოზულად არ მიუღია (არა და ეს ამბავი რომ ძალზე სერიოზული იყო, მოგვიანებით გამოჩნდა). კირიონის არასერიოზული დამოკიდებულება მუქარისადმი, ჩანს კონჭოშვილის კიდევ ერთი წერილიდან. პ. კონჭოშვილი, ზედმეტი სიფრთხილის გამოჩენის გამო, კირიონის საყვედურის პასუხად, მას შემდეგ სწერდა: „კახელი კაცის მხდალობას, ის-

¹ იქვე, №965 (უთარილო, 1905? 1 აგვისტო), ფ. 1.

² იქვე, №953 (1905, 7 აგვისტო), ფ. 1.

³ იქვე, №1352 (უთარილო).

ტორია ვერ იტყვის, მომეტებულად თქვენის მეგობრის იერუსალიმელისას. უკეთუ შევძრნუნდი მუქარის წერილზედ, მეგობრის სიყვარულისთვის. თვით ქრისტე მაცხოვარი სტიროდა საყვარელი მეგობარი ლაზარეს საფლავზედ. სული გულსმოდგინე არის, ხოლო ხორციანი უძღურნი¹.

ზოგიერთ წერილში, პეტრე კონჭოშვილი მადლობას უხდის კირიონს, გამამხნევებელი და საქმიანი რჩევებისათვის: „გმადლობთ უმდაბლესად, რომ შორითგანაც ზრუნავთ და მეცადინეობთ სამშობლოს სულიერი კეთილწარმართებისათვის და ჩემს მოხუცებაშიც მამხენვებთ სამშობლოს სამსახურებლად. ვცდილობ, მადლითა ღუთისათა და თქვენის მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევითა, ვიმრომო, ვიდრემდის ღონე და ძალი შემწევს“².

ზოგჯერ კი ძალუმად ისმის მხცოვანი მოძღვრის ჩივილი ქვეყნის იმდროინდელი ვითარებისა და პირადად მისი ერთგვარი გარიყულობის გამო. კვლავ კირიონია მისი იმედი და საყრდენი: „სანყალი ბერი ქედანი, ბოლოში მიაგდიან(ო), ვინ ამოიღებს ხმას ჩემ სასარგებლოდ? თქვენ ცხრა მთას იქით დაშორებული ხართ, ხორციელად და არა სულიერად. დარწმუნებული ვარ თქვენს მეგობრულს სიყვარულზედ და ზეციერის იერუსალიმშიც არ დამივინყებთ...“³.

სითბოთი და სიყვარულით ულოცავს მეუფე პეტრე კირიონს მისი ანგელოზის დღეს. 1907 წ. კოვნოში (კაუნასი) გაგზავნილი დეპეშა ასეთი შინაარსისაა: „Приветствую Вас владыко(с) днем Ангела! Молю Бога, продлить Вашу жизнь(ь) Мравалжамиер, на пользу церкви и родине – Иерусалимели“⁴.

ასევე, მას არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ჩრდილო-კავკასიაში ქართული საზოგადოების ფართო ფენების მიერ გამართულ წვეულებაზე: „პირველი ტოსტი, წარმოსთქვა პურისუფალმა შულღიევმა, თქვენის მეუფების სადღეგრძელოდ; დამატებით, ვითარცა ჩემი მეგობრისა!“⁵. ზოგჯერ, მეუფე პეტრე კირიონს ასეთი შე-

¹ იქვე, №954 (1905, 9 აგვისტო), ფ. 1-2.

² იქვე, №944 (1903, 29 აგვისტო), ფ. 1.

³ იქვე, №967 (1905? 16 აგვისტო), ფ. 1.

⁴ იქვე, №966* (დეპეშა 1907?).

⁵ იქვე, №955 (1905, 26 მაისი), ფ. 1.

სანიშნავი სიტყვებით ამხნევებდა: „მტკიცედ სდევით სამშობლო ეკლესიის დამოუკიდებლობაზედ, რითაც უკვდავს ჰყოფთ თქვენს სახელს საქართველოს ეკლესიის ისტორიაში!“¹.

მეუფე პეტრე კარგად იცნობდა ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელს იაკობ გოგებაშვილსაც. როგორც ადრე ვაჩვენეთ, იაკობ გოგებაშვილმა მშვენიერი რეცენზია მიუძღვნა პეტრე კონჭოშვილის „მოგზაურობის“ წიგნს. ამასთანავე, შემონახულია ი. გოგებაშვილის წიგნაკი: „სახელმწიფო ენა ქართულ დაწყებით სკოლებში. საქართველოს ეპარქიული ზედამხედველის ბ-ნ ოდოევის რეცენზიის გამო, თბილისი 1905 წ. (რუსულ ენაზე), რომელსაც ახლავს ი. გოგებაშვილის შემდეგი შინაარსის მიძღვნილი წარწერა: „მამა დეკანოზს პეტრე დავითის ძე კონჭოშვილსა. ავტორისაგან.“ (წიგნი ინახება ი. და მ. საყვარელიძეების პირად ბიბლიოთეკაში.) იაკობ გოგებაშვილი პ. კონჭოშვილის შედგენილ საღვთო სჯულის სახელმძღვანელოსაც მოიხსენიებს სტატიაში, რომელიც სპეციალურად პარიზის 1899 წლის მსოფლიო გამოფენისათვის დაწერა („ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი“)². აღსანიშნავია, რომ თბილისში პეტრე კონჭოშვილის საცხოვრებელი სახლი (მაშინდელ მამადავითის მოედანზე, მთაწმინდის ძირას), ძალზე ახლოს მდებარეობდა ი. გოგებაშვილის სახლთან; ასე რომ, ისინი ალბათ, სტუმრადაც არა ერთხელ ყოფილან ერთმანეთთან.

პეტრე კონჭოშვილს იცნობდა და დიდ პატივს სცემდა ე. თაყაიშვილიც. პ. კონჭოშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1909 წ. 18 მარტს შეკრებილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებმა, ე. თაყაიშვილის წინადადებით, ფეხზე ადგომით პატივი სცეს მეუფის ხსოვნას³. შემორჩენილია ე. თაყაიშვილის ერთი გამოკვლევა, რომელსაც ახლავს დეკანოზ პეტრე კონჭოშვილისადმი მიძღვნილი წარწერა. ეს არის სტატია ბაგრატი IV-ის (1027-1072) სიგელის შესახებ, რომელიც რუსულ ისტორიულ კრებულში („Записки Восточного отделения Императорского русского археологического общества“, 1894 г., т. IX) დაიბეჭდა. ცალკე ამონაბეჭდი

¹ იქვე, №959 (1906, 1 მარტი), ფ. 2.

² ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1910, გვ. 356.

³ კრებ. „ძველი საქართველო“, ტ. III, თბ., 1909, განყ. III, გვ. 1.

კი, ე. თაყაიშვილმა პეტრე კონჭოშვილს მიუძღვნა. საესებით ცხადია, მას რომ პეტრე კონჭოშვილი უაღრესად განათლებულ პიროვნებად და ისტორიის კარგ მცოდნედ არ მიეჩნია, ამ წმინდა ისტორიულ, საყურადღებო გამოკვლევას, არ მიუძღვნიდა; მით უფრო, რომ მაშინ, პ. კონჭოშვილის იეუსალიმში „მოგზაურობის“ წიგნი, ჯერ გამოქვეყნებული არ იყო.

მეუფე პეტრეს საქმიანი, კოლეგიალური ურთიერთობა აკავშირებდა ცნობილ ისტორიკოს ალ. ხახანაშვილთანაც. შემორჩენილია წერილი, რომლითაც იმხანად დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი ალ. ხახანაშვილს ასე მიმართავდა: „უძვირფასესო მამულიშვილო, ალექსანდრე სოლომონის-ძეო!"; წერილი ეხებოდა ხახანაშვილის ათონზე მოგზაურობას: „წარსულს ზაფხულში, როდესაც გაზეთებში ამოვიკითხე თქვენი მოგზაურობა ათონის მთაზედ, სულიერად განვიხარე... შემდეგ კონჭოშვილი მას უაღრესად თავმდაბლად სწერდა: „მეც მოვიარე პალესტინა და ათონი 1899 წელში, მაგრამ ჩემს მოგზაურობას იმოდენი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც თქვენსას, ვითარცა აღჭურვილს მაღალი განათლებით. ფრიად სასიამოვნო იქნება ჩემთვის, თქვენი შეხედულობა ამ დიდს და შესანიშნავ საგანზედ, როგორიც არის ათონის ივერიის მონასტერი, ვითარცა ძეგლი ქართველის ერის ძველის დიდებისა, ძლიერებისა და განათლებისა". ამავე წერილში, პეტრე კონჭოშვილი ათონთან დაკავშირებით ერთ მტკივნეულ საკითხს შეახსენებდა ა. ხახანაშვილს: „გულის გასაგმირია, რომ ამ მონასტრის მამულების შემოსავლიდან, აგერ ერთი საუკუნის განმავლობაში, სარგებლობენ ბერძენთა მონაზონნი, სრულიად უსამართლოდ და ამავე დროს, ქართველნი ძმანი სრულიად მოკლებულნი არიან თავისუფალ შესვლას და გამოსვლას იმ დიდებულს ტაძარში და ქართული ხელნაწერებით სარგებლობას...“ და პეტრე კონჭოშვილი დაბეჯითებით სთხოვს ა. ხახანაშვილს, ითავოს ათონის ივერთა მონასტრის ქართველთათვის დაბრუნების ძნელი საქმე¹. მართლაც, შემდეგში, „სანკტ-პეტერბურგის უწყებებში“ (№252) ა. ხახანაშვილმა ათონის „ივირონის“ ქართველთათვის დაბრუნების თავისი პროექტი წარადგინა. მართალია, იგი მეუფე პეტრემ დაინუნა და მიიჩნია,

¹ ხ.ერ.ც., ალ. ხახანაშვილის ფონდი №464 (1902, 19 ოქტ.), ფ. 1-4.

რომ ამ პროექტით ქართველები ვერც მონასტერს დაიბრუნებდნენ და ვერც უალრესად დამცრობილ მდგომარეობას გამოისწორებდნენ, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია (როგორც აღნიშნული იყო, ამ პროექტზე თავისი აზრი მეუფე პეტრემ „მხცოვანის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“¹.

მეუფე პეტრეს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ძმებთან – ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილებთან. კირიონისადმი მიმართულ წერილებში, იგი არაერთხელ ახსენებს მათ (მათ შორის ასეთი ფორმითაც: „ძმანი კარბელნი“). შემორჩენილია პეტრე კონჭოშვილის რამდენიმე წერილი ვასილ კარბელაშვილისადმი. ერთ მათგანში, იგი მამა ვასილს სთხოვს, დროზე დაუბრუნოს პატრონს (გაბრიელ კალოუბნელს)² წმ. ნინოს ცხოვრების ხელნაწერი, რომელიც იმჟამად ეპისკოპოს ბესარიონს (დადიანი) ჰქონდა წაღებულნი³. თავისთავად, ძალზე საინტერესოა წმ. ნინოს ცხოვრების რომელ ვერსიაზეა საუბარი (მოქცევაჲ ქართლისაჲს, ეფრემ მცირისეული, არსენ ბერის, თუ რომელიმე სხვაზე). კონჭოშვილის შემდეგი წერილი ვ. კარბელაშვილის რომელიღაც ნიგნის წინასიტყვაობას შეეხება. მამა ვასილს, კონჭოშვილისათვის უთხოვია წინასიტყვაობის კრიტიკული ნაკითხვა და შეფასება. პეტრე კონჭოშვილი, ბორჯომიდან, სადაც იგი მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, ბოდბის უხდის მამა ვასილს, რომ მეუღლის ავადმყოფობის გამო, მისი თხოვნა ვერ შეასრულა (მართლაც, მართა კონჭოშვილი, სულ ცოტა ხნის შემდეგ, 1896 წელს გარდაიცვალა). ამიტომ, იგი ურჩევს ვასილ კარბელაშვილს, წინასიტყვაობა „თევდორე დავითის-ძეს“ (თედო ჟორდანას) ნაკითხოს⁴. მესამე წერილი, ვინმე ობლად დარჩენილ ვასილ ხარიტონოვს შეეხება; მამა პეტრე მასზე გარკვეული მზრუნველობის გამოჩენას სთხოვს ვასილ კარბელაშვილს. წერილი ასე იწყება: „ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო და ღირსად პატივცემულო მამაო ვასილი, გრიგოლის ძე! ერთი კვირაა რაც

¹ იხ. ვ. კიკნაძე, ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, და დამატება II, გვ. 191.

² „კალოუბნელი“, ხშირად მოიხსენიებოდა „კალობანსკის“ ფორმითაც: იხ. კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია თბილისში, თბ., 1994, გვ. 219.

³ ხ.ერ. ც. ვ. კარბელაშვილის ფონდი, №526 (1895, 12 ნოემბ.), ფ. 1.

⁴ იქვე, №760 (1895, 19 აგვ.), ფ. 1-2.

დავბრუნდი შავი ზღვიდან დედაქალაქში; პირადად ვერა გნახეთ, შორიდან გიგ ზავნით სალამს, უფრო სასიამოვნო იქნებოდა თქვენი პირის ხილვა, ახალ ამბებს შევიტყობდი თქვენგან¹!

შემორჩენილი ფრაგმენტული მასალიდან ჩანს, რომ პეტრე კონჭოშვილს საქმიანი და კოლეგიალური ურთიერთობა აკავშირებდა ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძესთანაც. 1878 წლის 13 მაისით დათარიღებულ რუსულენოვან წერილში, მამა პეტრე მადლობას უხდის მეუფე ალექსანდრეს, ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით² (არ ჩანს რა ჯილდოზეა საუბარი).

შემდეგ წერილში, რომელიც 1895 წლითაა დათარიღებული, პ. კონჭოშვილი მეუფე ალექსანდრეს, თავისი და თავისი მეუღლის სახელით, ლოცვა-კურთხევას სთხოვს. ამასთანავე, მოკრძალებით სთხოვს იზრუნოს მეფსალმუნე ელისე კობიაშვილზე (კობიეზე)³.

ასეთივე ხასიათისაა 1891 წ. 10 თებერვლის წერილი მეუფე ალექსანდრესადმი⁴. კირიონისათვის მიწერილ წერილებშიც, პეტრე კონჭოშვილი არაერთხელ ახსენებს ალექსანდრეს და მის ძმისწულს – ლეონიდეს.

პ. კონჭოშვილის წერილებიდან ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა ამბროსი ხელაიასაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ი. ჩიჯავაძე მოწმობს, რომ არქიმანდრიტ ამბროსის რუსეთში გადასახლებამ მეუფეზე ზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. ამასთანავე, არქიმანდრიტ ამბროსის მეუფე პეტრე ახსენებს სოფრომ მგალობლიშვილისადმი ქუთაისიდან გაგზავნილი წერილის მინაწერშიც⁵. ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ მეუფე დაახლოებული პირი ყოფილა, იმხანად საეგზარქოსოს კანცელარიის მდივანთან – ცნობილ მწერალ სოფრომ მგალობლიშვილთან⁶.

პეტრე კონჭოშვილს, როგორც ჩანს, თბილი ურთიერთობა აკავშირებდა ქართული კულტურის თავდადებულ მოამაგესთან – მიხეილ (გობრონ) საბინინთანაც (1845-1900). ეს ცნობილი სა-

¹ იქვე, №761 (1896 4 დეკ.), ფ. 1.

² ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკ. ფონდი, №839 (1876), გვ. 1.

³ იქვე, №840 (1895? 9 დეკ.), ფ. 1-2.

⁴ იქვე, №842 (1891? 10 თებ.), ფ. 1.

⁵ ლიტერატურის მეუზეუმის ს. მგალობლიშვილის ფონდი, №15908, ფ. 1-2.

⁶ იქვე.

ეკლესიო მოღვაწე, უანგაროდ იბრძოდა ქართული კულტურის პროპაგანდისათვის. რად ღირს თუნდაც მისი ღვაწლი ბრწყინვალე აგიოგრაფიული კრებულის – „საქართველოს სამოთხის“ გამოცემისათვის და განთქმული ხატის „საქართველოს ეკლესიის დიდების“ შექმნისათვის. მისი არაორდინალური, პირდაპირი ხასიათის გამო, საბინინს ხშირად ჰქონდა კონფლიქტი რუსული და ქართული სამღვდელოების თუ საერო პირების ცნობილ წარმომადგენლებთან. ასეთ შემთხვევაში, იგი თავის ნდობით აღჭურვილ პირად და შუამავლად, პეტრე კონჭოშვილს ასახელებდა¹.

პეტრე კონჭოშვილს პირადი ურთიერთობა აკავშირებდა მომავალში კათალიკოს-პატრიარქთან, იმხანად კი, მღვდელ კალისტრატე ცინცაძესთან და ასევე, იმხანად დეკანოზ, შემდგომში კი ცნობილ მეცნიერთან კორნელი კეკელიძესთან. ერთ წერილში, მეუფე პეტრე წერს, რომ მისი ალავერდის ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ, რუსულ საეკლესიო ხელისუფლებას შესთავაზა, მის ადგილზე (იგულისხმება სჯულის მოძღვრის თანამდებობა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში), კ. კეკელიძე დაენიშნათ, მაგრამ უარი მიიღო². რაც შეეხება კალისტრატე ცინცაძეს, მას თავის „მოგონებებში“ არაერთხელ ჰყავს მოხსენიებული პეტრე კონჭოშვილი, რაზედაც ზევით გვექონდა საუბარი.

პ. კონჭოშვილის შემორჩენილი წერილები მოწმობენ, რომ იგი კარგად იცნობდა გიორგი ნათაძეს (1870-1946), რომელიც XIX ს. მიწურულს ჩრდილო კავკასიის ქართულ სკოლაში მასწავლებლობდა და ცნობილ პედაგოგი – ლუარსაბ ბოცვაძეს. მათ მეუფე პეტრე ვლადიკავკაზში შეხვდა. თბილისში გამომგზავრებისას კი, მათ პეტრე კონჭოშვილი რკინიგზის ვაგზლამდე მიუტყლიებიათ³.

პეტრე კონჭოშვილს კარგი ურთიერთობა აკავშირებდა ანტონ ნატროშვილთან (ნატროევი), რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის სარესტავრაციო კომიტეტის აქტიური წევრი იყო და ფუნ-

¹ ვ. კიკნაძე, მ. საბინინის უცნობი წერილი კირიონ საძაგლიშვილისადმი, გორის სახ. უნივერსიტეტის შრომები (ისტორიის სერია), II, თბ., 2002, გვ. 148.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №957 (1905, 18 ოქტ.), ფ. 1.

³ იქვე, №955 (1905, 26 აგვ.), ფ. 4.

დამენტური გამოკვლევა მიუძღვნა ამ ტაძარს¹. შემორჩენილია ა. ნატროშვილის რაპორტი, რომლითაც იგი კომიტეტის სახელით, გარდაცვლილი მეუფე პეტრესთვის პატივის მისაგებად, ხატის შექმნის ნებართვას ითხოვს².

მეუფე პეტრე არაერთხელ იმონმებს ნიკო მარის შრომებს, მაგრამ როგორც ჩანს, ის პირადად იცნობდა განთქმულ მეცნიერს. ამას მოწმობს კირიონისადმი მიმართული ერთი წერილი, რომელშიც მეუფე პეტრე სთხოვს კირიონს მოკითხვა გადასცეს „ბატონ მარს და ა. ცაგარელს“³ (წერილი იგზავნება პეტერბურგში, სადაც იმ დროს სრულიად რუსეთის ეკლესიის წინასაყრილობო სხდომები იმართებოდა).

მეუფე პეტრე თავის წერილებში ასახელებს აგრეთვე: დეკანოზ მანსვეტოვს, რომელიც 1902 წელს გარდაიცვალა და ნორიოში დაკრძალეს⁴ (იგი უნდა იყოს ცნობილი ლიტერატორის, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის, იაკობ მანსვეტაშვილის მამა – ალექსანდრე), ახსენებს – ბორის სპირიდონის-ძეს (ესაძე), ცნობილ სამხედრო ისტორიკოსს⁵; საზოგადო მოღვაწეს და ჟურნალისტს – იაკობ ფხაკაძეს, რომელსაც შვილი დაელუპა და პ. კონჭოშვილი კირიონს სთხოვს მის ნუგეშისცემას⁶, კ. კარგარეთელს, განჯაში, ეკლესიის დიაკონს, შემდეგში სიონის პროტოდიაკონს; ო. შმერლინგს, ცნობილ მხატვარ-კარიკატურისტს⁷; თედო ჟორდანიას, ცნობილ მეცენატს გიორგი ქართველიშვილს და მის ვაჟებს, მღვდელ მ. კელენჯერიძეს, დეკანოზ გ. გამრეკელს, კოტე რიტერს და ა. შ. სავარაუდოა, იგი იცნობდა ილია წინამძღვრიშვილს, რადგან მის სკოლას დაუტოვა გარკვეული თანხა⁸.

ცალკე უნდა გამოვყოთ მეუფე პეტრესა და ილია ჭავჭავა-

¹ А. Натроев, Мухет и его собор Светицховели, Тифлис, 1901. წიგნში პ. კონჭოშვილი დასახელებულია, როგორც სვეტიცხოვლის სარესტავრაციო კომიტეტის წევრი, გვ. 311.

² სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქმე №22738, ფ. 6-7.

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №963, ფ. 4.

⁴ იქვე, №940, ფ. 1.

⁵ იქვე, №940, ფ. 2.

⁶ იქვე, №942, ფ. 2.

⁷ იქვე, №939, ფ. 2.

⁸ „დროება“, №28 (6 თებ.), 1909, გვ. 3.

ძის შესაძლო ურთიერთობა. როგორც უნდა ვიგულისხმოთ, ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ ილია და მეუფე პეტრე ერთი მხრიდან – ყვარლიდან იყვნენ, ერთ საქმეს („მამული, ენა, სარწმუნოება“) ემსახურებოდნენ და ქრონოლოგიურად ზუსტად ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ (ილია: 1837-1907; პეტრე კონჭოშვილი – 1836-1909).

ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ის გარემოება, რომ მეუფე პეტრე იყო პირველი, ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა შორის, ვინც უღვთოდ მოკლულ ილიას პირველი პანაშვიდი გადაუხადა ქაშვეთის ტაძარში 1907 წ. 1 სექტემბერს. პრესა იტყობინებოდა: „შაბათს, 1 სექტემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგი, ეკლესიაში, გორის ეპისკოპოსმა პეტრემ, ქართველი სამღვდელთა თანამლოცველობით, გადაიხადა პირველი პანაშვიდი, ჯალათების ხელით მოკლულ ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად“ (ხაზი აქ და ქვემოთ ჩვენია – ვ. კ.). მეორე დღეს პანაშვიდი გადახდილი იქნა სიონის ტაძარში: „კვირას, 2 სექტემბერს, ნაშუადღევს 2 საათზედ, სიონის საკრებულო ტაძარში გორის ეპისკოპოსმა (ე. ი. პეტრე კონჭოშვილმა – ვ. კ.) სიონის კრებულის თანამლოცველობით, გადაიხადა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად... პანაშვიდს დაესწრო დიდძალი ხალხი... ქალაქის თავი, მარშლები და სხვანი. სხვათა შორის, პანაშვიდს დაესწრნენ ნამესტნიკი (მეფისნაცვალი – ვ. კ.) მეუღლითურთ და ნამესტნიკის საბჭოს წევრნი“¹. დაკრძალვის დღეს, 9 სექტემბერს, დილის 7 საათზე სიონის ტაძარში გადახდილ პანაშვიდზე, მწირველი კვლავ მეუფე პეტრე ყოფილა (ეპისკოპოსებთან – ლეონიდესთან და გიორგისთან ერთად). აღსანიშნავი ფაქტია, რომ ამ პანაშვიდების შემდეგ: „ეპისკოპოსებმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე – ვ. კ.) და პეტრემ, გრძნობიერი სიტყვები წარმოთქვეს“².

ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ილიას „ივერია“, იმ პერიოდში, როდესაც გაზეთს ილია რედაქტორობდა (1886-1902), ხშირად აქვეყნებდა ინფორმაციებს პეტრე კონჭოშვილსა და მის ახლობლებზე. ქვეყნდებოდა თვით პეტრე კონჭოშვი-

¹ კრებ. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, თბ., 1907, გვ. 25, 38.
² იქვე, გვ. 164, 152.

ლის სტატიებიც. ასე რომ, სხვა რომ არაფერი, ილია და პეტრე „ივერიის“ რედაქციაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

ყველა ეს მომენტი, ვფიქრობთ იმაზე მეტყველებს, რომ მეუფე პეტრე, გარდა ილიას ღვანლის ობიექტური დაფასებისა, მასთან პირადადაც იყო დაახლოვებული.

რაც შეეხება რუს და უცხოელ მოღვაწეებთან ურთიერთობას, მათგან უპირველესად აღსანიშნავია შეხვედრები ოლივერ და მარჯორი უორდროპებთან, რომლის დეტალებზეც მეუფე პეტრე თავის „მოგზაურობის“ წიგნში მოგვითხრობს¹. მას პირადად იცნობდა ნიკოლოზ დურნოვო (1870-1937), რომლისგან მიღებული წერილის შესახებ, იგი კირიონსაც აცნობებდა². მეორე მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ნ. დურნოვო ღრმა პატივისცემით ახსენებს მეუფე პეტრეს თავის განთქმულ სტატიაში „ქართული ეკლესიის ბედი“.

მეუფე პეტრეს, როგორც წინა თავებში გვქონდა აღნიშნული, კარგი ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონთანაც (ვადკოვსკისთან).

პ. კონჭოშვილს საქმიანი მინერ-მონერა ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების პროფესორ მიხეილ ბოგოიაველენსკისთანაც. როგორც მეუფე წერს, რუსეთიდან, კირიონის შემდეგ, სწორედ მ. ბოგოიაველენსკიმ მიულოცა ეპისკოპოსად კურთხევა³.

ცხადია, რომ ის პიროვნებანი, ვისი ამოტივტივებაც შევძელით ისტორიის სქელი ბურუსიდან, მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილია იმათი, ვისაც ადამიანური, საქმიანი, თუ კოლევიალური ურთიერთობა აკავშირებდათ მეუფე პეტრე კონჭოშვილთან.

ხანშიშესული მეუფე პეტრე ხშირად ავადმყოფობს. ჯერ კიდევ 1904 წელს, იგი კირიონს სწერდა: „წყლებიდან (იგულისხმება ჩრდილო კავკასიის მინერალური წყლები – ვ. კ.) დაბრუნების შემდეგ, არა ვგრძნობ თავსა კარგად. სიმსივნე სტომაქისა დამემართა...“⁴. შემდეგ წერილშიც იგი ჩივის: „ეს ზამთარი ფ(რია)დ სასტიკია ჩემის მოხუცებისათვის“...⁵. მაგრამ მხოლოდ ფიზიკური სისუსტე

¹ პ. კონჭოშვილი, „მოგზაურობა“, გვ. 198.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №940, ფ. 1-2.

³ იქვე, №958, გვ. 1; მინანური აშიაზე, ფ. 2.

⁴ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №949, ფ. 1.

⁵ იქვე, №950, ფ. 1.

არ ანუხებდა პეტრე კონჭოშვილს. მას, სამშობლოს მძიმე მდგომარეობა უფრო ადარდებდა: „სანუგეშებელი არ მოიპოვება არა რაიმე, ჩვენს ბედკრულს სამშობლოში...“ ხშირად, ამ სიტყვებით უზიარებდა თავის დარდს იგი კირიონს. ამას, პირადი დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც ემატებოდა. მეუფე სულ უფრო ხშირად იმეორებს ადრე მოხმობილ ფრაზას: „ბებერი ხარი ქედანი, ბოლოში მიაგდიანო...“ კონკრეტულად რა ანუხებდა, მხოლოდ ზოგადად შეიძლება ვივარაუდოთ. სამშობლონართმეულ და გზააბნეულ ცხოვართა შემხედვარე მწყემსი, განა შეიძლება კმაყოფილი ყოფილიყო...

იოსებ ჩიჯავაძე 1909 წ. 11 თებერვალს, მძიმე გადასახლებაში გამწესებულ კირიონს, პეტრე კონჭოშვილზე შემდეგს ატყობინებდა: „5 თებერვალს, მიიცვალა მოხუცი ეპ(ისკოპოსი) პეტრე; ამბროსის (ხელაიას - ვ. კ.) გადაყვანამ დიდი გავლენა იქონია მასზე, სულ დაეცა სულით; მეტადრე შენი შელახვა, ხომ თქმა არ უნდა, ძალიან სწუხდა. კვირას დაასაფლავეს ანუ ანდერძი აუგეს და ალავერდში გაისტუმრეს“¹.

ასე, სულ მარტო (მეუღლე მას 1896 წ. დაელუბა, მემკვიდრეები კი, არ ჰყოლია) მამადავითის მოედანზე მდებარე ქიქოძის სახლის პირველ სართულზე, 5 თებერვლის 10.30 წუთზე გარდაიცვალა პეტრე კონჭოშვილი. მისი ახლო ნათესავი მაშინ არავინ იმყოფებოდა თბილისში. გაზეთებში დაბეჭდილ სამგლოვიარო განცხადებას ხელს აწერდნენ მისი ძმისშვილები: დავით სოლომონის-ძე კონჭოშვილი და სოფიო სოლომონის ასული კონჭოშვილი (ყულოშვილისა); ასევე, მეუღლის მართა მახვილაძის დის ნათესავი ანტონ დავითის-ძე გოგიაშვილი (ქართულ განცხადებაში შეცდომით „კობიაშვილად“ მოხსენიებული). დავით კონჭოშვილი, მეუფის საშუალო ძმის, სოლომონის ძე, დაღუპული არჩილის ძმა, სამხედრო პირი იყო. სოფიო კონჭოშვილი-ყულოშვილისა, როგორც ადრე ვაჩვენეთ, საინგილოში მოღვაწეობდა და განთქმული პედაგოგი იყო. ანტონ გოგიაშვილი კი, მეუფის მიერ გაცემბირებისაგან დახსნილი, იმჟამად ყარსში გადასახლებული ვლადიმერ (ლაზარე) გოგიაშვილის ძმა იყო. მეუფის უფროსი ძმის, მათეს შვილიშვილი, მიხეილ (გიორგი) საყვარელიძე, ამ დროს პოლონეთში სწავლობდა (მასთან

¹ იქვე, №1236 (1909, 12 თებერვ.), ფ. 2.

მინერული მეუფის წერილი ადრე მოვიტანეთ). სხვა კი არავინ იყო ახლობელი... იმ გარემოებამ, რომ მეუფეს უშუალო მემკვიდრე არ დარჩენია, დიდად იმოქმედა მისი მდიდარი არქივის ბედზე, კერძოდ მის დალუპვაზე. თავის მხრივ, ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან მეუფის პიროვნების დიდი ხნით „გაუჩინარების“ საქმეში.

სამგლოვიარო განცხადება გაზეთ „დროებაში“ იუნყებოდა: „საქართველოს სინოდალური კანტორა აცხადებს, რომ 5 თებერვალს, დილის 11 ნახევარზედ, ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა ყოვლად უსამღვდელოესი პეტრე ეპისკოპოსი გორისა, პირველი ქორეპისკოპოსი საქართველოსი. დღეს, 6 თებერვალს, მიცვალებულის ბინაზედ (მამადავითის მოედანი სახლი ქიქოძისა №29) გადახდილი იქნება არქიელის მიერ პანაშვიდები. დილით 11-სა და საღამოს 5 საათზე. გამოსვენება მიცვალებული მეუფისა სიონის ტაძარში, დანიშნულია შაბათს დილის 9 საათისათვის. წირვის შემდეგ და საღამოს 7 საათზედ გადახდილი იქნება პანაშვიდები ტაძარშივე, ანდერძის აგება იმავე ტაძარში მოხდება წირვის შემდეგ, რომელიც დაიწყება დილის 9 საათზედ. დაკრძალვა დანიშნულია ალავერდის ტაძარში, თელავის მაზრაში“ იგივე შინაარსის განცხადება გამოაქვეყნეს, როგორც აღინიშნა, დავით კონჭოშვილმა და ანტონ გოგიაშვილმა. განცხადებები გამოქვეყნდა პარასკევს 6 თებერვალს და გამეორდა კვირას, 8 თებერვალს¹. იგივე განცხადება, სოფიო ყულოშვილის სახელით, დაიბეჭდა გაზეთ „ზაკავკაზიში“². „დროებაშივე“ დაიბეჭდა მოკლე ნეკროლოგი. მისი ძირითადი ნაწილი, ზევით იყო მოტანილი. ნეკროლოგი ასე იწყებოდა: „ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ტფილისში, პეტრე ეპისკოპოზი, პირველი ვიკარი საქართველოს ეგზარქოსისა (დაახლოებით 75 წლისა). პეტრე, გვარად კონჭოშვილი, შიდა კახეთიდან იყო ჩამომავლობით, სასულიერო წოდებისა და ერისკაცობაშიც იმავე სახელს ატარებდა. სწავლა-განათლება ტფილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო და კურსის დამთავრების შემდეგ, ხელ-დასხმულ იქნა ღვდლად საინგილოს ერთ-ერთ სოფელში...“ აშკარად ჩანს, რომ ნეკროლოგი დაწერა

¹ „დროება“, 1909, №28 (6 თებერვალი) და №29 (8 თებერვალი).

² „Закавказье“, 1909, №4, №5.

ადამიანმა, რომელიც მეუფე პეტრეს პირადად იცნობდა; ჩანს, რომ ავტორმა ფაქტები საკუთარი მახსოვრობის მიხედვით აღადგინა, ამიტომ ნეკროლოგის ტექსტში გაპარულია ზოგიერთი უზუსტობა. მაგალითად, ნეკროლოგში ნათქვამია, რომ მეუფე პეტრე „ამ ათიოდე წლის წინათ ეპისკოპოსის ხარისხზედ იქნა აღკვეცილი“¹. სინამდვილეში, როგორც ვაჩვენეთ, ის არც აღკვეცილი იყო ბერად (ამას თვითონ ანონიმი ავტორიც აღიარებს, ნეკროლოგის დასაწყისშივე) და არც ათიოდე წლის წინ (ე. ი. 1899 წ.) არ იყო ხელდასხმული ეპისკოპოსად. ეს შეცდომა კი აისახა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მოკლე სტატიაშიც, პ. კონჭოშვილის შესახებ (ქსე, ტ. 5, გვ. 654). „დროების“ (1909) №29 (8 თებერვლის) ნომერში, გარდა სამგლოვიარო განცხადებისა, გამოქვეყნებულია შემდეგი ცნობა: „გუშინ, 7 თებერვალს, ბინიდან გამოასვენეს ახლადგარდაცვალებული ეპისკოპოსი პეტრე და წაასვენეს სიონის ტაძარში. სიონში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო მრავალი სასულიერო და საერო პირი. წირვასა და პანაშვიდს გადაიხდიან დღეს, 8 თებერვალს და შემდეგ ცხედარს დასაკრძალავად წაასვენებენ ალავერდის მონასტერში. განსვენებულ ეპისკოპოსს დაუტოვებია ფულად 13000 მანეთი“². და ა. შ. ეს ანდერძი დაბეჭდა აგრეთვე, გაზეთმა „ზაკავკაზიემ“ (1909 წ. №4 და №5) და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმართულების გაზეთმა „ჩვენმა საქმემ“ (№2, 4, 5). „ზაკავკაზიეში“ ანდერძი შევსებულია იმ პატარა საინტერესო დეტალით, რაც ადრეც აღინიშნა. კერძოდ, რომ მეუფე პეტრემ 50 მანეთი, საგანგებოდ მათხოვრებისათვის დასარიგებლად დატოვა³. ეს მომენტი აღნიშნულია „ჩვენ საქმეშიც“⁴. დამატებით, „ზაკავკაზიეს“ ცნობით მეუფემ საეკლესიო მუზეუმს დაუტოვა 200 მანეთი. „დროება“ კი განაგრძობდა ამ თემაზე მოკლე ცნობების ბეჭდვას. 1909 წ. 10 თებერვლის ნომერში ვკითხულობთ: „პეტრე ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო, რედაქციამ შემდეგი დეპეშები მიიღო: გორიდან – „გორის სამღვდელთებამ გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულ ეპისკოპოსის

¹ „დროება“, 1909, №28, გვ. 3.

² „დროება“, 1909, №29, გვ. 3.

³ „Заквказье“, 1909, №5, (10 февр.), с. 3.

⁴ „ჩვენი საქმე“, 1909, №4, (8 თებერვ.), გვ. 3.

სულის მოსახსენებლად. აქაური სამღვდელოება უერთდება ქართველ(ი) საზოგადოების საერთო მწუხარებას. დეკანოზი კაპანაძე". ცხინვალიდან – „ვწუხვართ საყვარელი მღვდელმთავრის დაკარგვისა გამო. გადავიხადეთ წირვა და პანაშვიდი, განსვენებულის სულის მოსახსენებლად. ბლალოჩინი ოქროპირიძე". გაზეთის შემდეგ ნომერში (11 თებერვალი) დაბეჭდილია კიდევ ერთი გამოხმაურება ცხინვალიდან: „სამხრეთ ოსეთის სამღვდელოება და სამწყსო, იგონებს რა განსვენებული ეპისკოპოსის შვიდი წლის სამისიონერო მოღვაწეობას ჯავის ხეობაში, სწუხს განსვენებულის დაკარგვის გამო. ჯავის ბლალოჩინი – ბეგიზოვი" (აქ, ყურადღებაა მისაქცევი იმ გარემოებაზე, რომ ბლალოჩინი ბეგიზოვი იყენებს ტერმინს „სამხრეთ ოსეთი", რაც ქართველი საზოგადოებისაგან უყურადღებოდ იქნა დატოვებული).

„დროების" 10 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია ასეთი სახის ინფორმაცია, მეუფე პეტრეს გასვენებასთან დაკავშირებით: „კვირას, 8 თებერვალს, სიონის ტაძარში, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსებმა ლეონიდემ და დავითმა (კაჭახიძემ – ვ. კ.) გადაიხადეს წირვა ახლად გარდაცვალებულ გორის ეპისკოპოსის პეტრეს სულის მოსახსენიებლად. წირვის შემდეგ მღ(ვდელმა) კეკელიძემ რუსულად სიტყვა წარმოსთქვა. 12 საათზე შეუდგნენ წესის აგებას, რამაც გასტანა 2 საათამდე. წესი აუგეს გარდაცვალებულს საქართველოს ექსარხოზის თანამ(დებობის) აღმას(რულებელმა) ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა, ზემოაღნიშნულ ეპისკოპოსების და სამღვდელოების მონაწილეობით. შემდეგ, ცხედარი, შემოსილმა მღვდლებმა გამოასვენეს და კატაფალკზე დაასვენეს. ცხედარი იმავე დღეს წაასვენეს ალავერდის მონასტერში. პატივისმცემლებმა ცხედარი ავლაბრის მოედნამდე მიაცილეს"¹.

მეუფე პეტრემ მართალია დატოვა ანდერძი ალავერდის ტაძარში მისი დაკრძალვის შესახებ, მაგრამ ალბათ, მხოლოდ ეგზარქოსის მოვალეობის შემსრულებელმა, ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა უწყოდა, რომ ამ ანდერძის აღსრულება-არაღსრულება პეტერბურგის ნებაზე იყო დამოკიდებული. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ საეგზარქოსოს კანცელარიის მასალებში, აღმოვაჩინეთ ეპისკო-

¹ „დროება", 1909, №30 (10 თებ.), გვ. 3.

პოს გრიგოლის მიწერ-მოწერა პეტერბურგთან, ამ საკითხთან დაკავშირებით. მეუფე პეტრეს გარდაცვალებისთანავე, ეპისკოპოს გრიგოლს დეპეშები გაუგზავნია: სინოდის ობერ-პროკურორთან და მიტროპოლიტ ანტონთან. იგი აცნობებდა მათ მომხდარ ფაქტს და ეკითხებოდა, რა მოემოქმედა ანდერძთან დაკავშირებით. მოვიტანთ ორივე დეპეშის ტექსტს და მათზე პასუხს პეტერბურგიდან:

„Петербург. Его высокопревосходительству, господину обер-прокурору свят(ейшего) Синода Петру Петровичу Извольскому.

Сегодня (в) половине десятого утра, скончался от воспаления легких Преосвященный Петр Епископ Горийский, первый Викарий Грузинской епархии”.

მეორე დეპეშა, ანტონ მიტროპოლიტის სახელზე:

„Петербург. Высокопреосвященейшему Антонию Митрополиту С/Петербургомскому и Ладожскому.

Сегодня (в) половине десятого утра скончался от воспаления легких Преосвященный Петр, Епископ Горийский. Предсмертное желание покойного быть погребенным (в) Алавердском Соборе, около Телава.

Жду распоряжений Вашего Высокопреосвященства. Григорий еп(ископ) Бакинский”. იმავე დღეს, სინოდის და ანტონ მიტროპოლიტის სახელით ეპისკოპოსმა გრიგოლმა მიიღო შემდეგი სახის პასუხი:

„1909 5 Февр(аля). К дому еп(ископа) Григория

Тифл. ПБРГ Н.ЖД. 3240 23.5.4.30 Дн.

Святейшим Синодом разрешается похоронит(ь) скончавшегося Епископа Петра в Алавердском Соборе, если со стороны гражданского начальства не встречается препятствий. Митрополит Антоний”¹.

როგორც ვხედავთ, ეპისკოპოსის ანდერძის ასრულება ცი, რუსეთის მესვეურთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ჩანს, რომ ამ შემთხვევაში, ტელეგრაფიც ძალზე ოპერატიულად მუშაობდა. დილით გაგზავნილ შეკითხვაზე, იმავე დღის 4 სთ. და 30 წთ-ზე მოვიდა პასუხი. მართალია, პასუხი დადებითი იყო, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება, სამოქალაქო მესვეურების თანხმობასაც ითხოვდა და თავს იზღვევდა. ყურადღებას იქცევს დეპეშათა მშრალი და ზედმეტად საქმიანი ხასია-

¹ სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქმე №22738, ფ. 1-4.

თი. იქ ერთი, ფორმალური თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვაც არ არის ნათქვამი, არა მარტო უბრალოდ ადამიანის, არამედ საქართველოს ეკლესიის პირველი ქორეპისკოპოსის გარდაცვალების გამო! ვთქვათ, პასუხი უარყოფითი ყოფილიყო?... მაშინ საზოგადოება ვერაფრით გაიგებდა, რამ გამოიწვია მეუფე პეტრეს ანდერძის არ აღსრულება ანდა ანდერძი საერთოდ „დაიკარგებოდა“... მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაფერი დადებითად გადაწყდა.

იგივე საარქივო საქმეში, დაცულია კიდევ რამდენიმე დოკუმენტი. საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ბლანკზე ჩამონერილია ღონისძიებანი, რაც მეუფე პეტრეს გასვენებასთან იყო დაკავშირებული. აქ მოტანილია აგრეთვე იმ კეთილმოწესეთა (ბლალ-ჩინთა) გვარებიც, ვისთვისაც ეს ამბავი პირველ რიგში უნდა ეცნობებინათ (მათ შორის იყვნენ: ტყემალაძე, მაჭაროვი, ჩეტირკინი, შოშიევი, ოსიპოვი)¹. ასეთივე ბლანკზეა დაწერილი შეტყობინება საქართველოს სასწავლო ეპარქიალური სასწავლებლების საბჭოს თავმჯდომარის ს. გოროდცევის სახელზე. მიწერილობა შეეხება იმას, რომ მეუფე პეტრეს გარდაცვალების გამო, საეკლესიო გიმნაზიაში, 6 თებერვალს დაგეგმილი პოეზიის საღამო აღარ შედგებოდა (დოკუმენტი დაწერილია ძალიან ცუდი, გაკრული ხელით)². ამავე ფონდში, ვხვდებით სამ გამოსმაურებას, მეუფე პეტრეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით. პირველი ეკუთვნის თავადაზნაურთა წინამძღოლს თავად წერეთელს. იგი ასეთი შინაარსისაა:

„Предводители Дворянства, после панихиды в кафедральном соборе, по почившем епископе Горийском Петре, почтив память вставанием, выражают свое соболезнование по поводу смерти дорогого архипастыря и лучшего представителя Иверской церкви – Губернский предводитель дворянства – князь Церетели“³.

მოვიტანთ ტექსტის ქართულ თარგმანსაც:

„თავადაზნაურობის წინამძღოლებმა, კათედრალურ ტაძარში, განსვენებული გორის ეპისკოპოსის პეტრეს პანაშვიდის გადახდის შემდგომ, თავისი პატივისცემა განსვენებულის მიმართ, გამოხატეს ფეხზე ადგომით; (ისინი) მწუხარებას გამოთქვამდნენ ძვირფასი არ-

¹ იქვე, ფ. 7.

² იქვე, ფ. 8.

³ იქვე, ფ. 5.

ქიელისა და ივერიის ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენლის გარდაცვალების გამო – გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი – თავადი წერეთელი¹. შემდეგი ორი გამოსხმაურება („რაპორტი“) ეკუთვნით კალისტრატე ცინცაძესა და ანტონ ნატროშვილს. კალისტრატე ცინცაძე, საეპარქიო საეკლესიო მუზეუმის სახელით (როგორც მუზეუმის კომიტეტის წევრი და მისი მდივანი), ეგზარქოსის მოვალეობის შემსრულებელს სთხოვს ნებართვას, მუზეუმის თანხებიდან გამოიყოს 50 მანეთი ხატის შესაძენად, რომელსაც მეუფის სასახლეზე დაასვენებდნენ. მეორე განცხადებაც მსგავსი შინაარსისაა; მოვიყვანთ მას მთლიანად:

«Его Преосвященству, Григорию Епископу Бакинскому, управляющему Грузинским экзархатом, члена – секретаря комитета по возобновлению Мцхетского 12 Апостолов Собора, Статского советника Антония Ивановича Натроева

РАПОРТ

Члены комитета по возобновлению Мцхетского 12-и Апостолов собора, желают возложить на гроб почившего председателя комитета Преосвященного Петра, Епископа Горийского, икону в виду его долговременной и полезной для Мцхетского собора службы, поэтому осмеливаюсь покорнейше просить Ваше Преосвященство разрешить Комитету, ассигновать из сумм собранных в течение 1908 года, на возобновление означенного собора, до 40 рублей для приобретения иконы»².

ასე დამთავრდა მეუფე პეტრეს ხორციელი სიცოცხლე, მაგრამ სულიერი ცხოვრება „გარეშემოუწერელ არს და დაუსრულებელ“. პავლე მოციქულის სიტყვისაებრ: „რამეთუ არა ვეძიებთ ჩუენ ხილულსა ამას, არამედ არახილულსა“ (კორინთელთა მიმართ, II; 4. 18).

მთავარი, რაც ეპისკოპოსმა პეტრე კონჭოშვილმა ანდერძად

¹ როგორც ჩანს ეს არის სვიმონ გიორგის ძე წერეთელი (1843-?), რომელიც 1898 წ. საკმაოდ ხანდაზმული აირჩიეს ამ თანამდებობაზე.

² იქვე, ფ. 7-8.

დაუტოვა ქართველ ხალხს, ალბათ, ამ ტკივილიან სიტყვებშია ჩაქსოვილი: „სამწუხარო იქნება, თუ საქართველოს მამულები გადავიდა სხვა ტომთა ხელში და ჩვენი ერი კი შემდეგ დარჩა ბოგანოდ... უკეთუ ჩვენმა ერმა, დაიცვა თავისი არსებობა აქამდის, ეს სხვათა მიზეზთა შორის იმისათვის, რომ თავის მამულზედა, მის წინაპართა სისხლით მორწყულზედ, იყო იგი მტკიცედ დამკვიდრებული...“¹ და კიდევ: „...დროა გამოვიღვიძოთ და განვიფრთხოთ ღრმა ძილი!“

მეუფე პეტრე კონჭოშვილის ნეშტი, დღესაც ალავერდის დიდებულ ტაძარში განისვენებს. საკურთხეველის წინ, მარჯვენა მხარეს. თეთრი მარმარილოს საფლავის ქვაზე, შემდეგი ორენოვანი (ქართულ-რუსული) წარწერაა ამოკვეთილი: „აქ განისვენებს გვამი გორის ეპისკოპოსის ყოვლად უსამღვდელოესის პეტრესი (კონჭოშვილისა)“². წარწერის ზემოთ მოთავსებულია პერალდიკური ნიშნები, შუაში ქართული ასომთავრული ასოებით: „ქს“ რაც „ეპისკოპოს პეტრეს“ უნდა ნიშნავდეს.



¹ პ. კონჭოშვილი, „მოგზაურობა“, გვ. 2.

² ს. ხუციშვილი, ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961, გვ. 62.

§2. მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე – ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა

1899 წ. 16 მარტს, კვირაღღეს, პეტრე კონჭოშვილი დიდი ხნის ოცნებას ხორცს ასხამს და იერუსალიმისაკენ მიემგზავრება. მოგზაურობა გაგრძელდა რამდენიმე თვეს, იმავე წლის 31 აგვისტომდე. თავის შთაბეჭდილებებს პ. კონჭოშვილი ჯერ გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავდა (1899 წ. „ივერიის“ 11 ნომერი). მოგვიანებით, 1901 წელს კი, ეს შთაბეჭდილებები ცალკე წიგნად გამოსცა. წიგნის შესავალშივე, ავტორი ნათლად გადმოსცემს იმ მიზეზებს, რამაც მისი მოგზაურობა განაპირობა.

პეტრე კონჭოშვილი აღნიშნავს, რომ უპირველესად, მას სურდა ყველა ქრისტიანისათვის სათაყვანო პალესტინის წმინდა ადგილების მონახულება და მოლოცვა. ამასთან, მისი სიტყვით, საღვთო სჯულის სწავლებისას სულ სხვაა იესო ქრისტესთან დაკავშირებული წმინდა ადგილების შესახებ მხოლოდ თეორიული ცოდნის ქონა, და სულ სხვა ყველაფრის ადგილზე გაცნობა. ამასთანავე, პ. კონჭოშვილი განმარტავს იმასაც, რომ მას სურდა გასაგები და მისაწვდომი ენით ისე გადმოეცა ნანახი და გაგონილი, რომ უბრალო ხალხი და სამღვდელოების დაბალი ფენებიც დაინტერესებულიყვნენ ამ მოგზაურობით. ამის შედეგად კი, მისი სიტყვით, რწმენის ნაპერწკალი, რომელიც მათში ღვიოდა: „დიდ საღვთო ცეცხლად“ გარდაიქცეოდა. ამ მიზეზების გარდა, წიგნის გაცნობის შემდეგ, სავსებით აშკარა ხდება ისიც, რომ მეუფეს სურდა პატრიოტული გრძნობები და ღირსების გრძნობა გაეღვიძებინა ქართული საზოგადოების ყველა ფენაში.

გზად ნახულ ყველა ღირსშესანიშნაობას ავტორი დაწვრილებით და საქმის ცოდნით აღწერს. განსაკუთრებით, ეს ეხება ქრისტიანულ სინმინდევებს და ქართულ ეკლესია-მონასტრებს. ყოველი ტაძრის ან წმინდა ადგილის აღწერას, წინ უძღვის მოკლე ისტორიული ექსკურსი, ცნობები ისტორიიდან და ლიტერატურიდან და მხოლოდ შემდეგ საკუთარი შთაბეჭდილებები...

ასე აღწერს მაგალითად, იგი პირველ, დიდ ღირსშესანიშნაობას – კონსტანტინოპოლის აია სოფიას („წმ. სიბრძნის“) ტაძარს.

მკითხველი ეცნობა ამ გრანდიოზული ტაძრის ისტორიას და შემდეგ კი, მის მდგომარეობას, აღწერის მომენტისათვის: „პირველს შეიძლება ბორცვზედა სტამბოლისა, ძველს მოედანზედ აგვისტეონისა, ...ბრწყინავს დიდებული ტაძარი წმ. სოფიასი – დიდებული, ნარჩინებული ხელოვნება ბიზანტიისა, გვირგვინი ხელოვნებისა და კანონი საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა“. ასე იწყება ეს თავი და შემდეგ გადმოცემულია ტაძრის მთელი ისტორია, მის მეჩეთად გადაკეთებამდე¹.

შემდეგ მეუფე, ქართველთა მიერ წმინდა მინაზე, სირიაში, ეგვიპტეში თუ ბიზანტიაში აგებულ ტაძარ-მონასტრებს ჩამოთვლის. პეტრე კონჭოშვილის სიტყვით, მათი რიცხვი 37-მდე იყო (მოტანილია სათანადო სია, რომელიც ძირითადად ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვას“ და გ. ავალიშვილის „მოგზაურობას“ ეყრდნობა). იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილ ტაძართაგან უმეტესნი, მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც, ქართველებს ეკუთვნოდათ. მის ჟამს კი, მხოლოდ ათონის მთაზე-ღა იყო შემორჩენილი რამდენიმე ქართველი ბერ-მონაზონი. „და იყვნენ უკანასკნელნი პირველ, ხოლო პირველნი – უკანასკნელ (ლუკა, 13. 30). ასრე დამართვნია ჩვენს ერსა, სარწმუნოებისთვის მრავალწამებულსა“, მწარედ დასძენს იგი. იერუსალიმიდან გემით გამგზავრებისას მეუფე პეტრე შეჩერდა რამოდენიმე ქალაქში და კუნძულზე (ქ. მილიტენა, ქ. სმირნა, კუნძ. სამოსი, კუნძ. ქიოსი, ქ. ტრიპოლი, ქ. ბეირუთი), სადაც უყურადღებოდ არ დაუტოვებია არცერთი მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტერი, თუ სხვა ღირსშესანიშნაობა.

ქალაქ ლატაკიაზე (ლოტოკია) კი იგი აღნიშნავს, რომ რუსი მოგზაურის – ალ. ანისიმოვის ცნობით, იქ თითქოსდა დატყვევებული ყოფილა საქართველოს დედოფალი თამარი. პ. კონჭოშვილის სიტყვით, თუ ეს ცნობა სიმართლეს შეესაბამება, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა დიდი თამარი, არამედ მისი შვილიშვილი, რუსუდანის ასული თამარი, რომელიც რუმის სულთანზე იყო გათხოვილი².

1 ივნისს მამა პეტრე უკვე იერუსალიმშია. სანამ სხვა სინმინდებზე მოგვითხრობდეს, პ. კონჭოშვილი მოკლედ მიმოიხილავს

¹ პ. კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმს... გვ. 5-8.

² იქვე, გვ. 21-22 (შემდეგში, წიგნის გვერდები მითითებულია ტიქსტში).

თვით ქალაქ იერუსალიმის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

პირველი მონასტერი, რომელსაც მეუფე პეტე იერუსალიმში ეწვია, წმ. აბრაამის სახელობისა იყო. ავტორის სიტყვით, ეს ტაძარი ქართველების მიერ ყოფილა აშენებული და ადრე, მათვე ეკუთვნოდათ. მონასტერში აღმოუჩენიათ დიდი ზომის წყლის აუზი, რომელიც კლდიდან ნაჟონი წყლით ივსებოდა; ამან ავტორს დავით გარეჯის წყლით მომარაგების სისტემა გაახსენა (გვ. 27). 1820 წელს, მონასტერში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო წარწერა ქვის ფილაზე, რომელიც 1599 წლის 11 სექტემბერს ამოუკვეთია გიორგი ჩიკოიძეს. წარწერაში გიორგი ჩიკოიძე გვაუწყებდა, რომ მას, თავად იოანე აბაშიძის¹ საფასით განუახლებია ეს მონასტერი. 1899 წლისათვის, ეს წარწერა მთლიანად მოუსპიათ ტაძრის ახალ მფლობელებს – ბერძნებს.

2 ივნისს მეუფე პეტრემ ქრისტეს საფლავის ეკლესია ინახულა და მოილოცა. „გამოუთქმელია მორწმუნე გულისათვის ის საღმრთო წამი, როდესაც ქრისტიანე პირველად ეღირსება ამ სულიერსა ნუგეშსა და სიხარულს“, წერს იგი (გვ. 30) აქ, წმინდა საფლავის მარჯვენა მხარეს, არის მონასტერი წმ. იოანე მახარობლისა, რომელიც ადრე ქართველთა კუთვნილება ყოფილა, მაგრამ კარგა ხანია მას კათოლიკენი ფლობდნენ. საერთოდაც, ქრისტეს საფლავსა და სხვა სინმინდეებს განაგებდნენ ბერძნები, კათოლიკენი და სომხები. მეუფე პეტრემ მოილოცა აგრეთვე, იქვე მდებარე ქრისტეს აღდგომის ეკლესია და გოლგოთა, სადაც ქრისტე მაცხოვარი ჯვარს აცვეს. აქ კონჭოშვილს უგალობია იოსებ მშვენიერისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც თვითონვე თარგმნა სლავურიდან (გვ. 33).

მეუფე პეტრე დაწვრილებით აღწერს წმ. ცეცხლის გამოჩენის დღესასწაულს, რომელიც აღდგომის წინა დიდ შაბათობით ხდება. მისი სიტყვით, ცისფერი ცეცხლი თვით ამოიფრქვევა წმინდა საფლავიდან, შემდეგ, ამ ცეცხლით მლოცველები ანთებდნენ 30000 სანთელს, მაგრამ მხოლოდ ხუთი წამით, რომ იქაურობა არ

¹ ტ. გაბაშვილი „მიმოსლვაში“ წმ. აბრაამის მონასტრის განმარტებლად ასევე აბაშიძეს ასახელებს. მხოლოდ არა იოანეს, არამედ გიორგის, ხოლო გიორგი ჩიკოიძე, მას სრულიად არ ყავს ნახსენები. იხ. მისი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1965, გვ. 71, 82.

გადამწვარიყო. „ამ წმ. ცეცხლს მოლურჯო ნათელი აქვს და არცა სწავას, ზოგნი პირისახეზედაც შემოივლებენ ანთებულსა“ წერდა კონჭოშვილი.

3 ივნისს მეუფე პეტრემ ზეთისხილის მთა (ელეონი) და უფლის ამალლების ეკლესია მოინახულა. იმ დროისათვის იქ მდგარა რუსთა მიერ აგებული მასიური ნაგებობა, ძალიან მაღალი სამრეკლოთი (იქიდან მკვდარი ზღვაც კი ჩანდა თურმე). ელენე დედოფლის (კონსტანტინე დიდის დედის) მიერ აგებული ტაძრის ნაშთი, მოზაიკის იატაკით, რუსეთის პალესტინის მისიას აღმოუჩენია 1870 წელს, საძირკვლის განმენდის დროს. ძალზე საყურადღებო ცნობას გვანვდის ავტორი, როდესაც წერს, რომ იატაკზე თევზისა და მამლის მოზაიკური გამოსახულებების გვერდით, არსებულა წარწერა, რომელიც ძალიან ჰგავდა „ძველს ქართულს ხუცურს ასომთავრულს“ (გვ. 42). ალ. ანისიმოვის მიხედვით, იქვე, ძველისძველ აკლდამაში, ქართველი მეფენიც ყოფილან დაკრძალულნი. მაგრამ პ. კონჭოშვილი დასძენს, რომ სამწუხაროდ, მისთვის ეს საფლავები და სავარაუდო წარწერები არ უჩვენებიათ (გვ. 44).

საყურადღებოა, მისი ცნობა იმის შესახებაც, რომ „ქრისტეს აღდგომის ტაძრის კარების გარეთ, მარცხნივ, საშუალო სვეტზედ არის ქართული წარწერა, ასომთავრული, რომლისგანაც ამოვიკითხე მხოლოდ შემდეგი: „ქრისტე მაცხოვარ, შეიწყალე ჯარვარ...“¹ (გვ. 48).

ელეონის მთის ძირას მდებარეობს განთქმული გეტსიმანიის ბაღი, სადაც ქრისტე უკანასკნელად ლოცულობდა. აქვეა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფლავი. შემდეგ მეუფე წერს: „სიმდიდრით და მშვენიერებით არცერთი ეკლესია არ შეედრება მთელს პალესტინაში წმ. მოციქულის იაკობ ზებედეგს ტაძარსა იერუსალიმში, ეს ეკლესია აღუშენებია გიორგი კუროპალატსა (გიორგი I 1014-1027 - ვ. კ.) XI საუკუნის ნახევარში და ეხლა ჩვენდა სამწუხაროდ, სომხები ფლობენ მას, თითქმის ასის წლის განმავლობაში“ (გვ. 50).

ეპისკოპოს კონჭოშვილს მოჰყავს გადმოცემა იმის შესახებ,

¹ ხელოვნებათმცოდნე გ. გაგოშიძის თანახმად, ეს წარწერა რამდენიმე წლის წინაც განირჩეოდა. „ჯარვარ“-ის ნაცვლად, მას ნაუკითხავს „ჯვარიძე“.

რომ ადამის თავის ქალა, ნოეს მიერ დასაფლავებული იქნა გოლგოთაზე. იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდგომ, მისი ფერდიდან გადმოდენილი სისხლი ეცემოდა ადამის ძვლებს" და განბანა იგი მის მიერ ქმნულ ცოდვისაგან" (გვ. 42). მეუფე პეტრე წერს, რომ მისი აზრით, აქედან მომდინარეობს ქართველთა შორის გავრცელებული წესი, პურის ღვინოში დასველებისა, მიცვალებულის შესანდობარის წარმოთქმისას.

7 ივნისს მეუფე პეტრე სიონის მთას მოიხილავს. აქ არის ადგილი, სადაც განხორციელდა „საიდუმლო სერობა“. ამ ადგილას, ავტორის მოწმობით, მაშინ უკვე მაჰმადიანთა მეჩეთი მდგარა; ამ დღესვე, მამა პეტრე, თანამწირველი ყოფილა იერუსალიმის პატრიარქისა და სხვა სამღვდელელებისა, რუსთა მისიის სამების ტაძარში.

იმავე დღეს, მოგვიანებით, პეტრე კონჭოშვილი გამგზავრებულია ქ. ბეთლემს, რომელიც მისი სიტყვით, იერუსალიმს 10 ვერსით არის დაშორებული. ბეთლემში, იესო ქრისტეს შობის ეკლესიაში, ვერცხლის ვარსკვლავი მიუთითებს ადგილს, სადაც იშვა მაცხოვარი. აქ, მე-18 საუკუნემდე, ქართველებს ჰქონიათ თავისი სამწირველო, რასაც მოწმობს, ავტორის სიტყვით, მთავარეპისკოპოსი ტიმოთე. მაცხოვრის შობის ადგილიდან 200-მდე ნაბიჯზე ყოფილა მღვიმე, რომელსაც „რძიან მღვიმეს“ უწოდებენ. აქ ერთხანს, ჰეროდეს ემალეობდნენ ღვთისმშობელი და ყრმა იესო; გადმოცემის თანახმად, წმ. მარიამის რძის რამდენიმე წვეთი დაცემულა ქვაზე, დღემდე ქვას თეთრი ფერი აქვს და „მორწმუნენი ფხეკენ მას“.

იქვეა „მწყემსთა ლელე“, სადაც მწყემსებმა პირველად იხილეს ყრმა იესო.

შემდეგ დღეს, პეტრე კონჭოშვილი უძველეს ქ. ქებრონს გამგზავრა და ორიათასწლიანი მამბრეს მუხა ნახა, რომლის ძირასაც მამამთავარ აბრამს წმ. სამება გამოეცხადა სამი მოგზაურის სახით. მუხის ოთხი ტოტიდან, იმ დროს, ორი კიდევ ცოცხალი იყო და მესრით იყო გარს შემოვლებული, რათა მლოცველთ არ ევნოთ. მსურველებს მხოლოდ ჩამოცვენილი რკოს შეძენა შეეძლოთ. ქებრონის გზაზე მდებარეობს ილია წინასწარმეტყველის ბერძენთა მონასტერი, რომელიც ადრე, აგრეთვე ქართველთა კუთვნილება ყოფილა (გვ. 74).

მოგზაურობის წიგნში, ცალკე თავი ეძღვნება ქართველთა

ჯვრის მონასტრის აღწერილობას. მეუფე პეტრე ღრმა გულისტკი-ვილით აღწერს ამ დიდებულ სავანეს, რადგან იქაც ყველაფერს ბერძნები იყენენ დაპატრონებული და ცდილობდნენ ყოველივე ქართულის კვალი წარეხოცათ. მართალია, კონჭოშვილის დროს რამდენიმე ქართული წარწერა კიდევ შემორჩენილი იყო კედლებზე და იატაკზე, მაგრამ შოთა რუსთაველის განთქმული ფრესკის წარწერა, უკვე გადაღებილი იყო. აი, რას წერს მეუფე პეტრე: „გულით ვეძებე შოთა რუსთაველის სურათი და ძლივს შევნიშნე მარჯვენა მხარეს, სვეტზედა, რადგანაც ნაბლალულია ზედწარწერა“. პეტრე კონჭოშვილი ის უკანასკნელი მოგზაური იყო, ვინც ეს ფრესკა იხილა. მალე ამის შემდეგ, ფრესკა მთლიანად შავი საღებავით დაფარეს. ეს შავი საღებავი ფრესკას ქართველმა მეცნიერებმა მხოლოდ XX ს. 60-იან წლებში მოაშორეს.

შემდეგ, ავტორი ეწვია მკვდარ ზღვას, მოინახულა მდ. იორდანე და ბიბლიური იერიქონი. მდინარე იორდანედან 3 ვერსზე ყოფილა წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი – უდაბნო, რომელიც აგრეთვე ქართველებს დაუარსებიათ. მიუხედავად აუტანელი სიცხისა, რომელიც 50°C აღწევდა, მეუფე პეტრე განაგრძობს წმინდა ადგილთა მოლოცვას. სამწუხაროდ, შავი ქირის გავრცელებამ, მას ხელი შეუშალა ენახა ჩრდილო პალესტინა. ამიტომ ნაზარეთს, თაბორს, ტიბერიის ტბას, წმ. საბას ლავრას, იგი სხვა მოგზაურთა ნაწერებზე დაყრდნობით აღწერს.

საინტერესოდაა დახატული წმ. საბას ლავრის ადგილმდებარეობა. აი, როგორ აღწერს მას პ. კონჭოშვილი: „დასავლეთის კედელზედ, ცეცხლის მდინარისა (ე. ი. ძალზე ცხელი ხევისა – ვ. კ.) სალსა და ლადა-ლუდა კლდეებ(ს) შორის, გახურებულის ცის ქვეშ იუდეანთა უდაბნოისა, არის გადმოკიდებული, მსგავსად მოურევნელის გოლიათისა, თხუთმეტსაუკუნოვანი ბურჯი მართლმადიდებლობისა პალესტინაში – ლავრა წმინდა საბასი“ (გვ. 107). კონჭოშვილი აღნიშნავს, რომ VI-X საუკუნეებში, საბას ლავრა ქართული საეკლესიო მწერლობის აკვანს წარმოადგენდა; ავტორი ასევე საინტერესოდ აღწერს სინას მთას, პორტ-საიდს, ქ. ალექსანდრიას, ქაიროს და იქაურ სინმინდებს. იგი, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში, 700-მდე ქართული, არაბული და სომხური ხელნაწერი უნდა ყოფილიყო დაცული. მისივე

სიტყვით, მონასტრისადმი დიდი შეწირულობის გამო, იქ მუდმივად მოიხსენიებოდნენ: ვახტანგ გორგასალი, წმ. დავით აღმაშენებელი და ნეტარი თამარი (გვ. 119-20).

დანვრილებით აღწერს პეტრე კონჭოშვილი იმ განსხვავებებსაც, რომელთაც ადგილი ჰქონდა საღვთო ლიტურგიაში იერუსალიმისა და რუსეთის ეკლესიებს შორის (სულ, ასეთი 15 განსხვავება აღუნიშნავს მას).

26 ივლისს მეუფე პეტრე საბოლოოდ დაემშვიდობა პალესტინას და გეზი ათონის მთისკენ აიღო.

დიდი სიყვარულითა და ამავდროულად გულისტკივილით აგვიწერს პ. კონჭოშვილი ქართველთა ათონის ივერიის ღვთისმშობლის ტაძარს („ივირონს“) საიდანაც 1850 წლიდან, გამოდევნილ იქნენ უკანასკნელი ქართველი ბერები.

1870 წელს, მათ, „ივირონიდან“ მოშორებით, ააგეს იოანე ღვთისმეტყველის სავანე და იქ, დიდ სიგლახაკეში ცხოვრობდნენ. „ივირონს“ დაპატრონებული ბერძნები კი, უკლებლივ იღებდნენ შემოსავალს ამ მონასტრის საქართველოში მდებარე მდიდარი მამულებიდან.

პეტრე კონჭოშვილის ფიქრი მუდმივად საქართველოს სიძველეებს, მის სინმინდეებს დასტრიალებს. აგერ, დაღლილი და მთელი დღის ნაღვანი მოძღვარი, საღამოს, კვლავ ქართულ ხელნაწერებზე ესაუბრება ათონზე სტუმრად მყოფ ოქსფორდისა და კემბრიჯის ორ სტუდენტს. მათ რომელიღაც ქართული ხელნაწერის ფოტო გადაუღიათ, მაგრამ მისი წაკითხვა არ ძალუძთ. პეტრე კონჭოშვილი მათაც სთავაზობს დახმარებას... (გვ. 154).

დიდად ცდილა პეტრე კონჭოშვილი გასცნობოდა ქართულ ხელნაწერთა მდიდარ კოლექციას, მაგრამ ხვეწნა-მუდარის შემდგომ, ხელნაწერთა მხოლოდ მცირე ნაწილი უჩვენებიათ, ისიც ძალზე ცოტა ხნით.

ათონის მონასტრის წიგნსაცავს, პ. კონჭოშვილი, იქაური მხცოვანი ქართველი ბერების – მამა ალექსი ბაქრაძის და გაბრიელ მონაზვნის (ბერძნულის კარგი მცოდნის) თანხლებით ეწვია: „მოვიტხოვე კატალოგი ქართული წიგნსაცავისა, რომელიც არ აღმოჩნდა შედგენილი. მდაბიო მედუქნეს აქვს შედგენილი სია თავისის სანვრილმანოსი და ამათ კი, სასულიერო საუნჯის სია, ჯერ არ შე-

უდგენიათ”, მწარედ დასძენდა იგი (გვ. 158).

პ. კონჭოშვილი ზოგიერთი ხელნაწერის მოკლე აღწერილობას გვაძლევს. მაგალითად, მან ნახა: ცხოვრება იოანე ოქროპირისა (ოშკიდან), მაქსიმე აღმსარებლის წიგნი, კრებული „სამოთხე“ X საუკუნისა, ოშკიდან, მათეს სახარება, ექვთიმე ათონელის თარგმანი, სამუელ ქართლის კათალიკოსის წერილი (789 წლისა), რამდენიმე ძველი დაბადება და ა. შ. (გვ. 165-168).

პ. კონჭოშვილი წერს: „ივერიის მონასტრის ციხის ზევით სართულში, აქეთ დაკრძალული უძვირფასესი სამეფო და საეკლესიო სამკაულნი: გვირგვინები და სკიპტრანი ქართველთა მეფეთანი; ძვირფასი სამი სახარება და ამ მონასტრის აღმშენებლის, მარად მოსახსენიებლის თორნიკე ერისთავის საჭურველნი (საომარნი იარალნი): ხმალი, ჩაფხუტი, ფარი, ჩაჩქანი და მშვილდი, რომელთაც არავის ქართველთაგანს არ უჩვენებენ. ეს ცნობები გადმოცემულია ქართველებისათვის მეგობრობით, ერთის ბერძნის ბერისაგან“ (გვ. 174).

მეუფეს მოჰყავს ათონის მთის ქართველი ბერების მიერ მისთვის გამოგზავნილი წერილები, სადაც ისინი ჩივიან ბერძენთა მიერ მათ აუტანელ შევიწროვებაზე¹. პ. კონჭოშვილი დაასკვნის: „ჩვენ... დიდი საფუძველი გვაქვს გამოვსახოვით უცხო ტომის ერსა, ბერძენთა, ჩვენი ეროვნული, წმინდა და დიდებული სამკვიდრებელი, რომლის კუთვნილებას ქართველი ერისადმი ქვანიცა ჰლალადებენ“.

ათონის მთაზე, მეუფე პეტრემ მრავალი დიდი და მცირე ეკლესია-მონასტერი და მეტოქი მიმოიხილა. მათ შორის: რუსთა, ბერძენთა, ბულგარელთა, სერბთა და ა. შ. ავტორი გადმოგვცემს იმასაც, რომ ათონიდან თესალონიკისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფელი იერისო, ადრე მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მის მიერ ათონის მონახულებამდე ორი წლით ადრე, იქაურ ეკლესიას ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა ქართული წარწერა. ეს ცნობა მას ადგილობრივმა

¹ ქართველი ბერების „ივირონის“ მთავარ ტაძარში დაბრუნების და ბერძენებთან გარიგების პროექტი შეიმუშავა ისტორიკოსმა ალ. ხახანაშვილმა მაგრამ იგი, როგორც ქართველთათვის საზიანო და დამამცირებელი, პ. კონჭოშვილმა დაინუნა (იხ. აქვე, დამატება №11, „ივერია“, №234; „მსცოვანი“).

ქართველმა ბერებმა მიანოდეს (გვ. 174). მართლაც, პლატონ იოსელიანის მოწმობით, 1849 წელს იერისოში ჯერ კიდევ არსებობდა 1336 წელს შესრულებული ქართული წარწერა¹. ამას მოწმობენ სხვა, უფრო მოგვიანო ხანის მოგზაურებიც.

პ. კონჭოშვილი აღშფოთებას ვერ მალავს, როცა აღწერს რა ბარბაროსულად ექცეოდნენ ივირონის მაშინდელი ბერძენი გამგებლები ქართულ ხელნაწერებს. მათ ისიც აუწყევს მოძღვარს, რომ ცოტა ხნის წინ, ექვსი საპალნე ქართული ხელნაწერი, თითქოსდა ვილაცამ მოიპარა. სინამდვილეში კი, პეტრე კონჭოშვილის სიტყვით, ეს ხელნაწერები თვითონ ბერძნებმა გაყიდეს... ისევე, როგორც სხვაგან, ბერძნები აქაც ცდილობდნენ ყოველივე ქართულის კვალის წაშლას. 1899 წელს ერთადერთი ქართული წარწერა შემორჩენილი ჰქონდა მხოლოდ ივერიის კარის ღვთისმშობლის (პორტაიტის) წმინდა ხატს, მაგრამ მასაც შავი ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული.

ათონიდან კონჭოშვილი მძიმე შთაბეჭდილებებით დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ აქაც არ დახვდა უკეთესი მდგომარეობა. მან მოინახულა სოხუმი, სადაც ქართული წირვა-ლოცვა ყოველმხრივ იდევნებოდა. „სოხუმშია ორი ათასამდე ქართველთა ტომის ერი, რომელთაც სამშობლო ენა ქართული აქვთ. მრავალთა შემომჩივლეს რომ მოკლებულნი არიან ისეთს სულიერს ნუგეშსა და საზრდოს, როგორც არის მოსმენა სამშობლო ენაზედ წირვა-ლოცვისა, რომელსაც დამატკობელი, განმაცხოვრებელი და მაცხოვარებითი ძალა აქვს მორწმუნე კაცის გულზედ... მთელს საქრისტიანოში მიღებულია ეკლესიურის კანონით, ბრწყინვალე აღდგომის დღეს, სხვა-დასხვა ენაზედ წაკითხვა სახარებისა და ყოვლად მოუცილებლად – სამშობლო ენაზედა. და აი, უბედურება! ამ ნუგეშსა და ღვთიურს სიხარულს მოკლებულ არიან აქაურნი ქართველნი. ამაზედ მომეტებული უბედურება სულიერი, განალა იქმნება, რომ კაცმა ქრისტეს აღდგომის დღეს ვერ გაიგონოს სამშობლო ენაზედ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!“ (გვ. 200-201).

მეუფე პეტრე აღნიშნავს, რომ საჭიროა მეტი გულმოდგინე-

¹ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 396, შენ. №253.

ბა, რათა აქაურებმა ქართულ ენაზე მოისმინონ ნირვა-ლოცვა. სოხუმის მხარის ქართველებს, მისაბაძ მაგალითად იგი ვლადიკავკაზში მცხოვრებ ქართველთა თავგანწირვას უსახელებს. ისინი: „თავგანწირულობით ეცადნენ და აღაშენეს თავისათვის საკუთარი ეკლესია, მოიწვიეს საკუთარი მოძღვარი, რომელსაც საღმრთო მოვალეობად დაუდგინეს ქართულს ენაზედ ყოვლის მღვდელმოქმედების შესრულება“ (გვ. 202).

აგრძელებს რა მსჯელობას მშობლიურ ენაზე ქადაგებისა და ნირვა-ლოცვის წარმოების აუცილებლობის შესახებ, თავის წიგნში პ. კონჭოშვილი ცალკე თავს მიუძღვნის ამ საკითხს; მას ეწოდება „საფუძველნი, ძალი და მნიშვნელობა მშობლიურს ენაზედ შესრულებისა და მოსმენისა ღვთისმსახურებისა და სახარების ქადაგებისა“ (გვ. 203). ეს საკითხი, თავისთავად, ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო. მით უფრო, რომ მეუფემ ქართული ენის მნიშვნელობაზე მსჯელობა ჩართო საქართველოს ორ მტკივნეულ რეგიონზე, სახელდობრ: სოხუმის ოლქის (აფხაზეთ-სამურზაყანოსა) და მდ. ჭოროხის ხეობის (აჭარის) პრობლემების მიმოხილვისას. ამით, მან საზოგადოებას მიანიშნა, რომ ამ რეგიონებს მიხედვა სჭირდებოდა და რომ ეს უნდა გაკეთებულიყო უპირველესად იქ ქართული ენის ყოველმხრივი ხელისშეწყობისა და გაძლიერების საშუალებით. მშობლიური ენის ასეთი ხაზგასმა და წინ წამოწევა, აშკარად დაპირისპირება იყო ოფიციალურ ბრძოლასთან, მაგრამ მეუფე ამას ისე აკეთებდა, რომ რაც შეიძლება ნაკლები საბაბი მიეცა მთავრობისათვის სეპარატიზმში დაედოთ ბრალი. ამ საკითხებზე მსჯელობისას, მისთვის ამოსავალი წერტილი ყოველთვის იყო ბიბლიაზე და სახარებაზე მითითება. აი, როგორ ამაგრებდა თავის აზრს, მეუფე პეტრე: „ბაბილონის გოდოლის დარღვევის დროს, გვასწავებს წმ. ეკლესია, ვითარცა განმმარტებელი და გამომათარგმანებელი ბრძანებათა და სიტყვათა ღვთისათა: „რა ჟამი იგი გარდამოხდა და ენანი შეურივნა, მიმოდაყვნა მაღალმან, ნათესავნი“ (კონდაკი დღესასწაულისა სულის წმიდის გარდამოსვლისა). მაშასადამე, ღვთის განგებულების ნება არს, რათა არსებობდნენ ქვეყანაზედა მრავალნი ერნი და ტომნი კაცთანი და თითოეული ერი ადიდებდეს, აქებდეს და შმადლობდეს ღმერთსა თავის სამშობლო ენაზედ“. ასევე, განაგრძობდა იგი, განა ქრისტეს ამაღლების შემდეგ, ღმერთმა მოციქუ-

ლებს სული წმინდა ამიტომ არ მოუვლინა? სხვადასხვა ენაზე უფალმა ისინი სწორედ იმიტომ აამეტყველა, რომ ეს მისი ჩანაფიქრის განხორციელება იყო: ექადაგათ სახარება ყოველი ერისათვის თავ-თავის ენაზე. პეტრე კონჭოშვილი განაგრძობს: „თვინიერ ამ ნიჭისა, უცხოთა ენათა მეცნიერებისა, სახარების ქადაგება დაშთებოდა სრულიად უნაყოფოთ და იქმნებოდა იგი მსმენელთათვის „ვითარცა სპილენძი, რომელი წკრიალებს, ანუ წინწილი, რომელი ხმობედ“ (უღერს) (კორინთ. 18. 1), ხოლო როდესაც სახარება იქადაგების და წირვა-ლოცვა შესრულდების მშობლიურს ენაზედ, მაშინ მხოლოდ გამოიღებს იგი მაცხოვარებითა ნაყოფთა სულიერის ცხოვრებისასა“ (გვ. 203-204).

ამიტომაც იყო, რომ 1901 წ. „ივერია“, „ახალი ამბავის“ რუბრიკით იუნყებოდა: „დეკ(ანოზ) მამა კონჭოშვილს (გვარი ოდნავ დამახინჯებულია - ვ. კ.) წინადადება შეუტანია ეპარქიალურ სკოლების საბჭოში, რომ საღვთო სჯულის სწავლება სამრევლო-საეკლესიო სკოლებში, მოსწავლეთა დედა-ენაზედ სწარმოებდეს. საბჭოს დაუდგენია უნმ(ინდეს) სინოდს წარუდგინოს გადასაწყვეტად მამა კონჭოშვილის წინადადება“¹.

შემდეგი თავი, ქოროხის ხეობის (აჭარის) აღწერას ეძღვნება (ტიქნიკური მიზეზების გამო, ეს თავი, წიგნში ცალკე გამოყოფილი არ არის, თუმცა ამის შესახებ, შეცდომების გასწორებაშია მითითებული).

მეუფე წერს: „პალესტინიდან მობრუნებული, მოვედი ქ. ბათუმს, 5-ს აგვისტოს, 1899 წელსა. მეორე დღესვე წარვემართე სოფელს მარადიდს, რომელიც მდებარეობს მდინარე ქოროხის ხეობაში, 24 ვერსის მანძილზე ბათუმიდან (დღევანდელი ხელვაჩაურის რ-ნი, რაიონული ცენტრიდან 16 კმ. - ვ. კ.) აქაური მაცხოვრებელნი ძველი ქართველნი, ან სარწმუნოებით მაჰმადიანად გარდაქცეულნი, შემოუერთდნენ, სრულიად ბათუმის ოლქთან ერთად, ძველს თავის სამშობლოს საქართველოსა, რუს-ოსმალეთის ბრძოლის შემდეგ 1878 წელსა. ესენი არიან ძველნი საქართველოს ღვიძლნი შვილნი: „ძვალი ძვალთა ჩვენთაგანნი და ხორცნი, ხორცთა ჩვენთაგანნი“ (შექმ. 2,23). შემდგომ, იგი აღწერს იმ ვითარებას, რაც

¹ „ივერია“, 1901, №259 (29 ნოემბერი), გვ. 1.

მაჰმადიანობის ძალით გაერცვლებამ გამოიწვია ამ კუთხეში. აჭარელთა შორის ნაყოფიერი საგანმანათლებლო მოღვაწეობისთვის იგი სამაგალითო მამულიშვილს უწოდებს ზაქარია ჭიჭინაძეს და მოუწოდებს ყველა ქართველს „მცირედი მსხვერპლი შესწიროს სამშობლოს საკურთხეველზე“ (გვ. 205-207). საოცარი სიტბოთი, სამშობლოს სიყვარულით და ალლოთი გამოიჩინა მისი სიტყვები: „მათ მოსაქცეველად ძველს მამა-პაპათა ქრისტიანობრივს სარწმუნოებაზედა, აუცილებლად საჭიროა მქადაგებელნი წმიდისა სახარებისა მშობლიურს ქართულს ენაზედ, ვინაიდგან „ენა ტკბილად მოუბარი გველსაც ხვრელით ამოიყვანს“, ამბობს დიდი რუსთაველი. ხოლო მშობლიურს ენაზედ უტკბესი ხომ არა რომელიმე სხვა ენა იქმნება. ეს ცხადი და შეურყეველი ჭეშმარიტება არს“ (გვ. 208). მეუფე განაგრძობს: „კეთილგონიერება მოითხოვს ჩვენის მხრით, რათამცა პირველად გავალვიძოთ ბათუმის ოლქის მაჰმადიან ქართველთა შორის ეროვნული თვითცნობიერება, ვუჩვენოთ ჩვენს დაკარგულ ძმათა თანაგრძნობა და სიყვარული. „ვინაიდან ჩვენ ვხედავთ ბევრს სახელმწიფოთა შორის, რომ ერთი და იგივე ერი, ერთის ტომისა და ერთის ენით მოსაუბრე, ერთსა და იმავე სახელმწიფოშივე აღიარებს სხვა და სხვა სარწმუნოებას და ეს, სრულიად არ არღვევს მათ ეროვნებას. მაგალითად, გერმანიის და ავსტრიის იმპერიებში... როდესაც ეროვნული თვითცნობიერება გამოიღვიძებს ბათუმის ოლქის ძველთა ქართველთა შორის, მაშინ ეს თვითცნობიერება თვითონ გამოიწვევს მათ შორის სრულს ძმობრივ შეერთებასა და შეკავშირებას ჩვენთან, ვითარცა ეროვნულის ნაწევართა ეგრეთვე სულიერის სარწმუნოებრივის კავშირითა“ (გვ. 210). საოცარია, მეუფის ალლო, თავისი სამშობლოს ყველა კუთხის უანგარო და ამალღებული სიყვარული. პეტრე კონჭოშვილს აჭარის ტკივილი ისევე აწუხებს, როგორც სოხუმის ოლქის ვარამი და საერთოდ, საქართველოს ყველა კუთხე მისთვის ისეთივე ძვირფასია, როგორც მშობლიური კახეთი.

ამ თავის ბოლოს იგი ერთგვარად აჯამებს ზემოთქმულს: „შემაერთებელ ხიდათ ბათუმის ოლქში მცხოვრებელთა ქართველ მაჰმადიანთა ჩვენთანა, უნდა შეიქმნას პირველად ქართული ენა... ხოლო მეორე სულიერ შემაერთებელ ოქროს ჯაჭვად, თავისთავად შეიქმნება, ღვთისა შეწევნით, ქრისტე მაცხოვრის სარწმუნოება“ (ხაზი

ჩვენია - ვ. კ.) (გვ. 211-212).

როგორც ვხედავთ, წიგნში წამოჭრილი საკითხები და განხილული პრობლემატიკა, ძალზე ფართოა და იგი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

ამიტომაც იყო, ალბათ, რომ წიგნი გამოვიდა თუ არა, მას ქართველი საზოგადოების ცნობილი ადამიანების რამდენიმე აღფრთოვანებული რეცენზია მოჰყვა. მაგრამ, ვიდრე ამ რეცენზიებზე ვისაუბრებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ირკვევა, მეუფეს წიგნის გამოქვეყნების შემდეგაც არ შეუწყვეტია იქ განხილულ საკითხებზე ფიქრი. კირიონისადმი გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, რომ მეუფე პეტრე აპირებდა წიგნის მნიშვნელოვნად შეესებას და მის მეორედ გამოცემას. თუმცა, მ. საბინინის ბრწყინვალედ გამოცემული წიგნის „საქართველოს სამოთხის“ მსგავსად, პ. კონჭოშვილის „მოგზაურობის“ წიგნიც ძალზე ძნელად იყიდებოდა (წიგნის ტირაჟი 1200 ცალი იყო და ღირდა 1 მან). მეუფე წერდა: „ჩემი „მოგზაურობის“ წიგნი არ იყიდება, რომლის დამაბრკოლებლები არიან ჩვენნივე თანაძმანი, გონებით დაბნელებულნი და ზნეობითაც დავრდომილნი. ამგვარი მათი მოქმედებანი იმას ემსგავსება, რომ კაცი თავის ხელით ყელს იჭრიდეს და მით კარს უღებდეს მტერსა...“ იგივე წერილში, მეუფე პეტრე კირიონს პირველად აუწყებდა თავის განზრახვას: „თუ ღმერთმა აკურთხა ჩემი განზრახვა, ვფიქრობ მეორედ გამოცემას ჩემს „მოგზაურობისას“, თუ პირველი, ნახევრად მაინც გაიყიდა“¹. 1903 წ. 14 ივნისს, მეუფე კისლოვოდსკიდან ხერსონში კირიონს წერდა და დაბეჯითებით სთხოვდა გამოეთქვა თავისი აზრი „მოგზაურობის“ მეორე გამოცემის შესახებ. შემდეგ წერილებში, პ. კონჭოშვილი კვლავ იგივეს იმეორებდა: „მე მზა ვარ, ნახევარ ფასად გავყიდო ჩემი „მოგზაურობის“ წიგნები, მაგრამ სამწუხაროდ, საზოგადოების და სასულიერო წოდების თანაგრძნობას არა ვხედავ. 800 მანეთში, რვაგზის ათი არ მიმიღია“² და კიდევ: „ერთი ცალი წიგნიც „მოგზაურობისა იერუსალიმს“ არ შეუძენიათ სამრევლო სკოლებისათვის, არც ერთს საქართველოს ეპარქიაში, თუმცა ნახევარ ფასადაც მივეცი

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №941 (1902, 17 დეკემბერი), ფ. 2.

² იქვე, №942, ფ. 1.

წინადადება”¹.

მაგრამ ამის მიუხედავად, იგი დაულალავად აგროვებს მასალებს „მოგზაურობის“ ახალი გამოცემისათვის. თითქმის ყოველ წერილში, მეუფე პეტრე თავის მეგობარსა და სახელოვან თანამებრძოლს ეპისკოპოს კირიონს უზიარებს თავისი კვლევა-ძიების შედეგებს და სთხოვს აზრი გამოთქვას ამა თუ იმ საკითხზე. 1903 წ. ოქტომბერში მეუფე წერს: „როგორც თქვენ შეინიშნული გექნებათ, ჩემის წიგნის „მოგზაურობის“ წინასიტყვაობაში, არის მოხსენიებული წმ. გრიგორი ნოსელი (დაახლოებით 335-394 – ვ. კ.), უმცირესი ძმა დიდი ვასილისა (იგულისხმება ბასილი დიდი კესარიელი, დაახლ. 330-379 – ვ. კ.). ამაზედ ამოვიკითხე ფარარის მიერ გამოცემულს წიგნში ინგლისურს ენაზედ და თარგმნილს რუსულ ენაზედ პროფ. ლოპუხინის² მიერ „ცხოვრება და ღვაწლი წმ. მამათა და მოძღვართა ეკლესიისათა“, შემდეგი ადგილი: „Григорий Нисский принимал по приглашению, участие в избрании, которое Иберийский народ проводил для занятия оказавшейся среди них (свободной – В. К.) епископской кафедры. Он сам был избран этим народом и избрание это повидимому, закончилось бурным смятением и военным вмешательством, о подробностях которого, мы не имеем никаких сведений. 1902 г. т. II, стр. 80)“. შემდეგ, მეუფე ეკითხება კირიონს რა აზრისაა იგი ამის შესახებ და ხომ არ მიაჩნია მას, რომ ეს ამბავი საქართველოს ეხებოდა. მით უფრო, განაგრძობდა პ. კონჭოშვილი, რომ ზოგიერთი ცნობით, ქსნის ხეობის ლარგვისის მონასტერში აღმოჩენილ სახარებაზე ყოფილა მინანერი იმის შესახებ, თითქოსდა გრიგოლ ღვთისმეტყველს (ნაზიანზელს), ქრისტიანობა საქართველოში, კერძოდ კი, ქსნის ხეობაში, ექადაგოს. მეუფე განმარტავს, რომ ციტირებული ამონაწერის გაცნობის შემდეგ, მას ეჭვი გაუჩნდა, ხომ არ იყო ლარგვისის სახარების მინანერში, საუბარი გრიგოლ ნოსელზე და არა გრიგოლ ნაზიანზელზე. შემდეგ მეუფე

¹ იქვე, №943 (1903, 14 აგვისტო), ფ. 1.

² ლოპუხინი ალ. (1852-1904) – ღვთისმეტყველი, ს/პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი; ფარარი ფრ. უილიამი (1871-1903) – ცნობილი ინგლისელი მწერალი და ღვთისმეტყველი. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი.

კიდევ ერთ საყურადღებო შეკითხვას აძლევს კირიონს: „თქვენს შენიშვნებში (როგორც ჩანს, შენიშვნები ეხებოდა მეუფე პეტრეს წიგნს – ვ. კ.) უჩვენებთ სხვათა შორის, რომის იმპერატორს მარკ ავრელიუსზედ, რომ მას წარმოუთქვამს: „ათონის მთა თუმცა ნამცეცია დედამინისა, მაგრამ მას ყველა ქრისტიანეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონიაო“. ნუთუ მის მეფობის დროს (160-180 წწ.), ათონის მთაზედ ქრისტიანეთა მოღვაწენი გამორჩევით მოიპოვებოდნენ?“¹

ამ შეკითხვიდანაც ნათლად ჩანს, რომ მეუფე პეტრე, არ იყო ჩვეულებრივი, რიგითი სამღვდელი პირი. იგი გამუდმებით ეძიებს, კითხულობს და იკვლევს სასულიერო თუ საერო ლიტერატურას. აი, მეუფე კვლავ კირიონს მიმართავს: „თქვენგან მიღებულ ცნობათა, დაუმატებ აქ შეკრებილთა და სხვა და სხვა წყაროებითგან და ისრე შეუდგები წიგნის ბეჭდვასა (იგულისხმება „მოგზაურობის“ მეორე გამოცემა – ვ. კ.), ღვთისა შეწვენითა. მხოლოდ სურეთებზეა ახლა დაბრკოლება. ა. ხახანოვსა ვსთხოვე წერილით, გამოეძებნა მოსკოვში სურათები „ივერიის ღვთისმშობლისა“ და წმ. სოფიას ტაძრისა, რომელზედაც ღია წერილით მიპასუხა, რომ ვერ უშოვია... მოსკოვის ივერიის მონასტრის მეტოქიაში ნება არ მიუციათ ბერძენთა ბერებსა, რომ ფოტოგრაფიით გადმოეღოთ სურათი ღვთისმშობლის ხატიდან. ამ გვარს ქცევას ბერძენთასა ეწოდება ბარბაროსობა“².

შემდეგ, მეუფე პეტრე კირიონს მოწინებით სთხოვს: „თუ ოდესაში იმყოფებით, უმორჩილესად გთხოვ მიიღოთ შრომა და ფესენკოს ფოტოგრაფიაში გამოიკითხოთ, ხომ არ ექნება ეს ორი ზემოხსენებლი სურათი. მაინც მაგას უნდა დაევალო სხვა სურათების მომზადებაც, რადგან პირველი გამოცემისათვის მაგან მოამზადა 15 სურათი, თითოეული სურათისა 1200 ცალი... ათონელთა წმ. მამათა – იოვანესი, ეფთვიმისა და გიორგის სურათებსაც აქ დაეურთავ... სამშობლოს სიყვარულისთვის, გთხოვთ მომიტეოთ, რომ თქვენ განუხებთ ამ საქმისთვის“³. იგივე თხოვნაა გამეორებული შემდეგ წერილებშიც (1904 წ. 19 იანვარი, 1904 წ. 7 მარტი). 1904 წ. 7 მარტის წერილში მეუფე პეტრე კირიონს კვლავ აუწყებს მეორე

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №94 (1903, 29 ოქტომბერი), ფ. 1-2.

² ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №945 (1903, 15 დეკ.), ფ. 1.

³ იქვე, №945 (1903, 15 დეკ.).

გამოცემის განზრახვის შესახებ. „მოგზაურობის“ უკვე გამოცემულ ნიგნზე კი, წერს, რომ 200 ცალი კელაე უსასყიდლოდ გააჩუქა. 1904 წლის 10 ნოემბრის წერილში, ამ საკითხებზევეა საუბარი: „ჩემის „მოგზაურობის“ ბეჭდვაც შებრკოლდა. ფესენკო ორად მეტ ფასს თხოულობს სურათებში. ეპარქიალურ საბჭოს მივეცი წინადადება ნახევარ ფასად შექენისა ჩემის „მოგზაურობის“ ნიგნებისა და უარი ჰყვეს ახლაც და მომავლისთვისაც“¹. 1905წ. 9 თებერვლის წერილში, პეტრე კონჭოშვილი კირიონს აუწყებს, რომ არეულობის გამო (იგულისხმება რუსეთის პირველი რევოლუცია – ვ. კ.), წიგნის მეორე გამოცემის ბეჭდვა შეფერხდა, ხოლო მხოლოდ ერთი – ათონის კარის ღვთისმშობლის ხატის ილუსტრაციისათვის, მას ფანტასტიურ თანხას – 600 მანეთს სთხოვდნენ².

1905 წ. 14 სექტემბერს მეუფე პეტრე წერდა: „ჩემი მოგზაურობის“ დაბეჭდვას აბრკოლებს ის, რომ ორი ადგილი მაქვს შესასწორებელი და შესავსებელი და ამისათვის საჭირო მასალა – თხზულება მარისა ვერ მოვიპოვე და აგრეთვე მინდა შედარება იაკობ მოციქ(ულის) წირვისა, წმ. ვასილის წირვასთან“³. შემდეგ წერილში (იმავე წლის 16 ნოემბერი) იგი აზუსტებდა რა აინტერესებდა ნ. მარის შრომაში: „ბ(ატონ) მარის თხზულებიდან, საჭირო იქმნება ამოკრება იმა ცნობებისა, შესახებ ქართველთა ეკლესიის მნიგნობრობისა, რომელიც ჩემს მოგზაურობაში არ არის შეტანილი“. იმავე წერილში მეუფე ჩივის, რომ განუწყვეტელმა გაფიცვებმა წიგნის მეორე გამოცემა დიდი ხნით შეაფერხა⁴. როგორც ჩანს, მეუფის განზრახვას მეორედ გამოეცა „მოგზაურობა“, გადამუშავებული და გავრცობილი სახით, აღსრულება არ ეწერა... 1906 წ. 1 მარტს, ქუთაისში, ეპარქიის დროებით მმართველად გადაყვანილი მეუფე, დიდის გულისტკივილით ამცნობს კირიონს: „დამზადებული დამატებანი ჩემის „მოგზაურობის“ წიგნისათვის, მომეტებული ნაწილი, ექვს თაბახამდის, მომპარეს, თუ დავკარგე და ახლა ამან დააბრკოლა წიგნის ბეჭდვა“⁵. ეს არის „მოგზაურობის“ მეორედ გამოცემის

¹ იქვე, №949 (1904, 10 ნოემბ.), ფ. 3-4.

² იქვე, №950 (1905, 9 თებ.), ფ. 1-2.

³ იქვე, №956 (1905, 14 სექტ.), ფ. 4.

⁴ იქვე, №958 (1905, 16 ნოემბ.), ფ. 4.

⁵ იქვე, №959 (1905, 4 მარტი), ფ. 4.

ბოლო ხსენება. როგორც ჩანს, უკვე ჯანგატიეხილმა (მეუფე ამაზე ხშირად ჩივის წერილებში) და სულიერადაც საკმაოდ დამძიმებულმა (თვით მეუფე პეტრეს და სხვა სასულიერო პირების წერილებიდანაც ჩანს, რომ პ. კონჭოშვილი ძალზე განიცდიდა კირიონის გადასახლებას, ქართული ავტოკეფალიის აღდგენის შეფერხებას და ა. შ.), მან ველარ შესძლო საქმის ბოლომდე მიყვანა. მაგრამ ის, რაც გამოსცა, ნამდვილად ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა მაშინდელ საქართველოში. საზოგადოება მაშინვე მიხვდა, რომ ნიგნი შესანიშნავი იყო შინაარსითაც, მიზანმიმართულებითაც და გაფორმების მხრივაც. „მოგზაურობის“ გამოსვლას რამდენიმე ცნობილი პიროვნება გამოეხმაურა. 1902 წ. „ივერიაში“ იაკობ ფხაკაძემ¹ თარგმნა და გადმობეჭდა ალ. ხახანაშვილის რეცენზია ამ ნიგნზე, რომელიც მან რუსულ საისტორიო ჟურნალ „ისტორიჩესკი ვესტნიკ“-ში დაბეჭდა. „მოგზაურობათა ლიტერატურა წმ. ადგილებში, გამდიდრდა პატიოსანის შრომით, რომელიც ეკუთვნის დეკანოზს პეტრე კონჭოშვილს; დამსახურებულს დეკანოზს 40 წელიწადი გაუტარებია ეკლესიის სამსახურში და 35 წელიც ქრისტეს სარწმუნოების საღმრთო სჯულის მოძღვრების სწავლებაში. მისწრაფება ჰქონია მას, რომ თვისის თვალთ ენახა ის ადგილები, სადაც განხორციელებულმა (ე. ი. ხორცშესხმულმა – ვ. კ.) ღმერთმა იქადაგა, მიიღო ჯვარცმითი ტანჯვა და სიკვდილით აღსდგა და ამალდა ზეცად. დეკ. პ. კონჭოშვილი ღირსი იქნა განხორციელებინა თვისი წმ. წადილი და გამოსცა აღწერა თვისის მოგზაურობისა პალესტინასა და ათონზე, რათა მისცეს შეძლება ქართველ ერს გაეცნოს ქრისტიანობრივ სინმინდეთ. დეკ. პ. კონჭოშვილის ნიგნი დაწერილია ადვილ გასაგები ენით, მხურვალე გრძნობით, გულწრფელად და მიიზიდავს მკითხველის ყურადღებას. მის წინა დროის მოგზაურნი: ტიმოთე და იონა მიტროპოლიტნი კი, სწერდნენ მძიმე ენით, რის გამო, მათი თხზულებები – მოგზაურობანი პალესტინას, მდაბიო ერს ვერ ახალისებენ. ამ მხრივ ვერ აკმაყოფილებს ქართველ მეც-

¹ ი. ფხაკაძე – დეკანოზი და საზოგადო მოღვაწე იყო. 1908 წ. საქართვე. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ის საკუთარ წარმომადგენლად მიაკვლინა ერევანში. იხ. რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ. 97.

ნიერთა შრომანიც. დეკ. კონჭოშვილს დაუცავს სიმარტივეც და მეცნიერული მხარეც. კეთილსინდისიერად აღგვიწერს (იგი) ღირსშესანიშნავ ძეგლებს აღმოსავლეთის ქრისტიანობისას და გვაცნობებს შესაბრალის მდგომარეობას იქაურ ქართველთა ეკლესიათა და სავანეთა, რომელნიც ოდესმე აყვავებული იყვნენ, ხოლო ან, მიტაცებული არიან ბერძენთა, რომის კათოლიკეთა და გრიგორიანელთა მიერ. აღწერა მამა კონჭოშვილის მოგზაურობისა, პირველად დაიბეჭდა „ივერიის“ კაბადონებზედ 1899 წელს, ხოლო ახლა, შესანიშნავის დამატებით და თავებად დაყოფით დაბეჭდილ იქნა ცალკე გამოცემად. მთელი წიგნი შეიცავს 54 თავს, არა ცუდად შესრულებული სურათებითა. ნაშრომი ავტორისა, გვაცნობს ჩვენ მისს მოგზაურობას ტფილისიდან – კონსტანტინოპოლამდე (ოდესით) და შემდეგ იერუსალიმს მისის მიდამოებით და ათონზედ, ყველა მონასტრებს. ავტორი ყველაზე მომეტებულად მწუხარეობს მიტაცებას ათონის ივერიის მონასტრისას ბერძენთაგან, იმ მონასტრისა, რომელიც არის დაფუძნებული ქართველებისაგან მეათე საუკუნეში. სწუხს კვალად მასზედ, რომ როგორც ათონზედ, ისე პალესტინას მოსპობილ არიან ქართველთა მოღვაწეთა კვალნი (წარწერები და მხატვრობანი) და ეს მომხდარა მაშინ, როდესაც საქართველოში არეულობა იყო (რუსეთთან შეერთების წინა ჟამს). ეს მონასტრები დაფუძნებულ ყოფილან შრომითა, ლოცვითა და საფასითა ქართველთა მეფეთა, მთავართა და ღვთის მსახურთა მოღვაწეთა. რუსულს მწერლობას არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება აქაურ ქართულ სინმინდეთა უნუგეშო მდგომარეობისათვის, გარნა ჯერ არა გაკეთებულა რა, მათ უკეთ მონყობისათვის“. ეს არის ა. ხახანაშვილის რეცენზიის სრული ქართული თარგმანი, რომელსაც, იაკობ ფხაკაძემ, „მოგზაურობის“ წიგნის შესახებ, თავისი აზრიც დაურთო. ი. ფხაკაძე თავის მხრივ, დასძენდა: „... ხახანაშვილის ამ შენიშვნამ აღგვიძრა სურვილი პ. კონჭოშვილის წიგნის გაცნობისა. მელნით კი არა, ცრემლით და სისხლით დაწერილი ყოფილა კონჭოშვილის წიგნი. დეკანოზი პეტრე დიდი მცოდნე ყოფილა დაბადებისა და საეკლესიო წიგნებისა. წიგნს, შინაარსის შესაფერი აქვს გარეგნობაც: კაი სქელი თეთრი ქალაღდი, სხვილი ასოები და არა დასაწუნებელი სურათები. ამისთანა საუცხოო, სუფთა გამოცემა მართო ორიოდ მოპოვება ჩვენს ენაზედ. ეს წიგნი, ყოველ ჩვენებურ

შეგნებულ მღვდლის ბიბლიოთეკაში უნდა მოიპოვებოდეს". შემდეგ ი. ფხაკაძეს მოაქვს ვრცელი ციტატა „მოგზაურობის“ წიგნიდან, რომელიც ათონის ივერიის მონასტრის ქართველი ბერების შევიწროვებულ მდგომარეობას ასახავს და ასკვნის: „ჩვენის აზრით, ათონის ივერიის მონასტრის, ბერძნებისაგან დაბრუნების საქმეს დააჩქარებდა, რომ რომელიმე ფხიანი, მაღალის განათლების მქონე მღვდელ-მონაზონი ქართველი ჩარეულიყო საქმეში“¹.

გარდა აღ. ხახანაშვილისა და იაკობ ფხაკაძისა, „მოგზაურობას“, იაკობ გოგებაშვილიც გამოეხმაურა. იგი თითქმის წიგნის გამოსვლისთანავე, 1901 წ. მაისში „ვ-ელის“ („ვარიანელის“) ფსევდონიმით წერდა: „ძველი საქართველოს სამღვდლოება, ჰბრწყინავდა ერთი მხრივ ღრმა სარწმუნოებით მაცხოვრისადმი და მეორე მხრივ, მხურვალე სიყვარულით მამულისადმი. ეს ორი მაღალი გრძნობა ერთ-ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებული შეადგენდა იმ ზნეობრივ ძალას, რომელმაც მისცა შეძლება შეუდარებელი სამსახური გაენია საქართველოსთვის თხუთმეტი-თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში და დაეცვა იგი შემუსვრისაგან მტერთა ხელით. საუბედუროდ, ეს ორ-კეცი მაღალი გრძნობა, ახლანდელს ჩვენს სამღვდლოებაში, მეტად მისუსტებულია. გულგრილობა სარწმუნოებისა და მამულისადმი, საზოგადო ნაკლს შეადგენს ამ წოდებაში, მაგრამ ყველას როდი გადასდებია ეს ნაკლი. ჩვენდა საწუგემოდ, ახლაც მოიპოვებიან ქართულს სამღვდლოებაში გვაგამნი, რომელნიც ძველებურს სასულიერო მამებს გვაგონებენ სარწმუნოებითაცა და მამულიშვილობითაც. ერთი ამგვართაგანი ჰბრძანდება ყველასაგან დიდად პატივცემული ავტორი მოხსენებულის წიგნისა. მისი „მოგზაურობა“ ლაღადისია გულწრფელი-სა და ღრმა სიყვარულისა მაცხოვრისა და საქართველოსადმი. ეს ორი გრძნობა სჩქეფავს მის გულიდგან მაშინაც, როცა ესაუბრება თავისს თანამოგზაურებს, მაშინაც, როცა იერუსალიმში თაყვანსა სცემს წმიდა ადგილებსა, მაშინაც, როცა ათონის დიდებულს მონასტერს ეწვევა და იკვლევს მის მდგომარეობას და ბოლოს, მაშინაც, როცა უკან დაბრუნების დროს, გულამოსკვნით გვიამბობს მას, თუ რა უწუგემო მდგომარეობაშია ქართული ლოცვა შავი

¹ „ივერია“, 1902, №164 (3 აგვისტო), გვ. 3.

ზღვის პირად, სადაც წინად ბრწყინავდნენ აფხაზეთის კათოლიკოსნი, რომელნიც იმავე დროს, იყვნენ მთელის დასავლეთის საქართველოს კათოლიკოსებადვე. ავტორი მოგვითხრობს არა მარტო იმას, რაც თვითონ უნახავს, არამედ იმასაც, რაც დაუნერიათ წინანდელს მოგზაურებს, რომელთა აღწერანი სრულიად უცნობნი არიან საქართველოს საზოგადოებისათვის. მისი თხზულება სწორედ განძს შეადგენს ჩვენს ღარიბს სასულიერო ლიტერატურაში. გარეგნობის მხრივ „მოგზაურობა“ წარმოადგენს უუმშვენიერსს გამოცემას და თამამად შეიძლება გვერდში ამოუდგეს ბ-ნის გიორგი ქართველიშვილისაგან გამოცემულს „ვეფხისტყაოსანს“. წიგნს ფორმატი აქვს მოდიდო, მეტად მოხდენილი, დაბეჭდილია მშვენიერს ქალაქდზე მომსხო და ლამაზის ასოებით და შემკულია ფრიად დიდი მშვენიერის სურათებით, რომელთა რიცხვი 16-ია. ეს სურათები კლიშეებისაგან კი არ არის გადაბეჭდილი, არამედ დაბეჭდილია ერთს რუსეთის ლიტოგრაფიაში, ბრისტოლის ქალაქდზე და თავ-თავის ადგილას ჩართულია წიგნში. „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, არც ერთი ჩვენებური წიგნი ვერ დაიკვეხებს ამისთანა მშვენიერს სურათებს. წიგნი ღირს მანეთად, რაც ძლიერ იაფია. სხვა ენებზე ამისთანა გამოცემები ღირს ორს – სამს მანეთად, ავტორი დიდი მადლობის ღირსია, რომ ჩვენს ღარიბ (ამ სახის – ვ. კ.) ლიტერატურას შეჰმატა ამისთანა მშვენიერი წიგნი. ვინატრით ამ წიგნის მოფენას ჩვენს სკოლებსა და ოჯახებში¹ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

„მოგზაურობის“ წიგნში დასმული საკითხები, ისეთი ღრმა და წრფელი გრძნობით არის განხილული, რომ მას არა თუ საუკუნის წინ, ახლაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ამასთან, მიუხედავად მე-19 საუკუნის საეკლესიო ენისა, წიგნი მართლაც ადვილად და ინტერესით იკითხება. პეტრე კონჭოშვილი, ძალზე მნიშვნელოვან და საჭირობოროტო პრობლემებთან ერთად და მათ პარალელურად, მოგვითხრობს იმასაც, თუ ვინ შეხვდა გზაში, რა საკითხებზე ისაუბრეს მათ და ა. შ. თხრობის ასეთი მანერა მკითხველს უადვილებს წიგნის გაცნობას და თხზულების ცალკეულ ნაწილებს კომპოზიციურად კრავს. თხრობის ასეთი მეთოდის წყალობით, მეუფე კარგად უთავსებს ერთმანეთს წმინდა სასულიერო, საღვთისმეტყვე-

¹ „ივერია“, 1901, №110 (25 მაისი), გვ. 3.

ლო, სამეცნიერო და პატრიოტულ მოტივებს. უდავოა, რომ თანამგზავრებთან მეუფის თვითეული საუბარი, შეიცავს გარკვეულ მუხტს, ქვეტექსტს, რომელიც, ასევე ქართველი მკითხველის გამოლვიძებას ემსახურება. წიგნის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, როგორი საუბარი შედგა პეტრე კონჭოშვილსა და მარჯორი და ოლივერ უორდროპებს შორის, გემზე, როდესაც მეუფე ოდესიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. კვლავ გავიმეორებთ იმ ფრაზას, რომელიც ჩვენი აზრით, ამ საუბრის კვიტესენციაა: „ღროა გამოვიღვიძოთ და განვიფრთხოთ ღრმა ძილი!“, ამბობს მეუფე პეტრე. იგი ქართულ საზოგადოებას მიმართავს თითქოსდა ერთი კერძო შემთხვევის, ბიბლიის უძველესი ტექსტის გამოცემასთან დაკავშირებით. მაგრამ, ალბათ ყველასათვის და პირველ რიგში, წიგნის ცენზორის – ეპისკოპოს კირიონისათვის (წიგნი მისი პერსონალური ნებართვით გამოიცა), ცხადი იყო, რომელ „ღრმა ძილზე“ იყო აქ საუბარი.

სხვა თანამგზავრთაგან, იგი ასახელებს „გ. ქ-შვილის“ ვაჟებს, რომლებიც მისი სიტყვით, აღმოჩნდნენ: „ქართველნი ტომითაც, გვართაც და სამშობლოს სიყვარულითაც“ (გვ. 1). ცხადია, აქ მეუფე გულისხმობს გიორგი ქართველიშვილს (1827-1901) ცნობილ მენარმესა და მეცენატს, რომლის დაფინანსებით 1888 წელს ბრწყინვალედ გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ ზიჩის ილუსტრაციებით. 1885 წელს მანვე გამოსცა ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ და ა. შ.

სულ სხვა შეფერილობისაა მეუფის მიერ მოხმობილი დიალოგი, რუს ახალგაზრდა ინჟინერთან, რომელიც ნოვოროსიისკიდან ქერჩისკენ მიემართებოდა. ამ საუბრის ტექსტი, შენიღბულად ირონიულია: პ. კონჭოშვილი ცდილობს მისი თანამგზავრის გონებრივი თვალსაწიერი, თვით მკითხველმა განსაჯოს და შეაფასოს. ამ ახალგაზრდის პირველივე კითხვა, საკმაოდ ორიგინალური იყო: „თქვენ რუსულ სამსახურში (აქ, „სამსახური“ – „служба“ უფრო ფართო მნიშვნელობით მოიაზრება – ვ. კ.) ხართ თუ ქართულში?“ ამაზე პეტრეს გონებაამახვილურად მიუგია – ვახერხებ ორივეს შეთავსებასო. კიდევ უფრო მრავლისმეტყველია რუსი ახალგაზრდა ინჟინრის შემდეგი კითხვა: თუ ბერძნები მართლმადიდებლები არიან, ეკლესიაში, რატომ სლავურად არ გალობენო? ამ კითხვაზე მეუფე, გარეგნული სერიოზულობით დასძენს: „აი, ასეთი შემცდა-

რი წარმოდგენა აქვთ, რუსის ზოგიერთ მეცნიერთა, სხვა ეროვნულს საეკლესიო გალობასა და საგანზედ" (გვ. 4). ცხადია, რომ ახალგაზრდა ინჟინრის ბრიყვული კითხვები მან სასაუბრო მასალად იმისთვის გამოიყენა, რომ რუსეთში გავრცელებული ამგვარი აზრები, ამ გზით ემხილებინა.

ასეთი პასაჟები წიგნში მრავალია. ალბათ საინტერესო იქნება მისი ხელმეორედ გამოცემა, კომენტარებითა და მეცნიერული აპარატით. მით უფრო, რომ პ. კონჭოშვილის ამ წიგნით დაინტერესდა თანამედროვე ინგლისელი სასულიერო მკვლევარი ბ-ნი ჯონ ვილკინსონი (John Wilkinson), რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელ მზია ებანოიძესთან ერთად, აპირებს პ. კონჭოშვილის „მოგზაურობის“ ინგლისურ ენაზე თარგმნას და დიდ ბრიტანეთში გამოცემას.

აქვე ვახსენებთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო წიგნს, რომელიც პეტრე კონჭოშვილის რედაქტორობით, ინიციატივით და საფასით გამოიცა. ეს არის სამღვდელმთავრო კონდაკი (ანუ წიგნი, მთავარი საეკლესიო სამსახურის – ლიტურგიის შესახებ). კონდაკის გამოცემის სურვილი მეუფეს XX ს. დასაწყისში გასჩენია. 1906 წლის 25 მაისს, პეტრე კონჭოშვილი კირიონს სწერდა: „ჯერაც არ დაწყებულა ბეჭდვა, ქართული სამღვდელოების კონდაკისა, ზარმაცობისა გამო მ(ამა) პოლიევქტისა (კარბელაშვილი – ვ. კ.)“¹. მაგრამ პესიმისტური განწყობილების მიუხედავად, ეს უმნიშვნელოვანესი სამღვდელმთავრო წიგნი, მაინც დაიბეჭდა 1908 წელს. პეტრე კონჭოშვილი თანამშრომლობისათვის მადლობას უხდის იმხანად – დეკანოზ კორნელი კეკელიძეს და მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს. ეს კონდაკი, რომელიც 220 გვერდს მოიცავს ქართულ ეკლესიაში დღესაც ხმარებაშია. მოვიყვანთ კონდაკის შესავალ წერილს, რომელიც ხუცურადაა ნაბეჭდი (მთელ წიგნთან ერთად): „სადიდებლად ღმრთისა, თანა-არსისა, ცხოველის-მყოფელისა და განუყოფელის სამებისა, მამისა და ძისა და წმიდის სულისა, მეფობასა უკეთილ-მსახურისა დიდისა ხელმწიფისა ჩუენისა, იმპერატორისა ნიკოლაოს ალექსანდრეს ძისა, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა; დაიბეჭდა წიგნი ესე, სამღვდელმთავრო კონდაკი ტფილისს

¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, №960 (1906 წ. 26 მაისი), ფ. 1.

ქალაქს, „ძმობის“ სტამბას შინა, წელსა ქრისტეს აქეთ ჩჰმც (თარლის აღმნიშვნელი ასოები მცირე შეცდომითაა დაბეჭდილი – ვ. კ.).

ჯერ-არს უწყებად, ვითარმედ „სამლუდელთ-მთავრო კონდაკი“, ქართველთა შორის შემოვიდა ხმარებაში, ცალკე წიგნად, რუსთა ეკლესიის ზედმიხედვით, მხოლოდ მეთურამეტე საუკუნეში. ვინაითგან წიგნი ესე, აღსავსე თუალ-საჩინო შეცდომებითა, არ დაბეჭდილა, რაჲსა გამო, ქართულნი მწყემს-მთავარნი განიცდიდნენ მრავალ-გუარ დაბრკოლებათა, ამისათვის შევასწორე იგი ჯეროვნადა, თანამშრომლობითა დეკანოსის კორნილიოს კეკელიძისა და მლუდლის კალისტრატე ცინცაძისაჲთა, ბერძნულ-სლოვენურ ტექსტთა ქართულ ჳელთ-ნაწერთა თანა შედარებით. და აღუბეჭდე, საფასითა და წარსაგებელითა ჩემითა. უნებლიეთ შეცდომათათვის, ვითხოვ მკითხველთაგან შენდობასა.

პეტრე ეპისკოპოსი გორისა”¹ (აქვე განვმარტავთ, რომ ასეთი სახის, ეკლესიაში მოსახმარ გამოცემებში, იმპერატორის სხენება აუცილებელი იყო – ვ. კ.).

პ. კონჭოშვილი ზრუნავს ქართული საეკლესიო საგუნდო გალობის აღდგენაზეც. თბილისის მაზრის კეთილმოწესეთა ყრილობამ, 1899 წ. 28 ოქტომბერს დაადგინა, შეექმნათ სათანადო კომიტეტი, რომელიც იზრუნებდა ამ საკითხზე. კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო მამა პეტრე. მაგრამ სინოდმა ამ საქმისათვის საჭირო თანხა არ გამოყო. 1908 წელს ეპისკოპოსებმა პეტრემ (კონჭოშვილმა) და დავითმა (კაჭახიძემ) კვლავ მიმართეს სინოდალურ კანტორას იგივე თხოვნით, მაგრამ საჭირო თანხა (1500 მან. წელიწადში) არც მაშინ გამოინახა².

¹ სამლუდელმთავრო კონდაკი, ტფილისი, 1908 (შესავალი).

² სცსსა, ფონდი №489, აღწ. 1, საქმე №58747, ფ. 1-2.

ძირითადი დასკვნები:

ნაშრომის ამ თავში, საარქივო და გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, დადგენილი გვაქვს ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის (1836-1909) შემოქმედებითი ბიოგრაფია:

ღვდლად კურთხევა სოფ. კახში და მისი იქ მოღვაწეობა (XIX ს. 60 წ. დასაწყისი).

კეთილმოწესეობა შიდა ქართლის დაბა ჯავაში (XIX ს. 60 წწ. შუა ხანა).

თბილისის დედათა ინსტიტუტის საღვთო სჯულის მოძღვრობა (XIX ს. 80-იანი წლები - 1905).

ქართული ბიბლიის გამსწორებელი კომისიის წევრობა და ძველი აღთქმის ტექსტის დადგენაზე მუშაობა (XIX ს. 90-იანი წლები - 1907 წ.)

იერუსალიმისა და ათონის მთის მოლოცვა და შთამეჭდილებების ბეჭდვა 1899 წ. „ივერიის“ ფურცლებზე (ცალკე წიგნად გამოცემა 1901 წ.).

ალავერდის ეპისკოპოსად ხელდასხმა (1905 წ. 13 ნოემბერი).

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისთვის აქტიური ბრძოლა (ავტოკეფალიის მოთხოვნის პეტიციის ერთ-ერთი ავტორობა: 1905 წ. 16 ნოემბერი და 1906 წ. 25 მარტი).

იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველად დანიშვნა (1906 წელი, ნყვეტილად).

გორის ეპისკოპოსად გადაყვანა და ეგზარქოსის პირველი ქორეპისკოპოსობა (1907 წ. აპრილიდან - 1909 წლის თებერვლამდე).

საღვდელმთავრო კონდაკის გამოცემა კ. კეკელიძესთან და კ. კინცაძესთან ერთად (1908 წ.).

გარდაცვალება და ალავერდის ტაძარში დაკრძალვა (1909 წ. 5 თებერვალი).

მეუფე პეტრეს ქველმოქმედება (ძვირფასი საეკლესიო აღჭურვილობის შენირვა ს. საბუის (ყვარლის რ-ნი) იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიისთვის; ახალი ეკლესიის აგება ს. აწყურში (ახმეტის რ-ნი) და ს. საბუეში; უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება ს. აწყურში; 60 სასულიერო წიგნის მიძღვნა ს. კახის დე-

დათა სკოლისათვის და ა. შ.)

მთარგმნელობითი საქმიანობა (პ. სმირნოვის მართლმადიდებლური სახელმძღვანელოსა და „კითხვანი აღსარებასა ზედა“, ასევე, იოსებ მშვენიერისადმი მიძღვნილი საგალობლის თარგმნარუსული და სლავური ენებიდან).

გახსნილი გვაქვს მეუფე პეტრეს ფსევდონიმები („ინნობელი“, „იერუსალიმელ-ალავერდელი“, „მხცოვანი“).

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ნევრობა (1907-1909).

საქართველოს საეპარქიო საეკლესიო მუზეუმის და სვეტიცხოვლის რესტავრაციის კომიტეტის თავმჯდომარეობა (1908-1909).

დადგენილი გვაქვს მეუფე პეტრეს უახლოეს თანამებრძოლთა წრე (ეპისკოპოსი კირიონი, იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ილია ჭავჭავაძე, კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე, მ. საბინინი და ა. შ.).

გარკვეული გვაქვს პეტრე კონჭოშვილის იერუსალიმსა და ათონის მთაზე მოგზაურობის მიზნები, ამოცანები, მარშრუტი (1899 წ. 16 მარტი-31 აგვისტო).

განანალიზებული გვაქვს პ. კონჭოშვილის ცნობები: წმ. აბრაამის, გოლგოთის, ქრისტეს აღდგომის, წმ. იაკობ ზებედეს, ბეთლემის, ქებრონის, ილია წინასწარმეტყველის ტაძრებზე და განსაკუთრებით: იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერზე და ათონის მთის „ივირონის“ მონასტერზე.

მეუფე პეტრეს მტკიცების თანახმად, საეკლესიო სამართალი და საერთოდ სამართლიანობა მოითხოვდა, საქართველოს დაბრუნებოდა მისი კუთვნილი საზღვარგარეთული ტაძარ-მონასტრები. პირველ რიგში კი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და ათონის „ივირონი“.

პ. კონჭოშვილი მიიჩნევდა, რომ ქართველი ხალხის მეობის შენარჩუნების საქმეში უდიდესი როლი მშობლიური ენის დაცვას, მისი უფლებების გაფართოვებას, წირვა-ლოცვისა და ქადაგების ქართულ ენაზე წარმართვას ენიჭებოდა. მშობლიური ენის უფლებებს და მისი განვითარების რეალური მდგომარეობის ანალიზს ცალკე თავი ეძღვნება მეუფე პეტრეს „მოგზაურობის“ ნივთში. პეტრე კონჭოშვილი ხაზს უსვამდა ქართული ენის პრიორიტეტულ მნიშვნელობას სოხუ-

მის ოლქის (აფხაზეთ-სამურზაყანოს) და ჭოროხის ხეობის (აჭარის) დედა-სამშობლოსთან დაახლოვების საქმეშიც.

1901 წ. მან ოფიციალურად მიმართა ეპარქიალური სკოლების საბჭოს, იმ მოთხოვნით, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება მოსწავლეთა დედა ენაზე წარმოებულყო („ივერია“, 1901, №259).

მეუფე პეტრე მტკივნეულ ეროვნულ პრობლემათა შორის, გამოარჩევდა ჩვენი ქვეყნიდან მოსახლეობის მიგრაციის და ქართული მიწის უცხოელთა ხელში გადასვლის საშიშ ტენდენციებს. იგი მიიჩნევდა, რომ უცხოეთში გამგზავრება სასურველი იყო მხოლოდ დროებით, განათლების მისაღებად.

საკაცობრიო მტკივნეულ პრობლემათაგან, მეუფე პეტრე აღნიშნავდა მსოფლიოს მონინავე ქვეყნებში მოსახლეობის სულიერებისა და ზნეობრიობის საგრძნობ დაცემას, რაც მას საშიშ მოვლენად ესახებოდა.

პ. კონჭოშვილის ნაწერების ანალიზი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ დავასკვნათ: მეუფის უპირველეს საზრუნავს, ქართველი ერის გამოფხიზლება („დროა გამოვიღვიძოთ და განვიფრთხოთ ღრმა ძილი“) და ერისა და ეკლესიის დამოუკიდებელი განვითარება შეადგენდა.

თავი IV. მიხეილ (გობრონ) საბინინის ცხოვრება და შემოქმედება

მიხეილ საბინინი XIX საუკუნის საქართველოს კოლორიტული ფიგურა იყო. იგი იმდენად შეესისხლბორცა ქართულ სინამდვილეს, იმდენად ქართულ, პატრიოტულ პოზიციებზე იდგა (სახელსაც კი ასე აწერდა – „ივერიელი მიხეილ საბინინი“), რომ თბილისში მოღვაწე არქიმანდრიტმა მამა რაფაელმა (კაველინმა), უყოყმანოდ „საბინაშვილად“ მოიხსენია იგი¹. მიხეილის მამა პავლე, წარმოშობით ტვერიდან იყო და სასულიერო ნოდებას განეკუთვნებოდა. საქართველოში გადმოსვლის შემდეგ, მან ქართველი ქალი შეირთო². დღემდე მიხეილის დედის სახელიც კი უცნობი იყო. მხოლოდ უკანასკნელ ხანს, ჩვენ მივაკვლიეთ საბინინის რუსულად დანერილ ორ წერილს, რომლებითაც იგი კირიონს მიმართავს და სთხოვს თავისი გარდაცვლილი დედის – ეკატერინეს სულისათვის ილოცოს³.

მკვლევრები საბინინის პიროვნებით XX ს. 20-იანი წლებიდან დაინტერესებულან, რასაც მოწმობს ცნობილი ხელოვნებათმცოდნის რენე შმერლინგის წერილი დეკანოზ პოლიექტოს კარბელაშვილისადმი. რ. შმერლინგი სთხოვს ამ უკანასკნელს, მიანოდოს მასალა საბინინის შესახებ, პეტერბურგელ ახალგაზრდა მეცნიერს (სამწუხაროდ, მისი გვარი დასახელებული არ არის)⁴.

¹ Архимандрит Рафаил – Икона "Слава грузинской православной церкви". Фессалоники, 1994, с. 4.

² მიჩნეულია, რომ საბინინის დედა გვარად მირზაშვილი იყო; თუმცა ეს აზრი სერიოზულ ეჭვს იწვევს, რადგანაც მირზაშვილი იყო მიხეილის ნახევარდის მეუღლე. იხ. ვ. კიკნაძე, „ხოლო იყავნ ან ჩუენდა ლუანლი ესე, ანუ მარტვილობაი მიქელ-გობრონ საბინინისა“, აღ. ორბელიანისადმი მიძღვნილი III სამეცნ. კონფერენციის მასალები, თბ., 1999, გვ. 105.

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ სამაგლიშვილის ფონდი, საბუთი №1036, და №1351. აგრეთვე, იხ. ვ. კიკნაძე, მიხ. საბინინის უცნობი წერილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია № II, თბ., 2002, გვ. 147-150.

⁴ სცსსა, პ. კარბელაშვილის ფონდი 1461, აღნ. 1, საბუთი №293.

მიხეილ საბინინი დაიბადა 1845 (1846 წელს)¹. როგორც ჩანს, თბილისში. თავდაპირველად იგი კლასიკურ გიმნაზიაში შეუყვანიათ. აშკარად ჩანს, რომ მიხეილს დედა ქართული სულისკვეთებით ზრდიდა და ქართულსაც ასწავლიდა. ფრაგმენტული ცნობით, მამის გარდაცვალების შემდეგ, მიხეილი იშვილა ფოსტის მოხელემ – გიორგი პანოვმა (გარდაიცვალა 1876 წ.)². საერთოდ, ცნობები მიხეილის და მისი ოჯახის წევრთა შესახებ უაღრესად ფრაგმენტულია. ვიცით მხოლოდ, რომ მას ჰყავდა ნახევარდა – ალექსანდრა (მთელი თავისი მემკვიდრეობა საბინინმა მას დაუტოვა). ერთ-ერთ ნერილში, რომელიც პირველად შემოგვაქვს მიმოქცევაში, იგი იხსენიებს დედასთან მყოფ „მცირე ძმა“-საც³. საბინინის ამ ძმის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი.

თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ყალიბდება ინტერესი ქართული საეკლესიო წარსულისადმი: „მას შემოუვლია ქართლ-კახეთის ცნობილი ეკლესია-მონასტრები, გასცნობია მათში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, უნახავს ხატები, წმინდანთა და მოწამეთა საფლავები, ჩაუწერია ეკლესია-მონასტრების მსახურთაგან და ზოგჯერ მწყემსებისაგან ნაამბობი გადმოცემები და სასწაულები“⁴. მართლაც, „საქართველოს სამოთხის“ შესავალ ნაწილშიც და ქართველ წმინდანთა ცხოვრების რუსულ ვარიანტშიც (სქოლიოებში), საბინინი არაერთხელ ახსენებს თავის ვიზიტებს ძველი ტაძარ-მონასტრების მოსაწახულებლად. ერთ-ერთი ასეთი შენიშვნიდან ვიგებთ, რომ 1868 წლის 21 ივნისს მას მოუწახულებია დავით გარეჯის ლავრის რამდენიმე მონასტერი. ამასთან, მიხეილი, თავის მხლებელ, მხცოვან, ღრმად მორწმუნე ქალბატონთან ერთად, თბილისიდან იოანე ნათლისმცემელის უდაბნომდე ფეხით მისულა. მ. საბინინს რამდენიმე კლდეში ნაკვეთი ქვაბი მოუწახულებია და მათ

¹ მ. საბინინის დაბადების წელი, სხვადასხვა წყაროსა და ლიტერატურაში, ერთი წლის სხვაობითაა დაფიქსირებული. ვ. გურგენიძის სტატიაში კი, დასაწყისში მოტანილია 1846, შემდეგ კი 1845. იხ. ვ. გურგენიძე, ნმ. მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, ნაწ. II, თბ., 1997, გვ. 3,8.

² მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბ., 1983, გვ. 168.

³ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №1804, ფ. 3.

⁴ ქ. ცხადაძე, შუშანიკის წამების პირველი გამოცემის ისტორიიდან, კრებ. „შუშანიკის წამება“, თბ., 1978, გვ. 169.

შორის ე. წ. „მონამეთა“, სადაც აბას I-ის ბრძანებით ამონყვიტეს გარეჯის უდაბნოს ასეულობით ბერ-მონაზონი; აქვე, ნახევრადდანგრეულ ეკლესიაში, საბინინს უნახავს მონამებრივად აღსრულებულ ბერთა ძვლები, რომელთაც წმინდა მირონი სდიოდათ¹.

1868 წელს მიხეილმა კლასიკური გიმნაზია დაამთავრა, მაგრამ გამოცდები ვერ ჩააბარა². ჩვენი აზრით, გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე გამოვლინდა მ. საბინინის ხასიათის თავისებურება. სახელდობრ, იგი მთელი სიცოცხლე ვერ ურიგდებოდა სიყალბეს და ფარისევლობას. როდესაც საბინინი ხედავდა, რომ „მგლები ცხვრის ტყავში იყვნენ გახვეულნი“, არ შეეძლო არ ემხილებინა ისინი. თავის დროზე, აკაკი წერეთელმა ამ ხასიათის გამო, ლექსიც კი მიუძღვნა მიხეილს და ამით თანადგომა გამოუცხადა მას³.

საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდებში დაცულია ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი. ამ საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ მიხეილმა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს, 1867 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსს ევსევის (1858-1877) „რაპორტი“ მიართვა, ქ. თბილისში წმ. აბოს ნიშის სათანადო წესრიგში მოყვანასთან დაკავშირებით. იგი მოკრძალებით ითხოვდა სათანადო ყურადღება მიექციათ ამ ყველასათვის წმინდა ადგილისათვის. მ. საბინინის სიტყვით, აუცილებელი იყო ეს მიდამო განთავისუფლებულიყო სურსათით მოვაჭრეთაგან და ქარვასლისაგან; მეტეხის ტაძრის გალავანში (ზედ ნიშის თავზე) კი, გაუქმებულიყო „რეტირადული ადგილები“ (ანუ საპირფარეშო). ამავე რაპორტში მ. საბინინი აღნიშნავს, რომ მან შექმნა წმ. აბოს ახალი ხატი ამ ნიშისთვის⁴. თითქოს გამაღიზიანებელი ამ რაპორტში არაფერი იყო, მაგრამ მას მოჰყვა ძალიან მკაცრი რეაქცია თბილისის კეთილმონესის იოანე ბასხაროვის მხრიდან (რეზიდენცია ჰქონდა მეტეხის ტაძარში). ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ ნიშის საქმე საბინინს არ ეხებოდა და იგი სხვების ნაქეზებით მოქმედებდა. ბას-

¹ М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II, С/116, 1872, с. 101-102 (сноска №3).

² რ. მეტრეველი, დამმარხეთ საქართველოში... (მასალები მ. საბინინის ცხოვრებიდან), წიგნში „და მოვიდეს ვარანგნი“, თბ., 1988, გვ. 28.

³ რ. მეტრეველი, დასახ. სტატია, გვ. 38.

⁴ სცსსა, ფონდი №489, აღწ. 1, საქმე №26395, ფ. 9.

ხაროვი სხვათა შორის, წერდა, რომ კავკასიის არმიის მთავარი მღვდლის სტიფანე გუმილევსკის ცნობით, მ. საბინინმა წმ. აბოს ნიშის აღდგენაზე ორასი მანეთი დახარჯა¹. ამის შემდეგ, ი. ბასხაროვი გალიზიანებული შენიშნავდა: „...У Сабинина, столько лишних денег никогда не может быть; человек сирота, едва существует, содержит его вотчим” (იგულისხმება გ. პანოვი – ვ. კ.); იგი ასევე წერდა, რომ ახლად დახატული წმ. აბოს ხატი გამოუცდელი „მღებავის” ნახელავია („какой либо маляр, недоросль Сабинин”)².

როგორც ვხედავთ, საბინინის პირველივე საქმიან, ოფიციალურ მიმართვას, სასტიკი რეაქცია მოჰყვა. თუ როგორ იყო განწყობილი საეკლესიო ოფიციალოზი მ. საბინინის მიმართ, ჩანს თუნდაც ეგზარქოს ფლაბიანეს (1898-1901) მოხსენებითი ბარათიდან. ამ წერილით იგი მ. საბინინს იმპერატორის კანცელარიაში ასმენდა. სხვათა შორის, ფლაბიანე ასეთ რამესაც წერს საბინინის შესახებ:

„მას მიზნად დაუსახავს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შეურაცხყოფა მიაყენოს თანამდებობის პირებს, რომლებიც არსებული ხელისუფლების მიერ არიან შესაბამის ადგილებზე დანიშნული”³. ამაზე მეტ დანაშაულს, სახელმწიფოს წინაშე, ძნელად თუ მოიგონებდა კაცი!

როგორც ჩანს, ხასიათის ეს თვისება გახდა მიზეზი იმისა, რომ მიხეილმა გამოსაშვები გამოცდები ვერ ჩააბარა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სწავლის პერიოდშივე არ ერიდებოდა სასწავლებლის ხელმძღვანელობის კრიტიკას; ხოლო ბიუროკრატიული რუტინა რომელი სასწავლებლისთვის იყო უცხო, რომ საბინინის გიმნაზია ყოფილიყო გამონაკლისი? ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ საერთო აღიარებით, უკვე გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, მიხეილი განვითარებული, არაორდინალური აზროვნების, საეკლესიო სიძველეთა მოყვარული და მცოდნე ახალგაზრდა იყო. გიმნაზიაში, ცხადია, იგი მთელ თავის დროსა და ენერგიას სწავლას უთმობდა და არა რევოლუციურ მოღვაწეობას, როგორც იმდროინდელი სემინარისტების საკმაოდ დიდი ნაწილი.

¹ იქვე, ფ. 30.

² იქვე.

³ რ. მეტრეველი დასახ. შრომა, გვ. 68 (დოკუმენტი რუსულ ენაზე).

სამწუხარო წარუმატებლობის მიუხედავად, 1869 წელს მიხეილი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, საეკლესიო-საისტორიო განხრით. აქ იგი თითქმის ხუთი წელი ისმენდა ლექციებს, მაგრამ პრობლემებმა მაშინ იჩინეს თავი, როდესაც 1875 წელს, მან აკადემია დაამთავრა. რადგანაც მიხეილს თბილისის გიმნაზიის დამთავრების მოწმობა არ ჰქონდა, აკადემიაში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხს ვერ მიიღებდა. ამიტომ, მან გადაწყვიტა ერთბაშად ჩაებარებინა გიმნაზიის და სასულიერო სემინარიის სრული კურსი, თუმცა ბიუროკრატიული კანონები ამის ნებას არ აძლევდნენ. ამ საქმეში საბინის დახმარება აღმოუჩინა და შუამდგომლობაც იკისრა, საქართველოში ეგზარქოსად ნამყოფმა (1844-1858), იმ დროს კი, პეტერბურგის მიტროპოლიტმა ისიდორემ¹. მართლაც, საბინიმა ყველა საგანი ამჯერად წარმატებით ჩააბარა². ამის შემდგომ, მან ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, საინტერესო ნაშრომი წარადგინა: „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნემდე“.

პეტერბურგში სწავლის პერიოდში იგი იღრმავებს ცოდნას. რუსეთის დედაქალაქში იგი გაეცნო იოანე ბატონიშვილის შვილიშვილს, იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკის. ასევე, დაუახლოვდა ქართველ მეცნიერს დავით ჩუბინაშვილს და ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს. შემონახულია ხელნაწერები, რომლებიც აღნიშნულ პირებს ეკუთვნოდათ და მათზე საბინის მინაწერებს ვხვდებით³. პეტერბურგში გამოსცა მ. საბინიმა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების სრული აღწერილობა სამ ტომად, რუსულ ენაზე (1871-1873 წწ.). დროდადრო მ. საბინინი ჩამოდის საქართველოში, ეცნობა ეკლესია-მონასტრებს, აგროვებს ძველ ნივთებს და ხელნაწერებს. ზოგიერთი მათგანი მას პეტერბურგში მიაქვს. 1874 წელს მას პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს რამდენიმე ქართული ხელნაწერი, რომლებიც დღესაც იქ ინახება

¹ მიტროპოლიტ ისიდორეს, (იაკობ ნიკოლსკის (1799-1892)) დადებითად ახასიათებს კალისტრატე ცინცაძე, იხ. მისი - ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ., 1994, გვ. 95, შენ. 4; ისიდორეს „ღრმადგანათლებულს“ უწოდებს ნიკო ბაგრატიონიც (ბური), იხ. მისი „ბურებთან“, თბ., 1952, გვ. 43.

² რ. მეტრეველი, დამმარხეთ საქართველოში, გვ. 49 (დოკუმენტი).

³ ქ. ცხადაძე, დასახ. სტატია, გვ. 170.

(მხოლოდ ერთი დაუბრუნდა საქართველოს 1923 წელს)¹. შემდეგ-შიც, მაგალითად 1884 წ. საბინინს საეკლესიო ნივთები და ხელნაწერები პირადად იმპერატორისათვის მიურთმევია. მათ შორის, სხვადასხვა საუკუნეში გადაწერილი სახარებანი, დიდი, კანკელის წინ აღსამართი ჯვრის მოოქროვილი ვერცხლის ორი ჭედური ფირფიტა, ჯვარცმის გამოსახულებით; ლანგრის ფრაგმენტი, რომელზედაც „საიდუმლო სერობის“ კომპოზიცია ყოფილა გამოსახული. ამ ნივთების დიდი ნაწილი საბინინს, როგორც თვითონვე წერს, უპოვია „ერთი მალალი მთის ნაპრაღში, სადაც ბერები და სხვა ქრისტიანები აფარებდნენ თავს“². ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა შეგვესწავლა მის მიერ 1898 წელს ყანჩაეთის (ქსნის ხეობა) მონასტრიდან რუსეთში წაღებული XIII-XIV საუკუნეების სვინაქსარი, რომელიც ამჟამად პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება³. აღნიშნულთან დაკავშირებით, ასეთი რიგის პრობლემა იჩენს თავს: რამდენად გამართლებული იყო ქართული სიძველეების პეტერბურგში გატანა? დღევანდელი პოზიციიდან, რა თქმა უნდა, ასეთი საქციელი მიუღებელია. მაგრამ მაშინ, როდესაც უამრავი ქართული ხელნაწერი უპატრონოდ და უყურადღებოდ იღუპებოდა მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში, პეტერბურგში კი ისინი საიმედოდ იყო დაცული, ეს ქმედება გარკვეულ ახსნას ექვემდებარება. ამასთან, მ. საბინინი ამ სიძველეებს იყენებდა მთელი იმპერიის მასშტაბით, საქართველოს ეკლესიის წარსულისადმი პატივისცემის და ინტერესის გასაღვივებლად და პროპაგანდის გასაწევად. მრავალი გადარჩენილი ხელნაწერი მან საქართველოს მუზეუმებსაც შესწირა. საყურადღებოა მისი წერილი ეპისკოპოს კირიონთან დაახლოებულ მამა ათანასესადმი. 1882 წელს მ. საბინინი მას წერდა: „მე შევიტყვე რომ ვითომც შენ გინახამ იკორთის მღუდლის ხელში ძუჭლი „მამათ ცხოვრებაი“ სურათებით, ფრიად ძუჭლი. შენ კარგად მოგეხსენება, რომ მე ფრიად მონადინებული ვარ, რომ დაიბეჭდოს სრულიად საქართველოს წმიდათა ცხოვრება; რაც ძმაო,

¹ იქვე, გვ. 174. რ. მეტრეველი, დასახ. სტატია, გვ. 56 (დოკუმენტი).

² რ. მეტრეველი, დასახ. სტატია, გვ. 56.

³ ვ. კიკნაძე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძველი ერისთავთას“ დათარიღებისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1982, გვ. 51-57.

ძალ-მედვა ვჰყავი, (იგულისხმება „საქართველოს სამოთხის“ დაბეჭდვა - ვ. კ.). მაგრამ ვითარ ვხედავ, მრავალი აკლია... ღირსისა გრიგოლი ხენთრელის ანუ ხანძოელის ცხოვრება არა სადა მიპოვნია. არის ერთი ძუჭლი ზედნანური იერუსალიმის სანიგნობელში, რომელსა ეწოდების მეტაფრასტი, ვითომ იმაში მოიპოვება და ამის გამოთ დიდ სანუხარში ვარ ძმაო, მინდა დავბეჭდო მეორე ნაწილი „სამოთხისა“ (რუსულად - ვ. კ.)... ამისათვის, რომ მთელმა რუსეთმა გაიგოს ჩუჭნის წმიდის ეკლესიის სიმშვენიერება¹. საინტერესოა, რომ ლაპარაკია გრიგოლ ხანძოელის ცხოვრებაზე, რომელიც ნ. მარმა, მართლაც, იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში იპოვა და გამოაქვეყნა, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ 1911 წელს.

ამგვარად, 1875 წელს საბინინმა აკადემია დაასრულა და მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. როგორც ქ. ცხადაძე ვარაუდობს, იგი სწავლის ბოლო წელს ბერად აღიკვეცა და მაშინ მიიღო მეორე სახელი - გობრონი². ვფიქრობთ, რომ სახელთა ასეთი შერჩევა (მიხეილ-გობრონი) შემთხვევითი არ არის და საბინინი ქართული ეკლესიისათვის თავს ისეთივე თავდადებულად და წამებულად თვლიდა, როგორც არაბთა მიერ ნაწამები მიქელ - გობრონი იყო.



¹ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი № 1532.

² ქ. ცხადაძე, დასახ. სტატია, გვ. 170-171.

შესაძლებლად მიგვაჩნია, გამოეთქვათ ვარაუდი, რომ მიხეილ საბინინის პორტრეტული მსგავსება გადმოცემულია ამ წმინდანის ლითოგრაფიაში (სადღეისოდ, საბინინის ფოტოგრაფია ცნობილი არ არის). თუ კარგად დავაკვირდებით მიქელ-გობრონის ხატებას (რომელიც „საქართველოს სამოთხეშია“ მოთავსებული) (იხ. აქვე, გვ. 278), დავრწმუნდებით, რომ მიქელ-გობრონს სრულიად მოულოდნელად, გარკვეულად სლავური იერი დაჰკრავს (მაგალითად, ცხვირი). ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ წმინდანისადმი მიძღვნილ საგალობელში, მიხეილ საბინინი სთხოვს მას დაიცვას იგი: „ხილული და უხილავი მტრებისგან, რომელთაც სურთ დაშრიტონ სული ჩემი“¹. საერთოდ, ეს ტროპარი უფრო მეტად წმინდანისადმი ავტორის ვედრების შემცველია, ვიდრე წმინდანის განდიდებისა, რასაც სხვა წმინდანებთან მიმართებაში, ვერ ვხვდებით.

აკადემიაში სწავლის პერიოდშივე, მ. საბინინმა რუსულად თარგმნა პოლემიკური ტრაქტატი „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ (მიენერება არსენ კათალიკოსს) და პეტერბურგის პრესტიჟულ ჟურნალ „Домашняя беседа“-ში 1874 წელს გამოაქვეყნა².

საბინინი რუსულ – ევროპულ განათლებას შესანიშნავად უხამებს ქართულ, ეროვნულ პოზიციებს. ის, რომ საბინინი საქართველოს უანგარო მოყვარული და მოამაგე იყო, მისი კაპიტალური ნაშრომის „საქართველოს სამოთხის“ შესავალშივე ნათლად ჩანს. მ. საბინინი წერს, რომ ამ უზარმაზარი შრომის შექმნა იმანაც განაპირობა, რომ ამით ხელი შეეშალა გადაგვარებული ქართველებისა და უცხოტომელებისათვის: „რომელთა ჰნებავეთ ჩუჴნის მშუჴნიერისა და ლუთიე საყუარელისა ენისა მოსპობა“. მართლაც, საბინინის უპირველესი დამსახურებაა ამ კაპიტალური ნიგნის გამოცემა. ეს უზარმაზარი ნიგნი, რომელიც 639 გვერდს მოიცავს, მან 1882 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა ქართულ ენაზე. აქ შეტანილია ორმოცდაათი წმინდანის ცხოვრებისა და მარტვილობის აღწერილობა. მათ ერთვის არაჩვეულებრივად მაღალი ხარისხის ლითოგრაფიები. გრავირების საშუალებით, ამ ლითოგრაფიებზე ამოტვიფრულია წმ. ნინოს, ევსტათი მცხეთელის, ასურელი მამების, წმ.

¹ Михаил Сабинин (Ивериси), Полное жизнеписание святых грузинской церкви, ч. II, СПб, 1872, с. 63.

² მამუკა ბერძენიშვილი, „საბინინი“, გაზეთი „საბა“ 1997, №1-2, გვ. 5.

რაუდენის, ნმ. ქეთევანის, დავით აღმაშენებლის და სხვათა მაღალ-მხატვრული პორტრეტები¹. თითქოს ამ ბრწყინვალე ნიგნის დაბეჭდვას ქართული საეკლესიო თუ საერო საზოგადოება კმაყოფილებით და აღფრთოვანებითაც კი უნდა შეხვედროდა, მაგრამ რეაქცია მთლად ასეთი არ აღმოჩნდა. მ. საბინინს ვერ პატიობდნენ დაუფარავ კრიტიკას და გესლიან შენიშვნებს ისინი, ვისაც მიხეილი „ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს“ უწოდებდა. ხოლო, რამდენად მწვავე იყო მისი კრიტიკა, აღნიშნული ნიგნის სქოლიო-შენიშვნებიდანაც ჩანს და სხვა ნაწერებიდანაც. ერთ-ერთ ასეთ შენიშვნაში იგი წერდა, რომ წმინდა დავით გარეჯის უდაბნოში, ამ უწმინდეს ადგილას, თითქმის არ შეხვედრია ქართველი მლოცველები, იქაურობა კი ინგრეოდა, იშლებოდა და პატრონი არსად ჩანდა. საბინინი, შეძრწუნებული აფრთხილებდა საზოგადოებას: „ქართველნო! ღვინო და ლხინი და ცრუ-ქმნაი, დანთქმა და რისხუა და აღმოფხურაი“ გელით, თუ არ გამოფხიზლდებითო².

სხვაგან, საბინინი წერდა, რომ სასურველი იყო ახალგაზრდა მონამის, მეფე ლუარსაბის ნეშტის სპარსეთიდან გადმოსვენება, მაგრამ: „ვინ არს პატრონი? ვის უპყრია (ძალაუფლება – ვ. კ.), რომ ყურადღება მიაქციოს ნმ. ეკლესიას?... ვინ მომცემს მე ცრემლსა იერემია წინასწარმეტყუელისა, რათა ვიგლოვო აწინდელი დროი და მისი მოქმედულებაი“ – მოთქვამდა ის³.

აი, ეს გამოთქმები და ზოგიერთ სხვა, კონკრეტულ პირთა, ვთქვათ საეკლესიო ქონების ძარცვით განთქმული ქუთაისის გუბერნატორ ლევაშოვის, დავითგარეჯის არქიმანდრიტ მაკარის, ანდა სომხური ეკლესიის მესვეურთა და სხვათა მხილება გახდა საფუძველი იმ კრიტიკული წერილებისა, რომლებიც საბინინისა და

¹ ცალკე საკითხია ვინ არის ამ მხატვრობის ავტორი, თვით საბინინი, თუ პროფესიონალი მხატვარი. ფაქტობრივი მონაცემებით, საბინინისაა ესკიზები და საერთო ჩანაფიქრი, ხოლო ნახატების შესრულებას იგი სამხატვრო აკადემიის პროფესიონალებს ანდობდა. მოგვიანებით, საბინინმა ორიგინალური კლიშეებიდან – 25, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მიჰყიდა (იხ. რ. მეტრეველი, დასახ. სტატია, გვ. 38-39).

² საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ღვანლთა და ვნებათა საქართველოს წმინდანთა, გამოსცა გობრონ (მიხეილ) საბინინმა, პეტერბურლი, 1882, გვ. 579 (სქოლიო).

³ საქართველოს სამოთხე, გვ. 582 (სქოლიო).

მისი წიგნის მიმართ დაიბეჭდა მაშინდელ პრესაში. მაგალითად, საეკლესიო ცენზორი მ. ხელიძე (მის უკან, ამკარად სხვა, უფრო ანგარიშგასაწიფი ძალები იდგნენ), მ. საბინინის წიგნის გამოსვლას მტრულად შეხვდა¹. იმავე გაზეთ „შრომაში“ სადაც, მ. ხელიძეს სტატია გამოქვეყნდა, მას საკადრისი პასუხი გასცა ერთმა კორესპონდენტმა, რომელმაც გვარის დასახელება არ ისურვა. იგი „მგზავრი კაცის“ ფსევდონიმით, სხვათაშორის, წერდა: „რაიცა შეეხება (ხელიძის მიერ – ვ.კ.) ლევაშოვისა და მაკარის ქომაგობას, ეს არაფერი პატიოსანი კაცის საკადრისი არაა. ლევაშოვის საქციელი მთელმა რუსეთის ლიტერატურამ (უნდა იყოს „პრესამ“ – ვ. კ.) იცის. ჩაიხედეთ „გოლოსის“ 1882 წლის მე-5 ნომერში, ათის იანვრისა, და ცხადად დაინახავთ, როგორის გამოსარჩლებისა და დაფარვის ღირსია ეს „Грабитель имперетинских монастырей“. მაშ ვის პატიოსნებას იცავთ თქვენს რეცენზიაში? – კითხულობდა „მგზავრი კაცი“ და ასკვნიდა, რომ ხელიძემ მთელი წიგნი ვერ დაინახა და სქოლიოებს ანაცვალა „საქართველოს სამოთხე“, რომელმაც სასულიერო მწერლობას „გაუსკვნა საფუძველი“².

„საქართველოს სამოთხის“ შენიშვნების დიდი ნაწილი დავითგარეჯის უდაბნოს უნუგეშო მდგომარეობას ეხება. საბინინი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ წლების მანძილზე, წმინდანთა საფლავებში წყალი ჩადიოდა, პატრონი კი არ ჩანდა: „შოშველნი ძვალნი წმიდათა ამათ ღირსთა მოწამეთა, მიუხედეველად ასვენებან მცირე ეგუტერს, დიდს გამოქუაბულს საწნახელსა შინა. განა თუ არა ჯერ არს, მათი კეთილად დაცუაი?“³.

„საქართველოს სამოთხემ“, ბუნებრივია, ქართული კულტურის ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი მაინც დაიკავა, ყველა ავისმეტყველის ზრახვების მიუხედავად.

გაზეთ „დროების“ რედაქცია „საქართველოს სამოთხის“ შესახებ წერდა: „როგორც წიგნი, ისე სურათები, ისე წმინდად და ლა-

¹ გაზეთი „შრომა“, 1882, №47, გვ. 2.

² „მგზავრი კაცი“, საეკლესიო თხზულება ჩვენში და მისი რეცენზენტი, „შრომა“, 1882, №47 (1 დეკემბერი), გვ. 3. „მგზავრი კაცის“ ვინაობა ვერ დავადგინეთ, ჩანს, იგი იმერეთში მოღვაწეობდა. იმავე გაზეთის 20 ივლისის ნომერში, ამ ფსევდონიმითაა ხელმოწერილი შენიშვნა ოკრიბის სასულიერო ნოდების შესახებ.

³ საქართველოს სამოთხე, გვ. 292-579 (სქოლიო).

ზათიანად არის შესრულებული, რომ გული ხარობს ამ სახალხო განძის შეძენით... ჩვენის წამებულთ ცხოვრებაც გადაბმული და გადაკვანძილია ჩვენს წარსულ ცხოვრებასთან, ჩვენს სახელთან და ჩვენი ეროვნების გულისცემასთან... ეს წიგნი იმ ხალხის სურათებს და აღწერას შეიცავს, რომელნიც თავიანთი სიტყვით ამხნევენ საქართველოს და [თავისი] მაგალითით ერთს მუჭა ხალხს უძლევლად, შეუდრეკელად და დასავლეთის განათლების მოწინავე მებრძოლად და დამცველად ხდიდნენ¹.

მართლაც, „საქართველოს სამოთხე“ არ არის მხოლოდ აგიოგრაფიული თხზულებების შემთხვევითი კრებული. ეს არის კომპოზიციურად და მხატვრული თვალსაზრისით შეკრული, ლამაზი წიგნი. ავტორის პოზიცია მუდავნდება მრავალრიცხოვან კომენტარებში და შენიშვნებში. ბრწყინვალე ლითოგრაფიების ძირითადი მონახაზი ასევე მ. საბინინს ეკუთვნის; მხოლოდ მათ სრულქმნაში დაეხმარნენ პროფესონალი მხატვრები. „საქართველოს სამოთხის“ გამოცემა იმთავითვე დიდ მოვლენად აღიარეს: მღვდელმა საინგილოდან დიმიტრი ჯანაშვილმა, მეცნიერმა-ლექსიკოგრაფმა დავით ჩუბინაშვილმა² და ცნობილმა ისტორიკოსმა თ. ჟორდანიამ. ეს უკანასკნელი, მ. საბინინს უწოდებს „თვალსაჩინო მოტრფიალეს ჩვენის საეკლესიო მწერლობისას“ და იქვე დასძენს, რომ იგი „მეჭორეთაგან ტანჯულ-წამებულნი“ იყო. თ. ჟორდანია, ჩვეული პირდაპირობით წერდა, რომ წყაროს, წერილობითი ძეგლის (ამ შემთხვევაში რუის-ურბნისის ძეგლის წერის): „ერთის ვარიანტით და უდენოდ, უკეთესად გამოცემა, თითქმის შეუძლებელი იყო, პეტერბურგის სტამბაში, ხოლო რაც შეეხება „საქართველოს სამოთხეში“ ჩართულს ქართველი წმინდანების სურათებს, ეს ისრეთის ცოდნა-ხელოვნების, აღმატებულის სიყვარულისა და დაუღალავის მუშაკობის ნაყოფია, რომ მარტო ეს, (სხვაც რომ არა იყოს რა) საკმაოა მ. საბინინის სახელად და ჭეშმარიტთა ქართველთა სიქადულად“. ამ პატარა შენიშვნის ბოლოს, თ. ჟორდანია აღნიშნავდა: „მთელმა გუნდმა, იმ ვითომდა პატრიოტ მეჭორეთა, რომელთაც

¹ გაზ. „დროება“, 1882, №230 (4 ნოემბერი), გვ. 2.

² ვ. გურგენიძე, „საქართველოს სამოთხე“, გაზეთი „წიგნის სამყარო“, 1982, №12 (12 მაისი), გვ. 6-8.

ცილისწამების იარაღით ბოლო მოუღეს მისს მოღვაწეობას, ვერ შეგვიქმნა აჩრდილიცა, ესრეთი შრომისა”¹.

საბინინი თავის ახლობლებს, პეტერბურგიდან შეძრწუნებული წერდა, რომ წიგნი არ იყიდებოდა, დედამისი კი უსახსრობის გამო, საბინიელ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. მიხეილი ევედრება ზაქარია ჭიჭინაძეს, როგორმე შემწეობა აღმოეჩინა მისი დედისთვის. ამასთანავე, საბინინი ზ. ჭიჭინაძეს სწერდა: „შემატყობინე რასა ყარყატებენ იხვები, ბატები, ინდაურები, ყორნები და უფრო ყვავები... მე აქ, წიგნით (წერილით – ვ. კ.) და ისრე ამბავით ვიცი, რომ თუ საბინინი აქ (საქართველოში – ვ. კ.) ჩამოვაო, უთუოდ მოვკლამთო! თუ მომკლავენ დიდ რამეს არ წაიღებენ? მე კი სასუფეველის მეკერძოვეს გამხდიან”².

დავითგარეჯის უდაბნო მაინც განსაკუთრებით იზიდავს მ. საბინინს. ყოველი მისი კუთხე-კუნჭული შემოიარა და დავით გარეჯელის ცხოვრებაში აღწერილი ყველა ადგილი აღმოაჩინა. სადღაც, გლუვ მოლს მიადგება, რომელსაც დღესაც ხანძრის კვალი ამჩნევია, სხვაგან, უცხო მხეცის ნაწილ ადგილს ამჩნევს; წმ. მამა დავითის მონყობილ წყლის აუზსაც აღწერს და იქვე აღმოაჩენს წმინდანის ცხოვრებაში ნახსენებ მწარე წყალსაც³. დავითგარეჯა მას გამუდმებით იზიდავს და სულ იქით მიეჩქარება. რა აღარ ჩამოიტანა მოსკოვიდან და პეტერბურგიდან დავითგარეჯის ლავრისათვის: რამდენიმე მარმარილოს ტრაპეზი, კაკლის ხის მოოქროვილი და მუხის კანკელები; მარმარილოს საფლავის ქვა (ლუსკუმა), საეკლესიო ჭურჭელი და სხვა აღჭურვილობა; ჯვრები, ძვირფასი საღებავი და ვინ მოსთვლის კიდევ რა. იმპერატორის სახელზე დაწერილ თხოვნაში საბინინი იუნყება, რომ დავითგარეჯში, მართლმადიდებლობის ამ 13-საუკუნოვან ბურჯში, თვითონ, საკუთარი სახსრებით შეაკეთა კედლები, ციხე – გოდლები, კიბეები და სხვა. ასევე, ვერცხლის ჭურჭელი და საეკლესიო სამოსელის შესა-

¹ თ. უორდანი, ქრონიკები და სხვა მასალა... ტ. II, ტფ., 1897, გვ. 55.

² მ. საბინინის წერილი ზ. ჭიჭინაძეს (1884 წ. 4 ნომბერი), გ. ლეონიძის საბ. ლიტერატურის მუზეუმის ზ. ჭიჭინაძის საარქვო ფონდი, №5147, ფ. 2.

³ „საქართველოს სამოთხე“, გვ. 273, 274, 279, 282.

ნახი შესწირა წმ. დავითის საფლავის ეკლესიას¹. მღვდელ-მონაზონი კალისტრატე, თავის მხრივ, აღნიშნავდა, რომ დავითგარეჯის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კანკელი, აღსავლის კარები და „ხატები მშვენიერის ხელოვნებისა, ვარაყით და მინა[ნ]ქრით გამოხატული, პეტერბურლიდამ მ. საბინინისაგან შეწირულია 1880 წელსა“².

დავითგარეჯის გამშვენიერების შესახებ, მიხეილი ათეულობით წერილით მიმართავს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძეს) (წერილები გამოუქვეყნებელია, მიმოქცევაში პირველად შემოგვაქვს). ერთ-ერთ ასეთ წერილში, იგი მოსკოვიდან იწერება: „Я теперь приступил устроить из белого мрамора гробовую плиту с образом преподобного (Давида – В. К.), во весь рост его, под зеркальным стеклом“ (ეს ლუსკუმა, ძლიერ დაზიანებული, ამჟამად ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არმაზის ფილიალში). მას შუა, „სარკისებური“ ზედაპირი საგულდაგულოდ აქვს ამომტვრეული, ფილაც ორად არის გატეხილი; ლუსკუმას ოთხივე კიდეზე მიუყვება სტილიზებული ასომთავრული ასოებით შესრულებული წარწერა. იგი შემდეგს იუწყება: „გნატრით შენ, მამაო დავით და პატივს ვცემთ წმინდასა ხსოვანებასა [შენსა]! წინამძღვარო მონაზონთაო და თანამკვიდრო ანგელოზთაო, შეინყაღე საბინინი ექსორიობასა! წელსა ჩყებ (1893)“³.

ამას გარდა, გარეჯში მან გაგზავნა 5 დიდი, მოოქროვილი ბრინჯაოს სასანთლე, კანკელის წინ დასადგმელად, დიდი ჯვარი დავითგარეჯის სამრეკლოსათვის, თეთრი თუნუქი სახურავისთვის და ა. შ. 1884 წლის წერილში საბინინი იუწყება, რომ წმ. დავითის ლავრისათვის შეიძინა ერთი დიაკვნის და სამი მღვდელ-მონაზონის სრული შესამოსელი, წმ. დავითის საფლავის გადასაფარებელი, რომელიც მთლიანად ვერცხლის ძაფებისაგან იყო მოქსოვილი, ბრინჯაოს მოოქროვილი ჭურჭელი, წმ. დავითისთვის მიერთმეული

¹ რ. მეტრეველი, დასახ. სტატია, გვ. 65, 68 (დოკუმენტი); გაზეთი „ივერია“ 1904 წ. №245, (27 ოქტომბერი); „დროება“, 1881, №50, (15 მარტი); „ივერია“, 1893, №127 (18 იანვარი).

² მღვდელ მონაზონი კალისტრატე, წმ. გარეჯის უდაბნო, ტფ., 1884, გვ. 17.

³ ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არმაზის ფილიალი, ექსპონატი №220 (სასვენი ნიშნები, აღდგენა და ქარაგმების გახსნა ჩვენია - ვ. კ.).

შენიერულობების შესანახი ზარდახშა და ა. შ.¹ თავის დაუზოგავ ზრუნვას ამ ლავრის მიმართ იგი ასე ხსნიდა: „Я надеюсь что-нибудь сделать серьезное для обители св. Давида, ибо люблю пустыню; весь мир пустой сон и мираж и все люди мечутся как угорелые, и из-за чего, не знают сами“. მიხეილი ამასთანავე, ნუხდა, რომ არ ჰქონდა სავანის ფოტოები, რომლითაც უფრო დააინტერესებდა მდიდარ მეცენატებს რუსეთში². ამიტომ, იგი სთხოვს მეუფე ალექსანდრეს, დაუკავშირდეს როინიშვილს, რათა მან გადაიღოს მონასტრის სურათები, და შემდეგ მას გაუგზავნოს³ (იგულისხმება ცნობილი ფოტოგრაფი ალ. როინიშვილი (1846-1898)).

ყველა წერილში (სულ 30-მდეა), საბინინი სთხოვს მეუფე ალექსანდრეს მადლობის წერილი და წმ. ნინოს მედალი, ან ნაკურთხი ჯვარი გაუგზავნოს წმ. დავითის ლუსკუმის და სხვა ძვირფასი ნივთების შემომწირველს, ქველმოქმედ ვლადიმერ ივანეს ძე ბაიკოვს, მოსკოვის მეორე ჰილდიის ვაჭარს. ასევე, მოსკოვის ზაიკონოსპასკის მონასტრის ხაზინადარ მღვდელმონაზონ სერგის, რომელმაც უამრავი შესანიშნავი შეკრიბა დავით გარეჯისა და ზედაზნის მონასტრებისათვის⁴; ასევე, იგი ასახელებს ძვირფასი ფარჩეულისა და საეკლესიო ტანსაცმლის ქარხნის პატრონს მეშკოვს, რომელიც მზად იყო გამოეგზავნა ძვირფასი სამღვდელო შესამოსელი და წმინდა დავითის საფლავის საფარველი⁵. სამწუხაროდ, მეუფე ალექსანდრემ რატომღაც ეს თხოვნა არ შეუსრულა საბინინს. როგორ არ ცდილობდა მიხეილი დაერწმუნებინა იგი იმაში, რომ ამ ფორმალური მხარის დაცვა აუცილებელი იყო: „Владыко святой, знаете, чем дело будет скорее сделано, тем польза для обители святого Давида будет больше“⁶, ანდა კიდევ: „Благодарить понуждает долг приличия, надеюсь ускорите и успокоите жертвователей“⁷, არაფერმა გაჭრა. ბოლოს, როდესაც თხოვნის შესრულებას ვერ ეღირსა, მო-

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი № 1370, (1894 წ.).

² ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი № 1357, ფ. 3.

³ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი, № 1360.

⁴ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი № 1357, ფ. 1, (1892, 28 დეკ.).

⁵ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი № 1358, ფ. 3 (1893, 23 თებერვალი).

⁶ ხ.ერ.ც., ალ. ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი, № 1360.

⁷ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი № 1369.

რიგი შესანიერი, საეკლესიო ტანსაცმლის შესანახი დავითგარეჯის მონასტრისათვის (призница), ეგზარქოსის კანცელარიის სახელზე გაგზავნა. თუმცა პასუხი ვერც ამჯერად მიიღო და შემომწირველის სახელით (არქიმანდრიტი ბიკენტი, ნიკოლო-პერერვინის მონასტრისა და ივერიის ღვთისმშობლის ხატის ნიშის წინამძღვარი), ეგზარქოსს სთხოვდა: „Извъявить письменную благодарность выше-названному благодетелю, согласно принятому порядку приличия“ და აქვე მიუთითებდა თავის ბოლო მისამართს: „Москва, Большая Никитская, у церкви Малое Вознесение“¹.

უცნობია, მიიღო თუ არა ამჯერად საბინინმა მადლობის წერილი შემომწირველთათვის, მაგრამ როგორც ჩანს, თვით მისი წერილი მეუფე ალექსანდრესთან აღმოჩენილა, რადგან ამჟამადაც მის საარქივო ფონდშია დაცული. მეუფეს იგი ყველა წერილში ემუდარებოდა, რომ თუ მადლობის წერილს და ჯილდოს (წმ. ნინოს მედალს) არ გაგზავნიდა, მას (საბინინს) დააბრალებდნენ შეგროვილი თანხის მითვისებას; ამაში მიხეილს უკვე ანამუხებდნენ და კიდევ ემუქრებოდნენ². ზოგჯერ იგი იმით ცდილობდა დაეინტერესებინა მეუფე ალექსანდრე, რომ აცნობებდა: შემომწირველები აპირებდნენ დავითგარეჯის მონასტრის სასარგებლოდ 2000-მდე მანეთის შეტანას ბანკში, ამ თანხიდან კი, 4%-ს თვიურ მოგებას მიიღებდა უდაბნო³. მაგრამ ამაოდ; მღვდელ-მონაზონი სერგი ისე გარდაიცვალა, რომ საქართველოდან მადლობის წერილიც კი ვერ მიიღო⁴. უფრო მეტიც, ერთ წერილში საბინინი თავის უალრეს შეძრწუნებას გამოხატავს, ალექსანდრე ეპისკოპოსის პოზიციის გამო. ასეთი რუდუნებით შეკრებილი სიმდიდრის გარეჯისათვის შეწირვის სანაცვლოდ, მეუფე ალექსანდრეს მიხეილის დისტვის უთქვამს, რომ იგი ძალზე გაბრაზებულია საბინინზე, რადგანაც მოუწია წმ. დავითის ლუსკუმის ტრანსპორტირების საზღაურის გადახდა (ცნობილია, რომ მეუფე ალექსანდრეს შენანიერი ნივთები სხვადასხვა მონასტრებისთვის და საქველმოქმედო საქმეებისთვის ათია-

¹ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1749 (1894, 17 მარტი).

² ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1366 (1898, 30 აგვისტო).

³ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1358 და 1707, ფ. 2 (1893).

⁴ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1707 (საბინინის წერილი ლეონიდე ოქროპირიძეს).

თასობით მანეთს ალექსანდრე). მიხეილი, მეუფე ალექსანდრეს თავზარდაცემული სწერს: „Сестра писала мне, что вы изволили получить гробовую плиту св. Давида и жестоко рассердились на уплату за перевозку ее, присовокупив, что кто меня просит строить такие вещи, что если бы хотели, лучше сего могли бы выписать из Москвы и т. п. Это известие жестоко огорчило нашу душу и преисполнило болезни. Мы порешили выслать Вам выданную Вами сумму“¹. აქედან კარგად ჩანს, რამდენად მართალია ეგ ზარქოსი ფლაბიანე (1898-1901), როდესაც იმპერატორის კანცელარიაში ასმენს საბინინს. იგი წერს, რომ მიხეილი მხოლოდ პირად გამდიდრებაზე ზრუნავს და შეწირული ნივთების ლავრაში გაგზავნის თანხასაც კი ალექსანდრე ეპისკოპოსს ახდევინებს². მიუხედავად ახალი ცილისწამებისა, საბინინი კვლავ და კვლავ ცდილობს გაამშვენებინოს დავითგარეჯა. ერთ წერილში იგი წერს, რომ ჩქარა დაიწყებს მარმარილოს რამდენიმე ტრაპეზის აგებას, რომელთა ოთხივე მხარე ტრადიციული ქართული ხელოვნების ნიმუშებით და ბიბლიური აპოკალიფსის ციტატებით იქნება შემკული. იგი ხაზს უსვამს, რომ ყველაფერში უნდა დაიცვას ქართული სტილი, ისეთი, როგორიცაა დავითგარეჯის იოანე ღვთისმეტყველის და მიძინების სავეანებში, ან იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მთავარ ეკლესიაში³. დავითგარეჯის ორ ეკლესიას მან გამოუგზავნა ტრაპეზზე ძვირფასი ქსოვილის გადასაფარებელი და აპირებდა ქართულ წარწერიანი ოქრომკედლი ნაქსოვ გარდამოხსნის გაგზავნას⁴.

საბინინი ზაქარია ჭიჭინაძეს მრავალ წერილში წერს, რომ იგი ყველაფერს აკეთებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინებისა და მისი წმინდანების განდიდებისათვის. თუმცა დაფასების ნაცვლად, მხოლოდ აუგი და მუქარა ესმის: „ცხოვრება ჩემი, წერს ის, ღუთისაგან არს, ამის გამოთ, კაცისა არა მეშინის. რუსები მქენჯნიან რომაო, ქართუელებს მხარე გიჭირავსო და ქართუელები, ვითარ რუსების აგენტი არისო. არა ვიცი, ვის რა უყავი უკეთური“. იმავე წერილში, ის ერთ ფრიად მნიშვნელოვან ცნობა-

¹ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №1363, ფ. 1.

² რ. მეტრეველის დასახელებული სტატია, გვ. 65 (ეგზარქოს ფლაბიანეს წერილი იმპერატორის კანცელარიისადმი).

³ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №1360, ფ. 2-3.

⁴ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1359, ფ. 1.

საც გვანდის: „ეგზარქოსმა (იგულისხმება იოანიკე 1877-1882, უფრო კი პავლე 1882-1887 - ვ. კ.) პირი მომჭამა, რომაო, შენ ქართულები მხარე გიჭირავსო და იმანთი პატიოსნება გინდაო. ქართველები სულ უნდა გავასახლოთო და იქ ხსენებაც არ იყოს იმანთიო და იქ რუსები და მალაკნები უნდა ჩავასახლოთო; მე გავილილინე; გამიჯავრდა კიდეცა ამაზედ!“¹. სხვა წერილში, მ. საბინინი იგივე ადრესატს სწერდა: „უმრავლეს მადლობასა გიძლენი, იამბიკოთათვის. მე არა ვარ ღირსი ამათათვის“. მისი ამ წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ მიხეილს და ვასილ მაჩაბელს (ივანე მაჩაბლის ძმას), პეტერბურგში „ცოცხალი სურათები“ (თეატრალური წარმოდგენა) და კონცერტი გაუმართავთ ქართველი სტუდენტებისათვის. „საწყალს სტუდენტებს, გარდა ხარჯისა (600 მან.) ზეითა, 500 მან დარჩათ“².

1883 წლისთვის მ. საბინინი რუსეთში ბეჭდავს წმ. ნინოს ფერად ხატს ქრომოლითოგრაფიული წესით³ (იგულისხმება წმ. ნინოს ცნობილი, გავრცელებული იკონოგრაფიული ტიპი, შესამოსელზე ცისფერი გრძელი და ვიწრო მოსასხამის აქცენტირებით და მარჯვენა ზეანუღ ხელში ვაზის ჯვრით).

მიხეილი კვლავდაკვლავ ჩივის მის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე და წერს: „არა ჯერ არს მივდიოთ ავაზაკთა და ციხის - შიგნიდან დამსრველთა, არამედ მივდიოთ წესსა, რომლისათვის დაანთხიეს წმ. სისხლი თვისი, მრავალთა წინაპართა: მამათა და დედათა ჩუჴნთა წმ. მართლმადიდებლობისათვის და არა შეორგულდეთ მათ მოღვაწებასა. - იმათ, რომელთა დაანთხიეს სისხლი თვისი მართლმადიდებლობისათვის და არა მისდევენ მანქანებასა რომაელთასა (ე. ი. კათოლიკურ ეკლესიას - ვ. კ.) რა პასუხი უნდა

¹ საბინინის წერილი ზ. ჭიჭნაძეს (უთარილო, XIX ს. 80-იანი წწ.) გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ჭიჭნაძის საარქივო ფონდი, საბუთი №5144, ფ. 2 (პუნქტუაცია ჩვენია - ვ. კ.) იხ. აგრ. ვ. კიკნაძე, ხოლო იყავნ ან ჩუენდა ლუანლი ესე, აღ. ორბელიანისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (III), თბ., 1999, გვ. 106-107.

² საბინინის წერილი ზ. ჭიჭნაძეს (1883, 16 თებერვალი) გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ჭიჭნაძის საარქივო ფონდი, საქმე №5146, ფ. 2.

³ იქვე, ფ. 3.

გავცეთ წმ. ნინას და მრავალთა წმინდანთა, რომელთა გუამი დაუ-
ტევეს წმინდისა ეკლესიისათჳს?¹

ამგვარად, საბინინი ქართველებს მოუწოდებს, რომ თავისი
ძველი სარწმუნოება დაიცვან მყარად და არ გადაუხვიონ მას, რად-
გან წინაპრებმა თავისი სისხლით გაკვალეს ეს გზა. შემდეგ, მიხეი-
ლი გადაკვრით მიანიშნებს ადრესატს, რომ მართალია, იმუამად
ქართული ეკლესია რუსულ ეკლესიას ემორჩილებოდა, მაგრამ:
„ჩუენ გამოთ არს ესე და არა სხვათა მიერ. ჩუჴნ, ან წყევასა ქვეშე
ვართ და ამის გამო უნდა დავემორჩილოთ განგებასა, რამეთუ ესე
რაცა არს, ძმაო, რას იზამ, ძალი ამანთა (ე. ი. რუსებს - ვ. კ.) აქვსთ
და რაცა ნებათ, იმასა შვრებიან. ეკზარხი, როგორც მღუდელმ-
თავარი და ომოფორის მტვირთველი, ყველას კეთილად უნდა
ექცეოდეს და არა პოლიციურად. რა გაენყობა, ან რას იზამ. მე
უნდა მოგახსენო, რომ ჩვენვე ვართ დამნაშავენი და არა სხვანი.
იმის გამოთ, რომ მრავალნი გვყვანან შინაგან გამცემელნი და შეა-
ძულეს თავი ჩუჴნი“².

ამგვარად, ამჰკარად ჩანს საბინინის მხრიდან საეკლესიო და
საერო ხელისუფლების კრიტიკა, თუმცა მიხეილი იმასაც ხაზგას-
მით აღნიშნავს, რომ თვით ქართველებიც ბევრ რამეში სცოდავენ
და თვითვე აფუჭებენ საერთო საქმესო. ამავე წერილში საბინინი
იუწყებოდა, რომ აპირებდა წმ. ნინოს ცხოვრების რუსულ ენაზე
გამოცემას, მრავალი ილუსტრაციებით.

გარდა დავითგარეჯისა, მ. საბინინი ზრუნავდა აგრეთვე,
იოანე ზედაზნელის მონასტრის გამშვენება-შემკობაზეც. აღექსან-
დრე ეპისკოპოსს საბინინი სწერდა, რომ უნდოდა ზედაზნის მონას-
ტერში ახალი კანკელი გაემართა, ამასთან, იგი ხაზს უსვამდა:
„Местные (ე. ი. ქართული - ვ. კ.) образы, кои уже готовы, написаны
изящно и высокохудожественно, в пояс, т. е. поясные и будут в золотых
рамках, широких, под зеркальными стеклами; как самый иконостас, так
и образа его, будут (в) строго грузинском стиле“³. იგი მზად იყო გაეკე-
თებინა მარმარილოს ლუსკუმა იოანე ზედაზნელისთვისაც. წმინ-

¹ გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ჭიჭინაძის ფონდი, საბუთი
№5148, ფ. 1-2. (1885).

² იქვე, ფ. 3 (ხაზი ჩვენია - ვ. კ.).

³ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1354, (1890).

დანი მასზე მთელი ტანით იქნებოდა გამოსახული და სარკის მინით დაფარული. ეს ლუსკუმა 500 მანეთი დაჯდებაო, წერდა იგი. იმავე წერილში იგი ერთ ძალზე საინტერესო დეტალსაც გვამცნობს. მიხეილს ზედაზნის მონასტრისათვის 16-ფუთიანი ზარი შეუძენია. როგორც ის იუწყება, ამ საქმეში მას უდიდესი დახმარება გაუწია განთქმულმა იოანე კრონშტადტელმა, რომელიც საბინინის სიტყვით, პატივს სცემდა იოანე ზედაზნელის ხსოვნას¹ (იოანე კრონშტადტელი (ი. სერგეევი - 1929-1903) ცნობილი იყო, როგორც წინასწარმეტყველი და მკურნალი. იგი კრონშტადტის ნმ. ანდრიას ტაძრის წინამძღვარი იყო). იოანეს, მართლაც, შეუძენია 16 ფუთის და 20 გირვანქის წონის ზარი და ის საბინინმა ზედაზნეში გამოაგზავნა. თუმცა საქმე ისე არ წარიმართა, როგორც მას წარმოედგინა. ურთიერთობა მ. საბინინსა და ალექსანდრე ეპისკოპოსს შორის სულ უფრო და უფრო იძაბებოდა, რაც სრული განხეთქილებით დამთავრდა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. თავდაპირველად, საბინინი, მეუფე ალექსანდრეს მიმართ უდიდეს მოწინებას გამოხატავდა; მათ შორის ურთიერთობის განყვეტამდე (1896 წ.), საბინინი მეუფეს ქართული ეკლესიის „იმედს“ და „ბურჯს“ უწოდებდა; მიხეილი მეუფე ალექსანდრეს ჯანმრთელობაზეც ზრუნავდა და ერთ უთარილო წერილში, იმასაც კი ურჩევდა, რა საშუალებით ემკურნალა ფეხის შეშუპებისთვის, რა დაელია სიმხნევის შესანარჩუნებლად და ა. შ.² მ. საბინინი მეუფე ალექსანდრეს, მხოლოდ 20 თუმნად უტოვებდა თავის უმდიდრეს ბიბლიოთეკას: „სიყვარულისამებრ მე ვსაჯე, ჩემს ბიბლიოთეკას ოც თუმნად გითმობთ, ღმერთმა მოგახმაროთ. ბრძანებისამებრ, აგენტით გამოვგზავნი, გამოსაგზავნისაც მე მიცემ, თუ თქუცნ არ ინებებთ“³.

1890 წლის 7 აგვისტოს პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში იგი მეუფე ალექსანდრეს აცნობებდა, რომ საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა მალალი რანგის მოხელე, სახელმწიფო კონტ-

¹ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1354, ფ. 3, იხ. აგრეთვე ვ. კიკნაძე მიხ. საბინინის უცნობი წერილი ანონიმი ადრესატისადმი, ს.ს. ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, მიძღვნილი არჩ. ჩხეიძის 80 წლისთავისადმი, თბ., 2002, გვ. 130-136

² ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1376 (უთარილო, დაახლ. 1893-4 წწ).

³ იგივე ფონდი, №1374 (1896 წ.).

როლიორი ტერციი ფილიპოვი¹ (იგი ამ თანამდებობაზე იყო 1889-1899 წწ.). მ. საბინინი ურჩევს მეუფეს დაუახლოვდეს ამ მოხელეს და მას გაანდოს ქართული მონასტრებისა და ლავრების გასაჭირი, რადგან იგი ძალზე დაინტერესებულია ამ საკითხებით და იმპერატორთან უშუალო შესვლის ნება აქვს².

დავითგარეჯის უწმინდესი ლავრის საოცარ მიზიდულობას მიხეილ საბინინი ასე გადმოსცემდა: „აქამომდე მთელს უდაბნოსა შინა შუჭნიერი სული დგას, წმ. ნანილთა მიერ“³. ეს რომ ცარიელი სიტყვები არ არის, ყველა დარწმუნდება, ვინც კი ამ დიდებულ სავანეს იხილავს. ამიტომაც ვერ პატიობს საბინინი ვერავის მცირე შეცოდებასაც კი, ამ დიდებული ლავრის მიმართ. იგი მოურიდებლად ამხელს ლავრის წინამძღვარს არქიმანდრიტ მაკარის, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს, იოანე ბერძენიშვილს და ა. შ. ჩვენი აზრით, საბინინი უნდა იდგეს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული მწვავე კრიტიკული სტატიების უკან, რომლებიც დავითგარეჯისა და იოანე ნათლისმცემლის უდაბნოებს შეეხება და რომლებიც ხელმოწერილია ფსევდონიმით: „მ. ბერი“ და „ბ. პ.“⁴. სწორედ ამ მისმა პირდაპირმა და მოურიდებელმა, ზოგჯერ ზღვარგადასულმა კრიტიკამ გაუჩინა მიხეილს უამრავი მტერი. აკი, 1897 წელს იგი ფიზიკურადაც შეურაცხყვეს. თბილისის ცენტრში, ქარვასლასთან, პოლიციის თვალწინ, მ. საბინინს თავს დაესხა მთელს ქალაქში ცნობილი თავზეხელაღებული პირი გიორგი ყაზბეგი. მან მიხეილს ხელი შემოარტყა და ლურჯი ფერის სათვალე ჩაუმტვირია. საბინინმა მაშინვე თავისი აზრი ამ ინციდენტის შესახებ პრესაში დაბეჭდა და დასძინა: „რაკი მე ბატონს ყაზბეგს არ ვიცნობ, და არც სადმე მინახავს, არ მქონია შემთხვევა ლაპარაკისა, ჩემის აზრით,

¹ მის შესახებ მოგონებები დაბეჭდა ს. ვიტემ, იხ. მისი *Избранные воспоминания*, М., 1991, გვ. 201-203 (ე. წ. სახელმწიფო კონტროლიორი, რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მაკონტროლირებელი ორგანოს მეთაური იყო).

² ბ.ერ.ც., ალექსანდრე ეპიკოპოსის პირადი ფონდი, საბუთი №1353 (1890, 7 აგვისტო) ფ. 2-3.

³ „საქართველოს სამოთხე“, გვ. 239.

⁴ მ. ბერი, „ხმა მონასტრიდან“, „დროება“, 1883, №29 (10 თებერვალი) და ბ.პ., „ჩვენი მონასტრების შესახებ“, „დროება“, 1883, №35 (17 თებერვალი). ამ სტატიებს მწვავედ გამოეხმაურა არქიმანდრიტი მაკარი, იხ. „დროება“, 1883, №44.

ესენი არ არიან დამნაშავენი ამ ჩემის უბედურობისა, არამედ სხვა ვინმე უნდა იყოს მდომი ჩემი შეურაცხმყოფობისა”¹.

მაგრამ საბინინს გულშემატკივრებიც ყავდა. აი, რას წერდა მასზე, ეპისკოპოსი კირიონი: „Над приданием этой обители (Давид-Гареджийской – В. К.) благолепия, в прошлом столетии, много потрудился известный М. Сабинин, ныне покойный. Заботами и усердием которого над местом упокоения преподобного Давида, основателя пустыни и его ученика преподобного Додо, устроены прекрасные гробницы из белого мрамора. Затем, над могилами убиенных лезгинами 19 июля 1851 года иноков им же поставлен довольно большой мраморный, пирамидальной формы памятник. Затем, М. Сабинин привнес в монастырскую ризницу несколько ценных облачений, много серебра и золотых утварных вещей”².

მას შემდეგ, რაც მეუფე ალექსანდრეს სახელით, მ. საბინინს ანონიმი ავტორის ვრცელი წერილი მიუვიდა, საბინინის ურთიერთობამ ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეებთან კონფლიქტის სახე მიიღო. მ. საბინინმა ასევე ვრცელი წერილით უპასუხა ანონიმ „მეგობართაგანს”. ამ წერილში, მან ჩამოაყალიბა თავისი მიზნები ზედაზნის მონასტრის აღდგენა-გამშვენებასთან დაკავშირებით³. ასევე, გამოთქვა თავისი გულისტკივილი და აღშფოთება მისი და მისი ოჯახის წევრების სრული იგნორირების გამო. ჩვენი აზრით, სწორედ საბინინის მიერ უნდა იყოს შედგენილი ერთი ანონიმური წერილი მეუფე ალექსანდრეს სახელზე (რუსულ ენაზე); ამ წერილის ავტორი შეახსენებს ადრესატს დავითგარეჯის ლავრის მძიმე მდგომარეობას, მოითხოვს მისგან იხელმძღვანელოს ღმერთისა და სინდისის კანონებით და არა ამქვეყნიური კონიუნქტურით. სხვათა შორის, იგი მესამე პირში მოიხსენიებს საბინინს და წერს: „Зачем стубили интригами бедного Сабинина, которого знаем с младенчества и знаем о его друзьях; докажите что

¹ რ. მეტრეველი დასახ. შრომა, გვ. 37, აგრ. „ცნობის ფურცელი” 1897, №268.

² .Епископ Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX стол. Тифлис, 1901, с. 322.

³ იხ. ვ. კიკნაძე, მ. საბინინის უცნობი წერილი ანონიმი ადრესატისადმი ს.-ს. ორბელიანის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული მიძღვნილი ა. ჩხეიძის 80 წლისთავისადმი, თბ., 2002, გვ. 130-135.

ონ შექმნა დურნოე და ზა ჭო უბილი ეგო და სელი... მა დუმაე, ჭო ვა ნე პრინამალი ვ კროვი სეგო ჭელოეკა, ვსეელო ოდავშეგო სეგა სლუჟენიუ ჭერკვი, ნიკაგოე ოაჿაჿია. პომნიე ვლადიკო, ჭო ვა არქიპასტერ და გოვრითე და პიშეტე პრადუ, პლემაჿნიკი და ოდსვენნიკი ვ დენი სუდა ვამ ნე პომოგუთ „ველიკიი ოთ დელე სვოიხ, და ოპრადიტსა“¹

რაც შეეხება წერილში ნახსენებ „საბინინის მკვლელობას“, ეს გადატანით უნდა გვიგოთ და არა პირდაპირი მნიშვნელობით. ამის შემდგომ, მიხეილ საბინინი ეპისკოპოსს კირიონს უახლოვდება. შემორჩენილია საბინინის ორი წერილი კირიონისადმი. ამათგან ერთი, ნაკლულია და ამიტომ ხელმოუწერელი². მეორე კი, დათარიღებული და ხელმოწერილი³. ჩვენ დავადგინეთ, რომ პირველი წერილიც უეჭველად საბინინს ეკუთვნის (იქ საუბარია იმავე საკითხებზე, რაც საბინინს ალელეებდა, იგივე სპეციფიკური ხელწერაა და რაც მთავარია, წერილში მოტანილია თხოვნა კირიონის მიმართ, ლოცვაში მოიხსენიოს წერილის ავტორის გარდაცვლილი დედა – ეკატერინე. ეკატერინე კი, საბინინის მეორე, ხელმოწერილი წერილის მიხედვით, მისი დედის სახელია)⁴.

პირველ წერილში, საბინინი კირიონს ულოცავს ალავერდის ეპისკოპოსად ხელდასმას და იმედს გამოთქვამს რომ ის მაინც შეძლებს ამ და კახეთის სხვა მონასტრების და საერთოდ, მთელი ეპარქიის სათანადო მოვლას და დაცვას. იგი ურჩევს კირიონს, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს მონასტრის ხაზინადარი თალლითი ნიკიფორე, რომელმაც რამდენიმე ლავრა გააჩანაგა და გაძარცვა⁵. მართლაც, კირიონი ასეც მოიქცა; ამას კი მოჰყვა ნიკიფორეს ვრცელი დასმენა რუსეთის წმ. სინოდის სახელზე. ნიკიფორე ამტკიცებდა, რომ თვითონ უმნიკვლო პიროვნება იყო, კირიონი კი, კახეთის მონასტრების შემოსავალს ფლანგავდა და ბოროტად იყენებდა⁶.

¹ უცნობი ავტორის წერილი ალექსანდრე ეპისკოპოსს, ხ.ერ.ც., ალექსანდრე ოქროპირიძის პირადი ფონდი, საბუთი № 1690, ფ. 3-4.

² ხ.ერ.ც., კირიონის პირადი საარქივო ფონდი, საბუთი № 1351, ფ. 1.

³ ხ.ერ.ც., კირიონის პირადი საარქივო ფონდი, საბუთი № 1036, ფ. 1.

⁴ ვ. კიკნაძე, მიხეილ საბინინის უცნობი წერილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, №11, თბ., 2002, გვ. 147-151.

⁵ იქვე, ფ. 148.

⁶ სცსსა, ფონდი №488, აღნ. 1, საქმე №26361 (1900 წ. 29 დეკემბერი).

მეორე წერილში კირიონისადმი, საბინინი კვლავ იმეორებს, რომ ალავერდის, თეთრი გიორგის და შუამთის (მას საბინინი „შოსმთას“ უწოდებს) ეკლესია-მონასტრების წესრიგში მოყვანა, ღმერთის სურვილია და ეს სურვილი კირიონმა უთუოდ უნდა აღასრულოს. იმავე წერილში, ის მოკრძალებულ სურვილს გამოთქვამს დავითგარეჯის არქიმანდრიტად დაინიშნოს, რადგან იქაურობა გავერანებულია, ის კი ყველაფერს სათანადოდ წესრიგში მოიყვანდა. ლავრის გაჩანაგებას საბინინი ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეებს მიანერს, რომელთაც, საბინინი არაქართულ წარმოშობისად მიიჩნევს¹. ამავე წერილში, იგი კირიონს ატყობინებს, რომ ეგზარქოსს მისწერა, რომ თუ მას სურს სიმართლე გაიგოს მისი (საბინინის) პიროვნების შესახებ: „Пусть спросит Вас (ე. ი. კირიონს – ვ. კ.) о. Давида (მღვდელი, მოგვიანებით ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე – ვ. კ.) и о. П. Кончужева (პ. კონჭოშვილი – ვ. კ.)² а другим не доверяет, ибо все ввали и исполнены элиевской лестии“³ (იგულისხმება ექვთ. ელიაშვილი, რომელმაც მოგვიანებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ, მართლაც მოლაღატური პოზიცია დაიკავა).

ყველაფრის მიუხედავად, საბინინი კვლავ და კვლავ დასტრიალებს თავს ქართულ სიძველე-სინმინდეებს. ბოდბეში, წმ. ნინოს მიტოვებული ტაძარი აღადგინა და სინოდისაგან ნებართვა მიიღო იქ დედათა მონასტერი და ხელსაქმის სკოლა დაეარსებინა⁴. იქვე, მარმარილოთი შეამკო წმ. ნინოს სავარაუდოდ საფლავი. ეგზარქოს ფლაბიანეს მოხსენებითი ბარათიდან ვიგებთ, რომ საბინინი ქართული სინმინდეებით მთელი რუსეთის იმპერიაში მოგზაურობდა და ქართული ეკლესია-მონასტრების ასაღორძინებლად თანხებს აგროვებდა. ფლაბიანე გესლიანად შენიშნავდა, რომ ეს საქმე საბინინს კარგად გამოსდიოდა, მაგრამ ყველაფერს, თითქოს საკუთარი

¹ ხ.ერ.ც., კირიონის საარქივო ფონდი, საბუთი №1036, ფ. 1-2.

² ის, რომ საბინინი პ. კონჭოშვილს განსაკუთრებით ენდობოდა, სხვა დოკუმენტებიდანაც ჩანს. „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ურთიერთობა, მან მთლიანად მამა პეტრე კონჭოშვილს მიანდო. იხ. რ. მეტრეველი, „დამმარხეთ საქართველოში“.. გვ. 41 (დომ. ფავლენიშვილის წერილი).

³ ხ.ერ.ც., კირიონის ფონდი, საბუთი №1036, ფ. 2.

⁴ ურნალი „მწყემსი“, 1883, №3, გვ. 5.

გამდიდრების მიზნით აკეთებდა¹. ეს და მსგავსი ცილისმნამებლური გამოხდომები, რომ მტკნარი სიცრუეა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ უალრესად შეწუხებული საბინინი პეტერბურგიდან ზაქარია ჭიჭინაძეს ემუდარებოდა, რითიმე დახმარებოდა საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნილ დედამისს, რომლის „გოდების წერილი“ მიეღო და შემწეობა კი არაფერი შეეძლო².

1885 წლის წერილში იგი ზაქარია ჭიჭინაძეს კვლავ ასეთი სიტყვებით მიმართავს: „დედას წიგნები გაუყიდე (იგულისხმება „საქართველოს სამოთხე“ – ვ. კ.) შენი ჭირიმე, ძალიან უჭირს...“³. ასეთივე თხოვნით მიმართავს იგი ალექსანდრე ეპისკოპოსს: „Прошу Вас Владыко, за все мои труды, помогите моей матери, пошлите ей головку сахара и фунта два чаю, да тунги две вина, сторицею заплачу Вам, поверьте“⁴. სამწუხაროდ, საბინინის და მეუფე ალექსანდრეს განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახდა, რომ ეპისკოპოსმა, სხვა, ანონიმი პირის საშუალებით, მ. საბინინს აცნობა, რომ მის ამ და სხვა თხოვნებს, (რომლებიც ძირითადად ზედაზნის მონასტრის კეთილმოწყობას შეეხებოდა), ვერ აღასრულებდა⁵.

ისმის კითხვა, თუ საბინინს შეეძლო უმდიდრესი შეწირულობანი გაეკეთებინა სხვადასხვა მონასტრებისათვის, როგორ ვერ ახერხებდა საკუთარ დედის დახმარებას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს შეწირულობანი მოპოვებული იყო მდიდარი ადამიანებისაგან, კონკრეტული წმინდანების, თუ მონასტრებისათვის და ამ სახსრებს მიხეილი პირადი მიზნებისათვის არასოდეს იყენებდა; მაგრამ მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ მისი დამსახურებისთვის, მისი ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება და თანადგომა ეკუთვნოდა ქართული საზოგადოებისაგან.

¹ რ. მეტრეველი, დასახ. შრომა, გვ. 64 (დოკუმენტები).

² გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის საბინინის საარქივო ფონდი, საბუთი №5144, ფ. 1 (1882).

³ იქვე, საბუთი №5148.

⁴ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №1354, ფ. 4.

⁵ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1816.

1889¹ და 1895 წლებში² მიხეილ საბინინი ლაიფციგში და ბერლინში (ოტო ტროიციშის ლითოგრაფიულ საამქროში) ბეჭდავს შესანიშნავ ფერად ლითოგრაფიას „ქართული ეკლესიის დიდება“. მასზე თითქმის ყველა ქართველი წმინდანია გამოსახული ცხოველმყოფელი სვეტის გარშემო, რომელსაც ციდან ჩამოუშვებს ანგელოზი. სვეტის თავზე ხელებგამლილი ქრისტეა გამოსახული, ძირში კი წმ. ხის კუნძი, სიღონიას გვამთან ერთად. ბრწყინვალე იკონოგრაფიული მანერით შესრულებული ეს ხატი, საქართველოს გარდა, რუსეთის მთელ იმპერიაში გავრცელდა. „ცნობის ფურცელი“ 1896 წ. წერდა: „ჩვენ მოგვივიდა ახლადგამოცემული, მშვენიერი მხატვრობა, რომელსაც ეწოდება, „საქართველოს (ეკლესიის – ვ. კ.) დიდება“. მხატვრობა ესე არის შედგენილი და გამოცემული ცნობილ საბინინისგან. აქ არის დახატული წმ. ნინოს ცხოვრებიდან „სვეტიცხოველი“ და ამ სვეტიცხოველს არტყიან გარე წმინდა მოწამენი საქართველოსი. მხატვრობა, მე მოგახსენებთ მეორე გამოცემაზედ, იმდენად ცხოვლად, მშვენივრად, სუფთად და ნათლად არის შემდგარი და გამოსახული, რომ ძალაუნებურად იპყრობს თვალს თვით უბირი... ხალხისას... სამწუხაროა, რომ აქამდის ეს მხატვრობა არ ამშვენებს ყველა ქართველის ოჯახს და უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენმა მწერლობამ არ მიაქცია ამას ყურადღება“³.

1889 წ. კი „ივერია“ იუნყებოდა, რომ ეს ხატი (ჩანს პირველი ვარიანტი), საბინინმა უსასყიდლოდ გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას⁴.

ამ ხატის შექმნის იდეა, როგორც ჩანს, საბინინს სვეტიცხოველში შემორჩენილმა ძველმა ხატებმა და ფრესკამ გაუჩინა. მათზე იგივე სცენა იყო გამოსახული, მხოლოდ უფრო მარტივად და ნაკლებ მხატვრულად. ამგვარი ხატი უნახავს XIX ს. პირველი ნახევრის მოგზაურს მ. სელეზნიოვსაც, რომელმაც ის დანერვილებით აღწერა⁵. მ. საბინინისა და სელეზნიოვის მიერ აღწერილ ხატს შო-

¹ იხ. „ივერია“, 1889 წ. №279 (23 დეკემბერი), გვ. 2.

² „ცნობის ფურცელი“, №13 (1 ნოემბერი), გვ. 4; შდრ. გაზ. „დროება“, 1889, №229 (13. XI), გვ. 2-3.

³ „ცნობის ფურცელი“, 1896, №13 (1 ნოემბერი), გვ. 2.

⁴ „ივერია“, 1889, №274 (23 დეკემბერი), გვ. 2.

⁵ М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, С/116., 1847, с. 26; აგრ. ე. მამისთვალისვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003, გვ. 36.

რის, საკმაო მსგავსებაა, მით უფრო, რომ: „ორივეს კომპოზიციურ ცენტრს ცხოველმყოფელი სვეტი წარმოადგენს. მაგრამ: მ. საბინინმა ხატს ეროვნული და ისტორიული მნიშვნელობა შესძინა, მის კომპოზიციაში, მრავალი ქართველი წმინდანის ჩართვით“¹.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1879 წელს გრიგოლ ორბელიანი ი. ჭავჭავაძეს სწერდა, რომ მ. საბინინი შემწეობას ითხოვდა „გამოსახსნელად ლეიპციხიდან ქართველ წმიდების (?) სურათებისა“². შესაძლოა, ამ სურათში „საქართველოს ეკლესიის დიდებაც“ იგულისხმებოდა.

ლითოგრაფიის ახსნა-განმარტება, საბინინმა ცალკე ბროშურის სახით გამოაქვეყნა 1899 წელს³. ზემოთ ნახსენები არქიმანდრიტი რაფაიელი, ასეთ შეფასებას აძლევს საბინინის ხატს: „ქართლის ცხოვრების“ მატიანე, სვეტიცხოვლის ტაძარი და ხატი – „ქართული საკათალიკოსო ეკლესიის დიდება“, თავის განზომილებითა და მნიშვნელობით, შეუდარებელი მოვლენებია. მაგრამ არის რაღაც საერთო მათ შორის. თვითოეულმა მათგანმა შეისისხლხორცა საქართველოს ეკლესიის ისტორია: ერთმა – პერგამენტზე, მეორემ – ქვაში, მესამემ – ფერებში“⁴. თედო ჟორდანიას იგონებდა, რომ მიხეილ საბინინს, საქართველოს გარეთ უკანონოდ გაყიდული უძველესი საეკლესიო ნივთები უნახავს (მაგალითად, კათალიკოსის მიტრის ბრილიანტის ჯვარი, ქართული წარწერით). ჟორდანიას მოწმობით, საბინინს მოუნახულებია ლაიფციგის, მიუნხენის, ვენის და პარიზის მუზეუმები⁵. მისივე სიტყვით, საბინინისთვის პარიზის სამეფო მუზეუმში უჩვენებიათ საგულდაგულოდ დაცული წმ. იაკობის წირვის ოქროს მელნით შესრულებული ხელნაწერი, რომლიც ნიქოზის ეკლესიიდან ყოფილა გატანილი⁶. თუ ეს ცნობა მართალია, უნდა ვივა-

¹ ე. მამისთვალისძე, დასახ. შრომა, გვ. 36-37.

² ი. გორგიძე, ნ. გურგენიძე, ი. ჭავჭავაძე, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, თბ., 1987, გვ. 105-106.

³ Сабинин М. Объяснение картины "Слава православною грузинской церкви", СПбг 1899, с. 1-8.

⁴ Архимадрит Рафаил, Икона "Слава православною грузинской церкви", Фес-салоники, 1994, с. 4.

⁵ სცხსა, თ. ჟორდანიას პირადი ფონდი, №1462, საქმე №7, ფ. 2; აგრ. დ. დათუაშვილი, საარქივო საქმის ისტორია საქართველოში, თბ., 1977, გვ. 66-67.

⁶ იქვე.

რაუდოთ, რომ მ. საბინინს ევროპა მოუნახულებია ზევით ნახსენები განთქმული ლითოგრაფიის ბეჭდვის პროცესში (XIX ს. 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების შუახანებში). შესაძლოა, მინიშნება საბინინის ევროპაში მოგზაურობის შესახებ, დაცულია დიმ. ჯანაშვილის რეცენზიაშიც, მის წიგნზე „საქართველოს სამოთხე“. დიმ. ჯანაშვილი წერდა: „(მ. საბინინმა – ვ. კ.) საქართველოს ეკლესია-მონასტრები მოიარა,... მოსკოვში რუმინანცევისა, პეტერბურგში იმპერატორის სამეცნიერო აკადემიისა, პარიჟში, აღმოსავლეთის სამეცნიერო აკადემიისა“¹ (ხაზი ჩვენია – ვ. კ.).

რაც შეეხება მიხეილის პირად, დღემდე ცნობილ წერილებს, იქ ევროპაში მის მოგზაურობაზე არავითარი მინიშნება არ არის.

1883 წელს საბინინი აპირებდა კიდევ ერთი პუბლიკაციით გაემდიდრებინა ქართული სასულიერო ლიტერატურა. გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-(ნი) მ. საბინინი ამჟამად შესდგომია „მზამეტყველების“ ბეჭდვას; ამ წიგნს, უფასოდ დაურიგებს მ. საბინინი იმ პირთა, რომელნიც „საქართველოს სამოთხეს“ იყიდიან. ამას გარდა, შემდეგ „მზამეტყველებისა“ დაბეჭდავს ბესარიონ კათალიკოზისაგან დაწერილს „გრდემლს“², რომელშიც განმარტებულია ცნობები საქართველოს ეკლესიის შესახებ. ამ წიგნსაც უფასოდ მიიღებენ ის პირნი, ვინც იყიდიან „საქართველოს სამოთხეს“³. არ ჩანს, შესძლო თუ არა საბინინმა ამ ჩანაფიქრის განხორციელება.

საბინინი, მართლაც, ტანჯული მონამე მიქელ-გობრონი გახლდათ. ყველა მის პირად წერილში უდიდესი ნუხილი, წყენა გამოსჭვივის იმ უმადური ადამიანების მიმართ, ვინც მადლობის ნაცვლად, თ. ჟორდანიას სიტყვით, ჭორებით გაუმწარეს ცხოვრება. მაგალითად, გაზეთმა „ივერიამ“ 1893 წელს მოულოდნელად პატარა შენიშვნა გამოაქვეყნა, რომელიც „ამიერ იმერელის“ ფსევდონიმით იყო ხელმოწერილი. შენიშვნა იუნყებოდა, რომ მარტვილის უდაბნოდან მიხეილ საბინინმა ვითომდა აღსადგენად, რუსეთში წაიღო ძვირფასი სახეარება, რომელსაც ძველი სამკაული მოაშორა და ისე

¹ დ. ჯანაშვილი, „საქართველოს სამოთხე“, ბ-ნ საბინინის (ივერიელის) გამოცემა, გაზ. „დროება“, 1882, №246, გვ. 2-3.

² ამ შრომაზე იხ. მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ. მოამბე I, თბ., 1959, გვ. 75-113.

³ ახალი ამბავი „დროება“, 1883, №77 (14 აპრილი), გვ. 2.

დაუბრუნა მონასტერს¹. 1894 წელს ამას მოჰყვა საბინინის უალრესად აღმფოთებული გამოხმაურება. საბინინის „წერილი რედაქციის მიმართ“, რედაქციამ არ დაბეჭდა და ამჟამად გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში ინახება. მ. საბინინი მიხვდა, ვინც იმალებოდა ამ ფსევდონიმის უკან. იგი სულითხორცამდე შეძრული წერდა: „მლუდელმა ყვირილისამ (იგულისხმება დ. ლამბაშიძე – ვ. კ.) არ დაზოგა არც პატიოსნება, არც დარბაისლობა, არც მოწინება, რომლითა ფრიად მდიდარი არის ჩუენი ქვეყანა, არ მოერიდა თვისსა ხარისხსა და მის სინმინდესა და არც ჭაღარა თმასა თვისსა, რომლითა შემკულ არს, ძვირის ხსენებით ჩემის სახელისა, მომინელა სრულად. რა ბრალი მიმიძღვის მის წინაშე და არაოდეს არ მქონია მასთან რაიმე კავშირი, არამედ ვინ არ იცის, რა ყეფა-ლანძღვას შემდგარა ეს პირი და რა ქცევასა იდენს... რომელიც თავად უნდა იყოს დამმარხველი სიმართლისა, ვითარ მლუდელი და მწყემსი... ამ პირმა ქვეყანაზედ თავი მომჭრა და ცრუ სიტყვით მიერ და მრავალი დაარწმუნა, ვითომ მე გამიქურდამ მთელი საქართველოს ეკლესია... გესლიანი სიტყვა რას არ იტყვის. მე ხომ დავიტანჯე ცუდად... მე თუ მპარავი ვიყავი და ავაზაკი ანუ არ იცის ყვირილელმან, ვინც მპარავის რასმეს ხმარობს, თვით იგი მოკავშირე არის მპარავისა; რათა შერება ეს განთქმული ამას, რომ ჩემს დაუკითხავად და ნებართვის ჩემის (გარეშე), ჩემის ნაშრომის წიგნივან „საქართველოს სამოთხისა“ იღებს ხან მამა დავითის სურათს, ხან შიო მღვიმელის სურათს და ნამხდრის, გარყვნილის მუშაობით ბეჭდავს თვისსა „მწყემსსა“ შინა. არა კმარობს ეს პირი ამას და ან ამოულა ჩემის წიგნისაგან წმ. ნინას სურათი, გამოუგზავნია მოსკოვში, კუშნარიოვის ლითოგრაფიაში და ფოტოტიპით დაუბეჭდინებია, რათა რალაც წიგნაკს უნდა მიურთოს... მიემართავ პატიოსანთა ქართულთა, რომელთა ახსოვთ თვისის ქუეყანის კეთილზნეობა და აღმატებული წარჩინება... პასუხი უგონ ამას: ვინ არის ავაზაკი და უნესო“².

მიუხედავად სულიერი და ფიზიკური ტრავმისა (მას თვალები ანუხებდა), საბინინი ერთ წამს არ კარგავს ტყუილად. ხან ახალ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს სთხოვს შემწეობას „საქართველოს სამოთხის“

¹ „ივერია“, 1893, №114 (3 იენისი), გვ. 2-3.

² წერილი რედაქციის მიმართ, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, საბინინის საარქივო ფონდი, საბუთი № 8017 (პუნქტუაცია და აღდგენა ფრჩხილებში ჩვენია – ვ. კ.).

რუსულ ენაზე გამოსაცემად¹, ხან კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას².

ფრაგმენტული ცნობებიდან ჩანს, რომ 1892 წელს მას დაუხატვინებია წმ. მონამე აბო თბილელის შესანიშნავი ხატი და მოუთავსებია მეტეხის კლდის ძირას არსებულ ნიშში³, რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, თვითონვე გაუმშვენებია. ასევე, საბინინს, შიო მღვიმელის საფლავზე უსახური, შავი მაუდით დაფარული აგურის ნაგებობა, შეუცვლია კაკლის ხის მემორიალით, რომელზედაც წმ. შიოს გამოსახულება იყო ამოკვეთილი⁴.

1877 წ. პეტერბურგში, მიხეილი აქვეყნებს 183 გვერდიან შრომას: „ქართული ეკლესიის ისტორია VI საუკუნემდე“, ხოლო 1890 წელს, მოსკოვში: „მოციქულთა სწორი წმ. ნინო, ქრისტიანობის გამავრცელებელი საქართველოში“ (ორივე რუსულ ენაზე). თვითოეულ ამ პუბლიკაციით, საბინინი ცდილობდა დაემტკიცებინა მთელი იმპერიისათვის ქართული ეკლესიის სიძველე და უნიკალურობა.

მ. საბინინს განზრახული ჰქონდა გამოეცა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრებაც“, რომელშიც სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრეფილი მასალები ქრონოლოგიურად იქნებოდა დანყობილი 1744-დან 1839 წლამდე. ნიგინი უკვე საცენზურო კომიტეტისათვის იყო წარდგენილი, მაგრამ დღესდღეობით, საბინინის ასეთი ნაშრომი ცნობილი არ არის⁵.

იგი საქართველოს ფარგლებით არ კმაყოფილდება და ათონის ქართველთა მონასტერზეც ზრუნავს. 1882 წ. მიხეილი ამ მონასტრის რწმუნებულად ინიშნება საქართველოში. 1882 წ. 21 იანვარს იგი თხოვნით მიმართავს კავკასიის მთავარმართებელს სამოქალაქო დარგში, ყურადღება მიაქციოს 1881 წლის 11 აგვისტოს

¹ რ. მეტრეველი, დასაბეჭადი შრომა, გვ. 66 (მასალები).

² სცსსა, ფ. 493, აღწ. 1. საქმე №304, „ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ 1876 წელს საბინინს 500 მან. გამოუყო „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ძველი აქტების“ დასაბეჭდად (რუსულ ენაზე), რაც განხორციელდა კიდევც.

³ ეპისკოპოსი კირიონი, წმინდა მონამე აბო თბილელი ტფ., 1899, გვ. 13

⁴ Сабинин М. Жизнеописание святых грузинской церкви, Второе издание, ч. 1, М. 1994, с. 112 (Сноска 1).

⁵ „ივერია“, 1899, №210 (30 სექტემბერი), გვ. 23; აგრ. მ. ბერძენიშვილი, „საბინინი“, გაზეთი „საბა“, 1997, №1-2, მისივე, „უკან რჩევს კვალი განათლებული“, „დილის გაზეთი“, 1896, №145 (22 აგვისტო), გვ. 12.

მის წერილს იმპერატორის სახელზე და დაიცვას ქართველი ბერების უფლებები ათონის მთაზე¹. 1897 წ. კი „ცნობის ფურცელი“ იტყობინებოდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენის საეკლესიო ისტორიის მკვლევარი ბ-ნი მიხ. საბინინი ფრანგულს ენაზე ამზადებს ახალს შრომას საქართველოს ეკლესიის შესახებ. ამ წიგნში, ბ-ნი საბინინი ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკლესია იმთავითვე ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) იყოვო“². სამწუხაროდ, სადღეისოდ, საბინინის ასეთი ნაშრომი ნაპოვნი არ არის. 1898 წელს მ. საბინინმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცა იოანე ბატონიშვილის ნაქონი ძვირფასი ხელნაწერები³.

უცნაურად წარიმართა ამ დაუცხრომელი და თავისებური მოღვაწის ბედი. იგი არც ქართველების ნაწილმა მიიღო და არც რუსულმა ოფიცოზმა. აკი, საბინინი დაუფარავად ჩივის კიდეც ამაზე... რუსული ოფიცოზი მაინც განსაკუთრებითაა აღშფოთებული მისი ასეთი თავდადებით ქართველებისათვის. ერთ წერილში, მიხეილი იმასაც წერს, რომ XIX საუკუნის 80-იან წლების ბოლოს იგი გაუსამართლებიათ და ციხეშიც კი აღმოჩენილა⁴. სრულიად უცნობია რისთვის, რა საბაბით გაასამართლეს იგი, ან ზუსტად რამდენი ხანი დაჰყო ციხეში. ჩანს, ამ ეპიზოდის გახსენება მას ძალზე უმძიმდა და წერილშიც მხოლოდ იმიტომ ახსენა ეს მომენტი, რომ ალექსანდრე ეპისკოპოსთან ურთიერთობის სრული განყვეტა გაემართლებინა. იგი წერდა, რომ იმ დროს, როდესაც ის საპყრობილეში იჯდა, დედამისი თხოვნით მისულა ეპისკოპოს ალექსანდრესთან, შვილისათვის (ე. ი. მიხეილისათვის) შუამდგომლობის გასაწევად, მაგრამ მეუფე ალექსანდრეს იგი არ მიუღია⁵. ეს მომხდარა ეგზარქოს პავლესა (1882-1887) და დონდუკოვ-კორსაკოვის მმართველობის დროს (1882-1890). საბინინის პროცესის პროკუ-

¹ Натросв А. Памятная записка об Иверском монастыре на Афоне, Халкидонском полуострове, Тифлис, 1913, с. 40

² „ცნობის ფურცელი“, 1897, №312 (17 სექტემბერი) გვ. 2.

³ იხ. რ. მეტრეველი, „დამმარხეთ საქართველოში...“, გვ. 39.

⁴ მ. საბინინი, პასუხად ანონიმ მეგობარს, ხ. ი. ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №1804 (უთარილო); აგრ. ვ. კიკნაძე, მიხეილ საბინინის უცნობი წერილი ანონიმ ადრესატისადმი..., გვ. 130-135.

⁵ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №1355, ფ. 1.

როორი ყოფილა ვინმე ანდრეევი. ერთ წერილში, საბინინი წერს, რომ ღმერთმა სამივე მათგანს დამსახურებისამებრ გადაუხადა. იგი გულისხმობს იმას, რომ სამივენი გადააყენეს თანამდებობიდან და საქართველო დაატოვებინეს. მიხეილი მრავალმნიშვნელოვნად დასძენს: „ვინ დაიმკვიდრა სახელი ერთგულებისა და ვინ მიებაძა დაუვინყარ დიმიტრი ყიფიანს და ვინ მიებაძა მტარვალ ეგზარქოს პავლესა და მარზპან დონდუკოვს?“¹ ამ მოტივს, იგი სხვა, რუსულენოვან წერილშიც იმეორებს: „Неужели не видна мера божественного правосудия за неповинных: святого мученика Димитрия Кипиани и мое посрамление; они обидели не нас, но наши идеи, а идеи даются Богом, Духом Святым... один из нас увенчался мученичеством, а другой влачет жизнь в изгнании, которому готовится этот же конец“².

1898 წელს, ეგზარქოსი ფლაბიანე იმპერატორის კანცელარიის მმართველს სთხოვს ხელმოკრედ გაასახლონ საბინინი კავკასიიდან³.

ყველასაგან მიტოვებული, ავადმყოფი მიხეილი ხელნაწერთა აშიებს ანდობს თავის გასაჭირს. ასე ცდილობს იგი მომავალ თაობას ამცნოს ყველა ის უკეთურობა, რაც უსამართლოდ მოინია მის თავზე. ამ სახის მინაწერი აქვს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ყანჩაეთის სვინაქსარს⁴; ვრცელი მინაწერი აქვს რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის (მოსკოვი) ხელნაწერთა განყოფილების ერთ ქართულ დავითნს (ფსალმუნებს), რომელიც 1859 წელსაა გადაწერილი. ეს უკანასკნელი წარწერა თითქოს მიხეილის ანდერძს წარმოადგენს. ავტორის სტილის დაცვით, მთლიანად მოგვყავს იგი: „[გაძევებული ვიქმენ] საქართველოთგან 1890 წელს, თებერვლისა ა(1) დღესა; თვალეზი დამიბრმავდა წვეთისაგან. მივემთხვიე პეტერბურღს, სადაცა დავყავ ათი თვე და იქიდამანც განძევებულ ვიქმენ. ან მოსკოვსა შინა ვიმყოფები, აჲ, ვიდრე ერთი წელი. მოვედ აქ 10 დეკემბერს და ან არს აე (უნდა იყოს ალბათ იე=25 - ვ. კ.) დეკემბერი 1891 წელ(ი)სა. ჰკითხოს ღმერთმან მავნებელთა ჩემთა. ლოცვა ჰყავით ცოდვილისა მ. საბინინისათვის“.

¹ ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1804, ფ. 3.

² ხ.ერ.ც., იგივე ფონდი, საბუთი №1371, ფ. 8 (1895, 25 II).

³ რ. მეტრეველი, დასახ. შრომა, გვ. 67 (დოკუმენტი).

⁴ ვ. კიკნაძე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძველი ერის-თავთას“ დათარიღებისათვის, საისტორიო შტუდიები I, გვ. 111.

„მე ეს წმინდა წიგნი მოვიპოვე დასაბეჭდავად, მაგრამ უამთა ვითარებისა გამო, ვერ ძალ-მეღვა, რამეთუ მრავალი ჭირი და რისხეა შემემთხვია სხვათა საქმეთაგან, ესე იგი: „საქართველოს“ („საქართველოს სამოთხის“ – ვ.კ.) დაბეჭდვიდან, ვიდრე შვიდიოდენ წელი ათონის ივერიის მონასტრის თაობაზედ. ბერძნებმა, ფრიად შეანუხეს უბადრუკი ქართუელის (I) მონაზონები და ამის გამოთ ვიხვიაშნე წინაშე მეფისა ალექსანდრე გ-სა (II), რომელმანც, აკურთხოს უფალმან სახლობითურთ, ამიერ – უკუნისამდე, მონყალემა მოილო ათონელთათვის და ამის შემდეგ, ბერძნები ფრიად შეშინდნენ, არამედ ზვაობისაებრ თვისთა, მრავალი საფასე დახარჯეს, მრავალი შეისყიდეს ფულით და შეაყენეს ჩემი საქმე. ამას, ფრიად შეენია ფინთი ზნეობითა ბერი ვენედიქტე ბარკალაია, რომელიც თვისობს წმ. იოანეს სავეანეს აღმშენებლად, ათონსა. ყოველი საქმე ამ მონასტრისა, თვისსა სახმარად მოიხმარა და საქმე შედგა სასიხარულოდ მტერთა – ბერძენთა. ამის შემდეგ, დავინყე წმ. ნინოს საფლავის ეკლესიის აღმართვა და შევამკე სრულიად და იქ დავანესე დედათა მონასტერი. 1889 წლის 7 მაისს გაიხსნა. ზოგადი ცხოვრებისა არს მონასტერი ესე, მრავალთა ჭირისა და შრომის შემდეგ, ქართველებნი და უმეტეს სამღუდელონი, წინააღმდეგნენ და დამაბეზლეს. მრავალი ცუდი ჰსთქუეს, უმეტეს ამანთ არქიმანდრიტმა ნიკოლოზ, დეკანოზ გამბაშიძემ, ელიევმან და სხვა მრავალთა. ეკზარხოს პალადის თხოვნით – განძეულ ვიქმენ“¹.

ასე, ცრემლით იწურებოდა ამ მარტვილის ცხოვრება. ყველა მისი წერილი მოთქმა და გოდებაა. 1900 წლის 10 მაისს, მიხეილ (გობრონ) საბინინი, მოსკოვში მარტოდმარტო, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დაკრძალეს წმ. დანიელის მონასტრის (Данилов монастырь) სასაფლაოზე. საქართველოში, მას რამდენიმე პარაკლისი მხოლოდ ეპისკოპოსმა კირიონმა გადაუხადა². იგი მოუხსენიებია ბაქოს ქართველობასაც³. უიღბლო გამოდგა მიხეილის ცხოვ-

¹ რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა (ყოფ. ლენინის სახ.), ხელნაწერთა განყოფილება (ქ. მოსკოვი), Собрание грузинск. рукописей, Псалтырь, ф. 180/II, №3, 9v-10v.

² „ცნობის ფურცელი“, 1900, №1130 (21 მაისი) გვ. 2.

³ „ცნობის ფურცელი“, 1900, №1135 (26 მაისი) გვ. 2, №1136 (27 მაისი), გვ. 1; „ცნობის ფურცელი“, 1900, №1145 (8 ივნისი) გვ. 2.

რება. მ. საბინინის ანდერძი იყო დავითგარეჯში დაეკრძალათ მისი ნეშტი. მხოლოდ ერთ წერილში მამა ათანასესადმი, მიხეილი გაკვერით წერს, რომ მუხროვანში, გომბორის გზაზე, მშვენნიერი, ედემის მსგავსი ადგილია. „დიდი სურვილი მაქვს იმისთვის, თუ ღმერთი ინებებს, სამსახურიც მინდა იქ და საფლავიც“¹, მაგრამ მისი ნეშტი, არათუ საქართველოს მინამ არ მიიბარა, არამედ სადღესოდ, საერთოდ გამქრალია პირისაგან მიწისა. 1999 წელს მოსკოვში სამეცნიერო მივლინების დროს, წმ. დანიელის მონასტერში ვეძიეთ მისი საფლავი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ ადგილას, სადაც ამ ვრცელი სამონასტრო კომპლექსის სასაფლაო იყო, დღეს რუსეთის პატრიარქის რეზიდენციაა აგებული².

საბინინის ტრაგიკულ ცხოვრებას კარგად გვისურათებს მისივე ერთი წერილის სიტყვები: „მე არავისგან არ მოველი არც სიყვარულსა, არც სიხარულსა, არც პატივსა, არც ტკბილობასა; ყოველი ესე არს ჩემი იესო ქრისტე ღმერთი, რომელსა უნდა ვბაძავდე“³.

სამართლიანი და მრავალმნიშვნელოვანია რ. მეტრეველის სიტყვები: „წარმოშობით რუსი მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინინი, ჭეშმარიტად დიდი ქართული საქმეების შემოქმედი იყო. იგი, მიუხედავად წინააღმდეგობებისა და მრავალი სირთულისა, შეუპოვრად იკვლევდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, კრებდა და აქვეყნებდა პირველწყაროებს, რომელთაც დღესაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორისათვის... მიხეილ საბინინის ცხოვრება და მოღვაწეობა უთუოდ მონოგრაფიული შესწავლის საგანი უნდა გახდეს“⁴.

¹ ხ.ერ.ც., კირიონის პირადი ფონდი, საბუთი №1531, ფ. 2 (1891 წ. 21 ივნისი).

² В. Кикнадзе, Михаил Сабинин – подвижник грузинской церкви, <http://www.pravoslavie.ru/cgi-bin/sykon/client/display.pl?sid=374&did=1079>; საბინინის საფლავი უკანასკნელად ნახა ტარასი მღვდელ-მონაზონმა (ალბათ კანდელაკმა), 1904 წელს. იხ. „ივერია“, 1904, №245 (27 აგვისტო).

³ ხ.ერ.ც., ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №1807, ფ. 7.

⁴ რ. მეტრეველი, „დამმარხეთ საქართველოში“, გვ. 46.

მიხეილ საბინინის შემოქმედება

ყველა თავის შრომაში, თუ პირად წერილში მ. საბინინი გამოთქვამს ღრმა რწმენას იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველი ხალხის და საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სულიერ ცხოვრებას, წმინდანთა მარტივობას, ბერ-მონაზვნობას. მისი აზრით, არა მარტო სასულიერო წოდებისათვის, არამედ მთელი ერისათვის, წმინდანთა ცხოვრება მისაბადი, სამაგალითო უნდა იყოს. მიხეილ საბინინი, ზაქარია ჭიჭინაძეს, პეტერბურგიდან სწერდა: „...მივდიოთ წესსა რომლისათვის დაანთხიეს წმ. სისხლი თვისი მრავალთა წინაპართა მამათა და დედათა ჩუჴნთა წმ. მართლმადიდებლობისათვის და არა შეორგულდეთ მათ მოღუანებ(ა)სა და ტანჯვათ“¹. ამასვე იმეორებდა ის თავის შრომაშიც „ქართული ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების სრული აღწერილობა“ (რუსულ ენაზე): „Иверия (Грузия) после того, как озарилась светом евангельской проповеди от самого апостола Андрея и св. Нины, до сего времени, тщательно и свято хранит данное ей богом сокровище. Подобно небу, блистающему мириадами звезд, она просияла целым сонмом святых угодников Божьих, которые свидетельствуя о чистоте ее веры, служат ей несомненным залогом спасения“².

საბინინი მიიჩნევს, რომ ერის გადაგვარების და დაცემის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი, მისი სწმინდეების დაუცველობა და წმინდანების უპატივცემლობაა. დოღო გარეჯელის და სხვა გარეჯელ მამათა მოუვლელ საფლავებთან დაკავშირებით, იგი ასეთ შენიშვნას აკეთებს: „შიშველნი ძვალნი, წმინდათა ამათ ღირსთა მონამეთა, მიუხედეველად ასვენნიან მცირე ეგუტერს, დიდს გამოქვაბულს სანნახელსა შინა. განათუ არა ჯერ არს მათი კეთილად დაცუაი? არა თუ ეს წმიდანი, არამედ სრულიად საქართველოს სწმინდენი სასირცხვილოდ ქართუჴლთა, ამისთანა შეურაცხილობა-

¹ წერილი ზ. ჭიჭინაძეს, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის საარქივო ფონდი, საქმე №5148, ფ. 1 (1885).

² М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. I, второе издание, М., 1994, с. 3.

სა და უპატიობასა შინა იმყოფებიან¹. იმათ, კი ვინც ქართულ სინ-
მინდებს ხელყოფდა მიხეილ საბინინი შეაჩვენებს. მაგალითად,
გელათის უძველეს სახარებაზე იგი წერს: „მშუჭნივრად იყო მო-
კაზმული (გელათის სახარება – ვ. კ.) თუალითა და მარგალიტითა
და ან გაყვლეფილი გრაფ ლევაშოვის მიერ, 1869 წელსა, რომლის
ხსენება შეჩუენებულ არს ამიერ-უკუნისამდე“².

ასევე, დაუნდობლად ამუნათებს იგი იოანე (ივანე) ბერძენიშ-
ვილსაც, რომელიც, დავითგარეჯში მოღვაწეობდა. თავდაპირვე-
ლად, მის მიმართ საბინინი კარგად იყო განწყობილი, მაგრამ რო-
დესაც საქმე ქართულ სინმინდეთა განიავებას შეეხო, მიხეილმა
ასე ამხილა იგი: „რაც კი რამ კარგი ნიგნი იყო, სამიკიტხანო გახა-
დეთ და ჩემ თვალწინ, მლოცველთა რუსთა (უფრო მათუშკებს),
ქართველები სრულიად (იქ) არ დაიარებიან, ურიგებდი ხოლმე ნა-
ნილთა წმ. ნამებულთა. რა, მამის შენისა იყო, თუ შენი დედის მზი-
თევში მოყოლებულნი იყვნენ, წმ. ნანილნი ნამებულთანი, რომ ესე
ურიგებდი?“³

აქ შეიძლება ასეთი კითხვა წამოიჭრას. თვით საბინინმა დო-
დოს წმ. ნანილები 1880 წ. 16 მარტს დოდორქის ლავრიდან დავით-
გარეჯელის უდაბნოში გადაასვენა. ამისთვის იგი გაკიცხა ხსენე-
ბულმა იოანე ბერძენიშვილმა⁴. ასევე, მიტოვებულ ტაძარ-მონასტ-
რებში, საბინინი ხელნაწერებს და ძვირფას ნივთებს აგროვებდა და
თბილისში, მოსკოვსა და პეტერბურგში აგზავნიდა. შესაძლოა ვი-
ფიქროთ, რომ მისი ეს საქციელი ასევე გაუმართლებელი იყო, მაგ-
რამ მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რისთვის აკეთებდა ამას სა-
ბინინი, პირადი გამდიდრების და თავის წარმოჩენის, თუ უპატრო-
ნოდ დარჩენილი ქართული ეროვნული სიმდიდრის მოვლა-გადარ-
ჩენის მიზნით? ფაქტობრივი მასალის გათვალისწინებით, შეიძლე-
ბა გადაჭრით ითქვას, რომ ხელნაწერებს და სხვა საეკლესიო ნივ-
თებს, იგი მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეროვნული მემკვიდრე-

¹ მიხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, ს/პეტერბურგი, 1882, გვ. 579
(სქოლიო 1).

² იქვე, გვ. 488 (სქოლიო 1).

³ მ. საბინინის პასუხი ი. ბერძენოვს, გაზ. „დროება“, 1881, №133 (27 ივნისი),
გვ. 2.

⁴ იხ. თ. ჯოჯუა, წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი, კრებ. ქრისტიანო-
ნობა საქართველოში, თბ., 2000, გვ. 37-38.

ობის დაცვის და პროპაგანდის მიზნით აგროვებდა. მართლაც, ის რაც მან თბილისის თუ იმპერიის ცენტრალურ ქალაქების ბიბლიოთეკებს და მუზეუმებს შესწირა, დალუპვას გადარჩა. ნმ. დოდოს ნეშტიც, უთუოდ საერთოდ მოისპობოდა თუ არა მ. საბინინის დროული ზრუნვა მასზე.

მ. საბინინი ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ მონასტერში შეიგრძნობს ადამიანი „თავის არარაობას და სიმდაბლეს თვისი შემოქმედის წინაშე; ასევე (აქ – ვ. კ.) სრულიად აღარ აქცევ ყურადღებას მძიმე, ამაოებით და სიყალბით მოცულ ფარისევლურ სამყაროს“¹. დავითგარეჯის ერთ სენაკში განმარტოებული საბინინი ამბობს, რომ მხოლოდ აქ იგრძნო თავი ისე თავისუფლად, როგორც ზეცაში მონავარდე არწივმა, რომელიც ზევით დაჰყურებს ამაოებით მოცულ სამყაროს. ამიტომ ეძიებდნენ ასეთ ადგილებს განმარტოებისათვის წმინდა ადამიანები, დასძენს ის, რათა განწმენდილიყვნენ, ზნესრულობა შეეძინათ და ისე წამდგარიყვნენ შემოქმედის წინაშე².

მ. საბინინის ნაშრომებიდან ერთი აზრი მკვეთრად გამოსჭვივის: საქართველოს ხსნა მართლმადიდებლობაშია. მისი აზრით, სხვა რელიგიის, ან ქრისტიანობის სხვა მიმდინარეობის მიღება, ან მხარდაჭერა, საქართველოს დალუპავს. მ. საბინინი წერს, რომ მართლმადიდებლობამ საქართველოში იმიტომაც გაძლო, რომ ბავშვებს სულ ადრეული ასაკიდან ასწავლიდნენ წმინდა წერილს, რომელიც მათ გონებაში ღრმად და სამუდამოდ ჩაიბეჭდებოდა ხოლმე³.

საბინინი წერს, რომ ქრისტიანობის (მართლმადიდებლობის) მიღებით, საქართველომ განსაზღვრა თავისი ადგილი ცივილიზებულ ხალხთა შორის. მ. საბინინი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ოთხ პერიოდს გამოყოფს: 1) ქრისტიანობის მიღების წინა, მოსამზადებელი პერიოდი; 2) ქრისტიანობის მიღებისა და წარმართობასთან, მწვალებლობებთან, ისლამთან ბრძოლის პერიოდი; 3) ქრისტიანობის გამარჯვების და აყვავების პერიოდი მთელს კავკასიაში; 4) ქრისტიანული ცხოვრების დაცემის ხანა და მუსლიმან მეფეთა

¹ М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II, СПб, 1872, с. 107, сноска №4.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 1, შენ. 1.

მძლავრობის ხანა, რომელიც გრძელდებოდა XIX საუკუნემდე¹.

თითოეულ ამ ისტორიულ მონაკვეთში, საბინინის სიტყვით, არსებობდნენ გამორჩეული, ამაღლებული და მტკიცე პიროვნებები, რომლებიც ქრისტიანობის დასაცავად მოქმედებდნენ მთლიანად შინაგანი რწმენის საფუძველზე, დამოუკიდებლად და თავისუფალი იყვნენ შემთხვევითი გავლენებისაგან. მისი აზრით, სწორედ ამ მონამებმა და გამორჩეულმა ქრისტეს მიმდევრებმა შეძლეს: „ივერიის ეკლესიის, მართლმადიდებლობის იმ მიუვალ კლდეზე დამკვიდრება, რომლის შემუსვრა, ამდენი საუკუნის მანძილზე, ვერაფრით შეძლეს ქრისტეს ჯვრის მტრებმა“².

მიხეილ საბინინს მიაჩნია, რომ სწორედ წმინდანებმა და ქრისტიანულმა სინმინდეებმა იხსნეს საქართველო არაერთი მძიმე განსაცდელის დროს. ამიტომ, ამ სინმინდეებზე ზრუნვა, ყოველი ქართველის უპირველესი მოთხოვნილება უნდა იყოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია მიხეილს ქრისტეს კვართის საქართველოში არსებობა. იგი კატეგორიულად გამორიცხავს იმ ვერსიას, თითქოს კვართი სვეტიცხოვლიდან XVII ს. დასაწყისში, შაჰ აბას I-მა წაიღო³ (შემდეგ კი რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს ძეს მიართვა). საბინინი წერს: „Доказательство неприкосновенности св. Хитона Господа, вопреки всем бредням и лживым показаниям позднейших писателей – См. «Картлис Цховреба», с. 80 (на груз. яз.); Синаксар(ий) Мух(етского) кафедр(ального) соб(ора); Ист(ория) цар(я) Теймураза; Моя кн(ига), ч. I, жизнь св. Нины“⁴

ქრისტეს კვართის სვეტიცხოვლიდან წაღების ვერსიას, თავის დროზე, ემხრობოდა პლ. იოსელიანიც. ერთ თავის სტატიაში: „მცხეთის ტაძარი საქართველოში“ (რუს. ენაზე), იგი იზიარებდა რუსი ავტორების აზრს იმის შესახებ, რომ შაჰ აბასის შემოსევების დროს, ქართველებმა, თითქოს მინიდან ამოიღეს უფლის კვართი

¹ Гоброн (Михаил) Сабинин, История грузинской церкви до конца VI века, С/Пб., 1877, с. 1-2.

² იქვე, გვ. 2.

³ ამ ვერსიების შესახებ იხ. ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003, გვ. 47-65.

⁴ М. Сабинин, История грузинской церкви... с. 9 (сноска 1) (ფრჩხილების გახსნა ჩვენია – ვ. კ.).

და სანანილეებიან ჯვარში (თუ პატარა ზარდახშაში) შეინახეს. შემდეგ, ქართველი სამღვდლოების უყურადღებობის წყალობით, ჯვარი (ზარდახშა) უძვირფასესი სინმინდით, შაპ აბასის მეომრებს ჩაუვარდათ ხელში და ირანში წაიღეს. იქიდან კი, შაჰმა რუსეთის მეფეს ბორის გოდუნოვს (პლ. იოსელიანი აქაც აშკარად ცდება: უნდა იყოს მიხეილ თევდორეს ძე - ვ. კ.) გაუგზავნა¹. მიხეილ საბინინი კატეგორიულად არ ეთანხმება პლ. იოსელიანის ამ მტკიცებას. იგი სამართლიანად სვამს კითხვას: ჯერ ერთი, როგორ დარჩათ ქართველებს უყურადღებოდ სწორედ ქრისტიანებისათვის უძვირფასესი კვართი, მეორეც, რატომ სდუმან ამის შესახებ ქართული წყაროები. ამ კითხვების ახსნა მხოლოდ შემდეგშიაო, წერს ის: „Подобного факта никогда не происходило... и он (Хитон - В. К.) поныне сокрыт во Мцхете“. მიხეილი გადაკვრით მიაჩნებებს იმას, რომ ასეთი ვერსიები გაჩნდა რუსეთის ეკლესიის ზენოლით, რომელსაც სურდა: „საქართველოს 16 საუკუნოვანი ეკლესიისათვის ჩამოერთმია მსოფლიო ეკლესიის განძის ფლობის პატივი“. აქვე, მიხეილ საბინინი ერთ მნიშვნელოვან ცნობას გვეწვდის. იგი წერს, რომ ადრეულ ასაკში, სიონის ტაძარში შეხვდა უკვე მცხოვრან ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს, და სთხოვა მას, ფიცის ქვეშ ეთქვა სიმართლე უფლის კვართის ადგილმდებარეობის შესახებ; სიზუსტისათვის მოვიყვანთ ციტატას: „Он (Иоселиани - В. К) со вздохом ответил, что свидетельствует Богом и его Сыном, что он (Хитон - В. К.) сокрыт в Мцхетском храме. Как же пишете, ответил я, что он увезен? "Ах! сын мой, ответил он, пред заставившими меня, не мог устоять"² (ხაზი ჩვენია - ვ. კ.). ე. ი. საბინინი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ვერსია ქრისტეს კვართის საქართველოდან გატანის შესახებ, ძალდატანებით, რუსეთის სათანადო წრეების გავლენით იქნა დანერგილი.

თანამედროვე ქართველ მკვლევართა აღიარებით, ქრისტეს კვართი, მართლაც, არასდროს ამოუღიათ სვეტიცხოვლის ტაძრიდან და არსად არ წაუღიათ, ხოლო ვერსია კვართის მოსკოვში გაგზავნასთან დაკავშირებით, გაჩნდა რუსეთის იმპერიის ამბიციების

¹ Пл. Иоселиани, Мцхетский храм в Грузии, Журнал министерства народного просвещения, №36, отд. II, СПб, 1842, с. 51-53.

² М. Сабинин, История грузинской церкви... с. 37 (сноска 1).

შესაბამისად, ე. ი. მათ პოლიტიკური მოტივი ედოთ საფუძვლად¹.

ასე რომ მიხეილ საბინინის ძირითადი მოსაზრებები ამ საკითხთან მიმართებაში დადასტურდა. სხვა საკითხია, რომ ის, გარკვეულწილად, წყაროსადმი თავისუფალ მიდგომას იჩენს, როდესაც ჯვარცმული ქრისტეს მცველ ლონგინოზს (ლონგინს) ქართველ ებრაელ ლონგინოზ კარსნელთან აიგივებს. მაგრამ ამ პიროვნებათა ასეთ სავარაუდო იდენტიფიცირებას, ჯერ კიდევ, რუს მოგზაურთან, ა. სუხანოვთან ვხვდებით². რაც შეეხება საბინინს, მან ეს ვერსია განავეითარა და დაასრულა. იგი წერდა: „Сходство имен лица из свиты Элиоза и воина охранявшего Голгофскую жертву, наводит нас на то предположение, что не есть ли это одно и то же лицо, известное в разных списках, под одним именем – Лонгин, как житель воинственного Кавказа, храбрый, мужественный и охранявший Элиоза во все время его путешествия в Иерусалим, со своими воинами; по прибытии в упомянутый город, не был ли назначен первосвященниками, во время страдания Спасителя, начальником окружавшей Господа стражи”³

მ. საბინინი ვარაუდობს, რომ ქრისტეს ხელთუქმნელ კვართზე წილისყრისას, რომელიც ჯვარცმულ ქრისტეს მცველ მეომრებს შორის გაიმართა, სწორედ ლონგინოზს უნდა ხვდომოდა წილად კვართი; მან კი, ის ელიოზ მცხეთელს გადასცა⁴.

ამ საკითხზე რაიმე კონკრეტულის თქმა შეუძლებელია, რადგან ძალზე მწირი და ხშირად ბუნდოვანი ცნობები გაგვაჩნია, როგორც ჯვარცმული ქრისტეს მცველი ასისტავეი ლონგინოზის (იგივე „ლონგინის“), ისევე ლონგინოს კარსნელის შესახებ⁵.

ელ. მამისთვალისძვილი აღნიშნავს აგრეთვე, რომ საბინინმა პირველმა უწოდა ელიოზ მცხეთელის დას სახელი „სიდონია“, ქართულ წყაროებში კი მისი სახელი დაფიქსირებული არ არის. სინამდვილეში, სიდონია ერქვა IV ს-ში მცხოვრები ებრაელი მღვდლის

¹ ე. მამისთვალისძვილი, დასახ. წიგნი, გვ. 43-66.

² ე. მამისთვალისძვილი, დასახ. წიგნი, გვ. 21.

³ М. Сабинин, История грузинской церкви... с. 7 (сноска 1).

⁴ იქვე.

⁵ იბ. ე. მამისთვალისძვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003, გვ. 20-25.

აბიათარის ქალიშვილს¹. ამ დებულების ძირითადი ნაწილი სწორია, მაგრამ აღსანიშნავი მხოლოდ ის არის, რომ თვით ელ. მამისთვალის შვილის ალიარებით, ელიოზის დას „სიდონია“, საბინინზე ადრე, უნდა რუსმა მკვლევარმა და მოგზაურმა მ. სელეზნიოვმა. ე. მამისთვალის შვილი განმარტავს, რომ როგორც ჩანს, მ. სელეზნიოვს უბრალოდ აერია IV ს-ში მცხოვრები აბიათარის ქალიშვილის და I საუკუნეში მცხოვრები ელიოზის დის სახელები². ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა დაზუსტდეს ის მომენტი, რომ მ. სელეზნიოვი XIX ს. 30-40-იან წლებში მოღვაწეობდა³ და ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მ. საბინინმა მხოლოდ გაიმეორა სელეზნიოვის ვერსია, რომლის წიგნსაც, სავარაუდოდ, ის კარგად იცნობდა. ამასთან, აბიათარი და მისი ქალიშვილი, I ს-ში მოღვაწე ელიოზის, ჩამომავლებად ითვლებიან და სავარაუდოდ სახელი, სავსებით შესაძლებელია, შთამომავლისთვისაც ეწოდებინათ.

სხვა საკითხია, რა თქმა უნდა, რომ XIX ს. მკვლევრები და მათ შორის საბინინიც, არ იცავდნენ მეცნიერულ სიზუსტეს.

მ. საბინინი ჩამოთვლის სხვა ქრისტიანულ სწმინდეებსაც, რომლებიც გარკვეულ დროს საქართველოში მოიტანეს და შემდეგ კი ისინი დაიკარგა. მიხეილი წერს, რომ იოანე ეპისკოპოსმა კონსტანტინეპოლიდან ჩამოიტანა ქრისტეს ჯვრის ფეხის სადგამი და რამდენიმე ლურსმანი (სამსჭვალე), რომლითაც ქრისტე იყო ჯვარცმული⁴. მ. საბინინი გვამცნობს, რომ ჯვრის ფეხის სადგამი უკან, ბიზანტიაში წაიღო იმპერატორმა შერაკლემ 629 წელს. შემდეგ კი ის კვლავ დაუბრუნდათ ქართველებს და ანანურის ეკლესიაში ინახებოდა. საიდანაც, საბოლოოდ, დაიკარგა გიორგი XIII-ის დროს⁵.

ამასვე იმეორებს საბინინი საქართველოს ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების სრულ აღწერილობაშიც: „Прибывших в Константинополь посланцев (იგულისხმება იოანე ეპისკოპოსი და მისი თანმხლები პირები – ვ. კ.) приняли с радостью и переданная ими просьба царя (Мириана – В. К.) с готовностью была исполнена. Послам вру-

¹ ე. მამისთვალის შვილი, დასახ. წიგნი, გვ. 32-34.

² იქვე, გვ. 33.

³ Селезнев М., Руководство к познанию Кавказа, СПб., 1847, с. 2.

⁴ М. Сабинин, История грузинской церкви... с. 7 (сноска 1).

⁵ М. Сабинин, История грузинской церкви... с. 41 (сноска 1).

ჩილი წილ ჯივოტვორიეშო კრესტა, სლუჟივშიეო ოპოროი სტოპამ ოსოპოდა ი გვოზდი, კოიმი ბული პრიბიტი პრეჩისტიე რუკი ისკუპიტელია”¹ სქოლიოში კი იგი აღნიშნავს, რომ დიდად სამწუხაროდ, ეს რელიკვიები საქართველოდან გაიტანეს და დაიკარგა². ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილ ერთ პირად წერილში (1886 წ. პეტერბურგი) ამ საკითხზე, მ. საბინინი წერდა: „მაშინ გაქრა საქართუშლოს ლამპარი, როდესაც წმ. სამსჭვალე (ესე იგი ლურსმანი) იქმნა წამოღებული საქართუშლოთგან”³. აშკარაა, რომ მ. საბინინი აქ ეყრდნობა როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს და „ქართლის ცხოვრებას”, ასევე ვახუშტის თხზულებას. რაც შეეხება ქრისტეს ჯვარცმის დროს უფლის სანამებელი ნივთების უდიდეს, საეთრო ქრისტიანულ კულტს, ამას გვიდასტურებს XIII ს. დასაწყისის ქართველი ჰიმნოგრაფი საბა სვინგელოზი. თავის „გალობანში”, იგი დიდი მხატვრული და სულიერი ექსპრესიით წერს: „დასჯისა ნივთთა, რომლითა ჴსნაჲ მოგუენიჭა: ჯუარს, ლახუარსა, ლერწამსა, სამსჭუალთა და ღრუბელსა... თაყუანის ვსცემ, ვითარცა მიზეზთა ცხოვრებისა ჩემისათა!”⁴.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ” კი, ამ რელიკვიების შესახებ შემდეგს გვამცნობს: „და მოსცა მეფემან (კონსტანტინე დიდმა მირიანის ელჩებს წმ. რელიკვიები – ვ. კ.) და წარმოვიდეს ერუშეთს. და დადვეს საძირკუელი ეკლესიისა(ა) და დაუტევ(ნ)ეს ფერჴთა ფიცარნი მაცხოვრისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი და წარმოვიდნენ მანგლისს და დადვეს საძირკუელი ეკლესიისა(ა) და დაუტევნეს სამსჭუალნი”⁵.

ვახუშტის ცნობით, ეს რელიკვიები მანგლისიდან და ერუშეთიდან, ჰერაკლე კეისარმა უკან, ბიზანტიაში წაიღო⁶. შემდეგ ისინი კვლავ დაუბრუნებიათ საქართველოში; თუმცა კარგად არ ჩანს როდის და რა ვითარებაში; ყოველ შემთხვევაში, XVII-XVIII ს-დან

¹ М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, с. 59.

² იქვე, შენ. 1.

³ მ. საბინინის წერილი ზ. ჭიჭინაძეს, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის მ. საბინინის ფონდი, საბუთი №5148(ბ), ფ. 1.

⁴ საბა სვინგელოზი, გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია ს. ყუბანეიშვილის რედაქტორობით, ნ. 1, თბ., 1946, გვ. 393.

⁵ „მოქცევაჲ ქართლისაჲ”, ნიგნში: შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა, ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 29.

⁶ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 227-228.

მათ კვლავ მოიხსენიებენ როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები. მაგალითად, იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (ნოტარა) ადასტურებს, რომ ნახა ძვირფას კიდობანში დაცული ერთი სამსჭვალის თბილისის სიონში, მეორე კი გელათში¹.

საბინინი ქართულ წყაროებს ეყრდნობა, როდესაც წერს, რომ სამსჭვალის საქართველოდან წაღების შემდეგ ქართლის (საქართველოს) საქმეები ცუდად წავიდა. ვახუშტი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც არჩილ II-მ რუსეთში წაიღო ქრისტეს სამსჭვალის, „მოაკლდა მიერით, ნიჭნი ესე ლუთისანი ქართლს“². ამასვე იმეორებდა ბესარიონ კათალიკოსი (XVIII ს.), როდესაც ვახტანგ VI-ს სწერდა: „რა იგი (სამსჭვალის – ვ. კ.) აქედან წაასვენეს, აღარც შენი ოჯახი დადგა, აღარც ქართლი“³.

მ. საბინინი გადმოგვცემს აგრეთვე, რომ საქართველოში წმ. ნინოს ვაზის ჯვრის გარდა, დაცული იყო წმ. ნინოს „სამოციქულო ზედა სამოსი“, რომელიც შაჰ აბასმა წაიღო საქართველოდან 1615 წელს⁴.

როგორც აღვნიშნეთ, საბინინის ღრმა რწმენით, საქართველო მართლმადიდებლობამ გადაარჩინა. მაგრამ მისივე აღიარებით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ვამხილოთ ისინი, ვინც მართლმადიდებლობის სახელით, ძალადობენ, ფარისევლობენ, არ იცავენ და უფრო მეტიც, ფლანგავენ და აჩანაგებენ ქართული ტაძარ-მონასტრების ქონებას, ქართულ სინმინდეებს.

ამ თვალსაზრისით, მიხეილი რუსეთის ოფიცირებსაც მოურიდებულად ამხელს. ალავერდის ოდესღაც დიდებული ტაძრის მონახულებისას, მიხეილს ცრემლები წამოსცვივდა, იმდენად მოუვლელი და გაჩანაგებული იყო ეს დიდებული სავანე: „Тут, любящему сердцу, вспомнились минувшие красные (შესანიშნავი – ვ. კ.) дни нашего царства, величие этой местности и значение этого собора, а теперь доведенная православными властителями страны, до самого жалкого положе-

¹ იხ. ელ. მამისთვლიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გვ. 63 (შენიშვნა).

² ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 458.

³ ბესარიონ კათალიკოსის წერილი ვახტანგ VI-ს, Броссе М. Ф. Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями (1639-1770), СПб., 1861, с. 198.

⁴ М. Сабинин, Объяснение картины “Слава св. православной Грузинской церкви», СПб., 1899, с. 7.

ნია”¹ იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ მხარის მართლმადიდებელი გამგებლები (გულისხმობს რუსულ საერო და საეკლესიო ხელისუფლებას), სრულიად არ ზრუნავენ ამ დიდებული, ისტორიული ტაძრის ბედზე, რის გამოც, ის გავერანდა². შემდეგ მ. საბინინი აღწერს ქართლ-კახეთის მძიმე მდგომარეობას ვახტანგ V (შაჰნავაზის) დროს; იგი მაშინდელ სიტუაციას, თავის დროს ადარებს და წერს, რომ მდგომარეობა: „Нисколько не лучше и в настоящее время (XIX в. 70-იანი წლები – ვ. კ.), хотя правление и православное; падение православия так очевидно, что приходится призадумываться”³.

პირად წერილებშიც, საბინინი არ ერიდება როგორც ეგზარქოსების, ასევე საერო ხელისუფლების კრიტიკას. ადრე უკვე ციტირებულ წერილში ზ. ჭიჭინაძისადმი, საბინინი აღნიშნავდა: „ძალა ამანთა აქვსთ (ე. ი. რუსეთის ხელისუფლებას – ვ. კ.) და რაცა ნებავთ, იმასა შვრებიან, ეგზარხი, როგორც მღვდელმთავარი და ომოფორის მტვირთველი, ყველას კეთილად უნდა ექცეოდეს და არა პოლიციურად”⁴.

კიდევ უფრო ცხადად გვისურათებს საბინინი ეგზარქოსთა პოლიტიკას საქართველოს მიმართ, როდესაც წერს: „ეგზარქოსმა პირი მომჭამა რომაო, შენ ქართუშლების მხარე გიჭირავსო და იმანთი პატიოსნება გინდაო. ქართველები სულ უნდა გავასახლოთო, რომ იქ ხსენებაც არ იყოსო იმანთიო და იქ რუსები და მალაკნები უნდა გადავასახლოთო; მე გავილილინე, გამიჯავრდა კიდეცა ამაზედ!”⁵.

ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ მიხეილ საბინინი ნამდვილი ქართველი პატრიოტია. ამასთან, ღრმა მართლმადიდებლური

¹ М. Сабинин, Полное жизнеописание... ч. II, СПб., 1872, с. 66-67 (сноска)

² მ. საბინინი, დასახ. წიგნი, გვ. 69 (შენიშვნა).

³ იქვე, გვ. 70 (შენიშვნა).

⁴ მ. საბინინის წერილი ზ. ჭიჭინაძეს, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, საბინინის ფონდი, საბუთი №5148 (ბ), ფ. 2. (1885).

⁵ მ. საბინინის წერილი ზ. ჭიჭინაძეს, გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, საბინინის ფონდი, საბუთი №5146(ბ). საბინინის ამ წერილის ფრაგმენტები გამოაქვეყნა რ. მეტრეველმა (იხ. მისი, „დამმარხეთ საქართველოში“, გვ. 30), მაგრამ ეს აბზაცი არ გამოქვეყნებულა.

რწმენა, მას ხელს არ უშლის ამხილოს ქართული ეკლესიის მეთაურად რუსეთის სინოდის მიერ დანიშნული თვითოეული მღვდელმთავარი, თუ ის არაქართულ პოზიციას გამოავლენს.

ამ სიტყვებიდან, ისიც კარგად ჩანს, რა ედოთ გულში რუს მწყემსმთავართა დიდ ნაწილს ქართველი ხალხის მიმართ (იყვნენ რა თქმა უნდა, მცირე გამონაკლისებიც).

მართალია, წერილი, რომელშიც მიხეილის ეს მრავლისმეტყველი სიტყვებია მოტანილი, უთარილოა, მაგრამ რადგან მასში „საქართველოს სამოთხის“ გამოცემა-გავრცელების სირთულეებზეა საუბარი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის 1882-1883 წწ-შია დაწერილი. მაშინ კი ეგზარქოსად, საქართველოს ისტორიაში ავადსახსენებელი პავლე (ლებედევი) იყო გამწესებული. ის, რაც ეგზარქოს პავლეს 1883 წელს გულში ედო, გაცხადდა 1886 წლის 24 მაისს, იოსებ ლალიაშვილის ცნობილ ინცინდენტთან დაკავშირებით, როდესაც მან სემინარიის რექტორი ჩუღუცკი მოკლა¹.

ამგვარად, მიხეილის უტყუარი მონშობით, საქართველოს მწყემსმთავარი იმაზე ოცნებობდა, რომ ქართველები საერთოდ გადაესახლებინათ საკუთარი მიწაწყლიდან და იქ რუსები და რუსი სექტანტები (მალაკნები) ჩაესახლებინათ! ამიტომაც იყო, რომ აღშფოთებული საბინინი ეგზარქოს პავლეს ხშირად ამხელდა და რუსეთიდან გამოგზავნილ პირად წერილებში დამამცირებელი ფორმით მოიხსენიებდა. იგი მას უწოდებდა: „Папыха – Москва“-ს და წერდა, რომ იმპერატორი და მიტროპოლიტი ისიდორე, მისით უკმაყოფილონი იყვნენ².

რუსული სახელმწიფოსა და ეკლესიის მოხელეთა საძრახისი ქცევის მიუხედავად, მ. საბინინს მიაჩნდა, რომ საქართველოს არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ, იმთავითვე გამართლებული იყო. ზევით ხსენებულ წერილში, იგი წერდა, რომ ეგზარქოს პავლეზე, რუსეთის უმაღლეს წრეებში იმიტომ არიან შემომწყრალნი, რომ იგი: „ცილს სწამებს ჩვენს ქვეყანას, თავიდანვე რუსეთის ერთგულს“³. მისი აზ-

¹ იხ. კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსცა მის. ქავთარიაშ, თბ., 1994, გვ. 207-213.

² მ. საბინინის წერილი ალ. ოქროპირიძეს, ხ.ერ.ც. ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი № 1352, ფ. 1, 3 (1887 წ. 1. აგვისტო).

³ იქვე, ფ. 3.

რით, მართალია, რუსეთის ოფიციალური სცოდავს ქართველებთან მიმართებაში, მაგრამ ამისდა მიუხედავად, რომაულ-კათოლიკური ეკლესია, ქართველებისათვის სრულიად მიუღებელია. ზ. ჭიჭინაძეს იგი სწერდა: „თუ ვიეთმე მივზდიოთ ჰრომაელთა, არა ჯერ არს, და არცა უნდა უგდებდეთ მათ ყურსა, და ისინი გვამტერებენ ძმათა ჩუწნთა, თუმცა არა ცოდნობით (ძმები - ვ. კ.), ცუდად გვეკიდებიან და არა გვცემენ პატივსა“¹. საბინინი ამბობს, რომ მართალია, რუსეთი ანუ მართლმადიდებელი „ძმა“ „არა ცოდნობით“, საქართველოს სათანადო პატივს არ მიაგებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღონ. მიხეილი წერს: „ჩვენ უნდა ეს გვექონდეს აზრად, რამეთუ უნდა შევეყარნეთ იქ, სადაცა არს მართლმსაჯულება იმათ, რომელთა დაანთხიეს სისხლი თჳსი მართლმადიდებლობისათვის და არა მისდევდნენ მანქანებსა რომაელთასა. რა პასუხი უნდა გავცეთ ნმ. ნინას და მრავალთა წმინდათა, რომელთა გუამი დაუტყვევს წმიდისა ეკლესიისათჳს“². ამიტომაც აპირებდა იგი გამოეცა ბესარიონ კათალიკოსის „გრდემლი“, რომელიც მთლიანად ანტიკათოლიკური, მამხილებელი ხასიათისაა.

განსაკუთრებით კრიტიკულადაა განწყობილი მიხეილ საბინინი სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მიმართ. „საქართველოს სამოთხის“ და სხვა თავისი წიგნების კომენტარებში იგი მკვეთრი სიტყვებით ახასიათებს ამ ეკლესიის, მისი სიტყვით, ერეტიკულ ხასიათს³.

მიხეილ საბინინი, ხაზგასმით აღნიშნავს ქართული ეკლესიამონასტრების არა მხოლოდ უდიდეს სარწმუნოებრივ მნიშვნელობას, არამედ მათ საერთო ეროვნულ, ისტორიულ ღირებულებას. ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, იგი წერდა, რომ თუ არ ვიზრუნებთ დავითგარეჯის მონასტერზე, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია, შესაძლოა იგი საერთოდ გაეუქმებინათ და მაშინ „Еще один памятник истории пропадет“⁴.

¹ მ. საბინინის წერილი ზ. ჭიჭინაძეს, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, საბინინის ფონდი, საბუთი №5148 (ს) ფ. 2 (პუნქტუაცია ჩვენია - ვ. კ.).

² იქვე, ფ. 1-2.

³ იხ. მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“..., პეტერბურგი. 1882, გვ. 639 და სხვ.

⁴ М. Сабинин, Полное жизнеописание..., ч. II, СПб, 1872, с. I.

ქართველი ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში, გარდა სარწმუნოებისა, მიხეილ საბინინი ხაზს უსვამს ქართული ენის და ქართული მნიგნობრობის მნიშვნელობას. ერთ-ერთი თავისი ნიგნის შესავალში მიხეილი წერდა, რომ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა მიერ შექმნილი და თარგმნილი შრომები: „საუკუნეთა წიაღში, ემსახურებოდნენ არა მხოლოდ ჩვენი ეკლესიის შენარჩუნებას, არამედ ხალხის თვითმყოფობასაც“¹. ამასვე აღნიშნავს, იგი ქართული ენის შესახებაც. „მჭვრეტელნი ვინაჲდგან მრავალი არიან, ჩუწნთაგანნი და უცხო თესლისანი, რომელთა ჰნებავთ ჩუწნის მშუწნიერისა და ლუთივ საყვარელისა ენისა მოსპობა... ამის გამოთ, გთხოვ, დიდის მოწინებით, რათა არა უარყპო მოხსენება (ე. ი. ნაშრომი – ვ. კ.) ჩემი და ინებო შთამატება, თუ ვრცელ ამათა მოთხრობათა, იპოვო სადმე“².

ამიტომ ცდილობდა ასე დაჟინებით მიხეილ საბინინი ქართული ხელნაწერების მოპოვებას და მათ პუბლიკაციას ქართულ და რუსულ ენებზე. არსებობს ცნობა, რომ საბინინი აპირებდა ისტორიული შრომის გამოცემას ფრანგულ ენაზეც³, ამ გზით იგი ცდილობდა, ჯერ ერთი, დალუპვას გადაერჩინა ქართული ხელნაწერები, მეორეც, მსოფლიოსთვის (და პირველ რიგში რუსეთისთვის) გაეგებინებინა რა სულიერი განძის მფლობელი იყო საქართველო. სხვა საკითხია, რამდენად პროფესიონალურად ახერხებდა მიხეილ საბინინი ხელნაწერთა პუბლიკაციას და მათ ანალიზს, მაგრამ ობიექტური თუ ვიქნებით, უნდა ვალიაროთ, რომ XIX ს. ქართული სინამდვილისათვის, საბინინის კვლევისა და პუბლიკაციის მეთოდი გამონაკლისი არ იყო. ფაქტობრივად, მაშინ ყალიბდებოდა ჩვენში სამეცნიერო-კრიტიკული ისტორია, ტექსტოლოგია, წყაროთმცოდნეობა, აგიოლოგია, ბიბლიოლოგია და ა. შ.

მ. საბინინის მიერ წყაროთა გამოყენების და მათი ანალიზის თვალსაჩინოებისათვის, კრიტიკულად განვიხილავთ მის ერთ-ერთ შრომას რომელიც ქართლის მონამე მეფის, ლუარსაბ II-ის (1606-1614) ცხოვრება-მონამეობას შეეხება.

ლუარსაბის ცხოვრების გადმოცემამდე, მ. საბინინი მკითხ-

¹ იქვე.

² მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“... გვ. 4 (შესავალი).

³ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, №312, გვ. 2.

ველს ასეთ პრელუდიას სთავაზობს: „Владыко жизни и смерти, Христос украшал стадо свое Иверское, многими мучениками и ангелоподобными отцами. В числе этих представителей верного стада Иверского, были и цари Иверские, положившие души свои за веру православную”¹.

მ. საბინინი გვამცნობს, რომ ამ მონამის ცხოვრებას გადმოსცემს: კათოლიკოს ბესარიონის და ანტონ I-ის შესაბამის შრომებზე დაყრდნობით. მაგრამ, როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, სინამდვილეში, ის გაცილებით მეტ წყაროსა და ლიტერატურას ეყრდნობა და ხშირად საკმაოდ კრიტიკულადაც იხილავს მათ.

ლუარსაბის მამის, გიორგი X-ს შესახებ, საბინინი წერს, რომ ის შაჰმა მოაწამელინა 1603 წელს². მართლაც, არსებობს ვერსია, რომ გიორგი X მონამლეს, მხოლოდ არა 1603 წელს, არამედ 1605 წელს³. თუმცა სხვა ცნობით, გიორგი X ფუტკრის კბენისაგან გარდაიცვალა მეჯვრისხვეში ყოფნის დროს⁴. ლუარსაბის დედასაც საბინინი, „ლიპარიტის ასულ მარიამად” მოიხსენიებს⁵. როგორც უნდა ვივარაუდოთ, მიხეილი აქ ბერი ეგნატაშვილის⁶, უფრო კი ვახუშტის ცნობას ეყრდნობა; ვახუშტი წერდა: „დედასა მეფისასა (ლუარსაბ II-ის - ვ. კ.) მარიამს, ასულსა ლიპარტიანისა”⁷. ჩანს, „ლიპარტიანი”, მიხეილმა „ლიპარიტად” მიიჩნია და ამ წყაროს დაეყრდნო; რაც შეეხება ბესარიონ კათალიკოსს (ბარათაშვილ-ორბელიშვილს), მის აგიოგრაფიულ თხზულებაში, ლუარსაბის დედა „თამარის” სახელით მოიხსენიება. ამასთან, ბესარიონი მიიჩნევს, რომ თამარი მეუღლეზე ადრე გარდა-

¹ М. Сабинин, Полное жизнеописание..., ч. II, с. 25.

² იქვე, გვ. 26.

³ თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა..., ტ. II, ტფ., 1897, გვ. 433; ამასვე ამტკიცებს სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიუეცი, იხ. გ. ჯამბურია, ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის შენარჩუნებისათვის, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 253.

⁴ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, გვ. 434.

⁵ М. Сабинин, Полное жизнеописание..., ч. II, с. 26.

⁶ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, ტ. II, თბ., 1959, გვ. 394-395.

⁷ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 426.

იცვალა¹, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ლუარსაბის დედას, ასევე „თამარის“ სახელით იცნობს ანტონ პირველიც².

შემდეგ, საბინინი მეტ-ნაკლები სიზუსტით აღწერს ყირიმელი თათრების და თურქების შემოსევას, ქვიშხეთის ბრძოლას და თევდორე მღვდლის გამირობას.

საბინინი მოგვითხრობს აგრეთვე, ლუარსაბის დების ელენეს (სხვა წყაროებში ლელა) და ხორეშანის არაკანონიკური გათხოვების შესახებ (საბინინი სქოლიოში აღნიშნავს, რომ მსოფლიო VI საეკლესიო კრების 72-ე მუხლის და ადგილობრივი ლაოდიკიის კრების 31-ე მუხლის შესაბამისად, იკრძალება ქრისტიანი ქალის მაჰმადიანებზე გათხოვება)³.

შემდგომ, საბინინი ლუარსაბის კარზე დანიშნურებულ ორ პიროვნებას ახასიათებს: გიორგი სააკაძეს და შადიმან ბარათაშვილს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს დამკვიდრებული შეხედულებისგან განსხვავებით, იგი დადებითად ახასიათებს შადიმან ბარათაშვილს და პირიქით, მკაცრად აკრიტიკებს გიორგი სააკაძეს. შადიმანზე იგი წერს: „человек честный в высшей степени, благородный и нравственных правил“⁴. სააკაძეს კი ასე ახასიათებს: „Саакадзе был человек безчестный, льстец, хитрый, лукавый а в последний изменил царю и народу“⁵. მისი აზრით, სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ ორ პიროვნებას შორის, თავიდანვე შეურიგებელი მტრობა წარმოიშვა. მ. საბინინი, ამ შემთხვევაში, აშკარად ანტონ კათალიკოსის შრომას ეყრდნობა, სადაც გიორგი სააკაძე მკვეთრად უარყოფითად არის დახასიათებული: „დრუკმან, ორგულმან და გულარძნილმან გიორგი“ – წერდა იგი. ანტონივე მოგვითხრობს შა-

¹ ბესარიონ ორბელიშვილი, ლუანლი წმინდა და სანატრელისა მონამისა და მეფისა ლუარსაბისა, წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბ., 1989, გვ. 34-35.

² ანტონ I, შესხმა და მოთხრობა ლუანლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მონამისა ლუარსაბ მეორისა, მეფისა საქართველოსა. წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, ტ. VI, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბ., 1980, გვ. 45.

³ მ. საბინინის დასახელებული შრომა, გვ. 32, შენ. 1.

⁴ იქვე, გვ. 33.

⁵ იქვე.

დიმან ბარათაშვილისა და სააკაძის დაუძინებელი მტრობის შესახებ, თუმცა მასთან საბინინისგან განსხვავებით, შადიმანი უფრო ნეიტრალურად ხასიათდება¹.

მეფეზე დიდი გავლენის მოსაპოვებლად, საბინინის სიტყვით, გ. სააკაძემ ლუარსაბს საკუთარი და, ჯერ წინასწარგანზრახვით გააცნო, შემდეგ კი, როდესაც მეფემ სააკაძის დის ცოლად შერთვა მოინდომა, მეფეს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ამის წინააღმდეგი იყო².

შემდეგ საბინინი ზოგადად გადმოსცემს მეფისა და სააკაძის კონფლიქტს. მაგრამ მას მიაჩნია, რომ ლუარსაბმა, სააკაძის დის შერთვა, დიდებულების რჩევით, გადაიფიქრა³. შემდეგ საბინინი იმონებებს არაქელ დაერიჟეცის (მასთან: „Аракхел“) და მოგვითხრობს გიორგის შაჰ-აბასთან შეხიზვნის ამბავს⁴. საბინინის სიტყვით, ირანს გადახვენილი სააკაძე, შაჰს არწმუნებდა და ურჩევდა, დაელაშქრა საქართველო (თანაც ზამთარში, როდესაც ხალხი ველარსად დაიმალებოდა), ლუარსაბი კი სიკვდილით დაესაჯა⁵. აქაც, საბინინი ანტონ კათალიკოსის თხრობას მისდევს. მიხეილი გადმოგვცემს, რომ გიორგი სააკაძე და შაჰი ერთად, ცხენდაცხენ მიდიოდნენ და სააკაძე უზიარებდა საქართველოს დამორიჩლების გეგმებს. ანტონ I წერს: „წასრულმან ისპაჰანად, შაჰ-აბას თანა წარიტანა გიორგი და გზადაგზა ცხენით სლუასა შინა, გამოკითხვდა მისგან ნათესავობასა ქართველთა მეფეთა... და იგი (საკაძე – ვ. კ.) შინაგამცემელი უფლისა თვისისა და მამულისა, ყოველსავე განმკაცრებით აუნყებდა ჰამბავთა“⁶.

მ. საბინინი აგვიწერს შაჰ-აბასის კახეთში შემოჭრას გიორგი სააკაძის თანხლებით. ანტონ კათალიკოსის თხრობას, იგი უმატებს ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობებს. უ. შარდენი, წერდა, რომ გიორგი („მეჰრუ“ – ანუ მოურავი) „ყოველდღე კრებდა ხალხს მისი (შაჰის – ვ. კ.) სამსახურისათვის... და ბოლოს, იმასაც კი მიაღწია, რომ საქართველოს სამეფო სახლის რამდენიმე მთავარს მაჰმადია-

¹ ანტონ პირველი, დასახ. შრომა, გვ. 51.

² მ. საბინინი, დასახ. შრომა, გვ. 34.

³ აქაც, საბინინი, აშკარად ანტონ I-ის აზრს იზიარებს, რომელიც თავის მხრივ, ა. დაერიჟეცს ეყრდნობა. იხ. მისი დასახ. შრომა, გვ. 53-54.

⁴ იქვე, გვ. 35.

⁵ იქვე, გვ. 36-37.

⁶ ანტონ პირველი, დასახ. შრომა, გვ. 55.

ნობა მიაღებინა¹. შარდენის ციტატა მ. საბინინს ფრანგულ ენაზე მოჰყავს (შარდენის მოგზაურობის 1829 წლის პარიზის გამოცემის მიხედვით). იგი იმ ქართველ ნარჩინებულთაც ჩამოთვლის, ვინც გიორგის ნაქეზებით, შაჰის მხარეს გადავიდნენ: ნუგზარ და იესე ქსნის ერისთავები, ანდუყაფარ ამილახვარი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ალათანგ ხერხეულიძე². ამ შემთხვევაში, მ. საბინინი ვახუშტის შრომის ზუსტ ციტირებას ახდენს³ (მხოლოდ ზოგი გვარია შეცვლილი რუსული ფორმით).

საინტერესოდ გადმოგვცემს მ. საბინინი შაჰის მიერ ლუარსაბის დატყვევების ეპიზოდს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა არასწორი ვერსია, თითქოს ლუარსაბის იმერეთიდან გადმოყვანაში და შაჰისათვის მიგვრის საქმეში ძირითადი როლი შადიმან ბარათაშვილს მიუძღვის⁴. საბინინი კი გადმოგვცემს, რომ შაჰის ელჩობას, რომელიც იმერეთს გაიგზავნა, სათავეში ედგა გაქნილი საჭურისი სარუ-ხოჯა; მ. საბინინი წერს, რომ მეფე პოეტ არჩილის თხზულებაში მას „მუსაიბი“ ეწოდება. სხვა წყაროებში კი, „სარუ-ხოჯა“. თვით მან, ეს უკანასკნელი სახელი უფრო მართებულად ჩათვალა⁵. მართლაც, არჩილი თავის ცნობილ პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, წერს: „ერთი ხოჯა მუსაიბი“-ო⁶, მაგრამ „მუსაიბი“ საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ ხოჯას ზედწოდება, რაც ნიშნავს „კარგად მოსაუბრეს, ალერსიანი სიტყვის პატრონს, მეგობარს“. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანი ის არის, რომ საბინინი თავის „ლუარსაბის მარტილობის“ შედგენისას, მრავალფეროვან წყაროებს და მათ შორის მეფე პოეტ არჩილის თხზულებასაც იყენებს. რაც შეეხება შაჰის დესპანთა უფროსს „სარუ-ხოჯას“, ეს სახელი, მიხეილს კვლავ ანტონ I-ის თხზუ-

¹ ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 305.

² მ. საბინინი, დასახ. შრომა, გვ. 37, შენ. 22.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., 1973, გვ. 425.

⁴ იხ. მაგ., გ. ჯამბურია, დასახ. შრომა (საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. IV), გვ. 266.

⁵ მ. საბინინი, დასახ. შრომა, გვ. 39, შენ. 23.

⁶ არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ნიგნში „ქართული მწერლობა“, ტ. 6, თბ., 1980, გვ. 426 (ტაეპი №499).

ლებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული¹. ამ ხოჯას ასეთივე სახელით ახსენებს XVII ს-ის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე², მაგრამ საბინინი მის შრომას არ იცნობს. მიხეილი ქართველ ისტორიკოსთა მონათხრობს მისდევს და გადმოგვცემს, რომ ლუარსაბის იმერეთიდან გადმოყვანის საქმეში, მთავარი როლი შეასრულა სწორედ სარუ-ხოჯამ და არა შადიმან ბარათაშვილმა. მართლაც, ყველა ქართველი ისტორიკოსი და პოეტი (მათ შორის: ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი, ფარსადან გორგიჯანიძე, თეიმურაზი და არჩილი), ლუარსაბის ქართლში გადმოყვანას სარუ-ხოჯას მიაწერს და არა შადიმან ბარათაშვილს. შადიმანი, მათი მტკიცებით, შაჰის დესპანებს შორის რიგითი წევრი იყო და გულწრფელად მიაჩნდა, რომ თუ ლუარსაბი შაჰის ბრძანებას შეასრულებდა, სიცოცხლესა და სამეფოს შეინარჩუნებდა; სანინა აღმდევოს, მხოლოდ ერთადერთი ქართველი ავტორი, იოსებ ტფილელი (სააკაძე) ამტკიცებს „დიდმოურავიანში“³.

წყართმცოდნეობითი თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა, რომ მ. საბინინი, გარდა ჩამოთვლილი ქართული წყაროებისა, ახსენებს ისკანდერ მუნშის თხზულებასაც (მასთან: «Искандер Мунджи»)⁴. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში, მიხეილ საბინინი უშუალოდ ისკანდერ მუნშის თხზულებას კი არა, პლ. იოსელიანის შრომას ეყრდნობა⁵. ამას გვაფიქრებინებს საბინინის მიერ დამოწმებული წყაროს ზუსტად ისეთი აბრევიატურით მითითება, როგორც ეს გვხვდება პლ. იოსელიანის აღნიშნულ წიგნში⁶.

საბინინი ახსენებს ბატონიშვილ, მონაზონ მაკრინასაც, რომ-

¹ ანტონ I, დასახ. შრომა, გვ. 58.

² ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ. 1925, გვ. 230.

³ იოსებ სააკაძე, დიდმოურავიანი, წიგნში: „ქართული მწერლობა“, ტ. 6, თბ., 1980, გვ. 622 (ტაეპი №167).

⁴ მ. საბინინი, დასახ. თხზულება, გვ. 41, შენ. 27. იხ. აგრ. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურაძემ, თბ., 1969.

⁵ Иоселиани Пл., Жизнь великого моурава князя Георгия Саакадзе..., Тифлис, 1848. ამ წიგნის ქართული თარგმანი შესრულებული გ. თარხნიშვილის მიერ, გამოიცა თბილისში 1973 წ.

⁶ პლ. იოსელიანი, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 63.

ლის ჩანაწერთა მიხედვით, შაჰ აბასმა, თითქოს ლუარსაბ II და გიორგი სააკაძე თბილისში, ნარიყალაზე შეახვედრა ერთმანეთს. მაკრინას თხზულების მიხედვით, იქ გიორგი სააკაძემ ქვეყნის და მეფის წინაშე ლალატი მოინანია და სპარსთათვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა¹.

უნდა განვმარტოთ, რომ მ. საბინინი გულისხმობს მარიამ – მაკრინას (დაახლ. 1696-1744), რომელიც ერეკლე I-ის (ნაზარალი ხანის) ასული იყო და მონაზუნად აღკვეცის შემდგომ, ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა². პლ. იოსელიანის სიტყვით, მან გიორგი სააკაძის ცხოვრებაც აღწერა და ეს თხზულება, მას (იოსელიანს) გორის ეპისკოპოსმა ნიკიფორემ გადასცა³. სადღეისოდ, მაკრინას არავითარი მსგავსი თხზულება აღმოჩენილი არ არის.

მ. საბინინი შემდეგ გვამცნობს, რომ მოტყუებით პატიმარქმნილი ლუარსაბ II, შაჰმა ყარაიას ველზე წაიყვანა სანადიროდ.

საინტერესოა, ერთი მისი დაკვირვება, რომელიც პირადად საბინინს ეკუთვნის და არც ერთ სხვა წყაროში არ გვხვდება. მიხეილის აზრით, სწორედ ამ ნადირობის დროს შენიშნა შაჰმა უდაბნოში ბერების სააღდგომო მსვლელობა, რის შემდეგაც, აბას I-მა 600 მათგანი ამოწყვიტა⁴. ძნელია მისი ამ დაკვირვების შემოწმება, რადგან ზუსტად ცნობილი არ არის, როდის წაიყვანა შაჰმა ლუარსაბი ყარაიის ველზე სანადიროდ, ან იყო თუ არა ეს აღდგომის პერიოდი (უფრო სავარაუდოა, რომ არა), მაგრამ ეს დაკვირვება, ყურადღებას იქცევს საბინინის კვლევის მეთოდის საილუსტრაციოდ. კერძოდ, იმისათვის, რომ ვაჩვენოთ, რომ ავტორი ცდილობს, სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოიღოს წყაროთა ჩვენებები, არამედ კრიტიკულად გაიაზროს ისინი და საკუთარი კომენტარებიც დაურთოს მათ.

შემდგომი თხრობიდან კიდევ ერთი დეტალი იპყრობს ყურადღებას. მ. საბინინი წერს, რომ გიორგი სააკაძე შაჰს ჩააგონებდა, მალე მოეშორებინა თავიდან ზღვისპირა ციხეში დატყვევებუ-

¹ მ. საბინინი, დასახ. შრომა, გვ. 42.

² მ. ქავთარია, XVIII ს. ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, „მრავალთავი“ (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), II, თბ., 1973, გვ. 94-100.

³ პლ. იოსელიანი, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ცხოვრება, გვ. 63, შენ. 32-33.

⁴ მ. საბინინი, დასახ. ნიგნი, გვ. 43, შენ.

ლი მეფე ლუარსაბი, რადგან სააკაძის სიტყვით: „თეიმურაზი შესაძლებელია, ზღვით, ნავით ჩამოვიდეს და ფარულად მოიტაცოს ლუარსაბი ციხიდან“¹.

ის მოტივი, რომ გიორგი სააკაძე შაჰს ჩააგონებდა ლუარსაბის დაუყოვნებლივ დასჯას, ამ ეპოქის თითქმის ყველა ქართულ და უცხოურ წყაროებში გვხვდება. რაც შეეხება ლუარსაბის შესაძლო, ზღვით გამოხსნის ვერსიას, ამის შესახებ მხოლოდ ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს. მაგრამ მასთან საუბარია არა თეიმურაზზე, არამედ რუსებზე. ფარსადანის სიტყვით, გიორგი სააკაძე შაჰს მათი მოსვლით აშინებდა: „მოურავს ყაენისათვის მოეხსენებინა, რადგან კახთ, ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანესო, ქართველნიც (ე. ი. ქართლელნი - ვ. კ.) ეცდებიანო რუსები მოიყენონო და ხომალდი გამოუძახონო და მეფე ლვარსაბ, ზღვით წაიყვანონო“². უნდა ვივარაუდოთ, რომ საბინინი ამ შემთხვევაშიც, უშუალოდ ფ. გორგიჯანიძეს კი არ ეყრდნობა (რომლის შრომას, როგორც ჩანს, ის არ იცნობს), არამედ ანტონ პირველს. ანტონ კათალიკოსი „ლუარსაბის შესხმა-მოთხრობაში“ წერს: „არადაცხრომილმან გიორგი სააკაძისძემან... არწმუნა შაჰ აბასს, მეტყუელმან: „გარდამოუყუანიეს იმერეთით, კახთა მეფეა თეიმურაზ და მეფობს დღეს კახეთს შინა... ან სადმე, თუ არა მოკლა ლუარსაბ, მოვიდნენ ქართუელები ნავით, გზითა ზღვსითა და მოიპარონ ადვილად, ლუარსაბ ციხით...“³

მ. საბინინი, თავისი შრომის ძირითად წყაროებს წიგნის შესავალშივე ასახელებს. იგი წერს, რომ იყენებდა: ანტონ I-ის „მარტირიკას“, წმინდანთა მოსახსენებელ მოკლე საეკლესიო საკითხავს (ხელნაწერს, რომელიც იოანე გრუზინსკის ეკუთვნოდა). ამათ გარდა: „მოურავიადას“, რომელიც მისი სიტყვით, თვით გიორგი სააკაძემ დაწერა⁴ (იგულისხმება იოსებ სააკაძის „დიდმოურავიანი“); აგრეთვე, თეიმურაზ I-ის თხზულებას (იგულისხმება „ქეთევანის წამება“), არჩილ II-ის პოემას („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“);

¹ იქვე.

² ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, მითით. გამოც. გვ. 230.

³ ანტონ პირველი, შესხმა და მოთხრობა ლუანლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მონამისა ლუარსაბ მეორისა, მეფისა საქართველოსა, წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, ნ. VI, თბ., 1980, გვ. 64.

⁴ М. Сабинин, Полное жизнеописание... ч. II, с. III.

ყველა ამ წყაროს, მიხეილის სიტყვით, ის ადარებდა „ქართლის ცხოვრების“, როგორც ნაბეჭდ, ისე ხელნაწერ ტექსტს (იგულისხმება ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, თუმცა არ ჩანს მისი რომელი ხელნაწერით სარგებლობდა ის). სხვა წყაროებიდან, მ. საბინინი ჩამოთვლის პეტერბურგის მიტროპოლიტ ისიდორეს კუთვნილ ხელნაწერს (სამწუხაროდ, არ ასახელებს მის სათაურს), დავით ჩუბინაშვილის ქრესტომათიას, პლ. იოსელიანის ბროშურებს. ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ ითვალისწინებდა აკად. მ. ბროსეს და დ. ჩუბინაშვილის სიტყვიერ მითითებებს და ხალხურ გადმოცემებს; ასევე, ეკლესია-მონასტრების ფრესკებზე ასახულ სიუჟეტებს¹.

ამრიგად, მ. საბინინის ზევით მოტანილი შრომის ანალიზის შედეგად, მისი კვლევის მეთოდისა და თავისებურებების შესახებ შეგვიძლია ზოგიერთი განზოგადებული დასკვნა გამოვიტანოთ: საქართველოს ეკლესიის ისტორიის რომელიმე მონაკვეთის გადმოცემისას, მ. საბინინი არასოდეს ეყრდნობა მხოლოდ ერთ წყაროს ან ლიტერატურას. იგი, მის ხელთ არსებულ მრავალფეროვან მასალას შემოქმედებითად ამუშავებს და მკითხველს ისე წარმოუდგენს. ცხადია, ამ პროცესში, ადგილი აქვს უზუსტობებსაც და ტექსტის თავისუფალ ინტერპრეტაციასაც. თავისი მეთოდის შესახებ, თვითონ საბინინი წერდა: „Старался держаться не буквально, а передачи верности содержания исторического факта и стройной, законченной мысли, с критическим приемом“².

მიუხედავად ყველა ნაკლოვანებისა, მიგვაჩნია, რომ საბინინმა თავისი დროისათვის უზარმაზარი შრომა გასწია ქართული ხელნაწერების აღმოჩენის, პუბლიკაციისა და პროპაგანდის თვალსაზრისით. მათი მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზი კი, უკვე მომდევნო ეპოქების საქმეა. ამიტომაც ამბობდა მიხეილი თავისი შრომის შესავალში: „Quod³ potui, feci, faciant meliora potentes“ („მე რაც შემეძლო გავაკეთე, ვისაც შეგიძლიათ – უკეთესი ჰქმენით“). დამოუკიდებლობადაკარგული და რუსული ცარიზმის მარწუხებში მოქცეუ-

¹ იქვე, გვ. IV.

² მ. საბინინი, დასახ. შრომა, გვ. IV-V.

³ ნიგნში შეცდომით დაბეჭდილია „guid“, საბინინი, დასახ. ნიგნი, გვ. II.

ლი ქვეყნისათვის, მ. საბინინის 'პროპაგანდისტულ-განმანათლებლურ მოღვაწეობას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ძირითადი დასკვნები:

გამოკვლევაში დადგენილია მიხეილ საბინინის ბიოგრაფიის უცნობი დეტალები, მათ შორის: მისი დედის სახელი (ეკატერინე).

გამოვლენილი გვაქვს მიხეილ საბინინის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, აბო თბილელის ნიშის შესახებ დაწერილი, მკვლევრის პირველი მოხსენებითი ბარათი და მისი მნიშვნელობა (1867 წ.).

პირველად ვაანალიზებთ მ. საბინინის მიმოწერას: ალექსანდრე ეპისკოპოსთან (30 წერილი), ეპისკოპოს კირიონთან (2 წერილი), ათანასე მონაზონთან (2 წერილი), აგრეთვე, მის ვრცელ წერილს ანონიმ „მეგობართან“; ვაანალიზებთ აგრეთვე, ლიტერატურის მუზეუმში დაცულ საბინინის წერილების ზოგიერთ გამოუქვეყნებელ ფრაგმენტსაც.

ვადგენთ, რომ მ. საბინინის დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად, დავითგარეჯის, იოანე ზედაზნელის მონასტერს და წმ. ნინოს სავარაუდო განსასვენებელს ბოდბეში, უამრავი ძვირფასი შეწირულობა მიეძღვნა (მათ შორის, წმ. იოანე კრონშტადტელის მიერ გამოგზავნილი 16 ფუთიანი ზარი).

პირველად შემოგვაქვს მიმოქცევაში მიხეილ საბინინის მიერ შესრულებული, დავით გარეჯელის ლუსკუმის ასომთავრული წარწერა. (ამჟამად, დაზიანებული სახით, ეს საფლავის ფილა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიული მუზეუმის არმაზის მუზეუმ-ნაკრძალში).

დადგენილი გვაქვს მიხეილ საბინინის მიერ შექმნილი ხატის „საქართველოს ეკლესიის დიდების“ ბეჭდვის ვითარება და თარიღები (1889 და 1895 წწ.).

პირველად შემოგვაქვს მეცნიერულ მიმოქცევაში მ. საბინინ-

ნის ვრცელი ავტობიოგრაფიული ხასიათის მინაწერები: პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ყანჩაეთის სვინაქსარზე და მოსკოვის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული 1859 წელს გადაწერილი ფსალმუნის აშიებზე.

ვევარაუდობთ, რომ მიხეილ (გობრონ) საბინინმა საკუთარი სახე აღბეჭდა „საქართველოს სამოთხეში“ წარმოდგენილ მიქელ-გობრონის ლითოგრაფიაში.

მ. საბინინის პირადი წერილების, ასევე მისი შრომების: „საქართველოს სამოთხე“ (პეტერბურგი 1882), „ქართველ წმინდანთა ცხოვრების სრული აღწერილობა“ (ტ. 1-3; პეტერბურგი, 1872-1874, რუსულ ენაზე), „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI-მდე“ (პეტერბურგი, 1877, რუსულ ენაზე), „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდების განმარტება“ (პეტერბურგი, 1899, რუსულ ენაზე) ანალიზის შედეგად, ვადგენთ:

მ. საბინინი მიიჩნევს, რომ ბერ-მონაზვნური ცხოვრება, საქართველოსა და კაცობრიობის ისტორიაში, სულიერი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მას მიაჩნია, რომ მართლმადიდებლობამ გადაარჩინა ქართველი ხალხი და შეუნარჩუნა მას თვითმყოფადობა. ამიტომ, ქართველებმა მკაცრად უნდა დაიცვან თავისი სარწმუნოება. მ. საბინინი ამტკიცებს, რომ ის ქრისტიანული სინამდვილები, რაც საქართველოშია (ქრისტეს კვართი, ნინოს ჯვარი, და ა. შ.) ქართველების მიერ უდიდესი მოწინებით უნდა იქნეს დაცული. ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი სულიერი განვითარებისათვის, მიხეილ საბინინს აუცილებლად მიაჩნია ქართულ ტაძარ-მონასტრებსა და ეკლესიებზე ზრუნვა და ქართული ენის უფლებების დაცვა.

მ. საბინინი მოურიდებლად და მწვავედ აკრიტიკებს ყველას, ქართველსა და რუსს, მაღალი საერო და საეკლესიო ოფიციალის წარმომადგენლებს, რიგით თანამოქალაქეებს, ვინც არ ზრუნავს, ან უარესი, ანიავებს ქართველი ხალხის სულიერ სიმდიდრეს.

მ. საბინინს მიუღებლად მიაჩნია რომაულ-კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული მრწამსი და მოუწოდებს ქართველებს არ მიემხრონ ამ კონფესიებს.

მ. საბინინის კვლევის მეთოდის გასაცნობად, ვაანალიზებთ მის ერთერთ ნაწარმოებს, კერძოდ ქართლის მეფის, წმ. მონამის

ლუარსაბ II-ის მარტივობას.

ვადგენთ, რომ ამ ნაწარმოების შექმნისას, მიხეილ საბინინი იყენებდა:

ა) ანტონ I კათალიკოსის „მარტირიკას“,

ბ) ბესარიონ ორბელიშვილის „ლუარსაბის წამებას“,

გ) ვახუშტი ბაგრატიონის შრომას „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“,

დ) ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“-ს (ნაბეჭდ და ხელნაწერ ნუსხებს),

ე) იოსებ თბილელის „დიდმოურავიანს“ (ავტორს შეცდომით მიაჩნია, რომ ეს ნაწარმოები თვით გიორგი სააკაძემ დაწერა),

ვ) თეიმურაზ I-ის „წამება ქეთევან დედოფლისა“-ს,

ზ) არჩილ II-ის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“-ს,

თ) ბატონიშვილ მარიამ – მაკრინეს ჩანაწერებს გიორგი სააკაძის შესახებ, რომელიც პლ. იოსელიანს მოაქვს თავის თხზულებაში,

ი) პლ. იოსელიანის ნაშრომს „ცხოვრება დიდი მოურავი გიორგი სააკაძისა“ (რუსულ ენაზე, თბ., 1847 წ.),

კ) ჟან შარდენის მოგზაურობას (ფრანგულ ენაზე, პარიზი, 1829),

ლ) შესაძლოა, ინკანდერ მუნშის თხზულებას (მასთან „ისკანდერ მუნჯი“),

მ) დავით ჩუბინაშვილის ქრესტომატიას,

ნ) ზეპირ თქმულებებს,

ო) მარი ბროსეს და დავით ჩუბინაშვილის პირად, ზეპირ მითითებებს,

პ) ეკლესია-მონასტრების ფრესკების სიუჟეტებს.

ვასკენით, რომ წყაროთა სიუხვის მიუხედავად, ავტორის მიერ გადმოცემული ფაქტები ყოველთვის არ გამოირჩევა სიზუსტით. მ. საბინინი ძირითადად ყურადღებას აქცევს თხრობის უწყვეტობას და იდეურ შინაარსს.

მიგვაჩნია, რომ ყველა ნაკლოვანების მიუხედავად, მიხეილ საბინინმა, თავისი დროისათვის უზარმაზარი შრომა გასწია ქართული სიძველეებისა და ხელნაწერების აღმოჩენის, პუბლიკაციის და მათი პროპაგანდის თვალსაზრისით. უნდა გავიხსენოთ, რომ მისი პუბლიკაციები და ბრწყინვალე ლითოგრაფიები (ხატები),

ვრცელდებოდა მთელ რუსეთის იმპერიაში და მის საზღვრებს გარეთაც და ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც რუსეთის საეკლესიო და საერო ოფიციაში ყოველმხრივ ამცირებდა და ავინროვებდა ქართულ თვითმყოფად კულტურას.

The World and National Problems in the Writings of the Georgian Clergy at the End of the 19th and Beginning of the 20th Century

Summary

The monograph of the Dr. of Historical Sciences, Vazha Kiknadze, Professor of Iv.Javakishvili Tbilisi State University and Director of Iv.Javakishvili Institute of History and Ethnology deals with the urgent human and national problems, the notorious representatives of the Georgian clergy was concerned with at the end of the 19th and at the beginning of the 20th century.

The book provides the analyzes of the works and writing heritage of the bishops: Gabriel Kikhodze (1825-1896), Kirion Sadzaglishvili (1855-1918), Petre Konchoshvili (1836-1909) and the candidate of theology Mikheil (Gobron) Sabinin (1845-1900).

The end of the 19th and the beginning of the 20th century was marked with the aggressiveness and exacerbation of the clerical and civil policy of the Tsarist Russia against the Caucasus in general and towards Georgia in particular. The Tsarist policy in the national issue was characterized with the open Russification of the non-Russian nationalities. All of the bureaucratic mechanisms were put in service of succeeding the abovementioned task and the Church was not exception in this respect.

The Georgian clergy found to be in a hard time. On the one hand it served to be the part of the Russian state apparatus (since 1721 the position of the head of the church – Patriarch – was abolished and the Russian Church entered under the direct subjugation of the head of the state) while on the other hand the notorious representatives of the society were well aware of the fact that the Tsarist policy should be opposed severely in order to save the nation.

Achieving the aim, the progressive circles of the clergy should come up with setting the range of problems, being particularly actual at that time for Georgia and the wider world and later on go on to strive for bringing these problems to the population of the country.

Under such circumstances the best way of communication with parish was a preaching and a great majority of the Georgian clergy made a

good use of it.

Following questions were discussed by Bishop Gabriel Khikhodze in his writings and preachings:

- Importance of the native tongue in the maintenance of the national phyzionomy (originality and distinctiveness);

- Monarchy as the best way of state organization, although Republican form of state was also acceptable;

- Role of religion (Christianity) in the maintenance of the national originality;

- Rejection of fanaticism and extremism in all spheres of life.

- Prohibition of national discrimination at any governmental and non-governmental position;

- Classification of customs according to those hindering progress and contributing the maintenance of national originality;

- Role of women in society and family;

- Peculiarities of Georgian political struggle: a struggle of idea in Europe as opposed to the struggle of personalities in Georgia.

In its turn, Bishop Kirion Sadzaglishvili (Catholicos Patriarch of Georgia in 1917-1918) discussess the various aspects of national issues and those of humanities in general in his dozens of published and unpublished works. Some of psychological and philosophical problems are also addressed in his works.

Kirion considers that theology and philosphy are not an antagonistic concepts and spheres, rather they come to compelement each-other in a sense. Thus, they together contribute to the determination of the rational action of the World.

Kirion goes on discusson the concept of cognition and tries to set its exact meaning and essence (in this repsect he provides an analyses of an ancient philosophers (Plato, Socrates, etc) and Fransis Bakon (1561-1626).

A role of monastery as a collective spiritual leader in the nation building process.

State's main duty is the defense of life and property of a person.

Role of great figures in the development of the country.

A free development is a necessary precondition for the growth of the state.

Kirion compares the problems of Georgia of his time to the difficulties of other nations and people, found under the Russian Empire (Poles, Lithuanians, Latvians, Mordvians ("Mordva")).

In the book of the Bishop Petre Konchoshvili "Traveling to the Holly City of Jerusalem and on the Mount Athos" (1901), in his private correspondence and press publications a range of problems of the humanity and national issues are addressed and discussed.

Preservation of national language and its further development, as well as conducting liturgy on a national language in the churches and monasteries of Georgia are set as the primary problems of the country by Petre Konchoshvili.

A Problem of migration of Georgian population outside the country and its negative aspects are also discussed in his writings. The negative tendency of spiritual degradation of the leading countries of Europe is also stressed.

Role of language in consolidation and unification of the different regions of Georgia is also underlined. (For instance in Sokhumi District (Abkhazia) and in Chorokhi Gorge (Adjara)).

Revival of the spiritual life of Georgia and its familiarization with the rest of the world was the main aim of Mikheil (Gobron) Sabinin, who was born and grown up in Georgia. For the fulfillment of this aim, Sabinin collected a great deal of Georgian manuscripts, translated them into foreign languages (mostly into Russian) and published them in a great amount. An ecclesiastical lithograph was also created by him. The so called "Paradise of Georgia", published by Sabinin (St.Petersbourg, 1882) is notorious piece of work, bringing the description of life and deeds of the 50s saints of Georgia together. The book is decorated by the delightful lithographs of Saints; Their sketches were made by the author. The colorful lithographs "A Glory of the Georgian Orthodox Church", "St.Nino - enlightener of Georgia" created by Sabinin, is also well-known.

For Sabinin, like that of other Georgian ecclesiastical figures, the preservation of the Georgian language is considered as a divine duty and responsibility of each Georgian; (Although we should stress that his father was Russian). Sabinin considers monasterial life as a decisive occurrence in the history of Georgia in terms of the preservation of its originality.

He thinks that for the maintenance of the Georgian originality, the strong adherence and preservation of Orthodoxy is a must. The Catholic and Armeno-Grigorian confessions are unacceptable for Sabinin.

The author critically looks at the research methods of M.Sabinin. The fact that he draws more attention to the idea rather than to the sources, is mentioned and analyzed in some details. In spite of the abovementioned fact, the author of the monograph concludes that the enlightening activities of M.Sabinin contributed much to the spiritual revitalization and regeneration of Georgia.

The biographies of the mentioned ecclesiastical figures are also discussed and analyzed; Some of the contentious issues are set reasonable justification.

გამოყენებული ლიტერატურისა და
წყაროების სია:

- ელ. აბრამიშვილი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი (მიმოხილვა) კრებ. „მრავალთავი“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებები), I, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.
- ი. აბულაძე, იპოლიტე რომაელის ქრონიკის ძველი ქართული ვერსია, შრომები, ტ. III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1982.
- ე. ავალიანი, ტ. გვალია, კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა ინტერპრეტაციის საკითხისათვის, თსუ გამომცემლობა, თბ., 1996.
- ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა (ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი), თბ., 2003.
- ანტონ I (ბაგრატიონი) მოთხრობა ლუანლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მონამისა ლუარსაბ მეორისა, მეფისა საქართველოსა... წიგნში: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები“ ტ. VI, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1980.
- არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, წიგნში: „ქართული მწერლობა“, ტ. 6, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1980.
- ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
- ნიკოლოზ ბაგრატიონი, ბურებთან, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1952.
- რ. ბარამიძე კირიონ II და ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება, აღმანახი: „რანი ვართ ქართველნი?“ (ეროვნული ცნობიერების ჟურნალი), თბ., 1998, №7-8.
- კ. ბაქრაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბ., 1969.
- დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა – შემოქმედი და მოაზროვნე, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1961.
- ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001.
- ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბ., 1980.

- მ. ბერი, ხმა მონსტრიდგან, „დროება“, 1883, №29.
- მამუკა ბერძენიშვილი, საბინინი, გაზეთი „საბა“, 1997, №1-2.
- მაქსიმე ბერძენიშვილი, მასალები XIX ს. I ნახევრის საქართველოს საზოგადოების ისტორიისათვის, ტ. II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1983.
- ა. ბოჭორიშვილი, გაბრიელ ქიქოძის ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, ჟურნ. „ფსიქოლოგია“, ტ. III, თბ., 1950.
- თ. ბუჩიძე, ძველი რუსული მწერლობა, ტ. I (მატიანეები), თსუ გამომცემლობა, თბ., 1973.
- ელ. ბუბულაშვილი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, კრებული: „ქრისტიანობა საქართველოში“ (ისტორიულ ეთნოლოგიური გამოკვლევები) თბ., 2000.
- ეპისკოპოს გაბრიელის ქადაგებები, ტ. I, თბ., 1989 (სტერეოტიპული გამოცემა)
- ეპისკოპოს გაბრიელის „ქადაგებები“, ტ. II, თბ., 1989 (სტერეოტიპული გამოცემა).
- გაბრიელ ეპისკოპოსის მიწერ-მოწერა, ჟურნ. „მოამბე“, 1896, №3.
- გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი გ. კ. მუხრან-ბატონს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №49.
- გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი მირიან ჭყონიას, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, საქმე №10214.
- ეპისკოპოსი გაბრიელი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, რუსულიდან თარგმნეს: ი. ტაბიძემ, ვ. გოგობერიშვილმა, თ. ბუაჩიძემ, თბ., 1993.
- ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005.
- ჯ. გამახარია, ნმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, თბ., 2007.
- გრ. გორგაძე საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864-1905), თბ., 1928.
- ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე; ი. ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე (ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1837-1907), თბ., 1987.

- ი. გოგებაშვილი, „მზად ვართ?“ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, ტფ., 1910.
- ი. გოგებაშვილი, მცირე განმარტება, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, ტფ., 1910.
- ი. გოგებაშვილი, მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, ტფ., 1910; იგივე, რჩეული ნაწერები, ტ. III, თბ., 1954.
- ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, ნ. I, ტფ. 1925.
- ვ. გურგენიძე, „საქართველოს სამოთხე“, გაზეთი „ნიგნის სამყარო“, 1982, №9, №12 (12 მაისი).
- ვ. გურგენიძე, წმ. მარიამის ნილხვედრ ქვეყანაში, ნაწ. II, თბ., 1997. ეპისკოპოს გრიგოლის (დადიანის) სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს, „მოამბე“, თბ., 1896, №3.
- დ. დათუაშვილი, საარქივო საქმის ისტორია საქართველოში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1997.
- ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, „განთიადი“, ქუთაისი, 1990 №10.
- ნ. დურნოვო, ბედი საქართველოს ეკლესიისა, გ. ტოტოჩავას თარგმანი [ბათუმი, 1990].
- დურნოვოს მისალოცი წერილი ეპისკოპოს ლეონიდეს, ჟურნ. „სვეტიცხოველი“, 1917, №3.
- ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრ. ტ. II, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., 1959.
- ც. ედილაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი, თბ., 2001.
- ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ტ. I (1917-1927), გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, თბ., 2000, ტ. II (1927-1952), თბ., 2001.
- ს. ვარდოსანიძე, კირიონ II სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, ოზურგეთი, 1994.
- ს. ვარდოსანიძე, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, ჟურნ. „საქართველოს საპატრიარქო“, თბ., 1999, №3.
- ს. ვარდოსანიძე, „მოსე ჯანაშვილის წერილის“ პასუხად, გაზ. „ქარ-

თული წიგნი", №5 (17), 2002.

დეკ. ი. ვოსტორგოვის მოხსენება პეტერბურგის სასწავლო მუზეუმში 1905 წელს, ჟურნ. „მწყემსი“, 1905, №8.

დეკ. ვ. ზენკოვსკი, ქრისტიანული ფილოსოფიის იდეა, ჟურნალი, „წმენა და ცოდნა“, №4 (იანვარი-თებერვალი), თბ., 2000-2001.

ივ. ზურაბაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, წიგნში: კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962.

ნ. თალაკვაძე, სიტყვა წარმოქმნილი სვეტიცხოველში 1917 წ. 12 (25) მარტს, გაზეთი „ერი“, 1991 20 მარტი.

ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965.

ექვთ. თაყაიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბ., 1968.

ი. იმედაშვილი, კირიონის გაპატრიარქება და მკვლევლობა, გაზ. „კომუნისტი“, 1990, 2 სექტემბერი.

პლ. იოსელიანი, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ცხოვრება, რუსულიდან თარგმნა გ. თარხნიშვილმა, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1973.

ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 წწ., გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 1998.

მღვდელ-მონაზონი კალისტრატე, წმ. დავით გარეჯელის უდაბნო, ტფ., 1884.

ნიკ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1968.

ე. კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, გერმანულიდან თარგმნა შ. პაპუაშვილმა, თსუ გამომცემლობა, თბ., 1979.

კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980 (მეორე გამოცემა).

ედუარდ კარი, რა არის ისტორია? თბ., 2001.

მ. კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთაისი, 1913.

მ. კელენჯერიძე, უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა, ქუთაისი, 1903.

ვ. კიკნაძე, სასულიერო-სამოგზაურო ჟანრის ერთი ნიმუში – გორის ეპისკოპოსის პეტრეს მოგზაურობა, კრებ.: სვეტიცხოველობი-სადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1998.

ვ. კიკნაძე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძეგლი ერისთავთას“ დათარიღებისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფი-

ული შტუდიები, I, თბ., 1982.

- ვ. კიკნაძე, ხოლო იყავნ ან ჩუენდა ღვანლი ესე, ანუ მარტვილობაი მიქელ გობრონ საბინინისა, აღ. ორბელიანისადმი მიძღვნილი III სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1999.
- ვ. კიკნაძე, მიხ. სბინინის უცნობი წერილი, გორის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, №2, თბ., 2002.
- ვ. კიკნაძე, თევდორე მღვდელი და ივანე სუსანინი, მითი და რეალობა (ხელნაწერი), თბ., 2004.
- ვ. კიკნაძე, ახალი ათონი – რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის დასაყრდენი ამიერკავკასიაში, ჟურნ. „ლოგოსი“, №1, 2003.
- ვ. კიკნაძე, ამბროსი ხელაიას უცნობი წერილი კირიონ საძაგლიშვილისადმი, გორის სახ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ისტორიის სერია №1, გორი, 2001.
- ვ. კიკნაძე, კირიონ, II-სა და ვასილი როზანოვის ურთიერთობის ისტორიიდან, კრებ.: კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები (თსუ გამომცემლობა), ტ. XXI, თბ., 2005.
- ვ. კიკნაძე, კირიონ II-ის ბიოგრაფიის დაზუსტებისათვის, კრებ.: ფილოსოფია, კულტურა, ისტორია, თბ., 2000.
- ვ. კიკნაძე, ეროვნული მეობა-იდენტობის პრობლემატიკა XIX ს. ქართველი სამღვდელოების შემოქმედებაში. დისციპლინათმორისო რესპუბლიკური კონფერენციის: „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“, თეზისები, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2004.
- ვ. კიკნაძე, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის ცხოვრება და მოღვაწეობა; გორის სახ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტ. III, გორი 2000.
- ვ. კიკნაძე, კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის უცნობი წერილები პ. კარბელაშვილისადმი, ჟურნ. „საქართველო“ №1-2, თბ., 1999.
- ვ. კიკნაძე, ხუთი პორტრეტი ეპოქის ფონზე (ეპისკოპოსები: ალექსანდრე, გაბრიელი, კირიონი, პეტრე და მიხეილ საბინინი), „ივერია“ (ქართულ-ევროპული ჟურნალი), თბილისი – პარიზი, 1998/1999.
- ვ. კიკნაძე, ცხოვრება და ღვანლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, გამომცემლობა „მემატთან“, თბ., 2003.

- მ. კიკნაძე, მოძღვარი და საზოგადოება (გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, მოძღვრისა და სამწყსოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ), ჟურნ. „ლოგოსი“, №2, თბ., 2004.
- მ. კიკნაძე, ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, რჩეულთა ბიბლიოთეკა №26, თბ., 1997.
- მ. კიკნაძე, სამარადისო შარავანდედი: კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა; კრებ. „ქრისტიანობა საქართველოში“ (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები), თბ., 2000.
- მ. კიკნაძე, ალავერდისა და გორის ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი და მისი ოჯახური წრე, კრებ.: ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები, №1, თბ., 2006-2007.
- მ. კიკნაძე, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეებთან, საისტორიო შტუდიები, №III (ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის კათედრის შრომათა კრებული), თბ., 2003.
- მ. კიკნაძე, საკაცობრიო და ფილოსოფიური პრობლემატიკა კირიონ II-ს შემოქმედებაში, გორის სახ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული, გორი, 2002, №2.
- მ. კიკნაძე, მოძღვარი და საზოგადოება, „ივერია“ (ქართულ ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი), თბილისი-პარიზი, 2003.
- მ. კიკნაძე, ახალი საარქივო მასალა ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიისათვის (პავლე რაზიკაშვილი) კრებული: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1, თბ., 2007.
- ზ. კიკნაძე, ეროვნული პრობლემატიკა მართლმადიდებლურ ტრადიციაში, წიგნში: „ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ“, თბ., 2002.
- ეპისკოპოსი კირიონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, ტფილისი, 1899. (მეორედ გამოიცა 1988 წელს).
- ეპისკ. კირიონი, ამბავი დავით გარეჯის უდაბნოს საკვირველმოქმედის მადლის ქვისა, ტფ., 1899.
- ეპისკ. კირიონი, წმ. მონამე აბო ტფილელი, ტფ., 1899.
- ეპისკოპოსი კირიონი, წმ. სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირ-

- სის მონასტერი, რუსულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო დეკანოზმა მ. ჭაბაშვილმა, თბ., 1998.
- ეპ. კირიონი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, დღიურის ნაწყვეტები (1903), სცსსა, ფონდი 1458, საქმე №33.
- კირიონის ნერილი ს. ცომაიას (10.XII.1907), გაზ. „კალმასობა“, 1999, №1.
- კათალიკოს-პატრიარქ კირიონის მიმართვა კონსტანტინეპოლის პატრიარქს, გ. ლეონიდის სახელმწ. ლიტერატურის მუზეუმის კირიონის ფონდი, საქმე №276630₃ და იგივე ტექსტი, საქმე №27830₃; დაიბეჭდა ჟურნ. „სვეტიცხოველში“, 1917, №4.
- კათალიკოს-პატრიარქ კირიონის მიმართვა რომის პაპს, ლიტერატ. მუზეუმი კირიონის ფონდი, საქმე №27830₃; დაიბეჭდა ჟ. „სვეტიცხოველში“, 1917, №4.
- კათალიკოს-პატრიარქ კირიონის მიმართვა სომხეთის კათალიკოსს, გ. ლეონიდის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, კირიონის ფონდი, საქმე №27830₃ დაიბეჭდა ჟ. „სვეტიცხოველში“, 1917, №4.
- ეპისკოპოსი კირიონი, ჰურიანი ძველ იბერიაში, საყოველთაო მოლოდინი მესიისა, განთესვილ ებრაელთა გავლენა ჩვენს წარმართ წინაპართა სარწმუნოებაზე და მათ მიერ უფლის კვართის ჩამოტანა, აღმანახი „ძველი სახლი“, №1, თბ., 1994, აგრეთვე, გაზ. „კალმასობა“, 1999, №8 და №9 (რუსულიდან თარგმნა ქ. ჯერვალიძემ).
- კირიონის სიტყვა, თქმული სიონის ტაძარში 1917 წ., ლეინობისთვის (უნდა იყოს 5 გიორგობისთვის), ჟურნ. „სვეტიცხოველი“, თბ., 1918, №5.
- კირიონის სიტყვა სემინარიაში სწავლის დაწყების გამო, ჟურნ. „სვეტიცხოველი“, თბ., 1918, №5.
- კირიონ III, წიგნში: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, რ. მეტრეველის რედაქტორობით, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2001.
- კირიონის სიტყვა ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს, გაზეთი „საქართველო“, თბ., 1918, №3.
- კირიონის მიმართვა ქართველ ხალხს, გ. ლეონიდის სახ. ლიტ. მუზეუმის კირიონის ფონდი, საქმე №27830₃, დაიბეჭდა ჟ. „სვე-

ტიცხოველში", თბ., 1917, №4.

ეპისკოპოსი კირიონი (ცხოვრება და მოქალაქეობა), წიგნში: სრული-
ად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნე-
ტარესი კირიონ II, ქრისტიანული, თავისუფალი, დამოუკიდე-
ბელი საქართველოსთვის, გამოსცეს ილ. აბულაძემ და
ლ. ხუნდაძემ, თბ., 2005.

პ. კონჭოშვილი – საყურადღებოდ მედავითნეთა და მეფსალმუნე-
თა, ჟ. „კვალი“, 1895 №2 (7 ივლისი).

დეკ. პ. კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ.
ათონის მთაზე, თბ., 1901.

დეკ. პ. კონჭოშვილი, ქართული დაბადება, ჟურნ. „მომამბე“, 1896
№2, თ. VI.

კორიდეთის საბუთები, გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, გა-
მომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1989.

თ. კუკავა, გერასიმე ქიქოძე, წიგნში: ნარკვევები XIX ს. I ნახევრის
ისტორიიდან, მეცნ. აკად. გამოც., თბ., 1956.

ნ. ლომოური, სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გა-
მო, გ. ლეონიძის სახ. ლიტერ. მუზეუმის გაბრიელ ქიქოძის
ფონდი, საქმე №1978(86).

ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995.

ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003.

ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით და შე-
ნიშვნებით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.

ს. მგალობლიშვილი, ჩემი მოგონებები, გამომცემლობა „საბჭოთა
მწერალი“, თბ., 1955.

„მგზავრი კაცი“, საეკლესიო თხზულება ჩვენში და მისი რეცენზენ-
ტი „შრომა“, 1882 №47.

ი. მეგრელიძე, სიძველენი ლიახვის ხეობაში, ნან. 2, თბ., 1997.

ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თსუ
გამომცემლობა, თბ., თსუ გამომცემლობა, 1980.

რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სა-
ზოგადოება, თსუ გამომცემლობა, თბ., 1981.

რ. მეტრეველი, „დამმარხეთ საქართველოში“ (მასალები მ. საბინი-
ნის ცხოვრებიდან), წიგნში: „და მოვიდეს ვარანგნი“, გამომ-
ცემლობა „მერანი“, თბ., 1989.

- ლ. მირიანაშვილი, მონასტერი იმპერიული სახელმწიფოს რეალობაში, კრებ. „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“ (საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა შინაარსები), თბილისი, 2000.
- „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, წიგნში: შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ა. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1979.
- გ. მუხრან-ბატონის წერილი გაბრიელ ეპისკოპოსისადმი, „მოამბე“, 1896 №3.
- „მხცოვანი“ [პ. კონჭოშვილი] – ივერიის ქართველთა მონასტერი ათონს „ივერია“, 1902 №234.
- ნ. ნადარაია, გელათის საქმე და გაბრიელ ეპისკოპოსი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 30 აგვისტო.
- ნ. ნადარაია, გაბრიელ ქიქოძის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1984 №2.
- ნევემირებული ძლისპირნი (ხელნაწერი №603), გამოსცა, საძიებლები და გამოკვლევა დაურთო გულნაზ კიკნაძემ, თბ., 1982.
- ბესარიონ ორბელიშვილი, ლუანლი წმიდისა და სანატრელისა მონამისა და მეფისა ლუარსაბისი, წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები V, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბ., 1989.
- ირ. ოქროპირიძე, ქრისტიანობა საინგილოში და ინგილოთა ყოფა მე-19 ს. ბოლოს და მე-20-ე საუკ. დასაწყისში, „მნათობი“ 1989, №12.
- ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1918 წწ. თბ., 1995.
- თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. II, ტფ., 1897.
- ივ. რატიშვილის სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავებაზე, „მოამბე“, თბ., 1896, №3.
- იოსებ სააკაძე, დიდმოურავიანი, წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. 6, თბ., 1980.
- მ. საბინინის წერილი მამა ათანასესადმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, №1531.
- მ. საბინინი „საქართველოს სამოთხე“, სრული აღწერა ღვანლთა და

- ვენებათა საქართველოს წმიდათა, ს.პეტერბურლი, 1882.
- საბინინის წერილი ანონიმი ადრესატისადმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №180.
- საბინინის წერილები ალექსანდრე და დეონიდე ოქროპირიძეებს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი, საბუთი №№1354-1369, 1707, 1749 და ა.შ.
- გ. საითიძე, ცხოვრება მონამისა, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 (30 აგვისტო).
- სამღვდელმთავრო კონდაკი, გამოსცა გორის ეპისკოპოსმა პეტრემ (კონჭოშვილმა), ტფილისი, 1908.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები (ავტორთა კოლექტივი), ტ. V, თბ., 1975.
- ეკ. (დოდო) საძაგლიშვილი, მღვდელი ზაქარია საძაგლიშვილის ოჯახი, წარმომავლობა, ვინაობა, გაზეთი „ფერისცვალება“ (ბორჯომი), 1996, №4.
- ზაქარია საძაგლიშვილი, დიდი მამულიშვილი (კირიონ II), გაზ. „გამარჯვება“ (გორი), 1989 №130.
- ვახტანგ საძაგლიშვილი, გიორგი იერონიმის ძე საძაგლიშვილის ბიოგრაფიისათვის (პუბლიკაცია მოამზადა ეკატერინე (დოდო) საძაგლიშვილმა), გაზ. „ფერისცვალება“, 1996, №4.
- საბა სვინგელოზი, გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქტორობით, თბ., 1946.
- ენტ. სმითი, ნაციონალიზმი (თეორია, იდეოლოგია, ისტორია), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2004.
- დ. სუმბაძე, მიდმოგონება ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეზე ანუ ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლინება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004.
- ს. სხირტლაძე, ი. ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და მის გამომწვევ მიზეზის გამო, წიგნში: „გადარჩენილი საგანძურადან“, თბ., 1965.
- ზ. სხირტლაძე, ედ. ჭელიძე, ეპიზოდი საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, ყურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1992.
- მ. ქავთარია, XVIII ს. ჰიმონოგრაფიის ისტორიიდან, „მრავალთავი“,

II (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), თბ., 1973.

- ბ. ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ საძაგლიშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხისათვის, უფრნ. „რელიგია“, №1-2-3, თბ., 1995.
- ბ. ქოქრაშვილი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ფილოსოფიური შეხედულებანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 2000.
- ბ. ქოქრაშვილი, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2001 (ხელნაწერის უფლებით).
- ბ. ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II ეროვნული, საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი (ავტორეფერატი), თბ., 2001.
- ა. ქუთელია, ნ. ა. დობროლუბოვი, გაბრიელ ეპისკოპოსის წიგნის შესახებ, „მნათობი“, 1943, №7.
- აღ. ყიფშიძის წერილები კირიონს, „მრავალთავი“, III, თბ., 1973.
- გ. ყორანაშვილი, ელიტა და ხალხის მასა ივ. ჯავახიშვილის ნააზრევში, აღ. ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი I რესპუბლიკური კონფერენცია, თბ., 1997.
- გ. შარაძე, სათნოებისა და ბედნიერების საუნჯე, თბ., 1984.
- ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
- მ. შელია, კირიონ II-ის უცნობი ბარათები, გაზ. „კალმასობა“, 1999, №1, №2.
- რ. ჩხეიძე, ხანი უნდობარი, გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2003, №28 (18-24 ივლისი).
- კალისტრატე ცინცაძე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია ტფილისში, გამომცემლობა „კანდელი“, თბ., 1994.
- კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, გამომცემლობა „კანდელი“, თბ., 2001.
- ქ. ცხადაძე, „შუშანიკის წამების“ პირველი გამოცემის ისტორიიდან, კრებ., „შუშანიკის წამება“, თბ., 1978.
- ი. ჭავჭავაძე, აჩრდილი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1987.
- ი. ჭავჭავაძე, სიტყვა თქმული გელათის მონასტერში გაბრიელ

- ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს. იხ. „გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი“, ტ. I, თბ., 1989 (შესავალი გვ. I-IV).
- ხანმეტი ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ, თბ., 1984.
- ილია ხონელი, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (1825-1896), „ქართული მწერლობა“, ტ. 21, თბ., 2003.
- ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1958.
- ს. ხუციშვილი, „აქსიოს“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №57.
- ს. ხუციშვილი, ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961.
- გ. ჯავახიშვილი, ინნობელი, გაზ. „ყვარელი“, 1979, №135 (15 ნოემბერი), №136 (17 ნოემბერი).
- ივ. ჯავახიშვილი, ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში, „ივერია“, 1906 წ. №10.
- ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ. 12 ტომად, თსუ გამომცემლობა, ტ. 9, 1996.
- ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, წიგნში: ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989.
- მ. ჯანაშვილი, უნმიდესი კირიონი, ტფ., 1917.
- მ. ჯანაშვილი, ორი კირიონი, გაზ. „საქართველო“, 1917 №65 (22 მარტი).
- დ. ჯანაშვილი, „საქართველოს სამოთხე“ ბ-ნ საბინინის (ივერიელის) გამოცემა, „დროება“, 1883, №245, 246, 247.
- მ. ჯანაშვილი, მართა კონჭოშვილი (ნეკროლოგი), გაზ. „ივერია“, 1896, №28 (7 თებერვალი).
- შ. ჯაფარიძე, კირიონ II და საერო და სასულიერო მოღვაწეები, კრებ. კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, №XXI, თბ., 2005.
- ა. ჯორჯაძე, პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, წერილები, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1983.
- ა. ჯორჯაძე, მასალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის, წერილები, თბ., 1989.
- ა. ჯორჯაძე, რელიგია, ფილოსოფია; წერილები, თბ., 1989.

- „ჯაჭვადე“, კირიონ კათალიკოსის წირვა და სიონის წაბილწვა, სასულიერო ჟურნალი „ახალი სიტყვა“, 1918, №7.
- თ. ჯოჯუა, წმ. დავით გარეჯელის ძველი განსასვენებელი, კრებ. ქრისტიანობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებები), თბ., 2000.
- Амвросий Архимандрит, По поводу статьи «Голос из Сухума» – Духовный вестник грузинского экзархата, Тифлис, 1906, №9-10.
- Броссе М. Ф. Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями (1639-1770), С/Пбг, 1861.
- [Эл. Бубулашвили], Общая характеристика св. Священномученика Кириона II (Садзаглишвили) в книге: Культурная роль Иверии в истории Руси, ротопринтное издание, Тбилиси, [2005].
- Гавриил Архимандрит (Кикодзе), Основания опытной психологии, С/Пбг 1858.
- Епископ Гавриил (Кикодзе), Ответ попечителю учебного округа К. Яновскому, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კ. კეკელიძის საარქივო ფონდი, საქმე №748.
- Епископ Гавриил (Кикодзе), Отчет об инспекции Сванетских и Ахалцихских приходов, სცსსა, ფონდი №489, აღწ. 1. საქმე 237751.
- Витте, С.Ю. Избранные воспоминания, Москва, «Просвещение», 1991.
- Восторгов И. И., Клевета Н. Дурново, ответ протоиерея И. Восторгова, М., 1909.
- Восторгов И. И., Очерк истории Ново-Афонского Симоно-Кананитского монастыря, Салоники, 1996.
- Джавахишвили Ив., статья: «Грузия» (Энциклопедический словарь Граната), თხზულებანი, ტ. 12, თბ., 1998.
- Джавахишвили Ив., Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке, თხზულებანი, ტ. 12, თბ., 1998.
- Дурново Н. Н., Протоиерей И. Восторгов и его политическая деятельность, М. 1908.
- Иоселиани П., Мцхетский храм в Грузии, Журнал министерства народного просвещения, ч. 36, отд. II, С/Пбг., 1842.
- «Каменец-Подольск», Малый энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона т. I, ч. 2. С/Пбг.. 1907.

- Кикнадзе В. И., Михаил Сабинин – подвижник грузинской церкви, <http://www.pravoslavie.ru/cgi-bin/sykon/client/display/pl?sid=274&did=1079> (Интернет Версия).
- Епископ Кирион, Краткий очерк истории грузинского экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901.
- Епископ Кирион, Церковно-исторический очерк основания в Херсоне Викариата и его жизнедеятельность (1853-1903), Одесса, 1905
- Епископ Кирион, Свенский колокол в плену у Камальдулов, Ковно, 1907.
- Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910.
- Епископ Кирион, Национальный принцип в церкви, газ. «Отголоски», 1906, №16.
- Еп. Кирион, Назревший вопрос (ко дню столетия присоединения Грузии к России), Тифлис, 1901.
- Еп. Кирион, Заслуги грузинского монашества и монастырей для отечественной церкви и общества, Тифлис, 1899.
- Еп. Кирион, Двенадцативековая религиозная борьба Грузии с исламом, Тифлис, 1899.
- Еп. Кирион, Колонизация армян в Юго-Западной России, Каменец-Подольск, 1903.
- Епископ Кирион, Очерк из истории грузинской церкви (1901), სტბბა, ფ. 1458, სპქტტ №56.
- Ключевский В. О., Дневники и дневниковые записи, сочинения в девяти томах, т. IX, изд. «Мысль», Москва, 1990.
- Ключевский В. О., Афоризмы и мысли об истории, сочин., т. IX, Москва, 1990.
- Кони А. Ф. Сергей Юльевич Витте (Отрывочные воспоминания), Собрание сочинения в восьми томах, т. 5, М., 1968.
- Корнелий, [Еп. Кирион], Иверия и Византия, სტბბა, ფობტტ 1458, სპქტტ №88.
- Корнелий, [Еп. Кирион], - Армянский вопрос, «Петроградские ведомости», 1915, №26 (февраль).
- Краткий очерк истории Философии, под ред. М. Иовчука, Т. Оизермана и др., «Мысль», М., 1969.
- История XIX века, под редакцией Лависса и Рамбо, Госуд. Соц-эко-

- номическое издательство, т. I., М., 1937.
- Всемирная история, Коллектив авторов (учебник), Москва, 1996.
- Натроев А., Мцхет и его собор Светицховели, Тифлис, 1901.
- Натроев А., Памятная записка об Иверском монастыре на Афоне, Халкидонском полуострове, Тифлис, 1913.
- Николай II, Дневник (1890-1906), Москва, 1991.
- Оттодох [Н. Дурново] Несколько слов Восторговцам по поводу Брошюры «Протоиерей, И. Восторгов и его политическая деятельность», М., 1909.
- Очерки истории Грузии, т. V (Коллектив авторов), «Мецниереба», Тб., 1990.
- Рафаил Архимандрит, Икона «Слава Грузинской православной церкви», Фессалоники, Греция, 1994.
- История первой мировой войны, в двух томах, под ред. И. Ростунова, «Воен. издат», т. 2, М., 1975.
- Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, т. I, СПбг, 1871, т. II, 1872; т. III, 1873.
- Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. I, второе издание, Москва, 1994.
- Сабинин М., Объяснение картины «Слава св. православной Грузинской церкви», СПбг, 1899.
- Сабинин Гоброн (Михаил), История грузинской церкви до конца VI века, СПб, 1877.
- Садзагелов Г., Не исключается ли богословским учением о боге, мире и человеке, необходимость философского исследования этих предметов? სცსსა, ფობდი 1458, აღწ. 1, საქმე №43(1), ფ. 24-37.
- Садзагелов Г., Взгляд на познание с одной стороны Бекона, а с другой у древних философов Сократа и Платона (Сравнительная оценка), სცსსა, ფობდი 1458, საქმე №43(1), ფ. 1-19.
- Садзагелов Г., О психическом происхождении человеческого слова, სცსსა, ფობდი 1458, საქმე №4.
- Садагелов-Ивериели Г., О грузинском пении, "Новое Обозрение", 1894, №360.
- Селезнев М., Руководство к познанию Кавказа, СПбг, 1847.

Топстелис [Келенджеридзе М], Правда об автокефалии грузинской церкви (ответ В. Самойлову и Ко), Кутаис, 1905 (?).

Формулярный список епископов: Гавриила, Виссариона, Александра, სცსსა, ფონდი 488, აღწ. 1, საქმე №24407.

Цагарели А. А. Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПб, 1912.

Пьер Тейар де Шарден, Феномен человека (Преджизнь, жизнь, мысль, сверх жизнь), «Наука», М., 1987.

საარქივო ფონდები და სხვა დოკუმენტური მასალები:

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა): ფონდი №488; საქმე №834, 21890, 22738, 24407, 24953, 24968, 26120, 26861, 27107.

ფონდი №489, საქმე №20259, 23775, 25595, 25596, 26120, 26861, 26395, 27911, 27987.

ფონდი №1458 (კირონის ფონდი): საქმე №4, 6, 29, 32, 33, 43, 49, 56, 77, 82, 85, 88, 159.

ფონდი №1459: საქმე №40.

ფონდი №1461: საქმე №16, 143.

ფონდი №1462: საქმე №293.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხ.ერ.ც.):

ალექსანდრე ეპისკოპოსის ფონდი: საბუთი №351, 526, 76, 761, 839, 840, 841, 842, 1243, 1352, 1353, 1354, 1355, 1356, 1357, 1359, 1360, 1364, 1366, 1369, 1370, 1371, 1376, 1690, 1707, 1749, 1749, 1804, 1807, 1816.

გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი: საქმე №49.

ვასილ კარბელაშვილის ფონდი: საქმე №526.

პოლიევქტოს კარბელაშვილის ფონდი: საქმე №167, 601, 695, 760, 761.

კ. კეკელიძის ფონდი: საქმე №747, 748.

მ. კელენჯერიძის ფონდი: საქმე №100, 101, 161, 201, 204, 205.

კირიონის ფონდი: საქმე №5, 10, 16, 18, 19, 21, 39, 46, 84, 131, 148, 155, 156, 167, 184, 191, 197, 199, 200, 259, 263, 281, 291, 292, 295, 303, 304, 305, 306, 308, 309, 312, 314, 350, 357, 360, 382, 384, 388, 406, 442, 453, 495, 496, 504, 507, 509, 510, 511, 515, 516, 517, 519, 592, 707, 713, 720, 776, 825, 833, 878, 889, 890, 897, 903, 939, 940, 941, 942, 943, 944, 945, 947, 949, 950, 951, 952, 953, 954, 955, 956, 958, 959, 961, 962, 963, 965, 967, 968, 996, 1000, 1009, 1020, 1031, 1032, 1036, 1203, 1204, 1233, 1236, 1258, 1317, 1350, 1351, 1352, 1458, 1582, 1532.

აღ. ხახანაშვილის ფონდი, საქმე №464.

ფონდი „სხვადასხვა“, საქმე №2, №324.

გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი:

გაბრიელ ეპისკოპოსის საარქივო ფონდი, საქმე №14451.

ნ. თალაკვაძის საარქივო ფონდი, რვეული 1, ფ. 1-130; საბუთი №15898.

დ. კარიჭაშვილის საარქივო ფონდი, საქმე №4548.

ეპ. კირიონის საარქივო ფონდი, საქმე №11245, 27630_ვ, 27830_ვ.

ს. მგალობლიშვილის საარქივო ფონდი, საქმე №15676, 15908.

მ. საბინინის საარქივო ფონდი, საქმე №1807, 5144, 5148, 8017.

ზ. ჭიჭინაძის საარქივო ფონდი, საქმე 1305, 1354, 1374, 1374, 1376, 5144, 5146, 5147, 5148.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიული მუზეუმის არმაზის მუზეუმ-ნაკრძალი, ექსპონატი №220 (დავით გარეჯელის საფლავის ფილის ასომთავრული წარწერა).

ანანურის ეკლესიის საფლავის ფილის წარწერა (კირიონ საძაგლიშვილის დედის საფლავი).

ვ. კიკნაძის პირადი არქივი, პ. კონჭოშვილის წერილი მიხეილ (გიორგი) საყარელიძეს (1908 წ.).

Национальная библиотека (Петербург), отдел рукописей, Синаксарии XIII-XIV вв., «Груз. нов»-22.

Письмо В. Розанова Н. Восторгову, Центральный Государственный

Архив Литературы и Искусства (ЦГАЛИ), ф. 1797, Перцов. оп.
1, ед. хр. 250.

Российская национальная библиотека (г. Москва), отдел рукописей,
фонд грузинских рукописей, Псалтырь, ф. 180/II, №3.

ჟურნალები და გაზეთები:

ჟურნალები:

- „ახალი სიტყვა“, 1918, №9, №11.
- „განთიადი“, 1990, №10.
- „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1992, 1998/99, 2003.
- „მნათობი“, 1943, №7, 1989, №12.
- „ლოგოსი“, 2003, №1, 2004, №2.
- „რწმენა და ცოდნა“, 2000-2001, №4.
- „საისტორიო მაცნე“, 1995, №4 (ბათუმი).
- „საქართველო“, 1917, №2; 1917, №65.
- „სვეტიცხოველი“, 1917, №3, №4; 1918, №5.
- „სკოლა და ცხოვრება“, 1984, №2.
- „ცისკარი“, 1858, №10.

გაზეთები:

- „გამარჯვება“, 1989, №130; 1996, №4.
- „დილის გაზეთი“, 1896, №145 (22 აგვისტო).
- „დროება“, 1880, №83 (16 აპრილი); 1881, №50, №133; 1882, №230 (4 ნოემბერი), №246; 1883, №35, №44, №77, №245, №147; 1909, №28 (6 თებერვალი), №29 (8 თებერვალი), №30 (10 თებერვალი); №31, №33.
- „ივერია“: 1883, №3; 1889, №274 (23 დეკემბერი), 279 (23 დეკემბერი); 1893, №144 (3 ივნისი) №127; 1895, №66; 1896, №28; 1897, №230; 1898, №20, №179; 1899, №210 (30 სექტემბერი), 1990, №234, №270, 274; 1901, №110 (25 მაისი), №259 (29 ნოემბერი); 1902, №164 (3 აგვისტო), №164, 234 (31 ოქტომბერი); 1904, №23, №245; 1905, №110 (19 ნოემბერი), №208 (17 ნოემბერი).

- „ისარი“: 1907, №19, №48, №89, №204 (19 სექტემბერი), №208 (23 სექტემბერი).
- „კალმასობა“: 1999, №1, №2, №8; 2000, №1, №2.
- „კვალი“: 1893, №42; 1895, №32 (7 ივლისი).
- „კომუნისტი“, 1990 (2 სექტემბერი).
- „მოამბე“, 1909, №33.
- „საბა“, 1997, №1-2.
- „სახალხო გაზეთი“, 1998, №122.
- „სახალხო საქმე“, 1918, №275.
- „ფერიცვალება“, 1996, №4.
- „ქართული ნიგნი“, 2002, №3, №4(16), №5(17).
- „ყვარელი“, 1979, №135, №136.
- „შრომა“, 1882, №47 (1 დეკემბერი); 1906, №5 (9 აპრილი).
- „ჩვენი საქმე“, 1909, №2 (6 თებერვალი), №4 (8 თებერვალი).
- „ჩვენი მწერლობა“, 2003, №28 (14-24 ივლისი).
- „ცნობის ფურცელი“, 1896, №13 (16 ნოემბერი); 1899, №63; 1900, №1130 (21 მაისი), №1135 (26 მაისი), 1145; 1905, №3036 (25 მარტი).
- „Закавказье“, 1907, №184 (9 сентября); 1908, №56 (8 марта), №121 (31 мая), №123 (1 июня); 1909, №4, №5 (10 февраля).
- „Новое обозрение“, 1894, №360.
- „Отголоски“, 1906, №2.
- „Петроградские ведомости“, С/Пбг, 1915, №26.
- журн. Духовной вестник грузинского экзархата, Тифлис, 1906, №9-10.
- журн. „Пастырь“, 1896, №2-3.

შინაარსი

შესავალი.....3

თავი I. გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრება

და შემოქმედება..... 8

§1. გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების გზა..... 8

§2. ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა გაბრიელ
ეპისკოპოსის შემოქმედებაში..... 28

ძირითადი დასკვნები..... 66

თავი II. კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის

ცხოვრება და შემოქმედება..... 69

§1. კირიონის ცხოვრების გზა..... 69

§2. საკაცობრიო და ეროვნული პრობლემატიკა
კირიონ II-ის შემოქმედებაში..... 106

ძირითადი დასკვნები..... 158

თავი III. ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის ცხოვრება

და შემოქმედება..... 162

§1. პეტრე კონჭოშვილის მოღვაწეობა..... 162

§2. მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის
მთაზე – ეროვნული და საკაცობრიო

პრობლემატიკა..... 246

ძირითადი დასკვნები..... 269

თავი IV. მიხეილ (გოზრონ) საბინინის ცხოვრება

და შემოქმედება..... 272

მიხეილ საბინინის შემოქმედება..... 305

ძირითადი დასკვნები..... 326

The World and National Problems in the Writings

of the Georgian Clergy at the End of the 19th and

Beginning of the 20th Century..... 330

გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სია..... 334